114
1955/3
ჟურ. დარბაზი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

114/3

11

ნოემბერი

1955

# მ ნ ა თ ო ბ ი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 32-ე | № 11 | ნოემბერი, 1955 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


6902

## შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

**სიმონ ჩიქოვანი** — საოქტომბრო სიმღერა. ლექსი . . . . . 3

კონსტანტინე გამსახურდია — ვაზის ყვავილობა. რომანი. დასასრული . . . . . 4

ვახტანგ გორგანელი — „ავრორას“ ქუხილი. ლექსი . . . . . 82

გიორგი კალანდაძე — ავეტიქ ისააკიანს. ლექსი . . . . . 83

თინა დონჟაშვილი — ალაზნის პირას. რომანი . . . . . 84

ანა კალანდაძე — ლექსები . . . . . 127

მედეა კახიძე — ლექსი . . . . . 131

სოლომონ თავაძე — დაუვიწყარი. რომანი . . . . . 132

მიკოლა ბაჟანი — სპასკის კოშკთან. ლექსი, თარგმანი ალიო მირცხულავასი . . . . . 149

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დავით მაისურაძე — რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია . . . . . 151

ამბერკი გაჩეჩილაძე — აკაკი წერეთელი და 1905 — 1907 წლების რევოლუცია . . . . . 162

ლევან ასათიანი — ადამ მიცკევიჩი . . . . . 166

მიხეილ კვესელავა — დიდი პოლონელი მწერალი ადამ მიცკევიჩი . . . . . 169

გურამ ასათიანი — მუხრან მაჭავარიანის ლექსები . . . . . 180

### წიგნების მიმოხილვა

დავით კომახიძე — მარიამ გარიყულის მოგონებები . . . . . 187

ხ. შარიქაძე, ნ. შველიძე — ნარკვევები საქართველოში 1905 — 1907 წლების რევოლუციის შესახებ . . . . . 189

---

გიორგი ჯიბლაძე — ღია წერილი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას . . . . . 192

ახალი წიგნები . . . . . 195


დარბაზი

საჯარო ბიბლიოთეკა

სახელგამი ☆ თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

★

# ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ოქროს ფერი, ქარვის ფერი,
ფოთლებია და მტევნები ყურძნის.
გზებზე მღერის ოქტომბერი
და სიცოცხლეს წინ შუქივით უძღვის.

შემივსია გულის თასი,
ვადღეგრძელებ ხალხს — შრომაში ჩაბმულს.
მინდა ასჯერ და ათასჯერ,
როგორც დედას, მოვეხვიო მამულს.

ათას ხმაზე ავმღერდები,
გავიხსენებ იმ პირვანდელ ბრძოლებს.
მოგონებავ, არ ბერდები —
ჰპოვებ ყველა თაობაში ტოლებს.

აგვივლია ბრძოლით კიბე,
შორს ცხენებზე ვაელვებდით დეზებს.
ჩვენი სიყრმე და სიმწიფე
აღბეჭდილა ამ ოქტომბრის გზებზე.

ლენინის ხმამ გასჭრა ბინდი,
გმირებს წვრთნიდა, აყვავებდა რტოებს.
ჩემო ლექსო, წამოფრინდი,
იმ ვაჟკაცებს დღეს ყამირზე ჰპოვებ.

მეგობრებო, შინ მოგელით,
თასს ავწევ თუ ხნულში ვთესავ მარცვალს.
გამიშლია მთესველს ხელი
და მგონია ხელს მივუწვდენ ვარსკვლავს.

მომავლის გზას მე ვუმღერი,
არ ედება ჩვენს ცხოვრებას ფითრი.
ოცდათვრამეტ წელს ვუცქერი,
ოცდათვრამეტ გამარჯვებას ვითვლი...

ოქროს ფერით, ქარვის ფერით,
მზე სამშობლოს ეხვევა და მოსავს,
და მაღლა სწევს ოქტომბერი
სიჭაბუკის და სიცოცხლის დროშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

★

# ვაზის ყვავილობა*

## რომანი

### ამულეტი[1]

„ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში".

ემანუელ კანტი

„ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს ზევით და შეწკიპული ავტომატები ჩვენს ხელში".

დივერსანტის რუდოლფ შტამლერის ჩვენებიდან.

მხოლოდ მესამე დღეს მიაღწიეს წითელარმიელებმა ორკუზიან მთას. წიწვიანი ტყეები იყო ირგვლივ. აქა-იქ ახოები მოსჩანდნენ. ახოებსა და გზებზე ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა. ასე უგზო-უკვლოდ იხეტიალეს ბარე ორ საათს...

ერთბაშად ყმაწვილების ჟივილ-ხივილი შემოესმათ. ჩერქეზი ბავშვები თხებს აძოვებდნენ ახოში. მათი უფროსი არავინ სჩანდა, ამიტომაც ყმაწვილებს ჰკითხეს:

აქ ნასაყდრალი ხომ არ გეგულებათო სადმე?

ყმაწვილთაგანი ყველაზე უფროსი ხალისიანად თან წამოყვა მათ.

მე მიგიყვანთო ნასაყდრალამდის.

კიდევ იარეს ორიოდე საათს, ბილიკები სულ მაღლა და მაღლა მიიწევდნენ. ალაგ-ალაგ ნაძვებს ხვდებოდნენ, სამი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენდა.

ბოლოს როგორც იქნა, გამოჩნდა მაღალი ქარაფი, ქარაფზე ნასაყდრალი, ნასაყდრალს ზემოდ მუსულმანური სასაფლაო, ოდნავ მოშორებით პარალელური გორაკის ტერასზე — ნამეჩეთარი.

ერთბაშად თოვლი წამოვიდა, მსხვილ-მსხვილი ფანტელები შეასხდნენ ნაძვების თათებს.

გოდერძი დაჰკითხავდა მწყემსებს:

ამ დღეებში აქეთ ხომ არ გიძოვებიათო თხები?

ჩერქეზი ბიჭუნა ძლივს ამტვრევდა რუსულს, მაინც გააგებინა:

ამ დილით ჩამოვიარეთო იმ ნასაყდრალთან.

იმ ნანგრევებში ხომ არავინ ცხოვრობსო, ან თოფიანი კაცები ხომ არ გინახავსო?

არა, იქ არავინ ცხოვრობსო, არც თოფიანები გვინახავსო მანდ, ამ დილით ჩვენი აულის მოლაყოფილი ვნახეთ, სწორედ ამ ადგილას ჩამოდიოდაო მთიდან.

გოდერძი შეწუხდა: ვაჲ, თუ არავინ დაგვიხვდესო იმ ნასაყდრალში და ამდენი ჯაფა უქმად დაგვეკარგოსო.

მოერიდნენ ნასაყდრალისაკენ მიმავალ შარას, მარჯვნით გაუხვიეს, ტყის ბილიკს აჰყვნენ და მუსულმანურ სასაფლაომდის მიაღწიეს. ამ გავერანებულ ძეძვებში ჩაფლულ სასაფლაოზე აურაცხელი აყირავებული ფიქალები იდგნენ ირგვლივ. ასე რომ შორიდან მაცქერალს ზეალმართული ფარები ეგონებოდა ისინი...

სთოვდა და ბარდნიდა დაუცხრომლად. უცნაური სიჩუმე და სითბო სუ-

* დასასრული. იხ. „მნათობი" № 10.

[1] ამულეტი — ავგაროზი. ძვირფასი ქვისა, ან ლითონისგან გაკეთებული ნიშანი, რომელსაც ცრუმორწმუნენი ატარებენ ავი თვალისა და ხიფათის თავიდან ასაცდენად.

ფევდა ამ უკაცრიელ მიდამოში. მხოლოდ ჩხიკვების აბეზარი ჩხავილი თუ დაარღვევდა მყუდროებას ირგვლივ დავანებულს.

მეჩეთს გუმბათი მხოლოდ ერთ ადგილას ჰქონდა მრთელი, ასე რომ ჩვენმა მგზავრებმა მყუდრო კუთხე მოსძებნეს და აქ გაშალეს თავიანთი თეთრი ქურქები. გოდერძიმ უბრძანა სერჟანტებს ტყვიამფრქვევი შემოსავალთან დაედგათ იმ ანგარიშით, რომ მისი ლულა მეჩეთისაკენ ყოფილიყო მიქცეული.

როცა ამ საქმეს მორჩნენ, ყარაული მიუჩინეს ტყვიამფრქვევს და პურის ჭამას შეუდგნენ.

გოდერძი ელანიძემ მოქმედების ასეთი გეგმა დასახა:

ერთი საათის შემდეგ ორი კაცი ჩაეგზავნათ ნასაყდრალისაკენ. ისინი დაზვერავდნენ მის შემოგარენს წინასწარ.

ლეიტენანტმა გულუხაიძემ და სერჟანტმა ოჩიაურმა თავათ განაცხადეს სურვილი: ჩვენ დავზვერავთო ნასაყდრალის მიდამოებს...

თავიანთი თეთრი ქურქები ჩაიცვეს, თითო კარაბინი და პისტოლეტი თან წაიღეს და ხოხვით ჩაიარეს ის ბილიკი, რომელიც მეჩეთიდან სასაფლაოსაკენ მიდიოდა. ჯერ მზე ნაძვნარების წვეროკინებზე იყო გაბლანდული, ამიტომაც შიშობდნენ: ვაჰ, თუ ნასაყდრალიდან დაგვინახონო. იდაყვებზე ხოხვით მოსრიალებდნენ დამრეცილ ბილიკებზე.

როცა მუსულმანურ სასაფლაოს მიაღწიეს, აქ წელშიმოდრეკილნი წავიდნენ. ფიქალებს ეფარებოდნენ თანაც.

თოფის მისაწვდენ მანძილზე შესდგა გულუხაიძე, გაიხედა ნასაყდრალისაკენ, მის შესავალთან მელოტი კაცი დაცუცქულიყო და თხას წველიდა.

გულუხაიძემ უჩურჩულა ოჩიაურს: იდაყვებზე ხოხვით ვიაროთო.

სასაფლაომდის რა მიაღწიეს, წამოდგნენ, წამოყირავებულ ლოდებს ეფარებოდნენ და ისე მიდიოდნენ ნასაყდრალისაკენ. როცა მელოტი კაცი ადგა და ნასაყდრალში შეიტანა რძიანი კასრი, მათ გადაირბინეს სასაფლაოსა და ნასაყდრალს შორის დარჩენილი მანძილი და დასავლეთისაკენ მდებარე ჩირგვნარი ისაფრეს. ეკვდერის კარი მოსინჯეს, დაგმანული დაუხვდათ იგი.

გულუხაიძემ სარკმლის ნიშის ქვეშ მიაყენა ოჩიაური და ნიშზე აძვრა. მის ზურგზე გასულმა ჩალეწილი ფანჯრიდან ფრთხილად გადაიხედა: შუაგულში ცეცხლი ენთო, ცეცხლის პირად ნაბადი ეგო, ნაბადზე ქერა კაცი იწვა.

ოთხნი მის გარშემო ისხდნენ, რაღაცას სჭამდნენ, მელოტი თეთრწვერა კაცი აქეთ-იქით დაფუსფუსებდა.

ახლა ნასაყდრალს შეავლო მოთვალთვალემ მზერა. დანგრეულ კანკელზე ურჩხულზე მონადირე წმ. გიორგი მოსჩანდა. კედლებზე წმ. მამების გამოხუნებული ფიგურები ჩამოლეწილი გუმბათის ქვემოდ, აღმოსავლეთის მხარეს გამოსახული იყო კალთებგაშლილი, გრძელწვერა ღმერთი საბაოთ, მას წარბებს ზემოდ გადარეცხილი ჰქონდა სალებავი, მარტო ცხვირი და წვერი მოუჩანდა. როგორც ამ ღმერთის, ისე მისი ფართოდ გაშლილი კალთები, ისე მის ქვეშ ღრუბელზე დაჩოქილი ანგელოზების ფიგურები ტყვიისაგან იყვნენ დაცხრილულნი.

გულუხაიძე კარგა ხანს იდგა სარკმლის ნიშში ლანდივით განაბული, მას ესმოდა კიდევაც კერის პირად მსხდართა საუბარი, მაგრამ ეს ხმა ეხოს გამოსცემდა, მან ვერც კი გაარჩია თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი.

არც ეს ძუნწი ცნობები, გულუხაიძის მიერ საკმაოდ ზუსტად მოთხრობილნი, იძლეოდნენ საშუალებას მზვერავებს მიახლოებით მაინც გამოერკვიათ თუ ვინ იყვნენ ნასაყდრალში შეხიზნულნი: დივერსანტები თუ ბანდიტები? თუ ორივენი ერთად?

გოდერძის პირველი შეკითხვა ასეთი იყო: რამდენი კარი აქვსო ნასაყდრალს?

ორი კარიო.

უპასუხა გულუხაიძემ.

„დაკეტილი იყო ეს ორი კარი თუ ღია?“ იკითხა წიკლაურმა.

„დაკეტილი იყო როგორც ეკლესიის

ორივე კარი, ისე მინაშენიცა“ დასძინა გულუხაიძემ.

ახლა ეს იკითხა გოდერძიმ:

„ისინი ოთხნი არიან არა?“

„არა, ხუთნი, მიუგო გულუხაიძემ“.

„კეთილი და პატიოსანი, ხუთნი, არა? ვთქვათ როგორც შენ ამბობ, სოლომონ, ერთი, ნაბადზე მწოლარე ავადმყოფია, ან დაჭრილი, ამ ოთხმა კაცმა რად არ იფიქრა ყარაულის დაყენებისათვის? აა? ამ საკითხს რომ დაუკვირდეს კაცი, უნდა დავასკვნათ, რომ ისინი დივერსანტები როდი არიან, არამედ ხეპრე ბანდიტები“.

გოდერძი არ დაეთანხმა წიკლაურს.

„სწორედ ეს ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ისინი დივერსანტები არიან. როგორ შეუძლიათ მათ სხვის ქვეყანაში ყარაულები დააყენონ.

ერთი სიტყვით დივერსანტებია თუ ბანდიტები, ამას ხვალ ვნახავთ... და გავუსწორებთ კიდევაც ანგარიშებს შეძლებისამებრ,—სთქვა გოდერძიმ და თავის ტყაპუჭში გამოეხვია.

გოდერძის არ დაეძინა. მეჩეთის გუმბათიდან ჩამოსული შუქი მთვარისა ზედ სახეზე ეცემოდა მას. გოდერძი წამოდგა, გულუხაიძე გააღვიძა და უთხრა:

„ჩვენ შეცდომა დავუშვით, სოლომონ, ერთი“.

„რა შეცდომა, იკითხა გულუხაიძემ.

„ჩემთვის ცხადზე უცხადესია, ისინი, სულ ერთია, ბანდიტებია თუ დივერსანტები, აუცილებლად ღამ-ღამობით მაინც დააყენებდნენ ყარაულებს. შენ რას იტყვი, სოლომონ?“

გულუხაიძე დააფიქრა გოდერძის ნათქვამმა.

„ეს ამბავი ჭკუასთან ახლოა, გოდერძი. მოდი მივეპაროთ ნასაყდრალს და ვუთვალთვალოთ“.

კარაბინები აიღეს და მუსულმანურ სასაფლაოზე ჩაირბინეს ფრთხილად. ფიქალებს ამოეფარნენ, ხმაგაკმენდილი ისხდნენ და უთვალთვალებდნენ ნასაყდრალის დაკეტილ კარს. ერთი საათიც არ იყო გასული, ნასაყდრალში ავტომატიანი კაცი შევიდა, ხუთიოდე წუთიც არ იყო გასული ორი მაშხანიანი ნასაყდრალიდან გამოვიდა. კარი დაკეტეს ისევ.

„იედავ, ჩემო სოლომონ, ორნი გავიდნენ და ორნი ნასაყდრალში შევიდნენ. უეჭველია ისინი ყარაულებს აყენებენ ღამ-ღამობით მაინც“.

*

* *

გარიჟრაჟზე ოპერაციისთვის მზადებას მორჩნენ. ბენდელიანი ტყვიამფრქვევთან დასტოვეს. მეჩეთიდან გამოსვლისას გოდერძიმ მზერა გაუმართა ხირჩილას და ყველას საგულისხმოდ სთქვა:

„ახლავე გაფრთხილებთ, ამხანაგებო, მტკიცედ დაიცავით ჩვენი ბატალიონის უფროსის ბრძანება. ჩვენ უნდა ვეცადოთ როგორმე ცოცხლად დავიჭიროთ დივერსანტები, ყოველ შემთხვევაში ორიოდე მაინც, თუ ყველა დავხოცეთ, მკვდრებს რას გამოვკითხავთ?“

გეგმა ასეთი იყო: მომეტებულის სიფრთხილით ჩაერბინათ ჩირგვნარი, რომელიც მეჩეთსა და სასაფლაოს შორის მდებარეობდა. სასაფლაოზე დაუყოვნებლივ უნდა გაფანტულიყვნენ.

გულუხაიძე და ოჩიაური დასავლეთიდან მოუვლიდნენ ნასაყდრალს, მინაშენის კარებს შეამტვრევდნენ როგორმე და ნასაყდრალში შეიჭრებოდნენ.

იდაყვებზე ხოხვით გაიარეს მეჩხერი ნაძვნარი. მუსულმანურ სასაფლაოს რა მიაღწიეს, აქ გაიფანტნენ. წელში მოკუზული მიდიოდნენ, ეფარებოდნენ წამოყირავებულ ფიქალებს. გოდერძიმ თვალი მოჰკრა: მელოტი კაცი ნასაყდრალის წინ დაცუცქულიყო და თხას წველიდა.

გულუხაიძე თოფის სასროლზე მიეპარა ამ მელოტს, მაგრამ მოუხეშავმა ხირჩილამ ქვას წამოჰკრა ფეხი. ქვა ფიქალებს მიეხალა. ამ უმნიშვნელო გახმაურებამ იკმარა, მელოტმა კაცმა ერთი გაიხედა სასაფლაოსკენ და თოფიანის დანახვაზე დაფრთხა, თხის წველას

მოეშვა, იყვირა „ალლაჰ“ და ხელებაწეული გადაიხვეწა ქარაფიდან.

ხირჩლას მოაგონდა გოდერძის გაფრთხილება და არ ესროლა გაქცეულს. მელოტის ყვირილზე ოთხი ავტომატიანი გამოვარდა ნასაყდრალიდან, მათ აირბინეს ის ბრეკი, რომელიც ნასაყდრალსა და სასაფლაოს შორის იყო აღმართული, აყირავებული ფიქალები იფარეს, და წითელარმიელებს დაუშინეს ავტომატები.

როგორც გოდერძი, ისე სერჟანტები კანტი-კუნტად მიწაზე განრთხმულნი ისროდნენ. ოჩიაურმა სარკმლის ნიშზე ასვლისას უშველა გულუხაიძეს და თავათ სასაფლაოსაკენ გაემართა. ასე რომ ხირჩლა ზურგში მოექცა ფიქალების პირველ მწკრივში განაბულ ორ კაცს და სროლა აუტეხა მათ. ავტომატიანებმა ადგილის გადანაცვლება მოასწრეს, საპირისპირო მხარეს მოუწვნენ ფიქალებს და ხირჩლას დაუშინეს ავტომატები. ხირჩლამ ისაფრა აყირავებული ფიქალი...

გოდერძის პირისპირ ფიქალს ამოფარებული კაცი გამუდმებით ისროდა ერთხანს, მერმე გაყუჩდა. გოდერძიმ ირისკა. მოსცილდა კაცის სიმაღლე ფიქალს, რომლის უკან თავათ იყო განაბული, საკმაოდ მაღალ მავზოლეის გადაღმა მდგომარეს ესროლა.

მოპირდაპირემ დაუბრუნა ტყვია. გოდერძი განგებისად წაიქცა და ფეხები აათხარკალა ჰაერში. მოპირდაპირე გაბრიყვდა, დანდობილად გამოძვრა საფარიდან და გადახედა წაქცეულს. გოდერძიმ ნიშანში ამოიღო მტერი, ნიყვით დაასქდა იგი მიწას. ერთი გაიბრძოლა, მერმე პირაღმა გადაბრუნდა, ხელებგაშლილი იწვა ასე, თითქოს ზეცას ალსარებას ეუბნებაო.

ახლა მისი ამხანაგი, წაქცეულ ლოდს გადაღმა გაწოლილი, შეეცადა სამაგიერო მიეზღო გოდერძისათვის. იგი ერთხანს ზედიზედ უშენდა გოდერძის ავტომატს, მერმე ერთბაშად დადუმდა.

გოდერძი მიხვდა: ვაზნები რომ გაუთავდა მოწინააღმდეგეს. ამ უკანასკნელმა ავტომატი ხელიდან გააგდო, ოთხზე შემდგარი, ძაღლივით გაიქცა ნასაყდრალისაკენ. ნასაყდრალის ღია კარებამდის მისულს გოდერძის ტყვია მიეწია.

იგი ხელებგაშლილი და პირქვე დამხობილი დარჩა კარის ზღურბლზე. თავი ნასაყდრალში ჰქონდა შეყოფილი, თითქოს სავედრებლად შესვლას აპირებდა.

გოდერძი არ მოეშვა თავის ფიქალს, რადგან ვიღაც ავტომატს უშენდა მას ხანგამოშვებით. შველა გაბედაიძეს ვაზნები გაუთავდა. იგი იდაყვებზე ხოხვით გამოემართა გოდერძისაკენ. ერთბაშად ტყვია მიეწია მას, კარაბინი ხელიდან გააგდო და მიწაზე დაჰკრა ნიკაპი.

ახლა ხირჩლა შეეცადა ადგილი შეენაცვლებინა, იგიც იდაყვებზე ხოხვით ჩასრიალდა დაღმართში, მაგრამ ერთბაშად მარცხენა ხელზე მოხვდა ტყვია, ერთი დაიზმუვლა, წამოდგა და რა შენიშნა: ვაზნები გამოელიია მოპირდაპირეს, წამოვარდა, მიეჭრა მიწაზე განრთხმულს და ხანჯლით დაჰკლა იგი. მეოთხე უკვე ჩრდილოეთისკენ გარბოდა, რათა მეჩეთისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ ბენდელიანის ტყვიამფრქვევმა უწია მას.

გულუხაიძე კარგა ხანს იყო სარკმლის ნიშში განაბული. იგი ხედავდა: ნაბადზე მწოლარე წარამარა ისროდა საზღვაო პარაბელუმს.

დასცლიდა სავაზნეს, ისევ გაავსებდა. ისროდა იმ ვარაუდით, რომ კარებში არავინ შემოეშვა. როცა დაინახა თუ როგორ მოჰკლეს კარის ზღურბლზე მოსული მისი ამხანაგი, უარესად გაცოფდა, მოუხშირა სროლას.

ნაბადზე მჯდომმა თვალი შეასწრო ფანჯრის ნიშში გატვრინულ ლანდს, დანდობილად ესროლა მას. გულუხაიძემ მისი ტანის შუალედი ამოიღო ნიშანში. ერთი ამოიკვნესა, გაიბრძოლა ნაბადზე მჯდომმა და საკუთარ ხელებზე დააყრდნო თავი.

როცა სროლა შესწყდა, გოდერძიმ ხირჩლას შეაჩეჩა თავისი კარაბინი, კა-

რის ზლურბლთან მწოლარე ცხედარს ზედ გადაახტა და შეწკიპული პისტოლეტით ხელში პირველი შევარდა ნასაყდრალში. ისევ წამოიწია ნაბადზე მწოლარე და პარაბელუმი ესროლა გოდერძის.

გოდერძიმ სროლითვე უპასუხა. ანაზდად თვალი შეასწრო თუ როგორ დაემხო იგი პირქვე და ნაბდის კალთა გადაიფარა თავზე.

ამასობაში წიკლაურმა მოაღწია და გერმანულად უყვირა ნაბდის ქვეშ მწოლარეს: „ადექი, ასწიე ხელები!“

იმ კაცმა ნაბდის კალთა გვერდზე გადააგდო, წამოიწია და უპასუხა გერმანულადვე წიკლაურს:

„ჰეჲ თქვე მშიშარებო, დაჭრილ მეომარს რომელი ვაჟკაცი ესვრის?“

წიკლაურმა მიუგო:

თუ დაჭრილი იყავი რევოლვერს რად გვესროდიო?

გერმანელი გაოცებული მიაშტერდა წიკლაურს. მერმე ორივე მკლავზე პირქვე დაემხო და დადუმდა.

გოდერძი ეუბნება თარჯიმანს:

„ახლა მე უკვე ვიცი ვინცა ბრძანდება, ყასიდად მაინც ჰკითხეთ ვინაობა“.

წიკლაურმა ნაბდის კალთა მოაცალა პირქვე მწოლარეს.

ვინა ხარო?—შეეკითხა გერმანულად. კითხული წამოიწია ნაბდიდან, ორივე ხელს დაებჯინა და სთქვა:

„იცით ჰერრ [1], მე გერმანელი ოფიცერი ვარ და ნება არა მაქვს ჩემი ვინაობა გავთქვა. წინა კვირას თქვენებთან შეტაკება გვქონდა. თეძოს თავი დამტვრეული მაქვს, ვერ ავდგები, რადგან დიდძალი სისხლი დავკარგე, ძველი ჭრილობა დამიჩირქდა. ამას წინად მეორე ტყვია მომხვდა ბარძაყში და სისხლისაგან ვიცლები“.

გოდერძის ეგონა ცრუობსო ტყვე, წიკლაურს მიმართა:

„გადაეცით მაგ ოფიცერს, ოფიცრობა თქვენ ვერაფერს გიშველის-თქო ამ შემთხვევაში... ხვალვე წაგიყვანთ შტაბში და იქ გათქმევინებენ-თქო სიმართლეს“.

ახლა ფაშისტის პასუხი ითარგმნა:

„მე ალბათ ამაღამ მოვკვდები, ამიტომაც ვერსად წამიყვანთ, ჰერრ“.

ესა სთქვა ტყვემ, ჯერ ორივე ხელით დაებჯინა მიწას, მერმე წაიქცა, ნაბადი გადაიფარა თავზე და დაიკვნესა:

„Ich sterbe Mutti“ [1].

„გადახადე ნაბადი!“ უბრძანა ოჩიაურს გოდერძიმ.

როცა მისი ნაბრძანი შესრულდა, გოდერძიმ შენიშნა: სისხლში ცურავდა დაჭრილი. გოდერძი ხედავდა განსაცდელის მოახლოვებას. ეს ერთადერთი დივერსანტი თუ მოკვდებოდა, მთელი ეს ჯაფა და მსხვერპლი წყალში გადაყრილი აღმოჩნდებოდა.

თავზე წამოადგა გულშემოყრილს და გერმანულად აკითხვინა წიკლაურს:

ბამბა და ბინტი თუ გაქვსო სადმე?

მე იმდენი სისხლი დავკარგე ამ დღეებში, გამითავდაო ბამბა და ბინტი. მიუგო ტყვემ.

გოდერძიმ სასწრაფოდ გაიხადა ტყაპუჭი და ბლუზა, მერმე პერანგიც მოიცილა თავიდან, შიშველ ტანზე ბლუზა გადაიცვა კვლავ.

ნაკუწებად აქცია თავისი პერანგი. ოჩიაური და წიკლაური მოიშველია და მაგრად შეუხვიეს სისხლში ამოსვრილი ბარძაყი ტყვეს.

ხირჩლა ბურდღუნებდა:

„ამისათვის მოვსულვართ, ამ გველის მართვეს ჭრილობები რომ შევუხვიოთ?“

წყალიო, ამაოდ ევედრებოდა დაჭრილი სამივეს.

მცირე ხანს იწვა იგი, მერმე ისევ წამოდგა საკუთარ ხელებზე დაყრდნობილი და მიუბრუნდა გოდერძის:

„მე მეგონა მომკლავდით და თქვენ ჭრილობებს მიხვევთ? ისიც უნდა მოგახსენოთ, ჰერრ ობერლოიტენანტ [2],

---

[1] ჰერრ — გერმ. ბატონო.

[1] გიკვდები დედავ.

[2] ბატონო უფროსო ლეიტენანტო.

თქვენ ძლიერ იღბლიანი კაცი ყოფილხართ. მე ძველი სნაიპერი გახლავართ, მერწმუნეთ არ დაგაცდენდით ტყვიას, მაგრამ თქვენ ისეთ დროს შემეხეჩით, როცა ბრძოლის გუნებაზე აღარ ვარ უკვე“.

წიკლაურმა უთარგმნა გოდერძის პასუხი:

„ჩვენ ხომ თქვენისთანა მხეცები არა ვართ, დაჭრილი ტყვეები რომ ვხოცოთ“.

„ამაში თქვენ ცამდის მართალი ხართ. იგივე გვითხრა ერთმა თქვენმა სერჟანტმა, როცა ხევის წისქვილიდან აქ მოვიყვანეთ დაჭრილი. მე უბრალო მეღორე ვარ, მაინც არ ვიკადრე ცხარე ბრძოლაში თქვენი დაჭრილების დახოცვა, თქვენ განათლებული ხალხი ხართ და სიცხიან ავადმყოფებს გვასამართლებთო“.

„დაიწყეთ ჩხრეკა“, უბრძანა გოდერძიმ სერჟანტებს.

ტყვეს ფრენჩის ჯიბეში ორი ბალღის ფოტოსურათის გარდა არაფერი აღმოაჩნდა. სასთუმალთან გდებული საველე ჩანთა ხელში აიღო წიკლაურმა, ბლოკნოტები, ნახაზები და დოკუმენტები ამოალაგა.

ხუთვერსიანი რუკა სსრ კავშირისა, ასეთივე კავკასიისა. დანარჩენმა სერჟანტებმა კუთხიდან გამოიტანეს რადიო მიმღები და რადიო გადამცემი, ნაირნაირი პისტოლეტები, ფოტოაპარატები, ავტომატები და დუმ-დუმ ტყვიები.

გოდერძიმ აკითხვინა წიკლაურს:

„თქვენ სადა გქონდათ პირველი შეტაკება ჩვენებთან?“

„ხევის წისქვილში“ მიუგო ტყვემ.

გოდერძიმ გულუხაიძე იხმო და ვალტერის სისტემის პისტოლეტი და ელექტროფანარი „ხოჭო“ გამოართვა, ახლოს მიუტანა ტყვეს და ათქმევინა წიკლაურს:

„თუ თქვენ არ გვეტყვით თუ ვის წაართვით ეს ორი ნივთი, ახლავე ამოგართმევთ სულს“.

„მუქარა უკვე ზედმეტია, ჰერრ. ჩვენ ეს ორი ნივთი ავართვით იმ ორ სერჟანტს, რომელნიც თავს დაგვესხნენ ხევის წისქვილთან“...

„რა იქნა ის ორი სერჟანტი?“

„ჩვენ ისინი დავჭერით ბრძოლაში, მხარგაკრული აქ ამოვიყვანეთ, ბევრი ვაწამეთ, მაგრამ არც თავიანთი სამხედრო ნაწილის სადაურობა გასთქვეს, არც სახელი და გვარი, სიკვდილი ირჩიეს.

ერთი მათგანი მეღორე იყო, მეორე რუსების პოეტს, პუშკინს ჰგავდა.

დღეს თქვენ შემოგაკვდათ ორი ეფრეიტორი, ერთი ინჟენერი, მან საუცხოოდ იცოდა ენები, სხვათა შორის რუსულიც. ეს მან მითარგმნა თქვენი სერჟანტების ნაუბარი.

მეორე არქიტექტორი იყო, ორივენი აღშფოთებულნი იყვნენ იმ საზიზღარი საქმის გამო, რომელიც ჩვენ ჩავიდინეთ მექანიურად, სოლდათურად.

მას შემდეგ ჩვენ მთელი კვირა ვისხედით ამ გავერანებულ ტაძარში, ვსაუბრობდით, ვლანძღავდით ჰიტლერის ფურიოზულ რეჟიმს, ჩვენს თავსაც.

სხვათა შორის არქიტექტორი სწორედ იგი, რომელსაც კარის ზღურბლთან უწია ტყვიამ, აღმოსავლეთის ხელოვნებათა დიდი მცნობი იყო, მან გულდასმით დაათვალიერა ეს ძველი ტაძარი, აგრე სთქვა: ქართულიაო. გულახდილათ გითხრათ, მე არც კი ვიცოდი თუ თქვენ ლამაზი ქალების, ლამაზი მთების და ღვინის გარდა თუ რამე გაგაჩნდათ.

საერთოდ ამ ამბებმა ჩვენ შეგვარყია. ალბათ, თქვენ აგრე გგონიათ მე თქვენი შემეშინდა და იმიტომაც ვიყვე თითქოს ასე გულახდილი. მე რომ ლაჩარი ვყოფილიყავ, აქამდისაც ვერ მოვაღწევდი.

აჰ, ნეტავ ვყოფილიყავ ლაჩარი, როგორც ჩემი ზოგიერთი ამხანაგი, რომელნიც რაიხის [1] სამინისტროებში თბილად მოწყობილნი ცხოვრობენ ახლაც.

რა ჰყრია ასეთ სიმამაცეში? კანტი

[1] რაიხ — იგულისხმება გერმანია.

უდიდესი მშიშარა იყო, სველ მიწაზე ფეხის დადგმისაც კი ეშინოდა, მაგრამ რამდენ მილიონ მამაცსა და სულელ გენერალს ასესხებდა ჭკუას. ჩვენ გადავაფურთხეთ უკვე კანტს, ჩვენ მთელ კაცობრიობას გადავაფურთხეთ.

კანტის ბრძნულად ნათქვამი: „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით, მორალური კანონი ჩემში“, ჩვენ აგრე შევცვალეთ: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს ზევით და შეწკიპული ავტომატები ჩვენს ხელში.

მე უკვე სიკვდილის ზღურბლთან ვარ მისული და უკვე აღარავისი მეშინია, ჰერრ. საერთოდ ვინც სიკვდილს ჩემსავით ხშირად გასთამაშებია, მას არაფრის შეეშინდება.

ეს ორი წელია რაც მე სიკვდილის ანგელოზივით დავქრივარ ცაში და ბოროტებას ვთესავ. ვინ მოსთვლის რამდენი ქალაქი და სოფელი დამიბომბავს, რამდენი დივერსია მომიწყვია.

მე ფილოსოფიის დოქტორი ვარ, ისტორიაც გვარიანად ვიცი, ეს ამბავი არც ისე ახალია. კაცობრიობას ჟამიდან ჟამზე დაეუფლება ხოლმე ისტერია. რელიგიური ომები მოიგონეთ, ჯვაროსნული ლაშქრობანი, ჰინკებისა და კუდიანების პროცესსები, მასსური ყივილი, ცრუქრისტეები და ანტიქრისტეებ(, ებრაელების ჟლეტა და სხვა მისთანანი. თქვენი ამხანაგების წამებამ ჩვენ ძლიერ დაგვაფიქრა.

რა ფასი აქვსო ჩვენს განათლებას, ამბობდა არქიტექტორი, სწორედ იგი, კარის ზღურბლთან რომ უწია თქვენმა ტყვიამ. მეღორემ გვაჯობაო, ხევის წისქვილთან მომხდარ ბრძოლაში ისინი ტყვიას არ მოუნაცვლებდნენ წაქცეულ მტერს. თქვენ უკანასკნელი პერანგი შემოიხიეთ რათა ჭრილობა შეგეხვიათ ჩემთვის, ჩვენ დაჭრილები ვაწამეთ და ქარაფიდან გადავყარეთ.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ სამმა იმდენი ვიფიქრეთ, და ვინაღვლეთ, გადაწყვეტილი გვქონდა: თუ გერმანიაში ცოცხალნი ჩავიდოდით, ფაშისტების პარტიისათვის ზურგი შეგვექცია.

ადამიანის ამბავი აგრეა, ჰერრ ობერლოიტენანტ, ვიღაც ვიღაცეები მექანიურ თოჯინასავით დაგვქოქავენ და ამის შემდეგ ანგარიშმიუცემლად მივდივართ, კი არ მივდივართ, მივჭქრივართ, კი არ მივჭქრივართ, მივფრინავთ, სანამ კატასტროფას არ წავაწყდებით.

ოჰ, რა ძნელია ეს კატასტროფა, კატასტროფა არა მარტო გემისა და თვითმფრინავისა, მსოფლმხედველობისა და სულისაა განსაკუთრებით ბედითი.

როცა გველი თავის პერანგს იცვლის, ლოდს ქვეშ გაძვრება, ტკივილებს განიცდის ალბათ. მე აფრიკის ჯუნგლებში მინადირნია.

ასეთ დროს იქაური გველები ისე გულის წამღებად წივიან და სივიან, თმები ყალყზე აგიდგებათ ამ ხმის გაგონებაზე.

ამ დანგრეულ ტაძარში მოგვიხდა ჩვენ ამ კატასტროფის განცდა. ამ ნასაყდრალიდან ვუთვალთვალებდი ამ შეუდარებელ მყინვარებს.

მე ალპები, პირინეები და აპენინები მრავალგზის გადამილახავს ფეხით და თვითმფრინავით და ასეთი სილამაზე არსად მინახავს. აქ ვნახე მე პირველად ეთერში გაყინული მრავალჟამობა.

კავკასიონი გრანდიოზულია, თვალწარმტაცი, თანაც მრისხანე, ახლა გასაგებია ჩემთვის, ღმერთებთან მებრძოლი პრომეთე აქ დაიბადაო, რომ ამტკიცებდნენ ძველი ბერძნები.

აქ ქვემოთ ბარში უბრალო მშრომელი ხალხი ხნავს და სთესავს, ჩვენ კი ბომბებს თავზე ვაყრით მათ და სიკვდილს ვთესავთ.

ამ დღეებში რამდენჯერ მინატრია ჩემი საყვარელი ცოლი, ჩემი ორი ბავშვი და დედაჩემი და ჩემი ძუძუს და — ფრიდაც. იგი მამაჩემის ასისტენტია. ჭკუის კოლოფი ყოფილა ეს ქალი. მუდამ ამას გვიჩიჩინებდა მე და მამაჩემს: რა თქვენი საქმეაო კაცის კვლა და ფაშისტობა, არ გირჩევნიათ თქვენს მეცნიერებას მიხედოთო? ახლა ვხედავ ქალმაც რომ გვაჯობა ჭკუაში, მაგრამ უკვე გვიანაა. ფრიდა მოწყალების დად აპირებდა ფრონტზე წამო-

სვლას, მე არ დავანებე. იგი რიგაშია ნაცხოვრები, ბრწყინვალედ იცის რუსული. მამა ჯიუტია, ის ფაშისტების ყურმოჭრილი მონაა, აქ ქვემოდ ბარ'ში დავსახლდებოდი, მიწას მოვხნავდი, ნაყოფიერ ხეებს დავრგავდი... აი ნახეთ, სთქვა მან. ფრენჩის ჯიბიდან ამოიღო ბავშვების სურათები. გოდერძიმ დახედა ისევ დაუბრუნა უკან.

„მამა რას აკეთებს?“ აკითხვინა გოდერძიმ წიკლაურს.

„მედიცინის პროფესორია, სამხედრო ლაზარეთის დირექტორი“.

ახლა სახელი და გვარი, სამხედრო წოდება ჰკითხეს ტყვეს.

რუდოლფ შტამლერი, ფილოსოფიის დოქტორი, კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი [1].

„მე ფილოსოფიის კათედრას მაძლევდნენ ომამდის, ბონში, განაგრძო შტამლერმა, სამტომიანი შრომა მაქვს კანტის ეთიკის შესახებ დაწერილი.

რა ფასი აქვს ამას ყოველივეს? ეს ყველაფერი წყალში გადამივარდა, კონტრდაზვერვის სკოლა დამასრულებინეს სასწრაფოდ, რათა ხალხების აწიოკება და ქალაქების დაბომბვა მესწავლა.

ჩვენ სახელი გავუტეხეთ მაღალნიჭიერ გერმანელ ხალხს, თქვენ ალბათ, ყოველი გერმანელი ფაშისტი გგონიათ, ყველა გერმანელი ბანდიტი, ალბათ ასე ფიქრობთ: მე მხოლოდ სიკვდილის შიში მალაპარაკებდეს თითქოს.

მე ხვალ დილამდის ვერც გავატან ალბათ, ჩემთვის ისიც სულ ერთია თქვენ რას იფიქრებთ. თუ რომელიმე თქვენთაგანს წერა შეგიძლიათ, ან თუ მწერალს რომელიმეს იცნობთ, უამბეთ მას ჩემი აღსარება ამ ძველი ტაძრის ნანგრევებს ქვეშ, სიკვდილის მოლოდინში თქმული.

აიხედეთ ზევით, შეხედეთ იმ თავწაჭრილ ღმერთს საბაოთს, თავისი ფართედ გაშლილი კალთები რომ გადაუფარებია ჩვენთვის.

[1] ჰაუპტმანი — გერმ. პოლკოვნიკი, მეთაური.

ეს თანამედროვე ევროპის სიმბოლიური სურათია, თავწაჭრილ ღმერთს ტყვიებით დაფხრეწილი კალთა გადაუფარებია გამხეცებული ერებისათვის.

რომის გამოფშუტურებული პაპი ვატიკანში ლოცულობს, და ხალხს აუწყებს ახალ ჯვაროსნულ ომს კომუნიზმის წინააღმდეგ ატეხილს“.

ვიდრე ზემოთქმულის თარგმანს მოასწრებდა დოცენტი წიკლაური, რუდოლფ შტამლერმა განაგრძო:

In Europa ist schon längst verklungen die prahlerischen Gerede über Liberté, Fraternité und Egalité und allerlei Quatsch über Humanismus.

Der große Goethe meinte: es würde die Zeit kommen als Orient und Occident einander die Hände reichen werden.

Auf diesmal reichen wir dem Orient die Hande, aber statt einer Friedenspalme 'wir haben in den Handen die Automatgewähre.

Ein wircklich kluger Mann hat es neulich gesagt: es ist mit den Völker genau so, wie mit Einzelnen, nur das zählt mit, was sie aus sich selbst und auf eigene Kosten lernen und die Jrrtümer der Gegenwart bilden den Schatz der Zukunft.

Leider das alles ist schon zu spät für mich und meine Parteigenossen und es würde uns kaum helfen.

So leben wir unter der Ägide eines enthäupteten Gottes, ohne Gott, ohne Religion und ohne Moral“.[1]

[1] ევროპაში უკვე დიდი ხანია, რაც შეწყდა ყოველივე ტრაბახი თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის შესახებ. შესწყდა ყოველგვარი ყბედობა ჰუმანიზმის გამო.

დიდი გოეტე ოცნებობდა იმ დროისათვის, როცა აღმოსავლეთი და დასავლეთი ძმურად ხელს გაუწვდიან ურთიერთს.

ამ ჯერადაც ჩვენ ხელს ვუწვდით აღმოსავლეთს, მაგრამ მშვიდობის პალმის ნაცვლად ავტომატები გვიჭირავს ხელში.

რუდოლფ შტამლერმა საკინძე შემოიფხრიწა, ყელიდან მოიგლიჯა შავ შნურზე შებმული ამულეტი და უთხრა წიკლაურს:

„ამ ამულეტმა კარგი სამსახური გამიწია დღემდის. იგი მაჩუქა ჩემმა მეუღლემ ფრონტზე წამოსვლის დღეს. ეს ამულეტი მიფარავდა, როცა უკრაინისა და ბელორუსიის ქალაქებს ვბომბავდი.

ვინ იცის რამდენჯერ დამდევნებიან თქვენი ბომბდამშენები, რამდენი საზენიტო ზარბაზნის ცეცხლის გრიგალები უვნებლად გამივლია.

დღეს მიმუხთლა ჩემმა ამულეტმა“. სთქვა და კერის გადაღმა გადაისროლა იგი.

ლეიტენანტი გულუხაიძე ადგა. ცეცხლთან მიიტანა იგი. ეს აღმოჩნდა სერდოლიკის გემმა, რომელზედაც გამოსახული იყო მგელზე ამხედრებული რქიანი სატანა.

მხოლოდ საღამო ჟამს მოათავა გოდერძიმ შტამლერის დაკითხვა. მის ჩანთაში ნაპოვნი დოკუმენტების მიხედვით შეპყრობილი აღმოჩნდა ფაშისტური კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი, ფილოსოფიის დოქტორი ბონის უნივერსიტეტისა. 28 წლისა, ცოლიანი. დავალებული ჰქონდა ენჯუკის ხეობის დაზვერვა და ტოპოგრაფიული ნიშატების თვითმფრინავით გადაღება. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ დანიშნულ ადგილას დივერსანტები მოელოდნენ ენჯუკის ხეობაში თვითმფრინავს.

გამოირკვა. ის მელოტი კაცი, რომელიც დილაობით თხას სწველიდა, ყოფილა თურმე მახლობელი აულის მოლაყოფილი, რომელიც ორი კვირის მანძილზე ემსახურებოდა და შველოდა დივერსანტებს.

მთელი ღამე არ სძინებია გოდერძი ელანიძეს. ოთხი მიცვალებული, ორი დაჭრილი და ბრძოლისაგან დაქანცული წითელარმიელები ისვენებდნენ ამ დაქცეულ ნასაყდრალში, რომლისთვისაც ებრაელების თავწაჭრილ ღმერთს, ტყვიებით დაცხრილული თავისი კალთა გადაეფარებინა...

მ ი ნ ა წ ე რ ი: მეორე დღეს ლეიტენანტი გულუხაიძე და სერჟანტი ოჩიაური გაგზავნა გოდერძიმ, მახლობელი აულებიდან მამაკაცების მოსაყვანად.

თორმეტმა კაცმა ძლივს შესძლო მძიმედ დაჭრილი შტამლერის აყვანა და დივერსანტებისათვის ჩამორთმეული აპარატების და იარაღის ატანა დივიზიის შტაბში.

---

ერთმა ნამდვილად ჭკვიანმა კაცმა სთქვა ამას წინად: ეს ხალხებსაც ისე ემართებათ როგორც ცალკეულ პიროვნებებს მოსდით ხოლმე. მხოლოდ ისაა ანგარიშგასაწევი მათთვის, რასაც ისინი საკუთარ გამოცდილებიდან და საკუთარი ტანჯვის საფასით ისწავლიან ხოლმე. და აწმყოს შეცდომები, მომავლის საგანძურს წარმოადგენენ უცილოდ.

ეს ყოველივე ჩემთვის და ჩემი პარტიული ამხანაგებისათვის ამაოა უკვე. ეს ჩვენ ვერას გვიშველის და ასე ვცხოვრობთ ჩვენ თავწაჭრილი ღმერთის ეგიდის (ბერძნ. იუპიტერისა და მინევრას ფარი, გადატანითი მნიშვ. მფარველობა ვინმეს მიერ ვინმესი, ან რაიმესი) ქვეშ უღმერთოდ, ურელიგიოდ და ყოველივე მორალის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბედნიერება და უკვდავება

...„დიდება შემოდგომას, ჟამსა სთვლისასა, როცა ყოველ წამს ხედავ ხელკალთიან მესთვლეებს შავი ყურძნით დატვირთულთ.

ვაზის ფოთლები ცისარტყელას ფერებით შემკულან. მსხალი დამზგავსებია აბრეშუმის ქისას, რომელშიაც კვერცხი დევს.

ცალი ლაწვი შესწითლებია, ცალიც შეყვითლებია, თითქოს ლოყებშეფაკლული ავადმყოფია.

ბროწეულის ნაყოფი ფეხმძიმე ქალსა ჰგავს, რომელსაც პატარა ბიჭებით სავსე აქვს მუცელი“...

მინუჩერის „დივანიდან“

შემოდგომა ისევ მოვიდა კახეთში, სადაც მას მტევნებით, პურის თაველებით და ატმებით შემკული ტახტი უცდის ყოველ წელს. სეტყვის მიერ აკლებულ ვენახებშიაც კრეფდნენ მერთველეები აქა-იქ ყურძენს, რადგან ყველა უბანს თანაბრად არ მოხვედრია სეტყვა. მაჭარი სდუღდა მარნებში...

დილიდანვე გამომთვრალი ფოსტალიონი გეო სოფელში დაბოტებდა და ბეჯითად არიგებდა უწყებებს...

ბელორუსიის ფრონტზე ფაშისტებმა ავტომატებით დაცხრილეს კოლმეურნეობის მოანგარიშე — გამეზარდაშვილი. უკრაინის ფრონტზე მტრის ბლინდაჟის აღებისას ხელის გრანატით მოჰკლეს მეფრინველეობის ფერმის გამგე — მირიანიშვილი იოანა და მისი ძმა კოტე.

ფინეთის საზღვარზე მოჰკლეს სამი ძმა გოდერძიშვილი: შიო, გივი და ზაქარა.

კალუგის ლაზარეთში შრაპნელის ნამსხვრევების ამოღებას გადაყვნენ სერჟანტები:

ქადაგიძე, იორამაშვილი და ნადირაშვილი.

ფაშისტური ტანკის „ტიგრის“ აფეთქებისას გერმანელმა ტანკისტებმა ტყვიამფრქვევით მოჰკლეს გვარდიის კაპიტანი ჯორჯაძე, სატანკო კოლონასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ: გვარდიის მაიორი ტუსიშვილი, კაპიტანი გვერწითელი, გვარდიის პოლკოვნიკი ვაჩნაძე.

* * *

ვიდრე გოდერძი ელანიძე ჩრდილოკავკასიაში იბრძოდა, თითქმის ყოველ თვეს უგზავნიდა ბარათებს ნუნუს. ყოველ წერილში ამას სთხოვდა:

ჩვენთვის განკუთვნილი ოთახები გადახურეთ როგორმე კრამიტით. როგორც კი ამ საქმეს მორჩე, პაპიჩემის სახლში გადადი, ბავშვს კარგად მოუარე, მოხუცებს მიხედეო.

ამის შემდეგ ერთ ორ თვეს არაფერი მოუწერია. მერმე ისევ მოიტანა გეომ გოდერძის ბარათი. აქ ერთი მეგობარი გავიჩინე უფროსი ლეიტენანტი ბურჟინსკი, ივან ნიკოლოზის-ძე, ფრონტისმიერი მეგობარი ჩემი.

მას ძლიერ მოეწონა შენს მიერ გამოგზავნილი თუთუნი. კიდევ გამოგზავნეო ის თუთუნი, ნახევარი ბურჟინსკის უნდა მივცეო.

გაზეთებშიაც გაიელვა გოდერძის სახელმა: რომელიღაც კორესპონდენტი ახსენებდა ნალჩიკთან მებრძოლ ქართული დივიზიის მეომართა გმირობას, გოდერძისაც აქებდა წერილის ავტორი.

ერთი კვირის შემდეგ თედო თარალაშვილმა გადასცა ნუნუს გაზეთი.

უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება ამოიკითხა ამ გაზეთში ნუნუმ. გოდერძისთვის მიენიჭებინათ მედალი. ერთი თვის შემდეგ ისევ მოიტანა სხვა წერილი გეომ. ლენინის ორდენზე წარმადგინეს, კაპიტანის ჩინი მომანიჭესო იწერებოდა გოდერძი.

როგორც იქნა, საწადელი ამისრულდა საავიაციო პოლკში გამაწესესო. ორი თვეა, რაც მტრის ტერიტორიას ვბომბავთ, იმიტომაც ვერ მოგწერეო ბარათი.

ამ გასახარელი ამბების მოტანისთვის კარგი საუზმე აჭამა ნუნუმ გეოს და რიგიანად გამოათვრო კიდევაც. მეორე დღესვე უპასუხა გოდერძის ნუნუმ, ორი კილო თუთუნი და მოსაკითხი გადაუგზავნა.

ეს იყო და ეს.

სამი თვე გავიდა, დანარჩენ უჯირაულებს სასიხარულო წერილები ამოუტანა გეომ. ზოგს ორდენები მიეღო. ზოგს დაწინაურება, ზოგიც ლაზარეთიდან გამოწერილანო გაჯანსაღებულნი.

გოდერძისაგან ხაიხური არ ისმოდა, ნუნუს სასოწარეკვეთა. ერთი გაიფიქრა: ვინ იცის ეგებ მიქელასას ვეგულებოდე გოდერძის და იქ მიგზავნიდესო წერილებს. იყოყმანა, იყოყმანა და ბოლოს ეწვია პაპა მიქელას.

როცა ბაბლიამ ამცნო მოხუცს: ნუნუ მოვიდაო, ვაგლახად მოიღუშა უსინათლო, არც კი მოუკითხავს თავისი შვილიშვილი.

რა უნდაო? შეეკითხა ბაბლიას. ბაბლიამ უთხრა ნუნუს მოსვლის მიზეზი, არავითარი წერილი არ მიმიღიაო, მკვახედ მიუგო მიქელამ და სოხანეს დააშტერა თავისი დავსილი თვალები.

გოდერძის ხსენებაზე აყვირდა ბაბალე. წუხელ ღვთისმშობელი მესიზმრა, აგრე მითხრა: ხვალ ჩამოვაო გოდერძი, ჩამოვა თუ არა შავ ღორს წავიყვან, სამლვთოს შევწირავ გველეთის წმიდა გიორგის.

ბოლოხანს მთლად დაკარგა წონასწორობა ნუნუმ. როგორც კი გაიგებდა: მახლობელ სოფელში ფრონტიდან ბარათი მოსვლიაო ვინმეს, თავისუფალ დროს მოახელებდა თუ არა, წავიდოდა, გამოიკითხავდა: გოდერძი ხომ არ უხსენებიაო მავანსა და მავანს, ფრონტიდან გამოგზავნილ წერილში?

ამ გზით რომ ვერაფერს გახდა, ხან პოლკის უფროსს უგზავნიდა ყოველ კვირას შეკითხვას, ხანაც გოდერძის მეგობარს — ბურჟინსკის.

ფოსტალიონის გეოს დანახვაზე თრთოდა, თანაც წარამარა ევედრებოდა. როგორც კი გოდერძის წერილი ხელში ჩაგივარდეს, დაუყოვნებლივ მომიტანეო. ცოლშვილს აფიცებდა გეოს, სამაგიეროდ კარგ საუზმეს ჰპირდებოდა. გეოც თავის მხრით მტკიცე პირობას იძლეოდა: დაუყოვნებლივ მოეტანა წერილი.

ერთ საღამოს სიცხე მისცა პატარა მიქელას. მთელი დღე ფართობზე ნამუშევარმა თეთრად უთია ავადმყოფს ღამე. გარიჟრაჟზე წასთვლიმა ნუნუს, უცებ გაიგონა თავისი სახელი და გვარი. ალბათ მომეჩვენაო იფიქრა, ისევ თავი მიანება თვლემას. ხელახლა წამოიყვირა ვიღაცამ ეზოში:

„უჯირაული ნუნუ“.

ჩაცმაც ვერ მოასწრო ნუნუმ, ქეთუამ კარი გააღო, მიაძახა მას, ვინცა ყვიროდა ეზოში:

სძინავსო ნუნუს, შემდგომ ამისა, ქეთუამ უხიაგად გამოიხურა კარი.

მესამედ მთლად ისტერიული ღრიალი მოესმა ნუნუს. დამდუღრულივით ყვიროდა ვიღაცა ეზოში.

წამოვარდა ნუნუ და ეზოში გავიდა. გეო და ძაღლი შებმოდნენ ურთიერთს. ფოსტალიონის შუაში გადატეხილი კომბალი იქვე ეგდო. გეო ქვებს უშენდა მყეფარს, უკანასკნელს არ იმეტებდა, ღრიალით, მუქარით და ფეხების ბაკუნით იგერიებდა ძაღლს.

როცა საფრთხემ გაიარა, გააფთრებულმა გეომ უთხრა მასპინძელს:

„ხომ შეგისრულე პირობა, ქა?“ მერმე გაიკრიჭა და დასძინა:

„საუზმელ არ მიჭამია, ისე მოვედი“.

ათრთოლდა, ჯერ გაწითლდა, მერმე გადაფითრდა, ახლოს მიეჭრა გეოს, მაგრამ იგი თავის შავ ჩანთაში იქექებოდა დიდხანს, ბოლოს ამოიღო საველე ბარათი, და ნუნუს გაუშვირა.

ბედითად დაუბრიალა თავისი ერთადერთი თვალი.

ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ წარწერის მიხედვით დაასკვნა ნუნუმ, გოდერძის ხელს არ ჰგავდა იგი. თვალთ დაუბნელდა. გარკვევით იგრძნო: ოდნავ შეჰქანდა კიდევაც, მაგრამ მხნეობა მოიკრიფა. თვალებზე ხელი მოისვა, კიდევ დახედა ბარათს.

იწერებოდა ავიაციის უფროსი ლეიტენანტი ბურეინსკი, ივან ნიკოლოზისძე.

15 აგვისტოს კაპიტან ელანიძის თვითმფრინავი 134 სხვა ბომბდამშენებთან ერთად მტრის ზურგის დასაბომბად წარგზავნეს და უკან არ დაბრუნდა.

მხოლოდ 30 აგვისტოს მივიღეთ კონტრდაზვერვის ცნობა: ამ თვითმფრინავმა დაბომბა პილაუს რაიონი და ფაშისტური საზენიტო არტილერიის ცეცხლში მოჰყვაო. ბურეინსკი სამძიმარს უცხადებდა თავის მეგობრის მეუღლეს.

ნუნუს ხელიდან გაუვარდა ბარათი და იქვე ჩაიკეცა. გემომ საუზმის იმედი რა დაჰკარგა, უკანასკნელი ქვა გადააგდო და ფაცხაფუცხით მოუსვა.

ქეთუამ ოთახიდან დაინახა ეს სცენა, მაგრამ არხეინად განაგრძო თეფშების რეცხვა. მალხაზი ფანჯრიდან გადმოხტა, აკოცა წაქცეულს და წამოაყენა.

ნუნუ პირქვე დაემხო თავის საწოლზე და მის უსასოვო ქვითინს ბანს აძლევდა დასიცხული პატარა მიქელას ტირილი. ცრემლებს ღვრიდა მალხაზიც, თუმცა მას, არ უკითხავს და არც სცოდნია რა მოხდა.

შემდგომ ამისა ნუნუმ გოდერძის ქვრივად შერაცხა თავი, თალხი ჩაიცვა და უნუგეშებელ მწუხარებას გულის კარი გაუღო.

*
* *

ორიოდე კვირის შემდეგ ფაშისტური მესსერშმიტები დასაზვერად ეწვიენ კახეთს. გადუქროლეს ვაზებისა და ვარდების ქვეყანას და ლეკიმთისკენ გაფრინდნენ...

ფოსტალიონს გეოს მოსვენება არა ჰქონდა, იგი ენერგიულად დაჰქროდა ნობდა გზებსა და ბილიკებზე, მამაცურად ებრძოდა ორღობეში გადმოცვენილ ძაღლებს და არიგებდა უწყებებს...

*
* *

არაშენდა-გველეთშიაც ხშირად ამოდიოდა გეო. რადგან ამ ახალშენში ჯერაც არ იყო ფოსტალიონის შტატი. ახალშენის მოსახლენი არც ისე შორს იყვნენ კორინთელის კოტეჯიდან.

როგორც კი გეოს დაინახავდნენ სუსქია და მაია, შიშისაგან კრთოდნენ...

ჩვენთან ხომ არ მოდისო გეო? რამდენიმე წუთი გაივლიდა და შემცხადებულთა კივილი ისმოდა უკვე...

*
* *

ერთ საღამოს სუსქია და ვახტანგი ბაღში ისხდნენ, შვლის ნუკრს — ბიჟინას აჭმევდნენ ხელით მოგროვილ ბალახს. კორინთელი ეუბნება ცოლს:

„ბუნებაა ჩვენი დიდი მასწავლებელი. შეხედე რა ბედნიერი არსებაა ბიჟინა. რა მცირე რამ კმარა მის გასახარებლად?

მცირედით გულის შეჯერება და ბედნიერების იოლად შეგრძნობა, ეს სულით სპეტაკ არსებათა ნიჭია უთუოდ".

ამის თქმა მოასწრო კორინთელმა და გეომ ჩაიარა. სუსქიას გააჟრჟოლა გეოს დანახვაზე, სთქვა:

„ჩვენსკენ არ მოდიოდეს ეს ოჯახქორი, გეო. ერთადერთი ძმა შემომრჩა ცხრა და-ძმიდან, ჩემი ავთანდილის უბედურება რომ გავიგო, არცკი ვიცი, როგორ გადავურჩები ამ ამბავს.

იცი ვახტანგ, ოდესღაც, სადღაც მინახავს სურათი: „სიკვდილის ანგელოზი"

ახმახი, ლაწვმაღალი, ცარიელი ჩონჩხი. სწორედ იმასა ჰგავს ეს უბედური გეო, ნამდვილი მიქელ გაბრიელია, გრძელი და ბნელი ფრთები აკლია მხოლოდ.

„შენ ხომ იცი ვახტანგ, როცა გეოს დაინახავენ თურმე ქალები და ბავშვები, ისე გაინაბებიან, როგორც ბელურები, რომელთაც თავზე გადუქროლა ქორმა".

„ეჰ, ჩემო კარგო", ამბობდა ვახტანგი, „რა შუაშია ეგ საწყალი გეო? სიკვდილი იმათ, ვინც ჩვენი ქვეყანა გახვია ამ ომში.

ისეთი მდგომარეობა შექმნა, მე პირდაპირ მრცხვენია თბილისის, ან თელავის ქუჩებზე გამოჩენა. ჩემს წამოწითლებულ ლოყებს რა შეხედავს კაცი, უთუოდ ჯანმრთელი ვეგონები.

ახლა ყოველი ნამდვილი ვაჟკაცი ფრონტზე უნდა იყვეს. ეს ოხერი წნევა რომ არ მაწუხებდეს, ხვალვე წავიდოდი. ასეთ საქმეებში მე ფატალისტი ვარ ოდნავ. ყოველ კაცს თავის დროზე უწევს სიკვდილი...".

სუსქიამ ისევ ომის ამბები წამოიწყო:

ვინ იცის ეგებ მოკლესო კიდევაც ჩემი ძმა, ავთანდილი. კორინთელი ხედავდა: მელანქოლიურ ფიქრებს რომ მიეცა სუსქია, ამიტომაც უთხრა:

„შენ ხომ იცი, ძველს საქართველოში მხოლოდ საამურ ამბებს უამბობდნენ და ლამაზ საგნებს უჩვენებდნენ ხოლმე ორსულ ქალებს. მიტომაც მიჰყავდათ ისინი ჩვენი ფრესკის ოსტატთა შედევრების სანახავად ტაძრებში, ჩონგურის დაკვრითა და სძლისპირების გალობით ართობდნენ მათ.

მოვეშვათ ამ უსიამო ამბებს და ფიქრებს სუსქია. უცქირე ჩვენს საყვარელ კავკასიონს. ბუნებაა ერთადერთი წამალი გულმწუხარისა. მე არა მგონია ბევრი იყოს მსოფლიოში ისეთი ქვეყანა, რომელსაც მთელი თავისი სიგრძის მანძილზე ასეთი გრანდიოზული სანახაობა ჰქონდეს თვალწინ, როგორიცაა კავკასიონი.

მე ეს სამოსახლო იმიტომაც ავირჩიე, რომ აქედან განსაკუთრებით ლამაზია ეს მწვერვალები. როცა შენ შორს იყავი ჩემგან, მე აქ ვიჯექი საღამოობით და ვსტკბებოდი კავკასიონის ჭვრეტითა.

ნახე, ნახე, მარჯვნით, ლეკიმთაზე სინგურისფერი ღრუბელია გაწოლილი, ნახტომისათვის მომზადებულ ვეფხს არა ჰგავს?

მარცხნით გაიხედე მარმარილოს ბასტიონებია, უზარმაზარი წამახული კონგურებითა.

ხომ ასე გადათეთრებულია ეს მწვერვალები, მათ ქვევით, მალახიტის ფერისაა მთელი ეს მასსივი, თითქოს სავსებით ლურჯ ზღვიდან ამოუყვიათო იმ მწვერვალებს თავი.

მე ძლიერ ვწუხვარ, ჩვენ მხატვართა შორის ლანდშაფტისტები რომ არა სჩანან და ჯერ არც არავის უცდია აკვარელით დახატვა ამ მთების სილამაზისა.

ბაღში დავანებულ ჩრდილებს გამოეყო ბიჟინა, მოკუნტრუშდა, სუსქიას მუხლზე დაადო თავი.

შეღამდა. ღამურებმა დაიწყეს ფრენა. ისინი წყვილად დაფარფატებდნენ კოტეჯის გარშემო, უცნაურად წრიპინებდნენ თანაც.

სუსქიამ სთქვა:

„იცი ვახტანგ, მე ყოველი სულიერი მიყვარს ამ ბუნებაში, გველი რომ გველია ისიც არა მძულს, სწორედ გითხრა, გველი მაოცებს კიდევაც თავის უცნაური ანაგობითა.

ერთადერთი არსება ეს ღამურაა, რომელიც მძაგს და არ ვიცი რად გააჩინა იგი განგებამ?

შესაძლოა ეგ იმიტომ მომდიოდეს, რომ ბავშობიდან ასე შთამაგონეს: ღამურა თმებში ჩააფრინდება ხოლმე მძინარე ქალს და გულის სისხლს გამოსწოვსო, მერმე შეუძლებელიაო თურმე მისი მოცილება, სანამ თმებს არ გადაპარსავენ".

„რას ამბობ სუსქია? მიუგო კორინთელმა, ეს მტკნარი ზღაპარია... ეს ჭორი მთელს მსოფლიოშია რატომღაც გავრცელებული... ანტიურ სამყაროშიაც ვამპირებსა და ჰარპიებს უკავშირებდნენ ღამურებს.

არსებითად ეს სავსებით უმწეო არსებაა, ტყეებსა და ნანგრევებს ეტანებიან ღამურები, ისინი მწიფე ხილს სწუწნიან, ვენახებს თუ შეეჩვიენ, ყურძენს გააჩანაგებენ.

სამხრეთ ევროპაში მე მინახავს ჩვენებურ ღამურაზე ოდნავ უფრო დიდი ფორმის ღამურა, რომელსაც რონოლოფუსს უწოდებენ.

რონოლოფუსი მძინარე მტრედებს, შველსა და ირმებს მიეპარება ხოლმე ღამღამობით და მცირეოდენ სისხლს გამოსწოვს, დაახლოებით ისევე როგორც წურბელი ავადმყოფ ადამიანს. ეგ არის და ეგ“...

„მე არ მესმის ვახტანგ, ამ გველეთში საიდან გაჩნდა ამდენი ღამურა? როცა შენ აქ მომიყვანე, იმ პირველ ღამეს არ მეძინა, შენ წასთვლემდი თუ არა, მე ვცახცახებდი შიშისაგან“.

„ეს ადვილად გასაგებია, გველეთის ნაციხარებსა და ნასაყდრალებში მრავლობენ ისინი, ქვაკაცას ტაძარში და მამუკას სასახლეში ცხოვრობენ და იქიდან მოდიან...

6902

ახლა შემოდგომაა, ღამურები უკანასკნელ მარულას მართავენ ალბათ, სულ ვალე ქვაკაცას წმ. გიორგის ტაძარს შეეხიზნებიან და მის თაღებს ქვეშ თავქვე დაკიდულნი მოუცდიან გაზაფხულს“.

მიუგო სუსქიას ქმარმა.

კორინთელი ხედავდა ეს შეგონებანი საკმარისნი არ აღმოჩნდნენ. სუსქია მკლავში წაეპოტინა ქმარს და აგრე უთხრა:

„არა. წავიდეთ, ვახტანგ, ბიჟინაც შინ შევიყვანოთ, სისხლი არ გამოსწოვონ მაგ საძაგლებმა ნუკრს“.

„ბატონი ბრძანდები“, უთხრა კორინთელმა, კიბეებზე ასვლისას უშველა ფეხმძიმე ქალს, მერმე გამობრუნდა და ბიჟინაც შეიყვანა სახლში.

* * *

კორინთელი ყოველ მეორე დღეს ინსტიტუტში მიდიოდა, შინმიბრუნებული თავის შრომაზე მუშაობას განაგრძობდა. მეუღლემ ისეთი პირობები შეუქმნა, შრომის ნაყოფიერება გაუორკეცდა მეცნიერს. როგორც კი სამსახურიდან მობრუნდებოდა სუსქია, სანიადაგო სამოსს გადაიცვამდა, შავ სამუშაოსაც არ ერიდებოდა, ეცოდებოდა მოხუცი მაია... თავათ მიართმევდა საწერ მაგიდასთან მიჯაჭვულ ქმარს ყავასა და ხილს. ცერებზე დადიოდა, ერიდებოდა სტუმრიანობას.

ღვთის ქალიაო ჩემი ახალი ქალბატონი. ყველას აგრე ეუბნებოდა მაია, რომელსაც თავისი ახალგაზრდობა გულგოროზი „კნეინების“ რისხვის ქვეშ ჰქონდა გატარებული.

ერთ დღეს კორინთელი გახარებული შევიდა სასადილო ოთახში. ცოლს ამცნო:

ერთ თვეში მოვათავებო ჩემს შრომას. ამასობაში შენც მოილოგინებო ღვთით. თბილისს წავალთო, დასაბეჭდად გადავცემო შრომას.

ეს უნდა ყოფილიყო უჩვეულო სიხარული ახლადშექმნილ ოჯახისათვის, მაგრამ ამაზე უფრო დიდი ბედნიერება კარზე იყო უკვე მომდგარი.

ხუმრობით დასთქვეს წინასწარ: თუ ვაჟი დაიბადებოდა, როსტომი დაერქმიათ, კორინთელის მამის სახელი.

კორინთელი ცდილობდა უსიამო ამბებისათვის განერიდებინა როგორმე ცოლი. მას ძლიერ ეშინოდა სუსქიას ძმის, ავთანდილის დაღუპვის ცნობა არ მოეტანა გეოს, ამიტომაც დაავალა შოფერს:

თუ რაიმე წერილი მოვიდოდა ფრონტიდან, თავათ გამოერთმია ფოსტალიონისთვის.

შოფერმა ბევრი ეძია სოფელში გეო, იგი ყვარელს წასული აღმოჩნდა.

კორინთელი ამჩნევდა: უკანასკნელ დღეებში სუსქიას მოუხშირა გულისრევამ და თავის ტკივილმა. იგი ახლა უკვე დაბეჯითებით სთხოვდა ცოლს: ესარგებლნა სადეკრეტო შვებულებითა, რომელსაც მოლოგინების წინა ხანებში ანიჭებს ხოლმე მელოგინე ქალს საბჭოური კოდექსი.

სუსქია არ აპირებდა სამსახურში სია-

რულის აღკვეთას, აგრე აშეშმანებდა კორინთელს:

სადაცაა ჩემი შემცვლელი ექიმი მუშაობას დაიწყებს, მანამდის უხერხულიაო საექიმო პუნქტის დატოვება.

ერთ საღამოს ინსტიტუტიდან გვიან მობრუნდა კორინთელი. ჭიშკართან თვალცრემლიანი მაია შემოეგება. სუსქიას სამსახურში გული წასვლოდა, დღის პირველ საათზე საკაცით მოეყვანათ იგი.

მაიას უმარჯვნია, ცნობიერებაში მოუყვანია ავადმყოფი. საღამო ხანს აიჩემა თურმე სუსქიამ: სული მეხუთება, ბაღში გავალო.

გეო შემოხეტებულა ეზოში. მაია აცახცახებულა მის დანახვაზე, ხოლო სუსქიას გულზე შემოყროდა. მაიას და გეოს ძლივს მოუსულიერებიათ იგი და როგორც იყო შინ შეუყვანიათ. ბოლოს გამოირკვეულა:

სრულიად უმნიშვნელო წერილი მოეტანა გეოს თბილისური გამომცემლობიდან.

როცა გაფითრებული კორინთელი საძილე ოთახში შევიდა, სუსქიამ უნებლიე ტყუილი ისაფრა, ძაბუნი ხმით ეუბნება ქმარს:

ახლა უკეთ ვარო ვახტანგ.

კორინთელი კარგად ამჩნევდა მის დაღეულ სახეს, დაშრეტაზე მიმდგარ თვალებს, ამიტომაც უცნაურად შეწუხდა. დიდხანს მოუსვენრად დაწრიალებდა თავის კაბინეტში, ბოლოს მაიას შეეთათბირა:

რა ვქნათო?

როცა მაიას თათბირისაგან ვერაფერი გამოიტანა, ნაცვლად იმისა, რომ ექიმი მოეყვანა ყვარლიდან, თელავს წარგზავნა მანქანა, მამიდა თეკლა და ძია ნიკო იხმო სასწრაფოდ.

* * *

ძია ნიკო გააოცა კორინთელის უმწეობამ და დაბნეულობამ. ყვარელს გააგზავნა მანქანა და რაიონის ექიმი მოაყვანინა.

ეს ექიმი უცხვირპირო კაცი აღმოჩნდა. ქუდიანად, გალოშიანად, და სალამის მიუცემლად შემობორიალდა სასადილო ოთახში, ორ მამაკაცს გადახედა და იკითხა:

ვინ არისო აქ ავადმყოფი?

ხმისამოუღებლად გასინჯა ორსული. შემდგომ ამისა, კორინთელის კაბინეტში შევიდა, უსაყვედურა პროფესორს: დაგიგვიანებიათო ჩემი ხმობა. წასვლისას როყიოდ მიახალა ჭირისუფლებს:

მე თუ დამიჯერებთ დაუყოვნებლივ უნდა განვკვეთოთო მელოგინე, ბავშვი მაინც გადავარჩინოთო.

კორინთელი გადაფითრდა, ძია ნიკოსა და მამიდა თეკლას გადახედა. რაკი ელდანაცემმა მოხუცებმა ხმა არ გაიღეს, თავათაც დადუმდა.

ადგა, ჰონორარი მიაჩეჩა ექიმს. ნიკომ იგი ცივად მიაცილა მანქანამდის და კორინთელის კაბინეტში მიბრუნდა.

კორინთელი საწერ მაგიდას მისჯდომოდა, ორივე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო. საშინელი მწუხარება გამოსჭვივოდა მის გაოგნებულ მზერისაგან.

ძია ნიკო თავზე წამოადგა მდუმარეს:

„რას უცდით ვახტანგ, ხომ ხედავ განსაცდელი მომდგარია კარზე“.

„მეც აღარ ვიცი რა უნდა ვქნათ ძია ნიკო? ეს ექიმი შუშუტა ჩანს... და...“

„როგორ თუ რა ვქნათ? დაუყოვნებლივ გაგზავნე მანქანა თბილისს, გინეკოლოგი შუშანია ვიხმოთ“.

„პროფესორი შუშანია ჩემი მეგობარია, მანქანა მას თავათაც ჰყავს. მოდი ვუდეპეშოთ ჰა?“

„ვუდეპეშოთ? არა, ელვა გავაგზავნოთ ახლავე ყვარლიდან“. სთქვა ბრძანების კილოთი ნიკომ და დასძინა:

„აბა დასწერე ელვის ტექსტი“.

ვახტანგი მაშინალურად დაემორჩილა ნიკოს ნათქვამს. ხუთიოდე სტრიქონი ორჯერ დასწერა და ორჯერვე დახია. თავათ ამჩნევდა: ასოები ვერ გამოჰყავდა, გრამმატიკული შეცდომები მოსდიოდა. კალამი მიაჩეჩა ნიკოს და უთხრა:

„მე წერაკითხვა დამვიწყებია როგორც თავათ ჰხედავ, მოდი შენ დასწერე ძია ნიკო, რა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

ელვის გაგზავნის შემდეგ ორიოდე დღე გავიდა. პროფესორი შუშანია არსად ჩანდა, სუსქიას ჯანმრთელობა უფრო და უფრო უარესდებოდა. მან ჭამა სავსებით აღიკვეთა, საცოდავად წელში მოკუტული იწვა, უდრტვინველად უმკლავდებოდა სატანჯველს.

გინეკოლოგის მოლოდინში მთელი ოჯახი ღელავდა. რატომღაც დარწმუნებული იყვნენ პროფესორი შუშანიაც ასე დააყენებდა საკითხს:

ან ბავშვი გადავარჩინოთო, ან დედა.

სუსქიას წარამარა ესმოდა მაიას ზლუქუნი სამზარეულოდან, თუმცა მამიდა თეკლა საძილე ოთახში შემოსვლამდის პირს იბანდა, მაინც ამჩნევდა მელოგინე მის ნამტირალევ თვალებს.

ვეღარც ვახტანგი ახერხებდა თავისი უჩვეულო მღელვარების შეფარვას. თავათაც კარგად გრძნობდა მელოგინე: კატასტროფის წინაშე რომ იგდა.

ბოლოს ვეღარ მოითმინა ძია ნიკომ, თეკლა და ვახტანგი დაიმარტოხელა კაბინეტში, ორივე ხელი თავის ჭაღარა ფაფარზე წაივლო და დაიბუხუნა:

„რას მიშვებით ვეჟო, თქვენ ყველანი ისე დამწუხრდით, ღამისაა მეც ამატიროთ. ეჰ, ვახტანგ, მე შენ უფრო მაგარი ვაჟკაცი მეგონე, ნუთუ რუსთაველის „ჭირსა შიგან გამაგრება“ ასე მალე გადაგავიწყდა?“...

ვახტანგს თავიც არ აუწევია ისე მოისმინა ეს შეგონება: ...იმ ღამეს სუსქიამ მამიდა თეკლა ახმობინა მაიას და ძაბუნი ხმით უთხრა:

„ვახტანგს ისე ენატრება შვილი, ეგ იცოდე მამიდა თეკლა, ვინძლო პროფესორმა საჭიროდ სცნოს ჩემი განკვეთა, ჩემი სიკვდილი არჩიეთ ბავშვის მოკვლას.

მე დედა არა მყავს და მის მაგივრად მყავხარ მიჩნეული, სადაცაა ენა ჩამივარდება, გევედრებით შენ და ძია ნიკოს, ბავშვი შეინარჩუნეთ როგორმე.

მე აქ დამმარხეთ ვახტანგის ბაღში, უნაბის ქვეშ.

ჩემი ძმის, ავთანდილის წერილი არ მოდის, ალბათ ის დაიღუპა უკვე. საცოდავ მამაჩემს უპატრონოს ვახტანგმა. იცოდეთ: ბავშვი შეინარჩუნეთ როგორმე მამიდა თეკლა.

მე სხვისი ბავშვები სიკვდილს გადამირჩენია მრავალგზის, რა იქნება ჩემი შვილისთვის რომ მოვკვდე. ეს იყოს ჩემი ანდერძი მამიდა თეკლა“.

სთქვა, თავი კედლისკენ მიიბრუნა, მხოლოდ ბალიშის სისველე შეიცნო და ცნობიერება წაერთო მელოგინეს...

თეკლამ ვეღარ აიტანა ამ საშინელი სიტყვების სიმძიმე. ჯერ ორივე ხელი სახეზე აიფარა, იტირა, იტირა და მერმე ეს უპასუხა მას, ვისაც მისი პასუხი უკვე აღარ ესმოდა:

„რა სათქმელია შვილო, მე კარგად ვიცნობ პროფესორ შუშანიას, იგი თავის საქმის ოსტატია, აი ნახავ, როგორ გადაგარჩენს განსაცდელს.

ღვთისმშობელი მარიამი არ მოინდომებს შენი გაუხარებელი ცხოვრება ასეთი ძნელბედობით დამთავრდეს. ღვთისმშობელი ყველა მშობიარეთა შემწყალეა, შვილო“.

*

* *

გინეკოლოგის შუშანიას მანქანას ჯერაც ბერმუხა-გველეთის აღმართი არა ჰქონდა გადალახული, შოფერი იასე შემოვიდა და ამცნო დამწუხრებულ ოჯახს: ვგონებ მობრძანდებაო პროფესორი.

მთელი ოჯახი ჭიშკართან მოგროვდა. ამ ნაღვლიანი სახეების დანახვაზე პროფესორმა განგებისად უდარდელი და გულმხიარული გამომეტყველება გამოაჩინა. საერთო სალამის შემდეგ კორინთელს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

„ეს რა მშვენიერ კუთხისთვის მიგიგნიათ, პროფესორო ბატონო“.

კორინთელი დაიბნა, არ მოელოდა ასეთ გულგრილობას მეგობრისაგან, არ იცოდა რა ეპასუხნა. შუშანიამ ბაღს მოავლო თვალი და სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აჰ, რა საუცხოო ბალჩა მოგიწყვიათ“! ბოლოს საქმეზე გადავიდა ერთბაშად:

„როგორაა თქვენი მელოგინე“?

ცუდადო, მიუგო კორინთელმა, საკმაოდ უგუნებოდ.

„ეჰ, მამაპაპათა წესი დაგირღვევიათ, პროფესორო ბატონო, როცა ჩვენი დედები შობდნენ, ჩვენი მამები ტყეებს მიაშურებდნენ და ნადირობით იმსუბუქებდნენ დარდს“.

„სწორია, სწორია“, განათლება ზომაზე მეტად არბილებს ზოგს. სიტყვა ჩაურთო ნიკომ.

„ექიმი თუ მოგიყვანიათ ვინმე?“ იკითხა პროფესორმა.

„რაიონის ექიმი გვყავდა მელოგინის განკვეთა მოითხოვა“. მიუგო კორინთელმა.

„ნუ გეშინიათ. ცუდია დალრეჯილობა“ ჩაიდუდუნა პროფესორმა, მერმე შოფერს, იასეს მიაძახა:

„მიდი გეთაყვა, ჩემს მანქანაში ექთანია, აქ მომგვარე ის ქალი, ჩემი ხელსაწყოც ამოიტანე ახლავე“.

ატირებული მამიდა თეკლა ახლოს მივიდა პროფესორთან და უთხრა:

„გევედრებით ბატონო პროფესორო, დედა და შვილი ორივენი გადაგვირჩინე. მშობიარეს არ დაუჯეროთ, ორივე, ორივე“.

„რასა ბრძანებთ ბატონო? მე ორივეს გადასარჩენად ვარ მოსული, განა ის არ გვეყოფა, ამდენ ვაჟკაცებს რომ ვკარგავთ ფრონტებზე“.

ძია ნიკომ თვალი შეასწრო: როცა საძილო ოთახში შედიოდა პროფესორი, იგი ოდნავ გაფითრდა. გაიმართა წელში საერთოდ ოდნავ მოდრეკილი, ისეთი ომახიანი სახე მიიღო, თითქოს საომრად მიდისო.

კარის ზღურბლთან გამობრუნდა, მკაცრი ხმით მიაძახა მასპინძლებს.

„ამ მოხუცის მეტი არავინ შემოვიდეს აქ, თეთრი ხალათი ჩააცვით ამ ქალს“.

*

* *

კორინთელი ფანჯარასთან იდგა. თითებს ნერვიულად არაკუნებდა მინებზე. გარედ სწვიმდა, მოღუშული და სევდიანი დღე იყო. მოეშვა ფანჯარას, დაწრიალებდა, ადგილს ვერ პოულობდა. ბოლოს ველარ გაუძლო საძილო ოთახიდან მოწეულ კვნესას, უქუდოდ გავიდა ბაღში.

ძია ნიკო და მამიდა თეკლა საათს მისჩერებოდნენ ...ოთხმოცი წუთი გავიდა, დაიჟრიალა კედლის საათმა და ამ დროს ბავშვის ტირილიც გაისმა.

გინეკოლოგი მომღიმარი და მოზეიმე გამოვიდა სასადილოში და სთქვა:

„კიდევ ერთი მეომარი შევმატე ქართულ დივიზიას“.

თეკლა მიეჭრა, ჯერ შესაბრალისად წაეპოტინა თეთრხალათიან პროფესორს, მერმე მარჯვენა ხელი წაართვა და ზედ ეამბორა.

„ქრისტე ღმერთს გამოუგზავნიხართ ჩვენს ოჯახში პროფესორო ბატონო“.

ვაჟის მამა მომგვარეთ, მე მაგ უკეთესი ვაჟკაცი მეგონა, გაიქცა არა?“

სთქვა პროფესორმა, როცა ნიკომ გახარებული კორინთელი წვიმისაგან მთლად გაზუზული მიჰგვარა გინეკოლოგს, კორინთელმა მაგრად ჩამოართვა პროფესორს ხელი და უთხრა:

„ჩემი გვარი დაშრეტის წინაშე იდგა, პროფესორო ბატონო, სამივე მამისძმას ჩემსას ქალები ჰყავთ. თქვენ არსებობა გაუგრძელეთ ჩემს გვარს“...

ხანმოკლე საუზმის დროს პროფესორი შუშანია ოხუნჯობდა, უწყინარ ანეგდოტებს ყვებოდა, თანადამსწრეებს აცინებდა და თავათაც იცინოდა. ღვინის სმაში ხუმრობით ეჯიბრებოდა ძია ნიკოს.

ემუქრებოდა მასპინძელს: გირჩევნიათ არ შემაჩვიოთ ამ საუცხოვო ქინძმარაულს, თორემ მე კახეთში ხშირად დავდივარ ჩემ პაციენტებთან და უსაშველოდ დაგლაშქრავთო, იცოდეთ.

მანქანაში ჩაჯდომისას უალრესად

მკაცრი გამომეტყველებით უთხრა კორინთელს:

„მშობიარეს კატასტროფული მდგომარეობა ჰქონდა, უჩემოდ არამც და არამც არ ააყენოთ, ორი კვირის შემდეგ მე თელავში საქმე მაქვს, უთუოდ გამოგივლით. მანამდის სასტიკად აუკრძალეთ მელოგინეს ხანგრძლივად წამოჯდომა და ლაპარაკი, ეცადეთ ყოველივე მღელვარებას განარიდოთ.

თუ რაიმე გართულება ჩამოდგეს, მიდეპეშეთ და უცილოდ ჩამოვალ“.

*

* *

მამიდა თეკლა შინ დაიტოვა კორინთელმა. ძია ნიკო ყოველ მეორე დღეს მოჰყავდა შოფერს. ნიკომ ჩამოუარაკა ცოლქმარს ძეობის აღნიშვნის შესახებ. პროფესორმა შორს დაიჭირა ეს საქმე.

„რა დროს ნადიმებია, ძია ნიკო, ხალხი შავებშია. ერთ ორ კაცს ვთხოვოთ, განსაკუთრებით მახლობლებს. ბევრი სტუმარი რომ მოგროვდეს, ღვინოს დალევენ, სიმღერებსაც. შემოსძახებენ, ხალხი დამწუხრებულია, არ ივარგებს ძია ნიკო, არა?..“

შაბათ საღამოს ზურაბ არადელი ჩამოვიდა თელავიდან. ლუკა მინდელი თან ჩამოიყვანა... ვახშმობამდის ბაღში ისხდნენ სამნი. კორინთელი ეუბნება ძია ნიკოსა და ზურაბ არადელს:

„აგრე მგონია, ვიღაც უჩინარის ხელმა ჩამომხსნა მეთქი ორმოცდასამი წლის ტვირთი. როგორც ყოველი ჯანსაღი მამაკაცი, მეც დიაცთმოყვარული ვიყავი მუდამ, ხანგრძლივად მიცხოვრია უცოლოდ, ისიც ისეთ სოდომში, როგორიცაა პარიზი.

მრავალი ლამაზმანის ფიზიკური სიყვარულით დავმტკბარვარ, მაგრამ იმასთან შედარებით რასაც ახლა განვიცდი, ეს ყოველივე ჩმახვა აღმოჩნდა მტკნარი.

მე მგონია, შვილის ყოლა უდიდესი ბედნიერებაა ამ ქვეყნად. შვილი ის მარჭვალია „ელან ვიტალის“, ესე იგი სიცოცხლის შეუმუსვრელი ინსტინქტის უწყვეტელი ჯაჭვისა, რომელიც უბნელესს წარსულს და უბრწყინვალეს მომავალს ხიდად გაედება ხოლმე“.

ნიკომ სთქვა:

„იცი ვახტანგ, ჩემგან ნუ ეტყვი სუსქიას და შენს ადგილზე მე მას სამსახურიდან გამოვიყვანდი. ხომ ხედავ მაია დაბერდა, მოჯამაგირობა აღარავის უნდა. ამხელა ოჯახი აქვს მოსავლელი. ახლა ბავშვი ეყოლა. იმედია ერთს არ დასჯერდებით. ოჯახი მინიატიურული რესპუბლიკაა, შენ ეგ არ გესწავლება. დიდი ჯაფა უნდა მის მოვლას არა?

ჩვენი ქალები უკიდურესობაშივარდებიან ხანდახან. ერთნი ისეთივე უქნარებია, როგორიც შენი პირველი მეუღლე იყო, მეორენი სუსქიასავით თავგამეტებული მშრომელები.

მე აქამდის ვერ გითხარი, ორი კვირის წინად სუსქია ფარდებს ჰკიდებდა თურმე კარნიზებზე, ძირს ჩამოვარდნილა. მადლობა ღმერთს, ხიფათს გადარჩა“.

„არ დაგიმალავ, ძია ნიკო“, მიუგო კორინთელმა. მეც ბევრი ვეჩიჩინე სუსქიას, ეგებ დაანებო მეთქი სამსახურს თავი. არა ჰქნა. მე ამდენი მისწავლია და მიშრომია ჩემს პროფესიაში პრესტიჟის მოსაპოვებლად, როგორ ავაღოვო ამას ყოველივეს ხელი? გარდა ამისა, მე თავათ მიყვარსო ჩემი ხელობა. ესა სთქვა და მერმე აღარ ჩავაცივდი“.

არადელმა წაიდუდუნა:

„ეჰ, ბევრი აკრიტიკეს ამ ერთი საუკუნის მანძილზედაც ოჯახი ბალზაკმა და ტოლსტოიმ, იბსენმა და სტრინდბერგმა, მაგრამ სოციალური ცხოვრების უკეთესი ფორმა მაინც ვერავინ გამოსძებნა ჯერხნობით“.

ძია ნიკომ შენიშნა:

„ძველისა და არსებულის გაკრიტიკება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ახალისა და აქამდის არარსებულის შექმნა. ადამიანებს ბუზღუნი უფრო ემარჯვებათ, ვიდრე გულის შეჯერება იმითი, რაც მათ გააჩნიათ. ჩვენი რუსთველი აქაც უბადლოა. მოიგონეთ: „რაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის რა ღმერთმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“.

არადელმა განაგრძო:

„წელან ხსენებულმა მწერლებმა დიდი ამბოხი წარმოშვეს მთელს მსოფლიოში. ამას მოჰყვა ოჯახების უწყვეტელი რღვევა. ვინ იცის, რამდენმა სულელმა ქალმა დაარღვია ოჯახი იბსენის ნორას ზეგავლენით.

ახლა რამდენი მილიონი ოჯახის დედა გახრწნა ფლობერის მადამ ბოვარიმ. მე პროფანი ვარ ლიტერატურაში, მაინც ვამჩნევ: გენიოსები დიდ აზრებთან ერთად გაუგონარ პარადოქსებსაც არ თაკილობენ ხოლმე.

კაცუნები იქვე არიან დადარაჯებულნი, ისინი თავს ვერართმევენ გენიოსების ნამდვილად გენიოსურ აზრებს და როგორც კი მათ რაიმე აბსურდი დასცდებათ პირიდან, წამსვე წამოეგებიან ანკესზე.

დიდკაცებისადმი დიდ საქმეში მიბაძვაა ძნელი. ვაჟა-ფშაველასებური წვერის დაყენება ყოველ მომაკვდავს შეუძლია, მაგრამ აბა ვინმემ სცადოს მისი პოემების ბადალის შექმნა?!

რაიცა შეეხება ბედნიერებას, მე უსაზმნო ნატვრად მიმაჩნია ამ ქვეყნად ორი რამ: ბედნიერებისა და უკვდავების ძიება. ამ პლანეტაზე [illegible] უკვდავია და ყოველივე მოკვდავი.

ბედნიერება ზღვის მედუზასა ჰგავს, ერთგვარ პროტოპლაზმას, რომელიც ხელის შეხების უმალ სისხლად იქცევა. ხოლო უკვდავება ბერძნული მითოლოგიის მედუზას, გორგონას ქალს, რომელსაც მინერვამ ნაწნავები გველებად უქცია. ამიტომაც ვისაც მედუზა შეხედავდა, მყისვე ქვად აქცევდა მას.

ამის შემდეგ, როგორც ჰხედავთ, ყველა, ნამდვილად დიდკაცი ქვის ქანდაკებების სახით განაგრძობს აქ ყოფნას. გენიოსებს ხომ სიყრმიდანვე გაქვავება აქვთ მისჯილი, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ჩაქვავებაც...

უკვდავებას მე ვინ მაღირსებს, მაგრამ თუ არა ვცდები, იგიც მოსაწყენია, რამდენადაც უკვდავება დაუსაბამოა და უკუნითი.

ბედნიერება თავისი წარმავალობითა და წამიერებითაა გულისდამწყვეტი, რადგან ერთი წამი, გინდაც ათი საუკუნე, მარადჟამობის წინაშე, მხოლოდ ერთი დაფახულებაა თვალისა“.

მაია მოვიდა და ვახშმად მობრძანდითო, სთხოვა სტუმრებს, არადელი არ ეშვებოდა საუბარს, მაგრამ ერთბაშად აშრიალდნენ წვიმის შხეფები ფოთლებზე...

## ბედნიერება, რომელიც მედუზას ჰგავდა...

სუსქიას წამოდგომის გამო კამათი შეიქმნა. კორინთელი და მამიდა თეკლა წინააღმდეგი იყვნენ.

პროფესორის შუშანიას მიერ დათქმული ვადა ჯერ არ გასულაო.

ძია ნიკო აგრე ამბობდა:

ასე თუ ისე ძეობას ვიხდით, უხერხულია, ცოტა ხნით მაინც არ წამოდგეს, მოგვეჩვენოს და ისევ წამოწვესო.

ბოლოს თავათ მელოგინემ გადასწყვიტა საკითხი.

ჩამაცვითო სთხოვა თეკლასა და მაიას. პირობა მისცა ქმარს: ოციოდე წუთის შემდეგ ისევ დავწვებიო.

„რას ნიშნავს ახალგაზრდული ჯანი! მხოლოდ ჩვენს გლეხობას შემორჩა შეუმუსვრელი ფიზიკური სიმრთელე, გაფაქიზებული წოდების ნაშიერი რომ ყოფილიყო, ამდენი ტანჯვის შემდეგ, ასე მალე როგორ წამოდგებოდა მელოგინე ქალი“. ფიქრობდა ზურაბ არადელი, როცა სუსქიას შესცქეროდა სუფრის თავში მჯდომარეს.

ოდნავ, სულ ოდნავ დაშრეტილიყვნენ ხასხასა ფერები მისი სახისა, მარტოოდენ მისი გრუზა, ვასვასა ნაწნავები, ჯიშიანი თავის გარშემო შემოგრაგნილნი, უკუფენდნენ იმ საამურ ფერს ალისას, რომელსაც ცეცხლშემოგზნებული წალამი ვაზისა გამოცემს ხოლმე.

ალერსიანი და რბილი ხმა ამოდიოდა ყელიდან მას. გახუნებული ტანისამოსის ნაცვლად, სახელგანთქმული პროფესორის მეუღლეს, ეცვა სოლიდურად, სადად, დიდის გემოვნებით.

ერთადერთი მედალიონი სერდოლიკისა ეკიდა ყელზე, ამ მედალიონზე მოსჩანდა ანტიური გემმა, რომელიც გამოსახავდა ანტილოპზე მონადირე დიანას.

ერთადერთი ბეჭედი ჰქონდა ხელზე, ბაჯაღლო ოქროსი.

მისი ხელმარჯვობა და გემოვნება უკვე დასტყობოდა კორინთელის სახლს, რომელიც ბელეშა დიასახლისების ხელში ფაცანების საერთო საცხოვრებელს უფრო წააგავდა, ვიდრე პროფესორის ოჯახს.

ლინგჩამომსხვრეული, უგემოვნო ჰურჭელი შეეცვალა საქსის სერვიზს, ტძულის გაქათქათებული ფარდები და მძიმე პორტიერები ეკიდნენ ბრინჯაოს კარნიზებზე.

არა მარტო კარ-ფანჯრები, მათი სახელურები და რაზებიც კი ვარვარებდნენ. ჰერზე ხუთლამპიანი ლუსტრა ბრწყინავდა აგრეთვე ბრინჯაოსი.

არავინ ამას არ იმჩნევდა, მაგრამ ყველას ყურადღების შუაგულში იყო სუსქიას მამა, ლუკა. მას ოდნავ უპროპორციო თავი ჰქონდა, კოხტად გადავარცხნილი თეთრი თმები, ძელი წვერი, ბარისებური ფორმისა, ზემოკიდეებში ხვეული. დიდრონი თვალები, ჰადარა წარბებიდან ამაყად გამომზირალნი.

ნაღდლარი ხარივით ძლიერი და დანაოჭებული ქედი ჰქონდა. ოდნავ კუთხოვანი, განიერი ბეჭები. ამ ახალ კოსტუმში ვინმე უცხოს რომ დაენახა იგი, არამც და არამც არ იტყოდა: მეთონეაო.

კორინთელი ირიბ მზერას ესროდა ხანდახან თავის სიმამრს, და მისი გამოჩორგვილი, ძალოვანი ანაგობა მოაგონებდა მას ქართული ტაძრების ბარელიეფებს იმ პერიოდისას, როცა ჩვენს მოქანდაკეებს არ ემარჯვებოდათ ადამიანის სხეულის ნაწილთა ელასტიურობის ჯეროვანად გამოსახვა.

საერთოდ ლუკა მინდელი მიაგავდა რომელიღაც მახარობელს, ქართული ფრესკის უსახელო ოსტატების მიერ შესრულებულს.

იგი ვერ მიმხვდარიყო თავისი სკამი სუფრასთან ახლოს მოეწია, ამის გამო წელში მოხრილი უჯდა სუფრას, ჩანგლის ხმარება ხშირად ავიწყდებოდა.

საერთოდ უთხოვნელად არაფერს სჭამდა ლუკა, მორიდებულად ციცქნიდა კერძს. როცა კიდევ შეეპატიჟებოდა სიძე, ჯერ ხელს იშველიებდა, მერმე უცებ მოაგონდებოდა ჩანგალი და სწორედ იქ წაავლებდა მას ხელს, სადაც ოდნავ მოდრეკილია ყოველი ჩქიფი.

ჭამის დროს პურის ნამუსრევი ხელიდან გაუვარდა, იატაკიდან აიღო, ემბორა და შესჭამა. სუფრასთან მუნჯივით იჯდა, ხმას არ იღებდა.

ოდნავ ყრუ იყო ლუკა და როცა ვინმე გამოელაპარაკებოდა, გაშლილ ხელს მარჯვენა ყურზე მიიდებდა ხოლმე.

კორინთელმა მარენგოს საუკეთესო საკოსტუმე გაუგზავნა ერთი თვის წინად სიმამრს. სუსქიამ შეაკერინა მამისთვის ეს მასალა. ახლა ეს ფეშენებლური ინგლისური კოსტუმი ზედ ეცვა, ნახსენსარივით ადგა მას იგი.

კორინთელს გულით ეწადა ლუკასთან გასაუბრება, მაგრამ საუბრის საგანი ვერ შეერჩია.

„თქვენ ავად ყოფილხართ, მამავ ბატონო, მაპატიეთ რომ ვერ გინახულეთ, მაგრამ ძლიერ მოუცლელი ვიყავი მაშინ“.

„მე დიდი ხანია თვალებს ვიტკიებ შვილო, ეს ჩემმა ხელობამ მიყო.

ნიადაგ ცხელ თონეში ყურებამ თვალების ანთება დამმართა. ექიმები მუშაობას მიშლიან, მაგრამ ცოტაოდენი ჯანი კიდევ შემომრჩენია და არც ის მინდა სხვის ხელებს შევაჩერდე. ერთადერთი ვაჟი მყავდა, უკვე ექვსი თვეა, არაფერი მოუწერია. ვინ იცის, მამიკლეს ეგების კიდევაც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რატომ სხვის ხელებს? ჩვენ აქ არა ვართ? რა გაგვიჭირდა ისეთი, თქვენ გამუშავოთ, ისიც ავადმყოფი“!!?

„ქართული პური ყველას უყვარს შვილო, მაგრამ ამ ხელობას ყველა გაურბის. ახალგაზრდები არ კადრულობენ მეთონეობას, თელავში ხუთიოდე ბებერი შემოვრჩით ამ საქმეს. როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ქართულ პურს არავინ გამოაცხობს თელავში.

ყველაფერს ცოდნა უნდა, მოგეხსენებათ, ყოველი ხელობა მსხვერპლს მოითხოვს შვილო, თუ პატიოსნად გააკეთე საქმე.

პურის ჭამა ადვილია, მაგრამ პატიოსანი პურის ჭამა თქვი შენ.

პროფესორმა არადელმა დიასახლისი ადღეგრძელა, ძეობა მოულოცა და მშვიდობით გადარჩენა.

სუსქიამ სთქვა:

„მე აგრე მგონია: ხელახლა გავჩნდი მეთქი ამ ქვეყნად. არსებითად მოვკვდი კიდევაც ერთის წამით. პროფესორს შუშანიას რომ არ მოესწრო, უკვე ვეთხოვებოდი წუთისოფელს.

ერთბაშად ჩრდილებად იქცა ყოველივე. თვალით ვხედავდი ჩემს ირგვლივ მოფუსფუსე ვახტანგს, მამიდა თეკლას, ძია ნიკოსა და მაიას, მაგრამ მათი ხმა არ მესმოდა. აგრე მეგონა: უტყვი ლანდები გარს მეხვევიან მეთქი. ხმა წამერთო, ენა ჩამივარდა...

მწყუროდა, მინდოდა რომელიმე მათგანისთვის წყალი მეთხოვა და ღონე არ შემწევდა, ბგერები გამელო.

დედები ალბათ იმიტომაც იბრძვიან ასე მამაცურად თავიანთი შვილებისათვის, რადგან ისინი მშობიარობისას ერთხელ მაინც იგემებენ სიკვდილს“. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა სუსქიას, მაგრამ კორინთელმა შეაწყვეტინა:

„გეყოფა ახლა, სუსქია, ნუ ლაპარაკობ, ნუ ღელავ, ჩემო, ხომ დაგიბარა პროფესორმა შუშანიამ: არ იღელვო, არ ილაპარაკო, არც იაროვო. მე ვიცი შენ ამ ძვირფასი სტუმრების ხათრით წამოდექი, თორემ ჯერ ადრე იყო“...

„შენ მართალს ამბობ ვახტანგ, მეოდნავ თავბრუ მესხმის კიდევაც“. ვახტანგი და თეკლა წამოდგომას აპირებდნენ მის გასაყვანად, სწორედ ამ დროს მოისმა ახილის ყეფა...

ვახტანგი კარისკენ გაემართა, სწორედ ამ დროს შოფერი იასე შემოვიდა და სთქვა:

„ერთი შავებიანი ქალი და ერთი ყმაწვილი მოსულან, პროფესორო ბატონო, ექიმს კითხულობენ“.

კორინთელი გახევდა, თეკლა წამოვარდა, უკან გაბრუნებულ შოფერს კარამდის მისდია და მიაძახა:

„აგრე უთხარი, ჩემო იასე, ავად არის-თქო ექიმი“. სუსქია აწრიალდა. ქმარს ეუბნება:

„ეგ როგორ იქნება, ვახტანგ, ექიმს ხომ ნება არ აქვს ავადმყოფობა მოიმიზეზოს?

მოვიდნენ და ვნახოთ ვინ არიან და რა გასჭირვებიათ?“

კორინთელმა მხრები აიჩეჩა:

„როგორ თუ მოიმიზეზოს? განა შენ ჯანსაღი ხარ უკვე?“

სუსქიამ ქმრის ნათქვამს სმენა აარიდა, წამოდგა, ღერეფანში წამოეწია თეკლას და შოფერს, სასტუმრო ოთახშიაც გაიგონეს მისი ნათქვამი:

„მობრძანდით-თქო უთხარი, იასე გეთაყვა“.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, შავებიანი ქალი და წვრილკისერა ყმაწვილი შემოიყვანა სასადილო ოთახში შოფერმა.

კორინთელმა რა დაინახა გამხდარი, საცოდავად მობუზული ნუნუ, გულმტკივნეულად ჰკითხა:

„რა გაგჭირვებია ნუნუ?“

„ეს მესამე დღეა ბავშვს რაღაც ახრჩობს. შესაძლოა ყოველ წუთში გამომეცალოს ხელიდან“.

„სიცხე რამდენი აქვს?“

„ეს მეორე დღეა რაც ორმოცი აქვს ზედიზედ“.

ახლა სუსქიას მიუბრუნდა ნუნუ და ეუბნება:

„მე რომ ძლიერ არ გამჭირვებოდა, თქვენ არ შეგაწუხებდით ამ მდგომა-

რეობაში, ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება თქვენი ამაგი ჩემს ბავშვზე გაწეული. ყვარელს ვაფრინე კაცი, ერთი ექიმი თბილისს გაუგზავნიათ კონფერენციაზე, მეორე ავად ყოფილა.

რა ვქნა, ქმარი ფრონტზე დამეღუპა, ჩემმა ნათესავებმა ხელი აბალეს. ეს კიდევ ცოტაა, ჩემი ქმრის ნათესავებსაც შეაძულეს როგორც ჩემი თავი, ისე ერთადერთი ჩემი ბავშვიცა".

„რაო გოდერძი დაიღუპა?" შეშფოთებულად იკითხა კორინთელმა.

„უკვალოდ დაკარგულია მეთქი, აგრე ვამბობ, თორემ ნამდვილი ამბავი რომ გაიგონ, მთლად გადამთქერავენ უჯირაულები".

„ექიმი ხომ არ მოგიყვანიათ?" შეეკითხა სუსქია.

„გუშინ რაიონის ექიმი მოვიყვანე. ვგონებ დიფტერიტიაო, თელავს უნდა წაიყვანოო, კარანტინში გამოარკვევენო, აგრე სთქვა".

„ჩაბრძანდით მანქანაში, მე გადავიცვამ და ამ წუთში მოვალ". სთქვა სუსქიამ, საძილო ოთახში შევიდა ენერგიული ნაბიჯით.

ჩაცმაზე მიშველეო მიაძახა მამიდა თეკლას.

სუფრის გარშემო მსხდარნი გახევდნენ. მაიამ შემწვარი ინდოური შემოიტანა, არავის გახსენებია ჭამა.

მალხაზმა სუფრისაკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, ჯერ ბრინჯაოს ლუსტრას მიაშტერდა და მერმე ჰკითხა კორინთელს:

„რად დინდა ამდენი სინათლე ძია?"

„სინათლე რაც უფრო ბევრია, მით უკეთესია, ბიჭიკო", უხალისოდ მიუგო კორინთელმა.

„ჩვენ სულ არა გვაქვს სინათლე", ნაღვლიანად სთქვა ყმაწვილმა.

კორინთელმა შენიშნა: გახარებული მისჩერებოდა ყმაწვილი სუფრას.

„შესჭამე რამე", უთხრა მასპინძელმა მალხაზს, ხაშლამა დაუდვა წინ.

არა, მე ინდოურის ბარკალი მიყვარსო, სთქვა სტუმარმა და ვიდრე მას ბარკალს მოუჭრიდნენ, სავსე ჭიქას ღვინისას წამოავლო ხელი და მასპინძლის უკითხავად გადაუძახა სტომაქში.

მადიანად ღიჯნიდა ბარკალს, ცხვირიდან გამოსულ ბოტოტს ზედ აყოლებდა საჭმელს. სუფრის გარშემო მსხდარნი სიბრალულით შესცქეროდნენ ამ წვრილკისერა დეგენერატს.

ერთბაშად ნუნუ შემობრუნდა სასადილო ოთახში.

„თავი ნუ მოგვჭერი ბიჭო!" უთხრა ყმაწვილს, მაჯაში ხელი წაავლო და ძალით წაათრია.

პროფესორი არადელი გარინდებული შესცქეროდა ამ სცენას.

მან ძია ნიკოს უჩურჩულა: რა უცნაურად ჰგავსო ეს ქალი სუსქიას?

ნიკომ სთქვა:

„ეს ქალი წინადაც მინახავს, მაგრამ მას შემდეგ რაც სუსქია გახდა, შუაში გაჭრილი კაკლის ლებანივით ჰგვანან ერთმანეთს".

მამიდა თეკლამ საძილო ოთახში გასდია სუსქიას. ევედრებოდა:

ამ ავდარში ნუ მიდიხარო, ვახტანგი მანქანას ათხოვებს იმ ქალს, ახლავე მოაყვანინებსო ექიმს.

კორინთელი უცნაურმა დეპრესიამ მოიცვა. ისეთი გამოუვალი მდგომარეობა შეიქნა, მან აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემოქმედნა? როცა თეკლამ მანქანა ახსენა, ჭკუაში დაუჯდა ეს ამბავი, თავათაც შევიდა საძილო ოთახში და უთხრა სუსქიას:

„თუ გინდა მე ჩავალ და ვეტყვი იმ უბედურ ქალს. მართლაც და ახლავე თელავიდან მოვაყვანინებ ექიმს. ბოლოს მე თავათ წავალ და ჩამოვიყვან მეთქი, აგრე ვეტყვი".

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენ უთუოდ გაჭნებს შავისოფლის ოღრო-ჩოღრო გზებზე მანქანით წასვლა, მერმე რამდენადაც ვიცი, ნუნუს სახლს მანქანაც ვერ უდგება, ამ ბნელ ღამეს ატალახებული ბილიკებით უნდა იარო".

„არა, ვახტანგ, შენ თავათ განსაჯე რა უხერხულ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული". ამბობდა სუსქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სულ სხვაა მე რომ დაწოლილი დავხვედროდი იმ ბედშავს, მაგრამ სუფრას ვუჯექი და მას ვერავინ დაარწმუნებს შეუძლოდ რომ ვარ.

ნუ გავიწყდება, მე ექიმი ვარ და თავათაც დედა ბავშვისა. ამ საწყალ ქალს ქმარი დაეღუპა ომში, ისედაც ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობს, მთელი სოფელი შეძრულია მისი საცოდავობისაგან და მე არ მეკადრება, თუნდაც როგორც შენს მეუღლეს, უგულობა გამოვიჩინო.

სხვა არ იყოს რა, ხომ იტყვიან: პროფესორის ცოლი გახდა და გაიპრანჭაო? როცა ნუნუს ავად ჰყავდა წინეებში ბავშვი, არა ერთხელ ვყოფილვარ იმ სახლში. მანქანა ზედ ჭიშკარს მიადგება, თუ ჩვენმა იასემ იმარჯვა“.

ძია ნიკო სუფრიდან წამოდგა, კაბინეტში გაიხმო კორინთელი და აღელვებულმა უთხრა:

„იცი ჩემო ვახტანგ, მე ძლიერ მიმძიმს ამ საქმეში ჩარევა, ამიტომაც ვსდუმდი აქამდის. მე შენს ადგილას რომ ვიყვე, კატეგორიულად ავუკრძალავდი ცოლს ავადმყოფთან წასვლას ამ შემთხვევაში“.

„რა ვქნა ძია ნიკო, მართალია, ჩემი ცოლია სუსქია, მაგრამ მას თავისი პროფესიული მოვალეობაც აქვს დაკისრებული. გარდა ამისა, ეს ამბები ისე ფატალურად გადაესკვნენ ურთიერთს, ჩიხში ვარ მომწყვდეული“...

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ვახტანგ, ოღონდ მაპატიე გულახდილობა, თქვენ ნამეტნავად განათლებულნი ცოტა უხერხემლონი ხართ. ისიც უნდა გითხრა: ქალის პროფესია და ცოლობა შეუთავსებელი საქმეა. შესაძლოა, მე ჩამორჩენილ კაცად ჩამთვალო, მაგრამ ეს შენი საქმეა“.

როცა სუსქია საძილო ოთახიდან გამოდიოდა, ახლა ლუკა მინდელი გადაეღობა თავის ქალიშვილს წინ.

„მე პირველადა ვარ შენს სახლში შვილო, ეს თხოვნა შემისრულე როგორმე. სად უნდა წახვიდე ამ თავსხმაში. ისიც ავადმყოფი, ხომ გეუბნება შენი მეუღლე იმ გაჭირვებულს, სხვა ექიმს მოვგვრიო ახლავე“.

სუსქიამ მიუგო:

„შენ ხომ წეღან ამბობდი მამავ, ყოველი ხელობა თავგანწირვას მოითხოვსო. ვიდრემდის იმ საწყალ ბავშვს ექიმს მოუყვანენ, შესაძლოა სული ამოხდეს. განა არ იცი რაიონის ექიმების ამბავი? ხანდახან, ისინი ძალზე გადატვირთულნი არიან და თავი აქვთ მობეზრებული.

ნუნუ გაჭირვებულია, როგორც სჩანს, ფულიც არა აქვს.

ჩემი მოვალეობა მხოლოდ ეგაა: გაჭირვებულ ადამიანს უნდა ვუშველო. არა?“

„მე ჩემი გითხარი და სხვა შენ იცი შვილო“.

ჩაილუღლუღა დაღონებულმა ლუკამ და თავის ადგილზე დაჯდა თავჩაქინდრული. კორინთელმა მანქანაში ჩასვა სუსქია, თავათაც გვერდით მოუჯდა.

მაია იმის გამოც იყო შეწუხებული, რომ ძეობა ასე სამწუხაროდ დასრულდა.

„ნუთუ იმ უბედური, შუშუტა მალხაზის გამოსაბესტავად ვიჯაფეთ მე და თქვენ?“

წასჩურჩულა მაიამ თეკლას.

მამიდა თეკლას ნერვიულობა ყველას გადაედო. სტუმრები გაოგნებულნი ისხდნენ, წარამარა მისჩერებოდნენ კედლის საათის ციფერბლატს. უკვე სამს უჩვენებდა ისარი, არც მანქანა სჩანდა სადმე, არც სუსქია და არც კორინთელი.

ძია ნიკომ პიჯაკი ჩაიცვა, ქოლგა და გალოშები მოატანინა მაიას.

ბოდიშობდა სტუმრებთან: მოკლეებით ჩავირბენ ბერმუხაში და აქეთ გამოვყვებიო ვახტანგს.

შავმა ფიქრებმა მოუარეს მამიდა თეკლას: ვინ იცის ეგებ სუსქია უარესად გახდა და მეც თან გავყვებიო ნიკოს.

ზურაბ არადელიც წამოდგა, მეც წამოვალო, სთქვა.

გარედ დაუცხრომლად სწვიმდა, უკვე ქოლგებსა და გალოშებს ეძებდა მაია და ამ დროს გაისმა მანქანის სიგნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ნიკო გველცემულივით წამოიჭრა, მანქანის გაშუქებული ფარები უკვე ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ ჭიშკარს. ძია ნიკომ შორიდანვე შენიშნა: მანქანიდან ჩამოვიდა იასე და მარტოკა გამოემართა კიბისკენ.

„რა მოხდა იასე?“ ჰკითხა შეცფუნებულმა ნიკომ შოფერს.

„სუსქია სადაა?“ მიაძახა თეკლამ.

„მანქანას ვერ შემოვიყვან, ნიაღვარს ბოგირი ჩაურეცხავს ბატონო“.

ლუღლუღებდა თავჩაღუნული იასე დამნაშავესავით, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს, რომ ბოგირი ნიაღვარს ჩაერეცხა.

„სუსქია სადაა?“ იკითხა ისევე თეკლამ.

„ქალბატონი ცოტა უგუნებოდ შეიქმნა გზაში და მანქანიდან ვერ გადმოვიყვანეთ.

უნდა წამობრძანდეთ და გადმოყვანაზე გვიშველოთ“.

ოთხმა კაცმა გადმოიყვანეს შეუძლოდ შექმნილი ქალი.

სუსქიას მთელი საათის მანძილზე აბრუნებდნენ.

ერთბაშად პატარა როსტო ატირდა, ავადმყოფმა ძუძუ მისცა ბავშვს. ბოლოს როცა მკერდიდან მოაშორეს ჩვილი, მილეული ხმით უთხრა მის საწოლთან მსხდომარეთ ვახტანგსა და თეკლას:

„მე კმაყოფილი ვარ, იმ უბედური გოდერძის ვაჟი რომ გამოვტაცე სიკვდილს, ნამდვილი დიფტერია აქვს. სულზე მივუსწარი თორემ უეჭველად დაიხრჩობოდა ბავშვი“.

ერთხმად გადაწყდა: დაუყოვნებლივ გაეგზავნათ იასე ყვარელს და პროფესორ შუშანიასადმი გასაგზავნი ელვა გადაეცა მას იქაურ ფოსტიდან.

*
* *

პროფესორი შუშანია გათენებისას ჩამოვიდა გველეთში. მანქანა სავსებით ამოგანგლული იყო ლაფში. იგი მოღუშული შევიდა სასადილო ოთახში და საერთო სალამი აკმარა მის გარშემო მოგროვილ ჭირისუფლებს.

თავჩაღუნულმა მოისმინა იმ ღამეს მომხდარი ფატალური ამბავი და საძილო ოთახისკენ გაემართა მარტოკა. ხუთმეტ წუთსაც არ გაუვლია, კორინთელი კაბინეტში შეიყვანა და ეუბნება მასპინძელს:

„დაბრძანდი“.

კორინთელი მაშინალურად დაემორჩილა მის ნათქვამს.

„გულახდილად უნდა გითხრა ჩემო მეგობარო, ძლიერ მაოცებს თქვენი ამბავი. ვაჟკაცი არ უნდა აჰყვეს ქალების გულჩვილობას. მე ხომ დაგიბარეთ, ვახტანგ, ორ კვირაზე ადრე არ ააყენოთმეთქი მელოგინე?

არ მინდოდა პანიკის შექმნა, რადგან მე წესად მაქვს: ჭირისუფალის ნერვიულობას ვერიდო. ძლიერ რთული მშობიარება ჰქონდა მშობიარეს... სხვა მოვლენებიც შევნიშნე იმ დღეს“. ესა სთქვა და ბოლთისცემა დაიწყო კაბინეტში.

„ახლა როგორღაა?“ იკითხა კორინთელმა და წამოდგა.

„ახლა რაღა გითხრათ? ტრომბოფლებიტთან გვაქვს ჩემო კარგო საქმე. გარდა ამისა, საშვილოსნოს შეკუმშვაც საგრძნობია“...

„ტრომბა!“ გაიმეორა ზარდაცემულმა კორინთელმა, ამ სიტყვებისგან წარმოშობილი შიშის შემსუბუქებას ამაოდ შეეცადა პროფესორი.

ისიც შენიშნა ჭირისუფალმა, რა გულისტკივილით წარმოსთქვა მან ეს საშინელი, ტყვიასავით მძიმე და სატევარივით დაუზოგავი სიტყვა...

კორინთელს მუხლები მოეკვეთა, იგი საწერ მაგიდას წაეპოტინა ცალი ხელით და სკამზე დაჯდომა ძლივს მოასწრო, საფეთქელში სიმწრის ოფლის გამოჟონვა შეიცნო, თვალების თეთრონებში აცეკვდნენ თალხი ბურთულები...

*
* *

სუსქიას გადარჩენის იმედი მაშინ მიიწურა კორინთელის გულში, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორმა შუშანიამ საუზმეზე უარი სთქვა, გაკვრითაც არ დაპირებია მანქანის გარშემო მოგროვილ ჭირისუფლებს თუ როდის აპირებდა ისევ გამოვლას.

* * *

იმ დღეს სუსქიას თითქმის დაკარგული ჰქონდა ცნობიერება, დღედაღამ სასთუმალთან უჯდა კორინთელი თავის საყვარელ ცოლს და მისი დაღეული სახის ყოველი კუნთის შეტოკებისას გრძნობდა თუ რა გმირულად ებრძოდა იგი იმ სატანჯველს, რომლის სახელი ავადმყოფმა თავათ არ იცოდა.

პატარა როსტო, რომელიც აქამდის უჩვეულოდ ჩუმი იყო და კეთილი ზნისა, უცნაურად შეიცვალა, განერვიულდა, თითქოს ცნობიერება მოკლებული ჩვილი ქვეშეცნეულად გრძნობდა თუ რა მწარედ ებრძოდა სიკვდილს მისი საყვარელი დედა...

როსტოს წაართვეს დედის თეთრი, მშვენიერი ძუძუები, მათი მარჯნისფერი, წამახული კერტები და მოჰგვარეს ერთი ბელეშა, გაჩეჩილი დედაკაცი, რომელსაც მეჭეჭებიანი, ყვითელი ძუძუები ჰქონდა...

ბალღი ჯერ გაიბრძოლებდა, თავისი პაწია, ვარდისფერი თითებით უპირებდა მათ მოშორებას და როცა ძიძა მიეძალებოდა, პირში ჩასჩრიდა დაჩუტულ ძუძუს, ხარბად მოეკიდებოდა ზედ და გამალებული სწოვდა სანამ კულისრევა არ წამოუვლიდა.

* * *

ორ დღეს უგრძნობლად იყო მელოგინე. უეცრად როსტოს ტირილმა გამოაღვიძა, ხელები ვერ გაუწოდა შვილს, მხოლოდ ეს გაიფიქრა:

„მშვიდობით, ჩემო სიცოცხლევ“.

მერმე ძიძას შეხედა გაოცებულმა, გაუკვირდა: ვინ არისო ეს გაჩეჩილი დედაკაცი?

ავადმყოფს სიზმარი ეგონა ეს ყოველივე და თვლემამ წაართვა ცნობიერება კვლავ. საღამო ხანს სულ ბოლომდე წუთს თვალგახელილი იწვა, მხოლოდ ეს-ღა ჰკითხა მამიდა თეკლას:

ავთანდილის წერილი ხომ არ მოუტანიაო გეოს?

ეს მოხდა შაბათ საღამოს. მეორე დილით ისევ გაახილა თვალი, იქვე მჯდარ ქმარს უცქირა, უცქირა, ერთადერთმა ცრემლმა გამოჟონა მის თვალის თეთრონიდან. წამოცოცდა, წამოცოცდა ეს ცრემლი და როცა მან ღაწვისთავამდის მიაღწია, ეს უთხრა კორინთელს:

„ხომ არ შეგჯავრდი, ვახტანგ“?

„რაში მატყობ, რას ამბობ, ძვირფასო?“

„აბა რად მიზიხარ ასე შორს? ახლოს მოდი ჩემთან“.

„ძლიერ ცხელა, მეშინია არ შეგაწუხო“.

„მოდი“...

კორინთელმა ლოგინთან მისწია სკამი.

„იცოდე მე სულ მალე მოვკვდები ვახტანგ.

შენ ცოლი შეირთე, ცოდვა ხარ მარტოკა, ოღონდ, როსტო არ დამიჩაგროთ, იცოდე, მხოლოდ ამას გთხოვ...

სთქვა და თვალები დახუჭა, ახლა უკვე ლაპალუპით წამოვიდნენ მისი უმანკო ცრემლები. ისინი მოცოცავდნენ ღაწვისთავებზე.

ვახტანგი ცხვირსახოცით უშრობდა ცრემლებს. მერმე თვალების გაუხელელად წარმოსთქვა წყვეტილი სიტყვები ავადმყოფმა:

„იცოდე ვახტანგ... შენს ბაღში დამმარხე... იქ, უნაბის ქვეშ, გესმის... დეე, როსტომ და ბიჟინამ იბაკუნონ ჩემს საფლავზე“...

ვახტანგმა შუბლზე აკოცა და უთხრა თვალდახუჭულს:

„ნუ ეძლევი შავნაღვლიანობას, სუსქია. სიცოცხლისათვის იფიქრე, პროფესორი შუშანია მოვა და ისევ გადაგარჩენს“.

სუსქიამ ხმა არ გაიღო. ჩუმად, ჩუმად სტიროდა მხოლოდ...

* * *

უკანასკნელ დღეებში ეს აიჩემა ავადმყოფმა:

ღამურები დაფრინავენ ოთახში, თმებში არ მეცესო ღამურა.

ერთი ორი ღამურა მართლაც შემოდიოდა მწუხრისას სასადილო ოთახში, ტრიალებდნენ ლჟუსტრის გარშემო და ისევ მიაშურებდნენ ბაღში გალურსულ ჩრდილებს...

კორინთელი ამაოდ წავიდა თელავს, მეტალიური ბადეების სასყიდლად.

ცხელოდა იმ დღეებში, ფანჯრების დაკეტვა არ ივარგებდა, ისედაც სული მეხუთებაო, ჩივოდა ავადმყოფი. სხვა გზა აღარ იყო, მაია და თეკლა პირსახოცებით უქშენდნენ ღამურებს.

ხანდახან არავითარი ღამურა არსად იყო, მაინც სწუხდა ავადმყოფი: ღამურებით გაივსოვო ოთახი.

ერთ ღამეს ეზმანა სუსქიას: აივანზე ამობოტდა გეო, შავი ჩანთა კისერზე ეკიდა. მიქელ გაბრიელს ჰგავდა, ბნელი და გრძელი ფრთები გამოსხმოდა მხრებზე.

მოიყუდა გეომ თითფერის გრძელი საყვირი პირზე და დაიქუხა:

„მოჰკლეს კაპიტანი, ავთანდილ მინდელი“.

სუსქიამ ისევ იტირა და წაერთვა ცნობიერება.

უკანასკნელ დღეს ირმის ბლავილმა გამოაღვიძა უთენია. ჯერაც ჩრდილები არ გაყროდნენ ხეებს. ფანჯრიდან ხედავდა იგი ქარვის მტევნებს, რქათამამ ვაზებზე დაკიდულთ, ლალის ნაყოფებიან უნაბს, ლოყებწამოწითლებულ ატმებსა და ნაგვიანევ ვარდებს. გველისხე წითელ-ყვითლად ღვივოდა ქარაფის კიდეზე.

ღამე ნათევი თეკლა და ვახტანგი თავშექცეულად იწვნენ შეზლონგზე და ხვრინავდნენ...

ბიბლიოთეკა

ქარაფზე გადამდგარიყო ფურირემი და საწყალობელად ბღაოდა...

* * *

ავადმყოფს მოეჩვენა: საძილო ოთახში შემოფარფატდა ღამურა, განა თუ ერთი, ათასზე მეტი. თავდალმა დაეკიდნენ ბროლის წილამურებს ლჟუსტრისას. რაწკუნებდნენ წილამურები, თავქვე დაკიდული ღამურები ახამხამებდნენ შავ ფრთებს, წივოდნენ და უხმობდნენ უკვე ჩრდილეთში გაპარულ ღამეს...

მერმე აგრე ეგონა სუსქიას: ღამურები მოეშვნენო ლჟუსტრის წილამურებს და კვრინჩხივით შემოეწყვნენ მის დაგრაგნილ ნაწნავებს.

ღამურები, რომელნიც მძინარე მტრედებსა და შველებს სისხლს გამოსწოვენ ხოლმე...

ერთი შეკივლა გულისწამღებად სუსქიამ: მიშველეო, ვახტანგ, და როცა დაფეთებული ვახტანგი და თეკლა თავზე წამოადგნენ, მას უკვე გაყროდა სული...

ისიც შენიშნა ჭირისუფალმა: სისხლში ცურავდა მიცვალებული.

ამ წუთში მოაგონდა კორინთელს ბედნიერება, რომელიც ზღვის მედუზასავით სისხლად დაიქცევა ხოლმე ხელის შევლების უმალ.

ვახტანგ კორინთელმა დაკრიფა თავის ბაღში შემორჩენილი უკანასკნელი ვარდები და როგორც ქორწილის დღეს, თავზე გადააყარა მინდელის ქალს. ასე რომ პირალმა მწოლარეს მოუჩანდა მხოლოდ შუბლი და თავის გარშემო შემოგრაგნილი ნაწნავები.

ისინი უკვე აღარ მოაგონებდნენ კორინთელს საამურ ფერს ალისას, რომელსაც ცეცხლშემოგზნებული წალამი ვაზისა გამოსცემს ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## In karzere et tenebrae [1]

„ყელზე მოგეხვევით მილიონებო“

**ფრიდრიხ შილლერი**

„„მე მადლობას ვუძღვნი განგებას, რომ თვალებზე არ ამაფარა ის ნიღაბი, რომელსაც მეცნიერული განათლება ეწოდება. მე შევძელი მრავალი მიამიტური ცთომილება თავიდან ამეცილებინა. ახლა უკვე თავათ ვიმკი ჩემივე მიღწევების ნაყოფს.

მე ვუახლოვდები ყინულისებრი თვითდამშვიდებით ყველაფერს და ამას ჩავდივარ, ყოველივე ცრურწმენის გარეშე.

განგებამ ასე განაწესა რომ მე უნდა გავხდე უდიდესი განმათავისუფლებელი კაცობრიობისა.

მე ვანთავისუფლებ ადამიანებს გონიერულად თავშეკავების ართახებისაგან, რასაც აქამდის შეკოჭილი ჰყავდათ ისინი. ვანთავისუფლებ მათ ბინძური და გამხრწნელი თავდამცირებისაგან, რომელსაც განიცდის პიროვნება იმ ქიმერისაგან, რასაც სინიდისსა და მორალს ეტყვიან ხოლმე.

ვანთავისუფლებ ადამიანებს თავისუფლებისა და პირადი დამოუკიდებლობის მოთხოვნილებისაგან, რადგან ეს ყოველივე მხოლოდ ზოგიერთებს ძალუძთ აიტანონ.

ქრისტიანულ დოქტრინას ადამიანური სულის უსაზღვრო მნიშვნელობის შესახებ არსებულს, მე უშეელებელის გარკვეულობით დავუპირისპირე მესსიანური დოქტრინა ცალკეული პიროვნებისა და ნაციის არსებობის უმნიშვნელობისათვის, ხოლო იმ დოგმას, რომელიც შეეხებოდა მოყვასისათვის თავგანწირვას და მაცხოვრის ხელით მოკვდინების ამბებს, პირისპირ შეეხეჩა დოგმა ახალი ლიდერისა და სჯულმდებელის გამო, რომელიც მის წინაშე თავმოდრეკილ მასსებს ანთავისუფლებს თავისუფალი ნების კირთებისაგან“.

**შეშლილის წერილებიდან (იგულისხმება ჰიტლერის „შავი და თეთრი მაგია“).**

„რეხტს, რეხტს, რეხტს“ [2] ყვიროდა ქინჩგასუქებული, ჯუჯა ვახტმაისტერი, რომელსაც მარჯვენა მხარზე სვასტიკა ჰქონდა ამოქარგული და უშველებელი, პრუსსიული ხმალი ეკიდა წელზე. ინდოურივით გაფხორილი მისდევდა რაზმეულს, რომელიც შეწკიპული ავტომატებით მიერეკებოდა სამხედრო ტყვეების ეშელონს.

ყურებდაცქვეტილი გერმანული მგელძაღლები ფეხდაფეხ მისდევდნენ „ესესელებს“, გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ ტყვეებს.

დაფდაფების ბრაგუნი ისმოდა და ჩექმებიანთა რიტმიული მარში. ტყვეები თოვლში იყვნენ ამოგანგლული.

განაწამები სახეები და დათოვლილი ფარაჯები ისეთ იერს აძლევდნენ მათ, თითქოს ცოცხალი ადამიანები როდი ყოფილიყვნენ ისინი, არამედ თეთრად შესუდრული სულების ხროვა.

გარეუბნის შეკოლიკებულ, დაბალ სახლებს შორის სამიჯნო ჯვრებივით აღმართულიყვნენ ყორნებით დახუნძლული სატელეგრაფო სვეტები. ამ ფრინველების გულისწამლები ყრანტალი ისმოდა მხოლოდ უკაცრიელი დაბის ქუჩებზე.

კვერცხის ყვითელივით მზე ისე ულიმღამოდ ანათებდა ალუმინის ცაზე, თითქოს ზეციერი მნათობი როდი ყოფილიყო იგი, არამედ რომელიმე უნიჭო მხატვრის მიერ დაღლაბნილი სურათი.

„ჰალტ“ [1] დაიჩხავლა ვახტმაისტერმა. ეშელონმა შეანელა ფეხების რიტმიული ბაკუნი, ბოლოს ერთბაშად შესწყდა.

შავადშელებილ ჭიშკრის თავზე უკვე მოსჩანდა მშვილდებრ გადარეკილი მიხაკისფერი არკა, რომელზედაც ეწერა „K.L. 13.37. საგანგებო დანიშნულების ლაგერი“.

შავი ჭიშკარი გაალეს ხმალამოწკდილმა ვახტერებმა. ახმახი, მწითური ოფიცერი გამოვიდა. მას ორდენების მთელი კანკელი ჰქონდა მკერდზე.

„ახტუნგ“ [2] დამდუღრულივით იყვირა ვახტმაისტერმა, სამხედრო სალამით

---

[1] In karzere et tenebrae — საპყრობილესა და წყვდიადში.

[2] „რეხტს“ მარჯვნისაკენ.

---

[1] „ჰალტ“ — სდექ, შესდექ.

[2] „ახტუნგ“ — სმენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოს მიეჭრა ჭიშკრიდან გამოსულს და უპატაკა:

„ჰერრ კომენდანტ! ეშელონში სამასი სამხედრო ტყვეა, ასოცი ურია, სამი გაურკვეველი ტომის აზიატი, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნებისანი“.

როცა სამხედრო ტყვეები ლაგერის კონტორაში სარეგისტრაციოდ შერეკეს, ვიწრო დერეფნებში დაიშალნენ მწკრივები და ნაირნაირ ენების ბგერები გახმიანდნენ ირგვლივ.

ეს კონცლაგერი მოთავსებული იყო გაუქმებული ქარხნის ტერიტორიაზე. ეკლიანი მავთულით სამკეცად შემორაგვულ ეზოში ფანჯრებჩალეწილი მთავარი კორპუსი იდგა, მის ირგვლივ თვალსაწიერამდის მოსჩანდნენ ასევე გაპარტახებული შრამელები, მინაშენები.

ეკლიან მავთულებით დახლართული ღობეების გაყოლებით მგლის ორმოები გაემართათ და მათ კიდეებზე ესესელები და მათი მგელძაღლები დადიოდნენ დღისით და ღამით.

ყოველ ას ნაბიჯზე გოტური ეკლესიის გუმბათივით წვეტწამახული საყარაულო კოშკები იყო, ყოველ კოშკში ტყვიამფრქვევი იდგა და მათ ლაგერის მთავარ კორპუსისაკენ მიშვერილი ჰქონდათ ლულა.

„წიკლაური...“ იყვირა რეგისტრატორმა და ფანჯრის თავიდან გამოჰყო მოტვლეპილი თავი. წიკლაური ჯერაც არ იყო ფანჯრის თვალამდის მისული, ამ გვარის გაგონებაზე დერეფნის ბოლოდან დაიძრა გამხდარი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ბრბო გაარღვია და უკან დაუდგა წიკლაურს. როცა მან საქმე მოათავა, პირისპირ შეეხეჩა გამობრუნებულს და გადაეხვია.

„გოდერძი შენა?“ წამოიძახა შეცფუნებულმა წიკლაურმა და თავათაც სამკზის აკოცა მეგობარს.

„შენ აქ საიდან გაჩნდი, შიოლა?“

„ოსვენციმიდან. გზაში ორჯერ წოგკარი თვალი, მაგრამ ისე გამოცვლილხარ, ველარ გიცანი. ბოლოს თქვენს ვაგონში მოსვლა მინდოდა, აღარ გამომიშვა ვახტმაისტერმა“.

„ჩვენი ბიჭები ხომ არ მოყოლიან ამ ეშელონს სხვანი?“ იკითხა გოდერძიმ.

„ხირჩლა ოჩიაური იყო მახლობელ ვაგონში, დამაცა, ეგებ მოგიძებნო“. სთქვა წიკლაურმა და ბრბოში გაერია.

გოდერძიმ ძლივს იცნო ოჩიაური. სადღა იყო ლოყებღაჟღაჟა, სიცოცხლის მოყვარული ხირჩლა? იგი დაკოჭლებულიყო, სკელეტს დამგვანებოდა... სიცილს გადაჩვევოდა.

„აქ რად მოგვათრიეს ამ ძაღლთა პირებმა, გოდერძი?“ შეეკითხა ოჩიაური.

„მე რა ვიცი, ჩემო ხირჩლა, რას გვიპირებენ ეს გარეწარები“.

„მომკლა ამ გაუთავებელმა წანწალმა ლაგერიდან ლაგერში, ზოგჯერ მე გავრბივარ, ხანაც ისინი დამათრევენ“. ჩიოდა ხირჩლა.

„მე და ხირჩლა სამჯერ გავიქეცით, მგელძაღლები მოგვისიეს, ხელტუკებით გვცემეს. ხირჩლას წვივები აქვს ესესელების ძაღლებისაგან დაჭმული“. სთქვა წიკლაურმა.

„ბარე დაგვხოცონ მაგ მწერელთ ტყვეებმა, მოვისვენებთ და ეგ იქნება“. წაიდუდღუნა ნაღვლიანად ხირჩლამ.

„შენ არა გშვენის ასეთი დაღრეჯილობა, ხირჩლა. რა გაეწყობა, სანამდის პირში სული გვიდგას უნდა ვიტანჯოთ, აგერ ნახავ. ჩვენ კიდევ გავიბრძოლებთ ერთს“. უთხრა გოდერძიმ და მხარზე დაარტყა ხელი.

ეზოში სიბინძურე და უწესრიგობა სუფევდა. აურაცხელი ტყვეების ტალღა მდორე მდინარესავით მიდგანდგარებდა. ყვირილი, ძახილი, ღიღინი ურთიერთში იყო არეული, ნაირნაირ ენაზე ნათქვამი სიტყვების ნაწყვეტები ისმოდა ირგვლივ.

მთავარი კორპუსის მთელ სიგრძეზე სარდაფიანი ეტაჟი იყო. თითქმის ყოველ კამერას ფანჯრები ჰქონდა ჩალეწილი. ჯვარედინ რკინის ხლართულებს გადაღმა ხელბორკილიანი ტუსაღების ზემოტანი-ღა მოსჩანდა.

სარდაფებში გამომწყვდეულებს ზოგს

ბორკილები ჰქონდათ ხელფეხზე ასხმული, ზოგს გიჟის პერანგი ეცვა, ზოგიც პირდაპირ ჯაჭვით იყო მიბმული კედელზე. მათი უწმაწური გინება, ხორხოცი და შიზოფრენიკული ხარხარი მთელს ეზოში ისმოდა.

„ეს რა სარდაფია?“ შეეკითხა წიკლაური წვეროსან ფრანგს, რომელსაც კრიალა, შავი ცილინდრი თავზე შერჩენოდა, ხოლო მხრებზე დასვრილი, დაკონკილი საბანი ჰქონდა წამოსხმული.

„ჰმ, აქ ამწყვდევენ გაურჩებულ ტყვეებს, ზოგჯერ გიჟებს, შიზოფრენიკებს, ხანაც სიმულჲანტებს, რომელთაც მუშაობა არ უნდათ და სიგიჟეს იგონებენ.

ხანაც ისეთ მოქალაქეებს, რომელთაც ჯაშუშობაში სდებენ ბრალს.

ეს უკანასკნელი სულ ადვილი საქმეა, თუ ვინმემ ფრანგული იცის, უეჭველად ფრანგების ჯაშუშადა სთვლიან, თუ იტალიური, მაშინაც საფრანგეთის შპიონად რატომღაც. მათთვის ყველა შპიონია ვინც მათი ჭკუის არაა.

ამ ეტაჟს „პურგატორიოს“ [1] უწოდებენ ტყვეები ხუმრობით, რადგან აქ მოხვედრილი ტყვეების ერთ ნაწილს ან გაზების კამერაში მოაშთობენ, ან პირდაპირ ხვრეტენ ავტომატით, ამას „ეგზეკუცია“ ეწოდება“.

განმარტა კითხულმა და განაგრძო ბოლთასცემა სარდაფების გასწვრივ.

ამ სართულის მთელს სიგრძეზე უწესრიგოდ ეყარნენ წყობიდან გამოსული მანქანების აგრეგატები, გაუქმებული მოტორები, ამწევი კრანების ნაწილები, თუჯის როფები და გეჯები, ურთიერთზე შეკოლიკებული რელსები, თვითმფრინავების პროპელერები და ალჲუმინის ყუთები, პირაღმა გადაბრუნებული ავტოები.

კარცერების ფანჯრებთან სასეირნოდ მოსულნი ამ საგნებს „ლოჟებად“ იყენებდნენ, თუმცა ლაგერის ადმინისტრაცია უშლიდა ამას.

ჩამოსხდებოდნენ ზედ და შესცქეროდნენ ამ „უფასო სპექტაკლებს“, რომელთა მსახიობებად თავი მოჰქონდათ ამ სარდაფებში დაბმულ და დაბორკილ ტყვეებს.

„Janette J love Iour“ [1] როხროხებდა ვიღაც მელოტი ინგლისელი.

„ვახტმაისტერ ვალტერ თუ ვაჟკაცი ხარ აქ ჩამოდი, ამ ბორკილებით გაგიტეხავ თავს, შე გერმანელო ღორო“. ყვიროდა ფრანგი პილოტი.

„რალფ, რალფ, რალფ, სადა ხარ, სადა? შენს ღვთისმშობელს... შენს წმინდანებს... რალფ შე მოღალატევ, ფაშისტების შპიონო, თუ აქედან გამოვძვერი შენს ნაწლავებს ისე დავახვევ ჩემს ფინურ დანაზე, როგორც მოხარშულ მაკარონს ჩანგალზე. რალფ, რალფ...“

ღრიალებდა ნიდერლანდურად შავგვრემანი ვაჟკაცი, ფანჯრების წინ მოგროვილთ უთვალთვალებდა. კბილებს აკრაჭუნებდა, რკინის ხლართულს ეჭიდებოდა, მაგრამ არსად სჩანდა რალფ.

„ლე ბოშ, ლე კოშონ...“ [2] ყვიროდა ვიღაცა ფრანგულად...

„საკრამენტო“, „საკრედიაბლ“, „დონერვეტერ“, „ფუ“, „ტოლლ“[3]. მრავალი ენის საძაგებელი სიტყვები ისმოდა ამ სარდაფებიდან.

ბორკილიანი ტყვეები ისე უწმაწურად აგინებდნენ ღვთისმშობელს, როგორც მთვრალი პოლიციელი აბეზარ კახპას.

ლოყებღაჟღაჟა ელზასელი, რომელსაც მხოლოდ ფეხებზე ჰქონდა ბორკილები, ნამჯით სავსე თუჯის გეჯაში ჩამჯდარიყო და ისე კრიახობდა, როგორც ეს კვერცხის დადებისას სჩვევია დედალს. სამი გამურული ბიჭი იქვე ჩაცუცქებულიყო, ერთი მამალივით ხორხოცობდა, დანარჩენები დედლებივით კაკანებდნენ.

ამ კონცერტის გამგონე თუ სარდაფში არ ჩაიხედავდა, მართლაც ეგონებოდათ ქათმები სდებენო კვერცხებს.

სარკმლებიდან არ მოსჩანდნენ, თო-

---

[1] პურგატორიო — სალხინებელი.

[1] ჟანეტ მიყვარხარ.

[2] გერმანელები, ღორები, „ლე ბოშ“ კომბოსტოს თავებს ჰქვია.

[3] საკრამენტო და სხვა წყევლა ფრანგული, იტალიური. ფუ-ვიეი.

რემ სხვანიც ეწეოდნენ ამგვარ საქმიანობას. ზოგი ბულბულივით უსტვენდა, ზოგი ჭოტს ბაძავდა, ზოგი გუგულს, ზოგი ისევე იძახოდა, როგორც ხილის გამყიდველებს სჩვევიათ იტალიის სამხრეთში.

ზოგი საპიპინებელს აფშვიტინებდა და მოსეირეთ მოაგონებდა იმ მემწვანილე დედაკაცებს, რომელნიც ასეთი საპიპინებელით უხმობენ ხოლმე თავიანთ მუშტრებს, მრავალსართულიან პარიზულ სახლების ეზოებში.

პერანგშემოფხრეწილი, თმაგაბურძგვნილი პოლონელი მოადგა რკინის ხლართულს. ფანჯრის გასწვრივ მოსეირნე საბანწამოსხმულ ცილინდრიან ფრანგს პაპიროზი სთხოვა.

ხმა არ გასცა ფრანგმა.

„შენ ჰეჲ, სქელო, ბორდელის დირექტორი ხომ არა ხარ ამდენს რომ ფიქრობ?“ ფრანგულად მიაძახა პოლონელმა.

საბნიანი ფრანგი სულ ახლოს მივიდა რკინის ხლართულთან და პირდაპირ თვალებში შეადუჟა თმაგაბურძგვნილს.

პოლონელი რკინის ხლართს ეცა ამაოდ, „პშაკროვ“ — ძაღლის სისხლო, მიაყოლა ცილინდრიანს.

უწვერული, ქალაჩუნა შვეიცარიელი ბიჭი გრეტხენის მონოლოგს მღეროდა ჰუნოს ფაუსტიდან:

„Meine Mutter eine Hur

. . . . . . . . . . .

Mein Vater ein Schelm[1]

ვიღაც ქერა იტალიელი დანტეს ტერცინებს გალობდა.

Per me si va citta dolenta
Per me si va nell' eterno dolente
Per me si va la perduta gente“[2].

როგორც ჯოჯოხეთში ვირგილიუსი, ისე უძღვებოდა წიკლაური თავის მეგობრებს.

ფრანგებს, რუსებს, ინგლისელებს, ბელგიელებს, პოლონელებს, ჰოლანდიელებსა და ელზასელებს ეკითხებოდა: თავისუფალი ნარები ხომ არსად გეგულებათო?

„სად მივდივართ, შიოლა?“ იკითხა ოჩიაურმა. „თავისუფალი ნარები უნდა ვიპოვოთ სადმე, ხომ ხედავ ჭერეხებივით ჩაწოლილია ყოველგან ხალხი“ მიუგო წიკლაურმა.

მეგზური დაიქანცა, უკვე ველარ იკვლევდა ტყვეებით დახორგილ დერეფნებში გზას.

ახლა გოდერძი წავიდა წინ, ტყვეებს ნარები არა ყოფნიდათ, ზოგი იატაკზე დაყრილ ნამჯაზე იწვა, ზოგს დასაჯდომიც აღარა ჰქონდა, კედელზე აყუდებული სთვლემდა.

გაავებულნი იცინოდნენ, სტიროდნენ, მღეროდნენ, ყვიროდნენ, ღვთისმშობელ მარიამს ისე აგინებდნენ, როგორც მთვრალი პოლიციელი ქუჩის კახპას.

ვიღაც ჭიანურს უკრავდა ზემოთა ნარზე, მცირეწლოვანი ყმაწვილები დამალულობიას თამაშობდნენ, დაშლიგინებდნენ ამ ენა აღრეულ ბაბილონში.

«Володя стукач[1], ты сука, я доберусь до тебя и выпотрошу как селедку...»

ყვიროდა წვერგრძელი, მხარბეჭიანი რუსი, სავსებით ბნელ სარდაფში.

ვიღაც საამური ხმით მღეროდა:

...„როცა ხეები კვირტს მოისხამენ,
ტოროლა ავა წკრიალით ცაში,
სინათლე იასძლევს მაშინ სილამეს,
ალვის შტოებში ატყდება ტაში,
როცა მერცხლები ისევე მოვლენ,
თქვენ ნახეთ მაშინ, თქვენ ნახეთ მაშინ!!...

რაც უფრო წინ მიდიოდნენ მით უფრო საგრძნობელი ხდებოდა აურზაური, ღრიანცელი, უსუფთაობა. კვერცხის ნა-

---

[1] დედაჩემი კახპაა,
მამაჩემი ეშმაკი.

[2] ჩემგან მიდიან ტანჯვის ქალაქში,
ჩემგან — იწყება უსაზღვრო. სევდა
ბნელი სამყარო სულწაწყმედილთა.
(დანტე „ჯოჯოხეთი“ ქება III.)

[1] „სტუკაჩ“ რუს. ჟარგონული სიტყვაა, ასე უწოდებენ გაჯაშუშებულ ტუსაღს, ან ტყვეს, ადმინისტრაციასთან დაკავშირებულს.

ჭუჭები, პაპიროზის ნამწვავები, პურის ქერქები, კონსერვის ცალიერი კოლოფები ეყარნენ იატაკზე ირგვლივ.

წიკლაურმა შენიშნა: გოდერძის დანახვაზე ვიღაც მაღალმა ქერა კაცმა გაარღვია ბრბო, გოდერძის წამოეწია, შემოაბრუნა იყვირა: „ელანიძე“ და გადაეხვია.

„ბურჟინსკი შენა?“ წამოიძახა გახარებულმა გოდერძიმ და თავათაც აკოცა ყვრიმალში მას.

„ამას რას ვხედავ, მე ჯერ მოჩვენება მეგონე, ცოცხლებში არ მეგულებოდი“. სთქვა ბურჟინსკიმ და მერმე ზედიზედ მიახალა კითხვები გოდერძის:

„რომელი ლაგერიდან;

როდის? ხომ არ იცი რად მოგვიყვანეს?“

მაიდანაკიდან.

დღეს,

ვინ იცის რად მოგვიყვანესო.

„ადგილი თუ გაქვთ? „შეეკითხა ბურჟინსკი. ჩემი კამერიდან ბარე ოცი კაცი წაიყვანეს ეგზეკუციაში. საშინელი სურათები ვნახეთ. ზოგი ლოცულობდა, ზოგი ტიროდა, ზოგი ხარხარებდა“.

ნახევარი საათის განმავლობაში მიდიოდნენ დახორგილ დერეფნებში ოთხნი...

„აჰა, აქ მოდით ბიჭებო; სთქვა ბურჟინსკიმ და თავის ნარზე მიუთითა. მოპირდაპირე ნარებზე თერთმეტი შავწვერა, შავკოსტჰუმიანი და ერთი თეთრწვერა მოხუცი სდუმდნენ, მხოლოდ იშვიათად გადაუგდებდნენ ხოლმე ერთიმეორეს თითო სიტყვას. გულხელდაკრეფილნი ისხდნენ.

საერთოდ ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქოს სეირის საყურებლად ყოფილიყვნენ ამ ლაგერში მოწვეულნი.

„ესენი ებრაელი რაბინებია“, ხმადაბლა უთხრა ამხანაგებს ბურჟინსკიმ. ფაშისტებმა იხმეს თურმე ეს უბედურები.

გამოუცხადეს: ჩვენ პატივსა ვცემთ თქვენს რელიგიას. ამა და ამ დღეს გამოცხადდით. იერუსალიმს გაგგზავნით. ოღონდ დიდი ბაგაჟი არ წამოიღოთ, გემზე ადგილი არ გვექნებაო ამდენი.

ეროვნული

შეგიძლიათ ოქრო-ვერცხლი და ვალდუტა წამოიღოთ, რადგან საზღვარს რა გადახვალთ, ჩვენი ფული არ გამოგადგებათო.

რაბინები ისევე მოიქცნენ, როგორც უბრძანეს, ბოლოს ყველაფერი წაართვეს და იერუსალიმის ნაცვლად აქ მოიყვანეს“. ყველამ დუმილით უპასუხა ბურჟინსკის ნათხრობს.

*

* *

ბურჟინსკიმ წეკო მიაწოდა თავის სტუმრებს და გოდერძის მიუბრუნდა:

„მე დამნაშავე ვარ შენი მეუღლის წინაშე... მას შემდეგ, რაც ჩვენი კონტრდაზვერვის ცნობა მოვიდა შტაბში, ყოველ კვირას მიგზავნიდა შენი მეუღლე შეკითხვას. ბოლოს იძულებული გავხდი მიმეწერა: დაგვეღუპა მეთქი“.

ბურჟინსკიმ შენიშნა: გოდერძი გაფითრდა, მაგრამ მღელვარება დაიოკა. ბურჟინსკიმ შთაბეჭდილების შესარბილებლად სთქვა:

„სხვათა შორის აქ მეზობელ კამერაში თქვენი თანამემამულეა ერთი, მწითური კაცი. იგი საერთოდ გაოგნებული დადის. ხმას არ იღებს“. სამივენი გაჰყვნენ მეზობელ კამერაში ბურჟინსკის.

„გულუხაიძე!“

იყვირა გოდერძიმ. ნარზე მწოლარე დაფეთებული წამოვარდა.

„სიზმარია თუ სიცხადე?“ წამოიძახა და სამივენი გადაკოცნა.

კამერაში დაბრუნებულებს ლოცვად დამდგარი დაუხვდნენ რაბინები.

„ამ საწყლებს აგრე გონიათ, აქ ლოცვას და მოსვენებას დაანებებენ“. ესა სთქვა ბურჟინსკიმ და ვახტმაისტერის ჩხავილი გაისმა:

„სად არის ამ კამერის მამასახლისი?“

აქა ვარო.

მიუგო ბურჟინსკიმ.

„წუხელ კანალიზაციის მილები გახეთქილა, მოიტა ის თორმეტი რაბინი“.

რაბინები თავჩაქინდრულნი გაჰყვნენ ვახტმაისტერს.

„იცოდეთ, ბიჭებო, არ გაამხილოთ ქართველები რომა ხართ, თორემ სტალინის ჯავრს თქვენზე ამოიყრიან. თუშები ვართ-თქო ასე უთხარით. გარდა ამისა, ადმინისტრაციას მრავალი ჯაშუში ჰყავს ისევე ტყვეების წრიდან.

ფაშისტების გინებას მოერიდეთ. საერთოდ გულს ნურავის გაუხსნით. რად გინდათ ზედმეტჯერ გათრიონ კარცერში". აფრთხილებდა ქართველ მეგობრებს ბურჟინსკი.

„ჩვენ სულ ასე ვწერთ ანკეტებში" სთქვა წიკლაურმა.

„ცივი იარაღი თუ გაქვთ, გადამალეთ ყოველ კვირას ჩხრეკაა აქ".

„იარაღი მომცა მაგათ დედას ვუტირებდი". ნაღვლიანად ამბობდა ხირჩლა ოჩიაური.

„შენ როგორ ჩაგიგდეს მაგ ძაღლებმა ხელში?". ჰკითხა ბურჟინსკიმ გოდერძის.

„მე პილაუს ვბომბავდი. სამი მესსერშმიტი გამომიდგა. პროპელერი დამიმსხვრია ტყვიამ. იძულებითი დაჯდომა მომიხდა.. სამ თვეს გვმალავდა მე და ბორტმექანიკოსს ერთი პოლონელი მეთევზე.

ბოლოს სილეზიას წავედით. იქიდან კოვპაკის პარტიზანულ პოლკს უნდა შევერთებოდით. საქონლის ვაგონში გვმალავდა ერთი სილეზიელი კონდუქტორი.

ერთ ღამეს წყლის დასალევად ჩავედით. წყლის გამყიდველმა ქალმა გესტაპო [1] დაგვაყენა თავზე.

ცოსენში ჩაგვიყვანეს. იქ ტიფი ატყდა, კარანტინში ჩაგვაგდეს. კარანტინიდან გავიქეცით.

ტყეში ვიმალებოდით, ნაყარ ხილსა და მცენარეთა ბოლქვებს ვჭამდით. დღისით ტყეში გვეძინა, ღამე კომპასი გვეჭირა. მივდიოდით პოლონეთის მხარეს.

ერთხელ ღამის პატრულს შევეხეჩეთ. მექანიკოსი მომიკლეს, მე მკლავში დამჰკრეს. ორივემ სამნი საიქიოს გავისტუმრეთ.

მერმე მაიდანეკში წამათრიეს საკაცით. წყლით სავსე კასრებში ჩამაგდეს ხელებშებორკილი. ბედად წყალი არ გაიყინა და გადავრჩი..."

ახლა ბურჟინსკიმ სთქვა.

„მე და სამი სერჟანტი მტრის ზურგში გადაგვსხეს პარაშუტით ჩვენებმა... რკინიგზის ლიანდაგი ავყარეთ სამ ადგილას. ბოლოს ერთ ჭაობში მოგვიმწყვდიეს, ჯერ ძაღლები მოგვისიეს. დავხოცეთ ძაღლები, ახლა თვითონ გვეცენ ესესელები, ბარე შვიდს გავუხვრიტეთ კეფა, მერმე ის იყო, სერჟანტები დამიხოცეს და მე თავში დამჰკრეს. ერთი კვირის შემდეგ დახაუს ლაგერში გამომეღვიძა".

გულუხაიძე გავიდა მეზობელ კამერაში და ბენდელიანი შემოიყვანა.

„ოსვენციმში სამი ათასი ტიფიანი დახვრიტეს, „სანიტარული მოსაზრებით", მე მესაფლავე ვიყავი, რკინის გორგოლაჭებით დავათრევდი მკვდრებს და ვმარხავდით..." ამბობდა ბენდელიანი.

„მე მესაფლავეც ვიყავი და ცხედრების ექსპედიტორიც". სიტყვა ჩაურთო გულუხაიძემ. გორგოლაჭები და ვაგონეტები მოგვცეს. ასე ვეზიდებოდით სარდაფებში დახვრეტილებს, „საგაზო მანქანებში" მოშთობილებს, ჩვენსავე ამხანაგებს გვამარხვინებდნენ ტყეში.

ერთ ღამეს საშინელი მერეხი ატყდა. ვიდროვე, ბუჩქებს ამოვეფარე, მოვუსვი. სეტყვასავით დამაყარეს ტყვიები, მაინც გადავრჩი. ერთ პოლონელ დედაბერს შევეკედლე. ერთ თვეს შემინახა. ავად გახდა, კვდებოდა. დამეღრიჯა: ქსენძი მომიყვანეო. სწორედ იმ წვერძალლმა ხუცესმა დამიჭირა. შეეშინდა მოგზავნილი არ იყოსო და გესტაპოს ჩამაბარა".

წიკლაურმა უფრო საშინელი ამბები წამოიწყო:

„მე პირველად იანოვსკის ლაგერში მოვხვდი. იქ იყო ცნობილი სიკვდილის ფაბრიკა. საგანგებო კურსები ჰქონდათ

[1] „გესტაპო" — ფაშისტების პოლიცია...

მოწყობილი. კურსანტებად მარტო ოფიცრებს იღებდნენ. ცხედრების დაწვას ასწავლიდნენ და მათი ძვლების დაფქვას.

ვინმე პოლკოვნიკი შაილოკი განაგებდა ამ საქმეს. ადამიანების ძვლებისგან მიღებულ ფქვილს ნაყოფიან ხეებს უყრიდნენ".

„ჩვენ ლაგერთან ლაზარეთი გვაქვს. ეს არის ნამდვილი ჯოჯოხეთი. მისი უფროსია „შტაბსფელერერ, პროფესორი ფელიქს შტამლერი".

სთქვა ბურჟინსკიმ.

ამ გვარის ხსენებაზე ერთმანეთს გადახედეს ქართველმა ტყვეებმა და ბურჟინსკიმ განაგრძო:

„გიჟების იროდს უწოდებენ ამ პროფესორს. მისი წინადადებით 1942 წელს კიევის საგიჟეთში შეცვივდნენ ესესელები. ოთხმოცი გიჟი აწამეს. პროფესორი შტამლერი ხან ნავთს უშხაპუნებდა მათ კანს ქვეშ, ხან ბენზინს.

ქალებს საშოს უქრობდა მაღალი ვოლტაჟის ელექტრობით, ხანაც ჰაერისგან განტვირთულ კამერებში ჰყრიდა. ზოგს ფილტვები უსკდებოდა, ზოგი უარესად გიჟდებოდა.

ბოლოს განაცხადა შტამლერმა: „გიჟები არ ვარგებულანო საექსპერიმენტოდ. მერმე ის იყო, გაგიჟებული ესესელები შეცვივდნენ საგიჟეში, ავტომატებით ამოხოცეს რვაასი გიჟი. ერთი სიტყვით, მათი სადისტური პრაქტიკის წინაშე გახუნდა ყოველივე, რაც შექსპირსა და ედგარ პოს, სტივენსონსა და დოსტოევსკის დაუწერიათ გამხეცებული ადამიანის შესახებ.

„ოდესღაც მთელი ქვეყანა შეძრული იყო ჩინგისხანის მიერ ორიოდე კაცისთვის ტყავის გაძრობისაგან. ამ ლაგერებში ათასობით ტყვეს აძრობენ ტყავს". დასძინა წიკლაურმა.

„ამას წინად ამ ლაგერში მოღალატე ტყვეების დახმარებით შეადგინეს ორკესტრი. ვიღაც კომპოზიტორს, ისევე სამხედრო ტყვეს დააწერინეს „სიკვდილის ტანგო". როცა ეგზეკუციაში მიჰყავდათ ტყვეები ამ ტანგოს უკრავდნენ, ბოლოს ორკესტრანტები დახვრიტეს და ახლები მოიყვანეს".

ამბობდა ბურჟინსკი.

„ვაცეკის ლაგერში კომენდანტი იყო ერთი, ვინმე პოლკოვნიკი ვილჰაუზ, დაიწყო გულუხაიძემ. იგი ყოველ დილას სხვადასხვა სიმაღლის ტყვეებს გაიყვანდა და მათი დახვრეტით ავარჯიშებდა თავის მაუზერს.

ერთხელ მეც გამიყვანა. ოც ნაბიჯზე დამაყენა. სამჯერ მესროლა, სამჯერვე დამაცდინა. ახლოს მომეჭრა, დამტვრეული რუსულით მითხრა:

„ურია ხარო თუ ქრისტიანი?"

მე პირჯვარი დავიწერე.

ყოველი მონათლული ებრაელიც იწერსო პირჯვარს.

მე შარვალზე ხელი წავივლე. თუ ნებას მომცემთ, ბატონო კომენდანტო, ნამდვილ საბუთს გიჩვენებთ მეთქი.

გაეცინა. თავხედი ყოფილხარო მითხრა. მერმე ისევ მომიბრუნდა და მკითხა:

რა ეროვნების ხარო? განზრახ არ ვუთხარი ქართველი, თუში ვარ მეთქი.

ვერ გაიგო თუ ვინ არის თუში, თავი გააქნია და მითხრა: სულ ერთია ვინცა ხარ, ბედი გქონია, მე პირველად ვნახე კაცი, რომელსაც ტყვია დავაცდინე.

ერთხელ ნახერხის პურის ჯერში ვიდექით ბარე სამასი ტყვე. მოგვეჭრა, განრისხებულმა იკითხა:

„ვინ არის აქ პირველი!"

მე ვარო, მიუგო რაბინმა. განზე გაიყვანა და სამი ტყვია ესროლა. იმ დღეს ებრაელ ტყვეებში ხმა გავრცელდა: ებრაელებს უკრძალავენო წინა რიგებში დგომას. ახლა ჯერის უკანა რიგებში მოქუჩდნენ საცოდავები. მეორე დღესაც მოვიდა კომენდანტი ვილჰაუზი და იკითხა:

„ვინ არის აქ უკანასკნელი?"

მე ვარო უთხრა მოხუცმა ებრაელმა. ისიც გაიყვანა და სამი ტყვია მასაც დაახალა.

შენ ჰეჲ, წვერწითელავ, წაიღე სარდაფში ჩააგდეო ისინი. მიყვირა და გაგვეცალა".

ახლა ოჩიაური აპირებდა თავის თავგადასავლის მოყოლას.

„ახტუნგ!“

გაისმა ვახტმაისტერის ჩხავილი. ტყვეები ნარებიდან წამოცვივდნენ. დერეფანში გამოჩნდა ლაგერის კომენდანტი. მას თან ახლდნენ სამი ესესელი ოფიცერი და ორი ქალი, რომელთაც წითელი ჯვრის ნიშნები ჰქონდა მხრის თავებზე. კომენდანტმა ქორული მზერა მოავლო ახლადმოყვანილ ტყვეებს.

„სკელეტების კოლექციისთვის კარგი ეგზემპლარებია“, გადაუჩურჩულა მის გვერდით მდგარ მწითურ კაცს, რომელსაც ორდენების კანკელი ჰქონდა მკერდზე.

„რომელია მამასახლისი“? იკითხა მოღუშულმა კომენდანტმა.

მე ვარო, მიუგო ბურჟინსკიმ.

„ამაღამ დაჭრილი ტყვეების ეშელონი მოდის, სამასი კაცით გამოდი პერონზე“.

როცა ისინი წავიდნენ, ბურჟინსკიმ უჩურჩულა ქართველებს:

„ის ორდენებიანი, მწითური, ეგ არის ბიჭების იროდი — პროფესორი შტამლერი“.

*

* *

ათასი ტყვე უცდიდა გათენებამდის დაჭრილების ეშელონს. როცა დაპლომბილი ვაგონები გახსნეს, ათას ხუთასი ტიტველი ცხედარი სელდის კასრებივით ეყარნენ ერთიმეორეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგონეტებზე და რკინის გორგოლაჭებზე შეჰყარეს და მახლობელ ტყეში გააზიდვინეს ტყვეებს, როცა დაოსებული ქართველები ისევ კამერაში მოიყვანა ბურჟინსკიმ, თორმეტი რაბინი ლოცვად დამდგარიყო. მათი შავი ფრაკები და კოხტად დაუთოებული ლამპასიანი შარვლები ადამიანის ექსრამენტებში იყო ამოგანგლული, ყველაზე უფროსი ჟეთრწვერა ყანყალებდა და გალობდა:

...„და დაიპნეს სამოსელნი თვისნი და იტირეს ტირილითა დიდითა და დაისხნეს ნაცარნი თავსა ზედა თვისთა და დაემხვეს პირითა ქვეყანასა ზედა“. . .

დანარჩენი თერთმეტი სევდიანი ღიღინით ბანს აძლევდნენ უხუცეს რაბინს, გულისმომკვლელი ზუნი ისმოდა, ისეთი სევდიანი, თითქოს ისრაელის თორმეტი მუხლის ნათესავნი მისტირიანო იერუსალიმიდან მათი დეპორტაციის პირველ დღეს...

ნაშუაღამევს ხანგრძლივი ჩხრეკა მოაწყვეს ლაგერში, თუ ვინმეს რამე გააჩნდა, ყველანი დაძარცვეს. ქართველებს არაფერი აღმოაჩნდათ არც ჯიბეებში, არც მუყაოს ხელჩემოდნებში, მხოლოდ სოლომონ გულუხაიძეს უპოვნეს ამულეტი, რომელიც დივერსანტმა რუდოლფ შტამლერმა მიუგდო მას.

## „ბიჭების იროდი“

კონცლაგერში უკვე მოთავებული იყო გადათვლა. ბნელსა და გრძელ დერეფნებში ოდნავ ბჟუტავდა ელექტრონათურების ძაბუნი სინათლე. საბანწამოსხმული ტყვეები ლანდებივით დალოლავდნენ აქა-იქ.

უკვე შენელებულიყო ის დაუცხრომელი გნიასი, რომელიც დილიდანვე თან სდევდა ლაგერის მოუსვენარ ცხოვრებას.

ასეთ დროს დაშრეტაზე მიდგებოდა ხოლმე ადამიანური ენერგია და თვით კარცერებიდან აღარ ისმოდა ხელბორკილიანი ტყვეების, გიჟის პერანგებში გაქაჩული შიზოფრენიკების ხორხოცი.

ნარებზე ჰერეხებივით გაწოლილთა შორის ზოგი ხვრინავდა, ზოგი ლოცულობდა, ზოგი ბოდავდა. ზოგს ძილი არ მოკიდებოდა, მის გვერდით მწოლარე ამხანაგისაკენ პირი შეექცია და უთხრობდა მას თავისი ოჯახის, ან სამშობლოს ტკბილად მოსაგონარ ამბებს.

სხვანი ზედ იატაკზე დამსხდარიყვნენ წრიულად და ხმადაბლა მასლაათობდნენ.

კამერის მამასახლისს — ბურჟინსკის წეკოს პაპიროსი მუჭში ეჭირა, ფრთხილად აბოლებდა, ჩურჩულით უთხრობდა ქართველ მეგობრებს თავის თავგადასავალს, ლაგერებიდან გაპარვის, ისევ დაპატიმრების, კარცერებში ცემისა და შიმშილის ამბებს.

ამას ყოველივეს კომიურ ასპექტში წარმოადგენდა იგი, თავათაც იცინოდა და აცინებდა თავის მსმენელებს.

ბურჟინსკი აქა-იქ იგონებდა ქალებთან შემთხვევით შეხვედრებსაც. მამაკაცები სიამოვნებით უსმენდნენ პიკანტურ ისტორიებს. მთხრობელი არ ერიდებოდა ბილწსიტყვაობას, საერთოდ ისეთ გამოთქმებს, რომელთაც ქალებთან სიახლოეს დანატრებულნი სიამოვნებით მიმართავენ ხოლმე.

„ივან, ეუბნება ბურჟინსკის გოდერძი, თუ ძმა ხარ ის გვიამბე თუ როგორ შეუვარდი ესესელებისაგან გაქცეული პასტორის[1] ცოლს საწოლში“.

„ეჰ, ამ წლებში იმდენი რამ გადამხდა, რომელიმე მწერალს რომ მოვუთხრო, საინტერესო წიგნს დასწერდა უთუოდ.

სილეზიაში ეტაპიდან გავექეცი ესესელებს, ისინი მოტოციკლებით მომსდევდნენ, თანაც მესროდნენ. ბნელოდა, ამიტომაც გადავურჩი ტყვიების მერეხს.

ბოლოს გზა მოვუქერი, ჭაობები გადავტოპე, სოფლის ბოლოს განმარტოებულ სახლს მივადექი ერთს.

ოდნავ ბნელოდა ბინაში. ღია ფანჯრიდან პიანინოს ხმა მოისმოდა... ბაღში გადავძვერი, ცერებზე შევდექი, ერთ ოთახში ფაშფაშა, ქერა დედაკაცი პიანინოს უჯდა, ლისტის რაპსოდიას უკრავდა.

საძილო ოთახში პასტორის სურათი ეკიდა, მის ქვემოდ წყვილი საწოლი იყო გერმანული, მაღალი ბუმბულებითა და ფუნთუშა ბალიშებით გაწყობილი.

ფანჯრიდან შევხტი, ტანზე გავიხადე და ერთ-ერთ ლოგინში შევძვერი, თავზე ბალიშები და ბუმბული გადავიყარე. ასე განაბულს უკვე მომესმა ესესელების სტვენა და გნიასი.

ბოლოს ისიც გავიგონე, ერთმა მათგანმა დააკაკუნა სასადილო ოთახის ფანჯრის რაფაზე ავტომატის ლულით, დიასახლისს შეეკითხა:

აქ რუსი ხომ არ შემოსულაო?

რუსს აქ რა უნდაო? უკმეხად მიუგო ქალმა, ფანჯარა გაიხურა და განაგრძო დაკვრა.

როცა პიანინო დადუმდა, ტანთ გაიხადა, ცოტა ხანს იპრანჭებოდა სარკესთან, თავის სხეულის სილამაზით სტკბებოდა, უცნაურად ავღელდი, მაგრამ გავილურსე. ბოლოს ჩემს გვერდით მდგარ ლოგინში ჩაწვა.

როგორც კი მისი ხვრინვა შემომესმა, თავი გამოვყავი ბუმბულებიდან. კედლიდან სათვალიანი, მოღუშული პასტორის პორტრეტი გადმომცქეროდა.

დიდხანს ვკოცნე მძინარე ქალი, მაგრამ არ გაეღვიძა.

ავდექი, პიანინოს მივუჯექი და ლისტის იგივე რაპსოდია დავუკარი.

პერანგსამარა თავზე წამომადგა დედაკაცი. როგორც სჩანს, მიხვდა, ვინც ვიყავი, ამხედ-დამხედა: აქ თქვენ რამ მოგიყვანათო? მეკითხება ღიმილით.

თქვენმა სიყვარულმა მეთქი, კეთილო ფრაუ, ვუთხარი და წავეტანე.

მოიცადე შე სულწასულო, ფანჯრებს მაგრად გადავრაზავ, თორემ ესესელები შემოგვიცვივიანო, სთქვა, ფანჯრები მაგრად დაკეტა, და ლოგინში შემომყვა...“.

„მერმე?“ შეეკითხა წიკლაური.

„დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ. მოხდა ის, რაც ხდება ხოლმე რომანებშიაც ასეთ შემთხვევაში. მთელი ღამე ვინებივრეთ პასტორის საწოლში. შავ სათვალიანი, ბუსავით მოღუშული პასტორი კედლიდან გადმოგვცქეროდა.

ეჰ, მამაკაცები სასტიკად გვებრძოდნენ, მაგრამ ქალის მოსიყვარულე გული, ხშირად სიტკბოებას გვაგრძნობინებდა ხოლმე...“.

[1] პასტორი — პროტესტანტების მღვდელი.

„თითქმის ასეთივე ამბავი შეემთხვა ჩვენს გულუხაიძესაც“, — სთქვა ღიმილით გოდერძიმ.

თვითონ მოგვიყევიო, ჩააცივდა, მაგრამ გულუხაიძე უარზე დადგა.

ახლა გოდერძიმ სთქვა:

„ჩვენი სოლომონი ვაგონიდან გაექცა ჟურმე პოზნანის მახლობლად ჟენდარმებს. ფაშისტების მიერ აყრილ, პოლონურ სოფლამდის მისდიეს გაქცეულს.

სოლომონი ერთ მიტოვებულ სახლში შევარდნილა. ადამიანის ჭაჭანებაც არსად იყო, ერთ ოთახში ხატის წინ ძაბუნი სინათლე ბჟუტავდა.

იმავე კუთხეში საუცხოვოდ მორთული ქალი იდგა. სოლომონმა ფეხზე გაიხადა, ფერხთით დაუვარდა და უთხრა მლოცველს:

„ვეჩურ დობრე პანენკო“ [1].

ხმა არ გაიღო უცნობმა, სოლომონმა სიყვარული შეჰფიცა ქალს დანატრებულმა სათნო არსებას და წვივებზე დაუწყო კოცნა, მაგრამ აფსუს... ეს „ღვთისმოსავი ასული“ აღმოჩნდა მკერავის მანეკენი“.

ახლა დანარჩენებიც მოჰყვნენ ამურულ ამბებს, ისევ ატყდა სიცილი.

„თფუჰ, თფუჰ, ჩვენ იმდენს ვიცინით, ეგზეკუციაში არ გაგვიშვან ამალამ“, ესა სთქვა წიკლაურმა და კამერის კართან აჩხავლდა ვახტმაისტერი ვალტერი:

„ბურჟინსკი!“

ბურჟინსკიმ ფეხზე ჩაცმაც ვერ მოასწრო ისე გამოეჭიმა ვახტმაისტერს.

„პროფესორ შტამლერის კლინიკაში გეძახიან“, უყვირა ვალტერმა მამასახლისს.

ბურჟინსკი გაფითრდა. გზადაგზა იცვამდა ჩექმას, თანაც ბურდღუნებდა:

„ეჰ, სასიკეთო საქმეზე არ მეძახიან ეს ძაღლისშვილები“.

ბურჟინსკი წაიყვანეს. ტყვეებს გუნება გაუფუჭდა. გოდერძი ნარებს შორის დაწრიალებდა თავჩაქინდრული.

„ასე ხდება მუდამ ამ დაწყევლილ ლაგერებში, ტყვესთან დამეგობრებას

[1] ხალამო მშვიდობისა, ქალბატონო.

ვერ მოასწრებ, ისე გამოგაცლიან ხელიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობდა წიკლაური.

„წაგვაშხამებენ ალბათ წელანდელ სიცილს“. დასძინა გულუხაიძემ.

ორი საათი გავიდა, აღარსად სჩანდა ბურჟინსკი. ათასგვარი ვარაუდი გამოითქვა... ზოგი ვარაუდობდა ეგებ კარცერში ჩააგდესო, — ზოგი ფიქრობდა: სხვა ლაგერში გადაიყვანესო...

კიდევ გავიდა ერთი საათი.

ქართველებს გარდა ყველას ეძინა, როცა ბურჟინსკი შემოვიდა და ნარზე დაახალა თავისი ქუდი.

„ჰეჰ, ბიჭებო კაპუტ [1] ჩვენი საქმე“. სთქვა ახლადმოსულმა. ყველანი წამოდგნენ გარსშემოერტყნენ ბურჟინსკის.

„მე არ მიყვარს პანიკის ატეხა, მაგრამ აქ ჩვენ პატარძლები არა ვართ გული შეგვიწუხდეს, რომ დაგიმალოთ რა გამოვა? გიჟების იროდის კლინიკაში გამომიძახეს. დამკითხავდა ექიმი ფრიდა შტამლერი, — პროფესორის ასისტენტი.

ეს ქალი ხშირად დაჰყვება ხოლმე პროფესორს, როცა ეს უკანასკნელი ჩვენს ლაგერს ათვალიერებს.

ამ დედაკაცზე ათასგვარი ხმები დადის, ზოგი ამბობს: მისი საყვარელიაო, ზოგიც პროფესორის ქალიშვილად სთვლის ამ ქალს. თუ ქალიშვილია, მიკვირს როგორ გაუჩნდა ამ ჯოჯოს ასეთი ანგელოზი.

ერთი სიტყვით ეს ფროლაინ შტამლერი დამკითხავდა, ჩემს ჩვენებას იწერდა პროფესორის ორდინატორი, ძროხასავით გაზიზინებული დედაკაცი ფრაუ ბერტა, რომელსაც ნიკაპამდის ატანილი აქვს თავისი გაფუებული ძუძუები.

ფრიდა შტამლერმა ეს მითხრა:

„სამხედრო ტყვეების ეს უკანასკნელი ეშელონები ჰიმლერის ბრძანებით მოკრეფილია გერმანიის ყველა ლაგერიდან. ოცდაცამეტი ეროვნებისანი.

[1] კაპუტ — გერმ. ჟარგონი: გათავდა, დაიღუპა.

აქედან სამასი ტყვე ჩვენს კლინიკას გადმოსცეს.

ჩვენ ცნობა გვაქვს, თქვენს კამერაში იმყოფება ოთხი აზიატი გაურკვეველი ეროვნებისა, რამდენადაც ვიცი, ისინი ანკეტაში უჩვენებენ თუშები ვართო.

შენ უნდა მოგვცე წინასწარი ცნობები თუ ვინ არიან და რანი არიან ეს თუშები?

კლინიკის დირექტორი, პროფესორი შტამლერი ფრიად დაინტერესებულია ამ სამხედრო ტყვეების ვინაობით. აგრე ამბობს: დიდად საინტერესო საცდელი მასალააო ჩვენი კლინიკისათვის".

თავი მოვიკატუნე, ესენი „თუშს" უწოდებენ მეთქი თავიანთ თავს, მე კავკასიაში ნამყოფი არა ვარ, არ ვიცი მეთქი, თუ რას ნიშნავს „თუში?"

„ჩვენც ბევრი ვეძიეთ ლექსიკონებში, მაგრამ არსად სწერიაო ამ ხალხის სახელწოდება". სთქვა ფრიდა შტამლერმა.

ამ ქალს ცუდი სახელი არა აქვს ტყვეებს შორის. ზოგი ასე ამტკიცებს: შედარებით ლმობიერიაო, ამიტომაც როცა ის გაზიზინებული ფრაუ ბერტა ოთახიდან გავიდა, შევეკითხე:

„რად მოაქუჩეს მეთქი ეს სამასი კაცი ამ ლაგერში?".

კარისკენ გაიხედა, თავისი ვარდისფერი თითი მიიდო ტუჩზე და მითხრა:

„ტსტ! ეს სახელმწიფო საიდუმლოა... ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ვგონებ შტრასსბურგის ანატომიურ მუზეუმში აგზავნიან მათ".

მე ისევ დავეჯღანე, შევეცადე რაიმე დაწვრილებითი ცნობა გამომეტყუებინა მისთვის.

ისევ მიიდო ტუჩპირზე თავისი ვარდისფერი თითი და მითხრა:

„ტსტ!" ბოლოს ადგა, გარს მომიარა, დაკვირვებით დაათვალიერა ჩემი თავკისერი და მკითხა:

წმინდა სისხლის რუსი ხარო?

თავი დავუქნიე ჰო-მეთქი.

ანტროპოლოგიის თვალსაზრისით საინტერესო თავისქალა გაქვსო. შესაძლოა შენც მოხვდეო შტრასსბურგის გასაზავენთა კოლექციაში.

მე გამბედაობა მოვიკრიფე და ვუთხარი:

თქვენც ორიგინალური თავისქალა გაქვთ მეთქი.

რა თვალსაზრისიდანო? მკითხა.

მამაკაცის თვალსაზრისიდან მეთქი. გაიცინა, თავისი მშვენიერი კბილები მომანათა და მითხრა:

მოგწონსო ჩემი თავისქალა?

დიახაც მეთქი.

არაფერი გამოვაო, სთქვა.

რად მეთქი?

მე ამორძალი ვარ, თავათ ვირჩევო მამაკაცს.

ახლა მთლად გულუბრყვილო კაცად მოვიკატუნე თავი: ამორძალი რა არის მეთქი?

შენ ოფიცერი ხარ და როგორ არ იცი ცნობილი მითი ამორძალების შესახებ. ძველ ბერძნებს შავი ზღვის პირად ეგულებოდათ მეომარი დედაკაცები — ამორძალები, რომელნიც თავიანთ წრეში საქმროებს არ იგუებდნენ, მეზობელ ხალხებს მოსტაცებდნენ მამაკაცებს, თავს დაიგრილებდნენ და ისევ გააგდებდენო მათ.

მე ისევ გავთამამდი, ახალი კომპლიმენტი შევაპარე. ეს შეეხებოდა მის მშვენიერ ძუძუ-მკერდს, ბრჲუსელის აჟურებიან ნაქსოვში შეფარვულს. ისევ მიიტანა თავისი ვარდისფერი თითი ტუჩპირზე და სთქვა:

„ტსტ! ფრაუ ბერტა მოდის".

მართლაც შემოგორდა გაზიზინებული ფრაუ ბერტა, რენდგენზე გადაღებული სკელეტები შემოიტანა და სთქვა:

„ფროლაინ ფრიდა, ნახე როგორა ჰგვანან ეს ჩონჩხები არიელებისას. ჰა?"

მე ვსდუმდი და ისინი გამალებული უჭვრეტდნენ ამ ჩონჩხებს, გულარეული შევსცქეროდი ამ სანახაობას".

ბურჟინსკიმ თხრობა შესწყვიტა, საკუთარ მუხლის თავებს დასცქეროდა მცირე ხანს, ბოლოს თავი აიღო და სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხომ არ აჯობებდა ამ ჯერად გეთქვათ ქართველები ვართ-თქო?

„არა, შენ სცდები ივან, ანკეტის ცნობებთან არ შეიძლება თამაში. შესაძლოა ზედმეტჯერ დაგვსაჯონ ამისთვის“. თითქმის ერთხმად სთქვეს ელანიძემ და წიკლაურმა.

„მე უკვე აღარ ვიცი, რა გირჩიოთ, ძმებო, ისიც საგულისხმოა, აქ ბარე ოცი ქართველი ჰყავდათ თქვენს მოსვლამდის ამ კარცერებში. „ლოსტს“ უშხაპუნებდნენ, ხანაც 80% ძმარა-ალდჟუმინს— ალდჟუმინ აცეტიკუმ“-ს.

ერთმა ქართველმა ფერშალი დაახრჩო, იმ ღამესვე დახვრიტეს, მეორემ ის პროფესორი შტამლერი წამოაქცია და ვახტმაისტერს რომ არ მიესწრო, მოგუდავდა. ყველანი ეგზეკუციაში გაუშვეს მეორე დღეს.

მკითხა კიდევაც ფრიდა შტამლერმა: ქართველები ხომ არ არიანო ის თუშები?

წარმოდგენა არა მაქვს მეთქი, ვიცრუე“. დასძინა ბურჟინსკიმ.

არა. ამხანაგებო, რაც მოგვივა, მოგვივა, ერთხელ მიცემულ ჩვენებას დავადგეთო, ერთხმად დაადგინეს ქართველმა ტყვეებმა.

„საერთოდ უნდა გამოგიტყდეთ ძმებო, ბინძურ ისტორიაში ვარ ჩავარდნილი.

ჩემდა საუბედუროდ ტყვედ მოხვედრის პირველ დღესვე წამომცდა გერმანული ვიცი მეთქი.

ჯერ ჩამაცივდნენ: ჯაშუში გახდიო. კვირაში ერთხელ ლაგერიდან გასვლის უფლებას დამპირდნენ, ერთ წყვილ ჩექმას და ერთ კილო თეთრ პურს.

უარი ვერ გავბედე, ვერც თანხმობა ვუთხარი. ბოლოს მამასახლისად დამაყენეს. ეს რა ჩემი საქმეა, მაგრამ აქაც ვშველი ჩვენიანებს შეძლებისამებრ. საერთოდ, ისე მომბეზრდა სიცოცხლე, ნეტავ მალე მოვყვე ეგზეკუციაში.

მოდი, ბიჭებო, მაინც ვილუპებით, რაიმე ვიღონოთ, ჰა?“ ამბობდა ბურჟინსკი.

„ნუ ღელავ, ივან, თავს წაგვაცლიან, მეტი ხომ არაფერი მოხდება... შენგან არ მიკვირს შეუდრეკელო ივან?...

ეუბნება გოდერძი.

„ეჰ დავიღალე, ჩემო გოდერძი“.

დიდხანს სდუმდა ბურჟინსკი, მერმე წიკლაურს მიუბრუნდა:

„იცით ამხანაგო შიოლა, თქვენ მაინცდამაინც ნუ გაამხელთ, გერმანულის ცოდნას, ქალებს ხომ ici ენა უსწრებთ, შესაძლოა რაიმე წამოსცდეთ და დაიმახსოვრეთ.

გარდა ამისა, ამ ლაგერებში მათ თარჯიმანები აკლიათ და ან ჯაშუშობას შემოგთავაზებენ, ან თარჯიმანობას. ორივესგან დაგიფაროთ ღმერთმა.

საერთოდ გოდერძი მართალს ამბობს. არ დავლონდეთ, ბიჭებო, დალმართში მომგორავ თავის ქალასი არ იყოს, გადასახდელი გადაგვხდა. დაგვხოცავენ ეს პირძაღლები, სხვა რაღა იქნება.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვნატრობდი შტრასსბურგის დიდებული ტაძარი მენახა, ვაჲ თუ ჩემმა ძვლებმა ნახონ იგი“.

ბურჟინსკის კამერაში მთელი ღამე არავის სძინებია. ამ კამერის ერთადერთი ფანჯარა კარცერებისაკენ გამოდიოდა.

უთენია ატყდა ბორკილების ჩხრიალი, გინება, ყვირილი: „მიშველეთ“, „ჯალათებო, დაგვხოცეთ ბარემ“, „ბანდიტებო, რას შვრებით?“

ებრაელ რაბინთა შორის უხუცესი ყანყალებდა, ლოცულობდა და თერთმეტი შავოსანი რაბინის ზუნი მას ბანს აძლევდა:

„ამათ ზედა მე ვტირ, თვალმან ჩემმან გამოადინა წყალი... განკაფნა ხორცი ჩემი და ტყავი ჩემი, ძვალნი ჩემნი დამუსრა სრულიად... და დამსვა ბნელსა ვითარცა მკვდარნი საუკუნენი“...

* * *

მეორე დღეს უთენია მოვარდა ვახტმაისტერი ვალტერი და დამდუღრულივით იყვირა:

„ბურჟინსკი“.

ბურჟინსკი საცვლებისამარა ეახლა.

„მოიტა ის ხუთი ტყვე გაუგონარი აზიატური წარმოშობისა“.

ბურჟინსკიმ თავი მოიკატუნა, თითქოს არ იცოდა რას მოითხოვდნენ მისგან.

„მე არ ვიცი ჰერრ ვახტმაისტერ, თუ ვის გულისხმობთ ამ შემთხვევაში?“

ვალტერმა დაფხრეწილი ბლოკნოტი ამოიღო და გაჯახირებულად ამოიკითხა:

„ელანიძე გოდერძი, გულუხაიძე სოლომონ, ოჩიაურ ხირჩლა, ციკლაურ შიოლა, ბენდელიან იგნატ“.

როცა ეს ხუთი ტყვე ჩამწკრივდა, ვახტმაისტერმა ვალტერმა და შვიდმა ჟანდარმმა ლაგერის ჰიშკრიდან გაიყვანეს ისინი. ქუჩის გადაღმა მდებარე უზარმაზარ სახლზე აბრა იყო და ზედ ეწერა:

„Wissenschaftlich—experimentale Klinik. Eine Filiale der Annenerbe“.[1]

ეს დაღვრემილი, ნაცრისფერი სახლი, რომელშიაც პროფესორი შტამლერის კლინიკა იყო მოთავსებული, თავის სიძველის მიუხედავად, უზადოდ გაექრიალებინათ. ლინოლეუმით მოგებული დერეფნები ვარვარებდნენ, მიუხედავად ამისა, აუტანელი სუნი იდგა ირგვლივ, ქიმიკალებისა, შმორისა და ჩირქისა.

შპრიცებითა და ნაირნაირი პრეპარატებით აღჭურვილი ექიმები, ექთანები და სანიტარი ქალები საქმიანად დაფუსფუსებდნენ, ისტერიული ტირილი, ხანაც ყვირილი ისმოდა ოთახებიდან.

ახმახი, ლიპიანი ესესელი ოფიცერი დაბოტებდა დერეფნებში, უკითხავად აღებდა ექიმებისა და ორდინატორების კაბინეტთა კარებს და იმუქრებოდა:

„შტიილ“[2].

ვახტმაისტერი ვალტერი გაიჯგიმა მის დანახვაზე, სამხედრო სალამი მისცა და უპატაკა:

„ხუთი აზიატი გაურკვეველი ეროვნებისა მიმყავს პროფესორ შტამლერის კაბინეტში, ჰერრ გრუპპენფიურერ[3].

დიდხანს ატარა ვახტმაისტერმა ტყვეები და ბოლოს მიადგა წარწერას:

**„დირექტორი — მედიცინის დოქტორი, პროფესორი შტაბსფიურერ ფელიქს შტამლერი.**

ვალტერმა მაღალი კარები შეაღო და მდიდრულად მორთულ დარბაზში შეიყვანა ტყვეები. ჰიტლერისა და ჰიმლერის სურათებს ქვემოდ უზარმაზარ მაგიდაზე გამწკრივებულ ტელეფონებს უჯდა ქერაკულულიანი, მაღალმკერდიანი ქალი: მან ვერც გაიგონა ვახტმაისტერის მისალმება, რადგან ერთ-ერთი ტელეფონის მილი ეჭირა ხელში და ტკბილი, ყელისმიერი ხმით ეუბნებოდა ვიღაცას:

„ბატონი პროფესორი შტამლერი ხუთ საათზე მობრძანდება. შესაძლოა კომისსია მოიყვანოს. მაღალი თანამდებობის პირებს მოველით. ჰიმლერის მდივანს— ბრანდს, გენერალ ფონ კალკროიტს, პროფესორ ჰირტს, შტრასსბურგის უნივერსიტეტთან არსებული ანატომიური მუზეუმის დირექტორს, პროფესორ რაინჰოლდს. ჩვენი კლინიკა უნდა დაათვალიერონ...

ხვალ არა მცალია... ჩემი დაბადების დღეა.

გამოიარეთ, ცოტა აბზენტი დავლიოთ, ბევრი შამპანური, ჩემს მიერ გაკეთებულ ტორტებს გაგასინჯებთ... დალევთ? მეც დავლევ.

ამ კლინიკაში ნერვები გამიფუჭდა... მობრძანდით, ბარონესე ფონ ედელვაიზერიც იქნება... გვიანაც იყოს მაინც მობრძანდით... ნახვამდის... ხვალამდის“...

როცა ტელეფონის მილი დასდო, ტყვეებს თვალი შეავლო და ეუბნება მის წინაშე გაჯგიმულ ვახტმაისტერს:

„ესენი ვინ არიან, ვალტერ?“

„ის ხუთი აზიატი, გაურკვეველი ეროვნებისა, მოწყალეო ფროლაინ“.

ახლა ტყვეებს მიუბრუნდა ფროლაინ შტამლერი:

გერმანული თუ იციანო სამხედრო ტყვეებმა?

არავინო, უპასუხეს.

[1] სამეცნიერო-ექსპერიმენტალური კლინიკა. „წინაპართა მემკვიდრეობის“ ფილიალი.

[2] ჩუმად.

[3] ესესელთა ჩინია. სიტყვა-სიტყვით: ჯგუფების ხელმძღვანელი.

ახლა აქცენტიანი რუსულით იკითხა: „რუსული“?

ყველამ ვიციითო, მიუგო გოდერძიმ.

ზარის ღილზე თითი დააჭირა. ექთანმა მოირბინა.

ორდინატორი, ფრაუ ბერტა მომგვარეთო უბრძანა ექთანს.

შემოგორდა ჩაკურატებული ფრაუ ბერტა, რომელსაც გაფუებული ძუძუები მართლაც ნიკაპამდის სწვდებოდა თითქმის.

ახლა ვახტმაისტერს უბრძანა ფროლაინ შტამლერმა:

„თქვენ და ჟენდარმებმა დერეფანში მოიცადეთ, ვალტერ“. მაჯის საათს დახედა და სთქვა.

„პროცედურებს ორი საათი დასჭირდება, ფრაუ ბერტა, არა?“

ორი საათი ცოტაao, მიუგო ბერტამ, ანკეტები უნდა შევადგინოთ, ფოტო სურათებიც უნდა გადავუღოთ, ეხლა თავისქალებისა, ტორზოს და კიდურების დეტალურად გაზომვას, რენდგენზე გადაღებასაც დრო უნდა, არა?

დანარჩენ მანიპულაციებს თუ ხვემდღევისთვის გადავდებთ, უკანასკნელი სამი საათი მაინც დაგვჭირდებაო.

ხუთ საათზე მოდიო, უბრძანა ფროლაინ შტამლერმა ვახტმაისტერს.

ვალტერი ისევ გაიჯგიმა, მესმისო, წაიდუდღუნა და გავიდა.

ფროლაინ შტამლერი წამოდგა. სამხედრო ტყვეებს მიეახლა. მცირე ხანს ათვალიერებდა მათ ანაგობას და თავკისერს, ბოლოს გერმანულად უთხრა ორდინატორს:

ბრწყინვალე ეგზემპლარებიაო ეს აზიატები ფრაუ ბერტა. Ausgezeichnete Exsemplaren![1] დაუდასტურა ფრაუ ბერტამ და თავათაც დაუწყო თვალიერება მათ.

ფროლაინ შტამლერი გულუხაიძესთან მივიდა, რუსულად ჰკითხა:

ურია ხომ არა ხარო?

ქრისტიანი ვარო, მიუგო კითხულმა.

ფრაუ ბერტამ გოდერძის მხარზე

[1] ბრწყინვალე ეგზემპლარებია.

დაადო ხელი და უთხრა ფროლაინ შტამლერს:

„Ein hüpscher Iungling Ein regelrechte Dolicocefal. Schade um ihn' Wenn ich so jung wäre, wie Sie, ich hätte mich tödlich in ihm Verliebt“.[1]

ფროლაინ ფრიდას ღიმილმა გადაურბინა ტუჩპირზე, ხელახლა ახედ-დახედა გოდერძის და გერმანულად მიუგო ფრაუ ბერტას:

„საიდან იცით რომ მე უკვე არა ვარ მასზე შეყვარებული, ეს ორი კვირაა, მას ვაკვირდები, პირდაპირ მენატრებოდა მისი ნახვა, ამიტომაც დავყვებოდი ჩემს მამინაცვალს ლაგერში.

აჰ, რა ლამაზი ვაჟკაცია, ღმერთო! ხვალ ჩემს დღეობაზე მისი თავი უნდა ვთხოვო ჩემს მამინაცვალს, შენ რას იტყოდი ფრაუ ბერტა, ჰა?“

„ფრთხილად იყავი, ფროლაინ შტამლერ, მე მეშინია არ იეჭვიანოს შენმა მამინაცვალმა და ხვალვე არ გააგზავნოს იგი შტრასსბურგს“.

წიკლაურმა ეს ყოველივე შეისმინა; მაგრამ არ შეიმჩნია, დაკვირვებულად შეხედა ფრიდა შტამლერის გამომწვევ ძუძუ-მკერდსა და მაღალ თეძოებს.

ქალები გოდერძისთან მივიდნენ ისევ. გოდერძის ბრაზი წაეკიდა გულზე ეს ორი დიაცი ისე დაჟინებით რომ უჭვრეტდნენ მას. თითქოს გასაყიდი ცხენი ყოფილიყოს იგი.

„ფრაუ ბერტა, სთქვა ფროლაინ შტამლერმა, ეს ვაჟი, როგორც სჩანს ამ აზიელების თავკაცია, მე მინდა მას ზოგი რამ გამოვკითხო, მანიპულაციებსაც ჩავუტარებ თუ გინდა.

დანარჩენები თქვენ წაიყვანეთ, ზომები ზუსტად აუღეთ, ხომ იცით რა ჭირვეული ჩვენი პროფესორი“.

როცა ფრაუ ბერტამ ტყვეები გაიყვანა, ფრიდა შავი რუბეროიდით დაგმანულ კართან მივიდა, ინგლისურმა საკეტმა ტკაცუნი მოადინა. მერმე ისევ მიბრუნდა საწერ მაგიდასთან, რადგან

[1] ლამაზი ჭაბუკია, ნამდვილად დოლიხოცეფალი, ცოდვაა... მე რომ თქვენსავით ახალგაზრდა ვიყვე, სასიკვდილოდ შემიყვარდებოდა იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონმა დაიწკრიალა. მოუსმინა და მიუგო:

„ყველაფერს გავაკეთებ, პროფესორო ბატონო“. ბოლოს თავათ აიღო სხვა ტელეფონის მილი და ჩასძახა:

„ფრაუ ბერტა, ესეცაა პროფესორმა დარეკა, რვა საათისთვის ყველაფერი მზად იყოსო, ჰიმლერის კომისია თუ მოვიდეს, მანქანა გამოგზავნეთ და დაუყოვნებლივ მოვალო“.

ტელეფონის მილი თავის ადგილას დასდო და გოდერძის ეუბნება რუსულად:

Вы курите?

გოდერძი არ მოელოდა ამ კითხვას, მხრები აიჩეჩა და მიუგო:

ვწევ, მაგრამ ახლა არ მინდაო.

ფრიდამ საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, თუნუქის პრიალა კოლოფი ამოიღო, გახსნა, ჯერ თავათ უყნოსა, ერთი პაპიროსი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა, გააბოლა, მერმე გაუწოდა გოდერძის და უთხრა:

„ნუ გეშინიათ, მოსწიეთ, აქ ვერავინ შემოვა. ეს არის საუკეთესო ამერიკული პაპიროსი „კეპსტენ“, ცოტა ოპიუმი აქვს გარეული“.

გოდერძიმ მადლობა უთხრა, თავათაც გააბოლა. დაჯექითო, უბრძანა ვაჟს. ფრიდამ ბოლოს ისევ შეხედა მას და უთხრა:

ოპიუმი თუ მოგიწევიათო?

არაო, მიუგო გოდერძიმ, თავი დახარა და საკუთარ მუხლისთავებს დახედა.

კონიაკს თუ სვამთო? შეეკითხა ქალი.

გოდერძიმ შეხედა და არაფერი მიუგო.

ფრიდამ ისევ გამოიღო გრძელი უჯრა, კონიაკი ამოიღო, ბროლის ჭიქაში ჩაუსხა და სთქვა:

„ეს საუკეთესო კონიაკია, ფრანგული“.

კონიაკის ბოთლს ისევ გაუკეთა საცობი და შეინახა.

„თქვენ თუნდაც ერთი წუთით დაივიწყეთ რომ ტყვე ხართ“.

გოდერძიმ გაიღიმა და არაფერი უთხრა.

„დალიეთ კონიაკი“.

გოდერძიმ ცოტა მოსვა.

„მოსწიეთ პაპიროსი“.

„ერთი ხომ მოვწიე?“

„თუნდაც ერთი წუთით დაივიწყეთ რომ ტყვე ხართ“.

„ეს როგორ შეიძლება?“

„კონიაკი დალიეთ“.

„მე რომ აქ დავთვრე, თქვენ უსიამოვნება შეგხვდებათ, მე რა, ისედაც სასიკვდილო კაცი ვარ“.

„თქვენ თავადი ხომ არა ხართ? ან ხომ არ გეშინიათ არ მოგწამლოთ?“

არც თავადი ვარ და არც მოწამვლის მეშინიაო, საერთოდ არაფრის მეშინიაო, მიუგო გოდერძიმ.

„მაშ თქვენ გლეხი ხართ? გლეხები საერთოდ გაუმაძღრებია“.

„გააჩნია რომელი გლეხი?“

„ეგების თქვენ ბოლშევიკების მიერ გაგლეხებული აზნაური იყოთ, არა? თქვენ ქრისტიანი ხართ თუ მაჰმადიანი?“

ნამდვილი გლეხი ვარო. მიუგო გოდერძიმ. ამჟამად არც ერთი. ჩემი მამაპაპა ქრისტიანი იყოვო.

„მე ქრისტიანი ვარ და ადამიანი მიყვარს“.

„თუ ადამიანი გიყვართ, აქ რა გინდათ?“

„მე ჩემმა მამინაცვალმა დამაძალა აქ მუშაობა, სულ ერთია სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან ფაშისტებს უნდა ვემსახურო არა? საერთოდ მინდა გავიქცე ამ ჯოჯოხეთიდან“.

„მაშ თქვენ ფაშისტი არა ხართ?“

„ტსტ!“ სთქვა ფრიდამ და თავისი ვარდისფერი თითი მიიდო ტუჩებზე. მერმე ეს უთხრა გოდერძის:

„ასეთ რამეზე ნუ ვილაპარაკებთ. მე ქრისტიანი ვარ და ადამიანი, სხვა არაფერი“.

ტელეფონის წკრიალი გაისმა. ფრიდა შეკრთა, მილი აიღო და დიდხანს უძახა:

„ჰალო, ჰალო“,

ბოლოს უპასუხა მოკლედ: „პროფესორი სამი საათის შემდეგ მობრძანდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არა მცალია, სამხედრო ტყვეები მყავს“.

ახლა ისევ მიუბრუნდა გოდერძის:

„გულახდილად მითხარით, რა არის თუში? ნუ გეშინიათ, მე არ გაგცემთ“.

გოდერძიმ განგებისად მოღუშული სახე მიიღო.

ხალხიაო ასეთი, კავკასიაში ცხოვრობსო.

„რამდენი ხართ სულ?“

„ხუთიოდე ათასი“.

„რა ცოტა ყოფილხართ? სამწუხაროა“.

„რატომ სამწუხარო?“

„ასეთი ჯიშიანი ხალხი ყოფილხართ და ასე ცოტა. ესენი, (სთქვა და ჰიტლერისა და ჰიმლერის პორტრეტებს ახედა) ორმოცმილიონიან ერებს უპირებენ გაქრობას და თქვენ რა გეშველებათ?“

„ჩვენ ხომ მარტო არა ვართ? ორასი მილიონია ჩვენს კავშირში“.

„მართალი მითხარით, თქვენ მართლა გლეხი ხართ?“

„რად მეკითხებით ამას?“

„ასეთი ჭკვიანი გლეხი ვინ გაიგონა?“

„განა აზნაურებსა და ვაჭრებს შორის ცოტაა სულელი?“

„ეჰ, თქვენ მართალი ხართ, ბარონები და გრაფები მეტწილად ქარაფშუტებია“.

ფრიდამ ისევ გამოსწია გრძელი უჯრა, კონიაკის ბოთლს საცობი ახადა, დაუსხა გოდერძის, დალიეო სთხოვა.

გოდერძიმ ხელი დააფარა თავის ჭიქაზე, უთხრა:

„არა, უხერხულია, თქვენთვის, მე თუნდაც სამ ბოთლს დავლევდი, მაგრამ თქვენთვის“...

ფრიდა ადგა, გოდერძისთან მივიდა, ქულულებზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

„როგორი გაურყვნელი მამაკაცი ყოფილხარ!“

გოდერძი გაწითლდა.

„ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ მამაკაცი რომ წითლდებოდეს“. სთქვა ფრიდამ და გვერდით მიუჯდა, ისევ გადაუსვა ქულულებზე ხელი და ჰკითხა:

„თქვენ ცოლი გყავთ?“

მყავსო, მიუგო გოდერძიმ.

„ფოტოსურათი ხომ არა გაქვთ?“

გოდერძიმ ამოიღო და გადასცა ნუნუს სურათი.

„აჰ, რა ლამაზია! ესეც გლეხია?“ სთქვა ფრიდამ.

ეგეც გლეხიაო, მიუგო გოდერძიმ.

ბავშვი თუ გყავსო?

მეყოლა, მაგრამ არ მინახავსო.

ფოტოსურათი თუ გაქვსო?

ფოტოსურათი გამომიგზავნეს, მაგრამ არ მიმიღიაო.

ფრიდა მოულოდნელად შენობით ლაპარაკზე გადავიდა.

„შენ სად იბრძოდი?“

„სად მოვთვალო რა და რა ფრონტზე“.

„1942 წელს?“

„ყუბანში“.

„რას ამბობ? ჩემი ძმა დაიღუპა ყუბანში“.

„რა გვარია?“

„კაცმა რომ თქვას ის დედითაა ჩემი ძმა, მე ფონ მანტოიფელი ვარ გვარად, ჩემი ნახევარი ძმა — შტამლერი“.

„რა თანამდებობის იყო თქვენი ძმა?“

„კონტრდაზვერვის ჰაუპტმანი“.

გოდერძიმ თავი გააქნია. ასეთი გმირი არ გამიგონიაო იცრუა შეგნებულად.

„ამათ დამიღუპეს ჩემი საყვარელი ძმა“. სთქვა ფრიდამ და ისევ ახედა ჰიტლერისა და ჰიმლერის პორტრეტებს.

„ის ნახევარი ძმა იყო ჩემი, მაგრამ შესანიშნავი ვაჟკაცი, ფაშისტებმა გარყვნეს და ჭეშმარიტების გზიდან გადააცდინეს, თორემ ახლა იგი იქნებოდა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი“.

გოდერძის ემცხეთა ეს ამბავი, მაგრამ არაფერი სთქვა და ახალი პაპიროსი აიღო, გააბოლა და იგრძნო ოპიუმისგან მოკიდებული თრობა.

„ჩემს მამინაცვალს დიდი ტრამვა აქვს ჩემი ძმის დაღუპვის შემდეგ, იგი შურს იძიებს ამ უბედურ სამხედრო ტყვეებ-

ზე. თქვენ ხომ იცით, რა ხდება ამ ბნელი სახლის კედლებს შორის?“

არ ვიციო, განზრახ მიუგო გოდერძიმ.

„დერეფნებში ხომ გესმოდათ ისტერიული ტირილი და ღრიანცელი? კანს ქვეშ „ლოსტს“ [1], ბენზინსა და ალდჰუმინ აცეტიკუმს უშხაპუნებენ ტყვეებს, ზოგსაც ჰაერისაგან განტვირთულ კამერაში ამწყვდევენ, ზოგს ფილტვები უსკდება, ზოგი გიჟდება.

შენი მეგობრებიც იმ საცდელ კამერებში წაიყვანეს წელან. მე განზრახ ჩამოგტოვეთ თქვენ აქ. ბევრს ვფიქრობ ეგებ შეგარჩინოთ სიცოცხლე“.

გოდერძიმ მღელვარება დაიოკა. ნება სთხოვა ფრიდას, ისევ მოუკიდა პაპიროსს ცეცხლი და უთხრა:

გულახდილად მითხარით ოღონდ და ჩემში მოკვდება ეს საიდუმლო. რისთვის გვაგზავნიან შტრასსბურგში?“

ფრიდამ კარისაკენ გაიხედა და სთქვა:

„მე ამას დღეს ვერ გეტყვით, მაგრამ გპირდებით, რამდენიმე დღით გადავადებინო შტრასსბურგის ამბავი... ხვალ ჩემი დღეობაა და მე ვთხოვ ჩემს მამინაცვალს... მთლად დაბეჯითებით ვერ დაგპირდებით, ეგებ შევძლო რამდენიმე დღით გადავადებინო, მერმე თქვენ თავათ იღონეთ რაიმე. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ყოველ შემთხვევაში მალე გამოგიძახებთ ისევ და მაშინ ვნახოთ“.

ისევ გაისმა ტელეფონის წკრიალი. ფრიდა შეკრთა, თავის ადგილას მიირბინა და ტელეფონებს მიუჯდა.

„ჰალლო, გისმენთ“. ხმა გასცა ვიღაცას. მერმე მიუგო:

„ყველაფერი მზადაა, ის ხუთი აზიელი მოვაყვანინეთ. მე და ბერტა უკვე შევუდექით მანიპულაციებს“. სთქვა და გოდერძის მიუბრუნდა.

„ახლა თქვენ ადექით და კარებთან გაჩერდით. პროფესორი მოდის. გოდერძი კართან მივიდა და კედელთან აიწურა.

ფრიდამ ისევ აიღო ტელეფონის საყური და ჩასძახა:

„საექსპერიმენტო მოიტათ“. მერმე დასძინა:

„ფრაუ ბერტა, პროფესორი მოდის, ახლავე მოიყვანეთ ის აზიელები“.

...კარი ისე გაიღო, როგორც ეს ნერვიულ ადამიანებს სჩვევიათ. ოთახში აჩქარებული ნაბიჯით შემოვიდა ახოვანი, ბრგე, თავგადაპარსული კაცი.

პრიალა პენსნეებს გადაღმა აპარპალებდა მწითურ წამწამებს, მან განრისხებული და ზიზღიანი მზერა ესროლა გოდერძის, ფროლიან შტამლერს უთხრა:

„სად არიან ღანარჩენები?“

„ახლავე მოიყვანს ბერტა“. ამის თქმა მოასწრო ფრიდამ და ბერტამ ტყვეები ოთახში შემოიყვანა.

პროფესორი თავის კაბინეტში შევიდა, მცირე ხანს გალურსულნი ფეხზე იდგნენ ფრიდა და ბერტა. ბოლოს დაიწკრიალა ზარმა და ორივენი მეორე ოთახში შეუძღვნენ ტყვეებს.

უზარმაზარ კაბინეტში ორი დიდი ფოტოსურათი ეკიდა, ჰიტლერისა და ჰიმლერისა. გრძელსა და ვრცელ საწერ მაგიდაზე ტელეფონების მთელი ლაშქარი იდგა.

კედელზე მსოფლიოს ვრცელი რუკა იყო გაკრული, ქინძისთავებზე წამოცმული სვასტიკიანი პაწია დროშები გაწკაპულიყვნენ ბერლინიდან ალექსანდრიამდის, აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებიდან სტალინგრადამდის.

პროფესორი ყურადღებით ათვალიერებდა ახალ ფოსტას, ხსნიდა დალუქულ კონვერტებს, ისევ აწყობდა გახსნილ პაკეტებს ერთიმეორეზე.

ფრიდა და ბერტა სოლდათებივით გაჯგიმულნი იდგნენ. ბოლოს პროფესორმა თავი აიღო და სთქვა:

„ფრიდა, ამათი მანიპულაციები ჩატარებულია?“

„ყველასი, გარდა ერთისა. მიუგო ქალმა და გოდერძის მიაშვირა თითი.

„ის ერთი რად გამოსტოვეთ?“

„როგორც ვახტმაისტერი ვალტერი

[1] „ლოსტ“ — გერმანელ ექიმების მიერ გამოგონილი პრეპარატი შხამიანი ქიმიკალებისაგან შემდგარი.

ამბობს, ეს უნდა იყოს მათი მეთაური ამიტომაც ცალკე დავკითხე. კავკასიის ფრონტზე ნაბრძოლი ყოფილა“...

პროფესორმა მრისხანე მზერა ესროლა გოდერძის. მერმე დანარჩენებს გადახედა, სთქვა: „კარგი ეგზემპლარებია შტრასსბურგის ანატომიური მუზეუმისათვის. ყველა დოლიხოცეფალია [1], გარდა იმ ტანმორჩილისა“, მერმე გულუხაიძეს მიაშტერდა.

„ფრიდა, ერთი შეეკითხე, ებრაელი ხომ არ არის ეს ტიპი?“ როცა ფრიდამ უთარგმნა გულუხაიძის პასუხი, პროფესორმა ფრიდას და ბერტას ახედა და ჩაილაპარაკა:

„შესაძლოა კავკასიის ებრაელი იყოს და მალავდეს“, ისევ ახედა გულუხაიძეს თავს და დასძინა:

„სემიტური თავისქალა არა აქვს. მაინც გამოგვადგება კოლექციის ნაირსახეობისათვის“.

ისევ აიღო დალუქული პაკეტი, გაფხრიწა, ცოტა ხანს იკითხა და უთხრა ფრიდას.

„არ გამოკითხეთ თუ რა ტომია ეს თუში? ან რამდენი მილიონია ეს ხალხი?“

ფრიდამ მიუგო:

„აგრე ამბობენ პირაქეთ კავკასიაში ცხოვრობენო, ხუთი ათასი სული ყოფილან თურმე“.

აჰ, რა საჭიროა ეს მიკრო-ხალხები? შტრასსბურგის ანატომიურ მუზეუმს თუ გამოადგება ისინი. ჩვენ გვაქვს ჩვენი ფიურერის პირდაპირი მითითება და ბარბაროსსას პლანიც [2] ამას ითვალისწინებს, საბჭოთა კავშირის ხალხებს ამპუტაცია უნდა გავუკეთოთ. რამდენიმე რასსული ერთეული სავსებით უნდა ავკლიტოთ.

ის, რაც ახლა ხდება ჩვენი ბრალი როდია. ბუნებამ გვიკარნახა ჩვენ ნაციონალ-სოციალისტებს სასტიკნი და დაუზოგველნი ვიყვეთ, რადგან თავათ ბუნებაა სასტიკი.

მაღალი ხეები დაბლებს ჩრდილავენ, დიდი თევზები ლიფსიტებით იკვებებიან, ლომები და ვეფხვები გასწყდებოდნენ ტურები და მელიები რომ შეეცოდებოდათ.

განა ჩვენს ფიურერს არ უყვარს საკუთარი ერი, ამდენ სისხლს რომ ანთხევინებს მას, განა მე არ მიყვარდა ჩემი ერთადერთი ვაჟი, უყოყმანოდ რომ გავგზავნე ომის ქარცეცხლში?“ ბრდღვინავდა პროფესორი შტამლერი.

ორმა ტელეფონმა ერთად დაიწკრიალა. ორივეს ერთი და იგივე უპასუხა: ოც წუთში დამირეკეთო და განაგრძო:

„აქამდის მთელი მსოფლიოს დიპლომატები თვალთმაქცურად სცრუობდნენ: ჩვენ სუსტებს ვიცავთო ძლიერებისგან, ჩვენმა ფიურერმა თვალი აგვიხილა და ჩვენ ახლა თამამად ვაცხადებთ მთელს მსოფლიოში უკვე დრო დადგა ისეთი, როცა ძლიერები უნდა დავიცვათ სუსტებისაგან, რადგან სუსტები არ ესაჭიროება ბუნებას“...

ისევ დაიწკრიალა ტელეფონმა, ისევ გაიმეორა პროფესორმა: ოც წუთში დამირეკეთო, მერმე ბერტას მიუბრუნდა და უთხრა:

„ფრაუ ბერტა დაურეკე ვახტმაისტერს ვალტერს, ახლავე აქ მოვიდეს“.

როცა ბერტა კაბინეტიდან გავიდა, პროფესორმა ფრიდას მიმართა საკმაოდ განრისხებული ტონით:

„ფროლაინ ფრიდა, იცოდეთ ზუსტად უთარგმნეთ ჩემი ნათქვამი ამ ტყვეებს. ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინად უნდა გაგვეგზავნე-თქო შტრასსბურგში, თქვენ კი არა, თქვენი თავისქალები და სკელეტები. საერთოდ ზოგიერთი ხალხები მხოლოდ ანტროპოლოგიურ ექსპონატებად თუ გამოდგებიან-თქო, ანატომიურ მუზეუმებში.

დიახ, ერთი კვირის წინად უნდა გადაგვეგზავნა, მაგრამ მე შევაჩერე ეს საქმე“...

ესა სთქვა პროფესორმა და ვახტმაისტერი შემოიყვანა ბერტამ.

ვალტერი გამოეჯგიმა პროფესორს:

„რას გვიბრძანებთ ჰერრ შტაბსფიურერ?“

[1] დოლიხოცეფალი — ბერძნ. გრძელთავიანი.

[2] ბარბაროსსას პლანი—გულისხმობდა საბჭოთა კავშირის ხალხების აყრას და გაჟლეტას.

პროფესორმა გამოაღო თავისი საწერი მაგიდის გრძელი უჯრა, ამულეტი გამოიღო და წინ დაიდო, მერმე ვახტმაისტერს მიმართა:

„ამ ხუთეულში რომელ ერთს უპოვნე ეს ამულეტი, ვალტერ?“

ვახტმაისტერმა მხარზე ხელი მოუცაცუნა გულუხაიძეს და ეუბნება პროფესორს:

„ამ ჩიაკაცს, ჰერრ შტაბსფელურერ“.

ახლა ფრიდას ეუბნება პროფესორი:

„ფროლაინ ფრიდა, გადაუთარგმნე ამ ჩიაკაცს, როგორც ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება, ისე გვითხრას სად და როდის ამოართვა მან ეს ამულეტი ჩემს ვაჟს, რუდოლფს, თორემ იცოდეს, დღესვე გადააცლიან თავს“.

გულუხაიძე გაფითრდა და მიუგო:

„შარშან ჩვენი ბატალიონი ებრძოდა ას მეხუთე სატანკო დივიზიას ყუბანში, რუდოლფ შტამლერი და მისი სერჟანტები ჩვენს ზურგში გადასხეს სადივერსიო საქმეებისათვის. მერმე ის იყო ენჯუკის ხეობაში აღმოჩნდნენ ისინი, ბრძოლის დროს დავჭერით და დავატყვევეთ.

ჩვენ დავალება გვქონდა: ცოცხალი წამოგვეყვანა შტაბში, მაგრამ დიდხანს გვებრძოდა და მე იძულებული გავხდი თეძოსთავზე დამეჭრა.

ეს ამულეტი თავათ მოიხსნა ყელიდან და გადააგდო, მე იგი არაფრად მესაჭიროებოდა, როგორც ლამაზად გაკეთებული ნივთი ჯიბეში ჩამრჩა“.

„ჰმ!“ გესლიანად გაიცინა პროფესორმა, როგორ დაგიჯეროთ რომ ჩემი ვაჟი თავათ გადააგდებდა ამ ამულეტს? შენ ხომ ზუსტად მითარგმნე მისი ნათქვამი, ფრიდა?“

„მე გადაგითარგმნით სიტყვა-სიტყვით“, ეუბნება წიკლაური პროფესორს. და როცა ყოველივე დაწვრილებით უამბეს მას, პროფესორი შტამლერი ჯერ გაწითლდა, მერმე გაფითრდა და წაილუღლუღა:

„მაშ თქვენ არ მოგიკლავთ, მხოლოდ დასჭერით იგი, არა?“

წიკლაურმა განუმეორა:

„ჩვენ ნაბრძანები გვქონდა ცოცხალი ჩაგვეგდო იგი ხელში, გარდა ამისა თქვენი ვაჟი უკვე დაჭრილი იყო წინა დღეებში ჩვენს ამხანაგებთან ნაბრძოლი.

ამ ამხანაგმა უკანასკნელი პერანგი გაიძრო, ნაკუწებად აქცია და ჭრილობები შეუხვია დაჭრილს“. სთქვა წიკლაურმა და თითი მიაშვირა გოდერძის.

პროფესორმა გაოცებული მზერა შეავლო ამ უკანასკნელს და წიკლაურმა განაგრძო:

„ბოლოს შეგიძლიათ შეამოწმოთ, საბჭოური არმიის სტატუტით, აკრძალულია დაჭრილისათვის ტყვეის მონაცვლება“.

„აბა მე თქვენ გეტყვით, დღესვე ელვას გავუგზავნი გერმანიის სტოკჰოლმელ ელჩს, შეამოწმოს თქვენი ნათქვამი საერთაშორისო წითელი ჯვრის მეშვეობით, თუ ჩემი ვაჟი ცოცხალი აღმოჩნდა მართლაც, თქვენ ყველას სიცოცხლეს გაჩუქებთ, იცოდეთ, თუ არა და ხომ იცით რა მოგელით?..“

სთქვა პროფესორმა და კიდევ დახედა ამულეტს. თანადამსწრეებმა თვალი მოჰკრეს, ცრემლმა გაიელვა მის თვალის უპეებში.

მან დაახველა, წამოდგა, მსოფლიო რუკასთან მივიდა და სთქვა:

„აბა სად არის აქ ენჯუკის ხეობა?“

წიკლაურმა დიდხანს აფათურა თითი ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე და ბოლოს უჩვენა მას ენჯუკის ხეობა რუკაზე.

ფრიდამ ვეღარ შესძლო დგომა, იგი საწერ მაგიდას მიუჯდა, ორივე მკლავზე თავი დასდო და ატირდა...

„გაიყვანეთ ტყვეები და ჩემს განკარგულებას უცადეთ, მანამდის ხელი არ ახლოთ ამ თუშებს“, უბრძანა პროფესორმა შტამლერმა ვახტმაისტერს.

უკვე ღამის თორმეტი საათი იყო, როცა ქართველი ტყვეები ლაგერში დააბრუნა ვალტერმა.

---

[1] შტაბსფელურერ — ესესელთა ჩინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამორძალი

რუდოლფ შტამლერი ისე მძიმედ იყო დაჭრილი, არც გოდერძისა და არც წიკლაურს იმედი არა ჰქონდათ ცოცხალი თუ გადარჩებოდა იგი. ისიც კარგად იცოდნენ, ასეთ შემთხვევაში შურს იძიებდა გიჟების იროდი.

ერთი კვირა გავიდა საშინელი განკითხვის მოლოდინში. როგორც კი ვახტმაისტერი ვალტერი მოვიდოდა და ბურჟინსკის გამოიძახებდა, ტყვეები უკვე მზად იყვნენ სიკვდილთან პირისპირ წარსადგომად.

ბურჟინსკიმ და სოლომონ გულუხაიძემ ათასგვარი გეგმა დასახეს. ფეხსადგილების გადაღმა ხვრელი გაეკეთებინათ, ორი ესესელი მოეხრჩოთ და აგურის ქარხნისაკენ გაქცეულიყვნენ.

აგურის ქარხანაში სამუშაოდ დაჰყავდათ ხირჩლა ოჩიაური და სოლომონ გულუხაიძე, ისინი ამტკიცებდნენ: ამ ქარხნამდის თუ სული მივიტანეთ, ეს ნამდვილი ციხე-სიმაგრეაო.

ერთ დღეს ვახტმაისტერმა ვალტერმა ხირჩლა ოჩიაურსა და სოლომონ გულუხაიძეს დაავალა ლაგერის ეზოდან რკინეულის, თუნუქის და თუჯის ნამუსრევების ხრამში გადაყრა, ეზოს დასუფთავებაც მათ დაავალეს სასწრაფოდ, რადგან ჰიმლერის კომისიას მოელოდნენ.

ხირჩლამ და სოლომონმა იმ დღეს იპოვნეს დანა, მთელი წყრთის სიგრძისა და გახარებულებმა მოიტანეს კამერაში. ბურჟინსკიმ სლიპი ქვა გამოჩხრიკა სადღაც, ასე რომ როგორც კი დანარჩენები ძილს მიეცემოდნენ, ბურჟინსკი და ხირჩლა ჩუმად ლესავდნენ ამ დანას. თანაც უქადოდნენ მას ჰიტლერს, ჰიმლერს, ჰესს, ჰერინგსა და პროფესორ შტამლერს.

წიკლაურს ეცინებოდა: ავტომატებით აღჭურვილ ესესელებს ამ დანით რომ ემუქრებოდნენ ბიჭები.

სოლომონ გულუხაიძე ხუმრობდა:

„ჩვენი საქმე ახლა კარგადაა. ერთადერთი დანა გვაქვს და არც ერთი ავტომატი“.

ხირჩლა ოჩიაური იქადოდა: ამ დანით ერთ ავტომატიანს როცა ყელს გამოვღადრავ, დანაც გვექნებაო და ავტომატიცა.

უკვე ძილმა მოიცვა ლაგერი. ბურჟინსკი და ხუთი ქართველი ტყვე პირქვედამხობილნი იწვნენ ნარებზე.

უხუცესი რაბინი ღიღინებდა:

„აღმოფხვრა კბილნი ჩემნი ქვითა, და მაჭამა მე ნაცარი და განაყენა მშვიდობისაკენ სული ჩემი“.

თერთმეტი შავოსანის ნაღვლიანი ზუნი ბანს აძლევდნენ მას...

*

* *

ერთ დღეს კამერაში შემოვიდა ვალტერი და იყვირა:

„ბურჟინსკი!“

აცახცახებული გამოეჯგიმა ვახტმაისტერს ბურჟინსკი.

„მოიტათ სასწრაფოდ ის მაღალი თუში, მე იმისი გვარი არ დამამახსოვრდა“.

„რომელი? ოჩიაური? ჰერრ ვახტმაისტერ?“ ჰკითხა და ხირჩლაზე მიაშვირა ბურჟინსკიმ თითი.

„არა, ის ლამაზი, კულულებიანი თუში“.

გოდერძი წამოდგა. ხმის ამოუღებლად გაჰყვა ვალტერს. ტყვეები დადუმდნენ. ისინი შესჩერებოდნენ გაფითრებულ ბურჟინსკის, არც უკანასკნელი იღებდა ხმას...

ვალტერი თვალყურს ადევნებდა გოდერძის. იგი დაღვრემილი და გაფითრებული იყო, მაგრამ ამაყად ეჭირა თავი. არც კი უცდია თუნდაც მუნჯურად ეკითხა ვახტმაისტერისათვის:

სად მიგყავართ?

მდუმარედ ჩაჯდა უფანჯრო შავ მანქანაში, რომელსაც „ყორანს“ უწოდებდნენ ხუმრობით ტყვეები.

დიდხანს იარა „ყორანმა“ მიხვეულმოხვეულ შუკებში და ბოლოს მაღალი, შავი ჭიშკარი გაალო ჭაღარა ჟენდარმმა.

ეროვნული

მანქანა მიადგა პატარა სასახლეს, რომელსაც გოტური წოწოლა კოშკი ჰქონდა და მწვანედ შეღებილი კარფანჯრები.

ყურებდაცქვეტილი გერმანული ცხვრისძაღლები გამოხტნენ და ახლადმოსულებს ყეფა აუტეხეს.

აივანზე გამოვიდა ფარჩის ხალათიანი ქერა ქალი, ძაღლებს დაუტატანა და ვახტმაისტერს უბრძანა:

შემოეყვანა ტყვე.

თავათ არც კი შეხედა ამ უკანასკნელს, ისე შევიდა ისევე დარბაზში.

როცა ვალტერმა უზარმაზარ ზალაში შეიყვანა გოდერძი, შიგ არავინ იყო. ხელახლა გამოჩნდა ფრიდა შტამლერი და უთხრა ვახტმაისტერს:

„პროფესორმა შტამლერმა გიბრძანათ მანქანა და ჟენდარმები საყარაულოში დასტოვოთ, როცა გამოკითხვას დავასრულებთ, დაგირეკავთ“.

ვალტერი კვლავ გაიჯგიმა, მხედრული სალამი მისცა ფრიდა შტამლერს და ჟენდარმებიანად გავიდა ეზოში.

სამიოდე ოთახზე გაატარა ფრიდამ გოდერძი და მეოთხეში სავარძელზე დასვა. დაბალი სუფრა წინ დაუდგა. გამოუტანა კონიაკი, ღვინო, შოკოლადები და კეპსტენის პაპიროსები.

გვერდით მიუჯდა საკმაოდ მჭიდროდ. კულულებზე ხელი გადაუსვა, კონიაკი შესთავაზა და უთხრა რუსულად:

„მე ვხედავ თქვენ კეთილშობილი ადმიანი უნდა იყვეთ, თუ რაიმე წმიდათა წმიდა გიწამებიათ ამ ქვეყნად, კულახდილად მითხარით, ჩემი ძმა ხომ არ შემოგკვდომიათ შეტაკების დროს, ჰა“?

გოდერძიმ მიუგო:

„გეფიცებით ყველაფერს რაც კი მიყვარს, ის რაც ჩვენ ვუჩვენეთ მამათქვენს, ყოველივე სწორია. დარწმუნებული იყავით, უიარაღო კაცს, ისიც დაჭრილს, ჩვენ, თუშები ტყვიას არ ვესვრით“.

ფრიდამ ისევ გადაუსვა ხელი კულულებზე ვაჟს და უთხრა:

„ის კაცი ჩემი მამინაცვალია, მხოლოდ, დედა ჩემი ბარონ მანტოიფელის ქვრივი იყო, მე ათი წლის ვიყავი, როცა იგი პროფესორ შტამლერზე გათხოვდა. მე ამ საზიზღარმა კაცმა თავის გვარზე მომნათლა და გამაუბედურა.

რა საჭიროა სიცრუე, მე არსებითად მისი ცოლი ვარ ამჟამად, რადგან დიდი ხანია საშვილოსნოს კიბო სჭირს დედაჩემს. ჩემი ნახევარი ძმის რუდოლფის დაღუპვის შემდეგ დედა ჩემი ლოგინად ჩავარდა, ჩემმა მამინაცვალმა მამაკაცობა დაჰკარგა. ამის გამო მთლად გაცოფდა, ყველა მამაკაცის მიმართ იჭვიანობს, სიცოცხლეს მიწამლავს“...

გოდერძიმ მხოლოდ ახლა შენიშნა: მთვრალი იყო ფრიდა შტამლერი. ქალმა შამპანურის ბოთლს საცობი მოხსნა. გოდერძის დაუსხა, დალიეო, სთხოვა.

ვაჟმა მოკრძალებულად მოსვა შამპანური.

ქალმა ისტერიული ხმით გაუმეორა:

„დალიე! ჩვენ ყველანი ისე უბედური ვართ, ყოველდღე უნდა დავთვრეთ. ადამიანები გამხეცდნენ, ყველანი წავიბილწეთ, უნდა დავთვრეთ, რომ არ გავგიჟდეთ“.

გოდერძიმ კედლის საათს მიხედა. იქიდან გამოძვრა მეტალიური გუგული და დაიძახა: „გუგუ“...

ვაჟს ესიამოვნა ეს პატარა ამბავი, კიდევ შეხედა კედლის საათს და ეუბნება ქალს:

„მე მეშინია, თქვენმა მამინაცვალმა არ მოგვისწროს“.

ფრიდამ გაიცინა.

„მე მოვატყუე ის იდიოტი ვახტმაისტერი... ჩემი მამინაცვალი ჰიმლერმა გაიძახა ბერლინში. შესაძლოა ამ საღამოს მობრუნდეს. ნუ გეშინია აქ სავსებით მარტონი ვართ მე და შენ. მოსამსახურენი კინოში გავგზავნე განგებ“.

„ხომ გითხარით ერთხელ, მე არავის მეშინია მეთქი, თქვენ მებრალებით მხოლოდ“.

ფრიდა ადგა, კულულებზე ხელი გადაუსვა გოდერძის და შუბლზე აკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე სუფრიდან აიღო ბროლის მაღალფეხიანი ბოკალი, ტუჩებთან მიუტანა და უთხრა:

„დავლიოთ რათა დაგვავიწყდეს რომ შენ სასიკვდილოდ განწირული ტყვე ხარ, მე არანაკლებ უბედური ქალი, რომელსაც ბავშვობაშივე ნამუსი ახადა მამინაცვალმა და ახლაც ჩემს სისხლსა სვამს ეს სვავი დღედაღამ“.

ფრიდა ადგა, ეტაჟერიდან გადმოიღო საფიანით დაკანული პატარა წიგნი, გოდერძის მიუტანა და უთხრა:

„წიგნის კითხვა თუ გიყვარს?“

რატომ მკითხავო?

„რა ვიცი, თანამედროვე ადამიანები ისე გამოაყეყეჩა კინომ, წიგნის კითხვას დახუთულ კინოებში ჯდომას არჩევენ. აბა მე წაგიკითხავ ერთი არაბი პოეტის პატარა ლექსს.

„ღვინო ბრძენთა მეგობარია, — ლოთების მტერი.
ზომიერად მირთმეული, წამალია, უზომოდ შესმული — შხამი.
ღვინო ასაზრდოებს სულსა და ხორცს.
მისი ფერი უფრო საამოა, ვიდრე ვარდისა.
ღვინო ხანდახან უფრო მწარეა და სასარგებლო,
ვიდრე ბრძენის მიერ მოწოდებული შეგონება...
შევსვათ ნელნელა სურნელოვანი ღვინო,
მთვრალი ვეახლოთ ღმერთს“...

ეს მე ცუდათ გადაგითარგმნე, თორემ ამ წიგნში უკეთ სწერია“.

დასძინა ფრიდამ.

გოდერძის მოეწონა ეს ლექსი, მაგრამ არაფერი სთქვა. ახლა წითელი ტოკაური ღვინო გამოუტანა ფრიდამ, თავათ დალია, დაუსხა და უკვე შენობით უთხრა:

„იცი რად დაგიბარე?“

არაო, მიუგო ვაჟმა.

შესაძლოა შენ ეს ყოველივე ქალურ სისულელედ ჩასთვალო, მაგრამ მე მაინც მინდოდა მეკითხა: სიკვდილს რომ გადაგარჩინო, ჩემი საყვარელი ხომ გახდები, თუ გინდა ქმარი?“...

გოდერძიმ გაოცებული შეხედა ღვინისაგან ლოყებშეფაკლულ ქალს, გაუღიმა, არაფერი უთხრა:

ხოლო ფრიდამ განაგრძო:

„ეს ვილლა პროფესორ შტამლერს ეკუთვნის ამჟამად, მაგრამ მას გულის მანკი სჭირს და სადაცაა ჩაძაღლდება, ორას სამოცი აქვს წნევა.

მე და დედაჩემს დაგვრჩება განა მარტო ეს ვილლა, ერთი მილიონი ოქროს მარკა რაიხსბანკში. ორი სახლი ბერლინში.

მე გამოვისყიდი შენს სიცოცხლეს როგორმე. ლაგერის კომენდანტი დიდი მექრთამეა, მასზე უფრო წუწკია ვახტმაისტერი ვალტერი. შენს თანამემამულეებს, ორას ებრაელსა და თქვენ მამასახლისს, ბურჟინსკის ალბათ ამ დღეებში წვრილი ყალიბის ტყვიით დახვრეტენ, ტყავსა და ხორცს გააცლიან და მათ სკელეტებს შტრასსბურგის ანატომიურ მუზეუმს გადაუგზავნიან“.

„რატომ წვრილი ტყვიით?“ იკითხა შეცფუნებულმა გოდერძიმ.

„სკელეტები რომ არ გააფუჭონ. ლაგერის უფროსი სულ არაა საჭირო. მე მაგ გაწუწკებულ ვახტმაისტერს სამას მარკას ვაჩუქებ და შენს მაგივრად რომელიმე ფრანგს გააძრობენ ტყავს.

შენ გიკვირს ყოველივე ეს არა? აქამდის თუ მამაკაცები თავათ ირჩევდნენ საყვარლებსა და საცოლეებს, ამიერიდან ქალებსაც უნდა მოგვეცეს ასეთივე უფლება“...

გოდერძი მცირე ხანს სდუმდა და იატაკს დასჩერებოდა, მერმე მიუგო:

„აბა მე გეტყვი გულახდილად, ფრიდა, ბედნიერებაა როცა ვინმეს ძლიერ უყვარხარ ისიც შენისთანა ლამაზს, მაგრამ მე ასეთ რამეს ვერ ჩავიდენ. ვერც ამხანაგებს დავთმობ, ვერც სამშობლოს და ვერც ჩემს ოჯახს, რაც მომივა ეგ არის“...

ფრიდამ ორივე ხელით თავი გადაუწია ვაჟს, სამგზის აკოცა ტუჩებში, მერმე თვალებში ჩააშტერდა და უთხრა:

„ნუთუ მართლა გლეხი ხარ შენ, ასეთი კეთილშობილი?“

გლეხი ვარო ხელახლა დაუმოწმა გოდერძიმ.

ფრიდამ წელზე ხელი მოხვია გოდერძის, ვანის ოთახში გაიყვანა და ეუბნება:

„მე ექიმი ვარ. მამაკაცები არ ერიდებიან ჩემთან გაშიშვლებას. ტანთ გაიხადე და ‹პანავე“.

როცა გოდერძი ბანაობას მორჩა, ფრიდამ ფოსტლები, პიჯამა და კელნის წყალი მოუტანა. პიჯამა ჩაიცვა, კელნის წყალი თავზე გადაასხა ისევ გავიდა თავის ბუდუარში, ახლა კოტის ფირნის სუნამო მოუტანა, ისიც აპკურა. ხელახლა მიიყვანა პატარა მაგიდასთან, დასვა. ახლა რაინული ღვინო დაუსხა.

დალიეო, უთხრა. მერმე ორივე ხელი შემოხვია და შეზლონგისაკენ წაიყვანა...

როცა ვნებები დაცხრნენ, ფრიდა ეუბნება ვაჟს:

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ძვირფასო, ჩემს მამინაცვალს პასუხი მოუვიდა გერმანიის სტოკჰოლმელ ელჩისაგან: საერთაშორისო წითელი ჯვრის ცნობით, ჩემი ნახევარი ძმა რუდოლფ შტამლერი მოურჩენიათ მოსკოვის ერთ ლაზარეთში. ორი თვის წინად იგი ლაზარეთიდან უნდა გამოეწერათ, მაგრამ წინა ღამით თავი ჩამოუხრჩვია პირსახოცით.

სანიტარ ქალს მისი წერილიც უპოვნია მეორე დღეს. ჩემს დაღუპვას ნურავის დააბრალებთ, მსოფლმხედველობის კატასტროფა ვერ გადავიტანეო.

ამ ამბის შემდეგ ჩემი მამინაცვალი მთლად გაცოფდა. თავის შეპირების მიუხედავად ბრძანება გასცა: თქვენ ხუთივენი ჯერ სათანადოდ უნდა დაგამუშავონ ჩვენს კლინიკაში და მერმე“... ფრიდას თვალები აუწყალდა. ბოლოს დასძინა:

„ჩემი დაბადების დღეს შევევედრე პროფესორს: შტრასსბურგში გასაგზავნთა სიიდან ამოელო შენი სახელი და გვარი. გესლიანად გაიღიმა და მითხრა: შენ როგორც სჩანს გინდა ჩვენი დროის სალომე გახდე, მე კარგად ვიცი „იროდს“ რომ მიწოდებენ ტყვეები, ეს სასახელოა ჩემთვის, როცა მტრები მლანძღავენ, თუ გინდა თავს მოვაკვეთინებ იმ თუშისათვის და ლანგარზე დადებულს მოგიძღვნი, ისევე როგორც იროდმა, გალილეას ტეტრარხმა მიართვა იოანეს თავი თავის გარყვნილ გერს. ჰა?“[1] მერმე ის იყო იმ ღამეს თმებით დამითრია და მცემა...

საერთოდ გადაწყვეტილია, თებერვლის დამლევს გიპირებენ შტრასსბურგს გაგზავნას, მანამდის თავს უნდა უშველოთ როგორმე“...

გოდერძი სდუმდა, ხოლო ფრიდამ დასძინა:

„მე ყურმოკრით ვიცი, ამ მოკლე ხანში საჰაერო განგაში იქნება თქვენს ლაგერში. ისარგებლეთ ამ აურზაურით, ერთ ორ ესესელს იარაღი აყარეთ, ეკლის მავთულები დაელექტროვებულია იცოდეთ, შეგიძლიათ საბნები ზედ გადააფინოთ და თავს უშველოთ როგორმე.

მე შევეცდები ზუსტად გავიგო თუ რომელ დღეს იქნება განგაში, ჩემი ექთანი პოლონელი ქალი ნიოლა ხშირად დადის ლაგერში სანიტრებთან ერთად, ავადმყოფების ლაგერიდან გამოსაყვანად.

ეს ქალი სანდოა, მისი პირით შემოგითვლით რაც საჭიროა. შესაძლოა ერთი კომპასიც გამოგიგზავნო“.

ტელეფონის წკრიალმა გასთიშა შეზლონგზე მონებივრენი.

ფრიდამ პენუარი წამოისხა შიშველ ტანზე... გოდერძიმ თავისი დაკონკილი ძველმანები ჩაიცვა ისევ.

---

[1] იგულისხმება ბიბლიური ლეგენდა: იროდმა, გალილეას ტეტრარხმა რა გაიგო ქრისტეს დაბადება, გააჟლეტინა ძუძუთა ბავშვები ჰურიასტანში. როცა იოანე ნათლისმცემელი ჰურიასტანს ჩავიდა, მან შეიპყრო იგი.

ტყვე იოანე შეუყვარდა იროდის გერს — სალომეს, რომელმაც თავისი დაბადების დღეს სთხოვა მამინაცვალს იოანეს თავი. იროდის ბრძანებისამებრ, იოანეს თავი წარკვეთეს და ლანგარზე დადებული მიართვა იგი იროდმა თავის გერს.

ფრიდამ ტელეფონით ლაპარაკი რა მოათავა, ჟენდარმები გამოიძახა.

პროფესორი ხუთ წუთში მოვაო, ათრთოლებულმა უთხრა გოდერძის.

დერეფანში გასვლამდის სამგზის აკოცა ტუჩებზე და ტალანში შემოსულ ვალტერსა და ჟენდარმებს გადასცა იგი.

ბიბლიოთეკა

როცა შავი მანქანა, „ყორანი" პროფესორის ეზოდან გადიოდა, ფრიდა შტამლერი შეზლონგზე პირქვე იწვა და ბალღივით ქვითინებდა...

## გველთან წილნაყარი

ეს უცნაური ამბავი მოხდა ორშაბათს.

ნუნუ სხვა ბრიგადირებთან ერთად ყვარელს მიდიოდა თათბირზე. პატარა მიქელა მარუასათვის უნდა დაეტოვებინა. მარუა გაოჩნდა, კოოპერატივში მარკიზეტის გამოტანას აპირებენ, უკანასკნელი კაბა შემომაცვდა, ახალი უნდა ვიყიდოო.

ნუნუ დაჰპირდა: ოღონდ კარგათ მოუარე ბავშვს, მე ჩამოგიტანო ყვარლიდან მარკიზეტის საკაბეს.

მარუამ ანგელოზები ჩამოიყვანა ციდან, ოღონდ მარკიზეტის საკაბე ჩამომიტანე და ერთი წუთითაც არ დავტოვებო პატარა მიქელას. მალხაზს ციება სჭირდა, წინა ღამის უძილარს ოცდაცხრამეტი გრადუსი სიცხე ჰქონდა.

ნუნუს უმძიმდა ავადმყოფი ძმის მარტო დატოვება, მაგრამ კოლექტივის თავმჯდომარე თედო თარალაშვილი სთხოვდა: აუცილებლად წასულიყო თათბირზე.

იმ დილით ქეთუა და მისი ქმარი თბილისს აპირებდნენ წასვლას, ისინი უთენია გავიდნენ შინიდან ქალაქს მიმავალი ავტობუსის საძებნელად. ნუნუ ჭიშკრიდან გამობრუნდა, ხელახლა სთხოვა მარუას:

ავადმყოფი მალხაზის ამარა არ დაეტოვებინა მიქელა, არც თავისას წაეყვანა იგი, რადგან მარუას ღორები ჰყავდა ეზოში.

მოხდა ისე რომ თელავში დანიშნული თათბირი გადაიდო, რადგან ქალებისა და მოხუცების ამარა დარჩენილი კოლექტივები ვერ შეელიენ ბრიგადირებს. ნუნუ ორიოდე საათის შემდეგ შინ მიბრუნდა იმავე ავტობუსით, რომელითაც წავიდა.

გულისთრთოლვით შევიდა მამისეულ ეზოში. ძაღლი კარისალაგთან იწვა. სახლიდან ჩქამიც არ ისმოდა. აგრე ივარაუდა ნუნუმ: პატარა მიქელა დაუძინებიაო მარუას.

დახედა ბავშვის საწოლს შრამელში, ცალიერი დაუხვდა საწოლი.

ოთახში შეიხედა, არც ბავშვი სჩანდა სადმე და აღარც მარუა. თავი დაიმშვიდა ნუნუმ: ალბათ თავის სახლში წაუყვანიაო ბავშვი მარუას.

მალხაზს შევეკითხებიო გაიფიქრა, ვაგლახად მოკუნტული ავადმყოფი იწვა და ხვრინავდა. დიდხანს იდგა ნუნუ მალხაზის სასთუმალთან, შეეცოდა წინაღამის უძილარი და არ გააღვიძა. ნაზად მოუცაცუნა თავის ძმას ლოყაზე ხელი, მალხაზმა დაიკვნესა და გვერდი იცვალა.

ახლა გადასწყვიტა ნუნუმ: მარუასას გაქცეულიყო.

სულმოუთქმელად აყვა დამრეცილ ბილიკს. ჭიშკართან მისულიც არ იყო, გამოვარდა ბომბორა ცხვრისძაღლი და ყეფა აუტეხა სტუმარს. ეზოში ადამიანის ჭაჭანება არ იყო,მხოლოდ ღორები დაჯირითობდნენ ბოსტანში. შეკრთა ამ ცხოველების დანახვაზე ნუნუ.

„მარუა!"

დაიძახა სტუმარმა.

უარესად გახელდა ძაღლი, იგი ღობეს აწყდებოდა. უფროდაუფრო ავდებოდა მყეფარი, ნუნუს ბრაზი წაეკიდა გულზე: სად წავიდაო ეს გასაქრობი მარუა?

კოლმეურნეობაში მუშაობას რა მოსთხოვდნენ, ღვიძლის ტკივილი, თავ-

ბრუსხმა გულის მანკი, სწორი ნაწლავის ანთება, ეშმაკი და დოზანა მზადა აქვს ჩამოსათვლელად, ისე კი ერთ ადგილას ვერ ჩერდება, ფოსტის ცხენივით დაჩაქჩაქებს სოფელ სოფელ".

ფიქრობდა ნუნუ.

ახალი იმედი გაუჩნდა სასოწარკვეთილს:

გორაკს გადაღმა სცხოვრობდა მეგობარი მარუასი, მასავით უქნარა და მესოფლია დედაკაცი — პელო. ალბათ იმ პელოსას წავიდა და თან წაიყვანაო მიქელა.

სვენებ-სვენებით მიჰყვა დაქანცული ნუნუ აღმართს. გაიხედა:

მარუა და პელო გორაკიდან ჩამოდიოდნენ, სადღა იყო ბავშვი? რაღაც ტოპრაკი ეჭირა მარუას ხელში და არხეინად მოსაუბრობდნენ.

ნუნუს თვალთ დაუბნელდა, ლამის იყო არ წაიქცა ფლატეს პირად მიმავალ ბილიკზე. თავბრუ დაესხა და ჩაიკეცა.

როცა ქალები თავზე წამოადგნენ, ნუნუმ ამაოდ სცადა წამოდგომა, საწყალობელი ხმით შეესიტყვა:

„მიქელა რა უყავი, მარუა?"

„რას ვუზამდი ქა, მალხაზს დავუტოვე ბავშვი".

ნუნუს ცეცხლი შემოეგზნო გულზე, საფეთქლებში ჭირის ოფლი დაასხა. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა და ხორხის არეში გაეხირა სათქმელი. როცა პელომ წამოაყენა ნუნუ, მან ეს უთხრა მარუას.

„მე ხომ გთხოვე განმეორებით მარუა, არავის ანდო მეთქი ბავშვი?"

„აბა რა, რა მექნა ქა? მარკიზეტს აძლევდნენ ჩვენ კოოპერატივში. მე და პელო გავიქეცით ფული ვისესხეთ, მაგრამ არ მოგვიწია, ათ-ათი კილო მარილი ვიყიდეთ, ხომ იცი, როცა ღორის დაშაშხვის დრო მოდგება, მარილი აღარ იქნება კოოპერატივში".

„მე დაგპირდი და ჩამოგიტანე კიდევაც მარკიზეტის საკაბე, ეს რა მიქენი, შე გასაქრობო?"

ცრემლმორეული ამბობდა ნუნუ.

„რას ამბობ ქა, ბავშვი სად წავიდოდა? მაშ მარკიზეტის საკაბე ჩამომიტანე ნუნუ? შენ გაიხარე, გო". და მოჰყვა მარუა ენის ჰარტალს და მარკიზეტის ქსოვილის ქებას.

ნუნუს მეზობლებს სათითაოდ ჩამოუარეს სამივემ, არავის უნახავს ვინმეს რომ გამოეჯვანა გობრონის ეზოდან ნუნუს ბავშვი.

ამის მეტი ვერაფერი ათქმევინეს მალხაზს.

ნუნუ თავის საწოლზე იწვა და უსასოოდ სტიროდა, ცრემლს ღვრიდა მარუაც, მაგრამ მისი ცრემლები სიხარულისას უფრო წააგავდა, რადგან მარუა ძლიერ აღტაცებული იყო, როგორც იქნა რომ ეღირსა მარკიზეტის საკაბეს...

ნუნუს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში; ბაბლია მოაგონდა. იგი ბოლო ხანს ხშირ-ხშირად შემოვიდოდა ხოლმე, თავისი ძმისწულის სანახავად.

აგრე ივარაუდა ნუნუმ: ალბათ ბაბლიამ გამოიარა, მიუხედავი ბავშვი ნახა და თან წაიყვანაო.

ამ იმედით გამხნევებული ნუნუ პაპა მიქელას სახლისაკენ გაიქცა.

ჭიშკრამდის მიღწეულს სმენის სიმცდარეც დაემართა: ბავშვის ტირილი შემოესმა. ცას ეწია სიხარულისაგან ნუნუ. ეგებ გული იბრუნაო ბავშვის მიმართ პაპა მიქელამ.

„ბაბლია, ჰაუ, ბაბლია"!

„ბაბლია!" ისევ დაიძახა ნუნუმ.

ძაღლი მგელა გამოვარდა უსახურავო სახლიდან. ჯერ წამოვიდა ყეფით და მუქარით ჭიშკრისაკენ, მაგრამ ნუნუს დანახვაზე მოლბა, კუდის ქიცინით შეეგება მას.

გოდერძის საყვარელი ძაღლის დანახვაზე ცრემლებმა იწვიმეს ნუნუს თვალებიდან. მან დაიჩოქა, ორივე ხელები მოხვია თავკისერზე პირუტყვს და ზედ კეფაზე აკოცა.

ამასობაში ბაბლიამაც მოაღწია...

ბაბლია ატირდა, რა შეიცნო დაიკარგაო ბავშვი.

„სად?.."

როდის? რას ამბობ, ქალო?“..

კვნესოდა ბაბლია.

როცა ატირებული ნუნუ ჰიშკრიდან გამობრუნდა, ბაბლია უკან გამოუდგა მას და მიაძახა:

„ახლა სად წახვალ ნუნუ?“

„აბა რა ვიცი სად წავიდე? სიკვდილში, ჩემო ბაბლია“.

ათასგვარი ფიქრები ბუდეაშლილ კელასავით ირეოდნენ გამწარებული დედის გულში.

ჯერ იყო და კანკრეს მისწვდა მისი ფიქრი. ეგებ შური იძია კანკრემ, მანქანით ჩამოიქროლა და გაიტაცაო ბავშვი.

ბოლოს ეს ეჭვიც უმართებულოდ შეიცნო ნუნუმ. მარუას ნათქვამი მოაგონდა: კანკრე ექსპედიტორად დამდგარაო თბილისში, არხეინად ცხოვრობს, ცოლის შერთვას აპირებსო.

ახლა ქეთუასა და მის ქმარზე შეჩერდა ნუნუს ეჭვი. ეგებ თბილისს თან წაიყვანეს, რათა ვინმე უშვილოს მიაჰეჩონ ჩემი ბავშვი.

კოლმეურნეობის კონტორასთან არ იყო მისული ნუნუ, თეთრო შემოეგება, ლალბაწას ცოლი. თეთროც თბილისს მინავილა, მაგრამ ავტობუსში ადგილი ვერ ეშოვნა და უკან ბრუნდებოდა.

ჩემმა დედინაცვალმა და მისმა ქმარმა თუ იშოვნესო ადგილი?

შეეკითხა ნუნუ თეთროს.

ისინი ჩემზე ადრე იყვნენო მისულნი, ძლივს შეასწრესო ავტობუსში.

სთქვა თეთრომ.

ნუნუმ ვერც კი მოასწრო თავისი დარდის თეთროსათვის გაზიარება, თედო თარალაშვილმა მკლავში ხელი წაავლო ნუნუს, შემოაბრუნა და თათბირის გადადების მიზეზების გამოკითხვას შეუდგა.

თედომ შენიშნა ნუნუ ლაპარაკსაც ძლივს ახერხებდა. კოლმეურნეობის კონტორაში დაიმარტოხელა და ყოველივე დაწვრილებით გამოჰკითხა.

„ნუ გეშინია“. ეუბნება თედო. „ტირილი როდი გვმართებს, არამედ მოქმედება. კარგია რომ შეგხვდი. ფერმაში ვაპირებდი წასვლას. ამ წუთში ტელეფონით მელაპარაკებოდა პროკურორს ხიდაშელი. აზრია უჯირაულის საქმეზე აპირებს ისედაც ჩამოსვლას. ყოველ შემთხვევაში ხელახლა გამოვიძახებ, სერჟანტები ჩამოიყვანოს“...

* * *

პროკურორმა სათითაოდ დაჰკითხა ნუნუს მეზობლები, მაგრამ მათ იგივე გაიმეორეს რაც ერთი საათის წინ უთხრეს ნუნუს.

გობრონისეული სახლი განკერძოებით იდგა შავსოფელში, ესეც არ იყოს ლოგინად ჩავარდნილი მოხუცის გარდა, ორშაბათ დღეს არავინ ყოფილა შინ. ასე რომ „სავსებით გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა“ ფიქრობდა თედო თარალაშვილი.

„აბა, ახლა თქვენი ძმა მაჩვენეთ“, ეუბნება პროკურორი ნუნუს.

თუმცა საკმაოდ მაღალი სიცხე ჰქონდა მალხაზს, მაინც იცნო მან ხიდაშელი· თავი წამოსწია, იდაყვი ბალიშზე დააყრდნო და ისე აძლევდა პასუხებს პროკურორს.

ამჯერად უცნაურად აღელდა პროკურორისა და სერჟანტების დანახვაზე. ხიდაშელმა თავდაპირველად თავი ვერ გაართვა სიცხისაგან გაოგნებული მალხაზის ბუტბუტს. იგი ჯერ ასე ამბობდა:

ეს მახსოვს თუ როგორ მომიყვანა მარუამ ბავშვი, ფერხთით ჩამიწვინა და გავიდაო. სხვა აღარაფერი მახსოვსო.

ხიდაშელმა დაუყვავა ნუ ღელავო, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხეო კითხვებზე.

„შენ ხომ გახსოვს ფანქარი რომ გაჩუქე ერთხელ?“

მახსოვსო, სთქვა მალხაზმა.

„აგერ მაქვს იმაზე უკეთესი ფანქარი თუ ყველა კითხვაზე კარგად მომიგებ უთუოდ გაჩუქებ ამ ფანქარს“.

უთხრა ხიდაშელმა და მწვანე ფანქარი შეათამაშა ხელში. მალხაზს თვალები გაუბრწყინდა ფანქრის დანახვაზე და წაეტანა ამ ნივთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდაშელმა უთხრა:

„აბა თუ მოიგონებ ბიჭიკო, რა გითხრა მარუამ, როცა ბავშვი ფერხთით ჩაგიწვინა?“

„კოოპერატივში საკაბე მიუღიათ, გავიქცევი და მალე მოვალო“.

მიუგო მალხაზმა.

„კეთილი. სხვა არაფერი უთქვამს?“

არაფერიო, მიუგო მალხაზმა.

„ახლა ეს მითხარი მალხაზ, ამის შემდეგ ხომ არ მობრუნდა მარუა?“

„წნუ“ მიუგო ყმაწვილმა.

„შენ რას იტყვი ბიჭიკო, ბავშვი თუ ატირდა, როცა მარუა წავიდა?“

„ჰო, ძლიერ სტიროდა როცა მარუა წავიდა“.

„მერმე?“

მერმე გაჩუმდაო.

„ახლა ესა სთქვი ბიჭიკო, მას შემდეგ რაც მარუა წავიდა, ხომ არავინ შემოსულა ამ ოთახში უცხო?“

მალხაზმა თავი გააქნია.

არავინ შემოსულაო უცხო.

„ეგებ მოიგონო ამის შემდეგ ხომ არ უტირნია პატარა მიქელას?“

„როგორ არა, მე მეძინა, როცა დავიღვიძე, ბავშვის ტირილი შემომესმა მეორე ოთახიდან.“

თუ იცი რატომ სტიროდა ბავშვი?

არ ვიციიჲ.

„მაშ მარუას წასვლის შემდეგ არავინ შემოსულა არა?“

ისევ შეეკითხა ხიდაშელი.

„როგორ არა, ვილაცეები დადიოდნენ... რაღაცას ჩურჩულებდნენ“.

„ვინ იყვნენ თუ იცი?“

ოთახში ბნელოდა, გონებ დედა ჩემი და აბრია უნდა ყოფილიყვნენო. კარში გამავალთა ზურგს წავატანეო თვალი.

როცა ხიდაშელი შეეცადა დაედასტურებინა თავისი ნათქვამი მალხაზს, მან იუარა წელანთქმული. მე სიცხე მქონდა, თვალები მეხუჭებოდა და ვგონებ სიზმარში ვნახეო ქეთუა და აბრია.

ხიდაშელმა არ დაუჯერა მალხაზს წელან ნათქვამი, შეეკითხა:

„ბავშვი ხომ არ მიყავდათო დედაშენსა და აბრიას?“

არ მახსოვსო, სთქვა მალხაზმა.

„ტირილი ხომ არ გაგიგონიაო?

შეეკითხა ხიდაშელი.

ჰო, სტიროდაო.

ამ ოთახში სტიროდაო თუ იმ პატარა ოთახში?

ჯერ აქ სტიროდაო და მერმე იქ.

თედო გაოცებული იყო. მას სარწმუნოდ არ მიაჩნდა დასიცხული მალხაზის საკმაოდ არეული ჩვენება. მით უფრო დაეჭვებული იყო თედო, რომ მას აბრია მთა-თუშეთში ეგულებოდა, ხოლო ქეთუა და მისი ქმარი თედომ თავათ ნახა ამ დილით, ისინი თბილისს მიმავალ ავტობუსში სხდებოდნენ.

პროკურორმა შრამელში გაიხმო თედო და ნუნუ, უთხრა:

„აფსუს, ჩვენი მაძებარი ძაღლები სამხედრო უწყებას გადავეცი, თორემ ამ საქმეში უთუოდ გამოვიყენებდით მათ.“

თედომ სთქვა:

„მაძებარი ძაღლი პროფესორ კორინთელსა ჰყავს კარგი, ხომ გახსოვთ შარშანწინ რომ წავიყვანეთ, მაგრამ ესაა, იგი ამჟამად მგლოვიარედაა და მე მგონია, უხერხულიც იქნება მისი შეწუხება. თუ თქვენ პირადად სთხოვთ იგი უარს არ გეტყვით, ოღონდ ესაა, უცხო კაცის ხელმძღვანელობით ძაღლი არ იმუშავებს“.

პროკურორმა სთქვა:

„მე პირადად არც ისე ახლოს ვარ მასთან. რამდენადაც ვიცი, კორინთელი ისეთი კეთილშობილი კაცია, არ შეიძლება მან არ გაიგოს ამ მდგომარეობის ტრაგიზმი.“

თედომ კეფაზე მოიფხანა და მერმე ეს უთხრა ხიდაშელს:

„მაშ კარგი, მე და ნუნუ წავალთ, საქმე დაყოვნებას არ მოითხოვს. თუ თქვენს მანქანას და სერჟანტებს გაგვატანთ კიდევ უკეთესი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

თედოსა და ნუნუს კიბის თავთან დაუხვდა მაია. აივანზე თმაგაჩეჩილი ძიძა იჯდა და პატარა როსტოს ათამაშებდა ხელში.

მაია შეყოყმანდა. პროფესორი გათენებამდის მუშაობდა, ნაბრძანები მაქვს გვიანამდის არ გავაღვიძოო.

თედომ უთხრა:

„პასუხს მე ვაგებ, ჩემო მაია, ისეთი გაჭირვება გვაქვს, მისი გაღვიძება აუცილებელია."

მაია სულ მალე გამობრუნდა.

მობრძანდითო უთხრა სტუმრებს და სასადილო ოთახში დასვა ისინი.

ნუნუმ ოთახში შესვლის უმალ შენიშნა სუსქიას გადიდებული სურათი, რომელსაც უკვე დამჭკნარი ვარდების გირლიანდები ერტყა გარს.

უყურა, უყურა, ფოტოსურათს ამ ძვირფასი ადამიანისას, რომელმაც მისი ბავშვის სიცოცხლისთვის გასწირა თავი, მუხლის თავებზე დაყრდნობილ ხელებში თავი ჩარგო და ატირდა.

პროფესორი კორინთელი საწოლი ოთახიდან გამოვიდა. მას დატანჯული ფერწასული სახე ჰქონდა.

ნუნუს დანახვაზე იგი შეკრთა....

ამ წუთში საოცრად ჰგავდა დაზაფრული ნუნუ სუსქიას, სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს. კორინთელმა ორგზის შეხედა მას და ბოლოს თედოს მიუბრუნდა:

რა გაგჭირვებიათო ამხანაგო თედო?

კორინთელი აღაშფოთა ამ საშინელმა ამბავმა თედოს მიერ მოკლედ მოთხრობილმა.

ბოდიშობდა: მე ცოტა შეუძლოდ ვარ თორემ წამოვიდოდითო თავათ.

თედომ სერჟანტები იხმო, კორინთელმა ახილი მოაყვანინა მაიას. პროფესორმა თავათ შეაბა საბელი ახილს, ძაღლის მანქანაში ჩასმისას უშველა სერჟანტებს, ძაღლი გაოჩნდა, შეუღრინა სერჟანტებს, მაგრამ ბოლოს მინებდა მათ.

*
* *

ერთი საათიც არ იყო გასული, ისევ მოვიდა მანქანით თედო, და ამცნო პროფესორს: არ დაგვემორჩილაო ახილი.

პროკურორს ეცა და შარვლის ტოტი შემოახიაო.

კორინთელმა სანიადაგო ტანისამოსი ჩაიცვა და თან გაჰყვა თედოს.

როცა პროფესორი კორინთელი ნუნუსას მოვიდა, ხიდაშელმა უბრძანა სერჟანტებს: აბრიას სახლში წასულიყვნენ და მისი ფეხსაცმელი, ან რომელიმე მის მიერ ამ მოკლე ხანში ნაცვამი ჯღანი მოეტანათ დაუყოვნებლივ.

მაოს, აბრიას ცოლს გული გადაუტრიალდა, როცა მილიციის სერჟანტები დაინახა მანქანით შემოსულნი ეზოში. მაომ კარგად იცოდა აბრიას დღე დღეზე რომ უპირებდნენ დაჭერას. როცა სერჟანტებმა მხოლოდ ჯღანები მოსთხოვეს, ჯერ გაოცდა, მერმე ხელი წამოუსვა მის ძველ ჩექმებს, ფეხსაცმელებსა და ქალამნებს მაომ და ყველანი უკლებლივ გამოაგზავნა გახარებულმა

ხიდაშელმა სათითაოდ აყნოსვინა ახილს ამ ძველმანებისათვის. ბოლოს კორინთელმა ხმამაღლა შესძახა თავის ძაღლს:

„ახილ შერშ." [1]

ახილი ჯერ ოთახში დატრიალდა, მერმე შრამელში გავარდა. ყველანი თან გაჰყვნენ მას. ახილმა გადაირბინა შავსოფლის დაღვარჭნილი შარები და ბილიკები, ბერმუხის თემშარაზე გავიდა.

მხარმარჯვნით დასტოვა სანერგე ფარდული, მამუკასეული უბანი, აქედან მელისხევს მიჰყვა, გადაიარა ბეტონის ხიდი, ბერმუხა გველეთის აღმართი აირბინა და ახალ შოსსეზე გავიდა.

გვერდით ჩაუარა მამუკასეულ სასახლეს, ქვაკაცას წმ. გიორგის ტაძართან, წრე გააკეთა რატომღაც, მერმე ზიგზაგებით მისუნსულობდა სანამ საექიმო პუნქტს არ გასცდა, ირმის ტბას რა მიე-

---

[1] ახილ, ეძიე.

ახლა, აქაც წრეს შემოურბინა, შევარდა ლაქაშითა და კატაბარდით დაბურულ ჭობში და დიდ მუხისაკენ გაემართა გულდაგულ.

დათვებს ძროხა დაეგლიჯათ. ვაგლახად დაძიძგნილი მძორის ნაკუწები ეყარნენ აქა-იქ. ჯგუფ-ჯგუფად უსხდნენ არწივები დათვების ნასუფრალს. კაცს ეგონებოდა კავკასიონის მთები დაცლილაო ამ ფრინველებისაგან, აქ იყვნენ თავმოტვლეპილი კრავიჭამიები, რომელნიც თოროსანი რაინდებივით დაჯოჯმანებდნენ, ქვიშისფერი ორბები, კლდისფერნი, შავშავნი და ჯაჭვისფერნი, სხვანი.

ტურები დაშლიგინებდნენ ღიჭიანში, ხანაც შესდგებოდნენ და მოკრძალებული უძუძგურებდნენ ფრინველთა მეფეების ამ უჩვეულო ნადიმს, ძერები და ქორები ირაოს აკეთებდნენ ცაში.

ასე გამოდიოდა: მათ წინასწარ შეეცნოთ ის ამბავი რომ სუსტებს მოთმენა მართებთ, ვიდრე უძლიერესთ არ მოუყიჭდებათ ღრეობა.

ყორნებს წნორები დაეხუნძათ, მათი ყრანტალი ალაზანს გაღაღმა გაისმოდა. ჩხიკვები და კაჭკაჭები შემცხადებულივით გაჰკიოდნენ, საერთოდ ტყის ბინადარნი საასპარეზოდ გამოეწვია ამ ამბავს.

ახილმა შორიახლოდან ჩაუარა არწივების ზეიმს, დიდ მუხისაკენ აიღო სვლის გეზი. ოფლში გაღვარული კორინთელი, ხიდაშელი და ნუნუ კვალდაკვალ მისდევდნენ ძაღლს. თლდო სვენებსვენებით მიჰყვებოდა მათ უკან.

კორინთელი უეცრად გახევდა და თავის ბრაუნინგისაკენ წაიღო ხელი. იგი საკუთარ თვალს არ უჯერებდა: ალარც იცოდა კოშმარული სიზმარი იყო ეს?

თუ ცხადლივ ხედავდა ამ უცნაურ სანახაობას?

მაყვლიანისკენ მისრიალებდა კაცის სიმაღლეზე ზეაღმართული, უზარმაზარი გძურზა[1], მას მთელი მტკაველის სიგანეზე დაეფჩინა ხახა, აგრე ეგონა მაცქერალს: იცინისო იგი კიდევაც. მზეს შესციცინებდა ალმასებრ ვასვასა, წვრილი თვალები. უცნაურად ვარვარებდა თეთრად და შავად დაწინწკლული მისი ქერეჭი.

კორინთელმა იგრძნო: ძლიერ ახლოს რომ შეეხეჩა მარჩობელას, ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია და გულდაგულ ესროლა. მარჩობელამ განზე გადააგდო თავი, კამეჩის მუხლის სისხო მისი სხეული ჯერ შტორმისაგან აზვავებულ ტალღასავით ავარდა ჰაერში და მერმე მიწაზე მოადინა ზლართანი და დაიგრაგნა.

ხიდაშელმა მოუნაცვლა მას ტყვია, მაგრამ გძურზა კიდევ დიდხანს ებრძოდა სიკვდილს...

რევოლვერის ხმაზე აზრიალდა ტყე, ათას ყრონტს აღმოხდა ყივილი და ყრანტალი... როცა კვლავ მყუდროება დამყარდა ტყეში, თავდაპირველად კორინთელმა გაიგონა ბავშვის ტირილი, იგი არ დაერიდა ქაცვიან კატაბარდებს ჭაობში შეიჭრა. მაყვლიანში სტიროდა ჭინჭებში შეფუთვნილი პატარა მიქელა......

*
* *

იმავე კვირას ხუთშაბათს ქეთუა ქალაქიდან ჩამობრუნდა. იგი თავის ტკივილს უჩიოდა, თავშეხვეული დადიოდა და კრუსუნებდა. საღამოს საიდუმლოდ გაანდო მარუას: ჩემი ქმარი გზაში წამეკიდა, ავლაბარში მცემა და ქუჩაზე დამტოვაო.

პროკურორის ხიდაშელის სანქციის თანახმად იმ ღამესვე დააპატიმრეს ქეთუა.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოტყდა იგი, ყოველივე დაწვრილებით უამბო ხიდაშელს:

კობერიძე მოსვენებას არ გვაძლევდა მე და ჩემ ქმარს. ნუნუ უნდოდა ცოლად, თანაც იძახოდა: კვიციანი ქალი არ მინდაო. ბოლოს გადავწყვიტეთ: თავიდან მოგვეცილებინა ბუში.

---

[1] გძურზა — გველის ჯიშაა ერთგვარი, ირანსა, აზერბაიჯანსა და საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ცნობილი.

აბრია, ჩემი ქმარი და მე მთელი თვე ვთათბირობდით: როგორ მოგვეწყო ეგ საქმე? ბოლოს აბრიამ მოიგონა ძველთაძველი თუშური ჩვეულება და გვითხრა: გველთან ვუყაროთო გოდერძის ბახალას წილი.

მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავიო ბავშვის დალუპვისა. ამბობდა ქეთუა, თბილისს უნდა წამეყვანა და იქ მიმეჩეჩებინაო ვინმესთვის, მაგრამ აბრიამ აიჩემა: ირმის ტბის ჭაობში დაგვეგდო ბავშვი, იმ იმედით, რომ გველები დასჭამდნენ მას.

ქეთუა თავდაპირველად აგრე ამტკიცებდა: უშვერიძეს არ უდევსო ამ საქმეში ბრალი. ბოლოს ველარ გაუძლო ხიდაშელის გამუდმებულ დაჟინებას, თავის ქმარსაც დაადო ხელი.

დღე და ღამ მიჩიჩინებდა: ბავშვს მოვაცილებთ თუ არა წამსვე მითხოვდებაო კობერიძეს ნუნუ და ჩვენც იოლად შევძლებთო სახლკარის გაყიდვას.....

*

* *

დიდხანს ამაოდ ატარა ფოსტალიონმა გეომ პროკურატურის უწყება აბრია უჯირაულის სახლში, ორ თვეს ეძია აბრია მილიციამ მთელს კახეთში, მთათუშეთსაც წარგზავნეს გადაცმული სერჟანტები, მაგრამ ამჯერად მნახველიც ვერავინ იპოვნეს...

## საჰაერო განგაში

...„კონცლაგერის ტყვეებმა ისარგებლეს საჰაერო განგაშით ესესელებს იარაღი აჰყარეს, დაელექტრონებულ ეკლიან მავთულებზე საბნები გადააფარეს და გაიქცნენ“...

**ნიურნბერგის პროცესის სტენოგრამებიდან.**

ფრიდა შტამლერის სიგნალები მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიაჩნდა წიკლაურს. ვინ იცის რას ბოდავდაო აღტყინებული, მთვრალი დედაკაცი.

ბურჟინსკიმ სთქვა: ჩვენ შეძლებისამებრ ვემზადოთ, თუ საჰაერო განგაში შესდგა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ ჩვენი ვქნათო.

ხირჩლა ოჩიაურს მარტო თავის დანის იმედი ჰქონდა. ვიდრე საჰაერო განგაში გამოცხადდებოდეს, შეიძლება ჩვენ სიქა გაგვაცალონ, ამიტომაც ნურავის განვაზრახებთ როცა ფეხსადგილში გაგვიყვანენ, იქ დაყუდებულ ორ ესესელს საათენგენო თხებსავით გამოვღადრავ ყელს და თავს ვუშველოთო მერმე.

გოდერძი და ბურჟინსკი უსაზმნო ავანტიურად სთვლიდნენ ექვსიოდე კაცის მიერ წამოწყებულ აჯანყებას. მოტოციკლებით გამოგვიდგებიან ესესელები და დაგვხოცავენო.

ამიტომაც გადაწყდა: საიდუმლო კავშირი გაებათ რუსებთან, სომხებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და პოლონელებთან.

მხოლოდ ასეთი პირობით: ხუთიოდე სანდო კაცისათვის გაემხილათ ეს საიდუმლო. ამ ხუთეულში ყოველი თავკაცი ათ-ათს გამაზრახებდა და როცა ათეულის მეთაური პაროლს წამოიძახებდა, აჯანყება უნდა დაწყებულიყო.

წიკლაურმა წინადადება შემოიტანა: ინგლისელები, ფრანგები, ბელგიელები და ჰოლანდელებიც განვაზრახოთო მაგრამ გოდერძიმ და ბურჟინსკიმ შორს დაიჭირეს ეს საქმე.

ჩვენ ამ ხალხებს კარგად ვერ ვიცნობთ, არც ენა გვესმის მათი, ვინმემ რომ გაგვცეს, ვადაზე ადრე გაგვაძრობენო ტყავს.

თუ საჰაერო განგაში მართლაც შესდგა და აჯანყებას თავი მოვაბით, ისინი სტიქიურად აგვყვებიანო.

აჯანყების თანამზრახველებად ბურჟინსკიმ დაასახელა უკრაინელი მაიორი კირიჩენკო, ბელორუსი კაპიტანი სმოლიჩი და პოლონელი — ფელიქს ფალკივსკი.

ამ სამ კაცს ისევე ვენდობი, როგორც ჩემს თავს, პირველი ორი უკრაინისა და ბელორუსიის ფრონტებზე მყავს ბრძოლის ველზე დაცდილი, ხოლო ფალკივსკი ამ ლაგერში გავიცანი, უბრალო ჟურნალისტია, მაგრამ უშიშარი ვაჟკაცი, მას პოლონელების აჯანყება მოუწყვია ამასწინად სლავუტაში დღე დღეზე ელის სიკვდილის განაჩენს.

გოდერძიმ სთქვა:

„ყირიმისა და ყუბანის ფრონტებზე მე დავუძმობილდი ერთ სომეხსა და ერთ ოსს, ოჰანეზ კარაპეტიანს და კოხტა ასაევს, მე ამ ორს ისევე ვენდობი, როგორც ყოველ თქვენგანს.

ორივენი შეუდრეკელი ვაჟკაცებია, ესენი თავიანთი მხრიდან განაზრახებენ თავიანთ თვისტომებს."

*

* *

მოვლენები აჯანყებულთა სასარგებლოდ წაეწყვნენ ურთიერთს.

ერთ საღამოს ხანძარი გაჩნდა კონცლაგერში.

ლაგერის კომენდატურამ ეს ამბავი ებრაელებს გადააბრალა, იმ ღამესვე დახვრიტეს თორმეტი რაბინი და ოცდახუთი ებრაელი ვაჭარი.

არსებითად ეს ხანძარი მოხდა იმის გამო, რომ კონცლაგერის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო პაპიროსის წევის აღკვეთა კონცლაგერის კამერებში.

ინგლისელები, ფრანგები ჰოლანდელები და ბელგიელები თუთუნს ღეჭავდნენ, ხანაც ბურნუთს იყრიდნენ ცხვირში, ამით იკმაყოფილებდნენ ნიკოტინისადმი მიდრეკილებას.

წეკო ლაგერს გარეთ მომუშავე ტყვეებს შემოჰქონდათ კონტრაბანდად.

დანარჩენებმა ვერ მოიშალეს მუშტში ჩამალული მახორკის პაპიროსის წევა. ერთ ბელორუსს ნარზე დასძინებოდა პაპიროსით ხელში. ცეცხლი მოედო მის მატრასს, თივით გატენილს, აქედან მის მეზობლად მწოლარეთა მატრასებს გადაედო, ერთბაშად იფეთქა ხანძარმა პირველ კორპუსში.

ღამის პირველ საათზე ვალტერმა გამოიძახა საყარაულო პოლკი, ესესელებმა ავტომატების კონდახებით სცემეს ვისაც მისწვდნენ, სამი ათასი შიშველი ტყვე გამოიყვანეს დათოვლილ ეზოში.

მეხანძრეები მოსცვივდნენ, შლანგებით მიუშვეს წყალი ცეცხლმოდებულ მატრასებს, მერმე ესესელებმა ისევ შეჰყარეს გათოშილი ტყვეები კამერებში. ასე რომ მატრასები და ტანისამოსი სავსებით სველი დაუხვდათ ტყვეებს.

მრავალთაგან მრავალს ტანისამოსი დაეწვათ, ცხენის უხეში საბნები დაურიგეს დაზარალებულ ტყვეებს. რადგან ევროპელებს უსაცვლოდ წოლა სჩვევიათ, ბევრს საცვლებიც დაეწვათ, ასე რომ მეორე დღეს ისინი ვისაც საცვლები და ტანისამოსი დაეწვათ, ადამის კოსტჲუმის ამარა დასეირნობდნენ თოვლში, ზოგსაც ცხენის საბნები ჰქონდა წამოსხმული.

მეხანძრეებმა წყლით გაავსეს ეზოში დადგმული კასრები და ბაკები, სათადარიგო შლანგები დასტოვეს პირველ კორპუსში შესასვლელ კარებთან.

ერთ დღეს ბურჟინსკიმ განზე გაიხმო გოდერძი და უთხრა:

„აშენოს ღმერთმა ამ ხანძრის მომწყობი, ეს რომ არ მომხდარიყო არც ამ შლანგებს მოიტანდნენ, მე და გულუხაიძემ უკვე გადავწყვიტეთ, ეს შლანგები სათანადოდ გამოვიყენოთ."

„როგორ?"

შეეკითხა გოდერძი.

„თავის დროზე გაჩვენებთ". ამბობს ბურჟინსკი და ეშმაკურად ილიმება. „შენი ამორძალის ნათქვამი თუ გამართლდა, ესესელებს შავ დღეს დავაყენებთ". ბურჟინსკიმ მკლავში ხელი წაავლო გოდერძის და წასჩურჩულა:

„მე და გულუხაიძეს უკვე შემუშავებული გვაქვს გეგმა, მაგრამ ეს აგურის გალავანი ძლიერ მაღალია."

„რომელი გალავანი?"

„აი ეს, პირველ კორპუსსა და მთავარ ჭიშკარს შორის რომ არის."

გოდერძიმ ახედ-დახედა გალავანს.

„ხელსაყრელი პირობები რომც გვექნეს, მთავარ ჭიშკრიდან ჩვენ ველარ გავალთ, მის გადაღმა ესესელების პოლკი დგას. პირიქით, მოქმედებას რა შევუდგებით, ეს ჭიშკარი შიგნიდან უნდა გადავკეტოთ.

აგურის ქარხანაში თუ გვინდა მოვხვდეთ, ეს გალავანი გადავლახოთ, ბოლოს სამკეცი ეკლის მავთულის ხლართები“.

მოსაუბრეებს გულუხაიძე შემოუერთდა. იგი მიხვდა რის გამოც იყო ლაპარაკი.

„იცი, გოდერძი, მე ასე ვამბობ· ხირჩლა მივაყენოთ კედელთან, დანარჩენები ზურგზე შეახტებიან და ჰოპ... ჰოპ...“

„მერმე ხირჩლა ვის დავუტოვოთ?“

„მე დავრჩები გალავანზე და ხირჩლას ვუშველი ამოსვლაზე.“

„არა, ჩემო სოლომონ, ეს ზღაპარია, ის რაც ჩვენ განზრახული გვაქვს, ელვის უსწრაფესად უნდა მოხდეს, თორემ ესესელები ავტომატების ცეცხლს გახსნიან წამსვე.“

ამბობდა ბურჟინსკი. გოდერძიმ ახედდახედა გალავანს და სთქვა:

„შენ მართალი ხარ, ივან, ამ გალავანს ჭინკაც ვერ გადაახტება. კიდევ მოვიფიქროთ, ვნახოთ . . . .“

*

* *

მეორე დღეს ხანძრისაგან დაფუფქული ტყვეების საავადმყოფოში გადასაყვანად გამოგზავნეს კონცლაგერში ექიმი მახნილოვი, პროფესორ შტამლერის ორდინატორი — ფრაუ ბერტა და ექთანი ნიოლინა. ამ უკანასკნელმა ფრიდა შტამლერის წერილი მუჭში ჩაუდვა ბურჟინსკის გოდერძის გადასაცემად.

უკვე დანამდვილებით გავიგე: საჰაერო განგაში თებერვლის 13-ს საღამოს ცხრა საათსა და 15 წუთზე იქნებაო, იწერებოდა ფრიდა. ერთი კომპასი გამოეტანებინა ნიოლინასათვის მას. გოდერძის და მის მეგობრებს მთელი ღამე არ სძინებიათ. ნაშუაღამევს ბურჟინსკის კამერაში საბანწამოსხმულნი მოვიდნენ: კაპიტანი სმოლიჩი, მაიორი კირიჩენკო, კარაპეტიანი, ასაევი და ფალკივსკი.

აგურის გალავანზე გადახტომის საკითხმა აზრთა სხვაობა გამოიწვია. ახლადშეძენილი მოკავშირეებიც წინააღმდეგნი იყვნენ ფეხსადგილებთან ღობის განგრევისა და იქიდან გაქცევისა. რადგან ამ მხარეს სწორ შოსეზე უნდა გასულიყვნენ გაქცეულები, გარდა ამისა, ეკლის მავთულების ექვსმაგი ხაზი უნდა გადაელახათ.

აგურის გალავანს რა გადალახავდნენ, სამმაგ ხლართს გადაევლებოდნენ და მერმე გავიდოდნენ ოღრო-ჩოღრო გზაზე, რომელიც პირდაპირ აგურის ქარხნისაკენ გაიყვანდა შეთქმულებს.

აგურის ქარხანა გორაკზე იყო. ასე რომ ეს დათოვლილი, ცერაღმართული გზა უმარჯვო იქნებოდა ესესელებისათვის, რომელნიც მოტოციკლებით გამოუდგებოდნენ ალბათ გაქცეულებს. გარდა ამისა, ერთი უპირატესობა ჰქონდა ამ მხარეს გაქცევისას. აგურის ქარხნის გადაღმა ტყე იყო, საკმაოდ დაბურული.

ბურჟინსკის კარგად ნაცნობა აგურის ქარხნის სანახები, ტანკსაწინააღმდეგო ორმოების სათხრელად აგზავნიდნენ მას თურმე იმ მიდამოებში., ხანაც თოვლს ახვეტინებდნენ ამ ქარხნის მახლობლად გამართულ აეროდრომზე.

„შესაძლოა აქ ყველა ამხანაგმა არ იცოდეს, რომ ჩვენი კონცლაგერი პოლონური ქალაქის სლავუტას გარეუბანშია. ორასი კილომეტრის რადიუსზე პოლონური მოსახლეობაა, მე თუ ცოცხალი გადავრჩი, მეგზურობას ვიკისრებ, პოლონელები ყოველგან გაგვიწევენ დახმარებას“.

ამბობდა ფალკივსკი.

ბურჟინსკიმ სთქვა:

„ორას კილომეტრს რა გავივლით კომპასი ხელთ გვაქვს, ბოლოს ჩრდილოეთისაკენ კიდევ ასი კილომეტრი ვიაროთ და კოვპაკის პარტიზანული შტაბის მოძებნა ჩემზე იყოს.

იმავე ღამესვე გადაწყდა პაროლად დაეთქვათ: „ცამეტი.“

ბურჟინსკი წარამარა დგებოდა, ამინდს უთვალთვალებდა. დაუცხრომლად სთოვდა. გათენებისას ქარი ამოვარდა და ყინვა დაიწყო. გრადუსი 36-ს უჩვენებდა.

„ბუნებაც ჩვენ გვეხმარება, უჩურჩულა გოდერძის ბურჟინსკიმ. გათენებისას მივარდა ვახტმაისტერი ვალტერი და იყვირა:

„ბურჟინსკი!“

როცა ბურჟინსკი გამოეჭიმა ვახტმაისტერს, ვალტერმა ჩააყვირა:

ჰეჲ რუსო, გამოიყვანე თორმეტი რაბინი და ხუთი აზიატი, პირველი კორპუსიდან მთავარ ჭიშკრამდის თოვლი უნდა გახვეტოთ, კარგად დატკეპნეთ გზა, კომისიას მოველით“.

ბურჟინსკის გაეცინა გუნებაში. ხომ არ გაგიჟებულაო ვალტერი?

„რაბინები სადღაა, ჰერრ ვახტმაისტერ?“

„რა იქნენ რაბინები?“ დასჭყივლა ვალტერმა ისევ.

„გუშინწინ არ დახვრიტეთ ჰერრ, ვახტმაისტერ?“

ვალტერი შეცფუნდა.

„ჰო, სულ დამავიწყდა, ისინი ალბათ მამა ღმერთთან გალობენ ახლა. სულ ერთია, თორმეტი ებრაელი ვაჭარი მოიტა, ან რუსი...“

„მესმის ჰერრ ვახტმაისტერ“ მიუგო ბურჟინსკიმ, თანაც შეატყო ვალტერს დილაადრიან უკვე მოესწრო არყით გამოთრობა.

როცა თორმეტი რუსი და ხუთი ქართველი თოვლს ხვეტავდნენ, გულუხაიძე მიეპარა მამასახლისს და უჩურჩულა:

„შენ რას იტყვი, ივან, ღმერთს ჩვენთვის გამოუგზავნია ეს თოვლი. ურიგო ხომ არ იქნებოდა აგურის გალავანისაკენ რომ მიგვეწია მოხვეტილი თოვლი, ჰა?“

„ჰო, მართლაც, კარგი აზრია, მეც ამას ვფიქრობდი ამ წუთში ეშმაკის ფეხო, ჰო, სოლომონ, ჰი, ჰი,“.

როცა თოვლის ხვეტა მოათავეს ვალტერმა დაათვალიერა გატკეპნილი გზა, მოიწონა და პირველი პოსტისკენ წაჩინდრიკდა.

ბურჟინსკიმ ეშმაკურად ჩაიხითხითა და უთხრა ელანიძესა და გულუხაიძეს:

„ახლა ოჩიაურის გალავანზე მიყუდება არ დაგვჭირდება არა? ვალტერი მთვრალია და ვერც კი შენიშნა, რომ ამ გალავანს ახლა ბოლოიც გადაახტება, იმდენი თოვლი მივახვეტინე ბიჭებს.“

*

* *

თებერვლის ცამეტს, ზუსტად 9 საათსა და 15 წუთზე სლავუტას ლოკომოტივები აბღავლდნენ. აკივლდნენ ქარხნების სირენები, კათოლიკური ეკლესიების სამრეკლოებზე დაარისხეს ზარები. კონცლაგერში ელექტროს შუქი ჩააქრეს თუ არა, ფალკივსკი ავარდა ნარზე და პოლონურად იყვირა:

„ცამეტი“.

პოლონელებმა დალეწეს ნარებს შორის გამართული მოაჯირები, ხელტუკები გაიკეთეს და ეცნენ მეორე კორპუსის კარებთან მდგარ ავტომატიან ესესელებს.

ფრანგებმა რა გაიგეს, პოლონელები აჯანყდნენო, ორ ესესელს ავტომატები წაართვეს და მარსელეზას სიმღერით გამოცვივდნენ ეზოში. სარდაფების კარები შელეწეს ხელბორკილიანი ტყვეები და შიზოფრენიკები ეზოში გამოყარეს.

ამ ალიაქოთზე პირველი კორპუსის კარებს მოაწყდა ვახტმაისტერი ვალტერი, მას შეწკიპული პარაბელუმი ეჭირა ხელში. გოდერძის და ბურჟინსკის უკვე მოესწროთ ორი ესესელისათვის ავტომატების წართმევა და როცა ვალტერმა ქუსლი დაუშინა კარებს, ხირჩლა ოჩიაურმა კარი გაუღო, თავათ კარის უკან გაინაბა, ღრიალით შემოვარდნილ ვალტერს ეცა და გავარვარებული დანა ჩასცა ზურგში.

ლაგერის ადმინისტრაცია დაიბნა, კომენდანტი პოლკის უფროსთან გაიქცა,

ელექტროშუქის ანთება ვერავინ გაბედა, რადგან საჰაერო განგაში მოთავებული არ იყო, მეორე საგუშაგოდან ათიოდე ესესელი გამოვარდა, ეზოში მორბოდნენ და უსაზმნოდ ისროდნენ ავტომატებს.

გოდერძი, ბურჟინსკი. კარაპეტიანი და სმოლიჩი სროლითვე შეეგებნენ წინ, ჯერ საეგებიოდ ესროდნენ ესესელებს, მერმე თოვლში წაწვნენ და ავტომატები დაუშინეს მათ. ამასობაში ფრანგებმაც მოაღწიეს, შვიდნი დასჭრეს, სამიც მოჰკლეს.

სარდაფებიდან გამოვარდნილ გუშაგებს გულუხაიძემ და ასაევმა წყლის შლანგები მიუშვირეს, ცივი წყლისაგან გათოშილებმა სროლა ვეღარ შესძლეს, ამასობაში მთავარ კორპუსიდან გამოცვენილი ტყვეები ლაგერის ეზოში დაყრილ აგრეგატებს ამოეფარნენ, ქვები და ხელტუკები დაუშინეს ესესელებს.

ბურჟინსკი, გოდერძი და ფალკივსკი ჭიშკრისკენ გაიქცნენ, ორ გუშაგს იარაღი აჰყარეს და ჭიშკარი მაგრად გადარაზეს.

აჯანყებულები აგურის გალავანზე ხტებოდნენ უკვე. ეკლის მავთულებზე საბნებს აფენდნენ და არხეინად ზედ გადადიოდნენ.

მესამე საგუშაგომ გააფთებული წინააღმდეგობა გაუწია აჯანყებულებს. სწორედ იმ წუთს როცა მათ აგურის გალავანი გადალახეს, სამი ავტომატიანი გუშაგის შესაცვლელად სამნი მოსულიყვნენ. მათ რა დაინახეს გაქცეულები, ავტომატები დაუშინეს, ოციოდე კაცი წაიქცა თოვლში.

გოდერძი და ბურჟინსკი იდაყვებით წაფორთხდნენ საგუშაგოსაკენ, სამი ესესელი ყირამალა გადმოვარდა ძირს, ახლა დანარჩენი სამი შევარდა ფიცრულში და ჭუჭრუტანიდან ისროდნენ ავტომატებს.

კარგა ხანს გაგრძელდა სროლა, ბოლოს ერთბაშად დადუმდა საგუშაგო, გოდერძი და ბურჟინსკი შიგ შევიდნენ, ესესელები სისხლისაგან იცლებოდნენ უკვე.

ეკლიანი მავთულების უკანასკნელი ხაზი გადალახეს აჯანყებულებმა და აგურის ქარხნისაკენ მოკურცხლეს. საყარაულო პოლკმა შემოლეწა რკინის ჭიშკარი, მაგრამ შეთქმულები უკვე აღარ იყვნენ კონცლაგერის ეზოში.

ესესელების მთელი რაზმეული მოახტა მოტოციკლეტებს და გაქცეულებს უკან გამოუდგა, მაგრამ გაყინულ ცერაღმართულ გზაზე მოტოციკლებმა ბუქსაობა დაიწყეს. მაშინ მოტოციკლები გზის პირად დაჰყარეს ესესელებმა და სირბილით მიაშურეს აგურის ქარხანას.

ქარხნის მისადგომებთან სასტიკი ბრძოლა გაუმართეს აჯანყებულებმა ფაშისტებს. ათიოდე შეთქმული ავტომატებს ისროდა, დანარჩენები აგურის შტაბელებს ამოეფარნენ, აგურებს უშენდნენ ესესელებს. ორმოცამდე დახოცეს ზოგი ტყვიით, ზოგიც აგურით.

უკვე თენდებოდა როცა ვაზნები შემოაკლდათ აჯანყებულებს. გოდერძიმ, ბურჟინსკიმ და ფალკივსკიმ აგურის ქარხნის რკინის ჭიშკარი დაგმანეს, ისევ დაუშინეს ავტომატები მოიერიშე ესესელებს და ამგვარად გაქცევის საშუალება მისცეს ხალხს, ბოლოს თავათაც შემოაკლდათ ვაზნები, ტყისკენ დააპირეს გაპარვა, მაგრამ ამასობაში აეროდრომის მხრიდან შემოევლოთ ფაშისტებს და სამივენი დააპატიმრეს. . . .

გოდერძის ამჯერად მეშვიდე ტყვია მოხვდა მარჯვენა მკლავში, ხოლო ბურჟინსკის ავტომატის კონდახით ჩაუმსხვრიეს ლავიწი.

*

* *

მეორე დღეს რადიოში გამოვიდა სლავუტას ქალაქის თავი, დოქტორ ჰირშ და ამცნო სლავუტას მომიჯნე რაიონების მოსახლეობას: კონცლაგერიდან გამოქცეული სამხედრო ტყვეები კანონს გარეშე გამოცხადებული არიან და სადაც მათ წააწყდეთ, დაუყოვნებლივ დახოცეთო.

დოქტორ ჰირშ აფრთხილებდა პოლონურ მოსახლეობას: ვინც გაქცეულებს

შეივრდომებს, დაუყოვნებლივ დავხვრეტთო.

იმავე დღეს დააპატიმრეს აგურის ქარხნის დირექტორი, რომელსაც ორი მოხუცი დარაჯის ამარა დაეტოვებინა ქარხანა. დახვრიტეს ათი პოლონელი მძევალი.

იქვით შეიპყრეს ექიმი მახნილოვი, ექთანი ნიოლინა და ასისტენტი ფრიდა შტამლერი. ეს უკანასკნელი ორდინატორმა ფრაუ ბერტამ დააბეზღა თურმე: სამხედრო ტყვეებს ხელს უწყობდაო გაქცევისას. პროფესორმა შტამლერმა გაათავისუფლებინა იგი, ბოლოს ძაღლებისათვის განკუთვნილი მათრახით სცემა თავის გერს, მაგრამ ამ ამბავმა ისე აალელვა პროფესორი, ტვინში სისხლის ჩაქცევამ იმსხვერპლა გიჟების იროდი . . . . . . . . . . . . . .

*

* *

როცა გოდერძი ელანიძე, ივანე ბურჟინსკი და ფელიქს ფალკივსკი კონცლაგერში დააბრუნეს ისევ, ისინი „წითელ კამერაში" შეჰყარეს. ტყვეებმა კარგად იცოდნენ რომ მასში ათავსებდნენ ხოლმე ისეთ პირებს, რომელთაც სიკვდილი მისჯილი ჰქონდათ უკვე.

აქ მათ დაუხვდათ ოთხმოცდახუთი ტყვე, რომელნიც აგურის ქარხანაში მომხდარ ბრძოლის დროს დასჭრეს ესესელებმა. დაჭრილთა შორის უმეტესად იყვნენ რუსები, პოლონელები, ებრაელები, ფრანგები და უკრაინელები.

ამავე კამერაში მოათავსეს რატომღაც ვენელი დიდვაჭარი ფრიშენბერგი, რომელიც კონცლაგერში აჯანყების დაწყებისას მატრასების ქვეშ დამალულიყო....

ექვსი დღის განმავლობაში მხოლოდ წყალს ასმევდნენ ტყვეებს, რათა შიმშილისაგან ქანცმილეულებს წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაჰკარგოდათ.

ფრიშენბერგი ახლად მოყვანილი იყო ლაგერში, აქებდა და ადიდებდა ჰიტლერსა და ჰიმლერს. ამტკიცებდა: ფაშისტური ხელისუფლება უსამართლოდ არავის დასჯისო.

ყოველდღე განცხადებას აგზავნიდა ჰიტლერის სახელზე. ღამით ოხრავდა და სტიროდა, დღისით განცხადებებს სწერდა, თავს აბეზრებდა წუწუნით ყველას, ყოველ კაცს ეკითხებოდა:

რა ვქნათ რა ვქნათო?

ბოლოს ფრიშენბერგი გამოუტყდა ბურჟინსკის: ექვსი მილიონი მარკა, ასი კილო ოქრო შევწირე ფაშისტური არმიისთვის ხელისუფლებას და მე არა მჯერა: ასე უმართებულოდ რომ დამსაჯონო.

ტყვეები გაოცებულნი იყვნენ. კვირეები კვირეებს სცვლიდნენ და დასაკითხავად არავინ მოდიოდა.

ზოგს მართლაც სჯეროდა ამ აჯანყების გამო გამოძიება დაიწყებაო, თანაც იმედი ჰქონდათ: ალბათ ეს საქმე დიდხანს გაჭიანურდება, ამასობაში შესაძლოა ჰიტლერი დამარცხდეს და თავისუფლება გვეღირსოსო.

ერთადერთი ფრიშენბერგი სწერდა განცხადებებს დამკითხეთო ევედრებოდა ფაშისტებს.

სლავუტაში ორჯერ მოხდა საჰაერო განგაში, ეს ორი უკანასკნელი სავარჯიშო როდი იყო, საბჭოური ავიაცია თავს დაესხა აეროდრომს და ათიოდე თვითმფრინავი აფრენამდის გაანადგურეს.

ბურჟინსკი უფრო რეალურად უცქეროდა ამ საქმეს. გამოსაძიებელი აქ რაღააო? აჯანყება მოუწყვეთ ფაშისტებს, ასამდე ესესელი დავხოცეთ, ალბათ ეგზეკუციაში გაგვიშვებენო ყველას.

ერთ დილას მოვარდა ახალი ვახტმაისტერი შტილბაუმი და იყვირა:

ტანკსაწინააღმდეგო ორმოების სათხრელად წამოდითო ყველანი.

ბურჟინსკის არ მოეწონა ეს ამბავი, მაგრამ პანიკის ატეხა არ სურდა და თავის ჩექმებს დაუწყო ძებნა. როცა ისინი ჩაიცვა, მხოლოდ გოდერძის უჩურჩულა:

„ეჰ, რაბინებთან გვაგზავნიან ალბათ ჩემო გოდერძი."

„რაც არის, ეგ არის, ივან."

მიუგო ელანიძემ.

ფრიშენბერგი დაელრიჯა შტილბაუმს: განცხადების დაწერა დამაცალეთო.

„განცხადებები საღამოს სწერეთ, ჯერ ორმოების თხრაა საჭირო და არა ლიტერატურა."

წითელი კამერის დერეფანთან მოაყენეს „ყორანი".

როცა ვახტმაისტერი შემოვიდა, ფალკივსკი ნარზე ჩამოჯდა, ვახტმაისტერი მივიდა ფალკივსკისთან, ადექიო უბრძანა. ფალკივსკიმ ხმა არ გასცა.

მაშინ ვახტმაისტერი ეცა ფალკივსკის და ძალით წამოყენება დაუპირა, ფალკივსკიმ სახეში გაარტყა შტილბაუმს, ეს უკანასკნელი წაიქცა და აყვირდა.

შემოცვივდნენ ესესელები და კონდახები დაუშინეს ფალკივსკის ცხვირპირში.

მან სამი კბილი სისხლიან ფურთხს გამოაყოლა და პირველი შევიდა „ყორანში".

ბურჟინსკის არ სჯეროდა თუ ტანკსაწინაალმდეგო ორმოების სათხრელად მიჰყავდათ ტყვეები ვახტმაისტერს. მას არა ერთხელ უთხრია ამგვარი ორმოები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბარები და ნიჩბები მიჰქონდათ ლაგერიდან. ამგვარი დაეჭვება არ გაუზიარა ამხანაგებს, აგრე ფიქრობდა: რად გავუხეთქოვო წინასწარ გული. მაინც შეეკითხა ვახტმაისტერს ცალყბად: ბარები და ნიჩბები რად არ წამოვიღეთო?

იქ დაგვხვდებაო, მიუგო შტილბაუმმა.

„ყორანი" გაჩერდა ჰაეროდრომის გადაღმა, მინდორზე. როცა ტყვეები მანქანიდან გამორეკეს, მათ დაინახეს ჰაეროდრომზე მიმოყრილი ნამუსრევები თვითმფრინავებისა.

გორაკზე აგურის ქარხანა მოსჩანდა, ცაში თვითმფრინავები დაჰქროდნენ, მათი გუგუნი აყრუებდა მიდამოს.

ტანკსაწინაალმდეგო ორმოებამდის რა მიაღწიეს, ბურჟინსკი ისევ შეეკითხა ვახტმაისტერს: სადღააო ბარები და ნიჩბები?

„როცა სამმეტრიან ორმოებში ჩავყრით, მაშინ მოვატანინებთ ბარებსა და ნიჩბებს" უპასუხა ვახტმაისტერმა.

ტყვეები ტანკსაწინაალმდეგო ორმოების კიდეებზე გაამწკრივეს, ესესელები თოფის სასროლ მანძილზე უკუიქცნენ და ტყვეებს ცხედრების სუნი მისწვდა უკვე.

შტილბაუმმა იყვირა:

„ფოიერ". [1]

და ატყდა ავტომატების რაკრაკი.

ფრიშენბერგს კიდევ არა სჯეროდა რომ მათ ესროდნენ, ალბათ ვარჯიშობენო, ეუბნება თავის გვერდით მდგარ ბურჟინსკის და გოდერძის.

პირველი ბათქის შემდეგ ორმოციოდე კაცი ჩაცვივდა თხრილებში, ფრიშენბერგს მარჯვენა მკლავში გაუარა ტყვიამ, იგი უცნაურად დაფრთხა, აყვირდა, გოდერძისა და ბურჟინსკის მოებღაუჭა და ორივენი თან გადაიყოლა სამიოდე მეტრის სიღრმე ორმოში.

ფალკივსკიმ არ დააყოვნა. გაიგონა თუ არა პირველი ბათქი, იგი მიწაზე დაცუცქდა, მეორე რა შემოესმა, გადავარდა ხაროში...

ორმოში ახლად დახოცილი ტყვეები ეყარნენ, ჯერაც ოხშივარი ასდიოდა სისხლს.

„ცხედრები ვისაფროთ, ივან," წასჩურჩულა გოდერძიმ ბურჟინსკის.

უზარმაზარი დევკაცის გვამი წამოაყენა და მკერდზე დაიწვინა.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, ისევ გაისმა „ფოიერ", და ავტომატების რაკრაკი. ერთბაშად შესწყდა სროლა, ავტომატების რაკრაკი ბომბების გრიალმა შესცვალა. ბურჟინსკიმ ცხედრის იღლიიდან თავი გამოჰყო უჩურჩულა გოდერძის:

„ალბათ ჩვენი ბომბდამშენები თავს დაესხნენ აეროდრომს."

ბღაოდნენ ლოკომოტივები, გულისწამღებად წიოდნენ ქარხნების სირენები, ეკლესიების სამრეკლოზე არისხებდნენ ზარებს . . . . . . . . .

[1] ცეცხლი.

როცა სისხლში ამოსვრილი გოდერძი, ბურჟინსკი, ფალკივსკი და ფრიშენბერგი დიდის ვაივაგლახით ამოძვრნენ ორმოდან, ნისლი იდგა ჰაეროდრომის მინდორზე, სლავუტაში ისევ საჰაერო განგაში იყო, ბომბების გრიალი ისმოდა კანტიკუნტად.

„რა ვქნათ?"

კვნესოდა ფრიშენბერგი.

„რა ვქნათ და ერთი კოხტა განცხადება მივწეროთ მაგ სახეძაღლს, ჰიტლერს."

გაიხუმრა ბურჟინსკიმ.

„აი ამას ეწოდება სახრჩობელის ჰუმორი" სთქვა ფალკივსკიმ.

ტალახისებრ ღრუბლებში ფოლადისფერად იელვა, ტყვეებმა უკან მიხედვაც ვერ მოასწრეს, ბომბები დაუშინეს აეროდრომს.

„მომყევით", უყვირა თავის მეგობრებს ფალკივსკიმ და ტყისაკენ გაიქცა.

. . . . . . . . . . . . . . . .

## Miraculum magnum [1]

„ყურძნის მტევანმა უამბო თურმე ერთ მოხუცს: მე სიცულღუტემ მომიკრა, მზეს გავუშიჯნურდი და დავორსულდი. არსთა განმრიგემ დამსაჯა კიდევაც ამისთვის.

ქორორზე ხელი წამავლო, მზისკენ მიმიქცია პირი, ამიტომაც გავშავდი.

ევეც არ მაკმარა, კრაზანები მომისია მომდგნენ და დამკბინეს ამ კრაზანებმა.

მერმე მოცვივდნენ ადამიანები, ყელი გამომჭრეს დანით, საწნეხელში ჩამაგდეს, ფეხებით ზედ შემდგნენ, ძვალი და ხორცი დამილეწეს.

სისხლი ჩემი კასრებში ჩაასხეს.

ბოლოს დასხდნენ, სვეს იგი, იმღერეს და ჭიანური ააკვნესეს ჩემი სისხლით გამომთვრალებმა".

**მინუჩერის „დივანი".**

ბერმუხის კოლმეურნეობის საქმეები უარესობისაკენ მიიწევდნენ. სასტიკმა ზამთარმა ძლიერ დააზიანა კოლმეურნეობის ცხვარი. დოლი ადრე დაიწყო, დიდძალი უდღეური ბატკნები დაჰყარეს ცუდად მოვლილმა ცხვრებმა. მწყემსთა შორის ახალგაზრდანი და ჯანმაგარნი ფრონტზე წავიდნენ, მოხუცთა და ჭარმაგთა შორის მეტწილად ბობოლაყოფილნი იყვნენ.

ეს ძველი მწყემსები მთათუშეთსა და ლეკიმთის გზებით ხშირად გადადიოდნენ ცხვართან ერთად ჩრდილო კავკასიაში, თვალნათლივ ხედავდნენ იმ ბრძოლებს, რომელიც კომუნისტებს და ფაშისტებს შორის კავკასიონზედაც მიმდინარეობდა.

მთებში ათასი ჯურის ბნელი ელემენტი ბოგინებდა, ფაშისტები ორჯონიკიძეს რა მიუახლოვდნენ, ავის მზრახველებმა თავი წამოჰყვეს, ისინი წარამარა ხმას არხევდნენ: კოლექტივი მოისპობა და კერძო საკუთრებას აღადგენენო.

ეს ყოველივე ზემოქმედებას ახდენდა მოხუცებულ თუშ მეცხვარეებზე. ამიტომაც აიყარეს მათ ცხვრის მოვლაზე გული.

ბერმუხის კოლმეურნების საერთო კრებებზე გამოდიოდნენ ეს მეცხვარეები და შეუფარველად ამბობდნენ: ხომ ჰხედავთ ჩრდილო კავკასიაში ველარ მიგვყავს ცხვარი, ჩვენს მხარეში საძოვრები აღარ დასტოვეთ, ვაზები ჩაჰყარეთ ყველგან, ამაოდ ვეწვალებით მათ მოვლაში, მოდი ამოვძირკვოთ ვაზები კვლავ საძოვრებად ვაქციოთო ბერმუხისა და არაშენდა-გველეთის ზეგანი.

ზოგიც ასეთ წინადადებას იძლეოდა: ვაზნარები ამოვაძირკვინოთ, მელისხევს გადაღმა, მამუკასეულ უბნებში საძოვრები გავმართოთ, გამოღმა პური და სიმინდი ვთესოთო.

თედო თარალაშვილი და ნუნუ ყოველ კრებაზე გამოდიოდნენ, სასტიკად ებრძოდნენ მოხუცებულ მეცხვარეებს. კიდევ გავიჭირვოთ ცოტა, ომი ჩვენი გამარჯვებით დასრულდება, ნუღარ დავკარგავთო ამდენ ამაგს.

არც მევენახეობისა და მარცვლეული კულტურების საქმე მიდიოდა სახარბიელოდ. ბერიკაცები და ქალები ვეღარ აუდიოდნენ ვენახების ბარვასა და თოხნას, პარიზული ხსნარისა და გოგირდის

[1] მირაკულუმ მაგნუმ — დიდი საოცრება.

შეფრქვევას, სხლვასა და შეყელვას, გაფურჩქვნასა და ქირქლას შემოცლას.

შაბიამნისა და გოგირდის შემოტანაც გაჭირდა.

თედო თარალაშვილი ვეღარ მოასწრებდა რომელიმე ხელმარჯვე ქალის დაწინაურებას, ან პრემირებას, ფოსტალიონი — გეო ქმრისა, ძმისა ან ვაჟის მოკვლის ცნობას მოუტანდა მას, ზოგი ლოგინად ჩავარდებოდა დარდისაგან, ზოგიც მუშაობაზე გულს აიყრიდა. ამაოდ შეახსენებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე მათ გაუტეხელი ნინუს მაგალითს. ამის გამო მომეტებულად შეიძულებდნენ ქალები „წინამასწარა" ნინუს.

ამგვარად დღედღეზე კლებულობდა შრომისნაყოფიერება.

არაშენდა გველეთში ახლადჩაყრილი ვაზები სავსებით უპატრონოდ დარჩნენ. ამ სანახებში ახლადჩასახლებულ ხევსურებს, თუშებსა და ფშაველებს არც უყვარდათ და აღარც ემარჯვებოდათ ვაზის მოვლა. დამხმარე მუშახელი აღარსად იყო.

პროფესორი კორინთელი გულისტკივილით ხედავდა თუ როგორ მიიწევდა დაღუპვისაკენ მთელი მისი ნაამაგარი.

სუსხიას სიკვდილის შემდეგ მას გაეცალა მთელი ხალისი და მხნეობა, თავის კაპიტალურ შრომაზედაც აიყარა გული, თვეში ერთხელაც არ მოიკითხავდა თავის მიკროუბანს. ხანდახან მოიკრეფდა ძალას, წაიმუშავებდა, სურდა შეეყრებოდა თუ არა პატარა როსტოს, ისევ მიაგდებდა საწერს.

ამ განწყობილებამ წვრილმანებშიაც იჩინა თავი, წვერგაუპარსავი დადიოდა საკონსულტაციოდ თელავის ინსტიტუტში, გაუუთოვებელი და ლაქებიანი კოსტიუმი ეცვა მუდამ.

ბელეშა ძიძა რიგიანად ვერ უვლიდა ბავშვს, ამიტომაც წარამარა ავადმყოფობდა პატარა როსტო, ასე რომ კორინთელი იძულებული იყო ბავშვის მოვლაში თავად დაედო წილი. მუდამ სიცხის საზომი და ოყნა ჰქონდა საძებარი.

მოხუცებულ მაიას სამი შვილიშვილი მოუკლეს ფრონტზე, ამ ამბავმა მაიას სავსებით მოუთავა ხელი, გეოს მოსვლის შიშით ეზოშიაც ეზარებოდა გასვლა.

თელავის ინსტიტუტშიაც შეფერხდა მუშაობა. პრაქტიკანტი ვაჟები ომში წავიდნენ, რამდენიმე სტუდენტი ქალი თავს ვერ ართმევდა სამუშაოს. დააწინაურებდნენ რომელიმე ქალს, ერთბაშად გათხოვდებოდა იგი, ასე რომ საცდელი მუშაობა დაეფუშათ ინსტიტუტის ხელმძღვანელებს.

ამასობაში თბილისურმა სასოფლოსამეურნეო ინსტიტუტმა ორგზის შემოსთავაზა კორინთელს აგრობიოლოგიის კათედრა, კორინთელმა უკვე აღარ იცოდა რა ექნა. თბილისს გადასვლა უნდოდა, მაგრამ ერთგვარ უხერხულობას ჰგრძნობდა.

რაიონის ხელმძღვანელობის ცდა ახლა იქითკენ იყო მიმართული, მთლად არ დაღუპულიყო მეცხოველეობა და მევენახეობა, რომელნიც მამაკაცის შრომას ემყარებოდნენ უპირატესად.

ციხისთავი ამჩნევდა თუ რა ღრმა დამწუხრებული იყო კორინთელი. ისიც კარგად იცოდა, რომ თბილისი კათედრას სთავაზობდა პროფესორს. ამიტომაც შიშობდა ამ ძნელბედობის დროს არ წაერთმიათ მისთვის დიდი ცოდნით აღჭურვილი მეცნიერი, რომლის თათბირის მეოხებით ბევრი რამ გაკეთდა არა მარტო ბერმუხასა და არაშენდაში, მთელს რაიონში.

კვირა დილას ეწვია ციხისთავი პროფესორს. იგი ბაღში მიჯდომოდა პატარა მაგიდასა და წიგნს კითხულობდა...

სტუმარმა ბოდიში მოიხადა ხელის შეშლის გამო.

„როდის ასრულებთ თქვენს შრომას, ვახტანგ"?

„ეჰ, ძლიერ მიჭირს, მართალი გითხრათ. წერა შეუძლებელია ორ ვითარებაში: როცა ადამიანი ძლიერ ბედნიერია ან ასევე დამწუხრებული.

მე ისე დავიქანცე, ასე მგონია წავიქცევი მეთქი. .მოგეხსენება ხესა და

დგამს ბჯენი გადაარჩენს ხოლმე წაქცევას, მაგრამ ადამიანს ბჯენი ველარ შველის“.

„მე მგონია ადამიანის ბჯენია რწმენა“. სიტყვა ჩაურთო ციხისთავმა.

„სუსქიას სიკვდილის შემდეგ ჩემი ოჯახიც კი შემჯავრდა, განაგრძო კორინთელმა, ამ ხეებს რომ უყურებთ ამ სახლს, ამ ოჯახს, ყოველ მცენარეს, ყოველ საგანს ათასგზის შემოვლებია მისი ხელი, ამ ხეხილს იგი რწყავდა, ამ ვარდებს ის უვლიდა...

აჰ, მე სანტიმენტალობაში გადავვარდი, ამხანაგო ციხისთავო, ვიცი ეს არ ვარგა, მაგრამ თუ ადამიანმა თავის მოყვასს გული არ გაუხსნა, ზაფრისაგან მოიგუდება“.

„ეს ყოველივე გასაგებია ჩემთვის, ვახტანგ, მაგრამ თქვენგანვე მაქვს განაგონი, ვაჟკაცს რა გაუჭირდება, მას არაფერი დარჩენია გარდა ბრძოლისა. მე დავუმატებდი, სულიერი მხნეობისა“.

მაია მოფათურდა ღვინო და ხილი მოიტანა. კორინთელმა ღვინო გაასინჯა სტუმარს.

„მე აგრე მგონია, ამბობდა კორინთელი, ამ გარემოს რომ მოვცილდები, შესაძლოა ძალი შემემატოს. თუ აქედან წავედი, მე მინდა ეს ჩემი კოტეჯი და ბაღი, სოფლის ბიბლიოთეკისათვის დაგიტოვოთ, ამ წიგნის ჰონორარი მერგება, ნაწილს წიგნების შესაძენად გადავდებ“.

„ეს კარგი საქმეა, ვახტანგ, მაგრამ თქვენ თავათ ხართ მოარული ბიბლიოთეკა, თქვენისთანა ადამიანი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ათასი ბიბლიოთეკა. ეს სხვა დროს იყოს. ახლა, ახლა მე არა მგონია, ასეთ გაჭირვების დროს მიგვატოვოთ.

კიდევ მოითმინეთ ცოტა, სადაცაა ჩვენი ქვეყნის მტრები კისერს მოიტეხენ, როცა არაშენდა გველეთზე ათიოდე ათას მოსახლეს მოვაწყობთ, ორმოც ათას ვაზს გავახაროებთ, ჩვენი მისსია მოთავებული იქნება... ეგეც თქვენგანვე მაქვს განაგონი: სამშობლოს სიყვარული აბსტრაქციაა უსაქმოდ და ისიც სწორია, რომ ვინც თავისი ქვეყნის ყველაზე მეტად მივარდნილ კუთხეს წინ წასწევს, იგიც დიდი პატრიოტია“.

„სწორია“. სთქვა კორინთელმა.

„ყოველმა კაცმა რომ ეს შეიგნოს, ჩვენ სხვა არაფერი გვინდა, არა?“

„უთუოდ“ დაუდასტურა კორინთელმა.

„განა მარტო იმათ ევალებათ სამშობლოს დაცვა, ვინც ამ წუთში ბლინდაჟებში სხედან? ჩვენც საკმაოდ დიდი მოვალეობა გვაქვს დაკისრებული. მათი ცოლ-შვილის, მათი ოჯახების დაცვა, არა?“

„ჭეშმარიტად აგრეა“, მიუგო კორინთელმა.

„მეც ძლიერ დავიღალე, ვახტანგ, ათ წელზე მეტია რაიონში ვმუშაობ, ომს რა დავასრულებთ, ალბათ მეც გადავალ თბილისს და ისეთ სამუშაოს მოვკიდებ ხელს, რომელსაც არც ამდენი პასუხისმგებლობა დასჭირდება“.

ციხისთავმა მაჯის საათს დახედა. ხელის შეშლისათვის ბოდიში მოიხადა კვლავ. კორინთელმა გულითადად სთხოვა:

ღარიბულ სადილზე დამეწვიეო.

„დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, ვახტანგ, მაგრამ ჩვენი რაიონის ცხვარი მთა-თუშეთშია წასული, ერთი საათის შემდეგ ალვანს მივდივარ მანქანით, იქიდან ცხენებით უნდა ვიაროთ ორი დღეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხისთავი წავიდა თუ არა, კორინთელი ისევ მიბრუნდა ბაღში, ბოლთასა სცემდა. იგი ძლიერ დააფიქრა წელანდელმა საუბარმა.

... „ეგეც შენ, ვახტანგ, კორინთელო, ისე მაგრად დაცემულხარ შეგონებათა მოსმენაც კი დაგჭირვებია. ათ წელზე მეტია რაც ეს კაცი განუზომელ ჯაფასა და რაიონის მოუწყობელ ცხოვრების შედეგებს უდრტვინველად იტანს.

თუ იგი თავს მოვალედა სთვლის თავის ხალხს ამ შეჭირვების ჟამს არ გაეცალოს, შენ ამ ორიოდე წლის მანძილზე რა გააკეთე იმდენი?...

... მართლაც და ჩვენ ინტელიგენტები ნამეტნავად დიდი აზრისანი ვართ ჩვენი საკუთარი პერსონისა და მისი კაპრიზების შესახებ.

განა მრავალი წიგნის წაკითხვა, ან მათი დაწერა ანთავისუფლებს ადამიანს იმ მოვალეობისაგან, რომელსაც სამშობლო აკისრებს მას?.

არასოდეს“...

უთხრა კორინთელმა იმ დღეს თავის თავს. იმავე საღამოს დაჯდა და მისწერა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორს: ომის დამთავრებამდე ვერ ჩამოვალო თბილისს.

*

* *

კორინთელმა არ გაუმხილა ციხისთავს, ერთ-ერთი მიზეზთაგანი გაქცევისა კი არა, გაქცევის დაპირებისა. მას ძლიერ უმძიმდა ნუნუსთან ნიადაგ შეხვედრა.

კორინთელი ხშირად ხედავდა მას, დაუდევრად შეკერილ თალხ კაბაში მორთულს, ხან ჭიგოებს დაათრევდა იგი, ხან სეკატორი ეჭირა ხელში, თავზე ადგა რომელიმე უგერგილო დედაკაცს. ასწავლიდა სხვლას, ხან პაწია საბერველი ეჭირა ხელში, ულაზათო სათვალე ჰქონდა ცხვირის კეხზე გადადებული და გოგირდს აფრქვევდა ვაზს.

ციხისთავის სტუმრობის შემდეგ კორინთელმა მოუხშირა ვენახებში სიარულს... თავს მოუყრიდა ბრიგადირებს, მითითებებს აძლევდა. უხსნიდა მრავალგზის, ხელახლა განუმარტავდა არაერთგზის ნათქვამს.

ერთ საღამოს კორინთელი ვაზებს ათვალიერებდა. სამი ბრიგადირი ქალი გვერდით მოსდევდა, წარამარა ჩერდებოდა პროფესორი მწკრივებში. დაათვალიერებდა ფოთლებს, რქებს, ხანაც შტამებსაც უხსნიდა მათ თუ რომელი ვაზი რითი იყო სნეული, რა საშუალებანი ეხმარათ, ამა თუ იმ სენის აღმოსაფხვრელად.

ზარის ხმა გაისმა. ბრიგადირები დაემშვიდობენ პროფესორს და სანერგე ფარდულისაკენ წავიდნენ, რათა ხელსაწყოები ჩაებარებინათ ცალთვალა გაიოზისათვის.

... ერთბაშად მსუბუქი თქორი დაიწყო, კორინთელი დაფიქრებული მიჰყვა თავის საყვარელ მიკროუბნის მწკრივებს, მან გაიხარა როცა დაინახა მის მიერ დარგული ვაზები მშვენივრად წამოჩიტულიყვნენ, ზოგ-ზოგი ყვავილში იყო კიდევაც.

უცნაურად თამამი რქები დაესხათ, გაზაფხულის წვიმა წინწკლებად ეცემოდა ახალგაზრდა ფოთლებზე, რომელთაც მოოქროვილი სილურჯე გადაჰკრავდა ოდნავ.

„აფსუს მხატვარი რომ არა ვარ, ამ ვაზების ფოთლის ფერი რომ გამომესახო“. გაიფიქრა მან.

კორინთელს ნაბიჯების ჩქამი შემოესმა.

შორიდან თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს, პარიზის ხსნარში ამოთხვრილს, მას ვერმორელის აპარატი ეკიდა ზურგზე. დაფიქრებული მოდიოდა მწკრივებს შორის მისკენ. როცა იგი მოუახლოვდა კორინთელს, მან ნუნუ შეიცნო და მიესალმა.

„თქვენ რატომ აგიკიდიათ აპარატი, ნუნუ, აკი თქვენ ბრიგადირი ხართ?“

შეეკითხა კორინთელი.

„გაბედაიძის ქალს ვაჟი მოუკლეს ფრონტზე, ჩემს ბრიგადაში იშვიათად თუ ვინმეს ემარჯვება შეწამლვა, მე

თქვენს მიკროუბანს ვუვლიდი დღეს. რაც თქვენ უბედურება თავს დაგატყდათ, განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდი მათ".

„გმადლობთ ამხანაგო ნუნუ, ჩემს ვაზებს უკვე ეტყობა თქვენი მზრუნველობა... კორინთელს კიდევ უნდოდა უქუდოდ ევლო ეარნა გაზაფხულის წვიმის ქვეშ, მაგრამ იძალა წვიმამ და სანერგეს ფარდულისაკენ წავიდნენ ორივენი.

ფარდულში ცალთვალა გაიოზის გარდა არავინ იყო, პატარა ხელადა წინ ედგა გაიოზს და ნელნელა წრუპავდა ღვინოს.

როცა ნუნუმ აპარატი მოიხსნა და დასველებული თავშალი თავიდან მოიშორა, კორინთელმა შენიშნა მოხშირებული ჭაღარა მის თავზე.

განუზომელ მწუხარებას და შრომას მისთვის წაემატებინა წლები, ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები გასჩენოდა თვალის უპეებში, ასე რომ იგი ზედმიწევნით დამგვანებოდა სუსქიას სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს.

პროფესორის დანახვაზე დატრიალდა გაიოზი, სამფეხა სკამი გამოათრია და წინ დაუდგა. კორინთელი არ დაჯდა, ნუნუს შესთავაზა: დაიმუხლეო უთხრა.

ნუნუმაც უარი სთქვა დაჯდომაზე.

„რითი გასიამოვნოთ პროფესორო ბატონო, ეგებ ეს ცივი ღვინო ინებოთ ცოტა?"

უთხრა გაიოზმა კორინთელს.

„ნუ სწუხდებით ჩემო გაიოზ, მე დიდი ხანია, ამიკრძალეს ექიმებმა ღვინის სმა. კარგი იქნება თუ ვინმე პატარა ბიჭს იშოვი, ეგებ ჩემი მანქანა მოაყვანინოთ, რაიკავშირის წინა დგას ალბათ".

ვიდრე გაიოზი ბიჭს მოსძებნიდა ნუნუმ სთქვა:

„მე ყურმოკვრით მესმოდა თქვენ ხშირ-ხშირად ავადმყოფობდით, პროფესორო ბატონო, ამ ზამთარში... მინდოდა მოვსულიყავი მაგრამ ხომ იცით ჩვენი ქართველი ქალების სიმორცხვის ამბავი, ვერ გავბედე, მოგერიდეთ, ეს ძლიერ მაწუხებდა თქვენი ავადმყოფობა"...

„გმადლობთ, ჩ; მო ნუნუ, თანაგრძნობისათვის".

კორინთელმა პაპიროსი ამოიღო, ასანთი წაუკიდა და ნუნუმ სთქვა:

„მე ისეთი დავალებული ვარ თქვენგან და განსაკუთრებით თქვენი მეუღლისაგან, მთელი ჩემი სიცოცხლე რომ გეყმოთ, თქვენს პატივისცემას ვერ გადავიხდი. რა ვქნა საშინელი უბედურება მეწვია, ბოლოს ისევ და ისევ თქვენი მფარველობა, რომ არა, ჩემი ერთადერთი შვილიც არ შემრჩებოდა:

ახლა მდგომარეობა გამომიკეთდა.

დეიდაჩემი ჩამოვიდა შილდიდან. უშვილო ქვრივი ქალია, აქამდისაც შემეძლო ჩამომეყვანა, მაგრამ ის უბედური ქეთუა არ დამიყენებდა, ახლა დეიდაჩემი შემომეხიდა, თუ ნებას მომცემთ, ბატონო პროფესორო, ხანდახან მაინც მოვალ. განაგონი მაქვს: თქვენი მსახური მაია დარდისაგან ლოგინად ჩავარდნილა თურმე, თუ ნებას მომცემთ გამოვივლი ხოლმე და ბავშვს მაინც მივხედავ, პროფესორო ბატონო".

კორინთელი შესძრა ასეთმა გულმხურვალებამ.

„რას ბრძანებ ნუნუ, რად უნდა შეგაწუხოთ, მე ამ დღეებში ძია ნიკო მიგზავნის ერთ ჯანიან დედაკაცს. მაია მაინც მეყოლება, იგი ჩემი ოჯახის ერთგულია, მამიდა თეკლას რიგიანი ძიძაც უშოვნია ჩემთვის, ასე რომ თქვენი შეწუხება არ დამჭირდება"...

ვიდრე მანქანა მოვიდოდა, კორინთელი შეეკითხა ნუნუს:

„სხვა რა არის თქვენს ცხოვრებაში ახალი?"

„ახალი და კარგი ბევრი არაფერი, ამბობდა ნუნუ, მე პირდაპირ მრცხვენია ყოველგვარი ჩემი ძნელბედობა თქვენამდის უნდა მოვიდეს უცილოდ. ნეტავი არ გავჩენილიყავი ამ ქვეყნად, ასე უბედური და უპატრონო"...

„მაინც რა მოხდა, ნუნუ?"

ჩაჰკითხა კორინთელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღამღამობით ვიღაც მოდის, აკაკუნებს კარზე. მოგეხსენებათ მამაკაცი სახლში არა გვყავს. მე და დეიდაჩემი კრებს დავგმანავთ და შიშისაგან ვცახცახებთ. მთელი ღამე არ გვაძინებს ის ოხერი“.

ესა სთქვა ნუნუმ, გაიოზი გამოცხადდა: მანქანა მოვიდაო მოახსენა პროფესორს.

„იასე წამოიღე ამანათი?“

შეეკითხა კორინთელი შოფერს.

„აქა მაქვს, ბატონო“, მიუგო იასემ და უჩვენა პატრონის ადგილზე დადგმული მოზრდილი ყუთი. კორინთელი ნუნუს მიუჯდა გვერდით და უთხრა:

„რაღაც წიგნები გამომიგზავნეს თბილისიდან, აქამდის ამას უცდიდა იასე“. კორინთელი ამჩნევდა რომ მანქანა მეტადრე ირყეოდა შავისოფლის ოღროჩოღრო შარებზე, ნუნუს სხეული უნებურად ეხლებოდა მას, მამაკაცი ისე ღელავდა, როგორც მაშინ, როცა სუსქია სულ პირველად ჩაჯდა მის გვერდით მანქანაში.

როცა ნუნუ შინამდის მიაცილა კორინთელმა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

„ნუ გეშინიათ, ნუნუ, მაგრად დაუდექით ცხოვრებას. ერთხელაც იქნება იმ კარეწარსაც მივაკვლევთ, ვინც ძილსა და მოსვენებას გიკარგავთ“.

დიდხანს არ დაეძინა კორინთელს.

დაწოლის წინ მან გაანათა თავისი საძილო ოთახი. კიდევ ერთხელ შეხედა სუსქიას სურათს, მისივე დაცარიელებული საწოლის გასწვრივ კედელზე დაკიდულს... ფიქრობდა:

„რა უცნაური ჭირვეულობაა ბუნებისა! როგორ შეიძლება ორი სავსებით ურთიერთისაგან დაშორებული გვარის ნაშიერი ასე ზედმიწევნით დაემგვანოს ურთიერთს!

რამდენი გამონაკლისი აქვს ამ კანონებს, რომელნიც უცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ ჩვენს ბიოლოგებსა და აგრონომებს „მირაკულუმ მაგნუმ“... თითქმის ხმამაღლა სთქვა კორინთელმა...

* * *

ციხისთავთან საუბრის შემდეგ კორინთელი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა როგორც თავის მიკროუბანს, ისე კოლმეურნეობის ზვრებს.

ადრინდელი ხალისი ნელნელა აპირებდა აღორძინებას მის გულში, ჰობრუნდებოდა თუ არა თელავიდან, ისაუზმებდა, სანიადაგო ტანისამოსს ჩოსძებნიდა, სანადირო ჩექმებს ჩაიცვამდა, თავის სეკატორს ჯიბეში ჩაიდებდა და მიდიოდა ზვრების მოსავლელად.

ერთ ორ კვირას ამას ვერ ამჩნევდა, მაგრამ ბოლოს კორინთელმა თავისი თავი ამხილა ერთ რამეში:

მას მოთხოვნილებად გადაექცა პირველ უბანში გადასვლა და ნუნუს მოძებნა.

ცნობილია: ყოველ ადამიანს საკმაოდ დიდი მიდრეკილება აქვს თავის ვამართლებისაკენ. კორინთელიც აგრე არწმუნებდა თავის თავს: ამ ამბავში არავითარი ეროტიკა არ არისო. ნუთუ ამის გარეშე არ შეიძლებაო მამაკაცი დაუმეგობრდეს ქალს?

ნამდვილად კი აგრე ეოცნებებოდა თითქოს ის სიცალიერე, რომელიც სუსქიას სიკვდილის შემდეგ ჩამოდგა მის ცხოვრებაში, ნელნელა აპირებდა შევსებას.

მოხშირებული შეხვედრებისას, ნუნუს სახისა და ანაგობის ყოველ დეტალს მომეტებულის გულისყურით აკვირდებოდა.

ნუნუსაც ისეთივე საამო, რბილი და ყელისმიერი ხმა ჰქონდა, როგორც სუსქიას, განსაკუთრებით როცა მზისაკენ მიიქცევდა სახეს, ნუნუც სუსქიასავით მოხუჭავდა ხოლმე თვალებს, დაბალი ტემბრი ჰქონდა მის ხმას, ხოლო მის სიცილსაც კრიალა ბგერები თანახლდა.

კორინთელი მეტწილად დღის ბოლოს ბრუნდებოდა თელავიდან. შოფერს აჩქარებდა გზადაგზა, თვალს არ აშორებდა საათს, შინ არც კი შეივლიდა ისე მიდიოდა კოლმეურნეობის ზვრებში.

ისიც ხდებოდა ხანდახან, თედო იხმობდა ხოლმე კოლმეურნეობის კონტორაში ნუნუს. კორინთელი სწუხდა როცა ნუნუს ველარ იპოვნიდა ნაკვეთზე, შეშფოთდებოდა: ეგებ ავად გახდა, ან ახალი რამ უბედურება შეემთხვაო ამ გაწამებულ ადამიანს.

კორინთელი განგებისად ჩქმალავდა სიხარულს, როცა რომელიმე უბანში წააწყდებოდა ნუნუს.

რადგან ნუნუ ყველაზე მეტად გულმოდგინე მუშაკი იყო, ყველაზე გვიან მიდიოდა ფართობიდან. ბოლოს საუბარს შეყვებოდნენ, მიყვებოდნენ მწკრივებს, კორინთელი წარამარა შესდგებოდა ხოლმე რომელიმე დასნეულებულ ვაზთან, დაავადებულ ფოთოლს მოსწყვეტდა, ხელის გულზე დაიდებდა და უხსნიდა ნუნუს, რა და რა ავადობის ნიშნებს იძლეოდა ესა თუ ის ფოთოლი.

ხანაც ცუდად აკრულ რქებს შემოაჭრიდა სახვევს, მზრუნველი ხელით ისევ ააკრავდა მას.

ხანაც შეუბრალებლად ქენჯნიდა იგი თავის თავს:

... „მაინც და მაინც ვერაფერი სახელია ნამდვილი პატრიოტისათვის გაუმიჯნურდეს ომში დაღუპული ვაჟკაცის ქვრივს, მხოლოდ იმიტომ რომ იგი შემთხვევით შენს ცოლყოფილსა ჰგავს, ფიზიკურად.

ღმერთო ამაცდინე ამ ცთუნებას!

სქესობრივი ალტყინება ხანდახან უთუოდ წაავავს იმ სატანას, რომელიც ქარაფიდან უფსკრულში გადახტომას ურჩევდა ქრისტეს.

კულტურა სულისა თავშეკავებას გულისხმობს და სიდარბაისლეს. ვახტანგ კორინთელო, გაუფრთხილდი ამ ჯადოსან ქალს. არ დაგავიწყდეს რომ ჭალარა სულის განწმენდის მაცნეა უთუოდ“...

* * *

ერთ დღეს პირველ უბანში მიდიოდნენ პროფესორი და ბრიგადირი. კორინთელი გზადაგზა უზიარებდა ნუნუს თავის აგრობიოლოგიურ დაკვირვებებს. ნიადაგისმიერი ქიმიური რეაქციების, ფოთლისა და ყვავილის მეტამორფოზის, ნაყოფის ფორმირებისა და ფესვთა სისტემის გამო.

„შენ თუ გახსოვს ნუნუ, ციხისწისქვილში რომ გიამბე შარშანწინ იმ სასწაულმოქმედი ძალის შესახებ, რომელსაც მიაწერდა დიდი პოეტი ჰომეროსი კოლხურ ღვინოს, კირკეს ღვინოს.

ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ორი-სამი ათასი წლის წინად რაც სასწაულად და ცრურწმენად იყო მიჩნეული, სინამდვილედ იქცა.

შენ გაოცდები როცა გაიგებ, თუ რა სასწაულთმომქმედი ძალა აქვს ვაზის ნაყოფს. ან რა მნიშვნელობა აქვს მას თანამედროვე ელექტრონური ტექნიკისათვის. სახელდობრ, პიეზოელექტრობისათვის“.

კორინთელი უსიტყვოდ მიხვდა რომ მისი მსმენელი თავს ვერ ართმევდა მის ნათხრობს. ამიტომაც უკან დაიხია. მხარზე ხელი მოუცაცუნა ნუნუს და უთხრა:

„ელექტრობის შესახებ მე გაკვრით მისაუბრნია შენთან. ელექტრობამ ისეთივე რევოლუცია მოახდინა ჩვენს საუკუნეში, როგორც ორთქლმა და ქვემეხის გამოგონებამ ოდესღაც.

ჩვენი ეპოქის უპირატესი სასწაული: რადიო და ატომური ენერგია, ელექტრობაში პოულობენ საწყისს.

ჯერ კიდევ ძველბერძნები იცნობდნენ ელექტრონის იდუმალ ძალას.

ელექტრონს ფილოსოფოსი პლატონი ახსენებს პირველად. უნდა გითხრა ელექტრობა მრავალგვარია: ფარადეული, გალვანური, კონტაქტური. არსებობს სტრეფოელექტრობა, პიროელექტრობა, და პიეზოელექტრობა. ე. ი. ელექტრონული პოლარობა, რომელიც კრისტალურ ნივთიერებათა ძალდატანებითი შეკუმშვისაგან წარმოიშვება.

როცა ყურძნის ჭაჭას ხანგრძლივად დააყენებენ, ჭურჭლის კიდეებში ჩნდება ერთგვარი კრისტალები. მათ იყენებენ პიეზოელექტრონული ეფექტების მისაღებად. ამ კრისტალებს ფირფიტე-

ბად აქცევენ, ელექტროდებით აღჭურავენ და ოკეანის ფსკერზე გახმიანებულ ბგერებს იჭერენ.

თავდაპირველად ასეთი ფირფიტები იხმარა ფრანგმა მეცნიერმა ლანჟევენმა როგორც შუქის გამღებელი, ხოლო ამის შემდეგ, როგორც მიმღებნი უფაქიზესი ხმებისა ოკეანის უფსკრულებიდან.

ამ მეცნიერმა შექმნა ბოლოს სრული თეორია „ეხოს მეთოდის შესახებ“.

პიეზოელექტრობას უშუალო კავშირი აქვს ატომური იარაღის წარმოებასთან. სხვა დროს ვეცდები გაგიმარტოთ თუ რა არის ე. წ. ატომის გული. როგორც ჰხედავთ ყურძენი მარტო კვების პროდუქტებს როდი შეიცავს“...

ნუნუმ თავი ჩაღუნა და წაიდუდუნა:

„ამ ამბების არამცოდნეს მარტივად ეჩვენება ყველაფერი ეს. ვენახი დარგე, გასხალი, შეწამლე და რთველი მოიწიე. მეც ასე უბრალოდ მქონდა ყველაფერი წარმოდგენილი“.

„როგორი დიდი სხვაობაა ცხოველსა და მცენარეს შორის“. განაგრძო კორინთელმა. „ცხოველი მუდამ იმის ცდაშია ყურადღება მიიქციოს, თავისი არსებობის ხმაური შეახსენოს კაცს. კაჭკაჭი ჩხავის, მგელი ყმუის, ძაღლი ყეფს, მცენარეც ხომ იგივე სულდგმულია, მაგრამ მუდამ განაბულია იგი. თითქოს მომეტებულად გულამაყიაო. ასე განგებისად სდუმს, რათა უჩუმრად შემოინახოს ის მიუწვდომელი საიდუმლო, რომელიც ყოველ წუთში ხდება მასში მზისა და მიწის შენაცვლებულ ზეგავლენათაგან.

უნდა გითხრა, ნუნუ, პირდაპირ გაოცებული ვარ ხანდახან მცენარის გულმეცნიერებისაგან. აბა, შეხედეთ ეგერ ატამზე გასულა დაუდევარი ბრიგადირის სეკატორს გადარჩენილი წაზრდილი რქა ვაზისა, პწკლები გაუშვერია და მეორე ატმის შტოს ეპოტინება, რათა ხელსაყრელი პირობები შეუქმნას თავის ზრდას.

ერთი მითხარი ვინ ასწავლა ეგ ამბავი მას, ან მიმართება ვინ მისცა? ქართულ ვაზებში ყველაზე მეტად უცნაურია რქაწითელი, აი დახედე ამ შტამდაბალ ვაზებს, ისინი თავათ პოულობენ და ებღაუჭებიან მავთულებსა და ჭიგოებს, ამიტომაც აგრე უყვარს ჩვენს ხალხს რქაწითელი.

შუა-საუკუნეში მიწას და მის ბინადარ „მირაკულუმ მაგნუმ“-ს — დიდ საოცრებას უწოდებდნენ. მართლაც და უვიცი ადამიანისათვის ის რაც ბუნებაში ხდება, ჩვენს თვალწინ, გაოცებას არ იწვევს, მისთვის ეს ყოველივე „თავისთავად“ ცხადია. ნჲუტონამდის რამდენ შლეგს უნახავს ვაშლის ხიდან ნაყოფის ჩამოვარდნა, მაგრამ გრავიტაციის კანონი, რომლის გამოც ამას წინად გესაუბრე, ნჲუტონამდის არავის გამოუგონია. არა?

ბრძენ კაცისათვის თავათ მიწაა დიდი საოცრება.

მე აგრე მგონია, რაც უნდა ახალი და ახალი კანონები აღმოაჩინოს მეცნიერებაზე, ბუნება მაინც დარჩება ერთგვარი კრიპტოგრაფი, იდუმალწერა“.

ახლა ერთ მაღალშტამიან ვაზს მიადგა კორინთელი. გაიხარა მისი ტანკენარობითა და რქათამამობით.

„აი თუნდაც ამ ვაზის ფოთლები აიღეთ, ისინი თითქოს ერთსა და იმავე თარგზე მოუჭრიაო არსთა განმრიგეს აბა დაატოლეთ ორი ფოთოლი ურთიერთს, მცირეოდენი სხვაობა მაინც არის მათ შორის.

ახლა ეს ორი ვაზი ვნახოთ, ორივეს სამ-სამი მტევანი ასხია, ეს მტევნები ზუსტად ერთნაირია, ფოთლებიც თითქოს ერთგვარი, ხომ ჰხედავთ მცენარეთა შორისაც იპოვებიან ორეულები.

დიდი საოცრებაა, გაიმეორა კორინთელმა.

„ჭეშმარიტად დიდება მას, ვინც მდედრი და მამრი, მსგავსება და განსხვავება შეჰქმნა, სიმძიმე და სიმსუბუქე, სიმაღლე და სიდაბლე, სიმკვრივე და ჰაეროვნება დაადგინა, ვინც ფერთასიუხვით აავსო ეს სამყარო, რომელშიაც ჩვენ ტირილით მოვდივართ და ვეღარც მისგან განშორებას ვახერხებთ უცრემლოდ“. . . . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ კორინთელის უკანასკნელი ღამე

იმავე თვეს მოხდა ერთი უსიამო ამბავი. როცა ციხისთავი ალვანებიდან ბრუნდებოდა, სოფელ აბანოსთან ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა რაიკომის მდივანს, მანქანით მომავალს და სროლა აუტეხეს.

ციხისთავმა და მისმა შოფერმა ჯერ მანქანიდანვე დაუშინეს მათ ავტომატები, მერმე მანქანიდან გამოძვრნენ, გზის პირას დაყრილი ლოდები ისაფარეს, თავდამსხმელთაგანი ერთი დასჭრეს და დანარჩენები გააქციეს...

მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა ვინმე ლექსო გაბედაიძე, იგი ციხისთავმა საავადმყოფოში წაიყვანა იმ დღესვე, პროკურორი ხიდაშელი დაუყოვნებლივ მივიდა მის დასაკითხავად, მაგრამ გაბედაიძე ცნობამიხდილი იყო და მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა.

*
* *

უსიამო ამბები ისევ წაეწყვნენ ურთიერთს. მესამე დღეს ირმის ტბის ჭაობში ვილაცამ თოფით მოჰკლა ფურირემი, ბერმუხელი ღორ-ხბოს მწყემსები შორიდან ხედავდნენ ამ ამბავს, მაგრამ რადგან ჩაბალახით ყბაახვეული იყო ირმის მკვლელი, ყმაწვილებმა ვერ შეეცნოთ იგი.

*
* *

იმ დღესვე დაიწყო დაუცხრომელი წვიმები; დილიდანვე ლეკიმთაზე მოგროვდნენ შავლეგა ღრუბლები, ისინი გოროზად დაბანაკდნენ ნაძვების გიგანტურ საჩეჩელებზე, ახლა სხვანი, უფრო შავნი წამოვიდნენ აღმოსავლეთიდან, როგორც აქლემებზე ამხედრებული შავადმოსილი მხედრები და ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი კავკასიონის მწვერვალებზე, ცაჲ ფეხით ჩამოდიოდა.

წვიმდა და სეტყვას ურევდა ხანაც, აქუხდნენ მთები, თითქოს ქვემეხები დაუდგამთო სპეროზიას და ლეკიმთის მწვერვალებზე, აქამდის მშვიდად მთვლემარე კავკასიონი გვრგვინავდა და ღვრინავდა, თითქოს მთებს შემოესმათ მათ გადაღმა ამტყდარი კანონადა ზარბაზნებისა, აღგნენ და აჯანყდნენ მთები, თითქოს თავათაც მოუნდათო პასუხის გაცემა მტრისათვის. . . . .

*
* *

ყვარლიდან ჩამოსულებმა ლექსო გაბედაიძის დაჭრა ციხისთავზე გადაიტანეს რატომღაც:

კორინთელი ცუდად იყო იმ დღეს, ვაზნარებში სიარულმა, მზვარეში მუშაობამ და გველეთის აღმართზე ხშირხშირად ფეხით ამოსვლამ მას წნევა მოუმატეს. ციხისთავის დაჭრის ამბავი რა გაიგო, საოცრად აღშფოთდა, ისე გამოიძახა და ყვარელს წავიდა ამ თავსხმის დროს.

გაიხარა როცა სავსებით ჯანსაღი ციხისთავი წინ შემოეგება.

ციხისთავი შესძრა პროფესორის მიერ გამოჩენილმა გულხმიერებამ, საუზმეზე მიიწვია კორინთელი.

თავისი თავგადასავლის თხრობაც მოთავებული არა ჰქონდა რაიკომის მდივანს, როცა ბერმუხიდან მიღებული ტელეფონოგრამა შემოიტანა მდივანმა ქალმა.

გველეთის ელსადგურის სამარქაფო არხი გადაუკეტია ვილაცას, წყალი ბერმუხაში გადმოვარდა და ლამისაა მთელი სოფელი წალეკოსო. იუწყებოდა თედო თარალაშვილი.

ორივენი მანქანაში ჩასხდნენ და ბერმუხისაკენ გაეშურნენ.

წვიმდა გადაუღებლად, თითქოს ცის საქანელნი გახსნილან და არსთაგანმრიგე წარღვნას უპირებსო ქვეყანას.

ალაგ-ალაგ კლდეები ჩამოერეცხა ნიაღვარს, გზები დაეხერგათ ლოდებს. მგზავრები წარამარა შეაყენებდნენ მანქანას, ისე ასუფთავებდა გზას.

* * *

ჯერ კიდევ ვერხვებამდისაც არ იყვნენ მისულნი. მანქანა გზის პირად დასტოვეს, რადგან მოტორში ჩავიდა წყალი. თავათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ მდინარედქცეულ თემშარას.

ხუთ წუთში უკან გამობრუნდნენ, კოსტიუმები გაიხადეს, იასეს ჩააბარეს და ტრუსების ამარა გაუდგნენ გზას.

ბერმუხაში ჩასულთ საზარელი სურათი დაუხვდათ. ქუჩები და შუკები მდინარეებად ქცეულიყვნენ, მთავარ ქუჩაზე ზღვისებრი სიმდორით მიდგანდგარებდა მღვრიე წყალი, ბავშვის აკვნები, ცხვრები და გარუჯული ფიცრები მოჰქონდა თან.

ციხისთავს პირველ შეხვედრილმა მოხუცმა ამცნო: სოფელში დარჩენილი ჭარმაგი ვაჟკაცები დილიდანვე ალაზანზე გაგზავნესო წყალდიდობისაგან წალებული ბორნის გამოსათრევად.

ოჯახებიდან მოთქმა ისმოდა, ზოგს ძლივს გაესწრო სახლიდან, გორაკებზე იდგნენ და კივოდნენ ქალები. სოფელში დარჩენილი ჭაღარა მამაკაცები ტიტველნი დატოპავდნენ ბარებით აღჭურვილნი, ალაგ-ალაგ გზას აძლევდნენ შეტბორებულ წყალს, რომელიც ელვაზე უსწრაფესად იპყრობდა ახალსა და ახალ ფართობებს.

მელისხევი ტბად ქცეულიყო. ვენახებში ისეთი წყალი იდგა, ჭიგოების ზეთავები ძლივს მოსჩანდა.

უკვე მთელ სოფელს გაეგო, რომ ვიღაც ავისმზრახველებს სამარქაფო არხის შლუზი გადაეკეტა და ამიტომაც სოფლისკენ მოიწევდა წყალი.

გველეთის ზეგნიდან წყლის კასკადები გადმოდიოდნენ გრიალით. ბეტონის ხიდის ორივე თავი წყალს ჩაერეცხა, მისი მოაჯირები ძლივს მოსჩანდა დაღმართში გადავარდნილ წყალში. შავსოფელსა და დანარჩენ უბნებს შორის მისვლა-მოსვლა შესწყდა:

კოლმეურნეობის კონტორას აივნის მოაჯირებამდე მისწვდენოდა წყალი, თედო თარალაშვილი, სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ხეცოძე გიორგი, ორი ჭაღარა კოლმეურნე დასტოპავდნენ ქამრამდის მიწვდენილ წყალში. ხალხსამხნევებდნენ, ყვირილით იძლეოდნენ განკარგულებებს. ყვარლიდან ჩამოსული მილიციელები და მეხანძრეები შავსოფელში ჩარჩენილიყვნენ.

ციხისთავმა აიყოლია სოფსაბჭოს თავმჯდომარე ხეცოძე და კორინთელს მიუბრუნდა: თქვენ როგორმე ჩამოგვრჩით ამხანაგო პროფესორო, ჩვენ აწი ცურვით ვივლით გველეთის ჰესამდის. კორინთელმა იწყინა ეს გაფრთხილება, ცურვა მეც ვიციო და თავათაც გადაეშვა წყალში.

მთელი საათი ებრძოდნენ სტიქიას სამი კაცი. ბეტონის ხიდზე გადაიარეს დიდის ვაივაგლახით. გველეთში უარესად მძვინვარებდა სტიქია, ახლად აგებული სახლების აივნებზე ირეოდნენ ბალღებჩახუტული ქალები, ციხისთავის შეძახილზე გამხნევდნენ.

ბოლოს ცურვით გაიარეს ახლადმოგებული შოსსე, მხარმარცხნით, შოსესა და ელსადგურს შორის უშველებელი ტბა იყო დაგუბული, სამარქაფო არხიდან გრიალით მოდიოდა წყალი.

კორინთელი და ციხისთავი პირველნი მივიდნენ ამ არხის შლუზამდის და გადაკეტეს. ნახევარ საათში წყალმა საგრძნობლად დაიკლო.

ციხისთავი და კორინთელი ქვაკაცის ტაძრის ნანგრევებს შეეხიზნენ. რადგან აქაურობას ვერ მისწვდებოდა წყალი, როცა ისინი ბერმუხაში მიბრუნდნენ. მხოლოდ მელისხევში იდგა აქა-იქ ტბები, ხოლო ნახიდურთან, სადაც ხარირემი გადაევლო ეკლიან ღობეს, მთელი ზღვა იდგა ჯერაც...

კორინთელი შემცივნებული მოვიდა იმ საღამოს შინ. მაიამ ცეცხლი დაუნთო ბუხარში, მაგრამ უცნაურად აძაგძაგებდა მას. ამასობაში იასემაც მოაღწია, დააწვინა კორინთელი, კონიაკი და ცხელი ჩაი ასვა, მერმე არყით დაუზილა მთელი სხეული, მაგრამ მაინც მცივაო იძახოდა ავადმყოფი. ტუჩპირი გალურ-

ჯებული ჰქონდა და აკაწკაწებდა კბილებს.

მეორე დღეს ყვარელს გაგზავნა მაიამ მანქანა. ექიმი კანდელაკი მოაყვანინა. მისი დიაგნოზი იყო ტროპიული ციება. წნევამ 265 უწია. 40 გრადუსზე ავარდა სიცხე. კორინთელი უშფოთველად მინებდა ავადმყოფობას: როცა კანდელაკი წავიდა, მაიას ხელით ანიშნა ახლოს მოდიო.

მერმე შეეკითხა:

ის უცხვირპირო უბნის ექიმი ხომ არ იყოვო ეს კაცი, სუსქიას რომ მოვგვარეთო სიკვდილის დღეებში.

შვილები და შვილიშვილები იფიცა მაიამ, ექიმი კანდელაკი იყოვო. საძილო ოთახის ფანჯრიდან მოსჩანდა, ქარაფის კიდეზე გველისხე იდგა. წითელყვითელი ფერებით დამშვენებული. გველისხისქვეშ ყურებდაცქვეტილი ბიჟინა გადასცქეროდა უფსკრულს.

იქვე სატელეგრაფო სვეტების ზეთავები მოსჩანდნენ. მავთულებზე ორ მწკრივად დამსხდარიყვნენ დაგვიანებული მერცხლები. ისინი ნოტის ნიშნებს მიაგავდნენ პარალელურ ხაზებს შორის ჩახატულებს.

ერთბაშად ეს შენიშნა კორინთელმა: წამოუარა ახილმა გარინდებულ ბიჟინას, თეძოსთავზე უკბინა. ბიჟინა ახტა და ქარაფიდან გადაიხვეწა.

ჰაუო, იყვირა კორინთელმა, მაგრამ წამოდგომა ველარ შესძლო. მაია თავზე წამოადგა:

რა მოხდაო? ჰკითხა.

მაგრამ კორინთელს უკვე აღარ ჰქონდა სიტყვის აღმოთქმის ძალა...

ამის შემდეგ დიდხანს იწვა ავადმყოფი პირქვე. კუთხეში გალურსული ნაია ამჩნევდა ვილაცას ესიტყვებოდა იგი... მერმე სთქვა საკმაოდ ხმამაღლა.

კიდევ წვიმსო?

არაო, მიუგო მაიამ, თუმცა ხელახლა დაწყებულიყო წვიმა.

რა ამბავი მოიტანაო ციხისთავის შესახებ ყვარლიდან იასემ?

მაიას განაგონი ჰქონდა იასეს ნათქვამი, ციხისთავიც ავად გამხდარიყო, ყურთასმენა დაკარგვოდა მღელვარებისაგან სავსებით, მაგრამ არ გაუმხილა, ანუგეშა კარგად ყოფილაო ციხისთავი.

ცოტა ხანს სდუმდა და მერმე ეს უთხრა კორინთელმა მაიას:

„ბავშვი მომიყვანეთო“.

ამასობაში ძია ნიკო და მამიდა თეკლაც მოსულიყვენ. ძია ნიკომ ხელში აიყვანა პატარა როსტო, ისე მიგვარა მამას, შუბლზე აკოცა მწოლარეს, ბავშვი ჩაახუტა მამას და ატირდა.

კორინთელი გადაბრუნდა... უთხრა სასთუმალთან გახევებულ მოხუცებს:

„როსტოს თქვენ გაბარებთ ძია ნიკო და მამიდა თეკლა“. სთქვა და კედლისკენ მიბრუნდა. ნიკომ შენიშნა თვალები რომ აუწყალდა ავადმყოფს, თავათაც აღელდა, ერთი დაახველა და შეიკავა ცრემლები.

თეკლა საწოლის წინ დაჩოქილი სტიროდა.

მაია შემოფათურდა, ჩურჩულით უთხრა ძია ნიკოს:

ნუნუ მოვიდაო.

ნუნუ თავზე წამოადგა ავადმყოფს, კორინთელი გადმობრუნდა და უთხრა:

„მოხვედი სუსქია“, ერთადერთი ცრემლი გადმოვარდა მის ანთებულ ლოყაზე.

ნუნუ გაშეშდა, ხმა არ გაილო...

„მე ცუდად ვარ სუსქია, აბა, შენ იცი... როსტოს უპატრონე. სთქვა და ისევ მიბრუნდა კედლისაკენ... ძლფხიზლობდა... და ეზმანებოდა დასიცხულ ავადმყოფს თითქოს სუსქიას გვერდით იწვა ხავსიან ლოდზე ნაღვარევის ხევში.

ირგვლივ ზღვა იყო უსასრულო, სად იყო ხავსიანი ლოდი?

ბულბულების ორკესტრი ისმოდა და ნელ-ნელა მიცურავდა გემი, წყალსა და ზღვას მოეცვა გზები და ხეობები, ტლაშუნებდა ტალღა მთვარიან ღამეში, ცას შებჯენოდნენ ბროლის მყინვარწვერები, წყალში ცურავდა ნამრუდისფერი კავკასიონი.

უცებ აგრუხუნდნენ მთები, ელავდა სპეროზის მთაზე.

ატოკდა გემი, აზვავდა ზღვა, მიწა იძრა, გრიგალი ამოვარდა.

ატყდა კაკუნი და რაჯგუნი, ვიღაცა ქარზე და ზღვაზე უფრო ძლიერი მოუვლიდა გემს უკანიდან და ზეასწევდა, ხელს შეუშვებდა, ისევ დაანარცხებდა ზღვაზე.

ერთბაშად იგრიალა მთებში, გასქდა რომკას მწვერვალი, ცეცხლოვანი კვამლი ამოანერწყვა კრატერმა.

კვამლიო? კვამლი არ იყოს ეს. ლამესავით შავი გძურზა ამოვიდა ამ კრატერიდან და მისწვდა სუსქიას თავის ორკაპიანი ენით...

იტანჯება. კორინთელი ლამობს თავის ბრაუნინგს მიაწვდინოს ხელი და უშველოს სუსქიას, მაგრამ ხელები დაკრული აქვს ხავსიან ლოდზე.

ერთი დაიგმინა სულმწარედ ავადმყოფმა და ერთ წუთსაც არ გაუვლია, არც ზღვა იყო სადმე, არც კავკასიონი და აღარც ამ ზმანების მხილველი.

## თვითნებურად მობანავე

ბევრი იმტვრიეს თავი ამ ამბების გამო თედომ და პროკურორმა ხიდაშელმა. ბოლოს ყველა ეჭვებმა კანკრეს გარშემო მოიყარეს თავი. მართლაც და უცნაურად წაეწყვნენ ურთიერთს: ფურირემის მოკვლა, ნენეს კარზე ლამეული კაკუნი, ელსადგურის სამარქაფო შლძუზის გახსნა და ციხისთავზე თავდასხმის მოხდენა...

თედომ კანკრეს დაჭერის სანქცია გამოსთხოვა პროკურორ ხიდაშელს, ბრალდების მიზეზად დასახული იყო ფურ-ირემის მოკვლა...

კანკრე თელავში დააპატიმრეს, ბაზარში ნაპარავ. ბატკნის ხორცს ყიდიდა, მთვრალი, გაბრანგული. ხიდაშელმა რამოდენიმე ბრალდება წაუყენა მას ერთბაშად, კანკრემ ქვა ისროლა და თავი შეუშვირა, ბოლოს როგორც იქნა გამოტყდა მე მოვკალიო ფურ-ირემი.

თავის მართლებასაც შეეცადა: თავისი ბლავილით აწუხებდა სოფელს, რისი მაქნისი იყოო დაცალებული ფურირემი?

ამასობაში ლექსო გაბედაიძე გამომჯობინდა. მცირეწლოვანი აღმოჩნდა იგი, აბრია უჯირაულის დისწულის შვილი. თუმცა შავი წვერულვაში კვრინჩხივით დასეოდა სახეზე. შოფრის თანაშემწედ ვიყავიო კანკრესთან. ჯერ ლოთობას და ხელმრუდობას შემაჩვია, მერმე კანკრემ და აბრიამ დამიყოლიეს, მთათუშეთში ვიღაც ბანდიტები დაქრთამეს, მერმე ის იყო ციხისთავს დაუხვდითო, აბრია მთათუშეთში იმალებოდა, ის და კანკრე თელავში შეხვდნენ ერთმანეთს, ჯერ ციხისთავს დავესხით თავს, მერმე ის იყო ელსადგურის შლძუზები გადაკეტესო...

როცა კანკრეს პირზე დააყენეს ლექსო გაბედაიძე, თავათაც გამოტყდა: აბრიას ჩიჩინს ავყევით, ელსადგურის შლძუზი იმ მიზნით გადავკეტეთ, ბერმუხის ვაზნარები წყალს გადაერეცხაო.

ინჟენერ ცეროდენას კარნახით ვმოქმედებდით, მაგრამ ვერ მოვზომეთ ლამის იყო სოფელი არ გავატანეთო წყალს.

ერთი კვირის შემდეგ ცეროდენაშვილიც დაიჭირეს და ჩამოიყვანეს თბილისიდან. იგიც იოლად გამოტყდა თავის დანაშაულში; მე ფაშისტების გამარჯვების იმედი მქონდა, იმიტომაც განვაზრახეო აბრია და კანკრე, დანაშაულიც ჩემის შთაგონებით ჩაიდინესო მათ.

არც ის დაუმალავს ინჟენერ ცეროდენაშვილს, რომ მან მიითვისა 500 ტონა ცემენტი.

საწნეო და სამარქაფო არხები თიხნარევი ცემენტით გავაკეთეთ, ვიცოდი ინჟენერი ჯორჯაძე არკვევდა გველეთის ჰესის მშენებლობის საქმეს, საბოლოოდ ყველაფერს გამოიკვლევდნენ, ამიტომაც გადავწყვიტეო ელექტროსადგურის დაზიანება.

* * *

აბრიამ დიდხანს ველარ შესძლო ტყუტყე სიარული. სამმა ნათლიმამამ შინი-

დან დაითხოვა იგი. მას ძველმა თიაქარმა გაუხსენა, ერთ საღამოს თავის სახლში მიბრუნდა...

ნიადაგ ლოცულობდა. ევედრებოდა ღმერთს, მიქელ გაბრიელს დავიწყნოდა მისი სახელი და გვარი.

როცა ფოსტალიონი გეო მოიტანდა პროკურორის უწყებას მეათეჯერ ყველას უნდა ეთქვა... აქ არა ცხოვრობსო აბრია უჯირაული, არამედ აბრია ავსიტყვა...

* * *

ერთ დღეს საშინელი გუგუნი გაისმა ჰაერში, წინა დღეებში თელავში ჰქონდა მას განაგონი: გოდერძი ცოცხალიაო, შიშის ზარმა შეიპყრო აბრია, ცაში აიხედა, გაიფიქრა: ეგებ გოდერძი მოსულაო ამ თვითმფრინავით, რათა აბრიას სახლკარს დაარტყას ბომბა. ოდნავ დამშვიდდა, როცა თვითმფრინავი ლეკიმთისაკენ გაბრუნდა...

შესაღამოვდა. აბრიას შიოდა, არსად სჩანდა მაო. ჯერ მთელს ეზოში იარა და იყვირა „მაო, მაო“...

როცა ბატების გარდა არავინ გასცა ხმა, დასწყევლა ის დღე, როცა მაო შეირთო ცოლად, აგინა და წყევლა თავისი ცოლი, ქვაკაცას წმ. გიორგის ღვლეჭივით მოეგრიხოსო მაოს კისერი. ხუნაგი შეყროდეს მაოს, შიოდეს და პური ვერ ეჭამოს, წყუროდეს და წყალი ვერ შეესვასო, სიკვდილი ეწადოს და საკუთარ ლოგინზე სიკვდილი ნუ ეღირსოსო მაოს.

მე აქ ვიტანჯები დევნილი და შიმშილისაგან გათანგული, ის ალბათ ზისო სადმე, სამეზობლოში და უქმი ტიტინით ერთობაო უქნარ დედაკაცებთან ერთად.

საშინელი სიძაბუნე შეიცნო, საერთოდ უშიშარმა ბერიკაცმა. მოკლეებით გადავალ გველეთში, ქვაკაცას წმ. გიორგის შევავედრებო სულს.

როგორც ზამთრის პირად, სოფელში შეპარვული ბებერი მგელი, რომელსაც კბილების დაცვენის გამო, ვირთხებზე უხდება ხოლმე ბოსლების სიახლოვეს ნადირობა, მილასლასებდა აბრია ავ-სიტყვა ბერმუხის ვიწრო შუკებში, აგრე ივარაუდა:

ვენახებზე გადავივლი და გზას მოვჭრი ამგვარად.

კვირა დღე იყო და კარგად იცოდა: ვაზნარებში არავინ იქნებოდა. გზა და გზა იგი ამჩნევდა თავის ავკაცობის შედეგებს, წყალდიდობისაგან დანგრეულ ქოხმახებს, გადარეცხილ და დასილულ ბაღ-ბოსტნებს.

ხრამებსა და ორმოებში ჯერ კიდევ იდგნენ ტბორები, ერთბაშად თავი შერგო სანერგე ფარდულის გვერდით ჭიშკარში და ჩქარი ნაბიჯით მიჰყვა მელისხევისაკენ მიმავალ ბილიკს, რათა იქიდან ბეტონის ხიდი გადაევლო და გველეთის შოსეს დადგომოდა.

ერთბაშად მოესმა ძახილი:

„აბრია, ჰაუ აბრია!“

ერთი გაიფიქრა მიმავალმა, წავუყრუებ, ვითომ მე აღარ ვარო აბრია, მაგრამ დამძახებელი გამოუდგა და სირბილით წამოეწია. ერთი უკან მოიხედა აბრიამ და თოფიანი დარაჯი, გაიოზი შეიცნო.

„მოიცა სად მირბიხარ, შე კაცო, ფოსტალიონი გეო დაგეძებს, რაღაც უწყება უჭირავს ხელში, ამ წუთში აქ იყო“.

სიტყვა „უწყება“ ეკალივით შეერჭო აბრიას ყურში, პასუხი არ გასცა ცალთვალა გაიოზს და სირბილით მიჰყვა ბილიკს. ათი მეტრიც არა ჰქონდა გავლილი, სტვენა შემოესმა.

უკან მოიხედა, შავბლუზიანი, ახმახი გეო და მილიციელი კვალდაკვალ მოსდევდნენ მას.

ირბინა, ირბინა აბრიამ და ნახიდურთან რა მიაღწია, სწორედ იმ ადგილს მიაწყდა, სადაც ხარ-ირემი მიადგა უზარმაზარ ხრამსა და ზედ გადაევლო.

რადგან აბრია უკვე ვეღარ იყო ხარ-ირემივით ძლიერი და ფეხმარდი, მან აღარ ინდომა უკან გამობრუნება და თავქვე ჩაეშვა წყლით გავსილ ხრამში...

ვიდრე იგი ფსკერს უწევდა, კლდის ქიმს დაჰკრა თავი და ორიოდე წუთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ისევ ზედაპირზე ამოატივტივა წყალმა მისი უშველებელი გვამი.

ხევს გაღმა აბრიას ცოლი მაო მოდიოდა, ფიჩხი მოჰქონდა, ხოლო ლექსო გაბედაიძის უბედურ მამას, ქანგოს ჰივით დატვირთული ურემი მოჰყავდა.

ატირებულმა მაომ ფიჩხის კონები განზე გადააგდო, ტალახიან გზაზე დაუჩოქა მეურმეს და შეევედრა:

უშველეო მოხუცებულ აბრიას.

„არა ჩემო მაო, აბრია თავისნება კაცია, როგორც სურდეს, ისე იბანავოს".

მიუგო ქანგომ და ხარებს მოუტლაშუნა შოლტი...

## სასწაული ვაზის ყვავილობისა

### ეპილოგი

„მოილოდებოდეთ ვითარცა წვიმაჲ აღმოთქუმაჲ ჩემი,
და გარდამოვედინ ვითარცა ცუარი სიტყვანი ჩემნი,
ვითარცა წვიმაჲ კლერტსა ზედა,
და ვითარცა თოვლი თივასა"...

გამოხდა ხანი...

ეს ომიც ისე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც არა ერთი დაწყებულა და დასრულებულა ამ პლანეტაზე. ვინც ცოცხალი გადაურჩა ამ გაუგონარ სისხლის წვიმებს, შინ დაბრუნდა მეტნაკლები სახელითა და დიდებით. ჩემს გმირებს შორის ბევრი დაიღუპა, ჩვენი ქვეყნის დაცვისათვის გაწეულ ბრძოლებში.

ბერმუხაში ყველაზე ადრე დაბრუნდა მეწისქვილეყოფილი სოლომონ გულუხაიძე. მას ორდენების მთელი კანკელი უმშვენებდა მკერდს. მართებულად იქადოდა ნიორთავა: პაპი ჩემის სისხლი ავიღეო.

ბოლოს სოლომონმა ამცნო ქვეყანას ნიკა უჯირაულის, კოლა სოკოლოვის, ხელაანთ ვანოს, ნიკო როსტიაშვილისა და სტეფანე მარტიაშვილის სიკვდილი, მაგრამ ვერაფერი აუწყა ნუნუსა და პაპა მიქელას.

ვერც ისა სთქვა ჟუ რა ბედი ეწვია გოდერძის სლავუტას აგურის ქარხანაში. მომხდარი ბრძოლების შემდეგ. მერმე ის იყო გოდერძი კიდევ ერთხელ შეიმცხადეს მისმა მახლობლებმა.

ნუნუს უკვე სავსებით გაუთეთრდა თმები...

* * *

ამასობაში ბერმუხაში ბევრი რამ გაკეთდა. განადგურების ზღურბლთან მისული ზვრები ისევ ააყვავეს მშრომელთა ხელებმა. არაშენდა — გველეთში ათასი სტანდარტული სახლი დადგეს, ნასახლარებს, ნასაყდრალებსა და ნაციხარების სანახებში გველეთის ჰესი საფუძვლიანად გადააკეთა ინჟენერმა ჯორჯაძემ. იქვე მოეწყო ვაზის საბჭოური მეურნეობა.

ირმის ტბის ჭაობები სავსებით ამოაშრეს.

კორინთელის კოტეჯში სასოფლო ბიბლიოთეკა მოაწყობინა ციხისთავმა. ვახტანგ კორინთელის ვაჟი, როსტო, ნიკო მირიანაშვილმა იშვილა, იგი ამჟამად თელავში სწავლობს წარმატებით.

* * *

მე მყავს მთელს საქართველოში ნადირობისმიერი მეგობრები, ასეთი იყო ჩემთვის გოდერძი ელანიძეც. ჯიხვზე, მშველზე, ხოხობზე ნადირობის სეზონში ხშირად ჩავდიოდი ხოლმე მასთან, ამიტომაც განსაკუთრებით მაინტერესებდა მისი ბედი.

ერთ დღეს სოლომონ გულუხაიძემ წერილი მომწერა, გოდერძის უეცარი დაბრუნება მამცნო. მე ფრიად გამაოცა ამ ამბავმა.

ჩემი ლიტერატურული საქმეები მივატოვე და ბერმუხას ჩავედი. ციხისწისქვილში აღარ დამიხვდა სოლომონი, თურმე იგი რაიკავშირის თავმჯდომარედ დაენიშნათ.

სამწუხარო ის იყო, რომ გოდერძის იმდენი უტანჯია ომის დასრულებამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის პარტიზანულ ბრძოლებში, და კონცლაგერში ხელახლა ჯდომისას, იგი სავსებით დამუნჯებული დაბრუნდა შინ.

როგორც გულუხაიძემ მიამბო, პაპა მიქელამ და მამიდამისმა ბაბალემ შავი ღორი წაიყვანეს ქვაკაცას წმ. გიორგის კარზე, ბევრი ალოცვინეს და შეულოცეს, ნუნუმ სამგზის აჩვენა იგი თბილისელ დიდ ექიმებს, მაგრამ კანტუზირების ამ მძიმე ფორმას საშველი არ დაადგა...

*

* *

ტყის ქათამზე ნადირობა ადრე მოვათავეთ, რადგან ხანგრძლივი წვიმები დაიწყო, კავკასიონზე ჰექა-ქუხილი ატყდა. როცა კვლავ გამოიდარა, სოლომონ გულუხაიძემ ბერმუხას ჩამიყვანა გოდერძის სანახავად.

სწორედ გითხრათ, არ მიამა მისი დანახვა.

ამ შესანიშნავ ვაჟკაცს შრამებით დამახინჯებული ჰქონდა მთელი სახე, მარჯვენა ხელზე ტყავის შავი ხელთათმანი ეცვა, მხოლოდ ცერი და საჩვენებელი თითი შერჩენოდა ამ ხელზე, დანარჩენები ავტომატის სროლის დროს დამსხვრევია.

გულუხაიძემ მითხრა:

„მე მგონია მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ უშველოთ გოდერძის კონსტანტინე, ბატონო“.

— მე გავვოცდი.

რას ამბობ მეთქი, სოლომონ ჩემო?!

„მე მწერალი არა ვარ, მაგრამ კარგად ვიცი თუ რა ჯადო აქვს მწერლის სიტყვას. შენ ქეჩოზე აზიხარ ქართულ სიტყვას, როგორც სატანა — მგელს. შენს სიტყვას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია, შენ არსთაგანმრიგემ მოგანიჭა მრავალი საუკუნის წინად გარდაცვლილთა კვლავ ამეტყველების უნარი.

შენს მიერ მოკლული გმირების გამო ჩვენ ისე ვსტირით, თითქოს ჩვენი უგულითადესი ძმები და დები ყოფილიყვნენ ისინი“...

ღირსი არა ვარ იმისა, რასაც შენ მომაწერ, ჩემო სოლომონ, მაინც წავიდეთ ვნახოთ მეთქი, მივუგე.

მე იმ დღეს მართლაც ვინატრე მომნუსხველი ძალა სიტყვისა, რომლითაც ლეგენდარულმა ქრისტემ გამოაფხიზლა ლეტარგიულ ძილში გადასული ლაზარე, რადგან კარგად ვიცი რა უცნაურად დააელექტრონებს ხოლმე მწერლის სიტყვა მილიონ ადამიანთა გულებს. ზოგჯერ ეპოქებს შესძრავს, ყირაზე დააყენებს იმპერიებს, ადამიანებს ატირებს და აცინებს არყოფილი გმირების სიკვდილისა და არმომხდარი ამბების გამო.

ეს მოხდა ვაზის ყვავილობის დღეებში.

ნუნუ, სოლომონი, ხირჩლა ოჩიაური და მე, ამ სტრიქონების ავტორი, გვერდით მივყვებოდით პირველი უბნის სანაქებოდ აყვავებულ ვაზების მწკრივებს.

გოდერძის მკლავზე ხელი წავავლე და ვუთხარი:

„გოდერძი, მიმოიხედე ირგვლივ, ნახე რა მშვენიერია ეს ქვეყანა ნაქუხილარზე, ნამდვილი ბაღნარია ჰესპერიდების! მიხედე შენს საყვარელ კავკასიონს, სადაც მე და შენ დათვებს, მგლებსა და ფოცხვერებს შევბმივართ ხოლმე.

თვალი მოავლე შენს კახეთს, ვაზებისა და ვარდების ქვეყანას. ნახე შენს ნაკვეთში ვაზის ყვავილობა, ნამდვილი სასწაული დედამიწისა“.

„მართლაც, მართლაც მშვენიერია ვაზის ყვავილობა“. სთქვა გოდერძიმ.

მე და სოლომონი ვერიდებოდით ბევრი გამოკითხვით არ დაგვექანცა ახლად ენაადგმული. ცნობის წადილმა მაინც წაგვძლია და ზოგი რამ გავიგეთ.

ტანკსაწინაალმდეგო ორმოებიდან გაქცეული, კოვპაკის პარტიზანულ პოლკში მიუყვანიათ ბურჟინსკისა და ფალკივსკის გოდერძი.

ამის შემდეგ ორ წელს ებრძოდნენ თურმე ფაშისტებს.

ბოლოს გარემოცვაში მოხვედრილან პარტიზანელთა პოლკთან ერთად. მერმე ის იყო ოსვენციმის კონცლაგერში, მანამდის სტანჯეს ფაშისტებმა იგი, სანამ ენა არ ჩაუვარდა ამ წამებისაგან შეძრულს...

1945 წლის 8 მაისს წითელ არმიას აუღია ეს კონცლაგერი. ახლაც ლაპარაკობდა გოდერძი, მძიმე-მძიმედ, ყბებზე კუნთები უკანკალებდა ყოველი სიტყვის წარმოთქმისას და ნერვიულად აპარპალებდა თვალებს.

სოლომონმა დამანამუსა: გოდერძის ნუ ეტყვი და პაპა მიქელა სამღვთოს დაკლავსო დღეს.

მართლაც და ბერმუხის ქვეშ მწვადები შესწვეს.

აქ იყვნენ პაპა მიქელა, ნუნუ, სოლომონ გულუხაიძე ხირჩილა ოჩიაური, ბერმუხელი მასწავლებლები [illegible], ბაბლიას მუხლზე უჯდა პატარა მიქელა.

ჩვენ დავლიეთ ომში დაღუპული გმირების სახსენებელი, ბოლოს გოდერძიმ ასწია თასი და სთქვა:

„ეს გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, მე კიდევ დამრჩა ორი თითი მარჯვენა ხელზე და თუ საჭირო იქნა ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა“...

პაპა მიქელამ ორივე ხელით აიყვანა პატარა მიქელა და აჩვენა იგი ზეციურ მნათობს, თანაც ისე გახარებული იყო ბედნიერი მოხუცი, თითქოს საკუთარი თვალით ენახა მზე...

ხოლო ბერმუხა შრიალებდა კვლავინდებურად საამოდ, შეუდრეკელი ბერმუხა, რომელიც მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსვრელი სულისა...

---

მინაწერი: „ვაზის ყვავილობის“ პირველმა თავებმა (1953-54 წლებში გამოქვეყნებულმა) ხანგრძლივი მუშაობის პროცესში ცვლილებანი განიცადეს. ასე რომ სრული ვარიანტი ამ რომანისა ცალკე წიგნად იქნება წარმოდგენილი.

ავტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ვახტანგ გორგანელი

★

# „ავრორას“ ქუხილი

გრიგალს ხანძარი ცაში აჰქონდა,
წყვდიადს მუსრავდა ხალხის მარჯვენა.
ერთი იქუხა ზღვიდან „ავრორამ“
და მიულოცა ხალხს გამარჯვება.

ქვეყნად დაიძრა რკინის თაობა,
ახალ ცხოვრების სხივით გამთბარი.
ერთი იქუხა ზღვიდან „ავრორამ“
და აყვავილდა ჩვენი მთა-ბარი.

შურს და ქიშპობას ძმობამ აჯობა,
ხელი მოხვია სოფელს ქალაქმა,
ერთი იქუხა ზღვიდან „ავრორამ“
და სამშობლოში დადგა ბარაქა.

შესძრა ხმელეთი შენმა ძახილმა
დიდი ოქტომბრის შთამომავლობავ,
ჩვენი მინდვრიდან, ჩვენი ქარხნიდან
გამარჯვებული გვრგვინავს „ავრორა“.

ჩვენი მიღწევით მტერი გაცოფთა,
ჩვენი გათელვა ვინ არ ინდომა.
ერთი იქუხა ზღვიდან „ავრორამ“
და უძლეველი გახდა მშვიდობა.

ხალხმა იპოვნა რასაც ნატრობდა,
ხალხმა სიმართლის დროშა ასწია.
ერთი იქუხა ზღვიდან „ავრორამ“
და ხმა მსოფლიომ გაინაწილა.

ამ ხმამ აანთო პრაღის ტატნობი,
ამ ხმამ შემოხსნა პეკინს გოდება.
ვინ დაითვალოს გრგვინვა „ავრორის“
ქვეყნად რამდენჯერ განმეორდება.

ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავრობის
სიბრძნეს, დაძახილს ყველგან მივყვებით.
ჰქუხს და გრიალებს ხმები „ავრორის“
მაუწყებელი ქვეყნად სიკეთის.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კალანდაძე

★

# ავეტიქ ისააკიანს

შენთვის ოთხმოცი წელი რა არი,
შენ უკვდავების ხარ მომღერალი.
შენ იყავ აბულ ალა მაარი,
სრბოლად გაჭრილი ლექსის მერანით.

მთელი მსოფლიო შემოიარე
და კვლავ მშობლიურ ცისქვეშ მოხვედი,
უცხო მხარეში მოხეტიალეს
გენატრებოდა შენი სომხეთი.

გენატრებოდა ლურჯი სევანის
თვალისწარმტაცი სანაპირონი,
ალაგიოზი — მზის ტახტრევანი
და მშობლიური ცის საფირონი.

ლექსში შხუოდა ზანგუ-მდინარე
და შავი სევდა გიპყრობდა ოდეს,
ნატვრით იტყოდი სახემღიმარი:
„არეზის პირას ბოსტანი მქონდეს!“

სამშობლოს ბედზე ფიქრი მარადი
წმიდათა წმიდა გულისთქმას ანდე,
შენს ლექსში ელავს მთა არარატი,
ამაღლებულხარ სიმღერით ცამდე.

შენთვის ოთხმოცი წელი რა არი,
დიდი სიცოცხლის ხარ მომღერალი,
შენ იყავ აბულ ალა მაარი,
სრბოლად გაჭრილი ლექსის მერანით.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა დონჯაშვილი

★

# ალაზნის პირას

რომანი

## ზამთრის ერთ ღამეს...

ათას ცხრაას ორმოცდა ექვსი წლის ზამთარი იყო, შაბათი საღამო. პატარა ქალაქ ლელიანის მოსახლეობამ იმ საღამოს ადრიანად ჩარაზა დარაბები, თითქოს შინ შემოსასვლელი გზა გადაუღობა პირქუშ ღამეს. გამთოშავი ქარი ზათქითა და ზმუილით ეხეთქებოდა არემარეს, ხან კიდევ, ქუჩების ვიწროებში მომწყვდეული, დარდიანად ზუზუნებდა დახურულ დარაბებთან. აქა-იქ მბჟუტავი ელნათურები ძლივს აკრთობდნენ ნაცრისფერ ბურუსს და ძუნწად ანათებდნენ აბრეშუმის ძაფებივით დახლართულ წვიმის წვრილ ზოლებს.

ქარმა მძლავრად შემოუქროლა, გზაჯვარედინთან ბოძზე დამაგრებული ფარანი შეატრიალა და კუთხის შენობა გაანათა. წამით მკაფიოდ გამოჩნდა შენობის შესასვლელთან დამაგრებული დაფა წარწერით: „სახელმწიფო ბანკის ლელიანის განყოფილება“. მეორე წამს ქარი ისევ ეძგერა ფარანს, ისევ შემოატრიალა და ჩააქრო. შენობამ თითქოს უკან დაიხია, სიბნელეში გაუჩინარდა. ერთხელაც დაჰქროლა ქარმა, ფარანი ბოძს ააგლიჯა, ქვაფენილზე გაახრიგინა, სადღაც თხრილში მიაგდო, ზედ გადაუარა და ველად გაიჭრა.

ქუჩა მთლად ჩაბნელდა.

უფარნო ბოძს უეცრად სინათლის ზოლი დაეცა. ბანკის შენობის ერთ-ერთი დარაბა გაიღო, ფანჯრის მინას ახალგაზრდა ქალის სახე აეკრა. ქალმა ხელებით მოიჩრდილა სახე, შეეცადა გაერჩია რა ხდებოდა გარეთ, მაგრამ მინას გარედან ისეთი სიშავე მოსწოლოდა, თითქოს ფანჯრის იქით წყვდიადის მეტი ქვეყანაზე არაფერი არსებობსო. დარაბა სწრაფად დაიხურა. ქალი ფანჯარას ზურგით მიეყრდნო და მოპირდაპირე კედელს შეხედა. საათი ცხრას აჩვენებდა. ქალი ნელა მიუახლოვდა თავის სამუშაო მაგიდას, სამელნესთან გადაშლილ ბარათს დახედა: „შვილო, ანიკა, დღეს მაინც მნახე. ამ შაბათ ღამეს ნუ დამაგდებ მარტო. იცოდე, უშენოდ არ ვისადილებ, გელოდები“.

დილას მოუტანეს ვარაზელებმა ეს ბარათი და პირადადაც გაუმეორეს დაბარებული თხოვნა. ანიკამ დედის ფარული საყვედური იგრძნო მათ სიტყვებში, პირობა, მისცა ამოვალო და...

ანიკამ კვლავ შეხედა საათს. როგორ გაიპარება ხოლმე დრო?! დღეს ადრე აპირებდა შინ წასვლას. დედის ბარათიც რომ არ მიეღო, ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა სოფელში ასვლა. დღეს ხომ შაბათია, დაისვენებდა, თუმცა განა დაღლილია ანიკა? სულაც არა. განა საათს უყურებს? პირიქით, სწორედ მაშინ იწყებს გულდაგულ საქმიანობას, როცა ბანკის კარი წამსვლელ-მომსვლელებისათვის იხურება და თანამშრომლებიც ამთავრებენ მუშაობას. ყველას მიეჩქარება შინ. ყველას აქვს თავისი საზრუნავი, თავისი დარდი ან სიხარული. ანიკას კი ის უხარია, რომ დირექტორი ყოველთვის მას ანდობს პასუხსაგებ საქმეს. აი, ახლა ბალანსი მზადდება, იმიტომ გარბიან საათები შეუმჩნევლად. ზამთრის გრძელი ღამეების სიჩუმეს მხოლოდ ქალალდების შარი-შური არღვევს, ხან კიდევ ქარის კაკუნი ფანჯარაზე.

„რა წყვდიადია გარეთ! ასეთ ამინდში როგორ მივაღწევ ვარაზს? იქნებ დილისათვის გადავდო წასვლა?“ — გაიფიქრა და ოთახი შეათვალიერა.

ერთმანეთზე მიდგმული სამუშაო მაგიდები მილაგებული იყო. კარადების თაროებზე ელაგა ყდებში აკინძული საბუთები, საანგარიშოები, არითმომეტრები. ერთ-ერთ კარადის უკან ვიწრო რკინის საწოლი იდგა. ეს ომიანობის მწარე სახსოვარი იყო. მაშინ ამ საწოლზე დაწესებულებაში დარჩენილი მორიგე ისვენებდა. ომი დამთავრდა, მაგრამ ეს საწოლი აქ დარჩა, იმიტომ რომ ანიკას ხშირად ულამდება ბანკში, ვარაზამდე კი თორმეტი კილომეტრია...

ანიკა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა საწოლს და მის კიდეზე ჩამოჯდა. იქიდან კარგად მოსჩანდა კედელზე დაკიდებული დიდი სურათი „ჩვენი სამშობლოს დილა“. უყვარს ანიკას ეს სურათი. დიდხანს შესცქერის ხოლმე და ფიქრობს. ხშირად შეუმჩნევლად ჩასძინებია კიდეც. ახლა კი შეხედა სურათს და უცებ ფეხზე წამოდგა.

„როგორ ამინდში და რა ძნელ გზებზე უვლია ადამიანს. მე ხომ ვარაზის გზა არ შემეშლება. დედა მიცდის. არც ისადილებდა. არც დაეძინება ჩემს მოლოდინში. უნდა წავიდე. წავალ, რა დამიშავდება?!

გადაწყვიტა და სწრაფად დაუბრუნდა მაგიდას. ყველაფერი თავის ადგილზე შეინახა, საბუთები საიდუმლო ყუთში ჩაკეტა. ორიოდე წუთის შემდეგ პალტო ჩაიცვა, საწვიმარი წამოისხა, ჯიბეში ასანთის კოლოფი მოისინჯა და გარეთ გამოვიდა.

დადარაჯებული ავაზაკივით ეძგერა ქარი, სახეში წვრილი, დანაყულ შუშასავით მჩხვლეტავ... მჭრელი წვიმის წვეთები შეაყარა, უკან დაახევინა. ანიკამ სული მოითქვა, წამით შეყოყმანდა, მაგრამ მერე საწვიმარი უფრო მაგრად შემოიხვია და თითქოს ქარის გამოსაჯავრებლად დაიძახა:

— მაინც წავალ, რა დამიშავდება?

ანიკა ბავშვობიდანვე არ იყო იოლი ცხოვრებით განებივრებული. ბაბუამისი, სევასტი მდინარაძე, ძველად გადმოსახლებულიყო ზემოიმერეთიდან კახეთში. თან თავისი უმცროსი და-ძმაც წამოეყვანა. დაუღალავი შრომისა და ახალი მეზობლების დახმარებით გადმოსახლებულებმა მეორე წელსვე ჩაიდგეს ორთვალიანი იმერული ოდა. მალე სევასტიმ ადგილობრივი გლეხის ქალი შეირთო. ოდა შევიწროვდა. უფროსი ძმის მაგალითს უმცროსმაც მიბაძა, ცოლი შეირთო, ძმის მეზობლად საკუთარი ოდა აიშენა. მერე დაც მიათხოვეს ერთ კახელ ბიჭს. ქალი შორს აღარ გაატანეს სიძეს, ისიც მეზობლადვე დაასახლეს.

ასე გაჩნდა ალაზნისპირას, სოფელ ვარაზში სევასტიანთ უბანი.

გლეხის კვალობაზე ბედნიერი იყო სევასტი. ჯანმრთელი და შრომისმოყვარე ჯალაბობით იყო სავსე მისი ოჯახი. ხშირად ლოცავდა ხოლმე აქეთ გადმოსახლების საათს. სიკვდილმაც დროზე უწია მოხუცს, შვილების სიმწარე არ განუცდია. მოსიყვარულე შვილებით, სიძე-რძლებით, შვილიშვილებით, ნათესავებით და მეზობლებით დატირებული დაიმარხა და მისი სიკვდილის სწორედ წლის თავზე დიდი სამამულო ომი დაიწყო.

სევასტის სამივე ვაჟი გაიწვიეს ჯარში, მათ შორის პავლიაც, ანიკას მამა. სამი ძმა ერთად წავიდა და ვეღარც ერთი ვერ დაბრუნდა. შინ დარჩენილთ, ვაჟკაცების ნაცვლად, პატარა ქაღალდები — სიკვდილის უწყებები მოსდიოდათ.

ქუჩებში ორპირად ჩამწკრივებულ სახლების აივნებზე სამგლოვიარო არშიებითა და წარწერებით დაღუპულთა სურათები გამოიფინა... სოფელში კაცი აღარ დარჩა და ქალებს ტირილის დროც აღარა ჰქონდათ.

პავლიას ცოლმაც ძლივს მოიცალა თალხების შესაკერად. დაღუპული ქმრის გადიდებული სურათი მიაჭედა აივანს და ცხოვრებას შეება.

ტანმაღალი, ძვალმსხვილი ანიკა მაშინ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, მაგრამ მეტისმეტად დინჯი თავის წლოვანებაზე გაცილებით უფრო დიდს ჰგავდა, იქნებ იმიტომ არავის გაჰკვირვებია, რომ დედას ტოლივით ამოუდგა მხარში. მისი ამხანაგები წლისთავზე იხდიდნენ სამგლოვიარო სამოსელს, ანიკა კი თალხს შეეჩვია და სიმარტოვეს ირჩევდა. სკოლაც ამხანაგებზე უკეთ დაამთავრა, თამბაქოს პლანტაციებზე ნაქებ მერგოლეურებს აჯობა, მაგრამ ქებას თავს არიდებდა. მის გასაგონად არც არავინ აქებდა, ოღონდ სადაც ანიკა გამოჩნდებოდა, იქ მოხუცებიც კი წამოიწევდნენ ხოლმე ადგილის დასათმობად.

ერთ ზამთარს, როცა საკოლმეურნეო სამუშაო მინელდა, ანიკამ საბუღალტრო კურსები დაამთავრა. სთხოვეს, დროებით რაიონულ ბანკში ემუშავა ფრონტზე წასული თანამშრომლის ნაცვლად. დროებითო, უთხრეს, მაგრამ მერე აღარ გამოუშვეს.

ომი დამთავრდა. ვინც ჩამოსასვლელი იყო, ჩამოვიდა. ანიკას ტოლები დათხოვდნენ, ჩუმი და მოკრძალებული ანიკა კი ისევ თავაუღებლად მუშაობდა. დრო არა ჰქონდა საკუთარ ბედზე ეფიქრა, თუ განზრახ არიდებდა თავს ამ ფიქრს, ვინ იცის? ათასში ერთხელ, დიდ სარკეში რომ დაინახავდა თავის მაღალ ტანს, დიდრონ ხელ-ფეხს, შორი-შორს ჩამსხდარ თვალებს და გადაბმულ ფართო წარბებს, დაცინვით იტყოდა ხოლმე, „ვის რად უნდა ამისთანაო“.

მაგრამ სცდებოდა ანიკა. საქორწინო ბიჭებთან თავი ისე ეჭირა, რომ სათქმელი ვერავინ გაუბედა. თვალს არავის უსწორებდა, გულს არ უნდოდა, იმიტომ ვერ ამჩნევდა, რომ ბევრი სხვისათვის სანატრელი მას ნატრობდა. ვერც იმას გრძნობდა, რომ დედისერთა ბიჭს ტარიელ ჩოფიკაშვილს იგი ოცნებად გადაქცეოდა.

ტარიელი ბავშვობაში დამფრთხალ ცხენს გადმოეგდო. მას შემდეგ ერთი ფეხი დაუმოკლდა. ამის გამო ომშიც ვერ წავიდა. თავისი სიყრმის მეგობარი ზაქრო სიყმაშვილი ფრონტზე რომ გააცილა, სოფელში აღარ დაბრუნდა, ლელიანში დარჩა სამუშაოდ. ზამთრობით საბარგო მანქანაზე იჯდა, რაიონს ემსახურებოდა, გაზაფხულ - ზაფხულ - შემოდგომობით საკოლმეურნეო მინდორველზე თავისი ტრაქტორით ხუთი კაცის საქმეს ერთი აკეთებდა. ძნელ, მოუსვენარ ცხოვრებაში ტარიელის ერთადერთი სიხარული ანიკაზე ფიქრი იყო, თუმცა ამას როგორ გაამხელდა. ხასიათით ანიკას გავდა, დინჯი იყო და მოკრძალებული. ზოგჯერ თავის მოკლე ფეხს ნაღვლიანად შეათვალიერებდა და ანიკასი არ იყოს, გაიფიქრებდა ხოლმე: „ვის რად ვუნდივარ ამისთანაო?“

იმ შაბათ-საღამოს, როცა ანიკა ბანკის შენობიდან გამოვიდა, უეცრად მანქანის ფარებმა წყვდიადი გაჰკვეთეს. მალე ბანკის შენობასთან შოფერმა დაამუხრუჭა მანქანა და კაბინის კარი გააღო.

— ანიკა, ამ ტიალ ღამეს გარეთ რადა ხარ?

— შენა ხარ, ტარიელ? სოფელში ვაპირებ ასვლას.

— ვარაზში მიხვალ? — გაიკვირვა ტარიელმა და მყისვე რაღაცა გადასწყვიტა. გაუხარდა რომ ბნელოდა, ანიკა გაწითლებას ვერ შეატყობდა. — კარგია რომ მგზავრი შემხვდა... მეც იქით მივდივარ!

ტყუილი ვერ შეამჩნია ანიკამ, მაგრამ მაინც დაეჭვდა. მანქანა ვარაზის მოპირდაპირე მიმართულებით მიდიოდა.

ტარიელმა იგრძნო ანიკას დაეჭვება და რომ უარი არ გაეგონა, უჩვეულო აჩქარებით დაუმატა:

— აქეთ ერთი წუთით მივდივარ, გარაჟში უნდა შევიაროო.

მალე მანქანა ვარაზის გზას დაადგა.

ბევრი საგანგებო დანიშნულების ტვირთი უტარებია ამ გზებზე ტარიელს, ბევრჯერ კმაყოფილებით გაუფიქრია, რომ ახალი, სასწრაფო დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების შესრულებით პატარა მახვილი მასაც ჩაუცია ომის მაჯლაჯუნასთვის. ბევრჯერ გაუხარებია კარგი მუშაობისათვის მიღებულ მადლობას, მაგრამ ასეთი ბედნიერი არასდროს არა ყოფილა ტარიელი. ახლა კაბინაში, მის გვერდით ანიკა იჯდა!

თითქოს მოტორად თავისი გული გადაუნერგა მანქანას ტარიელმა, ფარებს საკუთარი ჩინი ჩაუდგა. ნეტა გაგრძელდეს ეს გზა, გაგრძელდეს ქვეყნის დასასრულამდე. ღამეც აღარ გათენდეს. ასე, ამ წყვდიადში გაატარებდა, ფარებით განათებულ წვიმის წვრილ ზოლებს კი არა, რკინის ზღუდეებს გაარღვევდა, სამშვიდობოს გაიყვანდა.

დროგამოშვებით ტარიელი ანიკას გადახედავდა ხოლმე. ეჩვენებოდა, რომ ანიკას სწყინდა მისი გაჩუმება, დააპირებდა დალაპარაკებას, მაგრამ საჭირო სიტყვას ვერ პოულობდა. რაღაცას სრულიად უმნიშვნელოს შეეკითხებოდა, ან კვლავ ცუდ ამინდზე იტყოდა რასმე.

ქალი კი თვალდახუჭული იჯდა მის გვერდით. ისიც ნატრობდა, მაგრამ ნატრობდა, რომ ეს გზა ჩქარა მოთავებულიყო, მალე მისულიყო დედასთან, რომელსაც ალბათ თვალგული ამოუღამდა მის მოლოდინში. დროგამოშვებით ანიკასაც ეჩვენებოდა, რომ ტარიელს სწყინდა მისი გაჩუმება. არ ეგონოს, რომ მადლობის მაგიერ გაბუტული ვზივარო, გაიფიქრებდა ხოლმე. უნდოდა რაღაცა კარგი, მეგობრული ეთქვა, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, რომ ნათქვამი მეტად უმნიშვნელო გამოდიოდა.

ვარაზისაკენ გადასახვევს მიუახლოვდნენ. აქედან საცალფეხო ბილიკი მიდიოდა ანიკას სახლისკენ.

ანიკას გაუხარდა, რომ, როგორც იქნა, დაილია გულგასაწყალებლად გაგრძელებული გზა.

ტარიელს კი ვერ გაეგო რამ დალია ეს გზა ასე სწრაფად, დაღონებულმა შეაჩერა მანქანა.

— მადლობელი ვარ, ტარიელ! — წყნარად უთხრა ანიკამ და მანქანიდან გადმოვიდა, საწვიმარი წამოისხა.

— მიგაცილებ... — სთხოვა ტარიელმა გაუბედავად.

— არა, არა. მე აქ თვალდახუჭულიც ვივლი. დიდი მადლობა! — მიუგო ქალმა და რადგან სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, უკან დაიხია, გზა მისცა მანქანას.

ცხოვრებაში ხანდახან პატარა, უმნიშვნელო გარემოება ძირფესვიანად შესცვლის ხოლმე კაცის ბედ-იღბალს... ტარიელს რომ რამდენიმე ნაბიჯზე მაინც გაეცილებინა ანიკა, ისინი ერთად წააწყდებოდნენ იქვე, შუკის თავში მიგდებულ კაცს და ალბათ ანიკას ცხოვრებაში არაფერი ცვლილება არ მოხდებოდა, მაგრამ...

ანიკას უარით გულდაწყვეტილმა ტარიელმა ხმის ამოუღებლად დასძრა მანქანა ადგილიდან და გაუჩინარდა. ანგარიშმიუცემლად განაგრძობდა ტარიელი გზას, თითქოს თავს ატყუებდა, თითქოს ისევ ანიკასთან ერთად მიჰქროდა ქვეყნის დასასრულამდე....

ანიკამ კი იქვე, გზის პირას ფეხი რაღაცას წამოჰკრა და შეშინებული შეჩერდა. კვნესა მოესმა.

„მთვრალია? ვინ უნდა იყოს? ამ უბანში კი არა, მთელ ვარაზში არავინ მეგულება ისეთი, რომ მთვრალი გზაზე უგონოდ დაეცეს... რა სიცივეა, გაიყინება... ნეტა არ წასულიყო ტარიელი..."

კვნესა განმეორდა.

„იქნება მთვრალი არ არის?" — გაიფიქრა ანიკამ, დასძლია შიში, დაიხარა.

— ვინა ხართ, რა დაგემართათ?

პასუხად კვლავ სუსტი კვნესა მოესმა.

— მე მოგეხმარებით, წამოდექით! — გაამხნევა შეწუხებულმა ანიკამ უცნობი და შეეცადა წამოეყენებინა წაქცეული, მაგრამ მან ისე მწარედ დაიგმინა, რომ ანიკამ ხელი შეუშვა, წელში გასწორდა, შეშფოთებულმა მიმოიხედა.

ღამე უარესად ჩაშავებულიყო, არც ჩამიჩუმი ისმოდა.

„ვინ არის? რა დაემართა? რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ჩანს, შველა უნდა..."

ფიქრობდა ანიკა, და უცბათ გაახსენდა, რომ პალტოს ჯიბეში ასანთი ჰქონდა. ისევ დაიხარა, ქარს ზურგი შეაქცია და რამდენიმე ღერი ასანთი ერთად გაჰკრა. წამით აფარფატებულ ალზე ანიკამ უცნობის საყელო დაინახა და ხელები აუკანკალდა. ასანთის კოლოფი ტალახში დაუვარდა, ნელა გაიმართა წელში. უცნობს საყელოზე ტანკისტის ნიშნები ეკეთა. გონების თვალით ანიკამ კვლავ დაინახა სამი წლის წინ ფრონტიდან მიღებული პატარა, სამკუთხედად დაკეცილი წერილი. „...გამოვიყვანე მამათქვენი ცეცხლის ხაზიდან მითხრა, თქვენხელა ქალიშვილი მყავსო. მთხოვა წერილი მომეწერა და აი გწერთ ამ სამწუხარო ამბავს...“

ამ დროს უცნობმა კვლავ დაიკვნესა და ჩაჩუმდა, თითქოს აღარც სუნთქავდა.

„ჩემხელა ექთანმა გამოიყვანა მამაჩემი ცეცხლის ხაზიდან. ეს უცნობიც ხომ ვიღაცას მამა იქნება, ან შვილი... ღმერთო ჩემო, რაღას ვაყოვნებ?..“ — გაუწყრა ანიკა თავის თავს, სწრაფად მოიხსნა საწვიმარი, უცნობს გადააფარა, ხელჩანთა იქვე დააგდო და სირბილით დაადგა აღმართიან, გასიპულ ბილიკს.

— არა სძინავს დედას! — დაიძახა გახარებულმა, შორიდანვე რომ შენიშნა შუქი, სირბილს უმატა, გზა და გზა მეზობლების კარ-ფანჯრებს მიუკაკუნა...

იმ გვიან ღამეს მთელი ვარაზი შეიყარა პავლიას სახლში.

დახედავდნენ ქალები უგონოდ მყოფ, ფერდაკარგულ ჯარისკაცს და თავის დროზე თავისიანზე გამოუტირებელი დარდით გულდათუთქულნი ქვითინებდნენ.

— ვაი, რა შვილი უკვდება დედას?!

— რა ვაჟკაცს უბნელდება მზე?!

— დაუდგა თვალი შენს გამზრდელს!

ისმოდა აქეთ-იქიდან ცრემლიანი შეძახილები.

— დამაცათ! ვამსგავსებ თუ ნამდვილად შინდელი ფილიმონას ბიჭია?! — დაიძახა ერთმა თეთრწვერა მოხუცმა. ოთახში' თავმოყრილმა ხალხმა მიიწ-მოიწია, საწოლთან მისასვლელი გზა დაუთმო მოხუცს. ბერიკაცმა ქუდი მოიხადა, ფეხაკრებით მიუახლოვდა საწოლს, მომაკვდავს დააშტერდა. — ის არის, ის... სულნათელი ფილიმონა პირველი არტელის შეკვრას შეეწირა და, შვილსაც მამისეული საქმისათვის დაუდვია თავი... — სინანულით თუ მოწონებით თქვა ხმადაბლა.

— ფილიმონასი კი არა! — შეეკამათა ბერიკაცს შავთავშალწამოსხმული, გამხდარი დედაკაცი. — მე ვიცი, ეს კაცი ომამდე შოფრად დადიოდა. მუქთადაც რამდენჯერ ჩავუყვანივარ ლელიანში!

— ვიჰ! — გაიკვირვა ვიღაცამ, — ვითომ შოფერი თუ იყო, იმიტომ ფილიმონასი ვეღარ იქნებოდა?!

— დამაცათ, ხალხო, მე ვიცი! — დაიძახა დაბალდაბალმა, ჩოფურა კაცმა, — ვიგონე, ვიგონე, საიდან მეცნობა მეთქი და ძლივს მოვიგონე! ეგა, ნიკოს შვილია!..

— აბა, ნიკო?

— რომელი ნიკოსი? — მაშინვე შეეკითხნენ აქეთ-იქიდან ჩოფურას.

— მუხიანელი ხელაშვილისა. აი, მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე როა, იმისი!

— აბა, რას იძახი? — გამოეხმაურა მას კედელთან ნაღვლიანად ატუზული ფარაჯიანი კაცი. — იმას ორმოცდაოთხში მოუვიდა შვილის დაღუპვის ამბავი!

— ამბავი! იი, რამდენი მაგისთანა შეცდომა ხდება?! — იმედიანად თქვა ბერიკაცმა. — აი, ჩარექაანთი დაგავიწყდათ? ბიჭი საღსალამათი დაბრუნდა, ქორწილისათვის ემზადებოდა, როცა უწყება მიიღეს — დაიღუპაო!..

ამასობაში მომაკვდავს ექიმი მოჰგვარეს. მან გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, მერე მისი საბუთები გადაათვალიერა და თქვა:

— ადრე მიღებულ ჭრილობებს გაუხსნიათ პირი, მაგრამ ეგ კი არ არის საშიში... ბარძაყის ძვალი ჰქონია ნატყვიარი. როგორც სჩანს, მას ხელახლად

დაუზიანებია ყოფილი მოტეხილობა. უეცარ სასტიკ ტკივილს გამოუწვევია შოკი... საჭიროა ჯერ შოკის საწინააღმდეგო სასწრაფო ზომების მიღება და მერე თაბაშირი... ავადმყოფის დაძვრა ადგილიდან სახიფათოა...

ექიმმა ზედმეტი ხალხი დაითხოვა ოთახიდან და საქმეს შეუდგა. რადგან ექთანის დაძახების დრო აღარ იყო, ანიკას უბრძანა დახმარებოდა.

უგრძნობლად მყოფი ახალგაზრდის საბუთებიდან გამოირკვა, რომ დემობილიზებული ტანკისტი ზაქარია სიყმაშვილი ნამდვილად ფილიმონის შვილი იყო. მერე ისიც გამოირკვა, რომ ადრე დაობლებული ზაქრო მის ნათლიას, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკო ხელაშვილს წამოეყვანა გასაზრდელად. საკუთარ შვილზე არჩილზე და მის თანატოლ ზაქროზე ერთნაირმა ზრუნვამ დროის განმავლობაში დაავიწყა ხალხს რომელი იყო ნიკოს შვილი და რომელი შვილობილი. ეს გამოარკვიეს თუ არა ვარაზელებმა, მაშინვე მუხიანში ხელაშვილთან აფრინეს კაცი.

მერე ისიც გამოირკვა, რომ ომში დაჭრილი ტანკისტი სიკვდილს რაღაც განგებით გადარჩენოდა. სამამულო ომის გმირ მონაწილეთა შორის ფრიად გავრცელებული იყო ერთი მოვლენა, რაც ხშირად იწვევდა სამედიცინო პერსონალის აურ-ზაურს, — დაჭრილი მეომრის გაპარვა ჰოსპიტლიდან თავის ნაწილში, ბრძოლის ველზე დაბრუნება ჯერ ისევ განუკურნელებელი ჭრილობით. ზაქროც კარგად ყოფილა გამოცდილი ჰოსპიტლებიდან გაპარვაში, მაგრამ უკანასკნელად, ომის მიწურულს, ბერლინის მისადგომებთან დაჭრილი შუა-აზიის ერთ-ერთ ქალაქში მოსულიყო გონს. მკურნალობა გახანგრძლივებოდა. ბოლოს შებეზრებულს, თავისი სოფლის ჰაერს მონატრულებულს იმდენი უხვეწნია ექიმებისათვის, გამიშვით სახლში, რომ აუძულებია ისინი ცოტა ნაადრევად გაეწერათ ჰოსპიტლიდან.

წამოსულა დემობილიზებული ტანკისტი, გზაში იარები გახსნია, ნატყვიარიც ასტკივნია, მაგრამ კერპი და თავისნათქვამი, არ გატეხილა, არც არავისთვის გაუნდვია თავისი გაჭირვება. მატარებლიდან პლატფორმაზე გადმოსული ფეხით დასდგომია მუხიანის გზას იმ იმედით, რომ იქით მიმავალი რაიმე მანქანა წამოეწეოდა, მაგრამ იმ უკაცრიელ ღამეს არავინ შეხვედრია. ღონემიხდილს ვარაზში გათენება გადაეწყვიტა, მაგრამ გადასახვევთან სიბნელეში ფეხი დასცდენოდა და მწვავე ტკივილისაგან გულშეწუხებული დაცემულა.

და იმ წვიმიან, ცივ უკუნეთში იქ, იმ ადგილას იპოვნა ანიკამ.

მეორე დღეს ტარიელმაც შეიტყო მეგობრის დაბრუნება. ჩვეულებრივი მოკრძალება დასძლია, დაუბარებლად შეაღო ანიკას სახლის კარი. დახედა თავის თანშეზრდილს და ინანა, რომ აჩქარდა მის ნახვას. რა გაახარებდა, როცა ერთხელ გამოტირებული მეგობარი ისევ მომაკვდავი ნახა? დაღვრემილი დაჰყურებდა უგონოდ მყოფს, უხმოდ ეხვეწებოდა:

— გამაგრდი, ბიჭო, აქ მოსულს სიკვდილმა როგორღა უნდა გაჯობოსო...

მთელი ვარაზი ეხმარებოდა პავლიას ოჯახს ავადმყოფის მოვლაში.

მუხიანიდან ნიკო ხელაშვილს ცალი თვალი და ხელი შვილობილისკენ ჰქონდა.

შინდიანიდან ძღვენითა და ლოცვაკურთხევით მოსული მნახველები დღე და ღამე არ ილეოდნენ.

ლელიანიდანაც კი დაუბარებლად დადიოდნენ ექიმები.

მაგრამ ამბობდნენ და მართალიც იყო, რომ ზაქრო სიკვდილისაგან დედაშვილის შეუნელებელმა მოვლა-ზრუნვამ იხსნა.

ავადმყოფის მდგომარეობაში გარდატეხა უეცრად მოხდა, სწორედ მაშინ, როცა ამას არავინ არ მოელოდა. მთელი საღამო ბორგავდა ზაქრო, თაბაშირიდან, როგორც არტახებში გაკრული ბავშვი ისე ლამობდა თავის დაღწევას.

შფოთავდა, ფართოდ გახელილ თვალებში აზრი არ გამოუკრთოდა. დამსკდარ ტუჩებს მოუსვენრად ამოძრავებდა, ჩქარ-ჩქარა, განუწყვეტლივ რაღაცას ჩურჩულებდა, მაჯა ძლივს ისინჯებოდა. ექიმმა შუბლი შეიკრა, ტუჩის კუთხეები უსიამოვნოდ დაუშვა. ამაღამ კიდევ ვინახულებო, თქვა წასვლისას.

ღამე კი ავადმყოფს სიცხე გამოუნელდა. სუნთქვა დაუმშვიდდა, მიყუჩდა. ჩაიძინა. რამდენიმე საათის ძილის შემდეგ გონება ჩამდგარი თვალებით გამოიხედა, დაბეჯითებით შეათვალიერა ოთახში მყოფნი და ღიმილის მსგავსმა იერმა დაჰკრა სახეზე. სიკვდილთან ბრძოლის დღეებში მისმა გონებამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაინც აღბეჭდა ეს გარემო, ირგვლივ მყოფთა სახეებიც. თითქოს ძალიან დიდი ხნის ნაცნობი იყო აქ ყველა და ყველაფერი.

„ის ტარიელია... და ალბათ მე ტარიელის სახლში ვარ. ეს ახალგაზრდა ქალი მისი ცოლი იქნება... რა ნაზი და კეთილი ხელები აქვს ამ ქალს... რამდენჯერ აუხსნია ჩემი შუბლიდან მარწუხები... რა ბედნიერია ტარიელი... მეც სწორედ ასეთ ქალს ვითხოვ... რა კარგია, რომ ამათთან ვარ. ტარიელ, შე ყურუმსაღო, იცი როგორ მიხარიან, რომ შენთანა ვარ?..“ — ხმამაღლა ლაპარაკის თავი არა ჰქონდა, ეს გაიფიქრა და გაღიმებულს ისევ ჩაეძინა. ხელი ტარიელის ხელში შერჩა.

გაუნძრევლად იჯდა ტარიელი. ეშინოდა არ დაერღვია ზაქროს მშვიდი ძილი. ძნელი კი იყო გაუნძრევლად ჯდომა. სიხარულს მოძრაობა, ლაპარაკი, სიცილი უნდოდა. ძლივს იკავებდა თავს ტარიელი, ისევ უხმოდ დაჰყურებდა მეგობარს.

„ერთად გავიზარდეთ და ერთხელაც არ შემიმჩნევია ასე ლამაზი თუ იყო ეს ბიჭი... იღბლიანი კაცი ყოფილა. ამ დალოცვილ სახლში რომ არ მოხვედრილიყო, ვინ იცის რა დაემართებოდა, აქ კი... შენ გაიხარე, ანიკავ, მეგობარი სიკვდილს გადამირჩინე... გაიხარე, ანიკავ, ნეტა ქვეყანაზე თუ მოიძებნება შენი ცალი და ბადალი?.. რა გაუჭირდება შენთან მყოფს? სიკვდილსაც კი მოუგერიებ...“

ფიქრობდა ტარიელი და თითების ქვეშ ზაქროს სრულ მაჯისცემას გრძნობდა. უკვე ხედავდა ფეხზე დამდგარ მეგობარს, ჩვეულებრივად სიცოცხლით სავსეს, სწრაფსა და მუდამ რაღაცით გატაცებულს, ხედავდა ძველებურად მანქანებთან მოჩხირკედელავეს და უხაროდა. გაღიმებული დაჰყურებდა მეგობარს და უეცრად ტყვიასავით მძიმე და ცხელმა აზრმა გაუელვა:

„აქ დარჩება ზაქრო, თუ?..“

თითქოს მართლაც ტყვია მოხვდაო, ისე მოცელა ტარიელი ამ აზრმა. ანაზდეულად განაფიქრი თანდათან ჩამოყალიბდა: „წავა თუ დარჩება ზაქრო, სულ ერთია, მაინც ანიკასთან ერთად იქნებაო“. ეს დაიჯერა, როგორც სინამდვილე. მთელი სხეულით მოდუნებულმა, მარჯვენა ხელი მოჭრილივით მიანდო მწოლიარეს, თვითონ კი სკამზე შემოტრიალდა. ვერ მოითმინა, ანიკაც უნდა დაენახა.

ანიკა ტახტზე იჯდა. მრგვალ მაგიდაზე დაეყრდნო გადაჯვარედინებული მკლავები და სახე შიგ ჩაემალა. ტარიელის განძრევა არც შეუტყვია, თავისას ფიქრობდა.

საოცარი იყო. იმ სამახსოვრო შაბათ ღამიდან ანიკას წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ზაქრო ცოცხალი დარჩებოდა. უხაროდა, რომ ავადმყოფი უბრალო გაჭირვებას კი არა, დიდ საფრთხეს სძლევდა. რაც უფრო მაგრად მოკუმავდა ექიმი პირს, რაც უფრო უიმედოდ დაუშვებდა ტუჩის კუთხეებს, მით უფრო მტკიცედ სჯეროდა ანიკას ზაქროს გადარჩენა. და ამ საღამოს ანიკამ პირველმა დაინახა, კი არ დაინახა, იგრძნო ზაქროს გამარჯვება. ახლა თვალდახუჭული, გაუნძრევლად იჯდა, ფიქრით კი კვლავ უბრუნდებოდა იმ შაბათ ღამეს.

„თითქოს შვილია ჩემი. მე ვიპოვნე, გავზარდე... თაბაშირში, როგორც აკვანში მყავდა... ახლა ფეხს აიდგამს, მოღონიერდება, არწივივით გაშლის

ბიბლიოთეკა

ფრთებს და გაფრინდება სადღაც შორს, შორს... ჩემთვის მიუწვდომელ სივრცეში მოსძებნის თავის ტოლს და გაქრება ჩემი ცხოვრებიდან... სიზმარივით დამრჩება ეს ტანჯვანარევი სიხარულის დღეები... რამდენ ჰოსპიტალში ყოფილა, რამდენი პალატა გამოუცვლია... რამდენი მომვლელი ჰყოლია და... აქ მისი უკანასკნელი სავადმყოფო იყო. მეც მისი უკანასკნელი მომვლელი ვიყავი... ფეხს აიდგამს, აივსება ჯან-ღონით, გაშლის ფრთებს და... გაფრინდება...“

ასე გათენდა ის ღამე.

ანიკას დედამ გარედან გახსნა დარაბები, გააღო ფანჯრები. ოთახში ადრიანი გაზაფხულის სიო შემოიჭრა.

ავადმყოფს ეძინა. მის დამშვიდებულ სახეს ვარდისფერი დაჰკრავდა.

კარგადმყოფთა სახეები კი გატეხილი ღამის სევდიან ფიქრებს დაეჩრდილა...

ის იყო და ის. ზაქრომ სწრაფად დაიწყო გამოჯანსაღება. თითქოს ზამთრის სუსხით მისუსტებულ მიწას ეჯიბრებოდა, აბა ვინ უფრო მალე აივსება ჯან-ღონითო. ისე უხაროდა გამოკეთება, რომ მნახველს უნებურ ღიმილს გვრიდა, თანაც ნებიერი ბავშვივით მოითხოვდა ყველას ყურადღებასა და სიყვარულს.

დღითი-დღე უკეთ ხდებოდა ზაქრო და დღითი-დღე უფრო გვიან ბრუნდებოდა ანიკა სამუშაოდან შინ. იქნებ საქმე მოითხოვდა, რომ სახლიდან უთენია წასულიყო, როცა ჯერ ყველას ისევ ეძინა, და ისე გვიან დაბრუნებულიყო, როცა ყველას უკვე ეძინა, ვინ იცის? რამდენჯერაც შეეკითხა ზაქრო, სად ხარ, სად იკარგებიო, ისევ ანიკამ წყნარად უპასუხა: ბევრი სამუშაო მაქვს და თავს ვერ ვართმევო.

ერთხელ მთელი კვირა აღარ მოსულა ანიკა. გვიან ღამით დაბრუნებულს, ჭიშკართან ზაქრო დახვდა, ვითომ გზაზე რაღაცას ათვალიერებდა, ანიკას სულაც არ ელოდა.

— ტარიელი რა იქნა? — ჰკითხა ქალს მოგვიანებით.

— არ ვიცი. კარგა ხანია მეც არ მინახავს...

—დიდიხნის წინათ მომზადებული კითხვა ზაქროს ენის წვერზედვე შერჩა. ისეთი კდემამოსილი იდგა ქალი, და ამავე დროს ისეთი დამმორჩილებელი სიფაქიზე იყო მის პირდაპირ, წყნარ გამოხედვაში, რომ ვაჟს სიტყვა გაუწყდა. და აღარც იყო საჭირო კითხვა. იგრძნო ზაქრომ, რომ ის რაც თვითონ ამოიკითხა ტარიელის გულში, ანიკასათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სიხარულმა თითქოს ჰაერში აიტაცა. ვერ შეამჩნია, როგორ გამოიარეს ბაღი. ოთახში-და მოითქვა სული და უთხრა:

— მივდივარ.

— სად? — იკითხა ანიკამ და თავისი ხმა ვეღარ იცნო.

— ძია ნიკოსთან.

— როდის?

— დღეს ვაპირებდი, მაგრამ შენ ისევ გაიპარე დილას. მადლობა მაინც არ უნდა მეთქვა?

— მადლობა... რაზე?

— მართლაც და რა დიდი საქმეა ქუჩაში უპატრონო მომაკვდავი იპოვნო, სიკვდილს გადაარჩინო და...

— ნუ, ნუ, ზაქრო, ნუ იტყვით! — შეაწყვეტინა ანიკამ და გატრიალდა. „ნეტავი მთელი სიცოცხლე შენთან მამყოფა, რომ მოგიარო, შენზე ვიზრუნო, შემოგევლო და გეთაყვანო...“ გულში გაივლო, თუ ხმამაღლა თქვა ვერც იგრძნო, თავი დახარა და სწრაფად დასტოვა ოთახი, რომ მისი ნატვრა არავის გაეგონა, არც ამოეკითხა გულიდან.

წავიდა ზაქრო.

მთელი თვე არა იცოდა რა მისი ანიკამ. უკვირდა, რა უნიათო და უგემური იყო სიცოცხლე. დილით ადგომა ეზარებოდა. საქმეს გულისა და გონების გარეშე, კარგად აწყობილი მანქანასავით აკეთებდა.

მაისობამ მოატანა.

ვარაზში ვარდი და იასამანი ჰყვაოდა. ერთადერთ განიერ ქუჩაზე ბავშვები საპირველმაისო ალმებს დააფრიალებდნენ. გოგონები სიცილ-კისკისით გაურ-

ბოდნენ დაირიან და ჩონგურიან ბიჭებს. აქეთ სიმღერა იყო, იქით ფერხული. ზოგან ხმაურით ერთმანეთს შაირში ეჯიბრებოდნენ, ზოგან უენოდ, თვალებით ლაპარაკობდნენ.

ვარაზის მოპირდაპირედ აზიდულ მთის წვერიდან პატარა ღრუბელი წამოვიდა. მზიან დღეს, მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის პატარა ნაფლეთი არც არავის შეუმჩნევია. თითქოს იწყინაო, ღრუბელი გაბრაზებული ჩაშავდა, მოულოდნელ ღვართქაფად დაასკდა თავს გამხიარულებულ ვარაზს. თვალის დახამხამებაზე დაცარიელდა ქუჩა. დიდმა და პატარამ ჟივილ-ხივილით მიაშურა თავშესაფარს.

ლელიანის დემონსტრაციიდან ბრუნდებოდა შინ ანიკა. თითქოს არც უგრძვნია წვიმა. თავით ფეხამდე დასველებული ნელა მიდიოდა. ნელა გადაუხვია შუკას და იქ შეჩერდა, სადაც ამ რამდენიმე თვის წინ იპოვნა მომაკვდავი ზაქრო.

„გაშალა ფრთები... გადაიარა მთები... გაფრინდა, წავიდა, არ ვიცი სად..." — უკვნესოდა გული და ფეხს ველარ სძრავდა ადგილიდან.

მოჩვენება ეგონა, სიზმარი ეგონა, როცა მოულოდნელად ზაქრო წა'მოადგა თავს, მაღალი, მხრებგაშლილი, ხმაურიანი.

— ანიკა, გილოცავ პირველ მაისს!

— მეც... — დაება ენა ანიკას.

— შენ სხვა რამეც უნდა მომილოცო! რაიკომის ინსტრუქტორად დამნიშნეს!

— გილოცავთ... — ამოაყოლა სუნთქვას ანიკამ და ნელა ასწია თავი. — კმაყოფილი ხართ?

— ძალიან! მაგრამ, ანიკა, ხომ იცი მე რა ხარბი ვარ. კმაყოფილება ცოტაა ჩემთვის. მე ბედნიერება მინდა! — შესცინა ზაქრომ მაისის ფოთოლივით მწვანე თვალებით.

— ღმერთმა გაგაბედნიეროს... — შეეცადა ანიკა ეხუმრა, რომ უცნაური სისუსტე დაეძლია.

— ღმერთმა კი არა! — გაიცინა ზაქრომ, მერე უცებ გასწყვიტა სიცილი და ჩამუქებული თვალებით დააშტერდა ქალის გაფითრებულ სახეს. — დედაშენი თანახმაა, თუ შენ... შენ წამოხვალ ჩემთან?

— შენთან! — უნდოდა ეთქვა ანიკას, მაგრამ ველარა თქვა, რაღაცამ წაუჭირა ყელში, შეანჯღრია, შეატორტმანა. წელზე ზაქროს ღონიერი მკლავი იგრძნო და ღონემიხდილი მიენდო მის განიერ მკერდს...

ჯერ ისევ წვიმდა, მაგრამ ვარაზის ბოლოს ცას ცისარტყელა გაეკრა.

და სიხარული უთვალავ პატარ-პატარა ცისარტყელებათ მოედო მთელ ცას...

## სიხარული

თუ შეიძლება მზიანს ჩრდილი არ სდევდეს, თუ შეიძლება ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდეს, თუ შეიძლება, რომ ქვეყნად უდიდესი ჭურჭელი — ადამიანის გული აივსოს, სავსე იყო ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გული ნეტარებით, საზღვარი არ უჩანდა მათ ბედნიერებას, დაუჩრდილავი იყო მათი სიხარული.

აქა-იქ ლექსებიც კი გამოითქვა ფრონტელ ზაქროს გმირობაზე და ანიკაზე, რომელმაც მომაკვდავი საბედო სიკვდილს გამოსტაცა ბრჭყალებიდან.

ერთი შეხედვით თითქოს მიუკარებელი ანიკა ძნელად უახლოვდებოდა ადამიანს, თუმცა წყნარი და თავაზიანი ის დიდისა და პატარის უნებურ პატივისცემას იმსახურებდა. თამამი და მხიარული ზაქრო კი გაცნობისთანავე მეგობრად მიაჩნდა ყველას. ზაქროს გარეგნობაც უწყობდა ხელს. სილამაზისადმი ხომ ძვირად თუ დარჩეს ვინმე გულგრილი, ძალა აქვს ისეთი — თვალსა და გულს ახარებს, იზიდავს თავისკენ. ამიტომ ყველას უხაროდა ზაქროს დანახვა, მასთან დალაპარაკება.

საქმესაც იოლად და ლამაზად ასდიოდა ზაქრო. იქნებ ეს იყო მიზეზი, რომ მან თავიდანვე მოინადირა ლელიანის რაიკომის მდივნის გედეონ ვარამაძის გული. ყველას ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ვარამაძე ხელს უწყობდა ზაქროს. ისიც ბუნებრივი იყო, რომ ვარამაძე მფარველობდა ზაქროს, ცდილობდა მის დაწინაურებას. განა ეს რაიონული კომიტეტის მდივნის კარგ ხელმძღვანელობას და გულისხმიერებას არ მოწმობდა?

უკვე წელიწადზე მეტს მუშაობდა ზაქრო რაიკომის ინსტრუქტორად, როცა თავიანთი თავმჯდომარის იორამ ბაბუციძის არაკეთილსინდისიერი მუშაობით აღშფოთებულმა შინდელმა კოლმეურნეებმა საჩივრით მიმართეს რაიკომის მდივანს.

ვარამაძემ კარგად იცოდა იმ კოლმეურნეობის მდგომარეობა. მან განსაკუთრებული ყურადღებით მოუსმინა სოფლის თავკაცებს და ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა.

როცა დაიმედებული და კმაყოფილი შინდელები წავიდნენ, რაიკომის მდივანმა კაბინეტში მყოფი თანამშრომლები შეათვალიერა, ხმაურით გასწია სავარძელი და წამოდგა.

— რას იტყვით, ამხანაგებო, ბაბუციძის ნაცვლად შინდელებმა სიყმაწვილე რომ აირჩიონ, ივარგებს?

თანამშრომლებმა მოიწონეს ვარამაძის აზრი. ახალგაზრდა ინსტრუქტორის დაწინაურებას ყველა მიესალმა. საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონოდა, ან რა მნიშვნელობა ექნებოდა სხვა მოსაზრებას? სჩანდა პირველ მდივანს ეს უკვე გადაეწყვიტა და ახლა მათ კი არ ეკითხებოდა, არამედ თავის გადაწყვეტილებას ადასტურებდა.

მეორე დღეს, ვარამაძესთან ლაპარაკის შემდეგ, გახარებულმა ზაქრომ მუხიანისკენ გასწია ნათლიას სანახავად.

— ძია ნიკო! — ხმაურით შეაღო მან ხელაშვილის კაბინეტის კარი. — იცი, რა უნდა გახარო?

ნიკო ღიმილით შეეგება სახეგაბრწყინებულ შვილობილს, მაგრამ მისი მოტანილი ამბავი რომ [illegible], შეფიქრიანდა.

ზაქროს ეწყინა, რომ ნიკომ მისი სიხარული არ გაიზიარა, გაოცდა, მაგრამ ჩაფიქრებულ მამობილს სიტყვა ვერ შეჰკადრა, თუმცა მოუთმენლობის დაფარვა მეტად გაუჭირდა.

ნიკომ იცოდა, რომ თავმომწონე ზაქროს ნებიერი ბავშვის ზნე ჰქონდა, ყველაფერს ახალს ხალისით ეპოტინებოდა, გულისყურით მოსინჯავდა, მაგრამ გაეცნობოდა თუ არა, გაგრილდებოდა, მიაგდებდა, მიივიწყებდა ხოლმე. იცოდა ნიკომ, რომ ზაქროს ბავშვობიდანვე გამოყოლილი ერთადერთი მუდმივი ლტოლვა ჰქონდა — მანქანების სიყვარული. ნიკომ თავის ეზოში სახელოსნოს მსგავსი ოთახიც კი აუშენა პატარა ზაქროს და არჩილს. მათთან განუყრელი ტარიელიც მთელ თავისუფალ დროს იმ ოთახში ატარებდა, მაგრამ ზაქროს იქიდან დასაძინებლად გამოყვანაც კი გაჭირდებოდა ხოლმე.

უხაროდა ნიკოს, რომ ეს ბავშვური გატაცება სიჭაბუკეში კიდევ უფრო გაუძლიერდა ზაქროს. ხშირად ის რაღაც მოშლილ მექანიზმს გამოსძებნიდა, ღამეებს დაათენებდა, კერპად მოკუმული ტუჩებით ჩაჰკირკიტებდა, საჭირო დეტალსაც კი თვითონვე გამოჩარხავდა. რაც უფრო რთული და გაუგებარი იყო მექანიზმი, მით უფრო დაჟინებით, შეუნელებელი გულისყურით ეკიდებოდა, არ მოისვენებდა, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, მოშლილ მექანიზმს არ ააწყობდა. სკოლა დაამთავრა თუ არა, ზაქრომ სატვირთო მანქანებზე დაიწყო მუშაობა და მალე კარგი მძღოლის სახელიც დაიმსახურა. ეს სიყვარული ომშიც გამოადგა ზაქროს. ჯარში გაწვევისთანავე სატანკო კურსები დაამთავრა და ახალგაზრდა ტანკისტმა არა ერთი ჯილდოც მიიღო ფრონტზე.

ნიკო დარწმუნებული იყო, რომ ომის დამთავრების შემდეგ, ზაქრო საბოლოოდ თავის საყვარელ საქმეს მოეკიდებოდა, ხშირად ფიქრობდა რა იყო

საჭირო იმისათვის, რომ ზაქროს ნიჭსა და ლტოლვას გასაქანი მისცემოდა. როგორ უხაროდა ნიკოს, როცა ხედავდა, რომ ზაქროს ანიკაც უმართავდა ხელს ამ საქმეში, უმარჯვებდა საჭირო ტექნიკურ ლიტერატურას, ეხმარებოდა ნაცნობ-უცნობ მანქანათმშენებლებთან და მექანიზატორებთან კავშირის დამყარებაში.

„...კოლმეურნეობის თავმჯდომარე! — ფიქრობდა ნიკო, — ესმის ამ ბიჭს რა ვალდებულებას კისრულობს? გულფიცხი და აჩქარებული შესძლებს გაართვას თავი კოლმეურნეობის მართვას? მერე როგორი კოლმეურნეობის?! იმ ღმერთგამწყრალმა იორამ ბაბუციძემ რაც დატოვა მე კარგად ვიცი. შინდაში საქმის გამოსწორებას დიდი გამოცდილება და გუმანი უნდა. შესძლებს ეს გულსწრაფი ბიჭი იმ მეურნეობის ფეხზე წამოყენებას? ეყოფა მოთმინება, რომ შინდელების დაჩაგრული გული გაახაროს? ნამდვილად უყვარს ვარამაძეს ზაქრო, თუ?.. დაეხმარება? იმ დალოცვილს, ერთი ეთქვა მაინც ზაქროს მტერი ხომ არც მე ვარ, მაგრამ „ვარამაძე... ეეჰ“.

ნიკომ ოხვრა შეიკავა, ნელა ასწია თავი და შვილობილი შეათვალიერა.

— ეგ კარგია, შვილო, სხვასაც უგრძვნია, რომ უფრო დიდი საქმისათვის გაზრდილხარ. გულს უნდა მოგილოცოს, მაგრამ... გონება არ ეთანხმება.

— რადა? — სწრაფად იკითხა უფრო განაწყენებულმა და უფრო გაოცებულმა ზაქრომ.

ნიკომ ხელი დაადო ზაქროს მხარზე და თითქოს დაყვავებით, თბილად უთხრა:

— მართალია, არც სოფელი და არც გლეხკაცის საქმიანობა უცხო არ არის შენთვის, მაგრამ კოლმეურნეობის მოვლა სხვა ხასიათსა და მიდგომას, სხვა მოთმინებას და ძალას მოითხოვს ადამიანისაგან...

— ო ძია ნიკო! — შეაწყვეტინა უცებ ისევ გახარებულმა ზაქრომ. — მე მეგონა შენ მართლა მიზეზი გქონდა! შენ გვერდით არ მეყოლები? შენ რჩევა-დარიგებას ნუ მომაკლებ და მე მალე ვისწავლი კოლმეურნეობის მოვლა-პატრონობას! ხასიათიო?.. აი, ეგ კი ახალი ამბავია!

ახლა თვითონ მოჰხვია მხრებზე ხელები ნიკოს და ბავშვივით თვალებში შესციცინა.

— შენგან არასდროს არ გამიგონია, რომ მე ცუდი ხასიათი მაქვს...

— არც სხვისგან გაგიგონია? — უნებურად გაეღიმა ნიკოს.

ზაქრომ ოთახში გაიარ-გამოიარა, განიერ მკერდზე ხელის გულები ჩამოისვა და ისევ ნიკოს წინ გაჩერდა, თვალი გაუსწორა.

— არა. პატარა რაღაც ნაკლი აღუნიშნიათ, მაგრამ ცუდი ხარო, ეს კი არავისგან არ გამიგონია. განა შენ მაგის თქმა გინდოდა?

— არა.

— არა და სხვა ნურაფრისა ნუ გეფიქრება, ჩემო ძია ნიკო! — ხვეწნით უთხრა ზაქრომ და რაც სხვა დროს არ გაუბედია, ახლა მომავალი საქმიანობით გატაცებულმა, იმედებით აღსავსემ, სათქმელი აღარ აცალა, ხმაურით დასტოვა მამობილი, კარიდანღა დაუძახა: — დეიდა ეკატერინე მომიკითხე, ძია ნიკო, და პატარები დამიკოცნე, მალე ვინახულებ!

ახლა ვარაზში ეჩქარებოდა ზაქროს, ანიკასთან მიიჩქაროდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, შინდელ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ვარამაძემ სასტიკად დაჰგმო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, და როცა კოლმეურნეებმა ბაბუციძის განთავისუფლება მოითხოვეს, მან თავმჯდომარედ ზაქრო სიყმაშვილის კანდიდატურა დაასახელა. თანაც ვრცელი და კარგი დახასიათება მისცა მას.

ერთხმად და სიხარულით აირჩიეს შინდელებმა ზაქრო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მათ იმედს და სიხარულს საკმაო საფუძველი ჰქონდა. რომელი მოხუცი არ იცნობდა იმ მხარეში

პირველი არტელის დამაარსებელ ფილიმონა სიყმაშვილს — ზაქროს მამას, რომელიც გაღმა ჭიან-ტყეში მოჰკლეს კულაკებმა. ვინ არ იცოდა ეს ამბავი? რომელი იყო, რომ ჭირში თუ ლხინში ფილიმონას ნათელ სახელს არ მოიხსენიებდა? უყვარდათ ფილიმონას შვილიც. გულით ეწადათ მემკვიდრის დაბრუნება მამის უკაცრიელ ნასახლარზე. ბავშვობიდანვე იცნობდნენ ზაქროს. ახსოვდათ მოჩხუბარი, მოუსვენარი, სიმართლისათვის თავგამოდებული ბიჭი.

ერთ გარემოებასაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომელსაც შინდელებმა გაუწიეს ანგარიში. ფილიმონას სიკვდილის შემდეგ ზაქრო მისმა ნათლიამ, ნიკო ხელაშვილმა წამოიყვანა მეზობელ სოფელ მუხიანში. ოდესღაც ღარიბი და ჩამორჩენილი მუხიანის კოლმეურნეობა სწორედ ამ ნიკო ხელაშვილის ხელმძღვანელობით იქცა მილიონერ კოლმეურნეობად. განა შეიძლებოდა ნიკოს გაზრდილი ურიგო კაცი ყოფილიყო? და რომ ნიკომ შვილობილიც, საკუთარი შვილების მსგავსად სწორ გზაზე დააყენა, ამას ამტკიცებდა ქაბუკი ზაქროს ომამდელი საქმიანობა და სამამულო ომში მისი ვაჟკაცობა.

ყველაფერზე იმსჯელეს შინდელებმა და ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ზაქრო ნამდვილად იყო მათი ნდობის ღირსი. ამიტომ რაიკომის მდივნის წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ანიკაც ესწრებოდა შინდელების კრებას. თუმცა უცნობი ხალხის ერიდებოდა, უცნობ კოლმეურნეთა საარჩევნო კრებაზე დასწრება ეუხერხულებოდა, მაგრამ ზაქრომ სთხოვა, წამოდიო და ქმარს ხათრი არ გაუტეხა. წამოვიდა, რადგან იცოდა, როგორ ღელავდა ზაქრო. სულ ბოლო მერხზე მორიდებით მჯდომი, შორიდან ღიმილით ამხნევებდა, თან თვითონაც გული სიამაყით ევსებოდა, ხალხი იმდენ კარგს რომ ლაპარაკობდა ზაქროზე. უხაროდა, თუმცა იმ კრებაზე ანიკასათვის რომ ეკითხათ...

ქმრისადმი სიყვარული თვალს კი არ უხვევდა ანიკას, პირიქით, სიყვარულმა ასწავლა ქმრის გულში და გონებაში ისეთი მცირე ანაბეჭდის წაკითხვაც კი, რომელიც თვით ზაქროსთვისაც შეუმჩნეველი იყო.

იჯდა ანიკა შინდელ კოლმეურნეთა კრებაზე, უხაროდა, ამდენ კარგს რომ ისმენდა ქმრის შესახებ, მაგრამ ხანგამოშვებით შიში გაჰკაწრავდა ხოლმე, ვაიიუ ზაქრომ კოლმეურნეობის მართვას გული ვერ დაუდოსო.

მაგრამ ანიკაც ხომ ახალგაზრდა იყო? მისთვისაც ხომ სასიხარულო იყო ქმრის წარმატება?! მორიდებით იჯდა უკანასკნელ მერხზე და იგონებდა, როგორი გატაცებით, რა ცხარედ არწმუნებდა ზაქრო — ნახავ რა კარგად მოვუვლი მეურნეობას, როგორ ვიმუშავებო. გრძნობდა ანიკა, რომ ზაქროს დიდი საქმიანობა იტაცებდა და თავის თავს ტუქსავდა იმ გაუმართლებელი რაღაც შიშის გამო.

არჩევნების შემდეგ ზაქრო და ანიკა შინდაში დასახლდნენ შამბით და ეკლით დაფარულ, აქამდე თავმინებებულ ფილიმონასეულ სახლ-კარში.

უხაროდა ზაქროს, რომ მუხიანის მეზობლად, ძია ნიკოს გვერდით მოუხდა დასახლება და მუშაობა.

უხაროდა ანიკას. თუმცა ვარაზი და დედულეთი შორს დარჩა, მაგრამ საკუთარ ოჯახს მოეკიდა.

უხაროდათ შინდელებს, რომ თავისი გუნების თავმჯდომარე აირჩიეს...

## „ერთი პატარა მანანა...“

ზაქრო მართლაც გაიტაცა ახალმა საქმიანობამ. დღითი-დღე იზრდებოდა სიყვარული, ნდობა და პატივისცემა ზაქროსა და შინდელებს შორის. როგორც მას სჩვევოდა, უბრალოდა და ძალდაუტანებლად დაამყარა ზაქრომ საუკეთესო ურთიერთობა კოლმეურნეებთან. არავის არ აწყენინებდა. ხან-

დახან მისი მოქმედება ვერც ეტეოდა კანონის ჩარჩოში, მაგრამ თხოვნით მოსულ კოლმეურნეს არ გააწბილებდა. თუკი თხოვნა აშკარად პირადული იყო, ან კოლმეურნეობისათვის საზიანო, მაშინ ისეთი მომხიბვლელი ღიმილით, ისეთი მეგობრული სიტყვით ეტყოდა უარს, რომ კაცი წყენას ვერ იგრძნობდა. თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელსაც არ მოისვამდნენ. თავისი არჩევანით კმაყოფილი კოლექტივი თავმჯდომარის საიმედო საყრდენი იყო.

ამ საერთო სიყვარულით გალაღებული ზაქროც კოლექტივისათვის ზრუნვაში ვაჟკაცდებოდა დღითიდღე. მისი ოქროსფერი ულაყი „გორდა“ ხან ზვრებთან გაჩნდებოდა, ხან მეზობლების კარ-მიდამოსთან, ხან ფერმასთან, ხან სათბურებთან, მაგრამ ყველაზე უფრო მინდორში ყოფნა უყვარდა ზაქროს.

სიკვდილამდის ვერ დაივიწყებს ზაქრო თავის პირველ მისვლას მინდორში. ვერ დაივიწყებს მაშინ იქ განცდილ სიხარულს...

მკათათვე იყო. ირგვლივ ყანებში კომბაინები შეჭრილიყვნენ.

ფართო შარაზე ნელა მიჰყავდა ზაქროს გორდა. ხანგამოშვებით გზის პირას შეაჩერებდა ცხენს და უთვალთვალებდა მანქანებს. გონების თვალით მიჰყვებოდა თვითეულ ხედერს, თვალხილულივით რომ სჭრიდა მარცვლით დამძიმებულ თავთავს და აგზავნიდა მანქანის გაუმაძღარ სტომაქში. მოჯადოებულივით უყურებდა ზაქრო ბუნკერიდან ნაზი შარი-შურით წამოსულ, მზეზე მოლაპლაპე ხორბალს.

გულს საამოდ უჩქროლებდა ეს სანახაობა. წინათაც, ომამდეც უყვარდა სამკალში ყოფნა, მაგრამ მაშინ სატვირთო მანქანის შოფერი იყო, კალოებიდან საწყობში გადაჰქონდა ხორბალი. ხანდახან, ვიდრე მანქანას ტვირთავდნენ, ორიოდე წუთით ანდობდა ხოლმე კომბაინერი საჭეს, ახლა კი?.. როგორ დაიტიოს გულმა ამდენი სიხარული?

ზაქრომ თემშარა მიატოვა, თავისი კოლმეურნეობის ყანებისაკენ მიმავალ გზაზე გადაუხვია. გზიდან ხელმარცხნივ მთა-გორიანზე განლაგებული ყანები შინდელებისა იყო. მარჯვნით კი მეზობლების — მუხიანელების თვალუწვდენელი ყანები გადაჭიმულიყვნენ. აქაიქ შავად მოჩანდა ანეული. მეზობლების უხვ მოსავალს კომბაინები იღებდნენ. შინდელებსაც კარგად ემუშავათ, ყანები არ დაიწუნებოდა, მაგრამ სამკალზე ქალიან-კაციანად გამოსულიყვნენ. წელში მოხრილნი, ნელა მისდევდნენ ოღრო-ჩოღროზე ამოსულ თავთავებს. გოგო-ბიჭები ყურთასმენის წამღებ ჟრიამულით აგულიანებდნენ კევრში შებმულ დაჯანდაგებულ ცხენს.

ზაქროს თითქოს არც საზღვარი შეუმჩნევია: ორ მეზობელ კოლმეურნეობას შორის, არც მათი ყანების საოცარი განსხვავება. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა, რა იყო დღევანდლამდის? სიხარულს სიხარული მიემატა. ახლა მისგან იყო დამოკიდებული, რომ ეს საკვირველი მანქანები შინდელების ყანებშიც ამუშავებულიყვნენ!

— ჩვენთანაც ასე იქნება! — დაიძახა ხმამაღლა, ცხენს სადავე ღონივრად დასწია, დეზი ჰკრა და მოსწყვიტა ადგილს.

უცბად იქვე, გზის გადაღმა, ხშირ თავთავებიდან ხოხობი აფრინდა. ზაქრომ ანგარიშმიუცემლად შეაჩერა ცხენი, ჯიბიდან რევოლვერი იძრო და ესროლა.

ჭრელი ბორბალივით შეტრიალდა ჰაერში დაჭრილი ხოხობი, აელვარდა მზეზე და ძირს წამოვიდა, მაგრამ მიწამდე ველარ მიაწია. ქროლვით წამოსული ზაქრო წამოეწია და უნაგირიდან გადმოწოლილმა ხელში აიტაცა.

ფართხალებდა სასიკვდილოდ დაჭრილი ჭრელი ხოხობი.

ყელმოღერებული მიჰქროდა გორდა.

ღიმილი უნათებდა თავმომწონე მხედარს. ვერ შენიშნა, როგორ გაიქროლა გზა. ეგონა, თვითონ კი არ უახლოვდებოდა ყანებს. არამედ გუგუნით, ჟრია-

მულით, მანქანების ხმაურით ეგებებოდნენ მას მომიჯნე კოლმეურნეთა ყანები.

— ეჰეიი, ვინ არის მორიგე? სადილობის დროა! — დაიძახა ვიღაცამ მუხიანელების კალოზე.

სალეწ მანქანაზე ასულმა თექვსმეტჩვიდმეტი წლის გოგონამ თვალები მოიჩრდილა, მზეს შეხედა, მერე მსუბუქად გადმოხტა კიბიდან. იქვე იფნის ჩრდილში მთვლემარე სახედარი წამოაყენა, სწრაფად შეაბა მსუბუქ ორთვალაში და სირბილ-სირბილით გააქანა სახელდახელოდ აგებულ საველე სამზარეულოსთან.

ცალთვალა მზარეულმა ოტიამ ღიღინით ახადა ორთვალაზე შედგმულ სკივრის მსგავს ყუთს თავი. შიგ ჩადგმული ორი მომინანქრებული ქვაბი ამოიღო, მდუღარე წყალი გამოავლო, გაამშრალა და ისევ ჩადგა ქეჩით შემომრგვალებულ ბუდეში. მერე ულვაშები აიგრიხა, თეთრი წინსაფარი შეისწორა და გოგონას გახედა. გოგონას პატარა დავთარი გადაეშალა, შიგ გულდაგულ რაღაცას აღნიშნავდა. ოტია მიხვდა, რომ გოგონა თავთავების აკრეფაზე გამოსული გოგო-ბიჭების ნამუშევარს აჯამებდა, ჩაეცინა. წარმოიდგინა, რა დავიდარაბას აუტეხდა გოგონა ბრიგადირს, თუ ის განიზრახავდა ამ ანგარიშის შეცვლას.

„ყველა თავის საქმეს ეძალება...“ — ჩაიღიღინა ოტიამ. ჩვეულება ჰქონდა ასეთი. ღიღინით ფიქრი უყვარდა. ღიღინითვე მოიმარჯვა ერთ ხელში ჩამჩა, მეორეში ქაფქირი და ქურაზე შედგმულ ვეებერთელა სპილენძის ქვაბებს მოხადა ხუფი. ორივე ხელს ერთნაირი სისწრაფით და სიმარჯვით ამუშავებდა. მარჯვენა ხელით ორთვალაში ჩადგმულ ერთ ქვაბში წვენს ასხამდა, მარცხენით — მეორე ქვაბში ბოლლამა გადმოჰქონდა.

გოგონამ დავთარი დაკეცა და ქურას გახედა.

გავარვარებულ ნაღვერდლების ალზე, ქაფქაფა საჭმლის ოშხივარში გახვეული ოტია, ჩამჩითა და ქაფქირით ხელში, ჰინკასავით ტრიალებდა. გოგონას მოეწონა თავისი საქმით გატაცებული მზარეული და ხმამაღლა გაეცინა.

— მზად არის, ძია ოტია?

— მზად არის, ლამაზო, შენ აქ გასადილო, თუ...

— არა, არა! — შეაწყვეტინა გოგონამ. — მე ისედაც დავიგვიანე. ხედავ, მზე სად წამოსულა, ძია ოტია? საცოდავ ავთოს გული წაუვა შიმშილისაგან!

— კეთილი. მაშ ესეც შენი წილი! — ჩაიღიღინა ოტიამ, გაავსო ქვაბები და ხუფები დაახურა.

გოგონამ სახედარს ქეჩოში სტაცა ხელი და შორეულ კარავისაკენ შეატრიალა.

— აბა, ჩემო ქუჟუ, იარე! ასე პირდაპირ იარე, როგორც გასწავლე, გესმის?

სახედარმა ნამიანი თვალებით შეხედა გოგონას, ყურები შეათამაშა და დინჯად დაადგა ნაჩვენებ გზას.

გოგონამ სიცილით დაჰკრა ხელი ხელს.

— აი, ძია ოტია, ვიძახი, ჩვენი ქუჟუ საოცრად ჭკვიანია-მეთქი, თქვენ კი არა გჯერათ! ხედავ, როგორი გამგონეა?

— ეგ მარტო შენ გიგონებს. აბა მე მეთქვა, თუ ადგილიდან დაიძვრებოდა?! არა, ქუჟუს დარქმევა რაღა უბედურებაა? ეგ რამ მოგაფიქრებინა? ვირი და ქუჟუ, საიდან სადაო?

— ძალიან უხდება ეს სახელი! ხედავ, რა კოხტად მიდის? ნახვამდის, ძია ოტია! — დაიძახა გოგონამ და გაეკიდა უკვე შორს წასულ სახედარს.

— წერა-კითხვაც რომ ასწავლო, შენგან არც ეგ გამიკვირდება, — ჩაიღიღინა ისევ ოტიამ და ახლა სხვა ბრიგადებში გასაგზავნი სადილის თადარიგს შეუდგა.

ნელა მიგორავდა ორთვალა. ტანის მსუბუქი რხევით, თითქოს ცეკვით მისდევდა ორთვალას წვრილი, ყელმაღალი გოგონა. მწიფე უნაბისფერი თვალებით გაჰყურებდა თავთავებით დამძიმებულ ყანას და სიხარულს ველარ

იკავებდა, რაღაც უსიტყვოდ, მხიარულს მიიმღეროდა.

მექანიზატორების კარავთან ქუჟუ გაჩერდა. ამას იქით ვერც ხვეწნა, ვერც მუქარა ველარ გადაადგმევინებდა სახედარს ვერც ერთ ნაბიჯს.

— უჭკუოაო, შენზე რომ იტყვიან ხოლმე, ჩემო ქუჟუ, როგორ დავეთანხმო? — ელაპარაკებოდა გოგონა სახედარს და თან აკაზმულობას ხსნიდა. — ცილსა გწამებენ, შე საწყალო. დიდი ჭკვიანი ხარ, თორემ რაღა მაინცდამაინც ამ ადგილას გაჩერდები ხოლმე? ჯიუტი კი რომ ხარ, ჩემო ჩოკინა, ეგ რა შენი ბრალია? ჯიში მოგდგამს ასეთი... რას მიყურებ? სულაც არ გიწყრები.. შენ ნამდვილი ქუჟუ ხარ, ჩემო ლამაზო, აჰა, ისეირნე. შორს კი არსად წახვიდე, თორემ!..

გოგონამ ხის გრძელი მაგიდა გადაწმინდა, კარავიდან გამოტანილი სუფთა სუფრა გადააფარა, ზედ შოთები, ყველი, მწვანილი, ხელადით ღვინო დაალაგა. ჭრელი ჯამები და კოვზები გადაწმინდა, ჩამოარიგა. თან ლაპარაკობდა:

— ეს დედისერთა ტარიელს. ეს კნიაზ-კოტეს. ეს ძილისგუდა გაბოს. ეს დიდი ჯამი ლორმუცელა ავთანდილს, ეს ყარაჩ-მიხას და ესეც მე!.. ექვსი გამოვიდა, რათა? ვიღაცა მაკლია... უი, სიკვდილსაც დაჰვიწყებია, სანდრო დამავიწყდა! ნეტა „ქვეშქვეშას“ რათ ეძახიან? ალბათ იმიტომ, რომ სულ შუბლქვეშიდან იყურება, არც სიცილი უყვარს. გეგონება ქვეყნის ვალი კისერზე აწევსო, კისერიც იმიტომა აქვს მხრებში ჩავარდნილი. ეჰ, რას იზამ, მართალია, მე არ მომწონს, მაგრამ სანდრო მაინც კარგი ტრაქტორისტია და სადილიც ეკუთვნის. ეს ჯამიც იმას...

გოგონამ გაშლილი მაგიდა შეათვალიერა, მერე ტუჩებთან ხელები მოიმრგვალა და ველს გასძახა:

— ეჰეიი, ბიჭებო-ო, ჯერი მოგიტანეთ, ჯერი! მარჯვედ იარეთ გაცივდება კერძი. ჩქარა-ა!..

დაიძახა და მერე კარავის წინ, ბოძზე დაკიდებულ სპილენძის ზართან შეირბინა, თოკს მისწვდა, უნდა დაერეკა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ გოგო-ბიჭები და მისი ამხანაგებიც გზისკენ გარბოდნენ.

გოგონამ გზას გახედა. ვიღაცა მოაქროლებდა ცხენს. ზარს თავი მიანება და მოძრაობის ხალისმოჰარბებული გაქცეულებს გაეკიდა.

მალე ყველას გაასწრო. მიჰქროდა ფეხმარდი, ტანწვრილი, ყელმაღალი გოგონა. უკან ჩამორჩენილებს უნდოდათ დაეჭირათ მისი ნახევრად დაშლილი, ნიავისაგან აფარფატებული ნაწნავები, მაგრამ გოგონა დაუსხლტა, გზისპირა თხრილზე მსუბუქად გადახტა, კინაღამ გაოფლიანებული ცხენის ქვეშ მოექცა.

შეშინებულმა გოგონებმა დაიკივლეს.

ზაქრომ სწრაფად დასწია სადავე. გორდამ თეთრი ქათქათა მკერდი შეათამაშა ჰაერში, უკანა ტორებზე შემდგარმა რამდენიმე სწრაფი მოკლე-მოკლე ნაბიჯით უკან დაიხია და სადავემოშვებულმა უცბად ოთხივე ფეხი მიწას ისე დააბჯინა, თითქოს შიგ ჩაასოო. მხოლოდ კანის ქვეშ დაჭიმული კუნთების თამაშიღა ანსხვავებდა ქანდაკებისაგან.

ზაქრომ თვალისმომჭრელად ჭრელი ხოხობი ჰაერში ასწია და გოგონასაკენ ისროლა. გოგონა ფეხის წვერებზე ახტა, გარუჯული, წვრილი მკლავები ასწია, ხელი სტაცა ხოხობს. საფეთქლებისკენ გაქცეულ წარბებს ქვეშიდან ერთი თამამი მზერა სტყორცნა ცხენზე მჯდომს და გატრიალდა, გაიქცა. მირბოდა. აწეულ ხელში მზეზე ძოელვარე ხოხობს მიარბენინებდა.

მისმა ამხანაგებმაც იბრუნეს პირი, სიცილ-ხარხარით გამოეკიდნენ.

— მა-ნა-ნა-ა!.. ნა-ნაუ-უ!.. — სწრაფად შორდებოდა ნათი ძახილი.

გოგონა არ გაჩერებულა, ნიავივით მიჰქროდა, თითქოს მწვანეთვალებიან მდევარს გაურბოდა. სირბილისაგან გულამოვარდნილმა მიაღწია კარავს,

ანგარიშმიუცემლად სწვდა ზარის თოკს და ისეთი განგაში ატეხა, რომ მარტო ტრაქტორისტები კი არა, ყველანი შეაშფოთა—დიდმა და პატარამ კარავს მიაშურა.

გოგონამ ამდენი ხალხი რომ დაინახა, დაიბნა, შერცხვა, უნდოდა კარავში შეპარულიყო, მაგრამ ველარ მოასწრო. აღელვებული ხალხი შემოეხვია.

— რა იყო, გოგო?

— მანანა, რა მოხდა?

— რა დაგემართა?

ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან.

— ...არაფერი... მე ისე... რა ლამაზია-მეთქი... ის. აი, ეს ხოხობი...

გულდაწყნარებული ხალხი, ზოგი გაჯავრებით, ზოგი სიცილით და ხუმრობით დაიშალა, დაუბრუნდა საქმეს.

გოგონამ უნაბისფერი თვალებით ცელქად შესცინა ტრაქტორისტებს და სასაცილო სიმკაცრით უთხრა:

— რას შემომყურებთ? აგერა კერძი, გაცივდა!

ზაქრო კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა ცხენზე და გაჰყურებდა გაქცეულ გოგონას. მერე თვალები დაახამხამა, თავი გაიქნია, თითქოს ძილიდან გამოეგო და გადმოხტა ცხენიდან. ალვირი გოგო-ბიჭებს მიუგდო, სთხოვა, გორდა ეტარებინათ, თვითონ თავისი კოლმეურნეობის ყანაში გადავიდა.

— „ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს, ხან არა“, რა არის? — მოაგონდა ბავშვობაში გაგონილი გამოცანა. — ციცინათელა! — უპასუხა თავის თავს, გაეცინა და ასე გაღიმებული მიუახლოვდა მისკენ წამოსულ მომკელებს, რომელთა შორის ახალგაზრდა მასწავლებელს, ბაადურ ბექაურს მოჰკრა თვალი.

— სალამი, ხალხოო!.. — შესძახა ზაქრომ მხიარულად.

— სალამი და გამარჯობა! — ასევე მხიარულად უპასუხეს ერთხმად.

— ჩვენი ყანების ცქერით დასტკბე, თავმჯდომარევ, ის გირჩევნია!—შორიდანვე დაუძახა მას ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის ლოყაწითელმა, ჭროლათვალებიანმა ქვრივმა ნენემ, განთქმულმა თავისი კვიმატი ენით.

— კაცის თვალს მარტო ყანა ვერ გაამლებს, ჩემო ნენე! — მიუხვდა ზაქრო ნენეს ქარაგმულს და ხუმრობითვე უპასუხა:

— ფრთხილად იყავი, იმ მელასავით არ დაგემართოს, თავისი სახრჩობელა რომ შეუყვარდა. — მოულერა ნამგალი ნენემ. ატყობდა, რომ სხვისთვის გაუგებარი ქარაგმა რატომღაც სიამოვნებდა ზაქროს.

— მელიობას ვეფხვობა სჯობია და სახრჩობელას კი ბრინჯაოს სამრეკლო! — გაიცინა ზაქრომ.

— უი, დამიდგეს თვალი, სად შემჩნია, რომ იმ გოგოს მართლაც სამრეკლოსავით აზიდული აქვს ყელი?!“ — გაოცდა ნენე გუნებაში და ამასობაში პასუხი დაუგვიანა თავმჯდომარეს.

ზაქროს გაუხარდა, რომ ენამჭრელ ნენეს სიტყვა გაუწყდა და წასჩხვლიტა:

— გეგონა, მეც რაიდენივით დამიჯაბნებდი?

გარსშემოკრებილ ხალხს სიცილი აუტყდა.

გამრჯე და შრომისმოყვარეს, ჯანღონით სავსე, ლამაზ ნენეს ერთი ბედოვლათი, უგერგილო და შეუხედავი ქმარი შეხვდა. ერთ ზამთარს ნენემ ცხვარში ძალად გაუსტუმრა ქმარი და იქიდან ის მალე მკვდარი ჩამოასვენეს. დღისით, მზისით ხრამში გადაჩეხილიყო. ნენემ დიდი პატივით დამარხა მიცვალებული, მაგრამ ორმოცი შესრულდა თუ არა, დედამთილს გამოექცა, შავებიც იქვე დაუტოვა.

ერთი წლის ქვრივს ორხეველი რაიდენი შემოხვედროდა გზაზე და მიესიამოვნა. ნენე თურმე ჯერ გაოცდა, მერე გაანჩხლდა.

— მეხი კი დაგეცა თავზე! იმასთან ნამყოფი ხო არა ხარ, რომ ეგრე გამოთაყვანებულხარ? ერთი შენ დაგეყაროს მიწა და ნახავ, თუ შენი ცოლი სამარეში ჩამოგყვება!

გაოგნებული კაცი თავბედის წყევ-

ლით გასცლოდა ნენეს და მას შემდეგ შინდაზე გამოვლას ერიდებოდა.

აი, ამ ამბის გახსენებაზე იცინოდა ხალხი, თუმცა ქალები ძალიან კილავდნენ ნენეს ქმრის ხსოვნისადმი ამგვარ უპატივცემლობისათვის. ჩხუბშიც ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე, მაგრამ ნენეს ვინ აჯობებდა?

— ოინბაზობა თქვენთვის დამილოცია! — მიაძახებდა ხოლმე ნენე ქალებს. — ქვრივობას მაშინ შევიფერებდი, ერთი იმის შნო მაინც გამოეჩინა, შვილი დამრჩენოდა მისი სახელობისა!

ისიც უნდა ითქვას, რომ სხვაგვარ გაკილვისათვის ნენეს არავისათვის არასდროს საბაბი არ მიუცია. პირველ ხანებში ბევრი უვლიდა ლამაზ ქვრივს შორიახლოს, მაგრამ ენამწარე ნენემ ღლაბუცის მოყვარულნი ისე დააშინა, რომ უბატონოდ ხმის გაცემას ვერ უბედავდნენ. ბევრი შუამავლებს უგზავნიდა სათხოვნელად, იმათთან ნენე დააბარებდა ხოლმე:

— ბედხეირი ერთიც მეყო! შენ რა საქმარო კაცი ხარ, შენ საქმეზე დედაკაცებს მიგზავნიო!

რაც სათქმელი ჰქონდა ნენეს, ვინც უნდა ყოფილიყო, არ დაერიდებოდა, პირში მიახლიდა. მაგრამ ერთი ზნე კი სჭირდა. ახალი ამბის ისეთი მოყვარული იყო, რომ ხშირად ტყუილ-მართალს ველარ არჩევდა, რაც მერე სანანურად გაუხდებოდა ხოლმე.

წელან თვალი შეასწრო, მანანას რომ გასცქეროდა ზაქრო. ეგონა სალაპარაკო ვიშოვნეო, მაგრამ ხელთ არა შერჩა რა. მუხიანელ ხიმშიაშვილებს ვინ რას ჰკადრებდა? ელისაბედის შვილიშვილზე, მარიამის შვილზე ძვირის თქმა ცოდვა იქნებოდა, ან ვინ დაანებებდა იმ გიჟმაჟ, დაუცხრომელ მანანაზე ავის თქმას? გარდა ამისა, ზაქრომ ისე გააგულისა, რომ სხვა ყველაფერი დაავიწყდა, ერთი სურვილიღა ჰქონდა, სიტყვაში წაგებული არ დარჩენილიყო. თითქოს საბრძოლველად ემზადებოდა, სახელოებიც კი დაიკაპიწა, მაგრამ ზაქრო საყვარელი. მიამიტი ღიმილით მივიდა მასთან ახლოს და ყველას გასაგონად უთხრა:

— მე ვიცი, რაც გაჯავრებს! დამაცა, მიწას მოვითხოვთ, მოგვიმატებენ ფართობს და მაშინ ჩვენც ალარავის ჩამოვუვარდებით. შენც, ჩემო ნენე, წელი აღარ გეტკინება მკით...

მერე მუხიანელების ყანისკენ იბრუნა პირი.

— ჩვენთანაც ასე იქნება! — თქვა და ბაადურს მაგრად მოუჭირა ხელი, მასაც გადასდო თავისი აღელვება.

ბაადურმა მოწონებით გაუღიმა. უხაროდა რომ ახალი თავმჯდომარე სავსე იყო იმედებით, ხალისით, მოქმედების სურვილით.

ხალხი მჭიდროდ შემოეხვია ზაქროს და ბაადურს. ფართობის გადიდებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

ნენემ კაბის სახელოები ჩამოიშალა. აბა, რაღა დროს ზაქროსთან შესიტყვება იყო?

## ნისლი

ზაქრო დღედაღამ კოლმეურნეობის საქმიანობით იყო გართული.

მუშაობას შეჩვეულმა, სამსახურსა და თანამშრომლებს მოწყვეტილმა ანიკამ მარტოობაში მალე მოიწყინა.

— ნუთუ კოლმეურნეობაში ჩემთვის შესაფერი საქმე ვერ მოიძებნება? — შეეკითხა ერთხელ ზაქროს.

— შესაფერი საქმე? — გაუკვირდა ზაქროს. — რას ამბობ, ანიკა? იქნებ მოგბეზრდი და გინდა სახლ-კარს თავი გაარიდო? ან იქნება გეწყინა ჩვენგან რამე?

— არა, ზაქრო, მე მუშაობა მინდა. მრცხვენია კიდევაც, დიდი და პატარა რაღაცას აკეთებს და მე კი...

— მუშაობა გინდა? — გააწყვეტინა სიტყვა ზაქრომ და ხელი მოხვია ცოლს — აბა გაიხედ-გამოიხედე, რასა ჰგავს ჩვენი კარ-მიდამო. მე ამისათვის

არა მცალია, არა და რას იტყვიან? კაცს თავისი ეზო-ყურესთვის ვერ მოუვლია და კოლექტივის საქმეს როგორ გაუძღვებაო?! შენ როგორ ფიქრობ, არ იტყვიან?

ანიკა ქმარს აღარ შეეძრახა, მხოლოდ იმ დღიდან ხალხს რატომღაც უფრო მოერიდა, მთელი თავისი გულისყური საკუთარ კარ-მიდამოზე გადაიტანა. შრომას მოწყურებული ქალი სახლში ვაჟკაცის საქმესაც შეება. ისეთი ხალისით და მონდომებით ეკიდებოდა ყველაფერს, თითქოს ამ გაპარტახებულ კარ-მიდამოს აყვავებაზე იყო დამოკიდებული მთელი მისი ბედნიერება. სხვა ბედნიერება ვერც წარმოედგინა თუკი ზაქრო შეაქებდა, გაკეთებულს მოუწონებდა. სოფელში დილით ადგომას ვერავინ ასწრებდა ანიკას. ღამით ყველაზე გვიან მათ სახლ-კარში ქრებოდა სინათლე.

— რას შვრები, ანიკა? სოფელი ნუ ამიჯანყე! ჩვენს დროში ექსპლოატაცია როგორ შეიძლება და ისიც საკუთარი ცოლისაო?! — ეხუმრებოდა ზაქრო დაღლილ-დაქანცულს, სიყვარულით მოღიმარე ანიკას.

გარბოდნენ დღეები. იკარგებოდა სათვალავი. თითქოს თვე არ იყო გასული და თურმე წელიწადი გაპარულიყო. უკვე მეორედ შემოტრიალდა საშემოდგომო თესვის დრო, ზაქროს კი ხელში უცვდებოდა გამგეობის შუამდგომლობა ფართობის მომატების შესახებ.

ბრაზობდა ზაქრო, ვერ გაეგო, რად აყოვნებდნენ შინდელების სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თუკი გარშემო ყამირები ბლომად იყო?

აბრაზებდა ზაქროს ბექაურიც.

შინდაში გადმოსახლების პირველ დღეებშივე მიაქცია ზაქრომ ყურადღება ახალგაზრდა მასწავლებელს, ბაადურ ბექაურს. მოსწონდა მოხევე. მოსწონდა, რომ ბაადურის ცოცხალი, აზრიანი თვალები აშკარად ამხელდნენ მის ჯერ ისევ ყმაწვილურ განცდებს, რომელთა გარეგნულ გამოვლენას ბორკავდა თანდაყოლილი მოხევური სიდინჯე. მალე დამეგობრდა კიდეც ეს ორი, ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ახალგაზრდა. ზაქრომ თანდათან ისე დააახლოვა კოლმეურნეობის საქმიანობას ბაადური, რომ მას, ხშირად რაიმე საკითხზე მსჯელობის დროს, თავისი თავი ამ კოლმეურნეობის წევრად მიაჩნდა. საათები შეუმჩნევლად გარბოდნენ, როცა ზაქრო და ბაადური დაიწყებდნენ-ხოლმე კოლმეურნეობის მომავალზე ოცნებას. თუმცა ხმამაღლა ოცნებობდა ზაქრო, ბაადური კი ჩუმად უსმენდა.

ერთხელ ასეთ გულგანდობილ საუბარში ზაქრომ თქვა: ერთი შენისთანა კაცი რომ გვყავდეს პარტორგად, რაღა გაგვიჭირდებოდაო...

ეს თითქოს სხვათა შორის გამოთქმული აზრი ზაქროს ძალიან მოეწონა. ვეღარ მოისვენა, ვიდრე თავისი განზრახვა სისრულეში არ მოიყვანა. რაიკომის მდივანს მოელაპარაკა და სულ მალე შინდაში ბაადურის შემცვლელი მასწავლებელი ჩამოვიდა. ბაადურ ბექაური კოლმეურნეობაში მიიღეს, მეცხოველეობის საქმე ჩააბარეს და მალე პარტორგადაც აირჩიეს.

უყვარდა ზაქროს პარტორგი. მოსწონდა მისი მოფიქრებული, დინჯი საქმიანობაც და ხშირად უნებურად გამოკრთომილი მისი ყმაწვილური სიცხარეც, სჯეროდა მისი ყოველი სიტყვა, ექცეოდა ნდობითა და პატივისცემით. მაგრამ ხანდახან მაინც ბრაზობდა ზაქრო. როცა თვითონ სწრაფსა და აჩქარებულს მოუთმენლობა აიტანდა ხოლმე, მაშინ აბრაზებდა ბაადურის სიდინჯე. რაკი ბაადური ზოოტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ კურსებზე სწავლობდა, სიბრაზის დროს ზაქროს ეჩვენებოდა ხოლმე, რომ მეცხოველეობის მოტრფიალე მოხევე თავისი სიდინჯით ფარავდა მემინდვრეობისადმი გულგრილობას. ეჩვენებოდა, რომ ამ გულგრილობის გამო არ მიჰყვა მას პარტორგი ფართობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

სწორედ ამ საგანზე ბაადურთან მო-

რიგ ცხარე კამათის შემდეგ, გაჯავრებული ზაქრო ლელიანს გაემგზავრა. უშედეგო მოლოდინით შებეზრებულმა გადაწყვიტა ერთხელ კიდევ აღეძრა ეს საკითხი და საბოლოო პასუხი მიეღო.

ზაქროს წასვლის შემდეგ ბაადურს ნერვიულობა დაეტყო. მას არც ახლა სჯეროდა, რომ ზაქრო დასძლევდა რაღაც უჩინარ წინააღმდეგობას, რომელსაც ჯერ ბაადურიც ვერა ხედავდა ნათლად, მაგრამ ალღოთი გრძნობდა მის არსებობას. მიუხედავად ამისა, ბაადურს არ უნდოდა ზაქროს გადაწყვეტილების უარყოფით შედეგზე ფიქრი. ფართობის გადიდება ისე იყო საჭირო, ზაქროს ოცნებებში იმდენ რეალურ შესაძლებლობას, იმდენ სიკეთეს ხედავდა, რომ „გულგრილ“ ბაადურს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ზაქროს მოლოდინში, მეორე დღეს კი სოფელში ველარ გასძლო, შორს თემშარაზე გასული დაუხვდა თავმჯდომარეს.

იმაზე, თუ როგორი მოშვებული იჯდა ზაქრო ცხენზე, შორიდანვე რომ არ ისმოდა მისი მხიარული ძახილი, რომ არა ჩქარობდა სოფელში შემოსვლას, ბაადური მიხვდა — ზაქრო ცუდ გუნებაზე ბრუნდებოდა.

ბაადურის დანახვაზე ზაქრო ზანტად ჩამოვიდა ცხენიდან, უხმოდ გაჰყვა პარტორგს გვერდით. ბაადურსაც არაფერი უკითხავს. ხედავდა, რომ თავმჯდომარეს დანა პირს არ უხსნიდა. უხმოდ გაიარეს კარგა მანძილი, ბოლოს სიჩუმე ზაქრომ დაარღვია.

— რა ვიცი, ვარამაძემ გადაწყვიტა წელსაც დავიცადოთ და გაისათა ვნახოთო...

ბაადურს წყენისაგან გული ჩაეწურა, მაგრამ არ უნდოდა ზაქრო უარესად გაემწარებინა. ხელი ჩაიქნია და რამდენადაც შეეძლო, უდარდელად უთხრა:

— შენც რას აიჩემე ის ფართობი? რაც გვაბადია, იმას მოვუაროთ ხეირიანად.

ზაქრომ ბოღმიანი დაცინვით შეათვალიერა პარტორგი, რომელიც ახლა რატომღაც ერთი წლით კი არა, ბევრად უმცროსი მოეჩვენა.

ბიბლიოთეკა

— ჰოდა, მოუარეთ, თუ ბიჭები ხართ! სხვის მინდვრებში მანქანები იორღებივით დააჭენებენ და ჩვენთან კი, ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! მიწას ისე ჩიჩქნიან, ასე მგონია ბებიაჩემი საჩეჩელზე მატყლსა ჩეჩავსო!

— სიცხარითაც საქმეს არ ეშველება. მინდვრების გარდა სხვაც ბევრია მოსავლელი! — წყნარად, მაგრამ დაჟინებით თქვა ბაადურმა და მისმა წყნარმა ხმამ ზაქროს უკანასკნელი მოთმინება დააკარგვინა.

— მოსავლელი?! — შეჰყვირა ზაქრომ, — როგორ არა, მთაში ცხვარია მოსავლელი, ზოოტექნიკოსები კი ბარში ჭკუისდამრიგებლად დადიან!

— ჭკუის დამრიგებელი მთაშიც და ბარშიც ერთი გვყავს, ამხანაგო ზაქრო! — უპასუხა ბაადურმა და შეკავებული წყენისაგან თვალები აუპრიალდა.

ზაქრომ იგრძნო თავისი დანაშაული, დაინანა და ბაადურს თავისი შეწითლებული სახე მიუახლოვა.

— ნუ მიწყენ, ბექაურო, ლელიანელების თანაგრძნობამ გამაბოროტა უარესად. იცი რაო? ნუ გეშინიათ, გეგმებს შეგიმცირებთო.

პარტორგს უარესად აუპრიალდა თვალები. უფრო დიდი წყენა იგრძნო.

— თავმოყვარეობა რომ დავივიწყოთ და ცოტაც ავწუწუნდეთ, უფრო შეგვიბრალებენ. რაიონი მდიდარია, სრულ კმაყოფაზეც აგვიყვანს!..

კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა ბექაურს, მაგრამ სათქმელი უფრო შესაფერი დროისათვის გადასდო.

— მე ცოტას გავივლი, მინდვრებისაკენ საქმე მაქვს... — მოულოდნელად ხმადაბლა თქვა ზაქრომ და ისევ მოახტა გორდას. გულმა განსაკუთრებული ძალით გასწია. დადარდიანებულს ისევ ის, მზიანი, ხმაურიანი ველი იზიდავდა თავისკენ, დაუვიწყარი იყო იქ განცდილი სიხარული.

— კეთილი...—წყნარად გააყოლა ბაადურმა წასულ ზაქროს და შინისკენ

გატრიალდა, ვითომ ვერ მიხვდა, რომ ზაქროს საქმე კი არა ჰქონდა, ჯავრის გაქარვება ეწადა.

თვითონ ბაადური კი ჯავრის გაქარვებას არ დაეძებდა. კოლმეურნეობის ბედიბალზე ღრმად ჩაფიქრებული, ნელა წავიდა შინისკენ.

მიაჭენებდა ზაქრო გორდას. ხან ფიქრობდა, ხან თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან რაიკომის მდივანს ეკამათებოდა, ხან ვიღაცას ეჩხუბებოდა.

„მოითმინე, ნუ გეჩქარება ფართობის გადიდებაო, — მეუბნება ვარამაძე. ვითომ რათაო? როდემდე ვითმინო? ჩვენ ვიზე რა ნაკლები ვართ? — ფიქრობდა ზაქრო, — ნეტა ამ ხალხმა საიდან აიღო, რომ დაუჩემებიათ — უყვარხარ ვარამაძესაო?! რომ ვუყვარდე, განა ხელს არ შემიწყობდა? განა არ მომცემდა საშუალებას მეც გამომეჩინა ჩემი უნარი? აბა, რა ჭკუა და უნარის გამოჩენა შეიძლება ამ ერთი ციცქნა მეურნეობაში? იქნება ვარამაძე ფიქრობს, რომ მე თავს ვერ გავართმევ დიდ მეურნეობას?! ვინ იცის, ნანობს კიდევაც, რომ თავმჯდომარედ დამასახელა?! აბა რით უნდა აეხსნა მისი უარი? რას აჰყოლია იმ იაკობა ფერაძის ხმას? რათ აძლევს ნებას, რომ ფერაძემ ყველგან ჩაყოს ცხვირი? მერე და რა რომ ფერაძე აღმასკომის თავმჯდომარეა?! აგრონომია! როგორი აგრონომია ფერაძე, ეს მუხიანელებსა ჰკითხონ, იმათ კარგად იციან! ის ისეთივე აგრონომია, როგორიც მწერალი. მწერალი?.. — ზაქროს გაახსენდა რაღაცა და სიცილი წასკდა. — მე რა ვიცოდი, რომ იაკობა თავის ნაცოდვილარს ნიკითხავდა?.. — გორდას თავისუფალ სვლას მინდობილი, ერთხანს გაღიმებული მიდიოდა ზაქრო, მერე თანდათან ისევ მოიღუშა. — ის რომ მწერლად არ ვარგოდეს, ჩემი რა ბრალია? ან ისეთი კაცი რა კაცად სათქმელია, ერთი ბეწვა წყენას რომ გულში ჩაიმარხავს, და... ის იორამა ბაბუციძეც რომ ერევა მარაქაში?!" — წყრომით წამოიძახა უცბად ზაქრომ.

ბაბუციძის დანახვა და გახსენება ყოველთვის გუნებას უფუჭებდა ზაქროს. ზაქროს სჯეროდა, რომ შინდელების უსახსრობა ყოფილი თავმჯდომარის ბრალი იყო. იმას რომ თავის დროზე ეზრუნა შინდელებისათვის საკმაო ფართობზე, ახლა კოლმეურნეობა არ იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში. თავმჯდომარეობიდან განთავისუფლების შემდეგ ბაბუციძე შინდაში აღარ გაჩერდა. რაიონის აღმასკომს შეეკედლა და სჩანდა, არ იყო ბედის მომდურავი. ლელიანში ჩასულ ზაქროს ბაბუციძე გადაჭარბებული ყურადღებით, მასპინძლურად ხვდებოდა, მეგობრულად უღიმოდა, თანაგრძნობით ეკითხებოდა კოლმეურნეობის ამბებს. ვერაფრით ვერ დაამტკიცებდა ზაქრო, მხოლოდ გრძნობდა, რომ ბაბუციძე ცდილობდა ამით შეენიღბა შური და გაბოროტება თავის შემცვლელ თავმჯდომარის მიმართ. ამას გრძნობდა ზაქრო და ამიტომ უმღვრევდა გუნებას ბაბუციძის ღიმილიც და თანაგრძნობაც. მისი ნახვაც და გახსენებაც. მით უმეტეს ახლა. აგონდებოდა რა თავგამოდებით იცავდა ბაბუციძე ფართობის გადიდების საწინააღმდეგო მოსაზრებას. ამას აკეთებდა ისე მოხერხებულად, რომ ყველას, მათ შორის ვარამაძესაც სჯეროდა, ბაბუციძეს ელაპარაკებოდა ადგილობრივი პირობების კარგი ცოდნა და ზაქროსადმი მეგობრული განწყობილება.

„ნეტა რად უგდებს ყურს ვარამაძე იმისთანა ხალხს?" — ნერვულად წამოიძახა ზაქრომ და გააჩერა ცხენი, კარგა ხანს იდგა უსიამო ფიქრებით შეპყრობილი.

— ეშმაკმა უწყის, რა სულელური აზრი მოუვა ხანდახან კაცს თავში? — გაუწყრა ხმამაღლა თავის თავს ზაქრო, გორდას შინდის წკეპლა გადაუჭირა და გააჭენა.—ბრმა უნდა იყოს კაცი და უმადური, რომ არ დააფასოს ვარამაძის სიკეთე. განა მე უნდა ვემდუროდე მას? რა დასაძრახისია თუ ეჭვიც ეპარება, რომ მე შევძლებ დიდი მეურნეობის

გაძლოლას? განა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეჰფერის ისე მოიქცეს, როგორც წუხელის მე მოვიქეცი ლელიანში? იმის ნაცვლად, რომ ჭკვიანურად, დინჯად მელაპარაკა, ყველას ჩხუბი ავუტეხე, ყურიც აღარ დავუგდე. ვინ მომითმენდა ამდენს, რამდენსაც მე მითმენს რაიკომის მდივანი? ვალდებული ხომ არ არის რომ ყველაფერი მითხრას? ჩანს, რაღაცა მიზეზია, უარს რომ მეუბნება. განა იმან ჩემზე უკეთ არ იცის რა სჯობია საქმისათვის? მე მხოლოდ ჩემი მეურნეობა მაჩქარებს, მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაზე ვზრუნავ და ვარამაძე?.. პარტიამ მას ჩააბარა ამხელა საქმე და მე კი... ამხანაგო გედეონ, ძალიან გთხოვთ უმადური ნუ გეგონებით! ეს ყველაფერი ჩემის სულსწრაფობის ბრალია. თქვენც ხომ ხშირად იძახით — ჩქარი და მოუთმენელი ხარო. მე ხომ გიამბეთ ფრონტზეც რამდენჯერ მომხვედრია ჩემი მოუთმენლობის გამო... მხოლოდ დამიჯერეთ, გარწმუნებთ, რაც უფრო დიდი იქნება მეურნეობა, უფრო კარგად ვიმუშავებ! ნახავთ როგორ გამოვიყენებ მანქანებს! თქვენ მეუბნებით — დაიცადეო. ვიცდი. ამხანაგო გედეონ, არის, ვიცადო გაისამდე! იცით, როგორ მჯერა თქვენი? ო, რომ იცოდეთ, როგორ მჯერა! მოვითმენ. დავიცდი!..

დაიძახა უცბად დარდგადაყრილმა, ხარბად ჩაისუნთქა შემოდგომის გრილი ნიავი და მოაბრუნა გორდა შინდისაკენ...

გარბოდნენ დღეები, თვეები.

გავიდა წელიწადი, მეორე, ილეოდა მესამეც...

სიყმაშვილების კარმიდამოს ახლა უკვე გულგრილად ვერ ჩაუვლიდა გამვლელი. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ერთი ადამიანის მადლიანმა მარჯვენამ, ნიჭმა და უნარმა შესძლო იქაურობის ასე გარდაქმნა.

ახლა მთელ კარმიდამოს ტყრუშული ღობე ეკრა, რომელსაც შიგადაშიგ ხშირად ჰქონდა დატანებული ჭადარი, ალვის ხე, აკაცია, კაკალი.

ეზო და ბაღი გაყოფილი იყო დაბალი წნულ-ღობით.

ბაღში მავთულზე აკრული ვაზი ხარობდა.

სწორ მწკრივებად ჩარიგებულიყო თეთრად ძირშეწამლული ხეხილი.

ბაღჩაში მწვანილი და ბოსტნეული აქოჩრილიყო.

ჭიშკრიდან დაწყებული, სახლის კიბესთან თავდებოდა ბროწეულის ხეივანი — ანიკას სიამაყე. ცაცხვის ლაღად გადაშლილი ტოტები აივანს სწვდებოდნენ. ეს ცაცხვი უკვე კარგად მოზრდილი გადმორგა ანიკამ, ზამთარ-ზაფხულ შეუნელებელი ყურადღებით და მოვლით ახეირა თავის ეზოში.

ბაღნარს იასამანი, ვარდი, მიხაკი, შროშანი, ვარსკვლავა და სხვა მრავალი ყვავილი ამშვენებდა, გაზაფხულობით, ბუჩქებს შორის დაკარგული სამკაულივით ღუღლუღებდა მარწყვი.

თეთრად შელესილ, კრამიტით დახურულ სახლის უკან, თეთრადვე მოჩანდა საჯინიბო — გორდას სადგომი.

ბოსელში მეწველი ძროხა იდგა.

საღორეში გოჭები ღრუტუნებდნენ.

საქათმე სავსე იყო ფრინველით.

ლამაზ სათამაშოს ჰგავდა ჭიშკართან ყურშას სადგომი.

გადიოდნენ წლები...

სახლი და ეზო-ყურე ივსებოდა სიკეთით, გულს კი თანდათან აკლდებოდა.

ოჯახში ბავშვი არა სჩანდა...

კოლმეურნეობის საქმე ვერ მიდიოდა კარგად...

მართლდებოდა ანიკას წინათგრძნობა. ზაქრო ნელნელა გაგრილდა კოლმეურნეობის საქმიანობისადმი.

ფართობის გადიდება დაპირებად დარჩა. პატარ-პატარა, მთაგორიან ნაკვეთებზე მანქანების გამოყენება ვერ მოხერხდა. შიხდელების დაძაბულ შრომას ბარაქა ვერ ეკიდებოდა. აქა-იქ უკმაყოფილო ლაპარაკი გაისმა. ერთიორი შემთხვევა იყო, რომ კოლმეურნე იძულებული გახდა რაიონისათვის მიემართნა, მაგრამ უშედეგოდ. ვარამაძე

ყოველთვის მომჩივარს ამტყუნებდა.

ზაქრო გაურბოდა საყვედურების მოსმენას. რათ უნდოდა საყვედურების მოსმენა, განა თვითონ ვერა ხედავდა შინდელ კოლმეურნეთა ხელმოკლეობას? ისე უწვავდა გულს მათი სიღარიბე, ისე აბრაზებდა საკუთარი უმწეობა, რომ უნებურად ცდილობდა არ დაენახა არც მათი გაჭირება და არც თავისი უმწეობა. თან თვითონაც ემდუროდა კულში კოლმეურნეობას, რომელმაც თითქოს ვერ გაუმართლა იმედები, არ მისცა საშუალება გაეხადა შინდის მეურნეობა სანიმუშო და მოწინავე. თითქოს შეეჯავრა შინდა. მიზეზს ეძებდა, რომ დილიდანვე თავი გაეხწია, წასულიყო საითმე და განა შემთხვევით იყო, რომ გზას ყოველთვის მიჰყავდა იქ, სადაც მანქანები ეგულებოდა? გორდას ფერდები ჰქონდა დაწყვეტილი შორს მდებარე ემტეესსა და სახლს შორის ჭენებით.

ერთხელ ზაქრომ მოულოდნელად რამდენიმე მფრინავი მოიყვანა სახლში სტუმრად. ანიკა მაშინვე მიხვდა, რომ ზაქრო მეზობლად მდებარე აეროდრომს შესჩვეოდა.

თავაზიანი დიასახლისით, გულუხვი მასპინძლობით, მშვენიერი კარმიდამოთ მოხიბლულმა სტუმრებმა მოილხინეს. იმ დღეს შემდეგ მფრინავების ცხარე კამათი ხშირად ისმოდა სიყმაშვილების ეზოდან. სახლში ახალი სახელმძღვანელოები, მაკეტები, ნახაზები გაჩნდა. არ გასულა დიდი ხანი და ზაქრომ ბავშვური სიამაყით აჩვენა ანიკას მფრინავის ნიშანი, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ინსტრუქტორის დაწერილი ბრწყინვალე დახასიათება.

— ეგ კარგია, ზაქრო, მაგრამ ხალხი რომ გიჩივის, თავმჯდომარის ნახვა დაგვიძვირდაო, კოლმეურნეობაში ათასი საკითხია გადასაჭრელიო?!

— ოჰ, „დაგვიძვირდაო“! მე ქეიფსა და დროს ტარებას ვუნდები თუ რა? უსათუოდ იმ გამოყრუებულ კანტორაში უნდა ვიჯდე?

— უნდა იჯდე, როცა საჭიროა, მაშინ აღარ იქნება გამოყრუებული! მაშ ხალხმა სად გეძიოს, როცა საჭირო ხარ?

— ნუ მისაყვედურებ, ანიკა, შენ არ გესმის! — გაცხარდა ზაქრო. — მე ვიცი იმათი ტკივილები, მაგრამ მე მაგ ტკივილებს ვერ ვუშველი, ვერა! ეგ არ არის ჩემგან დამოკიდებული! აბა, მე რა მოვუხერხო ამ ვერანას? ერთი ხელის გულის ოდენა მიწაა, ისიც ხრიოკი და მთა-გორიანი. მანქანა ვერ მივუყენე და მე რა ვილონო?

— წინათ ხომ ბევრი იყო პატარა, მაგრამ მოწინავე კოლმეურნეობა?! რატომ არ იკითხავ, არ ელაპარაკები ხალხს? რატომ არ გაიგებ, როგორ აღწევდნენ ამას?

— ხალხს, ხალხს! ველაპარაკე, დიახ! ის რითაც წინათ აღწევდნენ წარმატებას, ახლა აღარა კმარა, ვერ გაიგეს?!

— ეგ დიდი ხანია ბავშვებმაც კი გაიგეს, ზაქრო.

— გაიგეს! — გაჯავრდა ზაქრო. — ამათ ახალს ნუ უხსენებ და მზად არიან მამა-პაპურ წესებს დაუბრუნდნენ. ურჩევნიათ ოცდაოთხი საათი ძველი წესებით ჩიჩქნონ მიწა, ზედ დააკვდნენ, ვიდრე ახალ ცდაზე ერთი საათი გააცდინონ. ეშინიათ შრომადღე დაგვაკლდებაო! შენ ადვილი გგონია, აბა სცადე მაგათთან ლაპარაკი!

ანიკამ გაოცებით შეხედა ქმარს. იმ აზრმა, რომ ზაქრო! შეიძლება დაეკარგოს ხალხთან სალაპარაკო ენა, შეაშფოთა.

— რას ამბობ, ზაქრო? ხალხთან ლაპარაკს თუ ვერ ახერხებს, ის ხელმძღვანელი ვის რად უნდა?

— მე სალაპარაკოდ სადა მცალიან? მაგისთვის პარტორგი არსებობს, მაგრამ ბედი უნდა ყველაფერს. ბექაურს ცალი ფეხი თბილისში აქვს გამოცდებზე, ცალით — მთელ რაიონს ედება პრაქტიკაზე!

ანიკას არ ესიამოვნა ეს უმართებულო საყვედური პარტორგზე. იცოდა, რომ მართალია, ბექაური გამოცდებსაც აბარებდა, რაიონის მეცხოველეობითაც

ძალიან იყო დაინტერესებული, მაგრამ არასდროს არა სმენია, რომ ამის გამო კოლმეურნეობას მისი ყურადღება აკლდებაო.

— აი, ეს ლევან მაყაშვილიც, — განაგრძობდა ზაქრო, — მე მაგის ქებით ქვეყანა შევაჯერე და ეგ კი სულ რაღაცას მედავება. ნაქები ბრიგადირი... ერთთავად მიზეზს ეძებს, რომ გაწყრეს და შინ გამოიქცეს ხოლმე. გულოს კაბაზეა მიკერებული!.. — ბრაზით და წყენით გახედა გზის გაღმა მდებარე მაყაშვილების სახლს.

მაყაშვილების ეზოში არავინა ჩანდა. ლევანის ახალგაზრდა ცოლი გულიკო დედულეთში წაიყვანეს მოსალოგინებლად. ალბათ, ქმარი და დედამთილიც იქ წასულიყვნენ.

ანიკამ თვალი გააყოლა ქმრის მზერას. იგრძნო, რომ იმ წუთში სულ სხვა გრძნობა ალაპარაკებდა ზაქროს. მიხვდა, რომ ლევანის შვილიანობა შეშურდა ზაქროს. შემკრთალმა შეხედა ქმარს. ზაქრომაც ამ დროს ხედვა ცოლზე გადმოიტანა. უსიამოდ მოღრუბლულმა შეათვალიერა ცოლი თავით ფეხამდე.

ანიკა შეწითლდა, ჩაჩუმებულმა დამნაშავესავით დახარა თავი. სიკვდილი ერჩია ქმრისაგან ხმამაღალი საყვედურის გაგონებას.

ზაქრომაც იგრძნო ანიკას გამწარება, შეეცოდა. თავი გადააქნია და დაყვავებით უთხრა:

ლევანს ჰგონია, იმის მეტს აღარავის უყვარს ცოლიო...

უსაზღვრო მადლობით სავსე ანიკა, უარესად გაწითლდა, თვალებზე ცრემლებიც კი მოადგა. თავს ძალა დაატანა, ქმარს შეხედა. ზაქრო უღიმოდა თბილი, უსიტყვოდ მანუგეშებელი ღიმილით...

არა, არა. არაფერი არ უნდოდა ანიკას ქვეყანაზე, მხოლოდ ზაქრო ყოფილიყო კარგად, მისი საქმე წასულიყო კარგად. ისევ ზაქროზე ჩაფიქრდა, ისევ კოლმეურნეობის ბედიღბალმა ჩააფიქრა.

— საკვირველია... — ხმადაბლა დაარღვია ბოლოს სიჩუმე ანიკამ, ვინც გამოცდილია და საქმის ერთგული, ყველას ემდური. აი, ძია ნიკოც რამდენი ხანია აღარ მოსულა. ხომ არაფერი აწყენინე?

ზაქრო აენთო.

— ოჰ, მირონცხებული ნათლიაჩემისთვის რჩევა-დარიგების გაცემა ადვილია! თვითონ ისეა გაშლილი, ათი ჩვენისთანა კოლმეურნეობა გამოიჭრება. აბა მე მკითხონ! რაც შესაძლებლობა აქვს, იმდენს ვერც აკეთებს ნათლიაჩემი, დიახ!

ანიკა კვლავ შეშფოთდა. იგრძნო, რომ გულამღვრეული ზაქრო ახლა სხვის ნათქვამს იმეორებდა. მიხვდა, რომ იმ „სხვას“ არ მოსწონდა არც სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარმატება, არც ნიკო ხელაშვილის გაზრდილი ავტორიტეტი. ამან ჩააფიქრა ანიკა, მაგრამ მაინც ყველაფერზე ძალიან ზაქროს ამბავი აწუხებდა. ამიტომ მცირე დუმილის შემდეგ, ისევ მის საქმიანობაზე ლაპარაკს დაუბრუნდა.

— შენც რაიკომის იქით გენახა გზა. წასულიყავი ქალაქში, იქ დაგესვა საკითხი ფართობის მომატების შესახებ...

— აბა რას ამბობ? რაიკომს ვუჩივლო? და განა მარტო მიწის მომატებაზეა საქმე? არ შეიძლება, აბა რაღა დროს ამისთანა წვრილი მეურნეობის არსებობაა?! ქვეყანას რომ ჰკითხო, იძახიან ვარამაძე ზაქრო სიყმაშვილს სულში იძვრენსო და რა ვიცი... ენაზე ტყავი გადამძვრა იმდენს ვიძახი გამსხვილებაზე, მაგრამ შენც არ მომიკვდე!... ირგვლივ კოლმეურნეობები შეერთდნენ, გამსხვილდნენ და ვერ გამიგია, ჩვენ რაღა დავაშავეთ? ათასი მიზეზი მოჰყავს ვარამაძეს, დაიცათ, ჯერ არ შეიძლება თქვენი გაერთიანებაო. მაშ როდის? დროც არის პაპი-ჩემისა! ვერ გავიგე რა აქვს გუნებაში. თანაც ატეხილან, მაინცადამაინც საკუთარი პური უნდა გვქონდესო! ლამის კახეთში ვაზი ამოჰკვეთონ პურის გულისათვის!...

ზაქროს სიტყვებში ანიკამ ახლა ფარული ტკივილი იგრძნო. მის ნათქვამში ბევრი იყო ნამდვილად საყურადღებო

და საჭირბოროტო: კოლმეურნეობის ხელოვნურად დაგვიანებული გამსხვილება, ძვირფასი კულტურების უგულებელყოფა, ვარამაძის უცნაური დამოკიდებულება ზაქროსადმი... მართალია, ზაქროს ნათქვამის აზრი დაუმთავრებელი და დაულაგებელი იყო, მაგრამ, ჩანდა ყველაზე მეტად ზაქროს საერთო მნიშვნელობის საკითხები აფიქრებდნენ. ეს გაუხარდა ანიკას, მაგრამ ამასთან სხვაც ისეთი რამ დაინახა მან, რაც ანელებდა სიხარულს, ულრმავებდა ეჭვსა და შიშს. ზაქროს თითქოს პირადი წყენა ალაპარაკებდა. დიდსა და საერთო საქმეზე წუხილს რაღაც პატარა პირადული იერი დაჰკრავდა. თითქოს ისა სწყინდა ზაქროს, რომ პატარა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ამას პირდაპირ არ ამბობდა ზაქრო, მაგრამ სწორედ ეს აშინებდა ანიკას. წარმოიდგინა, რომ ჯერ მცირედმა პირადულმა, შესაძლოა მომავალში დაუჩრდილოს ზაქროს საერთო საქმისათვის ზრუნვა, დააწვრილმანოსო და გული დაეწვა. ყოველთვის თავდაჭერილს ათქმევინა, თუმცა რბილად და მორიდებით:

— ნუ კი გაჯავრდები, ზაქრო... მე არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ... იქნებ შენ ისე აყენებ საკითხს, ხალხს აფიქრებინებ, პირადული ალაპარაკებსო...

რა იცოდა ანიკამ, რომ დაახლოებით ასეთივე სიტყვები უკვე ჰქონდა ზაქროს მოსმენილი ძია ნიკოსაგან, ბაადურისაგან და ლევანისაგან? რა იცოდა, რომ სწორედ ამით ნაწყენი ჩამოშორდა მათ ზაქრო.

ხანდახან ხდება ასე: თუ პატიოსან კაცს სხვა მიუხვდება რაიმე სათაკილო აზრს, რომლის თავიდან მოცილებას თვითონაც ცდილობს, ეს კაცი თავის თავზე გულაღრენილი სხვას დაატყდება ხოლმე რისხვით.

ანიკას უკანასკნელ სიტყვებზე ზაქრო გაფითრდა, თვალები ჩაუმუქდა და ენაზე რაღაც მწარე სათქმელი მოადგა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, ღრმად ამოიოხრა და ცივად უთხრა:

— ეჰ, ეს ლაპარაკი ტყუილად დროს დაკარგვაა...

მას შემდეგ ანიკა მოერიდა თავისი აზრის პირდაპირ თქმას. მოერიდა ზაქროს წყენას. ეშინოდა, რომ ზაქრო მთლად შესწყვეტდა მასთან საქმიან საუბარს.

ეს გაჩუმება კი ნიშანი იყო იმისა, რომ ორ ახლობელ ადამიანს შორის ფარულმა აზრმა დაიბუდა, რომ წლობით გულახდილმა მეგობრებმა ერთმანეთს უღალატეს.

თუმცა სიყვარული ცოცხალი იყო.

თუმცა ზაქროს, ყველა გასართობს ისევ ანიკასთან ყოფნა ერჩია. ისევ ხშირად გათენებამდე ისმოდა ბროწეულის ხეივანში მათი ნელი, ხმაშეწყობილი სიმღერა.

## ავდარი

შინდელი კოლმეურნეების უკმაყოფილება იზრდებოდა.

კოლმეურნეობის კანტორაში საქმეზე მოსულ ხალხს კითხვა-კითხვით უნდა მიეგნო თავმჯდომარისათვის. ის ახლა მთელ დღეებს რომელიმე დაშლილ ან დამტვრეულ მანქანასთან ატარებდა. მის აწყობა-შეკეთებას უნდებოდა. იქ მოსულსაც კი ზაქრო ან სულ არ მოუსმენდა, ან მოუსმენდა ცალი ყურით და თავის საქმეში გართული მოსულს ბექაურთან გაისტუმრებდა.

ბექაურთან მოსული კოლმეურნე ზაქროზე ჩივილით იწყებდა ლაპარაკს, მაგრამ პარტორგი სიტყვას აწყვეტინებდა. ზაქროს დაუსწრებლად მისი მუშაობის ნაკლზე ლაპარაკი არ უნდოდა, ზაქრო კი მას აშკარად გაურბოდა, საერთო კრების მოწვევაზეც უარს ამბობდა.

საჩივრები, საყვედურები თავმჯდომარის მიმართ მატულობდა.

ეს არ სიამოვნებდა კოლმეურნეობის ბუღალტერს ბაგრატ ღემურიშვილს. მას თავისი ანგარიში ჰქონდა. კოლმე-

ურნეობის ფაქტიური ბატონ-პატრონი იყო და ყველა ხერხს მიმართავდა, რომ ეს მდგომარეობა რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებინა. იცოდა, რომ ზაქროს თუ გადაირჩევდნენ, არც მას დაეყრებოდა ხეირი.

დემურიშვილს მსუქან სახეზე თითქოს ერთხელ და სამუდამოდ შერჩენოდა ყველასათვის კეთილისმდომი ღიმილი. საქმეზე მოსულს ამ ღიმილით და ტკბილი სიტყვით ხელზე დაიხვევდა. ხმაში უკმაყოფილება ან წყრომაც რომ გამოჰრეოდა, სახეზე ღიმილს მაინც ინარჩუნებდა. კოლმეურნეობის ცალკეულ წევრებს კეთილ ანგელოზად, მხსნელად ევლინებოდა. თუ საწყობში მარცვალი ეგულებოდა და სალაროში მანეთი — მთხოვნელს უარით არ გაისტუმრებდა. დემურიშვილს ამის შესახებ თავისი შეხედულება ჰქონდა, რომელსაც აქა-იქ ჩუმ-ჩუმად ასაღებდა: კოლექტივის საერთო ქონებიდან იმავე კოლექტივის წევრმა ხელი მოინაცვლოს, რა არის ამაში ცუდი? ამ შეხედულებით დემურიშვილი სხვასაც იმადლიერებდა, თან თავის წილ გასამრჯელოსაც ინაღდებდა...

დემურიშვილი ზაქროზე მომჩივანს მამაშვილურად დაუყვავებდა, დააშოშმინებდა, თავბრუს დაახვევდა რაღაც საერთო მდგომარეობაზე ლაპარაკით, დაარწმუნებდა, რომ საქმის ჩამორჩენა ზაქროსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება. არასდროს შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, რომ ზაქრო არ შეექო, ამასაც თავისი ანგარიში ჰქონდა. ერთი მხრივ ზაქროს დაცემულ ავტორიტეტს იცავდა, მეორე მხრივ კი ზაქროს აამებდა. ყველაზე კარგად დემურიშვილმა იცოდა, რომ ვიდრე ვარამაძე არის ლელიანის რაიკომის მდივანი, რაც უნდა უკმაყოფილო იყოს ხალხი, ზაქროს მაინც არა დაუშავდებოდა რა. ამიტომ განსაკუთრებულ მჭევრმეტყველებას იჩენდა დემურიშვილი ზაქროს ქებაში. იცოდა, მისი სიტყვები ზაქროს ყურამდე მივიდოდა. თვითონ კი ზაქროსთან თავს დაიმდაბლებდა, კეთილისმდომი ღიმილით თვალ-წარბში შეჰყურებდა, თან მარჯვე წუთს უცდიდა, ცოტა დღეს, ცოტა ხვალ, ბაადურზე თითოოროლა შხამიან სიტყვას ჩააწვეთებდა.

ცოტა დღეს, ცოტა ხვალ და მიაღწია მიზანს დემურიშვილმა. დააჯერა ზაქრო, რომ კოლმეურნეთა შორის უკმაყოფილებას ბაადური აღვივებს, თვითონ უნდა თავმჯდომარეობაო.

ამავე დროს, დემურიშვილი ბექაურსაც შესციცინებდა თავისი წარუშლელი ღიმილით და ხმაში ოსტატურად ჩაურევდა სინანულს, ზაქროსთან მიტანილ სიტყვას ახლა ბაადურს დაუბრუნებდა.

რამდენი გაუგებრობა და ხან უბედურებაც კი ხდება ხოლმე, როცა ორი კაცი უალაგო-ალაგას გაუჩუმდება ერთმანეთს და ამით ხელს უწყობს გესლიან მოამბეს, სააშკარაოზე არ გამოიყვანს სიბოროტის მთესავს?!

ზაქრომ და ბაადურმა ერთმანეთზე წყენა ჩაიმარხეს გულში, ერთმანეთს მოერიდნენ, დემურიშვილი კი თავის ახლად აშენებულ ფართო, ორსართულიან სახლში ქონიან გულ-მკერდზე ხელის გულებს იტყაპუნებდა, თან ნებივრად კრუტუნებდა...

განა ადვილად გაიგნებს პატიოსანი ადამიანი დემურიშვილისა და მისი მსგავსების ოღროჩოღრო გზებს?

მით უმეტეს კოლმეურნეობის ავკარგიანობას მოწყვეტილი ანიკა რას გაიგებდა დემურიშვილის ხრიკებს, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რად ეზიზღებოდა ეს კაცი.

და განა მოითმენს მოსიყვარულე გული, რომ უხმო მოწმე გახდეს ადამიანის თავქვე დაქანებისა, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი თავს ურჩევნია?

კიდევ სცადა ანიკამ ზაქროს შემობრუნება კოლმეურნეობისაკენ. „ეგებ გულზე მოხვდეს, მიაქციოს ყურადღებაო“, — იფიქრა და გაგონილი საყვედურები უთხრა ქმარს, მაგრამ ზაქრომ გულგრილად მოუსმინა, ცივად შეხედა ცოლს, მერე რაღაც მოიმიზეზა და წავიდა სახლიდან.

ერთხელაც ზაქროზე საჩივრით სახლ-

ში მოსულ მეზობლებს მოუსმინა, დახმარება აღუთქვა. გაუკვირდა, რომ ზაქრო არ გაწყრა, მაგრამ ერჩივნა გამწყრალიყო. უჩვეულო სიმკაცრით სთხოვა:

— ნუ ერევი ჩემს საქმეში, ანიკა. იტყვიან, ცოლი სახლში უნდა დიასახლისობდეს და არა კოლექტივის მეურნეობაშიო...

ისედაც მორიდებულ ქალს მთლად აუკრძალა კოლმეურნეობის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება.

სწორედ მეორე დღეს ლევანის ცოლმა გულიკომ სირბილით გადმოიარა გზა, სიყმაშვილების ჭიშკარს მოადგა, თან უკან-უკან იხედებოდა, თითქოს ვიღაცა მოსდევსო.

— ანიკა-ა!.. ანიკა-ა!.. ცოტა კირი მომეცი, შენს გახარებას, — დაიძახა ქალმა ღობე' თან.

— შემოდი, გულო, რა შორიდან იძახი? — ღიმილით შეეგება ანიკა მეზობელს, თუმცა ღიმილმა ვერ გაფანტა მის შორიშორს, ღრმად ჩასმულ თაფლისფერ თვალებში დაბუდებული სევდა.

— დედამთილს გამოვეპარე! — გადაიხარხარა გულომ და შემოვიდა ეზოში. — მომცემ ცოტა კირს?

— წაიღე რამდენიც გინდა, — უპასუხა ანიკამ და აივნის ქვეშ საკუჭნაოში შევიდა კირის ხსნარისთვის ჭურჭლის გამოსატანად.

გულომ ბაღნარის კარი შეაღო და მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი უკვე ხუთი თვისა ჰყავდა, ბავშვური აღტაცებით დაურბინა ყვავილნარს, თან ხმამაღლა გამოელაპარაკა ანიკას:

— იცი, ეგ კირი რად დამჭირდა? ჩვენ ჯეხილებსაც შევუწამლავ ძირებს, თორემ დედამთილმა ლამის დამაჭლექოს!

— დაგაჭლექოს? — წყნარად ჩაიცინა საკუჭნაოდან გამოსულმა ანიკამ და სახეგაბადრული, ჩაფსკვნილი გულო შეათვალიერა. — რომ არ გეტყობა?

— არ მეტყობა, დიახ! — ბავშვივით მოკუმა ტუჩები გულომ და ხელი წაატანა ვარდის კოკორს, მოწყვიტა, კაბის სარტყელთან მიიტანა. — დილიდან საღამომდე მეჩიჩინება, მეჩიჩინება... და მერე იცი ვისი ბრალია? — გულო გამოვიდა ბაღნარიდან, ანიკას მიუახლოვდა და თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, ხმადაბლა უთხრა: — სულ შენი გულისთვის მეჩხუბება...

— ჩემი გულისთვის? — გაოცდა ანიკა, კირის ხსნარით კასრი მიწაზე დადგა და წელში გასწორდა.

— ჰოო! — ნიშნის მოგებით თქვა გულომ. — თავმჯდომარის ცოლი დილიდან საღამომდე მუშაობსო, მთელ დღეს მუხლს არ ჩაჰხრისო და შენ კი დედოფალივით განცხრომაში ხარო! აბა ერთი მითხარი, მე სადაური დედოფალი ვარ? — ექეკლუცებოდა თავის თავს გულიკო, ვარდის კოკორი ახლა გულზე დაიბნია. — ან რა განცხრომაში ვარ? მაშ ჩემს გიას ვინ უვლის? — კოკორს საბოლოო ადგილი თმებში მიუჩინა გულომ და უცბად მიუახლოვდა ანიკას, თვალებში ჩახედა. — ანიკა, მე სად შემიძლია შენსავით?.. შენ ნამდვილი ჯადოქარი ხარ. ჰო, ჰო, რას იცინი? აი, ლევანიც იძახის, რომ შენ არც კი იცი შენი თავის ფასი!

— ლევანი? — ჩაიკითხა ანიკამ.

— გიას გაზრდამ! წარამარა იძახის, ანიკამ სამოთხე გააშენაო! არა, მაშ სასაცილო არ არიან კაცები?! ლევანს ისე უყვარს ზაქრო, ისე, ისე, ისე, რომ მეტი არ შეიძლება! მაგრამ შეიყრებიან თუ არა, ისე ჩხუბობენ, გეგონება ერთმანეთს სასიკვდილოდ არ დაინდობენო, ან კიდევ ბავშვებივით ებუტებიან ერთმანეთს. მაშ სასაცილო არ არის?!

— ნეტავი მართლაც სასაცილო ყოფილიყო... — ხმადაბლა, ჩაფიქრებით თქვა ანიკამ და მხრები ისე დაუშვა, თითქოს დაუმძიმდაო.

ამ დროს მაყაშვილების ეზოდან ბავშვის მწარე ტირილი და მოხუცის ძახილი გაისმა:

— გუ-ლი-კო-ო!.. გუ-ლი-კო!..

— აი, ასეა! ეზოდან გავადგამ თუ არა ფეხს, მაშინვე ჩემს გასაგონად აყვირებს

გიას. აბა, უყურე რასა შვრება, უყურე, ხო ხედავ, ხო ხედავ?

გულოს დედამთილს აკვანი კაკლის ჩეროში გამოეტანა. აკვანში ჩაკრული ბავშვი ამაოდ ცდილობდა ტუჩებით მისწვდომოდა რძის ბოთლს, რომელსაც ბებია ცხვირწინ უტრიალებდა. ბავშვი მწარედ ტიროდა, მოხუცი კი მოუთმენლად იხედებოდა სიყმაშვილების ეზოსკენ.

— გუ-ლი-კო-ო!.. გუ-ულიკო!.. — კვლავ დაიძახა მოხუცმა.

— მოვდივაარ! — გაეპასუხა გულო და სავსე კასრს სტაცა ხელი. — ოჰ, ანიკა, რომ იცოდე, რა ეჭვიანი დედამთილი მყავს. ისე კი დედაჩემზე ძალიან მაგას ვუყვარვარ, გიას გაზრდამ!

ჭიშკართან მისული გულო უცბად ისევ შემოტრიალდა.

— მართლა, ანიკა, რაც მთავარია, ის ყოველთვის მავიწყდება! ხვალ მათხოვებ შენს ჭრელ ქალაღაიას?

— რაღა თქმა უნდა! — გაეღიმა ანიკას.

— ლელიანში უნდა ჩავიდე! — თქვა გულომ და გაიქცა.

ანიკა ერთხანს გაჰყურებდა მეზობლების ეზოს. გულომ კასრი დედამთილს დაუდგა წინ, თვითონ კი ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა და ალერსიანი სიცილკასკასით ჰაერში შეათამაშა.

ანიკას თვალებიც კი აეწვა მათი ყურებით. ნელა გამოტრიალდა.

საღამოს შინ დაბრუნებულ ზაქროს სხვათა შორის უთხრა: ხვალ გულო მიდის ლელიანში და მეც გავყვებიო.

იმ დღეს შინდის ბოლოში ზაქროს მეხიანელების სატვირთო მანქანა დაენახა. მაშინვე მიხვდა, რომ ახალგაზრდა შოფერს დათოს დაუდევრობით დაეჯახებინა მანქანა შუა გზაზე დაგდებულ ლოდისათვის და მანქანის უკანა ხიდი გაეტეხა. ბუქსირით წამოიყვანეს მანქანა და იქვე ფარდულის ქვეშ დააყენეს. ზაქრო ხალისით შეუდგა დამტვრეული ნაწილის აღდგენას. ღამემდე იქ იმუშავა და სახლშიც წამოიღო ახლად გამოსაჩარხი დეტალი. ახლა ამ დეტალის დამუშავებით გატაცებულმა ზაქრომ ყურადღება არ მიაქცია ანიკას სიტყვებს. ანიკამ მისი სიჩუმე უსიტყვო დასტურად ჩასთვალა და გამხიარულდა.

მეორე დილას უთენია წავიდა ზაქრო ფარდულისკენ. თითქოს მის წასვლას უცდიდაო, მაშინვე ჭიშკარს გულო მოადგა, ჩვეულებრივ შორიდან დაიძახა.

— შემოდი გულო! — შეეგება ანიკა მეზობელს და დაჯდომა შესთავაზა.

— იცი რისთვის მივდივარ რაიონში? — წამოიწყო გულომ და ბალნარში შევიდა. — ჩემ ბიჭს დაბადების მოწმობა უნდა ავუღო. კაცებს ხომ ვერ მიანდობ სერიოზულ საქმეს? ლევანს ერთი რომ, დღეს-ხვალ არ დაელია, მეორეც — უსათუოდ შეეშლება რამე. ან ბავშვის დაბადების დღე, ან სახელი, ან ჩემი სახელი დაავიწყდება, მართალს გეუბნები, გიას გაზრდამ! კოლექტივისა და ზაქროსთან ჩხუბის მეტი აღარაფერი ახსოვს, სულ დაივიწყა ცოლ-შვილი იმ საძაგელმა!.. — დააბოლავა ალერსიანად და ყვავილების კარგა დიდი თაიგული ჩაიკრა გულში.

ანიკამ ამასობაში ხელების კანკალით გადაიცვა კაბა, თავი გადაივარცხნა. დამზადებული კერძი ნავთქურასთან დადგა. სუფრა გაშალა და იქვე, დანა-ჩანგალთან ბარათი დატოვა: „ჩემო ზაქრო, ვეცდები მალე დავბრუნდე. თუ დამიგვიანდა, ნუ დამელოდები, კერძი გააცხელე და ისადილე. ანიკა“.

ორიოდე წუთის შემდეგ, ანიკამ კიბე ჩამოირბინა. ხელში ორი თავსაფარი ეჭირა. უფრო ლამაზი და ჭრელი გულოს გაუწოდა, მეორე თვითონ შეჰოიხვია და შეკავებული აღელვებით უთხრა:

— წავიდეთ!

— შენც? შენც მოდიხარ, ანიკა? — გახარებული შემოტრიალდა გულიკო.

— წავიდეთ, გულო, წავიდეთ ჩქარა!

— ოო, რა კარგია! ანი, არ გიკვირს, რომ დედამთილმა გამიშვა?

ანიკას არც გაუგია რა ჰკითხა გულომ, ისე დაუდასტურა მიკვირსო.

გულოს სიცილი წასკდა.

— ხვალ მუხიანში აპირებს სტუმრად

წასვლას და დღეს მე მომთაფლა, თვითონ მითხრა წადიო!

ანიკამ ფეხს აუჩქარა. ხელჩაკიდებული ქალები თემშარაზე გავიდნენ. იქიდან გამვლელ მანქანებს ხუთ-ხუთ მანეთად ჩაჰყავდათ მგზავრები ლელიანამდე.

ვინ გამოუშვებდა ანიკას ლელიანიდან მალე? გახარებული თანამშრომლები დაესიენ. ყველას უნდოდა მისი დამარტოხელება, მისი ამბის გაგება და, რაც მთავარია, თავისი ამბის მოყოლა, ძველებურად თავისი დარდის და სიხარულის განდობა.

ბანკის მოხუცმა დირექტორმა ალერსით დატუქსა ანიკა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ მოენატრა თავისი ძველი თანამშრომლები, ვერ მოახერხა ჩამოსვლა. შესვენების დროს მკლავი გამოსდო და სახლში წაიყვანა, თავისი თანამშრომლებიც მიიწვია საუზმეზე.

ასეთმა გულითადმა შეხვედრამ უცნაურად აალელვა ანიკა. მართალი იყო ლევან მაყაშვილი—ანიკამ სულაც არ იცოდა თავისი ფასი. სხვისგან პატივისცემა და სიყვარული ყოველთვის ახარებდა, მაგრამ ამას თავისი პირადი ღირსებებით კი არა ხსნიდა, არამედ იმით, რომ ის სხვები იყვნენ კეთილი და კარგი ადამიანები, რომ მათ ეგონათ ანიკა კარგი, სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი.

ახლაც უყურებდა ანიკა თავის გარშემო მოფუსფუსე დიასახლისს, თანამშრომლებს და გრძნობდა, რომ ამ ბოლო დროს სადღაც გულის სიღრმეში დასადგურებული სიცივე მოტყდა, გაქრა. უზომოდ მადლობელი იყო ამ ხალხის და, მხოლოდ მათი კეთილშობილებით ხსნიდა ასეთ გულთბილ შეხვედრას, ასეთ კარგ განწყობილებას.

— აი, მართალი ვყოფილვარ თუ არა? ხომ გეუბნებოდით, რომ ანიკა ვერ გასძლებს უსაქმოდ-მეთქი?! — რიგრიგობით მიმართავდა ბანკის დირექტორი თანამშრომლებს. — მართალი ვყოფილვარ თუ არა? თქვენ კი მეკამათებოდით!

არავინაც არ ეკამათებოდა მას. არც არავის ჰქონდა რამე სადაო. ყველას სჯეროდა, რომ თუ ანიკა აქამდე არ მსახურობდა, ალბათ ასე იყო საჭირო, და თუ ახლა გადაუწყვეტია სამსახურის დაწყება, ჩანს, ამის დროც მოსულა.

ყველამ მოუწონა გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ ანიკას არ დასჭირდებოდა სამუშაოზე სახლიდან შორს სიარული. შინდის და ორხევის მოსახლეობა დიდი ხანია მოითხოვდა შემნახველი სალაროს დაარსებას. შეთანხმდნენ, რომ ანიკა მეორე დღეს ისევ ჩამოვიდოდა ლელიანში და ბანკის დირექტორთან ერთად თავს გამოაბამდა ამ საქმეს.

შინაგანად დაწყნარებული, გახარებული იმით, რომ სხვისთვისაც რაღაც სასარგებლო საქმეს მოეკიდებოდა, ბრუნდებოდა ანიკა შინ. დედა არ ენახა კარგა ხანია და გულმა ველარ გაუძლო, გზად ვარაზშიც შეიარა.

სწორედ იმ დღეს, განსაკუთრებული ნებივრობის გუნებაზე იყო ბაგრატ დემურიშვილი. სამსახურში მისვლას სულაც არა ჩქარობდა. ვინ იცის რამდენ ხანს იქნებოდა შინ მხარ-თეძოზე წამოქცეული, კანტორის დარაჯს რაღაც სასწრაფო პაკეტი რომ არ მოეტანა. პაკეტში სახერხი ქარხნის დირექტორის წერილი იყო, პირადად დემურიშვილის სახელზე და ანგარიში კოლმეურნეობის სახელზე.

დემურიშვილმა ჯერ წერილი წაიკითხა, მერე ანგარიში გადაათვალიერა. ცოტა არ ეჭაშნიკა.

— დალახვროს ღმერთმა, რა ცუღლუტები არიან! განა ჩემი სახლის აშენებას ამდენი ხე-ტყე დასჭირდა? გამოცდილი ბიჭები კი არიან, ანგარიში კოლმეურნეობის სახელზე გამოუწერიათ, ბარაქალა! კარგადა აქვთ საქმე დაყენებული. როდის ის კომისია ჩამოვა და, ამათ უკვე ცნობა მიიღეს. დირექტორი იხვეწება ეს ანგარიში სასწრაფოდ გამინაღდეო. უნდა გავუნაღდო! ეგ კაცი რომ ჩავარდეს, მე თბილისში დაწყებულ მშენებლობისთვის ხე-ტყე სად ვეძიო?.. დღესვე უნდა გავუნაღდო! — დაასკვნა დემურიშვილმა და საოცარი სიცქვიტით გადმოხტა საწოლიდან, გამოეწყო, ხელ-

მოსაწერად გამზადებული ქაღალდებით და ანგარიშებით სავსე პორთველი ამოიჩარა იღლიაში და სოფლის ბოლოს ფარდულისკენ გასწია, სადაც ზაქრო ეგულებოდა. თან გული ეთანაღრებოდა. კარგად იცოდა, რომ სხვა ყველაფერში დაუდევარი და გულგრილი თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თანხების გაღებაში საოცარი წუწურაქი და ხელმოჭერილი იყო. თავის საკუთარ ფულს ვის მისცემდა, სად დაარიგებდა არასოდეს არ ახსოვდა ზაქროს, მაგრამ კოლექტივის კაპიკს ისე მისტიროდა, რომ ხელგულგაშლილ დემურიშვილს აქამდე არც ერთხელ არ გაუბედნია ზაქროს ჩარევა „სხვადასხვა“ ხარჯებში, თვითონ აგვარებდა ამ საქმეებს. დღეს კი რთული შემთხვევა იყო. ბუღალტერს ზაქროს ხელმოწერა სჭირდებოდა.

დემურიშვილმა გადაწყვიტა შორიდან შემოევლო თავმჯდომარისათვის, გაეგო როგორ გუნებაზეა და ამიტომ შეიწუხა თავი, ფარდულში ეახლა ზაქროს. ფრთხილად შეიხედა ფიცრებს შუა დარჩენილ ჭუჭრუტანაში.

ჯერ რვა-ცხრა წლის ბიჭი დაინახა. გადმობრუნებულ კასრზე იჯდა და სთვლემდა. მერე სატვირთო მანქანის ქვევიდან კოჭებამდე გამოწვდილი ფეხები დაინახა, ტილოს ჩექმებზე იცნო ზაქროს ფეხები. როგორც სჩანდა, ზაქრო მანქანის ქვეშ იწვა პირაღმა და რაღაცას უჩხიკინებდა ქვეშიდან.

დემურიშვილი მიწებებულივით იდგა სათვალთვალო ჭუჭრუტანასთან, როცა მანქანის ქვეშიდან ზაქროს ბრძანება გაისმა:

— ჩართე!

დემურიშვილმა სწრაფად ადგილი ინაცვლა და ახლა საჭესთან მჯდომი შოფერი დათოც დაინახა. ბრძანების მიღებისას დათომ თავზე ირიბად წაკრული წითელი ნარმის ხილაბანდი მოისინჯა და მოტორი ჩართო. მოტორმა ისე შეღრიალა, რომ ბურანში წასული ბიჭი გადმოვარდა კასრიდან. მერე ღრიალი დაცხრა და მანქანა ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან.

— კმარა! — გაისმა ბრძანება.

მანქანა გაჩერდა.

„აუმუშავებია... კარგ გუნებაზე იქნება...“ — გაიფიქრა ბუღალტერმა და რიხიანად შევიდა ფარდულში.

— ეი, ოქრო, არ იცი სად არის ჩვენი თავმჯდომარე? — ვითომ ზაქროს ფეხები არ შეუნიშნავს, შეეკითხა ბიჭს, რომელიც შუბლშეკრული ისინჯავდა გადაყვლეფილ მუხლისკვერს.

— აგერა! — ამაყად გადასწია ბიჭმა თავი და მიუთითა მანქანაზე.

— დაუძახე, შენს გაზრდას, საჩქარო საქმე მაქვს! — სთხოვა ბუღალტერმა ბიჭს, რადგან თავისი თავის პატივისცემა ნებას არ აძლევდა მანქანის ქვეშ შემძვრალიყო, თანაც ეშინოდა გახამებული ხალათი არ დაესვარა.

ოქროპირმა უნდობლად შეათვალიერა მოსული და დაიხარა:

— ძია ზაქრო, ღიპიანი მოვიდა, საქმე მაქვსო!.. — საკმაოდ ხმამაღლა აუწყა ბავშვმა თავმჯდომარეს ბუღალტერის მოსვლა.

„დამაცა, მოვა დედაშენი ჩემთან, გიჩვენებთ „ღიპიანს“, — გაივლო გულში დემურიშვილმა.

— ვინა? დემურიშვილი? უთხარი თავისი საქმეებით და ქაღალდებით კუდში ნუ დამდევს, მაგისთვის არა მცალია!

ნასიამოვნები ბიჭი დემურიშვილს მოუტრიალდა, მაგრამ ზაქროს ნათქვამის გამეორება აღარ დასჭირდა, დემურიშვილმა თვითონაც გაიგონა თავმჯდომარის პასუხი და წასვლა არჩია, ჩვეული კეთილისმდომი ღიმილით გაეცალა ფარდულს.

ცოტა ხნის შემდეგ დაღლილი, ზეთში, ბენზინში და მჭვარტლში ამოგანგლული ზაქრო გამოძვრა მანქანის ქვეშიდან. კასრზე წამოსკუპებულ ბიჭს ლოყაზე მოუთათუნა.

— ერთი ამ ეშმაკის ფეხს უყურეთ! არ დაიღალე, ან არ მოგშივდა?

— ნწუ!.. — ანთებული თვალებით შეხედა ბიჭმა ზაქროს.

— შენ რაღას უცდი? — მიუტრიალდა ზაქრო შოფერს.

— ამხანაგო ზაქრო, არც კი ვიცი მადლობა რით...

— წადი, წადი! — შეაწყვეტინა ზაქრომ შოფერს, — მუხიანელი მაინც არ იყო, შეგირცხვა თავი! მე შენ მანქანას კი არა, სახედრიან ტაჩკასაც არ განდობდი, ასე გადაეცი თქვენ თავმჯდომარეს.

არავის არ შეარჩენდა დათო ამგვარ გაკილვას, ტყუილად კი არ ეძახდნენ მეტსახელად „ჩხუბიან დათოს" მაგრამ ზაქროს სიტყვაც ვერ შებედა, პირიქით, ძალიან უნდოდა თავი მოეწონებინა და უთხრა:

— ემტეესში ვიწყებ მუშაობას. ტრაქტორზე გადავდივარ, ამხანაგო ზაქრო!

— გირჩევნია საკვრავ მანქანას მიუჯდე!

— რადა? ჩემგან ხეირიანი ტრაქტორისტი ვერ დადგება? — ისე დასწყდა გული შოფერს, რომ ზაქროს შეეცოდა.

— ემაგ გოგრაზე რაღა წაგიკრავს?

— ქოჩორი უნდა რომ დაიყენოს! — დასცინა ოქრომ.

დათომ თვალები გადაუბრიალა ბიჭს და ზაქროსთან მოიბოდიშა:

— საღამოზე ერთი საგანგებო შეხვედრა მაქვს და... — მანქანა ფრთხილად გამოიყვანა ფარდულიდან, შარაზე გადავიდა.

— ძია ზაქრო, შეიძლება რომ მეც შოფერი ვიყო? — იკითხა ოქროპირმა, როცა მანქანა მტვრის კორიანტელს მიეფარა.

— შეიძლება, — სერიოზულად უპასუხა ზაქრომ და უცბად სტაცა ხელი ბიჭუნას, მკლავზე გადაიწვინა, სოფლისკენ წავიდა.

ასე მოულოდნელად ზაქროს მკლავებში მოქცეული ოქროპირი ჯერ ფართხალებდა, მერე ზაქროს ღილინს მიუგდო ყური, თანდათან მიინაბა და შეუმჩნევლად მიიძინა.

პატარა, გამხდარმა დედაკაცმა, ოქროპირის დედამ ოლამ ზაქროს მკლავებზე უმოძრაოდ გადაწვენილი რომ დაინახა შვილი, ერთი შეჰკივლა და შიშისაგან მუხლმოკვეთილმა იქვე ჩაიკეცა. ოთხი, ოქროს მომდევნო გოგო და ბიჭი ტირილით შემოეხვივნენ დედას.

ამ ხმაურობით გაღვიძებულმა ოქრომ მსუბუქად გადმოხტა მიწაზე და თავმომწონედ გაუღიმა და-ძმებს. ცოცხალი და სრულიად დაუზიანებელი რომ დაინახა შვილი, ოლას შიში დაუცხრა. ახლა გაბრაზა კიდევაც მისმა ღიმილმა, დააპირა ერთი ორი წამოერტყა ბიჭისთვის, მაგრამ ოქრო მარჯვედ დაუსხლტა ხელიდან და ზაქროს ამოეფარა.

ოლამ იქვე გზის პირს ჰინჭარი მოკრიბა და შვილს დაემუქრა:

— მე კინაღამ დამბლა დამეცა და შენ იცინები? დამაცა, დაგიჭერ, შე არდასაცალებელო, ნახავ რა დღეს დაგაყრი!

— ნუ უწყრები, ოლა, — შეეხვეწა ზაქრო გაბრაზებულ ქალს, — მუქთად კი არ დაუკარგავს დრო, იცი რამდენი მოინაგრა?

— მოინაგრა?! — სრულიად მოულოდნელად ატირდა ოლა, ჰინჭრის კონა გადააგდო, დაკონკილი კაბის კალთა გასწია. — აი, ჩვენი მონაგარი! წელში გავწყდით მეცა და ჩემი ბალღებიც, მაგრამ მაინც მშივრები და ტიტლიკანები დავდივართ!.. შენ კი აინუნში არაფერი მოგდის, მანქანებთან ჩხირკედელაობის მეტი-ი...

შუბლშეჭმუხვნილი, დაღვრემილი ზაქრო ისარნაკრავივით გაეცალა ატირებულ ქალს. გულდამძიმებულმა კანტორას მიაკითხა.

ზაქროს დანახვაზე დემურიშვილმა შვებით ამოისუნთქა. გახარებული შეეგება. ახლახან კიდევ დაურეკა სახერხი ქარხნის დირექტორმა. შეეხვეწა ანგარიში სასწრაფოდ გამინაღდეო.

ბუღალტერმა გვიანობამდე შეიყოლია ზაქრო საქმიანი ქაღალდებით, ტყუილ-მართალი ამბებით და ბოლოს სხვა დოკუმენტებთან ერთად ქარხნის ანგარიშიც დაუდო წინ ხელმოსაწერად.

ნელ-ნელა, ზანტად აწერდა ზაქრო ქაღალდებზე ხელს, რაღაც ფიქრებში წასულმა, მოაწერა ხელი ანგარიშსაც, მაგრამ უცნაური რამ მოხდა. გახარებულმა დემურიშვილმა თავი ვეღარ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკავა, სწრაფად წაატანა ხელი ხელმოწერილ ანგარიშს. დაბნეულს, კალაპოტიდან ამოვარდნილ ზაქროს თვალში უსიამოვნოდ მოხვდა ფრჩხილებ წაწვეტებული ფუნთუშა ხელი. მის გვერდით მეორე ხელი მოეჩვენა — ჭინჭარმოქნეული ოლას შავი, გამხდარი, კოჟრიანი ხელი და ტანში გაზარა. ჩაახველა, გამშრალი ყელი ჩაიწმინდა, ქაღალდი თვალებთან მიიტანა, დააკვირდა. ისე გაწითლდა, თითქოს სისხლი თავში აუვარდაო, დემურიშვილს შეხედა და ანგარიშმიუცემლად სწვდა მძიმე სამელნეს.

გაფითრებულმა დემურიშვილმა ჯერ კარისკენ დაიხია, მერე რაღაც მოისაზრა, სწრაფად მიუახლოვდა ზაქროს, ხელები მუდარით დაიჯვარედინა გულზე.

— ნუ დამღუპავ, ფილიმონიჩ, ცოლშვილის პატრონი ვარ...

საოცარი სანახავი იყო, შიშისაგან წამხდარს, მოკუნტულს, სახეზე ისევ ის, კეთილისმდომის ღიმილი შერჩენოდა, ხმა კი უკანკალებდა.

ზაქრომ სული მოითქვა. ანგარიში დაქეცა, ჯიბეში ჩაიდო და ტირილით მოღუღლუღე ბუღალტერს ზიზღით მოერიდა, განზე გაუარა, ოთახიდან გავიდა.

დემურიშვილმა თავმჯდომარეს თვალი გააყოლა და გამშრალი ტუჩები ენის წვერით დაისველა. შიში რომ დაუცხრა, გონსაც მოვიდა, ღიმილი ჩამოირეცხა სახიდან, საქმიანად ასწონა ხელში მძიმე სამელნე და ხიფათისაგან გადარჩენა მიულოცა თავის თავს. რაკი გახელებულ ზაქროს გადაურჩა, ახლა აღარა უჭირდა რა. სად მიიტანდა სიყმაშვილი იმ ანგარიშს? სადაც უნდა მიეტანა, დემურიშვილი მოახერხებდა საკითხის გადაწყვეტა ვარამაძის კაბინეტში გადაეტანა და იქ კი...

„განა დაკარგა ძალა ნათესაურმა კავშირმა? უნდა დაჩქარდეს ამ კავშირის დამყარება. ვარამაძის ქალიშვილი ყველასათვის სახარბიელო სარძლოა. იყო ტკბილი ჭუკჭუკი იმ ჩემს ძმისწულს. საქმე საქმეა, დაჩქარდეს, თორემ...“ — დემურიშვილმა თითები გაატკაცუნა, დაიმედებულმა დასტოვა ზაქროს კაბინეტი.

ზაქრომ კი სახლს მიაშურა. ანიკა! ანიკამ იცის გაასპიტებული ზაქროს დაშოშმინება, საქმის ავ-კარგის გაგება, საჭირო სიტყვის თქმა. ჩქარობდა ზაქრო, მაგრამ... ჩაბნელებულ ეზოში მარტო ყურშა შეეგება კუდის ქიცინით.

უარესად გულამღვრეულმა წაიკითხა ანიკას ბარათი, დაჭმუჭნა და გადააგდო. გულის ფიცართან წვა იგრძნო და საჭმელი გაახსენდა. ნავთქურა აანთო, ქვაბი დაადგა ზედ, თვითონ კი ტახტზე წამოწვა. ძილიდან თუ ფიქრებიდან დამწვრის სუნმა გამოაფხიზლა. თვალი გაახილა, მაგრამ უცბად ვერ გაერკვია სად იყო. ახლახანს დაკრიალებული და თეთრად მოკასკასე ოთახი შავად გამოიყურებოდა. ჭერიდან დაშვებული მჭვარტლის ფოჩები ნელა ირხეოდნენ. ირგვლივ მჭვარტლისავე ნაფლეთები დაფარფატებდნენ. დახრუკული საჭმლის და ქვაბის გულისამრევი სუნი იდგა.

ზაქრომ ხელ-პირი და თავი ღელეზე დაიბანა, ზედა ტანსაცმელი იქვე დაყარა, თვითონ ნაბადში გაეხვია და ბალნარში მიეგდო...

ხშირი ბინდი იყო ანიკამ რომ შინდას მოაღწია. შორიდანვე შეატყო, რომ სახლი ჩაბნელებული იყო. „ნუთუ არ მოსულა ზაქრო?“ გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა, სულმოუთქმელად აიარა კიბე, შუქი ჩართო და...

მაგრამ ისეთ კარგ გუნებაზე იყო ანიკა, რომ წარბიც არ შეუხრია. თვალი მოჰკრა ბალნარში მძინარე ზაქროს და ჩაეცინა. „მშიერი იქნება“ უმალვე გაიფიქრა და დატრიალდა, სახელოები დაიკაპიწა. სასადილო ოთახს დაუტრიალდა, სახელდახელოდ მიალაგა ყველაფერი, თეთრეული გამოცვალა. საკუჭნაოდან ამოზიდა წნილეული, ცივად შენახული ღვინო, ერბო-კვერცხი გააკეთა და ზაქროს მიუახლოვდა, ფრთხილად გადაუწია ნაბდის ყური.

— ადექი, ზაქრო, ვახშამი მზად არის...

ზაქრო არ განძრეულა.

— გძინავს? გაიღვიძე. იცი რა უნდა გახარო? შინდაში შემნახველი სალარო გვექნება...

— დამეხსენ! — უხეშად უპასუხა ზაქრომ, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და თუმცა ანიკას ხმა აღარ ამოუღია, უფრო უხეშად გაიმეორა: — დამეხსენ-მეთქი!

...უცბად გაქრა სიმშვიდეც, სიხარულიც, სითბოც...

დილას ზაქრომ ხელუხლებელ მაგიდასთან დაინახა ანიკა. მიხვდა — ასე მჯდარა, თითქოს არ გაუვლია ღამესო, მაგრამ შუბლი არ გახსნა, უმძრახი წავიდა. მხოლოდ შორიდან, უკვე გორდაზე მჯდომმა, დაცინვით დაუძახა:

— მე ტურიასთან ვისადილებ. შენ კი მონახე ვინმე, ღამე გამომცილებელი დაგჭირდება!

დაუძახა და გამეტებით გადაუჭირა გორდას მათრახი, თვ:ლს მ ;ეფარა.

ანიკა რაიონში აღარ წავიდა.

რა იცოდა, რომ მომავალში ისე ძვირად დაუჯდებოდა ეს გაუმართლებელი დათმობა?!

საღამოთი, განზრახ შინ ადრე დაბრუნებული ზაქრო შორიდანვე დარწმუნდა, რომ ანიკა აღარსად აღარ წასულა. უწინდელი ნათელი ღიმილით შეხვდა ცოლს, უნდოდა თავისი უხეშობის გამოსყიდვა, თ:უ რაღაცა უფრო მძიმე შეცდომის გამოსწორება ეწადა — ამის გაგება ვერც ერთმა ველარ მოასწრო. განვლილი უთანხმოება არც ერთს აღარ უხსენებია, ეგონათ — ღრუბელმა გადაიარაო.

მაგრამ მალე ორ:ავემ იგრძნო, რომ ის, ერთი შეხედვით პატარ: უთანხმოება, კირკიტა მარცვალივით ჩარჩა სადღაც მეხსიერებაში. ღიმილი გაძვირდა მათ სახლში.

სულ ჩამოშორდა ხალხს ანიკა. რიღაცის რცხვენოდა. გულიკოსაც კი მოერიდა, აღარც დედულეთს გაეკარა. თითქოს ლობის გადაღმა აღარაფერი არსებობდა მისთვის...

ზაქრო კი უფრო და უფრო ხმაურიან შეკრებილობას ეძებდა. ვითომ სულ ხალხში ტრიალებდა, მაგრამ სინამდვილეში უყვარდა ყოფნა მხოლოდ იქ, სადაც არ აბეზრებდნენ ჩივილით, რჩევით, დარიგებით.

ასე მიდიოდა, მიიზლაზნებოდა დრო.

არც ერთის გული არ ისვენებდა. დროდადრო აფართხალდებოდა, არ უნდოდა ჟანგის მოკიდება.

ერთ დღეს, როცა ზაქროს ხალხი ზვრებში ეგულებოდა, გორდა მოიკითხა და მინდვრებისაკენ გასწია. პური უკვე აღებული იყო, საშემოდგომო თესვისათვის მზადება კი ჯერ არ გაშლილიყო.

ღრუბლიანი დღე იყო. ცა და ველიც ერთიანად ნაცარწაყრილი ეჩვენებოდა. უსიხარულო ნაცრისფერი თითქოს ამძიმებდა ჰაერს, სუნთქვას უძნელებდა. აქა-იქ თითო-ოროლა გუთნიანი ტრაქტორი გრუხუნებდა, უფრო საგრძნობს ხდიდა დამძიმებულ სიჩუმეს.

არც იცოდა აქ რამ მოიყვანა. წავიდა ის დრო, როცა მას აღელვებდა ამ მინდვრების მდგომარეობა. გულგრილად გაჰყურებდა მოწყენილ ველს... აღარც კარავი, აღარც მზეზე აჭრელებული ფერები, არც მხიარული გოგო-ბიჭები და არც ის, ნიავივით მარდი, უნაზისფერთვალებიანი გოგონა-ციცინათელა...

შინდელების ნაკალოვარზე ქალები ხორბალს ანიავებდნენ, ეჩქარებოდათ წვიმას არ მოესწრო.

ზაქრომ გულში ინანა აქ მოსვლა, მაგრამ უსალმოდ გატრიალებაც აღარ შეიძლებოდა, ნელა მიუახლოვდა ქალებს, ნენე დაინახა, მთლად წაუხდა გუნება.

— გამარჯობათ, ქალებო! — დაიძახა ნაძალადევი ღიმილით.

აქეთ-იქიდან უხალისოდ უპასუხეს, მხოლოდ გახარებული ოქროპირი მივარდა, გორდა ჩამოართვა. ერთმა გადაყრუებულმა დედაბერმაც უთხრა:

— გამარჯვებით გატაროს, შვილო!..

— აბა, რასა სწყევლი? — მაშინვე ეცა პირში დედაბერს ნენე, — ეხლა რომ დადის, ასე თუ იარა, დიდ გამარჯვებას მიეწევა სწორედ!

ზაქრო სულაც არ იყო ნენესთან პაექრობის ხასიათზე, ამიტომ მიმოიხედა,

არ იცოდა როგორ დაეღწია თავი, მაგრამ დონჯშემოყრილი ნენე გადაუდგა წინ, ბრაზმორეულმა მიახალა:

— ამხანაგო თავმჯდომარევ, სტუმარივით რომ აგვივლი და ჩაგვივლი ხოლმე, რასა ფიქრობ? წელსაც კაპიკები უნდა გავინაწილოთ?

— კაპიკებია, თუ მანეთები, მეც იმდენს მივიღებ, რამდენსაც შენ! — აენთო ზაქროც, არ მოელოდა სიტყვის ამგვარ შემობრუნებას.

ნენემ ველარ გაუძლო ზაქროს მწვანე ნაპერწკლებად ანთებულ თვალებს და მის საყელოზე დაკერებულ სადაფის ღილებს მიაჩერდა, ბრაზი კი ისევ უქოთქოთებდა გულში.

— „იმდენს მივიღებ, რამდენსაც შენ“, დიახ! რა გენაღვლება? შენ ცოლი საქორწილო ბიჭივით ნაირ-ნაირებში გმოსავს და ჩვენ? მე აი, ეს ერთადერთი კაბა მაქვს!

არა, არ უნდოდა ზაქროს გაჯავრება. „ბოლოს და ბოლოს, ნენე მართალია და მაგისი აშკარა გაკაპასება სჯობია, სხვების შუბლქვეშიდან უხმო საყვედურიან გამოხედვას“, — გაიფიქრა ზაქრომ და გაიცინა. სიცილით დასწვდა ნენეს კაბის კალთას, ხელით მოსინჯა ნაჭერი და უწყინარი ხმით უთხრა:

— ნუ ივლი, ლამაზო, პურის განიავებაზე აბრეშუმის კაბით და, ერთის ნაცვლად, ექვსი გექნება ჩითისა!

გაასპიტებულმა ნენემ მოულოდნელობისაგან ველარაფერი უპასუხა, კაბის კალთა გამოსტაცა ხელიდან, მზად იყო თვალები ამოეკაწრა მისთვის, მაგრამ ზაქრო დადუმებულ ქალებს მიუტრიალდა:

— მართალია, ნენე, განა მე თავათ არ ვიცი, მაგრამ რა ვქნა? მე რა ვილონო? — ისეთი სევდიანი ღიმილით თქვა, რომ ქალებს შეეცოდა, ნენეს გასანიავებელი ხორბლით სავსე თაბახი შეაჩეჩეს ხელში.

ზაქრომ კი თვალი მოჰკრა პატარა შემაღლებულთან გაჩხირულ ტრაქტორს და იქით გასწია. მას ფეხდაფეხ ოქროპირი დაედევნა.

— ოჰ, მეგობარს ვახლავარ! — დაცინვით აათვალ-ჩაათვალიერა ზაქრომ უძრავად მდგომ ტრაქტორთან თავჩაქინდრული ტრაქტორისტი. — რაო? არ გითხარი, გირჩევნია საკერავ მანქანას მიუჯდე-მეთქი?

— რა ჩემი ბრალია? ეს ტიალი მარტო ვაკეზე დადის და... — ჩაილუღლუღა სირცხვილისაგან აჭარხლებულმა დათომ.

— რაო? „საგანგებო“ შეხვედრა მოხდა თუ არა?

— არა...

— ძია ზაქრო, მე ვიცი, არ მივიდა დარია მაგასთან შეხვედრაზე!

— მართლა? — შეხედა ზაქრომ ტრაქტორისტს, ხედავ, ბავშვიც დაგცინისო? ჭკვიანი გოგო ყოფილა დარია... — დაუმატა მან და მანქანას დაუარა, ჩაფიქრდა.

ოქროპირიც აბობღდა მანქანაზე, იმანაც ჩახედა შიგ, მერე ქვევიდან ახედა ზაქროს.

— ძია ზაქრო, შეიძლება მე ტრახტორისტი ვიყო?

— ტრაქტორისტი! — სერიოზულად შეუსწორა ზაქრომ ბავშვს, — შეიძლება, მხოლოდ ამისთანა კი არა, აი ეს რომ არის, დათო. მე და შენ, ჩემო ოქროპირ, ისეთი ტრაქტორისტები უნდა ვიყოთ, ისეთი ტრაქტორი უნდა გამოვიგონოთ, რომელიც იალბუზზე ასვლაში ყველა ალპინისტს აჯობებს. რას იტყვი, თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ! — დაიძახა სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებულმა ბავშვმა.

— ჰოოდა, დროს ნუ დავკარგავთ, დავიწყოთ მოფიქრება... მოიტა იარაღი! — მოკლედ უბრძანა ზაქრომ ტრაქტორისტს და შეუდგა დაზიანებული ნაწილის შეკეთებას.

— მაგ კაცს არც შენი პური უნდა, არც წყალი, ოღონდ მანქანებში აჩხიკინე!.. — ყველას გასაგონად წაიდუდღუნა ოქროპირის დედამ, მაგრამ ვერავინ ვერ მიუხვდა, იწონებდა თუ უწუნებდა ოლღ ზაქროს ამ გატაცებას.

ეროვნული

ბაადურ ბექაური სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად წავიდა თბილისში. რამდენიმე დღის შემდეგ ზაქრომ მისგან მიიღო ცნობა, რომ სამინისტრომ თანხა გამოყო საზამთრო საძოვრებზე ფერმის ასაშენებლად.

გახარებული ზაქრო მაშინვე ლელიანს გაემგზავრა ვარამაძის სანახავად. იცოდა, რომ რაიკომის მდივანს ამ ბოლო დროს რატომღაც შესჯავრდა ბექაური. ამას წინად მოეჩვენა კიდეც თითქოს ვარამაძეს პარტორგი შესჯავრდა თავმჯდომარესთან უთანხმოების გამოო, მაგრამ ვარამაძემ მთლად გაუფანტა ეს ეჭვი. ეჭვი კი გაიფანტა, მაგრამ ზაქრო ამის შემდეგ უფრო უხერხულად გრძნობდა თავს ბაადურთან. ახლა იმიტომ აჩქარდა ლელიანში წასასვლელად, დარწმუნებული იყო, რომ პარტორგის პირადი ინიციატივა ამ მნიშვნელოვან საქმეში კეთილად განაწყობდა ვარამაძეს ბაადურისადმი.

გაუკვირდა ზაქროს, როცა ბექაურის ხსენებაზე ვარამაძე მოიღუშა, ვერ მიხვდა რათ ნერვიულობდა რაიკომის მდივანი, მხოლოდ იგრძნო, რომ ფერმაზე ლაპარაკი არ ესიამოვნებოდა.

დიდხანს ემუსაიფა ვარამაძე ზაქროს ტექნიკაზე, რეაქტიულ თვითმფრინავზე, ატომურ ყუმბარაზე, ეკამათა ომზე და მშვიდობაზე, მერე ისევ მოიღუშა.

— ემტეესის დირექტორი ჩვის და მართალიც არის. აუარებელი საწვავი იხარჯება, დრო იკარგება და რაც მთავარია, ძვირფასი მანქანები სწრაფად გამოდიან მწყობრიდან აქეთ-იქით გრიხინში...

— შორს არის ემტეესი საკოლმეურნეო მინდვრებიდან... — ჩაფიქრებით დაუდასტურა აზრი ზაქრომ.

— არა, ემტეესი სწორედ კარგ ადგილზე აღმოჩნდება, როცა კეეერას ათვისებას დავიწყებთ.

— ეჰ, ეგ როდის იქნება... — მოიღუშა ახლა ზაქროც. გაახსენდა შეუსრულებელი დაპირება ფართობის გადიდების შესახებ.

— ეგ მალე იქნება. ემტეესს ამ მხრივ საუკეთესო პოზიცია[illegible], მაგრამ აქეთ მხრის მინდვრები კი მაინც დაშორებული დარჩება, ეს ნიკოლოზ ხელაშვილს არ სურს შეისმინოს.

— ხელაშვილს? — გაუკვირდა ზაქროს. ვარამაძესგან მას უკვე ბევრჯერ სმენია ხელაშვილზე საყვედური, მაგრამ ახლა რა შუაში იყო სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე?

— ემტეესმა თვითონ იზრუნოს თავის მანქანებზეო! — თითქოს განუმარტა ვარამაძემ ზაქროს ხელაშვილის ნათქვამი და მერე ჯავრიანად განაგრძო: — განა მანქანებზე ფიქრი და ზრუნვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კი არ ევალება?

„მართალია ემტეესი ყველაზე მეტად მუხიანიდან არის დაშორებული. ამავე დროს, ემტეესი ყველაზე მეტად იმ დიდ მეურნეობას ემსახურება, მაგრამ რა შეუძლიან ხელაშვილს?“ — ისევ გაკვირვებული ფიქრობდა ზაქრო და მერე უცბათ მიხვდა. ვარამაძეს უნდოდა, რომ მუხიანთან ახლოს ყოფილიყო მანქანების სადგომი.

— ალბათ ხარჯს ერიდება! — დაასკვნა მან ხმამაღლა თავისი აზრი.

— და განა ხარჯი კოლმეურნეობას დაეწერება? საქმე მხოლოდ ის არის, რომ ემტეესს ამჟამად არა აქვს თავისუფალი თანხა, მერე გადაუხდიდა დანახარჯს, მაგრამ... სამწუხაროდ, ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვერ შეეჩვია ფართოდ, სახელმწიფოებრივი ინტერესის თვალსაზრისით განსჯას. მესაკუთრულ ტენდენციას მაგრად აქვს გადგმული ფესვი. მილიონს ბანკში შეინახავენ და საერთო საქმისათვის კი დროებითაც ვერ შეელევიან ვერც ერთ კაპიკს!

ზაქრო ჩაფიქრდა. ვარამაძის ნათქვამი გულზე მოხვდა. ვარამაძემ ეს შეატყო და გულთბილად გაუღიმა, თითქოს წინასწარ დაუდასტურა და მოუწონა განაფიქრი. მერე ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ზოგი თავმჯდომარე კაპიტალს აგროვებს, ზოგი ფერმას აშენებს და

საერთო საქმისთვის კი არავის სცალია!..

ხმამაღლა მეტი არაფერი თქმულა ამის შესახებ, მაგრამ ზაქროს უცნაურად აეკვიატა ის აზრი, რომ ფერმა მხოლოდ შინდელებს მოუტანდა სარგებლობას და მანქანების სადგომს კი მნიშვნელობა ექნებოდა მთელი რაიონისათვის.

რამდენიმე დღე დადიოდა ზაქრო ჩაფიქრებული, მერე თბილისში ნაცნობ არქიტექტორებს მისწერა წერილი, რაიონის ინჟინრები მოინახულა და რაღაც ნახაზებს უკირკიტებდა. მალე ვარამაძესთან მიიტანა მექანიზატორების ეზოს მშენებლობის გეგმა.

ვარამაძეს გეგმა ძალიან მოეწონა და ვერ გაეგო რაღათ იყო ზაქრო დაღონებული.

— გეგმა კი გვაქვს, მაგრამ... — ჩუმად თქვა ბოლოს ზაქრომ.

— თანხა გაკლია... — გაიცინა ვარამაძემ, — მე მეგონა, რომ შენ სახსრები დაგულებული გქონდა, როცა ამ გეგმის შედგენას შეუდექი.

— მე რა შემიძლიან?.. — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ზაქრომ.

— იცი რას გეტყვი? — დაადო მხარზე ხელი ვარამაძემ, — გამოგზავნე შენი დემურიშვილი, ჩვენს ფინანსისტებთან მოითათბიროს, ეგებ ნახონ გამოსავალი... მერე ხმამაღლა გაიცინა და იხუმრა: — სახერხი ქარხნის ანგარიში გიხსნის. იმ სამახსოვრო ინციდენტის შემდეგ, დემურიშვილი არაფერს არ დაზოგავს, რომ კარგი საჩუქრით გასიამოვნოს...

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი და შინდელების ყურადღება მიიპყრო სოფლის ბოლოს დაწყებულმა მშენებლობამ. გამგეობის წევრები მხრებს იჩეჩდნენ, ვერ გაეგოთ ახლა რით იყო მათი თავმჯდომარე გატაცებული, რა შენდებოდა ასეთი არაჩვეულებრივი სისწრაფითა და ხალისით. ბაადურ ბექაური კასპიის ზღვის პირას მდებარე საზამთრო საძოვრებზე იყო. გაოცდნენ შინდელები, როცა გაიგეს, რომ შენდებოდა მანქანებისა და მექანიზატორების სადგომი. რა შუაში იყო მათი კოლმეურნეობა ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე? გაოცდნენ იმიტომ, რომ ემტეესი მათ დროდადრო თუ მიამადლებდა რაიმე მოძველებულ მანქანას და იმასაც თან მოსტიროდა, მთა-გორიანზე დამიმტვრევენო. არც ხეირიან მექანიზატორს უყვარდა შინდაში წამოსვლა.

— ის ემტეესის დირექტორი გაგიჟდა, თუ რა მოუვიდა? მექანიზატორების სადგომია, ტრაქტორისტების ეზო, თუ რაღაცა ჯანდაბა, ჩვენ რას გვარგებს, რად გვინდა? — ჯავრობდნენ შინდელები. — მაგისთვის მეხიანელებმა იხეთქონ თავი, მაგათ მინდვრებში დააქანებენ მანქანები, ჩვენ რა? ნატეხს მოსტეხიანო, სწორედ ეს არის. რაღა ამ ჩვენს ფართობზე აშენებენ ჩვენი გულის გასახეთქად?! ან ვისი ფულით აშენებენ ნეტა? ეს ჩვენი თავმჯდომარე ისეთ პასუხს იძლევა, გეგონებათ გაზეთს კითხულობსო: საბჭოთა ხალხის ფულით შენდებაო, საბჭოთა ხალხისთვისაო, კოლექტივისთვისაო. დიდება უფალს! რამ გამოცვალა ეს კაცი, ლაპარაკიც კი გაუგებარი გაუხდა! მაშ გამგეობას არ უნდა უთხრას რას აშენებს, ან ვისი ფულით? პარტორგი მაინც ჩამოვიდეს, ის გვეტყოდა ყველაფერს...

ანიკას ყური ჰქონდა მოკრული, რომ სადღაცა რაღაცა შენდებაო, მაგრამ ხალხს მოწყვეტილმა ხეირიანად არაფერი იცოდა, ქმარსაც არაფერს ეკითხებოდა. ხშირად ძილდამფრთხალი, გარინდებული გათენებამდე უცდიდა. პირველ ხანებში ზაქრო ხმას მაინც მიაწვდიდა ხოლმე — დამიგვიანდებაო, მერე ესეც მოიშალა.

ერთხელ გვიან ღამით, როცა ანიკა აღარც ელოდა, მაშინ მოვიდა ზაქრო შინ. დაღლილი იყო თუ ანიკას მოეჩვენა ქმარი გამხდარი და გაფითრებული.

— ვახშამი გაგიცხელო?

ზაქრომ უარის ნიშნად თავი გააქნია და მოგვიანებით, ჩუმად თქვა:

— ყიზლიარში ავდარს ცხვარი გაუჟლეტია...

— არ მიხედავ?..

— მალე ეზოს მშენებლობა დამთავრდება...

— პარტორგი მაინც წავიდეს, მიხედოს ცხვარს!

— გაზაფხულობით ნატყვიარი ყველას სტკივაო, ამბობენ...

— ლოგინი დაგებულია. — უთხრა ანიკამ ხმადაბლა, თითქოს ავადმყოფს მიმართავდა.

ზაქრო საწოლისაკენ გაემართა.

— ბექაურს ყიზლიარი წელს გაუტკბა...

— ? ? ?

უცნაური, მძიმე დუმილი უეცრად დაარღვია ყურშას გააფთრებულმა ყეფამ და კაცის ძახილმა:

— ზაქრო! ზაქრო-უ!..

— რომელი ხართ? მობრძანდით, დაბმულია ძაღლი! — დაიძახა ანიკამ აივნიდან, ეზოში ჩასვლა დააპირა, მაგრამ იცნო სწრაფად მომავალი სტუმარი და შეჩერდა: — მობრძანდით, შინ შემობრძანდით, ახლახანს გახსენებდით!

— ბაადურია? — გაისმა ოთახიდან ზაქროს ხმა და ისეთი აშკარა უკმაყოფილება იგრძნობოდა ამ ხმაში, რომელიც სტუმარსაც მისწვდა უსათუოდ, რომ ანიკა მთლად დაიბნა. მოსულს სალამზე ძლივს უპასუხა, უხმოდ გაუძღვა ოთახისკენ.

— ზაქრო! — შესძახა მოსულმა, რომელიც ვერაფერს ვერ ამჩნევდა, ჩანდა თავს ძალას ატანდა, ცდილობდა დაეფარა თავისი აღელვება, მაგრამ აღელვებისაგან დაავიწყდა, რომ მისასალმებლად გამოწვდილი ზაქროს ხელი თავის ხელში შერჩა.

არც ერთი აღარ ჩქარობდა დალაპარაკებას. თითქოს არც ყოფილიყოს ეს ანაზდეულად შემოჭრილი ხმაური, ოთახში ისევ ის, წელანდელი მძიმე დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ ახლა უფრო აუტანელი.

— მაშ დაილუპა მთელი ნამატი? — კუშტად, თავაულებლად იკითხა ზაქრომ.

— გადარჩა სწორედ იმდენი, რამდენსაც მწყემსების უბე-კალთა დაიტევდა! — ვერ შენიშნა ბაადურმა, რომ აღელვებისგან ლაპარაკში მოხევური კილო გამოერია.

— მაგით რისი თქმა გინდა?

— რომ მზრუნველი პატრონი ამას დიდი ხნის წინ გაითვალისწინებდა.

— თქვენ ხომ იქ უფრო ახლოს იყავით, რატომ თქვენ ვერ გაითვალისწინეთ ავდარი?

— მართალია უფრო ახლოს ვიყავით, მაგრამ მკერდით ავდარი ვერ შევაჩერეთ.

— არ ვარგებულხართ. ხალხი უარეს შეტევას დაუდგა მკერდით.

ბაადურმა ნერვიულად გაიარა ოთახში, გაფითრებულ ანიკას მოჰკრა თვალი, კვლავ დაძალა თავისი აღშფოთება, სწრაფად შემოტრიალდა, ჩამუქებული თვალებით ნელა მიუახლოვდა ზაქროს.

— რისთვის გჭირია ეს ურგები ლაპარაკი? პირდაპირ მითხარ, ვაჟკაცურად, რა მოხდა, რამ შეაფერხა მშენებლობა საძოვრებზე?

ზაქრო აენთო, რადგან ამ წუთში უსაზღვროდ შეეჯავრა თავისი თავი, მართლაც არ ეყო გამბედაობა ბექაურისათვის თვალი გაესწორებინა და სრული სიმართლე ეთქვა. ამიტომ დაცინვით მიუგო:

— ოჰ, მაგას რა დიდი გამბედაობა უნდა? საქმემ მოითხოვა და ფერმის მშენებლობა დროებით შევაჩერეთ.

— ვის შეუთანხმე ეგ საკითხი?

— ვისთანაც საჭიროა!

— მე ვიცი სადაც ჩაგინერგავდნენ მაგ უკუღმართ აზრს... — ოდნავ გასაგონად თქვა ბაადურმა.

მოულოდნელმა სევდამ მის ხმაში თითქოს გონს მოიყვანა ზაქრო. მან მკლავში მოკიდა ხელი ბაადურს და ძალად დასვა სკამზე, თვითონაც დაჯდა.

— ბაადურ, თუ ძმა ხარ, ნუ ჯავრობ, ყური მიგდე. — უთხრა და მერე, თითქოს ცდილობდა ზუსტად გაემეორებინა ერთხელ უკვე ნათქვამი, ნელა განაგრძო: — ფერმა საჭიროა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ ჩვენ

გვამოქმედებდეს მხოლოდ ჩვენი ვიწრო ინტერესი... ხომ არის ისეთი რამ, რაც საჭიროა არა მხოლოდ ერთი კოლმეურნეობისათვის, არამედ მთელი რაიონისათვის...

— არ მესმის.მერე? — მოუთმენლად შეაწყვეტინა ბაადურმა.

— მერე და... მე ძალიანა გთხოვ, საქმეს შეხედო ფართოდ, სახელმწიფოებრივი ინტერესის თვალსაზრისით. ფერმა მხოლოდ ერთ კოლექტივს ეკუთვნის, დაიცდის. სადაც ამდენ ხანს, ცოტასაც დაიცდის, სამაგიეროდ კი, თუ გინდა ახლავე წავიდეთ, დაათვალიერე როგორი ეზო გაშენდა მექანიზატორებისათვის...

— რაო? — წამოიჭრა სკამიდან ბაადური, — მაშ ეგ მართალია? მე კი არ დავიჯერე!..

— დაიცა, ნუ ღელავ, მომისმინე...

— არა, არ მინდა! მე არ შემიძლიან თქვენსავით „ფართოდ“, „სახელმწიფოებრივად“ შევხედო ამ საქმეს. მე ეგ სულ სხვანაირად მესმის. ეგ ხომ სიყალბეა?! ეგ ყალბი კეთილდღეობის მოსაჩვენებლად გინდათ, ეგ...

— გეყოფა!.. — წამოიჭრა ნაწყენი ზაქრო.

— ოო, ზაქრო, როგორა ვნატრობდი, რომ შენ არა ყოფილიყავი ამ საქმის მონაწილე. შენც ხომ გივლია ბალღობაში მწყემსებთან. შენ ხომ იცი მათი მძიმე ცხოვრება. როგორ შეგეძლო ასე მოქცეოდი მათ, როგორ? მაგრამ ჰაი, რომ შენ მძიმედ ხარ დასნეულებული და წამალს კი არ იკარებ... რა გაეწყობა? მეტს ველარ ვიცდი. ერთხელაც მივალ ვარამაძესთან, თუ საჭიროა თბილისში წავალ...

ბაადური ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, თან კარისკენ იხევდა, მერე სწრაფად მოტრიალდა, გავარდა ოთახიდან.

— ბაადურ! — გაეკიდა ანიკა, მაგრამ ველარ დაეწია თითქმის სირბილით მიმავალ ბექაურს და გაჩერდა. აივანზე იდგა, ვიდრე ფეხის ხმა მისწყდა, აღრენილი ყურშაც დაშოშმინდა, მერე ნელა დაბრუნდა ოთახში. ამ გვიან ღამეს მესამედ გამეფდა იქ მძიმე დუმილი.

— გიჟი ყოფილა... — ჩუმად ჩაილაპარაკა ზაქრომ.

— რადგან სიმართლე გითხრა?

— ჩუმად! — დაიყვირა ზაქრომ და მონუსხული დაეშვა ტახტზე.

მეორე დღეს რომ წავიდა ზაქრო სახლიდან მთელ კვირას აღარ მოსულა შინ. შეწუხდა ანიკა, შეეშინდა ხომ არაფერი დაემართაო, და როცა მოლოდინი აუტანელი გახდა, რაღაცა მოიმიზეზა, კანტორას მიაკითხა. ბუღალტერი დაუხვდა, ბაგრატ დემურიშვილი.

— არ ვიცი სად არის... — იცრუა დემურიშვილმა კეთილისმდომი ღიმილით და ჭრაჭუნა სკამიდან ძლივს ასწია რუმბივით გასიებული ტანი.

ანიკამ წასვლა დააპირა.

— მე ვიცი სადაც არის ზაქრო! — განაცხადა ამ დროს იქვე მყოფმა თავმოტვლეპილმა, ხმელ-ხმელმა ახმახმა, — გნებავთ მიგაცილებთ? — შეეკითხა ანიკას და მომსახურების სურვილით შეპყრობილი წელში ორად მოიკაკვა, უცნაურად გააწკაპუნა წვრილი, სისხლისფერი ტუჩები.

— შენ შენს სასადილოს მიხედე, ამხანაგო ტურია! — უკმაყოფილოდ მიმართა მას ბუღალტერმა. — ზაქროს მეუღლეს მე გავყვები...

— ნუ სწუხდებით, მე თვითონ! — თითქმის ბრძანებით ხმამაღლა თქვა ანიკამ, რომ უანგარიშო ზიზღი დაეძლია და გავიდა ოთახიდან.

— ერთი მითხარი, შენ ვინ რას გეკითხება? ნაბრძანები აქვს, ნურავის ეტყვითო, — შემოესმა ანიკას ღიად დარჩენილ კარიდან ბუღალტრის ხმა.

— რას მიწყრები, შენი გულისა? ის სხვისთვისა ბრძანა, ცოლი სხვა ანგარიშია...

ანიკა სწრაფად გაშორდა იქაურობას. „ღმერთო ჩემო, ეგა ყოფილა ტურია? ნუთუ ეს აშკარა გაიძვერა სასადილოს გამგეა? ნუთუ მასთან სადილობს ზაქრო?! ეს ბუღალტერიც... სადა აქვს ზაქროს თვალები, სად? ან პარტორგი რას

ეროვნული

აკეთებს? რას უყურებენ?.. ან რაიკომში არ იციან? რა ხდება, რა?..“ — სასოწარკვეთილებით, თითქმის ხმამაღლა წამოიძახა ანიკამ.

— ძლივს დაგეწიეთ, პატივცემულო ანა! — მოესმა უკანიდან ხმა. აჩქარებისაგან გულამოვარდნილი ბუღალტერი წამოეწია. სახეზე ხვითქი გადასდიოდა. საფეთქლებიდან წამოსული ოფლის ღვარი ფაფუკ ღაბაბზე ელვრებოდა. — შორია, დაიღლებით!.. — ამოაყოლა ქლოშინს ნივრის სუნი, რუზე გადასახტომად შეაშველა ანიკას ხელი. წაწვეტებულფრჩხილებიან ბოცობოცო თითებიდან თითქოს ეს-ეს არის ქონი გამოჟონავსო.

ანიკამ ნაბიჯს აუჩქარა.

— მე თვითონ ვიპოვნი, თქვენ რადა სწუხდებოდით? — უთხრა დემურიშვილს, მაგრამ მან ვითომ ცივი კილო ვერ შეატყო, ნირი არ გაიტეხა, პირიქით ლაპარაკს უმატა.

— ერთი დანჯღრეული „მერსედესი“ გვქონდა, ისიც მოშალა ზაქრომ. იძახის მთავარი ნაწილები აკლიაო, აღარ ააწყო. რა აკლია, მე არ ვიცი, ჩვენ კი იოლას მივდიოდით. ზაქროს გორდა ჰყავს, იმას არც ერთი მანქანა არ აჯობებს, მე კი დავიტანჯე ამდენი სიარულით... — საყვედურით კი არა, რაღაცა ტკბილი ღუღრტულით ლაპარაკობდა.

„გეტყობა, რომ დატანჯული ხარ. იარე, იარე, მოგიხდება. გულზე ქონი შემოგწოლია, დაიყრევინე პატარა...“ — გაიფიქრა ანიკამ და კიდევ უფრო ააჩქარა ნაბიჯი. შორიდანვე დაინახა მაღალი ახლადშენელებული ქვითკირის ღობე, თითქმის სირბილით მივიდა რკინის ახალ ალაყაფთან, რომლის გვერდით პატარა, შიფერით დახურული ცალფანჯრიანი სადარაჯო იდგა. ფანჯარასთან მიკრული იყო დაფა წარწერით: წარმოადგინეთ საშვები.

ანიკამ იცნო ზაქროს ხელი.

— ეს წესები ზაქროს შემოღებულია! — მოწონებით ჩაიღუღრტულა დემურიშვილმა და ფანჯარასთან დამაგრებულ მავთულს ჩამოჰკრა ხელი. სადღაც შორს ეზოში მხიარულად აწკარუნდა ზარი. ეზოს სიღრმიდან სადარაჯოსკენ პატარა ბიჭი გამოქანდა.

— ვინა გნებავთ? — გამოიჭყიტა მან ფანჯრიდან.

— გააღე, შე ცინგლიანო, ვერა ხედავ ვინცა ვართ? — წყრომით დაუძახა დემურიშვილმა და ფეხის თითებზე აიწია, ფანჯარაში შეიხედა.

ბიჭმა ბუღალტერს წყენით შეხედა, დუდუნით გამოაღო სადარაჯოდან ეზოში შესასვლელი კარი.

— რას მიჯავრდები? ძია ზაქრო იძახის, რო წესი ყველასათვის ერთიაო...

„კარგი წესები შემოუღია ძია ზაქროს და შენც ძალიან კარგი ბიჭი ხარ...“ — რატომღაც გამოუკეთდა გუნება ანიკას, ბიჭს მიუბრუნდა:

— ვისი ხარ?

— ოლა როა, იმისი.

— რა გქვია? — კიდევ უფრო კარგ ხასიათზე დადგა ანიკა, აღარ შეეკითხა რომელი ოლასიო, რადგან ეტყობოდა ბიჭი დარწმუნებული იყო რომ დედამისი ოლა ერთადერთია ქვეყანაზე და ყველა იცნობს მას.

— ოქროპირ ყიასაშვილი! — დინჯად წარმოთქვა ბიჭმა და იმავ წამს ხტუნვით გაიქცა ეზოს სიღრმეში გაკეთებულ ფარდულისაკენ.

გაღიმებული ანიკა ნელა მიჰყვა ბიჭს. ყველაფერი მოსწონდა აქ: ეს ახლად აშენებული კედელიც, რომელსაც ძირზე ახლად დარგული სურო გასდევდა, ეს ვერცხლისფრად შეღებილი ალაყაფიც, ნამყენი ხეხილებიც, შადრევანიც შუა ეზოში, ის ფანჯარაც კი და ის წარწერაც... ზარიც კი, საამოდ რომ აწკარუნებდა.

სიღრმეში მოჩანდა შიფერითვე გადახურული გრძელი, თანასწორ ნაწილებად გადატიხრული ფარდული — მანქანების სადგომი. ფარდულის წინ რამდენიმე კაცი ისე იყო საქმით გართული, რომ ახლად მოსულებისაკენ არც გამოუხედავთ.

„არც ერთი ემტეესი არ მინახავს ასე მოწყობილი... აი ზაქროს ნამდვილი ად-

გილი და საქმე“, — გაიფიქრა ანიკამ და თავისთვისაც სრულიად მოულოდნელი სითამამით მიუახლოვდა ფარდულს, მხიარულად თქვა:

— საღამო მშვიდობისა, ამხანაგებო!

— ანიკა! ანიკა მოსულა! — დაიძახა ვილაცამ და ოდნავ შესამჩნევ კოჭლობით სწრაფად წამოვიდა მისკენ.

— ტარიელ! — გახარებული შეეგება ანიკა დიდი ხნის უნახავ ახალგაზრდას, რომელსაც ხელები ზეთში ჰქონდა დასვრილი. ხელი მაგრად ჩამოართვა. — აქა მუშაობ, შინდაში? ასე უნდა? რა ახლოს ყოფილხარ და ერთხელაც არ ამოხველი ჩვენთან!.. — თვალწინ მომაკვდავი ზაქროს საწოლი დაუდგა, იმ საწოლთან ტარიელთან ერთად გატარებული უძილო ღამეები და ვერ შენიშნა, რომ ტარიელს ისეთი მადლობით, ისეთი თბილი გრძნობით ელაპარაკებოდა, თითქოს ეფერებოდა.

ტარიელმა ენა ძლივს მოატრიალა.

— ხელი გაგიჭუჭყიანე ანიკავ, ხელი...

— რა უშავს? — გაიცინა ანიკამ და ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო. თან ხელს იწმენდდა, თან გაღიმებული უყურებდა ტარიელს, ხან კი მალულად იხედებოდა ფარდულისაკენ, იმის დანახვა უნდოდა ვისთვისაც მოვიდა აქ.

და ერთდროულად დაინახეს ანიკამ და ტარიელმა მათკენ წამოსული ზაქრო. ლურჯი ტილოს კომბინეზონი უხდებოდა. მხრებამდე აწეული სახელოების ქვეშ იკარგებოდნენ მზით გარუჯული, აპეურივით დაჭიმული კუნთები. შუბლშეკრული აუჩქარებლად მოდიოდა.

ანიკა შეკრთა. რამდენიმე წუთით გახსნილი გული კვლავ შეეკუმშა. თვალს ველარ აშორებდა ზაქროს შეკრულ შუბლს.

„რა ვუთხრა, რისთვის მოველი?.. არა, არა, არ შეიძლება ვინმემ გაიგონოს მისი გულგრილი, ან უხეში მომართვა, არ შეიძლება... ღმერთო ჩემო, რა მოვიგონო, რა ვუთხრა?..“

— ზაქრო, დედაჩემი ჩამოვიდა! შენი ნახვა უნდოდა. ვერავინა ვნახე აქ გამოსაგზავნად, თვითონ წამოვედი!..

— ოჰ, დედაშენი?! — გაუხარდა ზაქროს. ღიმილმა გაუშალა შუბლზე შეკრული კოპები. — როგორ არის? დიდი ხნით ჩამოვიდა?

— კარგად! ძალიან კარგად არის. კარგად არის...

„რას ვიძახი, შემატყობენ, გაიგებენ რომ ვტყუი. არა, არა, აქ არ უნდა შემატყონ, არ შეიძლება!“

— მაშ დაიცა, ახლავე წამოვალ. რაო, დედაშენმა ქვევრს მოვხადეო?

— არა, ჰო, როგორ არა! მოვხადეო, მაშა!..

„ღმერთო, ბოლომდე შემაძლებინე ეს ტყუილი...“

— ოჰ, აბა ღვინოსაც ჩამოიტანდა!

— ჩამოიტანა. ბევრი, ძალიან ბევრი ღვინო ჩამოიტანა.

„წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა, ამ ხალხს მოვეფაროთ თვალიდან და იქ, შინ დამსაჯე, როგორც გინდოდეს ისე მოიქეცი, ოღონც აქ ნუ...“

— მაშ იცი, რა ანიკა? — ზაქრო ფარდულთან მომუშავე ახალგაზრდებს მიუტრიალდა. — ბიჭებო, მოულოდნელი მოპატიჟე მოსულა, აბა დაკეტეთ სახელოსნო, წავიდეთ, თათარიახნად წავიქეიფოთ! — დაიძახა და ისევ ანიკას მიხედა, მერე ბეჯითად დააცქერდა.

ზაქროზე წინ ტარიელი დააცქერდა ანიკას, შეატყო უცნაური ამეტყველება და აღელვება, მიხვდა, რომ ახლა სულაც არ იყო სტუმრიანობისთვის შესაფერი დრო, ზაქროს მიმართა:

— ბარემ გავათავოთ ეს დაწყებული საქმე. თქვენთან მერე, სხვა დროს იყოს...

— არა, არა... — ზაქროს მაგიერ უპასუხა ანიკამ. — თუ საქმე გაქვთ, ნუ აჩქარდებით, დაამთავრეთ და მოდით, უსათუოდ მოდით!..

„ღმერთო, სულ ცოტა კიდევ და...“

— ზაქრო, გითხარი, არა? დედას ეჩქარებოდა, ველარ დაგიცადა. წავიდა. Ⴡე სუფრა მზადა მაქვს, გაათავეთ საქმე და მოდით. ყველანი მობრძანდით.

„ბიჭოს, სცოდნია ლაპარაკი, — გაიფიქრა დემურიშვილმა, — აბა მე რას

მებუტებოდა გზაში, ხმა რომ არ გამცა?! ყველას ეუბნება მობრძანდითო, მე არ მეპატიჟება ეს დალოცვილი?“

„გამოცვლილი მეჩვენება,—ფიქრობდა ტარიელი, — უფრო კარგი გამხდარა, თუმცა რა სულელი ვარ... უფრო კარგი როგორღა უნდა გამხდარიყო?“

„რა დაემართა?“ — ფიქრობდა ზაქრო. თვალი შეასწრო როგორ უფეთქავდა ანიკას ყელზე სისხლის მოცისფრო ზოლი და კინაღამ თითი შეახო, მოეფერა. უცბად გაახსენდა, რომ მთელი კვირა სახლში არ მისულა. მიხვდა, რომ მოლოდინით გაწვალებული ანიკა მის საძებნად მოვიდა აქ. და მაშინვე იმასაც მიხვდა, რომ ტყუილი ათქმევინა. თვითონაც გაწითლდა. ისე გაუღიმა ანიკას, თითქოს უთხრა — მაპატიეო.

მაგრამ ხალხი დაპატიჟებული იყო და უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

— სუფრა კი მზად უნდა იყოს, ანიკა... — უთხრა ხმადაბლა.

— მზად იქნება... — ჩუმადვე უპასუხა ანიკამ. საოცარი შვება იგრძნო, რომ ზაქრო ტყუილს მიუხვდა, რომ ზაქრო ამაზე კი არ გაჯავრდა, არამედ იგრძნო თავისი დანაშაულიც, რომ ამდენ ხალხში მათ ორმა თითქოს უხმოდ შეკრეს ზავი.

— არ დაიგვიანოთ!—დაიძახა და გატრიალდა.

და როცა ზაქრომ თორმეტი ვაჟკაცი მოაყენა ჭიშკარს, ანიკამ მშვიდი ღიმილით შეიპატიჟა სტუმრები სახლში.

— ვინ აშენებს იმ ეზ.ას? — შეეკითხა ანიკა ტარიელს, ვიდრე სტუმრები მაგიდას შემოუსხდებოდნენ.

— რა ვიცი... სახელად ემტეესია და... — რატომღაც უხალისოდ უპასუხა ტარიელმა და ზაქროს გახედა.

— ხარჯი ვისია? — სწრაფად იკითხა ანიკამ.

— ხარჯებზე ლაპარაკი სხვა დროს იყოს, აბა დავსხდეთ! — დაიძახა ზაქრომ, აღარ აცალა ტარიელს რამის თქმა, მაგიდასთან მიიყვანა და გვერდით დაისვა.

სტუმრებმა მოილხინეს. ყველაზე მეტად ზაქრო გამხიარულდა. სიმღერა უყვარდა, ამიტომ თხოვნა არ დასჭირებია, მოქანცა ანიკა გიტარაზე დაკვრით. ხან ომში დაღუპულ თანამებრძოლთ უმღერდა სევდიანად, ხან ნელი ხმით სიყვარულზე მღეროდა, ხან სიცოცხლისა და გამარჯვებისას დასჭექდა ხოლმე, დანარჩენებსაც აიყოლიებდა. თანაც ხუმრობდა, წარამარა სავსე ყანწს გზავნიდა სუფრაზე.

— სიდედრისეულია, ბიჭებო, აჰა, ეს ერთიც დავცალოთო! — დაიძახებდა ხოლმე და ეშმაკურად გაღახედავდა ანიკას.

მაგრამ ანიკა ხედავდა, რომ ღვინოს შეუჩვეველი ზაქრო თავს ძალას ატანდა, რომ მისი მხიარულებაც ნაძალადევი იყო, რომ სიმღერაში და ხუმრობაში ცდილობდა ზაქრო ჩაეყრუებინა ის, რის მიჩქმალვას და დაფარვას ცდილობდა. ანიკას ეგონა, რომ მარტო ის ხედავდა როგორ უძნელდებოდა თანდათან ზაქროს უთქმელი ბრაზისა და ბოღმის შეკავება. ამიტომ გაუკვირდა, როცა ტარიელმა ჩუმად უთხრა:

— არაფერია, ანიკა, გუშინდელზეა, ალბათ, გულამღვრეული...

— რა მოხდა გუშინ? — ჩუმადვე შეეკითხა ანიკა.

— ტიტესთან ლაპარაკი მოუვიდა. იცნობ ტიტე დარჩიაშვილს?

— როგორ არა. ის უმიზეზოდ არავის შეეძრახება...

მორიგი სადღეგრძელოს შემდეგ ანიკამ ისევ კითხვით შეხედა ტარიელს.

— მაინც რაზე შელაპარაკდნენ?

— ჯერ გვისაყვედურა ტიტემ, თქვენა და თქვენი მანქანები ჩვენ არას გვარგებთო... ტიტე მართალია, მაგრამ, ანიკა, მე და ჩემმა ღმერთმა, არც ტრაქტორისტებს გაემტყუნებათ. შენც იცი, შინდაში მანქანებს უჭირს მუშაობა და ბიჭებიც თავს არიდებენ. ხომ იცი, გამომუშავების ანგარიშია, ანიკა...

— უანგარიშო საქმე არცვარგა!

— ჰოოდა, ტიტემაც ანგარიში დაიწყო... — ისევ ჩაჩუმდა ტარიელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე? — უჩვეულო დაჟინებით ჰკითხა ანიკამ.

— მერე და იმანაც ის იკითხა, რაც შენ. ვის ხარჯზე შენდებაო?

— და ეგ ხომ მთავარი საკითხია! — ვეღარ დაფარა ანიკამ აღელვება. — ზაქრომ რა უპასუხა?

— მე რად მეკითხები, ანიკა? რა ვიცი... — სცადა ტარიელმა აეცილებინა თავიდან ეს ლაპარაკი, მაგრამ ანიკას აღელვება რომ შეატყო, ვეღარც დაუმალა, ვეღარც ტყუილი უთხრა და ნელა დაუმატა: — არ ვიცი ვისი ნებართვით მოხდა, არ ვიცი როგორ მოახერხეს, მაგრამ მგონია საზამთრო საძოვრებზე ფერმის ასაშენებელი თანხაა დახარჯული...

— იმიტომ იყო ბექაურიც აღშფოთებული — გაფითრდა ანიკა. — ეგ ხომ უკანონობაა. ეგ ხომ დანაშაულია! ვინ? ვინ მოაწყო ეგ?

— დაწყნარდი, ანიკა. ზაქროს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. საქმეც იმაშია, რომ ყველაფერი კანონიერად არის გაფორმებული. სწორედ ამან გააცეცხლა ტიტე...

— როგორ არ გაცეცხლდებოდა? ტიტე მართალი ყოფილა!

„ტიტე მართალი ყოფილა!“ — ყური მოჰკრა ზაქრომ ანიკას ბოლო სიტყვებს და წამოდგა ყვირილით. იცოდა, რომ ანიკა ტიტეს დაუჭერდა მხარს, რადგან ტიტე მართალი იყო და ანიკას მხოლოდ სიმართლის მხარდაჭერა შეეძლო. იცოდა, რომ მართალი იყო თითქმის ყველა, ვინც მას ემდუროდა და უმწეო ბრაზი ახრჩობდა. აბრაზებდა ის აზრიც, რომ ანიკა მათ ყველას დაუჭერდა მხარს და ყველაფერში მას, ზაქროს გაამტყუნებდა. არ იცოდა რით ეყარა ჯავრი თავის თავზეც, ანიკაზეც, სხვაზეც. უნდოდა ეთქვა რაიმე მწარე და ვერ მოეფიქრებინა.

— ტიტეს შენი ბუღალტერია კი არ აინტერესებს! — დაიყვირა ბოლოს.

— ბუღალტერია არაფერ შუაშია! — შეაწყვეტინა ანიკამ. — ემტეესმა თავის საქმეს თვითონ უნდა მოუაროს, კოლმეურნეობის ყოველ მანეთს კი თავისი დანიშნულება აქვს! განა ეს ყველამ არ იცის?

— „ყველამ არ იცის?“ — გადაიხარხარა ზაქრომ. — დიახ ტიტემაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ... მაგრამ აბა იმ მანეთებით ტიტესთვის სახლი ამეშენებინა, მაშინაც იტყოდა ტიტე საყვედურს?

— საყვედურს კი არა მადლობას იტყოდა!

— ყმად გაგიხდებოდა!

— არა! — დაეკარგა ანიკას მოთმინება და წამოდგა, საყვედურით შეათვალიერა აყვირებული ახალგაზრდები. — არა ხართ მართალი! ავსა და კარგს ვერ არჩევთ? ვინც ხალხის კუთვნილს ეხარბება, ის შენ არ გიცდის, თავათ ეპატრონება, განა ვერა ხედავ? — საკუთრივ ზაქროს შეეკითხა. წამით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— როგორა ბრძანა ტიტემ? — წამოდგა ზეზე თითქოს საჩხუბრად მომზადებული დათო, რომელიც უკვე მექანიზატორების ბრიგადაში იყო და ყველაზე ძლიერ უჭერდა ზაქროს მხარს. — ეგ მექანიზატორები ჩვენ რას გვარგებენო?! ა! მაგისთანა ჩამორჩენილ კაცს რა უნდა ელაპარაკო?

— ტიტე სულაც არ არის ჩამორჩენილი, — ისევ თავშეკავებით შენიშნა ანიკამ დათოს და დაჯდა.

— როგორ არ არის ჩამორჩენილი? — წამოეშველა დათოს მეორე ტრაქტორისტი, ავთანდილი, ინდაურის ვეებერთელა ბარკლით ხელში. — ჩვენ ქონებას ემტეესს რად ახარჯებო? ჩვენიო, მაგათიო...

— მუხიანელი ფირუზასავით ანდაზებით დაიწყო, „შინ რომ ყმაწვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?“ — მთქნარებით გაიმეორა ტიტეს ნათქვამი „ძილისგუდა“ გაბომ.

— „გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?!“ — დაიჭექა ზაქრომ, — გააჭირეს საქმე! თავის კარ-მიდამოს რომ გასცდებიან ერთი მტკაველით, თავი ტრაპეზუნდში ჰგონიათ!

— კულაკებივით მარტო თავის სარფას ეძებენ ყველაფერში! — დაასხა ცეცხლს ნავთი მხრებში თავჩავარდნილმა სანდრომ.

— ეგ უთხრეს და სწორედ ეგ ეწყინა ტიტეს ძალიან, კინაღამ ცრემლები წამოსცვივდა კაცს... — უთხრა ტარიელმა ანიკას.

— ჩვენ კაცი გვეგონა და მტირალა დიაცი კი შეგვრჩა ხელში! — ახარხარდა დათო.

— ფერმაო... ბოსელიო... — კვდებოდა სიცილით ლამაზი ბიჭი კოტე, რომელსაც კიტელზე დამაგრებული ჰქონდა ალპინისტის, პარაშუტისტის, ფეხბურთელის, სნაიპერის და კიდევ სხვა ემბლემები.

ანიკამ წარმოიდგინა, როგორ დაესეოდნენ მოხუც ტიტეს ეს მანქანებზე შეყვარებული, ზეთის, მაზუთის, ბენზინის სუნით გაქლენთილი, თამამი ბიჭები, რომლებიც ზაქროს მორიდებით შესციცინებდნენ თვალებში.

— ახლა ტიტე იყოს მართალი! — ყვიროდა ზაქრო. — იყოს მართალი, იყოს! კოლექტივები რომ გაერთიანდება და მექანიზატორების ბრიგადა საბრძოლო მზადყოფნაში დახვდებათ, მაშინ რაღას იტყვიან?! რას გაჩუმდით, თქვე ტურტლიანებო, ჰა? არა გჯერათ, რომ გაევერთიანდებით? მაშ როდემდის ვიქნებით ასე საცოდავად, ჰა? ეჰ, თქვენ გაერთიანებისა რა გესმით? ქარხანა გიგზავნით მზამზარეულად მანქანებს, თქვენ კიდევ დააგრიხინებთ! არა! არხეინი ცხოვრების იმედი ნუ გექნებათ, ვაჟბატონებო! სულს ამოგაძრობთ ვიდრე ტრაქტორს არ გადავაკეთებთ, დიახ! იმ გახრიოკებულ გორაკებზე უნდა ავიყვანოთ, მაშა?! მაშინ რაღას იტყვის ტიტე?

— ხელებს დაგიკოცნის!

— მთელი ქვეყანა მადლობას გეტყვის!

ხმაურობდნენ ტრაქტორისტები.

— თავში იხალონ თავიანთი მადლობა! მადლობისათვის ხომ არ შევიწუხებდით თავს? ტრაქტორს უნდა დავთხაროთ თვალები, ტრაქტორს! ვაკეზე რომ დააბოტებს, იალბუზზეც უნდა ავიყვანოთ, ეგრე არ არის, ბიჭებო?

— ეგრეა, ეგრე! — სიხარულით უდასტურებდნენ ტრაქტორისტები.

— ჰოდა, გენაცვალეთ სულში! — დაუყვავა ზაქრომ სტუმრებს. — ანიკა, როგორ მოგწონს ეს ბიჭები? აბა უყურე! კომუნიზმის მშენებლები ესენი არიან — მანქანების დოსტაქრები და არა ის შენი ტიტე, თუმცა... — ხელი ჩაიქნია ზაქრომ, — მექანიზაცია არც შენ გაინტერესებს. შენს ბალ-ბოსტანს მანქანა არ დასჭირდება, ერთი ტარმაგარი თოხი და მაგის ჯანი!.. აბა, ტარიელ, თითოც დავლიოთ ჩემი სიდედრისეული! აჰა, ჩამომართვი!

ტარიელმა სასმისი ჩამოართვა. მასპინძლის ჭირვეულობას ერიდებოდა, თორემ არც ღვინო უნდოდა, არც აქ ყოფნა. ხედავდა, რომ გაფითრებული ანიკა ძლივს იჯდა. გრძნობდა, რომ ეს ხმაურობა და ეს ხალხი ძნელი ასატანი იყო ახლა მისთვის. რამდენჯერმე წამოიწია წასასვლელად, მაგრამ ზაქრომ ძალით დასვა.

— თამადა ვადღეგრძელოთ! — მაინც იხელთა დრო და წამოდგა ტარიელი.

— ოჰ, — შეჰყვირა ზაქრომ. — მე როდის მოგეცი სიტყვის უფლება? დაჯექი! ახლა ტიტე უნდა ვადღეგრძელოთ!

— ტიტეს, ტიტეს სადღეგრძელო იყოს! — ერთხმად მოიწონეს სტუმრებმა ზაქროს ჟინი და ახმაურდნენ, მაგრამ ამ დროს ქუჩიდან ვიღაცამ დაიძახა. კანტორის დარაჯი მოსულიყო. ახლახანს მიღებული ტელეფონოგრამა გადასცა ზაქროს.

„დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთან. თან წამოიღეთ ტრაქტორისტების ეზოს მშენებლობაზე გაწეული ხარჯების საბუთები. ფერაძე“ — ხმამაღლა წაიკითხა ზაქრომ და ისე აილეწა თითქოს სილა გააწნესო.

— ფერაძე რა შუაშია?

— ტიტემ იჩივლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფერაძეს მშენებლობასთან რა ესაქმება?

— ფერაძე რაიკომზე მეტია?

აყაყანდნენ სტუმრები.

— ჩუმად! — დაიყვირა ზაქრომ. — შენ იცნობ ტიტე დარჩიაშვილს? — მიუბრუნდა დარაჯს. — აჰა, დალიე, ეს ტიტეს სადღეგრძელოა! — მიაწოდა სავსე ყანწი, დააცადა დალევა და გაისტუმრა. წასულს თვალი გააყოლა, მერე ახლად გაავსო ყანწი, სულმოუთქმელად გამოცალა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა და მიმოიხედა. — ფერაძეს ყველაფერი ეკითხება, არ იცით? „დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთან!“ „დაუყოვნებლივ უნდა ვეახლო იაკობა ფერაძეს! გესმით, ბიჭებო? თქვენ არ იცით ვინ არის ფერაძე, მე კი ვიცი! ამ ჩვენ რაიონში პირველი კაცია; მწერელია, მწერელი! ჰა, ჰა, ჰა... — განზრახ არასწორად, ბრაზიანი დაცინვით გაიმეორა რამდენჯერმე ზაქრომ. — მაშ მე ახლავე ვეახლები იმ „მწერელს“, ვნახოთ რა ნებავს ჩემგან! — ფარული მუქარით დააბოლოვა და წამოდგა. თვალი მოჰკრა გაფითრებულ ანიკას, რომელსაც ტარიელი აწყნარებდა.

— ზაქრო, — წამოდგა ამ დროს ტარიელიც. — ჩვენ წავალთ, შენ კი დაისვენე და დილაზე ნახე ის კაცი...

— მართალია, მართალია! დილაზე წადი! — აყიყინდნენ ტრაქტორისტები და წამოიშალნენ.

— დასხედით! — იყვირა ზაქრომ. — მე სწორედ ახლა უნდა წავიდე! „დაუყოვნებლივო“, გაიგეთ ბრძანება? მე წავალ და თქვენ აქ დარჩებით! დავბრუნდები და ყველანი აქ დამხვდით, ყველანი აქ დამხვდით, ყველანი, უკლებლივ, გესმით? — სასმისი გაივსო. — ჩემს დაბრუნებამდე კი თამადად ტარიელ ჩოფიკაშვილს გიტოვებთ! აბა, ჩემო მოადგილევ, დროებით თამადობა მომილოცნია და სახლის უფროსობა!..

რაღა თქმა უნდა, მის ქარაგმულს ანიკას მეტი ვერავინ მიუხვდა. თვალებგაფართოებული ქალი უსიტყვოდ შეჰყურებდა ღვინისა და ბოღმისაგან გონებაარეულ ქმარს.

„დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ მიყურებს! მგონია დავთვერი და ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ... ანიკა, ანიკაუ-უ, წყალს წაუღია ყველაფერი, ოღონდ ერთი ბალღი ღირსებოდა ამ გამოყრუებულ სახლ-კარს... რაო, ტიტემ კიდევ რა მითხრა? ძალიან აიწყვიტე თავი და ისე დაიმტვრევი, რომ შენგან მტვერილა დარჩებაო... ყოჩაღ, ტიტე! ჭკვიანი ხარ, ჭკვიანი. მიყვარხარ კიდევაც, ჩემი გუნებისა ხარ, პირდაპირი და ალალმართალი!..“ აბა, მე წავედი, ამხანაგებო! ხელათ ჩამაფრენს ჩემი გორდა. შენ კი, ჩემო ტარიელ, შეუდექი შენი მოვალეობის შესრულებას, გესმის? — ჩააფრინდა კრიჭაშეკრულ მეგობარს მკლავში.

— მეც მოვდივარ ღელიანში! — დინჯად უთხრა ტარიელმა და ოდნავი შერხევით გაინთავისუფლა მკლავი რკინასავით ჩაჭედილ თითებისგან.

— შენ იქ რა გინდა? — შეაყვირა ზაქრომ.

— საქმე მაქვს. წამოდი, თუ მოდიხარ, — ისევ დინჯად უთხრა ტარიელმა და ისე მკაცრად შეხედა, რომ ზაქრო დაიბნა, მორჩილი ბავშვივით ხმაამოუღებლად გაჰყვა.

— დაწყნარდი, ნუ გეშინია, ანიკა, — ჩუმად უთხრა ტარიელმა დიასახლისს — ენდე ჩემს პატიოსან სიტყვას, ზაქრო ამ საქმეში სუფთაა. ეგ ხარჯი სხვებმა როგორღაც და სადღაც გაატარეს, ზაქროს გარეშე. შენ არც გეცოდინება ზაქრომ თავისი საკუთარი ფული რამდენი დაახარჯა იმ მშენებლობას! არ იცი, რაკი მანქანების და მექანიზატორების სასიკეთო საქმე გამოჩნდებოდა, ზაქრო თავს ვერ შეიკავებდა? დამშვიდდი, ეგ საქმე მოგვარდება...

„შენ გიშველა ღმერთმა, ტარიელ!“ — უსიტყვოდ ლოცავდა ანიკა ძმასავით საყვარელ ვაჟკაცს და თავაზიანი ღიმილით აცილებდა ხმაურით მიმავალ სტუმრებს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

★

# ლექსები

## ფშავში

არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ
წელამდეა სათიბები,
კენკეშა და უკადრისა,
ნაზ-სათუთად ნატიფები...
ხელს ვინ გახლებს, უკადრისავ?
თვალნი აგიტირდებიან..
ეს პეპლები, ეს ფუტკრები
რაღას გადაგკიდებიან?
არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ
ტყეებია, მინდვრებია...
უკვდავების წყაროები
კლდეებს გადმოკიდებია...
ყვავილებიც... იმდენია
ნაზ-სათუთად ნატიფები!..
არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ
წელამდეა სათიბები...

* * *

ვაქაო, დილის მზის სხივო,
ხან მთებზე ნისლთა დინებავ,
შუაფხოდან რო მიდიხარ,
გული რად გაგეტირება?
შენ თუ არ იცი მიზეზი,
აბა, ვის ეცოდინება?
გადმოდი, გადმოაშუქე
ლურჯ თხილიანას კალთები...
რა დაშავდება?.. არც რაი:
გნახავ და... გამეხარდები!..

* * *

ციხე-გორს გალობს ბულბული,
ციხე-გორს მოულხენია...
ქვემოთ არაგვი გუგუნებს
და ნაროულას ხევია...
ნაროულაზე — წისქვილი,
ღამე რო გაუთევია...
კლდეები სიგრძივ დამსკდარან,
გული ვერ დაუტევიათ:
გულსაც სწყურია სიმღერა
კლდით მოგუგუნეს სალითა...
გუშლაგას ფერდი შრიალებს
მზირალი ზარის ჰალითა.
ნაბად მოუსხამს ბორბალოს
ასხმული ნისლის ჰავლითა.

* * *

ფშაველო ქალავ, თულუხი
ზურგზე მოიგდე თოკითა...
გამოგედევნა არაგვი
მთიდან მოსული როკვითა...
რო შემოგძახის მუდარით,
ეს მისი ლურჯი ზვირთია:
— დედუკავ, ჩემო დედუკავ,
ბატარას დაიცდიდია,
ჩემს ნაპირს ჩამოჯდებოდე,
დამამშვიდებდე მითია...
ნუ დააგზნებდე უფროვე,
გულში რო ცეცხლი მინთია...
რისთვის წაიღებ წყაროს წყალს,
ჩემზე ლამაზი რითია?

* * *

ბროლს მოამსხვრევს თეთრახევა,
ბროლს მოამსხვრევს ბროლიანსა,
შხეფს შეაფრქვევს ვარდკაჰკას,
ლამაზს, ცისფერთოლიანსა,
— წამო ჩემთან! —
— უკაცრავად,
ვერ გაგყვები ცოლიანსა! —
ესალმება ფხოვის ტყეებს,
ტყეებს მწვანე მოლიანსა,
დაჯირას და უკადრისას,
სატყრობელას ჭორიანსა...
არაგვისკენ გზას მიიკვლევს,
გზას ძალიან შორიანსა.

* * *

რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,

შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...
ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი,
გზას წისქვილისკენ გავლევდი...
ბატარაც რამე გწყენოდა,
სულს ხოხობივით დავლევდი...

*
* *

არაგვი იცვლის კალაპოტს,
ტყისაკენ გაუწევია;
კლდეებისაგან წასულა,
ახლა მურყნიანს სწევია...
ჭანიშოს ფეხთით გუგუნებს...
მალე ცვალება სჩვევია...
კლდეებიც ასე ფიქრობენ,
წყენა არ დაუჩნევიათ.

*
* *

წვიმს, ფაფანაგა სველდება
ჭრელი მაშარის ძირისა...
ნუ ტირი, ჩემო პატარავ,
მზე კვლავ დაგაფრქვევს ღიმილსა...
დიდი მინდვრები დანამოს,
ეს ხომ წესია წვიმისა?

*
* *

ჭიჩოზე ნისლის კოტორნი
მძიმედ, ნელინელ ქანავსა...
ზემოთ მიიწევს, ღრუბლისკენ,
ქვე არ ჩამოდის, ჭალასა.
თვალებს უხარით ყურება,
გრძნობს: სახეს არცა მალავსა.
ეს თავმდაბლობა უხდების,
როგორც ქისტების ქალასა...

*
* *

(ვუძღვნი პირიქითელ ხევსურს.)

მთვარე ხადოზე ამოდის,
ხადო ირჩია მთვარემა...
არაგვზე ჩამოანათეს
ყამარის შავმა თვალებმა...
რაისთვის გაიჭრიალეს
შენმა ჭერხოის კარებმა?
რაზე გამოხველ, ბიჭაო,
რა გითხრეს იდუმალებმა?
მირინაულის მინდორზე
ცოტა ხნით დაევანება,
მერე საბუჩეს გადავა,
განა ვინ დაენანება?
მთვარესთან წავა ყამარი,
მთვარესთან დაიმალება.

*
* *

რას გადმომყურებ ბანზეით,
შე ლურჯ ვარსკვლავის ციალო?
წამო, შალშავი ვეძებოთ,
არაგვი გადავიაროთ...
გადავიაროთ არაგვი,
გზები უკანა ფშავისა,
მერე ბილიკებს შევუყვეთ
მზიანი ჭიჩოსთავისა...
ნისლები აქაფებულან,
მთათა წვერებზე მოდიან...
შენ გული მუდამ გიცინის,
მთებს... ე რა ჯანღი სცოდნიათ?
რას გადმომყურებ ბანზეით,
თან.:. თვალებს... რისთვის მარიდებ?
შალშავი დამწიფებულა,
წამო, ჭიჩოზე ავიდეთ...

*
* *

დღეს ქორწილია შუაფხოს,
ლუდი ქვაბით დგას მჩქეფარი...
ლურჯი სუფრები გაშალეს,
ტკბილმოუბარობს მყეფარი.
პატარძლის ლამაზ თვალებში
ცეცხლი ანთია მგზნებარი...
მსურს ჭვრეტა „ახალ ყოილთა“,
მაშხალავ, რისთვის მეფარვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ხოშარა

მშვენიერი, ხარ, ხოშარავ,
ვფიცავ შენს ლამაზ თვალებსა...
გაღმით ბორბალოს გაჰყურებ,
ბორბალოს მძიმე ზვავებსა...
ნისლებ რო ხშირად ფარავენ
ბორბალოს კლდეებს სალებსა...
მკერდზე შეგირხევს ნიავი
შალანს და ლილიფარებსა...
არაგვი ფეხთით მიგიდის,
მაინც სიშორეს ჩიოდეს...
ნუ შემოსწყრები, ხოშარავ,
რა ჰქნას, რო არა დიოდეს?
მას სხვა სოფლებიც ეტრფიან,
ისიც... პასუხობს, ცხადია...
მაგრამ გულით კი სულ შენთან,
სულ შენთან ყოფნა სწადია...
ერთგულებას სთხოვ არაგვსა...

არაგვი... განა ერთია?
ჰიჩოს წყალი და მათურა
(სხვაც ბევრნი) იმას ერთვიან...
ძოლან ადიდდა არაგვი,
ტყეს მიუვარდა, ჰალასა,
შუაფხოს ხიდი წაიღო,
მიაწყდა თხილიანასა...
გაღმა-გამოღმა დაგვტოვა,
გული მოგვიკლა ამითა...
აბა, რა ვიცი, ხოშარავ,
ალბათ, სულ შენი ჯავრითა...
გულგოროზობით თუ მოგდის,
გულში მალავდე ალებსა?
მაშინ... ბორბალოს ფარულად
რად შეაპარებ თვალებსა?
არაგვი... იქით ჩამორბის,
სწყდება ბორბალოს ზვავებსა.

## ორწყალში

მადლიანი ხარ, ბუერავ,
მთას მჯდარო ფეხებმორთხმითა,
მთის წყალი დამალევინე
შენი ლამაზი ფოთლითა,
მერე შხეფებად მაპკურე
გადმოვარდნილი შფოთითა,
გზას მიიკვლევდა, ჩქარობდა,
ასე მბდღვინავი ოდითა...
მადლიანი ხარ, ბუერავ,

მთას მადლად გულზე ეფინე...
შენ თუ მოუხმე იმ ვაჟას,
მის თვალებს მაყურებინე?
რისთვის მასმევდი მთის წყალსა
შენი ლამაზი ფოთლითა?
მითხარი, ამ წყაროსავით
სად გადავვარდე შფოთითა?
მომდევენ მისი თვალები
ორწყლით, არაგვით ორთითა!

## ლაშარის გზაზე

(ვუძღვნი ხევსურ ქალს ნათელა ოჩიაურს)

მარჯვე მუხლი გაქვს, ნათელავ,
გული — ყელთამდე მდიდარი...
ლემადესავით გადავლე
გზები ფეხმოუკიდარი...

ცხრა წყარო გადავიარეთ
პირმზითი, ნაპირმზითარი...
შენებრ ქალი არ მინახავს,
არც გზები ესევითარი...

## შუაფხოს ღამე

ჩაჩუმდნენ მარიამები,
არაგვი რად არ იძინებს?
ქუთხის გორს შორი ვარსკვლავი
ციმციმებს, ქრება, ციმციმებს...

მთვარეს გარს ნისლი ეხვევა,
მთვარე... გულგრილად იცილებს...
ხიდათ გორს ლურჯი ვარსკვლავი
ციმციმებს, ქრება, ციმციმებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რატომ შეშალე ბილიკი?

მთას იყავ ცაბაურთობას,
თან წაასხამდი ჯალაბსა;
არწივთა საბოინოდან
ჩამოხედავდი არაგვსა...

განა სოფლის გზას ჩამოჰყევ
ოჩიაურთა კარასა?
სხვა გზით ჩახვედი არაგვზე:
გულს მოუკლავდი ანასა...

## გაის გაზაფხულს

მზე ჩამოხედავს შუაფხოს,
გაიღვიძებენ სერები,
არაგვზე იბალახებენ
ლურჯ ყაჯრიანი ცხენები...
მთის წყლებზე ფშავის წისქვილნი
იბრუნვენ შეუსვენებლივ...
თუთი წისქვილზე ჩამოვა
ჩუბარიკ შეუსერები...
ლუთი მოწმაოს გახედავს,
თვალს მოიჩრდილავს ხელითა...

შენ... საით გადაფრინდები
კვლავ შენი შავრა ცხენითა?
უძილაურთას ნუ ახვალ:
ცაშია მისი წვერები...
მზე ჩამოხედავს შუაფხოს,
გაიღვიძებენ სერები...
ჩემო ლურჯთვალა შალანო,
წუთით თუ მოგეხსენები?
მე კი... ნიადაგ მახსოვხარ,
არც საით მომესვენები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მედეა კახიძე

*

* *

ეს თვალები იცი, რისგან ამიცრემლდა,
თაფლის კვერზე ტკბილო დედავ?
გახსოვს, როგორ ავილეწე სირცხვილისგან,
ჩემს თვალებში იმ ბიჭმა რომ ჩაიხედა?

გახსოვს, წყალთან წაეთვლიმათ ტანწვრილ წნორებს,
არსაიდან ჭაჭანება,
ორღობეში, როგორც მთვრალი მასპინძელი,
სარეკელა ქაქანებდა.

მე იმ ღამეს ვერ მოვკიდე თვალებს რული,
მე და ძილი რიჟრაჟამდე გავკამათდით.
მაშინ ისე მეშინოდა სიყვარულის,
როგორც ჩიტებს ეშინიათ კაკანათის.

წისქვილის ღარს სხვა ბიჭები დასევიან,
გავბედავ და გულისსათქმელს შემოგბედავ,
იმ კარგ ბიჭზე არაფერი არ გსმენია,
ჩემო დედავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

★

# დაუვიწყარი

## რომანი

### პროლოგი

„კაპიტალის დაქირავებულმა აგენტებმა მოჰკლეს მუშა ხანლარი".

ი. სტალინი

მოთეთრო ღრუბლებით დაფარულ ციდან მზე ხანგამოშვებით იხედებოდა, ხოლო კასპიის ზღვაზე, თითქოს ნიავქარი უბერავსო, სუროს ფოთლებივით თრთოდნენ შუქმოფენილი ზვირთები.

პროცესია ბაქოს მთავარი ქუჩიდან ბიბი-ეიბათისაკენ მიემართებოდა.

ეს იყო 1907 წლის 29 სექტემბერს.

მრავალი ათასი მუშის მძლავრი დემონსტრაციის ხელმძღვანელ ჯგუფს სტალინი მეთაურობდა.

საგანგებოდ შერჩეული მგალობლები მთელი ხმით მღეროდნენ:

„მსხვერპლად დაეცი მწვავე
ბრძოლაში...“

მგალობლებს მხარდამხარ მიჰყვებოდა სამი ახალგაზრდა რევოლუციონერი: წარმოსადეგი, თმააჩეჩილი დიმიტრი მშვიდობაძე, ლოყებღაჟღაჟა ლადო ფერაძე და პირხმელი, მაღალმაღალი ივლიანე ჩუბინიძე.

მღეროდნენ გატაცებით. დაპატიმრება, ციმბირი და კატორღა ელოდათ. მტრის მიერ მოკლულ ამხანაგს მიასვენებდნენ, მაგრამ თავს ისე ლაღად გრძნობდნენ, თითქოს მთელი ქვეყნიერება მათ ეკუთვნოდა. სტალინს თვალს არ აშორებდნენ, მის მახლობლად მიდიოდნენ.

ძველ პიჯაკს ქვეშ საყელოგადაკეცილი უბრალო ხალათი ეცვა სტალინს, სქელ თმას კეპი ვერ უფარავდა; გამხდარი იყო, ფერნაქცევი, მაგრამ მის შორსმჭვრეტელ თვალებში დაუშრეტელი ძლიერება გამოსჭვიოდა.

მაღლობზე რომ ავიდნენ, სტალინმა ხალხს თვალი მოავლო, შუბლი გაეხსნა, სწრაფად შეტრიალდა და რამდენიმე მუშას, მათ შორის დიმიტრის, ლადოსა და ივლიანეს დაავალა, დაწინაურებულიყვნენ, სარეწებში შეჭრილიყვნენ და პროცესიას საყვირების გუგუნით შეხვედროდნენ.

მთელ რუსეთში შავი რეაქცია მძვინვარებდა. სტოლიპინის ჯალათები საპატიმროებით, ციმბირით, სახრჩობელით უმკლავდებოდნენ თავგანწირულ მებრძოლთ, ქუჩებში რამდენიმე კაცს ერთად არ ატარებდნენ, აქ კი ზარდაცემული ჟანდარმები და ჯაშუშები კუთხეებში მიმალულიყვნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ პარტიის მიერ დარაზმულ დემონსტრანტებს.

აზერბაიჯანელი მუშების ნიჭიერი ორგანიზატორის ხანლარ საფარალიევის ცხედარს მიასვენებდნენ; რაზმეულიდან რაზმეულებში გადადიოდა რისხვით სავსე სამგლოვიარო ჰიმნი...“

„მსხვერპლად დაეცი მწვავე
ბრძოლაში...“

მოხრიოკებული მაღლობითა და ზღვით შემორკალულ ტაფობში დაეშვნენ.

შადრევნებივით აიჭრა სარეწებიდან თეთრი ორთქლი და აგუგუნდნენ საყვირები; სხვადასხვა კილოზე გაჰკიოდნენ ისინი, მაგრამ მათი მჭექარე ჰანგი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც ერთი იყო: გულის წარმტაცი მოწოდება შეუპოვარი ბრძოლისაკენ.

მწყობრად მიაბიჯებდნენ შავ ქუჩაში ათასეულნი; ქაბურღილიდან ქაბურღილამდე ეფინებოდა საყვირთა დამრახმავი გუგუნი, ეს უკვე აღარ იყო სამგლოვიარო პროცესია, გაბმულ ყიჟინაში გარდაუვალი გამარჯვების შემოქმედთა სულისკვეთება მოისმოდა

სარეწების განაპირას, ზღვის ყურეში, მაღლობზე დაასვენეს ხანლარ საფარალიევის ცხედარი.

დიმიტრი, ლადო და ივლიანე ფრთაშესხმულებივით დაეწიენ დემონსტრანტებს, დაწინაურდნენ და სტალინის მახლობლად დადგნენ.

დინჯად ავიდა სტალინი მაღლობზე, ზღვა ხალხს იმედის თვალით გადახედა და მომავლის სხივით განათებული სიტყვა წარმოთქვა:

— იწყება ქარიშხალი, გარიჟრაჟის მაუწყებელი!..

I

## მშობლებთან

მესამე დღეა გზაშია მედიკო, ქვედა საწოლზე ზის. ირგვლივ ყველას სძინავს. გულიანად სძინავს იმ ახალგაზრდა კაცსაც, რომელიც წინა დღეს შემოვიდა ვაგონში, მედიკოს ძველი ნაცნობივით გაესაუბრა, მერე ენაწყლიანად მოუყვა ცისა და ქვეყნის ამბავს. ეტყობა, დარდი არ აწუხებს; ქერა, ლამაზი სახეც ისეთი აქვს, იფიქრებ, ჯერ ცხოვრებაში არავითარი განსაცდელი არ შეხვედრიაო.

საკვირველია, ნუთუ ამ საშინელი ომის შემდეგ შესაძლებელია ასეთი უდარდელი კაცის არსებობა?! მედიკოს თავზე კი მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა...

მძიმედ წამოდგა, ფანჯარას მიადგა.

ამომავალმა მზემ მოელვარე ბურუსი გაარღვია და საგაზაფხულოდ მორთული თრიალეთის ქედი მუქლურჯად აახასხასა.

მედიკომ შუბლი მინას შეახო, მერე მოძალებული ცრემლების შესაჩერებლად თავი აიქნია და დანისლული თვალები სივრცეს მიაპყრო.

სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ მედიკო აქ პიონერთა ბანაკში იყო. ამხანაგები გარს ეხვეოდნენ თამამ, სიცოცხლით სავსე გოგონას. საექსკურსიო წრეს მეთაურობდა, უყვარდა მოგზაურობა, მთებზე ასვლა.

აი, ის ქოჩორა მთა. ყველას აასწრო თხემზე წითელ ყელსახვევიანმა მედიკომ და, ცის გუმბათში ურთიერთს მხარგადაჭდობილ ქედებს რომ თვალი მოავლო, გულიდან სიმღერა აღმოხდა აღტაცებულს.

რა ზღაპრული სილამაზით იყო აღსავსე მაშინ მთელი ქვეყნიერება! ფიჭვნაძვნარით მოკაზმული სერები და ფერდობები ისე შემოჰყურებდნენ მედიკოს, თითქოს უხსოვარ დროიდან მათთან ერთად შეგებებოდეს მზის ამოსვლას, თითქოს არც ერთი ცვარი, წიწვებზე მოკამკამე ცვარი, ისე არ დაპკურებოდეს მთის ყვავილს, რომ ყველასათვის ნანატრი ბედნიერება არ ეხარებინოს.

ამწამს კი აღარ იტაცებს მწუხარებით გამოფიტულ მედიკოს ეს მზიური გარემო.

ოთხი წელიწადია შინ არა ყოფილა, მშობლები არ უნახავს. მიდის ომგადახდილი, მიდის და... რატომ ჰგონია, თითქოს ბეწვზე ეკიდოს მთელი მისი საუნჯე?

წამოსვლის წინ სევასტოპოლიდან ავიდა საპუნ-გორაზე, დიდხანს იჯდა ბიძინას საფლავთან. ჩვეულებრივად არ ატირებულა, მთებს გაჰყურებდა თვალებგაშტერებული; იდუმალად ემშვიდობებოდა ბიძინას, სიტყვით კი ვერა ბედავდა ეთქვა — მშვიდობითო. ეში-

ნოდა, მართლა არ გავშორდეო სამუდამოდ ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცს.

გაზაფხულის თბილი დღე იყო. ხეების ნორჩ ფოთლებს ზღვიდან მონაბერი ნიავი ათრთოლებდა; საფლავების ირგვლივ ბალახს ცვარი შეშრობოდა.

მედიკომ მთებს თვალი მოსწყვიტა და მომაღლო ძეგლს მიაცქერდა; ქვაზე წარწერილ სიტყვებს ჩაუფიქრდა:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი...“

ცრემლი მოერია, ტუჩები აუთრთოლდა, ხმა ძლივს ამოიღო:

— ვინ იცის, იქნებ ველარც მოვიდე აქ, იქნებ სამუდამოდ გეთხოვები... თუ ვერ მოვაღწიე, შენი სახე ხომ თან მიმყვება, ბიძინა, ჩემო ბიძინა...

იმეორებდა მის სახელს და ტიროდა გულამოსკვნილი. ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს მთელი ეს ამწვანებული არემარე, ეს დახრამული მთები, ომის დროს დანგრეული, მაგრამ ახლა უკვე აღსადგენად წელგამართული გმირი ქალაქი, ეს თვალუწვდენელი ზღვა, ყველაფერი გარინდულიყო და მედიკოს მწუხარებას იზიარებდა.

ცრემლი მოიწურა, საცოდავად ამოიოხრა, ნიკაპი ხელისგულზე დააყრდნო, თვალები ოდნავ მოჭუტა და სულ სხვა გარემო წარმოესახა.

ბიძინა მაშინ მწვავე ბრძოლიდან დაბრუნდა. სანიტარულ ბატალიონში მიაკითხა მედიკოს. ოფიცრის ახალი სამოსი ეცვა. ამხანაგებში თავი მხიარულად ეჭირა, იცინოდა, ოხუნჯობდა. ბოლოს მედიკოს მკლავი გამოსდო და ზღვის პირისაკენ გაისეირნა. განმარტოვდნენ. ბიძინას სახე მოეღრუბლა. შეხედა მედიკომ და მის ლამაზ თვალებში მარტოოდენ სიყვარული ამოიკითხა, უძირო სიყვარული...

ახლა კი... სასაფლაოს მახლობლად მანქანა ახმიანდა, სევასტოპოლისაკენ დაეშვა.

მედიკომ თავი ასწია, უმწეოდ მიმოიხედა. როგორ ადგეს და წავიდეს აქედან, როგორ დატოვოს ბიძინა მარტო... არა, თუმცა მარტო არ არის იგი, საუკეთესო ვაჟკაცები წვანან მის გვერდით... ესენი პირველნი ამოიჭრნენ საპუნ-გორას თხემზე. ბიძინამ ყველას ამოასწრო. მოიერიშე ასეულის მეთაური იყო. აქვე განისვენებს სამუდამოდ... მოხუცი დედა ჰყავს სოფელში..

— ეჰ, ძვირფასო დედავ, — გაივლო გულში მედიკომ, — როგორ მოვიდე შენთან, როგორ მოგისამძიმრო. შენთვის ბიძინა, ალბათ, ისევ ცოცხალია. შენ არ შეგიძლია წარმოიდგინო მისი სიკვდილი, სამარეში მწოლიარე... არა, ვერ მოვალ შენთან, ვერ გაგიქრობ უკანასკნელ იმედს. ბიძინამ სიკვდილის წინ დაიბარა, დედას არ გააგებინოთო... მე კი...

კვლავ აუთრთოლდა ტუჩები მედიკოს, ცრემლები წამოცვივდა; დაიხარა, საფლავზე ხელი მოაფათურა, თითქოს სიბნელეში ეძებდა ვინმეს.

ძლივს დააღწია თავი მწარე მოგონებას...

ზედა საწოლზე ქერა ჭაბუკს გაეღვიძა. ფანჯრიდან სივრცეს გახედა, ქართლის არემარე იცნო. მერე უცებ რაღაც საამო მოაგონდა, თვალი ქვედა საწოლისაკენ გაექცა.

მედიკო იქ აღარ იჯდა. ლოგინი აელაგებინა.

ეწყინა, ვაითუ წავიდაო, გაიფიქრა. თანაც გაუკვირდა, ასეთი უცნაური გრძნობა საიდან დამებადაო.

დიდხანს ესაუბრა წუხელ, მაგრამ მისი ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი გაიგო. ფრონტზე ყოფილა. სევასტოპოლიდან მოდის. ომი რამდენი ხანია დამთავრდა, ის კი შინ ახლა ბრუნდება. რაღაც დიდი სევდა უნდა ჰქონდეს გულში ჩამარხული. გეგონება სიცილს გადაჩვეულაო. საუბრის დროს გულიანად მხოლოდ ერთხელ გაეღიმა და როგორ დაუმშვენდა პირისახე, როგორ გამოიცვალა! ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალია, მაგრამ თუ დააკვირდები, თვალს ველარ მოაშორებ.

მარჯვედ გადახტა საწოლიდან ტანადი ყმაწვილი, პერანგის საყელო გაის-

წორა, პიჯაკი ჩაიცვა; რბილ თმაზე სავარცხელი გადაისვა, ცხვირსახოცით თვალები მოიწმინდა; შემდეგ შებრუნდა და ვაგონის ტალანს გახედა.

აგერ, ფანჯარასთან დგას მედიკო. მხედრული სამოსი ტანზე ისე ადგას, გეგონება, ქანდაკებააო. მაგრამ უცებ გამოცოცხლდა იგი, ვაჟის ჩაციებული მზერა იგრძნო და კუშტად შემოხედა, მყისვე წარბები შეიჭმუხნა და ახალგაზრდა კაცს პირი აარიდა, თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

* * *

მაღალ ხიდზე რომ ავიდა, მებარგულს შეუცადა, მოაჯირს მკლავი დააყრდნო და ჯერ სადგურს, დეპოსა და ქარხანას მოავლო თვალი, შემდეგ ქალაქი შეათვალიერა.

ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის აგვისტოში წავიდა აქედან. რა ქარცეცხლი გამოიარა, რამდენი დანგრეული ქალაქი და გაპარტახებული სოფელი ნახა. აქ კი არაფერი შეცვლილა.

გამამხნევებელი სიამაყე იგრძნო.

მასაც ხომ მიუძღვის წვლილი იმ თავდადებულ ბრძოლაში, რომელმაც ეს მშობლიური ქალაქი განადგურებისგან იხსნა?

გულისჯავრი შეუმსუბუქდა, ნაბიჯს აუჩქარა.

მცირე აღმართი აიარა. სული მოითქვა.

ყველაფერი ნაცნობია აქ, თანშეზრდილი — მოძველებული სახლი, ხეხილი, ტალავარი, გრძელი სკამი მაღალი თუთის ძირას.

მაინც როგორ დაპატარავებულა ეს კარმიდამო! არც ასეთი სიჩუმე ახსოვს აქ ერთხელ ყირიმში, ომის დროს, მიტოვებული სახლ-კარი ნახა და რატომღაც მოეჩვენა, თითქოს ხის ჩრდილში ქალმილეული მოხუცი ამაოდ ცდილობდა თვალის გახელას. რაღაც ამგვარი გრძნობა აღეძრა ახლაც.

კვლავ მიმოიხედა და მყისვე მიხვდა, რომ აქ არაფერი არ შეცვლილიყო, თვითონ იმზირებოდა სხვა თვალით.

კარი გაიღო და აივანზე თებრონე გადმოდგა.

— დედა! — უნდოდა დაეყვირა მედიკოს, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, ჰიშკარს მიაწყდა, ხელები გაშალა.

თებრონე გაშეშდა, თვალები გაუფართოვდა, მერე უცებ მოწყდა ადგილს, დაბალ კიბეზე დაეშვა.

— ღმერთო, ეს რა ბედნიერება მეწვია! მედიკო, შვილო, მედიკო! დედა შემოგევლოს, შვილო, დედა გენაცვალოს!..

ბუტბუტებდა, გრძელ კაბას მოაფარფაშებდა ხელებგაწვდილი. ხოლო მედიკო რომ მკერდზე მიიხუტა, თმაზე ხელი დაუსვა და სახე დაუკოცნა, სულ დაავიწყდა, რაც ოდესმე წუხილი გადაუტანია.

იქვე ჩამოსხდნენ გრძელ სკამზე. მედიკომ დედას თავი მკერდზე მიაყრდნო, თვალი დახუჭა. ბავშვობა დაუბრუნდა, უდარდელი ბავშვობა. უჩინარი ფარდა დაეშვა და აღარ მოჩანდა მძიმე ბრძოლით გამოვლილი გზა, არც ბიძინას საფლავი. დედის გულის ხმა ესმის მხოლოდ და ხელშესახებად უმზერს თავის კარ-მიდამოს, სადაც ფეხი აიდგა და ცა და დედამიწა შეიტკბო.

— შენ არ იცი, შვილო, რა ბედნიერება მოუტანე მამაშენს. — მოალერსე ხმით წამოიწყო თებრონემ. — სულ შენ გიგონებდა, სულ შენ გახსენებდა. შენი წერილი რომ მივიღეთ, სიხარულით ცას ეწია, იფიქრებდი, არავითარი მწუხარება გულში აღარ ჩარჩენიაო. ხომ იცი, რა მაგარი კაცია, რა ამტანი, მაგრამ ჩვენი ბიჭის ამბავი რომ გავიგეთ, მერე ისიც მოტყდა, შვილო. არ იმჩნევს, თავი მხნედ უჭირავს, მის გულში კი ჯოჯოხეთი ტრიალებს...

მედიკომ თავი ასწია, დედას მიაცქერდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, თუ როგორ შეცვლილიყო დედა ამ ოთხ წელიწადში. ჭაღარა გარეოდა, სახეზე წვრილი, ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები გასჩენოდა, თაფლისფერ თვალებში ნისლი ჩაჰფენოდა...

— რას მიყურებ, შვილო? ჯავრს რომ

ავყოლოდი, ოჯახს ვინ მიხედავდა? ბიჭი წამოგვეზარდა, ჩვენი ვაჟა. ქარხანას თავს ანებებს, ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება. ომი რომ არ ყოფილიყო, ახლა მეორე, თუ მესამე კურსზე იქნებოდა. სწავლაში სიბერე მოგისწრებსო, უთხრა მამამ, მაგრამ გაგიკვირდება, ისეთი მტკიცე ხასიათის ბიჭი დადგა. გულში თუ რამე ამოიჭრა, თავს აღარ მიანებებს. ახლა კიდევ შენს მოსვლას მოვესწარი, ჩემო ნათმარო ქალო...

მიმოიხედა თებრონემ, საქმე მოაგონდა. ჩემოდნებს ხელი დაავლო, წელგამართულმა აიტანა აივანზე.

ორმოცდათორმეტი წელი შეუსრულდა ამ ხელმარჯვე დიასახლისს. მუშის ოჯახში დაიბადა ამავე უბანში. აქვე დაქორწინდა. ეს კარმიდამო, ეს ოთხთვალი სახლი მისი ნაამაგარია. რევოლუციის პირველ წელს პატარა ქოხი დაიდგეს აქ, შემდეგ სოფელში რაც კი რამე ჰქონდათ, გაყიდეს და ეს სახლი აიშენეს.

არაჩვეულებრივ გარემოებაში გაიცნო თებრონემ თავისი საქმრო, — ცხრაასხუთელი რევოლუციონერი დიმიტრი მშვიდობაძე.

ერთ კვირა დღეს მეტეხის ციხეში გაჰყვა მეზობლის ქალს, რომელსაც ძმა დაპატიმრებული ჰყავდა. ციხის ეკლესიაში შევიდნენ. წირვა იდგა. მგალობელთა ხმა გუგუნებდა მაღალ გუმბათში. თებრონე პირველად იყო ციხის ეკლესიაში და ყველაფერს განცვიფრებით ათვალიერებდა.

უცებ პატიმართა შორის ერთი ახალგაზრდა კაცის მზერა დაიჭირა. თვალი გაუშტერდა თებრონეს, ლოყები წამოუწითლდა. თავი დახარა. მცირე ხნის შემდეგ ისევ გააპარა თვალი და სახედამშვენებული ვაჟის ღიმილი შემოეთინა, თვითონაც გაუღიმა და, რაკი პატიმარი იყო, სიბრალულით გული გაანდო, თვალებით მიეალერსა.

წამოსვლისას გაბედულად დაუქნია თავი უცნობ პატიმარს, გამოემშვიდობა. პირველად იგრძნო ასე ცხოვლად თავისი ძალა; მიდიოდა შინ და უცნობი პატიმრის მშვენიერი სახე თან მიჰყვებოდა განუშორებლად.

რამდენიმე თვეში თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო. დიმიტრი გაათავისუფლეს. შვიდი წელიწადი იჯდა საპატიმროში, სამი კიდევ ჰქონდა დარჩენილი.

იმ გაზაფხულზე თავის ამხანაგს ეწვია დიმიტრი მუშათა უბანში. აქ გაიცნო თებრონე. ასე ჩაეყარა საფუძველი ამ ოჯახს.

მედიკოს დარბაზში შესვლისთანავე უფროსი ძმის — აკაკის გადიდებული პორტრეტი მოხვდა თვალში. ეგონა, ცოცხალიაო, ისე უხდებოდა უკან გადავარცხნილი შავი თმა, მაღალი შუბლი, სქელი წარბები და დიდრონი თვალები.

ტუჩები შეუთრთოლდა მედიკოს, თვალები დაეჩრდილა; უცნაურად გაფართოვდა შავი ჩარჩო, შავ ტალღასავით დაირკალა და შეუპოვარი ვაჟკაცის სახე ბნელმა უფსკრულმა ჩანთქა.

მედიკომ სავარძლამდის ძლივს მიაღწია, უძლურად ჩაეშვა, ყრუდ აქვითინდა.

დედას თვალი გაუშტერდა, სახეზე მიწისფერი დაედო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და თავის პირმშოს მიაცქერდა.

წელიწადზე მეტია, რაც ეს სურათი დაჰკიდეს აქ. თებრონე ისე შეეჩვია მას, თითქოს ომში როდი დაღუპულიყოს, სადღაც ახლოს ეგულებოდეს, ისე ახლოს, რომ ხმის მიწვდენაც კი შეიძლებოდეს. განთიადზე საწოლი ოთახიდან რომ გამოვა, უხმოდ გაესაუბრება ხოლმე; ხანდახან ისე მიმართავს, თითქოს მისგან დარიგებას მოელისო.

„მირჩიე ჩემო ჭკვიანო, — ჩუმად იტყვის ხოლმე, — როგორ მოვიქცე? შენ ხომ ყველაფერი იცი, დედის იმედო. ხომ ხედავ, როგორ ჯავრობს მამაშენი, როგორ იწვის საწყალობელი. გადმოგვხედე, შვილო, შენი მოწყალე თვალით გვანუგეშე!..

ერთი რამ დასჩემდა კიდევ თებრონეს: ისე ჰგავს აკაკი მამას, მის სურათს რომ უმზერს, დიმიტრის ახალგაზრდობა აგონდება. ასეთი იყო იგი, პირველად

სატიმროში რომ ნახა თებრონემ, ასეთი შავი, უკან გადავარცხნილი თმა, მაღალი შუბლი, სქელი წარბები და დიდრონი, კეთილი თვალები ჰქონდა. დიმიტრისაც ასე შვენოდა უტეხი გულის გამომხატველი იერი. ახლა კი ლამის შედრკეს იგი, დაუძლურდეს; აკაკიც აღარ აპირებს მოსვლას, მაგრამ თებრონე სასოს ვერ წარიკვეთს, ოჯახს საყრდენს ვერ გამოაცლის.

ხოლო ამწამს, როცა მედიკოს ქვითინი მოესმა, ზარი დაეცა თებრონეს. მყისვე გაწყდა გულის ძარღვზე გადასკვნილი მოლოდინის ძაფი და შემაძრწუნებელი სიცარიელე იგრძნო, შეტორტმანდა, მედიკოსთან ჩაიკეცა, ხელები ისე ცოხვია, თითქოს წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო.

— ვაი შენს დედას, შვილო! — ამოიგმინა საცოდავად. — სად ჩაქრა შენი კეთილი თვალები, სად დაიმარხე. მე კი გელოდი, შვილო, სულ გელოდი, ჩემო ჭკვიანო ბიჭო...

დედის ხმამ გამოარკვია მედიკო, მაგრამ ტირილი უცებ ვერ შეწყვიტა; მარტო ძმას როდი გლოვობდა, ბიძინასაც დასტიროდა, ერთიმეორეში ვერ გამოარჩია ეს ორი მამაცი ვაჟკაცი. ბოლოს დედის სიბრალულმა ძალა შემატა, თებრონე ზეზე წამოაყენა, გვერდით მოისვა, მოეფერა:

— კარგი, დამშვიდდი, დედა... შენ არ იცი, რა ცეცხლი გამოვიარე, რა კაცი დავკარგე. ომი რომ დამთავრდა, შემეძლო შინ მაშინვე წამოვსულიყავი, მაგრამ მისი საფლავი ვერ დავტოვე...

კვლავ შეუთრთოლდა მედიკოს ტუჩები, თვალები ცრემლით აევსო.

— ის რომ გადარჩენილიყო, — განაგრძო შემდეგ, — ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზე ქალი არ იქნებოდა!..

დედამ ცრემლი მოიწმინდა, მედიკოს სახეზე დააკვირდა, მყისვე იაზრა, თუ რა დიდი საზრუნავი გაუჩნდა, რომ თავისი ქალიშვილი ლაღი ცხოვრების გზაზე გაეყვანა.

II

## ქარხანაში

საყვირის ხმა მექანიკურ საამქროს შეჭვარტლულ თაღებშიც შეიჭრა, მანამდის იზუზუნა, ვიდრე ჩარხებმა მუშაობა არ შეწყვიტეს, მერე უცებ მოწყდა, სადღაც შორს გადაიკარგა.

დიდი ხანი არაა, რაც ქარხნის ამ ნაწილში სამი ცვლა განუწყვეტლად მუშაობდა. საჩქარო დაკვეთები ჰქონდათ.

მთავარი ოსტატი დიმიტრი მშვიდობაძე ხშირად ღამესაც აქ ათენებდა, ახალგაზრდებს დიდ საქმეს აკეთებინებდა. ომის წლებში შესვენებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

დიმიტრიმ ჩარხებს ჩვეულებისამებრ თვალი მოავლო, ხომ ყველაფერი წესრიგზეაო. კუთხეში, სარკესთან თავისი უმცროსი ვაჟი დაინახა. ხალათი გამოეცვალა, ხელ-პირი დაებანა, თმას ივარცხნიდა. ეტყობოდა სადღაც მიიჩქაროდა.

— სად მიდიხარ, შვილო?

ვაჟამ ღიმილით შეხედა მამას, სავარცხელი ჯიბეში ჩაიდო და უბრალოდ უპასუხა:

— არსად, მამა. ამხანაგთან უნდა გავიარო.

— ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირე ამხანაგთან სიარული. იგვიანებ ხოლმე.

— ვმეცადინობთ, მამა, საგნებს ვამზადებთ.

— კარგი, შვილო, იმეცადინეთ. — უთხრა და თვალი გააყოლა ჩქარი ნაბიჯით მიმავალს.

ეჰ, რა კარგია ახალგაზრდობა! ისე მიდის, თითქოს არც კი ემუშაოს დღეს. გაიხარე, შვილო! შენა ხარ ჩემი იმედი. ჩვენი აკაკის საძარეც არ ვიცით, სად არის. მედიკოც იგვიანებს. რაღაც უჭირს იმ გოგოს, რაღაცას ისეთს გადაეყარა, რომ შინისაკენ პირი ველარ უქნია... ეკა-

ტერინე კი, — სქელი წარბები დახარა დიმიტრიმ, გონების თვალი აარიდა თავის გათხოვილ ქალიშვილს. — არა, ვის დაემსგავსა ასეთი თავკერძა, ხარბი და გულმაძღარი? ქმარიც რომ შესაფერი შეხვდა?!. გაძვრა, გამოძვრა, ომში წასვლას თავი აარიდა. ხალხი წელში წყდებოდა, საუკეთესო ვაჟკაცები ქვეყნისათვის თავს სწირავდნენ, აქ, ზურგში, მთელი ძალ-ღონით შრომობდნენ, ის კი სახლის შენებას შეუდგა. სად შოულობს? კარგი, ვთქვათ, სადმე ქუჩაში დაგდებული იპოვე, რა გული გიზამს ამ საერთო გასაჭირის დროს შენი მუცლის იქით არ იხედებოდე, ძმაბიჭებთან ქეიფის მეტი არაფერი გახსოვდეს...

ბოლო დროს თავისთავთან საუბარს შეეჩვია დიმიტრი. ასე ფიქრს გულს აყოლებდა. ორმოცდაჩვიდმეტი წლისა იყო, გარეგნულად კი არ მოტეხილიყო, საშუალოზე ოდნავ მაღალი, ჩასკვნილი. მხრებში ოდნავ მოხრილი, მაინც წელგამართული დადიოდა. ძალიან რთული გზა კი ჰქონდა გავლილი. ცხრაას ხუთის რევოლუციურ მოძრაობაში ჩვიდმეტი წლისა ჩაება, თავი დასრულებულ ვაჟკაცად მოჰქონდა, მუშათა შეიარაღებული რაზმის წევრი იყო. მალე დააპატიმრეს, ციმბირში გადაასახლეს. იქ ორიოდე თვე დაჰყო, გამოიქცა. ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ მექანიკურ სახელოსნოში მოაწყო. ადვილად დაწინაურდა მკვირცხლი, ნიჭიერი ჭაბუკი, მთელი რაიონის ორგანიზატორის როლს ასრულებდა, თანაც საღამოს კურსებზე სწავლობდა. მერე ისევ პატიმრობა ბაქოში, ქუთაისში, ბოლოს მეტეხში. შვიდი წლის პატიმრობის დროს დღე იშვიათად გაუცდენია, გულმოდგინედ მეცადინეობდა პოლიტიკურ ტუსაღებთან ერთად. მარქსიზმი, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ასტრონომია, ყველაფერს სწავლობდა მისი მაძიებელი გონება.

მას შემდეგ ოცდარვა წელიწადი გავიდა, განუწყვეტლად ქარხანაში მუშაობს, მოწინავე ოსტატია.

ბევრჯერ უნდოდათ დიმიტრის დაწინაურება, შესთავაზეს დიდი თანამდებობა, მაგრამ არ ისურვა. ამავე ქარხნის მუშის შვილს მამის მოკრძალებული ხასიათი ბოლომდე შერჩა. მეტიჩრული თავმომწონეობა და პატივმოყვარეობა მასში ზიზღს იწვევდა.

კვლავ მიმოიხედა დიმიტრიმ საამქროში, ვაჟას ჩარხთან მივიდა.

„როგორი სულწასულობა დასჩემდა ჩემს ბიჭს, როგორ ჩქარობს, — ჩაილაპარაკა თავისთვის. — ჩარხი არ გაუსუფთავებია, საჭრისზე ფოლადის ბურბუშელა დარჩენია. გული აუცრუვდა აქაურობაზე, გასაფრენადაა ფრთააწყობილი... მერე რა? ახალი დროა, ახალი ასპარეზი იტაცებს... შენ კი, — მიმართა თავის თავს, — სიბერე მოგიახლოვდა და, მგონი, ჩამორჩი, წინ მიმავალს თვალს ვერ უსწორებ“...

კუშტი გამომეტყველება აღიბეჭდა მის ფართო სახეზე: მჩვარი აიღო, ჩარხი გაწმინდა, საჭრისი მოხსნა.

დიმიტრის არ შეუმჩნევია, ისე მიუახლოვდა საამქროში ყველაზე მოწინავე ხარატი, ჩქაროსნული ჭრის ოსტატი ილია საბურიძე.

— ვაჟამ ხომ არ გაგაჯავრა, დიმიტრი?

დიმიტრიმ ცირად მიხედა ილიას, უმალვე თავი ასწია, შებრუნდა, ღიმილი მოადგა პირზე.

ასე იყო მუდამ, რამდენადაც ცუდ გუნებაზე არ უნდა ყოფილიყო დიმიტრი, ილია რომ გაესაუბრებოდა, გული გაუნათდებოდა, გახალისდებოდა.

ბევრს ფიქრობდა ბოლო დროს დიმიტრი, რამე რომ არ მოეწონებოდა, გუნებაში ბუზღუნებდა, თავის წუხილს კი იშვიათად თუ ვინმეს გაუზიარებდა. ხოლო ილიას მყისვე გულს გაუშლიდა. მისგან დასაფარავი არაფერი ჰქონდა.

უფროსი ვაჟის დალუპვის ამბავი რომ გაიგო, მას შემდეგ თანდათან მძიმე ნაღველი დაეუფლა დიმიტრის,

ხოლო როდესაც ადამიანი ცდილობს, თავისი მწუხარება სხვას არ აგრძნობინოს, უნებლიეთ ეჩვევა გულდახშულობას, განმარტოების სურვილი იპყრობს. ერთადერთი ადამიანი მთელ საამქროში, ვაჟას გარდა, რომლისკენაც მუდამ მიისწრაფოდა დიმიტრი, იყო ილია საბურიძე, შრომაში არაჩვეულებრივად ნაყოფიერი, საოცრად სწრაფი და ამავე დროს მეტად დინჯი, აუჩქარებელი ოსტატი. ისე თვე არ გავიდოდა, რომ ილიას თავის ჩარხთან მუშაობაში რაღაც ახალი, შეუმჩნეველი, მაგრამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ შეეტანა.

ილია ჯერ შუახნისაც არ იყო, ოცდაათი წელი უსრულდებოდა, მაგრამ დიმიტრი მასთან თავს ისე გრძნობდა, როგორც თანატოლთან. მთავარი ის იყო, რომ ხანდაზმული დიმიტრი და ახალგაზრდა ილია ერთი კუთხიდან, ერთი თვალით უცქერდნენ საზოგადოებას, მთელ ქვეყანას.

— არა, ვაჟას არ გავუჯავრებივარ,— უპასუხა დიმიტრიმ, — ჩემ თავზე მომდის გული.

— რა დააშავე?

— ჩამოვრჩი, ჩემო ილია, სიბერემ დამრია ხელი. სიბერის მთავარი ნიშანი კი, იცი, რა არის? როცა კაცი ამბობს, ახლანდელ ახალგაზრდას ჩემი დროის ახალგაზრდა სჯობდაო, ე, უნდა მიხვდე, რომ სიბერე ალაპარაკებს.

— არც ეგრეა საქმე. შენ ცხრაასხუთელი ხარ. თქვენ მაშინ რევოლუციის გამარჯვებისათვის თავს არ ზოგავდით. ახლა კი რამდენია მეტიჩარა, ეგოისტი ახალგაზრდა, ზარმაცი და უქნარა.

— ასეთი ჩვენ დროში უფრო მეტი იყო. თვითონ ცხოვრება, კერძო საკუთრებაზე დამყარებული ცხოვრება აფუჭებდა ადამიანს.

— ჰო, ეგრე იქნებოდა. მე კი, ჩემო დიმიტრი, რა მაკვირვებს, იცი? ჩვენს დროში რატომ შემორჩა ამდენი მავნე ადამიანი? თავი დავანებოთ რომელიმე გაუნათლებელ წამგლეჯს. რამდენია ისეთი, რომელსაც უსწავლია, დაწინაურებულა, კაცი გამხდარა. გგონია, ამას უნდა მიჰყვე, გაიხედავ და ხელში მხოლოდ ცარიელი გოდორი შეგრჩება. ეგ კიდევ არაფერი, მედიდურობს, დიდკაცობს, შემოიკრებს ენატანიებს, მლიქვნელებს...

— ვიცი, ვინც გყავს მხედველობაში.

— მაგას რა ცოდნა უნდა! — ბრაზით წამოიძახა ილიამ, — ცოდნა არ კმარა, გზა უნდა მოვნახოთ, მაჯლაჯუნა თავიდან უნდა მოვიცილოთ! ორიოდე თვეა, ჩვენს ქარხანაში მოვიდა და სულ აგვირია ყველაფერი.

— შენ რაღაც ახალი იცი. რატომ არ მეტყვი?

ილიამ ირგვლივ მიმოიხედა, დიმიტრის ხელი გამოსდო, ხმას დაუწია:

— დღეს დრო ვერ ვიშოვე, რომ მეთქვა. ახლა მოკლედ გეტყვი. ფრთხილად იყავი, რაღაცას აწყობენ შენს წინააღმდეგ. ბადურიშვილმა მიმიხმო, ვითომ ჩქაროსნული ჭრის საკითხი აინტერესებდა. მაშინვე შევატყვე, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო. მერე თავისებურად ხმა დაიტკბო და მითხრა: შენ დიმიტრი მშვიდობაძის ახლო მეგობარი ხარ და მისი ყველაფერი იციო. დამიწყო გამოკითხვა. შენი წარსულიც აინტერესებს, ქარხანაში ვისთან რას ლაპარაკობ, ერთი სიტყვით, ყველაფერს ეძებს, რომ რამე ჩირქი მოგცხოს. ბოლოს რა მითხრა, იცი? არავის, არც დიმიტრის, არც სხვას, არაფერი უთხრა იმაზე, რაზედაც აქ ვილაპარაკეთო. ეს დისციპლინის, დაწესებულების მეთაურის ავტორიტეტის საკითხიაო.

დიმიტრის გული ბოღმით აევსო, მაგრამ ძალა მოიკრიბა, თავის გულითად მეგობარს მხარზე ხელი დაუსვა, დარდიანი ხმით უთხრა:

— ხომ გაგიგონია, ჩემო ილია: „კარგი რომ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია...“ რა, — ხმას აუწია, — ამ გზით უნდა კოტე ბადურიშვილს ქარხანას ჩამორჩენა თავიდან ააცილოს?

— ქარხნის ჩამორჩენაზე ის სულ არ დარდობს...

— ვიცი! — შეაწყვეტინა დიმიტრიმ, — მაგას ჰგონია, აქ მისი საფარფაშო მოედანია...

ამ დროს მათ საიდანღაც მიუახლოვდა ქარხნის ინსპექტორი: პირხმელი ჩია კაცი — ლუკა ბერთუკაშვილი. ის მახლობელ ჩარხთან შეჩერდა, ყური მოსაუბრეებს მიაპყრო, გამომეტყველება კი ისეთი ჰქონდა, თითქოს რაღაცა დარჩენია აქ და ეძებსო.

გულჩა თუ უგრძნო ილიას, მიიხედა და ნათელ სახეზე ჩრდილი დაეფინა, მყისვე გონს მოეგო, ეოცხლად შებრუნდა და ბერთუკაშვილს გაეხმაურა:

— საიდან გაჩნდი, კაცო შენ აქ? დღეს მესაჭიროებოდი ერთ საქმეზე და ვერსად გნახე.

ბერთუკაშვილმა თითქოს პირველად შეამჩნია ისინი აქ, ალალმართალივით უპასუხა:

— ნახაზი დამრჩა, იმას ვეძებ... დღეს აქ რამდენიმეჯერ ვიყავი, რატომ ვერ მნახე? ახალი ხომ არაფერია?

— ისეთი არაფერი. ხვალაც მოესწრება. — ჩაილაპარაკა ილიამ და დიმიტრის მკლავი გამოსდო, გაიყოლა.

ბერთუკაშვილი ერთხანს მიჰყვა მათ, ბოლოს მიხვდა, რომ არ გაესაუბრებოდნენ და ჩამორჩა, ამწყობ საამქროსაკენ შეუხვია.

სამჭედლოს რომ გასცილდნენ, დიმიტრიმ უკან მოიხედა, მერე ზიზღით თავი აიქნია და ილიას უთხრა:

— ამასაც მოვესწარი! ეს ქონდრისკაცი მოგვიჩინეს. შენ გგონია, მართლა დარჩა იქ რამე? ჩვენ გვიგდებდა ყურს. არა, მოდი და ნუ გასკდები გულზე! შენ და მე უკვე სანდონი აღარა ვართ. ეგ ქლესა კი ჭეშმარიტების მაძიებელია! არა, არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ხომ გითხარი, მე უკვე დაწერილი მაქვს, ცენტრალურ კომიტეტს უნდა მივმართოთ, ყველაფერი მზის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ.

— არ ჯობდა, ერთხელ კიდევ აქვე გვეცადა?

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! ისევ ბადურიშვილს ჩაუვარდება ხელში! აქ ყველა კვანძის სათავე მას უჭირავს... არ გიკვირს, როგორ ახერხებს? ამდენი დრო, ამდენი უნარი რომ ქარხანას მოანდომოს, განა საქმე ასე აირეოდა?

— კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების, ჩემო დიმიტრი.

— არა, მართლა, განა საოცარი არ არის? რამდენი სისხლი ვღვარეთ, რამდენი არა თუ კოკა, ძველი ცხოვრების მთელი საფუძველი დავლეწეთ, მაგრამ გაიხედავ და კიდევ წააწყდები მყრალი ბალღამით სავსე ჭურჭელს!..

ჭიშკართან დიმიტრის შიკრიკი დაეწია, ბრძანება გადასცა: დირექტორი გიბარებს, ახლავე გამოცხადდიო.

III

## სიყვარულის თვალით

ვაჟამ ქარხნიდან გასვლისთანავე გაიფიქრა, შინ გავივლი, ახალ კოსტუმს ჩავიცვამო, მაგრამ დროის დაკარგვა დაენანა, პირდაპირ აჰყვა აღმართს ზედაუბნისაკენ.

ამ გაზაფხულზე, ომის დამთავრების შემდეგ, უფრო ცხოვლად იგრძნო ბავშვობიდან ჩანერგილი მისწრაფება: გზა გახსნილია, გასწი, იარე, ყველაფერი შენია, რასაც გონების ძალით მოიპოვებ.

უკვე ოცდაორი წლის ჭაბუკი იყო, საშუალო სასწავლებელი ოთხი წლის წინ დაამთავრა. შემდეგ განუწყვეტლად ქარხანაში მუშაობდა, წიგნებისათვის მცირე დრო რჩებოდა.

მეტისმეტად მოკრძალებული ყმაწვილი იყო, თავდაჭერილი, შრომასა და სწავლაში გულმოდგინე. ერთხანს ფეხბურთმა გაიტაცა, მაგრამ შემდეგ, ომის წლებში, სამხედრო დაკვეთებმა იმდენი დაძაბული შრომა მოითხოვა, რომ ამისათვის დრო სადღა იყო.

ბევრ რამეში მამას ბაძავდა, გარეგნულადაც მამას ჰგავდა: ისეთივე სქელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმა, უკან გადავარცხნილი, მაღალი შუბლი, შავი წარბები და დიდრონი, თაფლისფერი თვალები, ფართო ლაწვები, კოხტად ჩამოქნილი ცხვირი, პატარა შავი ულვაშები მოსქო ტუჩზე და საჩინოდ მოხაზული ნიკაპი.

მამის გვერდით ახლა უფრო მაღალი მოჩანდა, ტანადი, მხარბეჭიანი.

მაღლობზე შეჩერდა ვაჟა, გარემოს თვალი მოავლო.

ამ გორაკის მახლობლად ცხრაასხუთელი რევოლუციონერების საფლავია. დიმიტრი ყველას იცნობდა. აქ რომ ამოვა, არ შეიძლება ის დღე არ მოიგონოს, როცა ისინი დაასაფლავეს, ფიცი დასდეს, რომ გაორკეცებული ძალით გააგრძელებდნენ ბრძოლას.

ვაჟას კი ამწამს ისინი არ მოჰგონებია; გაჰყურებს გრძლადგაშლილ მშობლიურ ქალაქს, ვიწრო ზოლებად და ნაჭერ-ნაჭერ გაზაფხულის ელფერით მოქარგულს, მწვანით შემოსილ მთაწმინდას, კომკავშირის ხეივანს, აქა-იქ ზეაღმართულ ახალ სახლებს, მაგრამ მისთვის ყოველივე ეს მხოლოდ თანშეზრდილი მიდამოა, — მის თვალწინ კი ამ გაზაფხულივით დამშვენებული, სრულიად უბრალო, ბავშვობიდანვე ნაცნობი და თანაც საოცრად ამაღლებული, მიმზიდველი, მის გულში სიყვარულის აღმძვრელი ქალიშვილი დგას.

მაინც როგორ შეიცვალა იგი, რა სანატრელი გახდა! პატარა რომ იყო, მოწაფე, მაშინაც ლამაზი იყო, ცქრიალა. მოკლე ნაწნავებზე მაგნოლიის ყვავილისფერი ბანტები მუდამ გატკეცილი ჰქონდა, უნაკეცო. მეტად თავაზიანი, თავდაჭერილი გოგონა იყო; უცნობ ბიჭებს სახეს არიდებდა, მუდამ სადად და კოხტად იყო გამოწყობილი.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. ომის მძიმე წლებში მხოლოდ რამდენიმეჯერ შეხვდა, განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. იქნებ იმიტომ, რომ განუწყვეტლივ ჯაფაში იყო და არ ეცალა? არა, მაშინაც რომ ასეთი თვალით შეეხედა, დროს უთუოდ იშოვიდა.

საკვირველია, არსად არც დახატული უნახავს ვაჟას, არც წარმოუდგენია ისეთი სიმშვენიერე, როგორიც ამ გაზაფხულის დასაწყისში შემოეფეთა.

კვირა საღამო იყო. ვაჟა მაღლობზე იდგა. მთების მიღმა ჩასული მზის სხივი თეთრი ღრუბლის კოშკში კიაფობდა.

არაფერზე არა ფიქრობდა ვაჟა, მხოლოდ ამ მშვიდი საღამოს სინარნარით იყო გულავსებული.

ფეხის ხმა მოესმა. მიიხედა... ჰო, ისაა, იამზეა, მაგრამ როდის იყო იგი ასეთი მშვენიერი?!.

— რას მიყურებ, ვაჟა, ვერ მიცანი?

ვაჟამ იგრძნო, რომ გულიდან დაძრული ალი ლოყებზე შეენთო, გაწითლდა, უნებლიეთ თვალი დახარა. ვერ შესძლო თავისი აღტაცების გამოთქმა, მოკრძალებით უპასუხა:

— როგორ ვერ გიცანი, იამზე!.. მხოლოდ... მეტისმეტად მეუცხოე.

იამზე შეჩერდა, შეფიქრიანდა. ვაჟაა ანთებულ სახეზე დააკვირდა და თვითონაც ლაწვებზე ვარდი გაეფურჩქნა, ლაჟვარდისფერ თვალებზე გრძელი წამწამები ჩამოეფინა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ასეთი მწვავე გზნება არასოდეს არ განუცდია. ვაჟას ხომ ბავშვობიდანვე იცნობდა, კომკავშირელი ამხანაგები იყვნენ, მაგრამ ამწამს სულ სხვა ვაჟი იყო იგი...

კვლავ ასწია წამწამები იამზემ, ვაჟის მოკრძალებამ სიამე მოჰგვარა, გაიღიმა, ბროლივით თეთრი კბილები გამოუჩნდა, ვაჟას ხელი გაუწოდა და ამხანაგურად ჰკითხა:

— რა ნახე, ვაჟა, ჩემში უცხო?

ვაჟამ ფრთხილად შეახო თავისი ფართო, ნაჯაფი, მზედაკრული ხელი იამზეს ნაზსა და თეთრ თითებს, გაუბედავად შეავლო სახეზე თვალი და ძლივს უპასუხა:

— ბევრი რამ, იამზე... ასეთი... ჰო, ასეთი მშვენიერი მე ჯერ არავინ მინახავს!.

იამზეს კვლავ შეუფრთხიალდა გული, მაგრამ ძალა მოიკრიბა და ხმამაღლა გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ამბობ. ვაჟა! პირველად ხომ არა მხედავ?

— რა ვიცი, იამზე... — დაბნეულად თქვა თავდახრილმა ვაჟამ, ოდნავ შეკრთა, იამზეს თითები ხელიდან რომ დაუცურდა, ქალს შემკრთალმა შეხედა და პირზე მომდგარი სათქმელის ნაცვლად ეს-ღა უთხრა: — პირველად არა გხედავ, ერთად ვიზრდებოდით, მაგრამ ასე მგონია, ძალიან შორსა ხარ წასული...

— ვითომ რატომ, ვაჟა, რატომ? — წამოიძახა იამზემ და კვლავ სიცილი დაიწყო, გულის სიღრმეში კი შიშნარევმა ფიქრმა გაუელვა, უმალვე სახე მოეღრუბლა, განზე გაიხედა.

მესამე კურსის სტუდენტი იყო. თვითონაც და მამასაც გათხოვებაზე ფიქრი ჯერ ზედმეტად მიაჩნდათ. მამისერთაა. დედა სამი წლის წინათ გარდაეცვალა. მამა რკინიგზელია, ინჟინერი. ხშირად უხდება მივლინებებში სიარული. შინ ისე იშვიათად დაბრუნდება, რომ თავის ერთადერთ ქალიშვილს რაიმე, თუნდაც სულ მცირე, საჩუქარი არ მოუტანოს. ამ ბოლოდროს თუ სადმე წააწყდა ძვირფას წიგნს, უთუოდ შეიძენს, იამზესთან გადაშლის და ზედ წააწერს: „ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს იამზე ვალერიანის ასულ ზარანდიას“. საკუთარი სახლი აქვთ მუშათა უბანში. ამ სახლის ნახევარი მამიდას ეკუთვნის. ორი ვაჟი ჰყავდა მამიდა ასმათს. ორივე ომში დაეღუპა. დაიწყობს ხოლმე წინ შინმოუსვლელი ვაჟკაცების პორტრეტებს და საცოდავად მოთქვამს ბედშავი. იამზეს ხათრი კი დიდი აქვს, მასთან ტირილს ერიდება, ახალგაზრდაა, გული არ გაუფუჭდესო. იამზე რომ უნივერსიტეტიდან დაბრუნდება, ასმათი მაშინვე აფუსფუსდება, სამზარეულოს მიაკითხავს. ხანდახან საქმე ხელიდან უვარდება უბედურს. „დაისვენე, მამიდა, მე ყველაფერს გავაკეთებ“, — მიმართავს იამზე. — „მე რა მომასვენებს. შვილო, ცრემლს რომ თვალები არ გამოელამებინა, რამეში კიდევ გამოგადგებოდ..“, — ეტყვის ხოლმე მუდამ შავ ძაძაში გახვეული ასმათი.

ახლაც თითქოს მამიდამისის მწუხარე სახე მოეჩვენა იამზეს და, ნაკვერცხალს რომ ნაცარში გაახვევენ, ისე მიჩქმალა გულში აღძრული ფიქრი.

— სხვა, როგორ ცხოვრობთ, თქვენი ქარხანა ისევ წინ მიდის? — შინაურულად მიმართა ვაჟას.

ამ შეკითხვამ გამოარკვია ვაჟა, დასუსხა. მოეჩვენა, თითქოს კარგი აზრისა არ იქნებოდა იამზე ქარხნის უბრალო ხარატზე. ალბათ, ამიტომ მოეღრუბლა იამზეს სახე, მაღლიდან დახედა ქარხნის მუშას.

ეს რომ გაიფიქრა, მყისვე მოაგონდა, რაც მიზნად ჰქონდა დასახული. გამხნევდა, პირველად გაეღიმა ამ შეხვედრის დროს, სახე გაუნათდა.

— ქარხანა... იცი, იამზე, მე ქარხანას თავს ვანებებ. ინსტიტუტში შესასვლელად ვემზადები.

— მართლა? — თქვა იამზემ. მის ხმაში თითქოს გამოკრთა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, ვაჟა ქარხნის მუშა იქნებოდა თუ სტუდენტი.

ეს კილო არ მოეწონა ვაჟას, წყენა ვერ დაფარა.

— ქარხანაში მუშაობას ჩემში სწავლის ნიჭი არ ჩაუკლავს. მართალია, ძალიან გამასწარი, იქნება არა გჯერა, მაგრამ აგერ ნახავ, თუ არ ვისწავლი.

— რას ამბობ, ვაჟა, მაგაში ეჭვი ვის ეპარება?

— მაშ, თუ გჯერა... — უცებ გამხიარულდა ვაჟა, სიტყვებიც თავისთავად მოადგა პირზე, ძველებურად, ამხანაგურად სთხოვა: — მოდი, ნუ დაიზარებ, იამზე! ხანდახან მცირე ხნით გამოვივლი, ზოგ რამეში წამომეხმარე. საგნები პროგრამის მიხედვით კარგად მაქვს მომზადებული, მაგრამ მაინც ხომ იცი, სხვა უფრო შეამჩნევს, სად მოვიკოჭლებ.

— დიდი სიამოვნებით. საღამოობით თავისუფალი ვარ. შემოიარე ხოლმე.

მას შემდეგ მთელმა თვემ განვლო. ვაჟა თითქმის ყოველ საღამოს დადიო-

და იამზესთან. თვითონაც არ ელოდა, თუ ცოდნის შეძენა ასე გაიტაცებდა. წიგნს რომ ჩაუჯდებოდა, ყველაფერს ივიწყებდა, ვიდრე საგანს სავსებით არ აღბეჭდავდა გონებაში. ერთი შინაგანი აზრი კი განუშორებლად უღვივოდა გულში, უალერსებდა. გრძნობდა, რომ ეს იამზეს თვალების სხივი იყო. მეცადინეობას რომ მორჩებოდა და გარემოს თვალს მოავლებდა, ის სხივი თითქოს ცისა და დედამიწის მშვენებად იქცეოდა და ყველაფერი მიმზიდველი იყო ამქვეყნად, — შრომა, სწავლა, მთელი ცხოვრების გზა, სიყვარულის თვალით ხილული.

ერთხელ იამზემ ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“ მისცა ვაჟას წასაკითხად. ვაჟამ რამდენიმე გვერდი უხალისოდ ჩაათვალიერა, მერე უცებ შეეხო მის გულს ის მეტყველი სული, რომელიც ავტორს თავის თხზულებაში მოეთავსებინა, გაიტაცა, დაიპყრო.

დაამთავრა კითხვა და ერთხანს გაოგნებული მიმოდიოდა. უცნაური სიცარიელე იგრძნო.

ხედავ, რამდენი რამ ჰკლებია თურმე ვაჟას! მარტოოდენ სასწავლო საგნები კი არ ყოფილა მთავარი, მთავარი თურმე აგერაა, შენს გვერდით, უამრავ წიგნებში.

დიმიტრი შევიდა ვაჟასთან, შვილს ახედ-დახედა, მაგიდიდან წიგნი აიღო, გაიღიმა.

— დაამთავრე? — შეეკითხა და მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო, — კარგია, შვილო, კარგი, ასეთ წიგნებს რომ კითხულობ. ალბათ, ამან აგაფორიაქა.

— ჰო, მამა!.. ახლა დავრწმუნდი, რომ ჯერ თურმე არაფერი არა მცოდნია.

— ჰო, შვილო, ეგ ცოდნაც დიდ რამეს ნიშნავს, — დაუდასტურა დიმიტრიმ, მერე წიგნი ხელში შეატრიალა და განაგრძო: — ეგ წიგნი მე ათას ცხრაას თოთხმეტ წელს წავიკითხე მეტეხის ციხეში. ბიც შემძრა და ამაწრიალა, სწავლის წყურვილი გამიძლიერა. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს ამ წიგნის გმირს და თვითონ ავტორსაც. რამდენადაც მარტინ იდენში ჯეკ ლონდონის სული მეტყველობს. ბიოლოგიის ფილოსოფიამ ჩართრია, როგორც მახსოვს, მასებისადმი რწმენა დაეკარგა, სევდამ შეიპყრო. ამაში შენ ახლა ადვილად შეგიძლია გაერკვე...

კარგა ხანს ისაუბრეს.

მეორე დღეს ვაჟამ იამზეს წიგნი მიუტანა, თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა, ხოლო შემდეგ, როცა მან ფილოსოფიაზე, მასებისადმი რწმენის დაკარგვაზე და სევდაზე დაიწყო ლაპარაკი, იამზე ჯერ სახტად დარჩა, მერე სახე გაუნათდა და აღტაცებით წამოიძახა:

— ეს წიგნი შენ არათუ წაგიკითხავს, კიდევაც შეგისწავლია! მერე კიდევ სხვა ცოდნაც ჩანს აქ! რამდენი სტუდენტი გვყავს, რომელიც ასეთ რამეში სრულიად ვერ ერკვევა.

ვაჟა რომ ბუნებით თავდაჯერილი და მოკრძალებული არა ყოფილიყო, ისეთმა გრძნობამ შეიპყრო იმწამს, იმდენად ალავსო იამზეს სიმშვენიერემ მთელი მისი არსება, რომ თავის მძლავრ მკლავებს გაშლიდა და იამზეს მკერდზე მიიკრავდა. მან კი მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და მბორგავი ხმით თქვა:

— რა კარგი ხარ, იამზე, რა მშვენიერი!

იამზემ თავი განზე გადასწია, ვაჟას ეშმაკურად ახედა, მერე თითქოს გული მოუვიდაო, თავისი მოთამაშე წარბები ასწია და საყვედურით ჰკითხა:

— ეგ ქათინაური წიგნებში ხომ არ ამოიკითხე?

ამ ალერსიანმა საყვედურმაც გული დაუტკბო ვაჟას.

და იმ საღამოს, ქარხნიდან მიმავალი რომ მაღლობზე შედგა და გარემოს თვალი მოავლო, დაგვიანებისათვის იამზის ისეთივე მომდურავი სახე მოეჩვენა ვაჟას, ადგილიდან მოწყდა და ვალიკო ზარანდიას სახლისაკენ გაეშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

## სიტყვა და საქმე

დიმიტრი დირექტორის კაბინეტის მახლობლად შეჩერდა, მიმოიხედა. ყველგან სიწყნარე იყო, თანამშრომლები წასულიყვნენ. ომის დროს მდივნის ოთახში მთელი ღამის განმავლობაში მორიგე იჯდა ხოლმე, ახლა ისიც არ არის. იქნებ ბადურაშვილიც შინ არის, ისვენებს.

დიმიტრის გულმა შეჰკვნესა, დამამცირებელი მარტოობა იგრძნო ამ მიყრუებულ დერეფანში.

მდივნის ოთახის კარი გამოსწია, ღია აღმოჩნდა. ბადურაშვილი თავის კაბინეტში ყოფილაო, გადაწყვიტა და ოთახში შევიდა. სქლად შეფუთვნილ შავ კართან შეჩერდა, რომ შესვლის წინ აზრი მოეკრიბა.

მაინც რისთვის იბარებს? რამდენჯერ დასვა დიმიტრიმ საკითხი, რომ ქარხანა საჭირო მასალით დროზე უნდა მოემარაგებინათ. მიიწურება თვის ორი დეკადა, გეგმის შესრულებას საშველი არ ადგება, ატყდება განგაში, დაფაცურდებიან. სწორედ ამ დროს გამოირკვევა, რომ ზოგ საამქროს ეს დეტალი აკლია, ზოგს კიდევ სხვა...

შუბლი შეიკრა დიმიტრიმ, კარი გამოსწია. დაკეტილი აღმოჩნდა. მწარედ გაეღიმა, დამნაშავესავით მიმოიხედა. დაღლილობა იგრძნო. მდივნის მაგიდასთან ჩამოჯდა, თავი ნიდაყვს დააყრდნო და საკუთარი გულის ცემა მოესმა. ასეთ შემთხვევაში რამე ფიქრს თუ ჰყვებოდა, თორემ ისე გულის გაბმული ხმაური არ მოასვენებდა.

თავი ასწია, სტალინის სურათს მიაცქერდა. ის დრო მოაგონდა, სტალინი რომ პირველად გაიცნო ბაქოში.

რა მალე გარბის დრო! თითქოს ეს გუშინ მოხდაო, ისე ნათლად ხედავს თავისთავს ბალაჯარის სადგურზე. თვრამეტი წლისა იყო მაშინ. სამნი გამოიქცნენ ციმბირიდან. ბალაჯარაში დიმიტრი მარტო დარჩა. ორ ამხანაგს მატარებლის ბილეთი თბილისამდე ჰქონდა.

თვალს მიეფარა მატარებელი. დიმიტრიმ დაცარიელებულ ბაქანზე გაიარ-გამოიარა, დაბალ სადგურში შეიხედა. ჯიბეში ერთი აბაზის მეტი არა გაჩნდა რა. მაინც იმედს არა ჰკარგავდა. ოღონდ ბაქომდე მიეღწია, იქ კი ამხანაგებს მონახავდა.

სადგურიდან ტელეგრაფისტი გამოვიდა. ის ლამაზი ჭაბუკი იყო, მიმზიდველი სახე ჰქონდა.

— უკაცრავად, თქვენ გეცოდინებათ, ბაქომდე ბილეთი რა ღირს?

უცნობმა ახედ-დახედა, კილოზე იცნო.

ქართველი ხარ, ბიჭო?

— დიახ... ბაქოში მივდივარ, სადმე ქარხანაში უნდა მოვეწყო.

— ბაქოში ახლა ქართველობა ბლომადაა, ნუ გეშინია... ჰო, ბილეთი შვიდი კაპიკი ღირს. ხომ გაქვს?

— მაქვს, როგორ არა. გმადლობთ! — უპასუხა დიმიტრიმ.

ის იყო, მატარებელი გამოვიდა. მალე ბაქოში აღმოჩნდა. აქ კი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, უხერხულობა იგრძნო. უზარმაზარი ქალაქია. უცხო სახეები. ვის უნდა მიმართოს? პასპორტიც არა აქვს, რომ სადმე ღამე გაათიოს.

სადგურის ბუფეტში შევიდა. კუთხეში დაჯდა. მაღალი, ახმახი ჟანდარმი კარს მოადგა, მერე დეზების რაწკუნით გაიარ-გამოიარა დარბაზში. დიმიტრი ჟანდარმს სახეს არიდებს, მაგრამ ცალი თვალით მაინც უცქერის. აგერ მიუახლოვდა. მგონი თვალში ამოიღო. ამ დროს ვიღაც მოხელე მივიდა ჟანდარმთან, გამოელაპარაკა, თან გაიყოლა.

სული მოითქვა დიმიტრიმ, აქედან უნდა გავძვრეო, გაიფიქრა და წამოიმართა. თვალი ბუფეტის ვიტრინისაკენ გაექცა. დღეს არაფერი უჭამია. ჯიბეში

რომ ცამეტი კაპიკი აქვს, იმას ჯერ ვერ შეელევა. ვინ იცის, სად მოუწევს ღამის გათევა. რამდენი ხიფათი, რამდენი გაჭირვება გამოიარა, ვიდრე ციმბირიდან აქამდე მოაღწევდა. ახლა რომ ჩავარდეს, თავი სადღა გამოჰყოს?

დახლთან ოფიციანტი დგას, ნაცნობი სახე აქვს, ქართველი უნდა იყოს.

დინჯად მიუახლოვდა დიმიტრი, მოწიწებით მიმართა:

— უკაცრავად... თქვენ ქართველი უნდა ბრძანდებოდეთ.

ოფიციანტმა განცვიფრებით შეათვალიერა, გაეღიმა.

— ჰო, ბიძია, ქართველი ვარ. შენ სადაური ხარ?

— თბილისელი.

— რა გვარი ხარ?

აქ კი შეყოყმანდა დიმიტრი. რა ქნას, უთხრას ნამდვილი გვარი?

ოფიციანტმა რაღაცა იაზრა, მისკენ გაიწია, დაბალი ხმით უთხრა:

— ნუ გეშინია. ბიძია, მითხარი, შინაური ვარ.

ამ მშობლიურმა ხმამ გული შეუტოკა დიმიტრის, თვალზე ცრემლი კინაღამ მოადგა. მაინც თავი შეიმაგრა; დიდ ჭირში იყო გამოვლილი და გულჩვილობა არ შეეფერებოდა.

— მშვიდობაძე, — უპასუხა ბოლოს.

— აქ ერთი მშვიდობაძეა, კონდუქტორად მუშაობს საბუნჩის მატარებელზე. შენი ნათესავი ხომ არ არის?

დიმიტრის თვალები გაუფართოვდა. მშვიდობაძე თავისიანი იქნება, არ უღალატებს.

— დიახ, დიახ, სწორედ იმას ვეძებ, ბიძაჩემო! — წამოიძახა დიმიტრიმ.

— აბა, ცოტა შეიცადე. აგერ ჩამოჯექი მაგიდასთან. საჭმელს მოგიტან. ამასობაში ისიც მოვა.

— არა, ბიძია, არ მშია. — იცრუა დიმიტრიმ.

— მაინც მაგიდასთან ჯობს. ჟანდარმი შემოვა. ეჭვი არ აიღოს.

— ცამეტი კაპიკი მაქვს, მეტი არა. ეს თუ იკმარებს...

— არა უშავს რა, შენთან არ დამეკარგება.

ჭამას რომ შეუდგა, მცირე ხნით დაავიწყდა დიმიტრის, რომ ციმბირიდან იყო გამოქცეული, პასპორტი არა ჰქონდა და ყოველ წამს ჩავარდნა იყო მოსალოდნელი...

*

* *

ბადურიშვილი მძიმე ნაბიჯით შემოიმართა კარებში, დიმიტრის კუშტად გადახედა, მერე ოდნავ გაიღიმა და თავი დაუქნია.

მოგონების ბურუსში გახვეული დიმიტრი დირექტორს ისე შეაჩერდა, თითქოს უკვირდა, საიდან საღ გაჩნდიო. ნელა წამოდგა.

ბადურიშვილმა კაბინეტის კარი გააღო, შიგ რომ შევიდა, საზაფხულო პალტო გაიხადა, ქუდიც იქვე ჩამოჰკიდა და სულ მცირედ შემელოტებულ თავზე მარჯვნივ გადავარცხნილი შავი თმა გაისწორა.

საგანგებოდ შეკერილი კოსტუმი ტანზე კარგად ადგა; ცისფერზოლებიანი აბრეშუმის პერანგის გადმოკეცილ საყელოში თეთრად მოუჩანდა ყელი; ხოლო მისი ფერმკრთალი სახე, შავი თვალ-წარბი და სქელი ტუჩები მთელ მის გოროზ გარეგნობას ეხამებოდა. ძალიან კი ცდილობდა ბადურიშვილი, რომ თავი უბრალოდ დაეჭირა, მაგრამ ამას მხოლოდ მასზე მაღლა მდგომთა წინაშე ახერხებდა, თავდაბლობაც ბუნებრივი გამოუდიოდა, ხოლო ხელქვეითებთან უნებლიეთ გაუჯდებოდა ძვალ-რბილში მიუკარებელი მედიდურობა, თავს მაღლა ასწევდა, ისეთ გამომეტყველებას შეიმჩნევდა, როგორიც თავის თავში დარწმუნებულ მბრძანებელს შეეფერება.

დიმიტრი კართან შეჩერდა.

კოტემ ირიბად გადმოხედა, თავის მაგიდისაკენ გაემართა და ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— დასწყევლოს ეშმაკმა! ერთი წუთის მოსვენება არაა. ცეკაში გამომიძა-

ხეს. ახლა იქიდან მოვდივარ. დიდი ხანია მელოდებით?

— არა... არა უშავს რა, — თქვა დიმიტრიმ და გრძელ მაგიდასთან მიდგმული სკამი ფრთხილად გამოსწია, მცირე ხანს უმზირა დირექტორს, ბოლოს დაუპატიჟებლად დაჯდა.

კოტემ სავარძელში კოსტუმი გაისწორა, თმაზე ხელი გადაისვა; დიმიტრი რომ დაუკითხავად ჯდებოდა, მისკენ თვალი ქვეშ-ქვეშად გააპარა, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, წარბები ასწია და სასწრაფოდ უჯრა გამოსწია, ქაღალდები ამოიღო, გადაფურცლა, ჯერ ერთს დააკვირდა, შემდეგ მეორის კითხვას შეუდგა.

დიმიტრი გაუნძრევლად იჯდა და ბადურიშვილს სახეზე აკვირდებოდა, ცდილობდა გაეგო, თუ რით იყო იმწამს იგი გატაცებული, ქაღალდებში რას დაეძებდა. ბოლოს გაიფიქრა: ეს არც ცეკაში ყოფილა, არც იმ ქაღალდებში აქვს რამე საჩქარო საქმე. ლოდინით უნდა დამღალოს, მოთმინებიდან გამომიყვანოს, შეუფერებელი რამ გამაკეთებინოს. ანდა, იქნებ, არავითარი მიზანი არა აქვს, ისე ტკბება, როცა ხელქვეითს თავის მბრძანებელ ძალას აგრძნობინებს. მაგრამ ეს ხომ სადიზმია! როგორ შეიძლება ჩვენი საამაყო ქარხნის დირექტორი ასეთი საძაგელი სენით იყოს დაავადებული! სადიზმი ხომ ველურობიდან მომდინარეობს. ველური მოწინააღმდეგეს, ზოგჯერ თავისიანსაც კი, ფეხქვეშ გაიგდებდა და ტკბებოდა მისი ხანგრძლივი წამებით... არა, ნუ შესტოპავ ხოლმე! — გაუჯავრდა დიმიტრი თავის თავს. — ადამიანში კარგის დანახვა უნდა შესძლო, თორემ ავს რა დიდი აღმოჩენა უნდა. კოტე დღეს, ალბათ, მართლა დაიბარეს ცეკაში და მაგრად შეახურეს. იმიტომ არის ასე ამრეზილი.

კოტემ ქაღალდი თითქოს ბოლომდე ჩაიკითხა, გაბადრულ სახეზე ნაწყენი კაცის იერი აღიბეჭდა, თავი გაიქნია, ქაღალდი ხელში შეატრიალა, ვითომ მის მიღმა ეძებსო წყენის სათავეს. მერე უცებ ფურცლები უჯრაში ჩაალაგა, აბეზარი ფიქრის მოსაცილებლად შუბლზე ხელი მოისვა; თავი არ აუწევია, ისე მიმართა დიმიტრის:

— ჰო, მართლა, ამხანაგო დიმიტრი, საქმე როგორ მიდის?

დიმიტრი ასეთ შესავალს არ მოელოდა. საქმის მდგომარეობა განა ბადურაშვილმა უკეთ არ იცის? ასეთ დროს ამისთვის არ დაიბარებდა, არც თვითონ შეიწუხებდა თავს.

— ახალი რა უნდა მოგახსენოთ. — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ მხოლოდ იმისთვის, რომ რამე ეთქვა.

ბადურიშვილმა თავი ასწია, დიმიტრის თვალი შეანათა, უმალვე ღიმილი მოიშველია, თუმცა ამ ღიმილმა მის სავსე სახეზე ცივად გაიელვა, ეტყობოდა კი, რომ არ უნდოდა გამოემჟღავნებინა თავისი გულისწყრომა.

— ახალი თქვენ ბევრი რამ იცით, ბევრი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ არც მე ვარ ყრუ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენი უჩინარი ძაფებით ვარ მე ქარხანასთან დაკავშირებული. მე ისიც ვიცი, თუ ვის რა ზრახვა უდევს გულში, ვინ რა ინტრიგას ამზადებს.

ლახვარივით მოხვდა დიმიტრის გულზე ეს სიტყვა — ინტრიგა. არასოდეს თავის სიცოცხლეში რაიმე ანგარებისა და კარიერისათვის ვინმეს წინააღმდეგ არ უმოქმედია.

— მე არ ვიცი, თქვენ რა ზრახვები, ან რა ინტრიგა გაქვთ მხედველობაში, — მკვახედ შეესიტყვა დიმიტრი, — პირდაპირ მითხარით, რისთვის დამიბარეთ, ჩემთან რა საქმე გაქვთ?

კოტეს ბრაზი მოერია, წამოდგა, ქვედა ტუჩს კბილი დააჭირა, მერე მრისხანედ თქვა:

— თავს ნუ იკატუნებ, კარგად იცი, რისთვის დაგიბარე. თქვი, ხომ იცი?

დიმიტრი არ შერხეულა, თავი დახარა მხოლოდ, ყრუდ ჩაილაპარაკა:

— მე გულთმისანი არა ვარ. თქვით, რა გინდათ ჩემგან?

— მოდი და უყურე ახლა ამას! — აღმოხდა ბადურიშვილს, — მთელი ქარხანა შესძრა, ხელმძღვანელობის წინა-

ალმდეგ ხალხი დარაზმა და აქ კი თავი ბატკანივით უცოდველად მოაქვს! შენ ძველი დრო ხომ არა გგონია, ქვეშ-ქვეშ რომ დაძვრები. მაშინ დირექტორი კაპიტალისტების ინტერესებს იცავდა, ახლა კი... ვის ინტერესებს ვიცავ ახლა მე? თქვი, რას გაჩუმებულხარ!

დიმიტრის მწარედ გაეღიმა.

— ამისთვის დამიბარეთ? ეს უნდა განმიმარტოთ?

— მოდი და ნუ გასკდები გულზე! — კვლავ წამოიძახა კოტემ, — თავი ძველ რევოლუციონერად მოაქვს! დაჩვეულია დემაგოგიას...

აქ კი ველარ მოითმინა დიმიტრიმ, ისიც წამოდგა, ბადურიშვილს თვალი თვალში გაუყარა, მკაცრად შესძახა:

— ჩემს რევოლუციონერობას თქვენ ასე იოლად ნუ ეხებით!..

— მოიცა, მოიცა! — დაცინვით შეაწყვეტინა ბადურიშვილმა, — ძალიან ნუ ამაყობ. ბევრი გვინახავს, შენსავით რომ იკვეხნიდა, ციხესა და ციმბირში ვიყავიო, მაგრამ მოგეცათ ლხენა, მოუნახეს მათ შესაფერი ადგილი.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. დიმიტრი ცახცახმა აიტანა, თვალები გაუფართოვდა, მღელვარე ხმით შეეკითხა ბადურიშვილს:

— გამაგებინეთ, ვინა ხართ თქვენ, საბჭოთა ადამიანი, თუ?.. — უნდოდა ეთქვა — პარტიისა და ხალხის მტერიო, მაგრამ სიტყვა გადაყლაპა, ხელი ჩაიქნია.

— განაგრძე, განაგრძე! ენა რატომ ჩაგივარდა? ვიცი, რასაც ლაპარაკობ ჩუმჩუმად. ჰმ, რევოლუციონერი! აქ კი სიტყვის თქმა ვერ გაუბედნია. ვინა ვარ? მალე გაიგებ, ვინცა ვარ...

— გაგებული მაქვს, — მიახალა დიმიტრიმ, — სამი თვეა აქა ხართ და თქვენი წყალობით უკვე ქარხანა გეგმას ვერ ასრულებს. თქვენ კი გაბერილი ცნობებით გადიხართ იოლად. იმის ნაცვლად, რომ საამქროები საჭირო მასალით თავის დროზე მოამარაგოთ, გაბით ჭორიკანების, მლიქვნელების ქსელი და იმას დაეძებთ, თუ თქვენზე ვინ რას ლაპარაკობს. ეს არის საქმე?

— უყურე ახლა ამას, უყურე! — აუწია ხმას ბადურიშვილმა, — შენ ვინ გეკითხება, ქარხანა გეგმას როგორ ასრულებს! მე ვარ აქ პასუხისმგებელი. კარგად იციან, თუ რა რთულ საქმეს აკეთებს ჩვენი ქარხანა. განა ჩვენმა ქარხანამ არ ისახელა თავი ომის დროს?

— მაშინ თქვენ აქ არ იყავით, სხვის ღვაწლს ნუ ისაკუთრებთ. ომის დროს თქვენ სადაც ბრძანდებოდით, მგონია, იქ არცთუ ისე სასახელოდ წაგიყვანიათ საქმე. ხომ არ დაგავიწყდათ მექრთამეებისა და გამფლანგველების ჯგუფი...

— ხმა ჩაიწყვიტე! უყურე, სად იმზირება! გამომძიებლად ხომ არ დაგნიშნეს? ბევრმა მოიტეხა კბილი... შენ ის გირჩევნია, შენი წარსული მიმოჩხრიკო... რა, არ გესიამოვნა?

დიმიტრის აღშფოთებისაგან სახეზე მიწის ფერი დაედო, ტუჩები შეუთრთოლდა. უნდოდა, გამანადგურებელი რამ ეთქვა ბადურიშვილისათვის, მაგრამ მხოლოდ ეს მოახერხა:

— ჩემი წარსული თქვენგან ავად სახსენებელი არაა. მე ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლიდან პარტიის წევრი ვარ!

— მანამდის სად ბრძანდებოდით?

— შვიდი წელიწადი საპატიმროში ვიჯექი.

— იმის წინ?

ამ დაკითხვამ საშინელი ზიზღი აღუძრა დიმიტრის. ზაფრა მოერია. თავის დამცირებად მიიჩნია ბადურიშვილისათვის რაიმე პასუხის გაცემა. დაჯდა. ხელები თავზე შემოიჭდო.

კოტემ ეს თავისებურად ახსნა. „მგონი დავიჭირეო“, გაივლო გუნებაში და სახე გაუნათდა; დამშვიდდა, თვითონაც დაჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მოისვა.

— საკვირველია, ისე შევლაპარაკდით, თითქოს მტრები ვიყოთ, — დაიტკბო ხმა ბადურიშვილმა, — რა გვაქვს სადავო, ერთ საქმეს ვემსახურებით...

დიმიტრის ბადურიშვილის სიტყვები ბუნდოვანად ესმოდა. კარგა ხანია დას-

ჩემდა: ძალიან მწვავე საწყენი რომ შეხვდებოდა, იმდენად მოიცავდა იგი, რომ აზროვნების ძაფი უწყდებოდა; გაივლიდა ხანი და შემდეგ გაიაზრებდა ყოველივეს, ასწონ-დასწონიდა. ბადურიშვილი კი შემპარავი ხმით განაგრძობდა:

— გავიგე, ცეკაში გასაგზავნად განცხადება თუ საჩივარი შეგიდგენიათ შენ და ილია საბურიძეს. რას მაბრალებთ? მითხარით გულახდილად...

მცირე ხანს დაელოდა კოტე პასუხს. დიმიტრიმ რომ ხმა არ დასძრა, ისევ განაგრძო:

— თქვენ გგონიათ, მაგ საჩივრით მე რამეს დამაკლებთ? ისევ ჩემს ხელში არ მოვა? მიცნობენ, იციან, ვინცა ვარ. ან იქ რას აცდენთ საქმით დატვირთულ ამხანაგებს, ან აქ წყალს რად ამღვრევთ? ეს რა თქვენი საკადრისია. იქნება რამე შეცდომა გვაქვს, აქვე გამოვასწოროთ. არ მიყვარს, სწორე გითხრა, ზურგს უკან ჩხრეკა, მუხანათობა და ვერაგობა...

ეს უკანასკნელი სიტყვები გულში ჩაწვდა გაოგნებულ დიმიტრის, შეირხა, ბადურიშვილს მიაშტერდა. წინათ არ დაკვირვებია, ამ ბოლო დროს მიხვდა, რომ ხანდახან ეს თუ ის ბოროტი ადამიანი ნიღაბს აიფარებს ხოლმე და უტიფრად ილაშქრებს სწორედ იმ სენის წინააღმდეგ, რითაც თვითონ არის დაავადებული. ქედმაღალი და ამპარტავანი სიტყვით თავდაბლობის დამცველად გამოდის, ყოველგვარ მედიდურობას გმობს; ხარბი და გაუმაძღარი მეთავისე საზოგადოებისათვის თავდადებას ხოტბას ასხამს. აგერ ეს ვაჟბატონიც, ჭორიკანები და მლიქვნელები რომ გარს შემოიხვია, მუხანათობას სხვას სწამებს! და ამას ბედავს დიმიტრი მშვიდობაძესთან, იმ კაცთან, რომელმაც მთელი სიცოცხლე სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლას შეალია.

დინჯად წამოდგა დიმიტრი, ბადურიშვილს თვალი გაუსწორა და მოურიდებლად უთხრა:

— ვერაგობა და მუხანათობაო, ამბობთ თქვენ! განა არა სჯობს, ახლომახლო მიმოიხედოთ? საკვირველია, რას იწუხებდით თავს, აქ რად მოდიოდით? ხომ ხედავთ, რომ ეს ქარხანა თქვენი შესაფერი არ არის?..

ელდანაკრავივით წამოიჭრა ცეცხლმოკიდებული ბადურიშვილი, მაგიდაზე მუშტი დაჰკრა, გველივით დაისისინა ხმადახშულმა:

— აგრე ხომ! მაშ კარგი! მალე გავსწორდებით!

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლა ბაჟანი

★

# სპასკის კოშკთან

ბევრჯერ ვყოფილვარ... ამ კედლებს განა
ჩავუვლი მშვიდად და იშვიათად,
ნაიარევნი, ნაჯაფნი დგანან
საუკუნეთა მცველად, ნიადაგ,

ამაღლებული გამოვალ, თანაც,
წითელ მოედანს გავცქერ ზვიადად;
ის კოშკის წინ დევს, მრგვალი და მყარი,
როგორც გრანიტით ნაჭედი ფარი.

აქ მასთან ერთად ხშირად მსმენია
მძლავრი ნაძვების ვერცხლის ხმა ტკბილი,
მავზოლეუმთან ძირს აფენია
მათი ხასხასა ხავერდის ჩრდილი,

ორი ტიტანი შიგ ასვენია,
სძინავთ უკვდავებს მარადი ძილით;
პიპყრობს ფიქრი და სიჩუმე სრული,
ამ სიჩუმეში მაღლდება სულიც.

გინდა გულისხმას შენც აჰყვე მაღლა,
სიმღერად იქცეს გულისვე თქმული,
კოშკი თითქოს და მაღლდება ახლაც
სათოფურებით, თოფების ლულით,

ფეთქავს, არასდროს არ იცის დაღლა,
ფეთქავს მსოფლიო სატახტოს გული;
ქვეყნიერება მოილტვის, ღელავს,
კრემლის ძველ კედლებს შეჰყურებს ყველა.

შემოსეული მძვინვარე ტალღით
საუკუნეთა ქარ-ბუქი შავი
წარსულს გვაგონებს ხანძრების თალხით...
დადექ! ამ ბჭესთან დახარე თავი

და გაიხსენე რუსეთის ხალხი,
ძმურად გვიცავდა ჩვენ მისი მკლავი;
ჩვენს უკრაინას, მშობლიურ მიწას,
ვით უწინ, ახლაც გულ-მკერდით იცავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რწმენით გახედე დროთა გადაღმა,
სიმართლეს მოწმობს, რაც იყო ძველად,
იგი სიმართლე ახლაც ამაყად
მარადჟამს ისმის მთაში და ველად,
ის ბოლშევიკთა საქმეს თან ახლავს
და გმირობისკენ მოუხმობს ყველას;
კრემლის საქმეში ქვეყანამ იცის,
ბედნიერება საბჭოთა მიწის.
შიგ მკერდგაშლილად შედი და მაშინ
ნახე ბრწყინვალე, თეთრი დარბაზი,
იქ დგას ლენინი მარმარის ქვაზე,
მტკიცე კვარცხლბეკზე, სხივთა ქარვაში,
უსმინე, როგორ იფეთქებს ტაში
და ხმა შეარყევს კედლებს ბარბაცით,
როცა შემოდის მხნე ნაბიჯებით
სტალინი თავის ძმადნაფიცებით.

აქ თაობათა საქმე, სახელი
სიმხნით, სიცოცხლით განახლებულა,
სიმართლე, დროთა გადამლახველი,
კოშკის თაღამდე ამაღლებულა,
ვინ არ ყოფილა კრემლის მნახველი
მისი დიდება სად არ ქებულა,
და ყველგან, როგორც სინათლის დროშა,
სპასკის კოშკიდან ვარსკვლავი მოჩანს.

გიცქერ, სიმართლეც აქ მეგულება,
მზის ჯილოსანო კოშკო ზვიადო,
ეს ჩემი ტრფობაც და ერთგულებაც,
ჩემი სიმღერა საგანთიადო,
როგორც ახალი დროის თქმულება,
მსურს შენ გადმოგცე და გადიადო:
რომ უკრაინის ვარსკვლავთ კრებულიც
კრემლის ცაზეა შეერთებული.

თარგმანი უკრაინულიდან **ალიო მირცხულავასი**

---

# კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მაისურაძე

★

## რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია

რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა, რომელიც თავისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ ხალხს, 50 წლის წინათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის ბატონობის დასამხობად.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ყველა ქვეყნის მშრომელები სწავლობენ და იყენებენ რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილებას. არც ერთ ბურჟუაზიულ რევოლუციას მსოფლიოში მშრომელი ხალხისათვის არ მიუცია ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების ისეთი ნაირსახეობა, არ უჩვენებია თავდადებული გმირული ბრძოლის ისეთი ნიმუშები, როგორიც უჩვენა რუსეთის რევოლუციურმა მასებმა 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

დიდი ლენინი წერდა, რომ „1905 წლის „გენერალური რეპეტიცია" რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა"[1].

• • •

უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 80-იან წლებში რუსეთის მუშათა კლასი საკმაოდ გაიზარდა და ბრძოლა დაიწყო კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაშინ მუშების ძირითადი მასა თავმოყრილი იყო სამრეწველო ცენტრებში.

მცირე ხელფასს, აურაცხელ ჯარიმებს, ანგარიშის გასწორების დროს მოტყუებას მოთმინებიდან გამოყავდათ მუშები. ამიტომ მათ დაიწყეს ერთმანეთთან შეთანხმება და გაფიცვების გამოცხადება, მეფაბრიკეებისათვის მოთხოვნების წარდგენა თავიანთი აუტანელი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. 1881—1886 წლებში მოხდა 48-ზე მეტი გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 80 ათასამდე მუშა. გაფიცული მუშების წინააღმდეგ მეფის ხელისუფლებას გამოჰყავდა პოლიციელები და სამხედრო ნაწილები. 1885 წელს მოროზოვის ფაბრიკაში მუშათა დიდი გაფიცვის დროს ორეხოვო-ზუევოში 600-ზე მეტი მუშა იქნა დაპატიმრებული, ხოლო რამდენიმე ათეული მათგანი სამართალში მისცეს.

იმავე წლებში რუსეთში შეიქმნენ პირველი მარქსისტული წრეები, რომლებმაც იწყეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების გავრცელება.

მაგრამ მარქსისტული წრეები მაშინ პრაქტიკულად დაკავშირებული არ იყვნენ მუშათა მოძრაობასთან.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა მარქსისტულ მუშათა წრეებს პეტერბურგში და 1895 წელს ისინი გააერთიანა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში". ამ კავშირის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „ბრძოლის კავშირი" ხელმძღვანელობდა მასობრივ მუშათა მოძრაობას. იგი მუშების ბრძოლას ეკონომიური მოთხოვნებისათვის უკავშირებდა პოლიტიკურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

**1897** წელს ვ. ი. ლენინი გადასახლებულ იქნა ციმბირში. იქ, თოვლით დაბურულ შორეულ სოფელ შუშენსკოეში, მან დასწერა თავისი შესანიშნავი თეორიული შრომები, რომლებშიც იცავდა და შემდგომ ავითარებდა მარქსის მოძღვრებას.

იმავე წლებში დაიწყო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოღვაწეობა. 1898 წელს სტალინი შედის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციაში. იგი გულმოდგინედ სწავლობს მარქსიზმს. ლენინის ნაწერებმა განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს სტალინზე.

ლენინის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" იყო ნიმუში, რომელსაც თავის მუშაობაში განუხრელად მისდევდნენ თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები.

ლენინის მიერ შექმნილი „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" იყო რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი ჩანასახი. მისი მაგალითის მიხედვით მარქსისტების ორგანიზაციები შეიქმნა რუსეთის დიდ სამრეწველო ცენტრებში და აგრეთვე

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 13.

განაპირა მხარეებშიც. მათ დაიწყეს რუსეთის პროლეტარიატის ერთ პარტიად გაერთიანების ცდა.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1900 წლის შემოდგომაზე ლენინი გაემგზავრა საზღვარგარეთ. იქ, 1900 წლის დეკემბერში გამოვიდა მარქსისტების პირველი საერთო-რუსული გაზეთი „ისკრა“. გაზეთის სათაურქვეშ იყო ეპიგრაფი: „ნაპერწკლიდან ალი აინთება“. „ისკრა“ საზღვარგარეთიდან ფარულად იგზავნებოდა რუსეთში. „ისკრის“ გავრცელებისათვის მეფის პოლიცია ციხითა და გადასახლებით იმუქრებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდა.

ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი. აქ 1901 წლის სექტემბრიდან სტალინისა და ლადო კეცხოველის ინიციატივით გამოსვლა იწყო პირველმა არალეგალურმა ქართულმა გაზეთმა „ბრძოლამ“, რომელიც თანმიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ლენინური „ისკრის“ იდეებს. „ისკრის“ შემდეგ „ბრძოლა“ საუკეთესო მარქსისტული გაზეთი იყო რუსეთში.

ლენინურმა „ისკრამ“ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნაში. მან შეიმუშავა პარტიის პროგრამა და წესდება, აღზარდა და დარაზმა რუსეთის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი რევოლუციური მარქსიზმის საფუძველზე.

„ისკრამ“ ერთმანეთს დაუკავშირა დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული წრეები და ჯგუფები და მოამზადა მოწვევა პარტიის მეორე ყრილობისა, რომელიც შედგა 1903 წელს ლონდონში.

„ბოლშევიზმი,— წერდა ვ. ი. ლენინი,— როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“[1].

რუსეთში ამ დროს ახალი ძალით აზვირთდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რადგან სამრეწველო კრიზისმა, უმუშევრობამ ქალაქებში და შიმშილმა სოფლად მწვავედ გააუარესა მშრომელი მასების მდგომარეობა. 1900—1903 წლების განმავლობაში დაიხურა 3 ათასამდე საწარმო. ქუჩაში გამოყრილ იქნა 100 ათასზე მეტი მუშა. სამრეწველო კრიზისმა და უმუშევრობამ ვერ შეაჩერეს და ვერ შეანელეს მუშათა მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. ეკონომიური გაფიცვებიდან მუშები გადავიდნენ პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა საპირველმაისო გაფიცვას 1901 წელს პეტერბურგში, ობუხოვის სამხედრო ქარხანაში. მანამდე ობუხოვის ქარხანამ მთელი მისი არსებობის მანძილზე არ იცოდა თუ რა იყო გაფიცვა. ახლა კი ქარხნის ადმინისტრაციამ გაფიცვისათვის სამუშაოდან დაითხოვა 1.200 მუშა. ამის საპასუხოდ 7 მაისს გაფიცვა გამოაცხადა ქარხნის ყველა 6.000-მა მუშამ.

მეფის თვითმპყრობელობამ 800 მუშა დააპატიმრა, ხოლო ბევრი კატორღაში გადაასახლა მრავალი წლის ვადით.

მაგრამ მოწინავე მუშების მიმართ ანგარიშის სასტიკმა გასწორებამ მთავრობისათვის სრულიად მოულოდნელი შედეგი გამოიღო. მუშებში გაიზარდა პოლიტიკური თვითშეგნება. „ობუხოველთა თავდაცვამ“ მუშები დაარწმუნა ბარიკადული ბრძოლებისა და შეიარაღებული აჯანყების შესაძლებლობაში. პოლიტიკური გაფიცვები და ქუჩის დემონსტრაციები, რომლებიც ტარდებოდა ლოზუნგით „ძირს მეფის თვითმპყრობელობა“, უფრო ხშირი და მასობრივი გახდა.

1902 წლის იანვარ-მარტში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ბათუმში მოხდა დიდი გაფიცვები და დემონსტრაციები.

ბათუმის მუშათა ცნობილ პოლიტიკურ დემონსტრაციაში, რომელიც 1902 წლის 9 მარტს გაიმართა, მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 6 ათასმა კაცმა.

ამ გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის აამოძრავა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა მასები.

მუშათა რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა 1903 წელს. საყოველთაო გაფიცვები მოედო მთელ რიგ ქალაქებს. მუშათა გაფიცვები არც ერთი წუთით არ აძლევდნენ მოსვენებას მეფის მთავრობას. მუშების პოლიტიკურ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ხელმძღვანელობდნენ.

მუშათა მოძრაობის გავლენით მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ აჯანყდა გლეხობაც. 1902 წელს ხშირი იყო გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება. მემამულეთა მეურნეობებისათვის ცეცხლის წაკიდება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ხარკოვის, პოლტავის გუბერნიებში და ვოლგისპირეთში აჯანყებული გლეხები მემამულეებს ართმევდნენ პურსა და პირუტყვს და ერთმანეთს შორის იყოფდნენ.

ცენტრალურ რუსეთში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა მძვინვარებდა სარატოვის, ვორონეჟის, ტამბოვის და ტულის გუბერნიებში.

1903 წელს გლეხთა მასობრივი გამოსვლები მოხდა საქართველოში. მთელი გურია აჯანყების ალში იყო გახვეული. გლეხები უარს აცხადებდნენ მემამულეებისათვის მიეცათ მათს მიწაზე მოყვანილი მოსავლის ნახევარი და გადაეხადათ სამღვდელოების შესანახი ფული. მთავარი ის იყო, რომ გლეხთა მოძრაობამ აქ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხები ბრძოლას ეწე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 9.

ადნენ თვითმპყრობელური წყობილების მოსპობისათვის.

მაგრამ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას 1905 წლის რევოლუციის წინ მთლიანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა ორგანიზებული მასობრივი ბრძოლის ხასიათი. ლენინი აღნიშნავდა სამ ძირითად მიზეზს, რომლებმაც გამოიწვიეს გლეხთა აჯანყების დამარცხება:

„გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან ის იყო, ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული, ნათელი **პოლიტიკური** მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა **სახელმწიფო** წესწყობილების შეცვლისა. გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან იგი არ იყო **მომზადებული.** გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან სოფლის პროლეტარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან“[1].

1905 წლის რევოლუციის წინახანაში რევოლუციური მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის მუშათა და გლეხთა ბრძოლას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ მწიფდებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოდიოდა. რუსეთის პროლეტარიატი გახდა საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდი.

*
* *

რევოლუცია დააჩქარა რუსეთ-იაპონიის 1904—1905 წლების ომმა.

მეფის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ომი განამტკიცებდა თვითმპყრობელობის მდგომარეობას და თავიდან აიცილებდა მას მოახლოებული რევოლუციის საფრთხეს, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ომმა ცხადჰყო მეფის რუსეთის მთელი სახელმწიფოებრივი წყობილების სიდამპლე. მეფის ჯარების დამარცხებანი აღშფოთებას იწვევდა მასებში.

ბოლშევიკები დაუღალავად განუმარტავდნენ ხალხს, რომ მეფის მთავრობა ომს ეწეოდა კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესებისათვის, მუშებისა და გლეხების ინტერესების საწ ნააღმდეგოდ.

ბოლშევიკების აზრით, მეფის მთავრობის დამარცხება ომში გამოიწვევდა ცარიზმის დასუსტებას და რევოლუციის გაძლ ერებას.

1904 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვსა და სხვა ქალაქებში მუშებმა მოაწყეს ქუჩებში დემონსტრაციები ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „ძირს ომი!“.

ამიერკავკასიაში რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში იდგა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი, ს. ორჯონიკიძესთან, მ. ცხაკაიასთან, ა. წულუკიძესთან, ა. ჯაფარიძესთან, ს. შაუმიანთან, ს. სპანდარიანთან და ჩვენი პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად.

ციმბირში პარტიულ მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ს. მ. კიროვი და ვ. ვ. კუიბიშევი. ისინი მუშებსა და ჯარისკაცებს აღაგზნებდნენ საყოველთაო გაფიცვისაკენ და აჯანყებისაკენ მეფის წინააღმდეგ.

პეტერბურგში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, დონბასში, ხარკოვსა და სხვა ქალაქებში ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დაუღალავი მუშაობა გააჩაღეს ფაბრიკა-ქარხნებში, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის. ისინი მშრომელ მასებს რაზმავდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის საბრძოლველად. პეტერბურგში ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა მ. ი. კალინინი, ნიჟნი-ნოვგოროდში — ი. მ. სვერდლოვი, მოსკოვში — ნ. ე. ბაუმანი.

1904 წლის დეკემბერში სტალინისა და ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ბაქოში ჩატარდა მუშათა უდიდესი გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა 13-დან 31 დეკემბრამდე.

ეს გაფიცვა გახდა რევოლუციური აღმავლობის დასაწყისი ამიერკავკასიასა და რუსეთის მთელ რიგ რაიონებში.

რევოლუციის დასაწყისი გახდა 1905 წლის 9 (22) იანვრის ამბები. ამ დღეს პეტერბურგში 140 ათასზე მეტი კაცი მეფის პორტრეტებით, ხატებითა და ლოცვებით დაიძრა ზამთრის სასახლისაკენ. მუშები მეფესთან მიდიოდნენ მშვიდობიანი პეტიციით თავიანთი საჭიროებათა შესახებ.

ზამთრის სასახლის მოედანზე მუშებს წინ აღუდგა მეფის ჯარების გაუვალი კედელი. მუშებს არ სჯეროდათ, რომ ჯარისკაცები სროლას ატეხდნენ და ხვეწნა დაუწყეს მათ: გაგვიშვით სასახლისაკენ, არაფერს ვაშავებთ, მეფეს უნდა ვთხოვოთ თავისუფლება ადამიანებისათვის და მათ რიცხვში ჯარისკაცებისთვისო.

მაგრამ მეფემ ჯარებს უბრძანა სროლა დაეწყოთ უიარაღო და მშვიდობიანი მუშებისათვის. ათასზე მეტი მუშა მოკლულ იქნა, ხოლო ორი ათასზე მეტი მძიმედ დაიჭრა.

9 იანვრის დღეს ეწოდა „სისხლიანი კვირა“. მეფის მთავრობამ სისხლიანი ბოროტმოქმედებით მხოლოდ მოსპო ხალხში ვულუბრყვილო რწმენა მეფისადმი.

თვით ყველაზე ჩამორჩენილი მუშათა ფენებიც კი დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ რევოლუციური გზით შეეძლოთ მოეპოვებინათ თავიანთი უფლებები.

„სისხლიანი კვირის“ საპასუხოდ მთელ რუსეთში აზვირთდა პოლიტიკური გაფიცვები.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 6, გვ. 529.

მარტო ერთი თვის — იანვრის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვმა 440 ათას კაცს მიაღწია.

10 იანვარს პეტერბურგი მტრის მიერ დაკავებულ ქალაქს გავდა. ქუჩები სავსე იყო პოლიციელებითა და კაზაკებით. პეტერბურგში საყოველთაო გაფიცვა 17 იანვარს დამთავრდა, მაგრამ უდიდესი ქარხნები — პუტილოვის, ბალტიის, ობუხოვისა და სხვ. კვლავ გაფიცულნი იყვნენ. პეტერბურგის ამბებს ფართოდ გამოეხმაურა მოსკოვი, სადაც იმართებოდა საპროტესტო გამოსვლები, მიტინგები, დემონსტრაციები. ხალხი თავის გულისწყრომას და აღშფოთებას გამოთქვამდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მოსკოვიდან მოძრაობა გავრცელდა მთელ ცენტრალურ სამრეწველო რაიონში. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ნიჟნი-ნოვგოროდელი მეტალისტები და ივანოველი ფეიქრები.

1905 წლის იანვარში გაფიცული იყო მთელი რუსეთის მეტალისტთა ორი მესამედი.

პეტერბურგის, მოსკოვისა და ცენტრალური რუსეთის სხვა დიდი ქალაქების პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლას აქტიურად გამოეხმაურნენ ეროვნული მხარეების — პოლონეთის, ბალტიისპირეთის, საქართველოს მუშები.

ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობის შედეგად საქართველოში მუშების გამოსვლებმა მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

პეტერბურგის სისხლიანმა ამბებმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს საზღვარგარეთაც. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის მთელ რიგ ქალაქებში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები რუსეთის მუშებისადმი თანაგრძნობის ნიშნად. პარიზში, ლონდონში, ვენაში და ევროპის ქვეყნების სხვა დედაქალაქებში დემონსტრანტები რუსეთის საელჩოთა შენობების წინ გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს ცარიზმი!“ „ძირს მკვლელები!“, გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!“.

საფრანგეთის მოწინავე ინტელიგენციამ მწერალ ანატოლ ფრანსის და სხვა პროგრესულ მოღვაწეთა თაოსნობით შექმნა „რუსეთის ხალხის მეგობრების საზოგადოება“. მაქსიმ გორკი აღფრთოვანებული შეხვდა ამ საზოგადოების შექმნას.

საფრანგეთისა და იტალიის პარლამენტებში რუსეთის რევოლუციის დასაცავად გამოდიოდნენ პროგრესულად განწყობილი დეპუტატები.

საერთაშორისო პროლეტარიატის ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტ ძალასა და რწმენას მატებდა რუსეთის მუშათა კლასს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

მეფის მთავრობა სასტიკ რეპრესიულ ზომებს და ყოველგვარ პროვოკაციებს მიმართავდა მოახლოებულ რევოლუციასთან საბრძოლველად.

9 იანვრის ამბების შემდეგ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ იქნა ცარიზმის ერთგული ლაქია, მოსკოვის პოლიციის ყოფილი უფროსი ტრეპოვი, რომელიც მთელს რუსეთში ცნობილი იყო როგორც უკიდურესი დესპოტი და უხეში ადამიანი. ამ ჯალათს დიქტატორის უფლებები მისცეს.

ტრეპოვის მიერ დაქირავებული გალეშილი ხულიგნები პეტერბურგის ქუჩებში ამტვრევდნენ ფანჯრებს, ცეცხლს უკიდებდნენ კიოსკებს და ძარცვავდნენ მაღაზიებს. ამ პროვოკაციების მიზანი ის იყო, რომ ხულიგნების მიერ ჩადენილი დანაშაული მუშებისათვის გადაებრალებინათ და ქალაქში „უწესრიგობასთან“ ბრძოლის საბაბით მათთვის ანგარიში გაესწორებინათ.

იმისათვის, რომ მშრომელთა ყურადღება რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოეშორებინა, ცარიზმი ყოველმხრივ აღვივებდა ეროვნულ შუღლს. 1905 წლის თებერვალში ბაქოში პოლიციამ მოსყიდული პროვოკატორების საშუალებით ერთმანეთს გადაკიდა აზერბაიჯანელი და სომეხი ერის შეუგნებელი ფენები. ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა სომეხთა და აზერბაიჯანელთა საშინელი ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა, რის შედეგადაც მთელი ოჯახები დაიხოცა.

ასეთივე ხოცვა-ჟლეტას მეფის მთავრობის აგენტები ამზადებდნენ თბილისშიც, მაგრამ ბოლშევიკებმა ჩანასახშივე მოსპეს იგი.

* * *

1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მუშათა რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით რუსეთის 80 ქალაქში ჩატარდა გაფიცვები, რომლებშიც მონაწილეობდა 220 ათასზე მეტი კაცი. ბევრჯერ მუშებს მოუხდათ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა მეფის ჯარებისათვის. განსაკუთრებით შეუპოვარი იყო გაფიცვები დიდ ქალაქებში — პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, რიგაში, ბაქოში, თბილისში, — სადაც თავმოყრილი იყვნენ მუშების მნიშვნელოვანი მასები.

1905 წლის გაზაფხულზე თბილისის მუშების შორის პირველად გაიფიცნენ რკინიგზელები.

ზაფხულში მომხდარ გაფიცვებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ივანოვო-ვოზნესენსკის ფეიქართა გაფიცვა, რომელიც დაიწყო 12 მაისს და თითქმის ორთვენახევარს გრძელდებოდა. მასში მონაწილეობდა 70 ათასამდე მუშა, მათ შორის ბევრი ქალი. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების ჩრდილოეთის კომიტეტი მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს და ძველი ფეიქარი მუშის თევდორე აფანასიევის

მეთაურობით. მალე გაფიცულ ფეიქრებს შეუერთდნენ რკინიგზელები, სტამბების მუშები და ხელოსნები.

გაფიცვაზე ხელმძღვანელობის გასაწევად მუშებმა შექმნეს რწმუნებულთა საბჭო. იგი ფაქტიურად იყო მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო რუსეთში. ამ საბჭოს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მუშებში.

მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებამ დიდი გავლენა იქონია გლეხობაზე. რუსეთის 85 მაზრაში გლეხები ილაშქრებდნენ მემამულეთა წინააღმდეგ, ცეცხლს უკიდებდნენ მათს სასახლეებსა და კარმიდამოებს, იკავებდნენ მდელოებსა და სათიბებს, ხნავდნენ მემამულეთა მიწებს.

გლეხთა მოძრაობა ფართოდ გაძლიერდა რუსეთის ცენტრში, პოვოლჟიეში, ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში. აქ ბოლშევიკებმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გლეხებში დიდი მუშაობა გააჩაღეს და ამიტომ გლეხთა მოძრაობამ მიიღო საყოველთაო-სახალხო აჯანყების ხასიათი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ უმაგალითო გასაქანი მიიღო გურიაში.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ფართო ბრძოლა გაჩაღდა აგრეთვე თბილისის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის მაზრებში.

აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ მეფის მთავრობამ გაგზავნა ათიათასიანი დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. მასთან ერთად გლეხთა მღელვარების მიზეზის გამოსარკვევად და გლეხების „დასაწყნარებლად" გაგზავნილ იქნა მეფის მოხელე სულთან კრიმ-გირეი.

მაგრამ ჯალათ ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიციის თარეშმა ვერ გატეხა მებრძოლი გლეხობის რევოლუციური ნებისყოფა.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციურ ბრძოლას ამიერკავკასიაში.

პარტიის III ყრილობამ, რომელიც ლონდონში შედგა 1905 წლის აპრილ-მაისში, ვ. ი. ლენინის წინადადებით სპეციალურად განიხილა მიხა ცხაკაიას მოხსენება საქართველოში გლეხთა მოძრაობის შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო", რომელშიც ნათქვამი იყო:

„რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრებებისა და სხვ. გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით"[1].

1905 წლის 14 ივნისს იფეთქა აჯანყებამ შავი ზღვის ფლოტში ჯავშნოსან „პოტიომკინზე". სევასტოპოლში თავმოყრილ იქნა მთელი ესკადრა 12 სამხედრო გემის შემადგენლობით, რომელიც „პოტიომკინის" წინააღმდეგ დაიძრა.

მაგრამ დამსჯელი ესკადრის მატროსებმა უარი განაცხადეს თავის ძმებთან ბრძოლაზე. ესკადრის ყველა გემის მატროსები „ვაშას" ძახილით შეხვდნენ „პოტიომკინს". ესკადრის სარდლობა იძულებული გახდა გემები უკანვე გაებრუნებინა, ხოლო ერთ-ერთი ჯავშნოსანი — „გიორგი პობედონოსეცი" აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. პოტიომკინელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ მეორე აჯანყებულ გემზე — „გიორგი პობედონოსეცზე" განმეორდა ის საბედისწერო შეცდომა, რაც „პოტიომკინზე". გემზე ხელშეუხებელი დარჩნენ ზოგიერთი უფროსი ოფიცერი და უმცროსი მეთაურები. რომლებიც ხრწნიდნენ და აშინებდნენ მატროსებს, ირწმუნებოდნენ, აჯანყება უიმედო საქმეაო. კონტრრევოლუციურმა ოფიცრებმა „გიორგი პობედონოსეცი" მეჩეჩზე გარიყეს, ხოლო „პოტიომკინი" კვლავ მარტო განაგრძობდა ბრძოლას.

ფლოტის სარდლობამ გადაწყვიტა „პოტიომკინის" წინააღმდეგ გაეგზავნა ნაღმოსანი, რომელიც ღამის წყვდიადში უნდა მიპარებოდა რევოლუციურ ჯავშნოსანს და ზღვაში ჩაეძირა იგი. ნაღმოსნის ეკიპაჟი შედგენილ იქნა მხოლოდ ოფიცრებისაგან. მეფის მთავრობა უკვე აღარ ენდობოდა მეზღვაურებს. მაგრამ მეფის მთავრობამ ვერ შეძლო რევოლუციური ჯავშნოსანის ჩაძირვა.

11 დღის ნაოსნობის შემდეგ პირველი რევოლუციური სამხედრო ხომალდი, რომელსაც ქვანახშირი და სურსათი შემოელია, იძულებული გახდა წასულიყო რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცისაკენ და რუმინეთის ხელისუფალთ ჩაბარებოდა.

მეზღვაურთა აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე" მარცხით დამთავრდა.

„მაგრამ თვით აჯანყების ფაქტს, — ვკითხულობთ პარტიის ისტორიის მოკლე კურსში, — განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე" იყო პირველი მასობრივი რევოლუციური გამოსვლა არმიასა და ფლოტში, მეფის ჯარების დიდი ნაწილის პირველი გადასვლა რევოლუციის მხარეზე. ამ აჯანყებამ მუშათა, გლეხთა და

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში გვ. 101.

განსაკუთრებით თვით ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მასებისათვის უფრო გასაგები და მახლობელი გახადა მუშათა კლასისადმი, ხალხისადმი არმიისა და ფლოტის შეერთების აზრი"[1].

* * *

1905 წლის შემოდგომაზე უდიდესი ძალით გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო. სექტემბრის მეორე ნახევარში მოხდა მუშათა კლასის მთელი რიგი გამოსვლები. 19 სექტემბერს დაიწყო მბეჭდავთა საერთო გაფიცვა; 25 სექტემბერს მათ შეუერთდნენ პურის მცხობლები, თამბაქოს ფაბრიკებისა და სხვა საწარმოების მუშები. მუშათა გაფიცვებს მოჰყვა მრავალრიცხოვანი შეტაკებანი პოლიციასთან და კაზაკებთან. როცა პოლიციელებმა რევოლუციური დემონსტრაციების გაფანტვა იწყეს, მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ბევრი პოლიციელი დაიჭრა. 25 სექტემბერს გაიფიცნენ ბრესტის რკინიგზის სახელოსნოების მუშები, ხოლო მეორე დღეს მუშაობა შეწყვიტეს მთლიანად ამ გზის მუშა-მოსამსახურეებმა. ამავე თვის ბოლოს ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა პეტერბურგისა და კიევის უნივერსიტეტებში.

1905 წლის ოქტომბერში რევოლუციის აღმავალი ხაზი უმაღლეს წერტილს უახლოვდებოდა. 7 ოქტომბერს გაიფიცნენ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშები, ხოლო 8 ოქტომბერს რუსეთის ყველა რკინიგზა, გარდა ერთისა (მოსკოვ-პეტერბურგისა, რომელსაც ეწოდებოდა ნიკოლოზის რკინიგზა). რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვამ შეაჩერა მატარებლების მოძრაობა 40 ათას კილომეტრიან გზაზე. 13 ოქტომბრიდან დაიწყო სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა. გაიფიცნენ არა მარტო სამრეწველო წარმოებათა მუშები და რკინიგზელები, არამედ დაწესებულებათა მოსამსახურენი, ფოსტა-ტელეგრაფის, ქალაქების, ტრანსპორტის, აფთიაქების, სასადილოების მუშაკები. მათთან ერთად გაიფიცნენ აგრეთვე ინჟინრები, ექიმები, ადვოკატები, მოსწავლეები. ჟურნალ-გაზეთები არ გამოდიოდა, შეწყდა საქალაქო ტრანსპორტის მიმოსვლა, დაიხურა მაღაზიები და სასადილოები. მეცადინეობა შეწყდა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. ასე დიდი გაფიცვა არ მომხდარა მსოფლიოს არც ერთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში. საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო ორ მილიონამდე კაცმა.

მეფის მთავრობა ცდილობდა შეიარაღებული ძალით ჩაექრო გაფიცვა. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ტრეპოვმა, რომელიც ფაქტიურად რუსეთის დიქტატორის როლს ასრულებდა, გამოსცა ბრძანება: „ფუჭი ზალპით არ ისროლოთ, ტყვია არ დაზოგოთ". 14 ოქტომბერს ფსკოვიდან პეტროგრადში გაფიცულთა წინააღმდეგ გამოწვეულ იქნენ სამხედრო ნაწილები. ბევრ ქალაქში საყოველთაო გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ დიდი, გამოძახილი ჰპოვა საქართველოში. 14 ოქტომბერს თბილისში მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების გაფიცვა. მალე ამიერკავკასიის რკინიგზის მთელ ხაზზე მოძრაობა შეწყდა. 15 ოქტომბერს უკვე გაფიცული იყვნენ თბილისის ყველა საწარმოს მუშები, ხოლო ორი დღის შემდეგ საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა სამრეწველო რაიონი და ქალაქი.

1905 წლის ოქტომბერში გაფიცვებმა მოიცვა რუსეთის ცენტრალური გუბერნიები, ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია, ციმბირი, პოლონეთი, ამიერკავკასია, შუა აზია.

რევოლუციის ბელადი ვ. ი. ლენინი წერდა:

„ბარომეტრი ქარიშხალს გვიჩვენებს!.. ყველაფერი უკვე მოგლიჯა ადგილიდან სოლიდარული პროლეტარული იერიშის გიგანტურმა გრიგალმა. რევოლუცია განსაცვიფრებელი სისწრაფით მიექანება წინ, გასაკვირველ მრავალფეროვან მოვლენებს გვიშლის თვალწინ... ჩვენს წინაშეა უაღრესად წარმტაცი სცენები ერთ-ერთი უდიდესი სამოქალაქო ომისა, თავისუფლებისათვის ომისა, რომელიც კი ოდესმე განუცდია კაცობრიობას..."[1].

1905 წლის ოქტომბერში აბობოქრებული მასების შეტევამ თავზარი დასცა მეფის მთავრობას. თავზარდაცემულმა მეფემ არ იცოდა რა ექნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეფის ოჯახში ბჭობა იწყეს საზღვარგარეთ გაქცევით თავის გადარჩენაზე.

17 ოქტომბერს მეფე იძულებული გახდა გამოექვეყნებინა მანიფესტი, რომელშიც აცხადებდა „სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძვლებს: პიროვნების ნამდვილ ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას". სახელმწიფო სათათბირო საკანონმდებლო ორგანოდ იქნა გამოცხადებული.

17 ოქტომბრის მანიფესტს ბოლშევიკები აფასებდნენ როგორც მახეს ხალხის მოსატყუებლად, როგორც თვითმპყრობელობის დროებით უკანდახევას, რათა მოეგო დრო, მიეძინებინა გულუბრყვილონი, მოეკრიფა ძალები და შემდეგ შეეტია რევოლუციისათვის.

მეფის თვითმპყრობელობა სრულიადაც არ ფიქრობდა მანიფესტით გამოცხადებულ დაპირებათა შესრულებას. პირიქით, მანიფესტის

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 74.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 9, გვ. 483.

გამოცხადებისთანავე ხალხის ძალთა გათიშვის მიზნით მთავრობამ შექმნა ბანდიტური პოლიციური ორგანიზაციები „რუსი ხალხის კავშირი“, „მიხეილ მთავარანგელოზის კავშირი“, რომლებიც აერთიანებდნენ რეაქციულ მემამულეებს, ვაჭრებს, ხუცებს, სისხლის სამართლის დამნაშავე პირებს. ამ ორგანიზაციებს ხალხმა „შავი რაზმები“ უწოდა.

მეფემ ნიკოლოზ II პირადად მიიღო შავრაზმელთა ხელმძღვანელობის დელეგატი და მოუწოდა მას მოეწყო რევოლუციონერთა ცემა და დახოცვა, მოქალაქეთა მიტინგებისა და კრებების დახვრეტა. მეფის მთავრობა იყენებდა მოსახლეობის ყველაზე უმეცარი ფენების უსაძაგლეს ცრურწმენებს ებრაელების წინააღმდეგ, რათა მოეწყო ებრაელთა სისხლიანი დარბევები. დაიწყო უდანაშაულო ებრაელების, მათი ცოლებისა და ბავშვების საშინელი ხოცვა-ჟლეტა.

შავრაზმელების აღვირახსნილ მოქმედებას წინააღმდეგობას უწევდნენ მხოლოდ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შექმნილი მუშათა მებრძოლი ჯგუფები.

17 ოქტომბრის მანიფესტმა სავსებით დააკმაყოფილა ბურჟუაზია, რომელიც მეტს არაფერს არ მოითხოვდა ცარიზმისაგან.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების დღიდან ბურჟუაზიამ აშკარად დაიწყო ლაშქრობა რევოლუციური მასების წინააღმდეგ. „ძირს რევოლუცია, გაუმარჯოს წესრიგს“— ასეთი იყო ბურჟუაზიის ლოზუნგი.

მსხვილმა მრეწველებმა და ვაჭარმა ბურჟუაზიამ შექმნა თავისი პოლიტიკური პარტია, „17 ოქტომბრის კავშირი“ (ოქტიაბრისტები“), რომელიც თავისი პროგრამით და მოქმედებით ძლიერ ახლოს იდგა შავრაზმელ „რუსი ხალხის კავშირთან“ და სხვა მონარქიულ ორგანიზაციებთან.

ოქტიაბრისტების პარტიის ხელმძღვანელები იყვნენ მსხვილი მოსკოველი მრეწველი და სახლების მეპატრონე ა. ი. გუჩკოვი და ეკატერინოსლავის გუბერნიის ერთ-ერთი მსხვილი მემამულე მ. ვ. როდზიანკო. ისინი სავსებით უჭერდნენ მხარს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მოითხოვდნენ მუშათა გაფიცვის ლიკვიდაციას, იწონებდნენ მთავრობის მიერ რევოლუციონერების სამხედრო-საველე სასამართლოებზე გადაცემას და სიკვდილით დასჯას. ამიტომ ოქტიაბრისტების პარტიას მუშებმა „მთავრობის განკარგულებათა პარტია“ შეარქვეს.

რუსეთის მეორე მთავარი ბურჟუაზიული პარტია იყო „კონსტიტუციურ-დემოკრატიული“ პარტია (კადეტები). მისი მეთაური იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, ისტორიკოსი პ. ნ. მილიუკოვი. ამ პარტიის ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ აგრეთვე ტვერის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ფ. ი. როდიჩევი, მოსკოველი ფაბრიკანტი ვ. ა. მაკლაკოვი და სხვები.

ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებდა კადეტებს: „მათი პროგრამა მთლიანად ბურჟუაზიულია, კადეტებს ვერც კი წარმოუდგენიათ სხვა საზოგადოებრივი წყობილება, გარდა კაპიტალისტურისა, რომლის ფარგლებს ვერ სცილდება მათი ყველაზე გაბედული სურვილებიც კი“[1].

თავის მთავარ ამოცანად კადეტების პარტიამ დაისახა რევოლუციის ჩახშობა.

ბოლშევიკები ულმობელ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა შავრაზმული და კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ.

*
* *

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბობოქარ დღეებში მუშათა მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ წარმოშვა ახალი, მსოფლიო ისტორიაში წინათ უმაგალითო მასობრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია,— მუშათა დეპუტატების საბჭოები.

საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საბჭოები არ შექმნილა, მაგრამ მათს როლს ასრულებდნენ მუშათა საგაფიცვო კომიტეტები და გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებსაც ბოლშევიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

დასაწყისში საბჭოები მუშათა საგაფიცვო ბრძოლის ხელმძღვანელი ორგანოები იყვნენ. პირველად პეტერბურგის მუშებმა შექმნეს თავიანთი წარმომადგენლებისაგან გაფიცვის ხელმძღვანელი დეპუტატების საბჭოები. პეტერბურგის მაგალითს მიჰყვნენ მოსკოვისა და სხვა დიდი სამრეწველო ქალაქების მუშები, სადაც აგრეთვე შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც მალე გადაიქცნენ ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახად. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭომ ხელში ჩაიგდო დიდი სტამბა, სადაც მეფის ხელისუფლების ნებადაურთველად ბეჭდავდა თავის გაზეთს „იზვესტიას“. იყო შემთხვევები, როცა საბჭოები (მაგალითად, პეტერბურგში) აპატიმრებდნენ პოლიციის მოხელეებს, რომელნიც ხელს უშლიდნენ რევოლუციურ ხალხს მის უფლებათა განხორციელებაში. მოსახლეობა ყოველგვარი საქმის გამო ხშირ შემთხვევაში მიმართავდა საბჭოებს, როგორც ხელისუფლების ორგანოებს.

მენშევიკებმა ისარგებლეს იმით, რომ ლენინი საბჭოების შექმნის მომენტში რუსეთში არ იმყოფებოდა და მოახერხეს პეტერბურგის საბჭოს ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება. ამიტომ იყო, რომ პეტერბურგის საბჭო, რომლის სათავეში ხრუსტალიოვი, ტროცკი, პარვუსი და სხვა მენშევიკები იყვნენ, არ გახდა აჯანყების

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 10, გვ. 247.

ორგანო. მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ შეიარაღებული აჯანყების ჩაშლას და ამ მიზნით მოითხოვდნენ ჯარისკაცთა გაყვანას პეტერბურგიდან.

მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავიდანვე ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ და ამიტომ მან სულ სხვა როლი შეასრულა რევოლუციაში. იგი ეყრდნობოდა ხალხის მასას და შეიარაღებული აჯანყების მომზადების ხელმძღვანელი იყო. ბოლშევიკების თაოსნობით მუშათა დეპუტატების საბჭოსთან ერთად მოსკოვში შეიქმნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მოსკოვის საბჭო მტკიცედ და თანმიმდევრულად ატარებდა რევოლუციურ პოლიტიკას.

საბჭოების გავლენა ერთობ დიდი იყო. საბჭოების შექმნა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა 1871 წლის პარიზის კომუნასთან შედარებით.

„მოძრაობას მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის,— წერდა ი. ბ. სტალინი,— რომელიც 1905 წელს ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებმა დაიწყეს, საბოლოო ანგარიშში მოჰყვა კაპიტალიზმის განადგურება და სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში“[1].

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო.

„რუსეთის პროლეტარიატი მხურვალედ უჭერდა მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, გადაჭრით იბრძოდა იმ დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ახორციელებდნენ ცარიზმი და გაბატონებული კლასები, რომლებიც ისწრაფოდნენ ჩაეშალათ რუსეთის ხალხთა რევოლუციური მოქმედების ერთიანობა. ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, ზრდიდნენ მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, განუმარტავდნენ მათ, რომ ეროვნული ჩაგვრა შეიძლება მოისპოს მხოლოდ ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის შედეგად“[2].

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვისა და მეფის მანიფესტის გამოქვეყნების დროს მუშათა მოძრაობის სწრაფი ზრდა დიდ გამოხმაურებას პოულობდა სოფლად. გლეხთა ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ თანდათან სულ უფრო მწვავე ფორმებს იღებდა იმიტომ, რომ გლეხები ოდნავადაც არ იყვნენ დაკმაყოფილებული მეფის მანიფესტით.

[1] ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 619.

[2] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები), სახელგამი, 1955. გვ. 19—20.

1905 წლის შემოდგომაზე ცენტრალური შავმიწიანი რაიონი, ვოლგისპირეთი, უკრაინა, ამიერკავკასია, ბალტიისპირეთი, ე. ი. მთელი რუსეთის მაზრების მესამედზე მეტი მოცული იყო გლეხთა აჯანყებებით. გლეხებმა გადაწვეს მემამულეთა 2 ათასამდე სასახლე და კარმიდამო და ურთიერთშორის გაინაწილეს თავადაზნაურებისაგან წართმეული პური და სხვა საარსებო საშუალებანი.

მაგრამ ლენინს მიაჩნდა, რომ გლეხთა მასების შეტევა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. „სამწუხაროდ, გლეხები მოქმედებდნენ მეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად,— ამბობდა ლენინი,— ვერ იჩენდნენ სათანადო შეტევითს უნარს, და ეს არის რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი“[1].

* * *

1905 წლის შემოდგომაზე მუშათა საგაფიცვო და გლეხთა მოძრაობის ტალღის ახალ აზვირთებას თან მოჰყვა ჯარისკაცთა აჯანყებები მეფის რუსეთის თითქმის ყოველ კუთხეში — თბილისში, ვლადივოსტოკში, ტაშკენტში, სამარყანდში, კურსკში, სოხუმში, ვარშავაში, კიევში, რიგაში. მაგრამ იმის გამო, რომ აჯანყებები ერთმანეთისაგან განცალკევებული იყო, ცარიზმმა შეძლო მათი ჩაქრობა.

1905 წლის ნოემბერში ყველაზე დიდი სამხედრო აჯანყება მოხდა სევასტოპოლში.

ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მეზღვაურთა შეიარაღებული აჯანყებიდან ხუთი თვის გასვლის შემდეგ, 1905 წლის 15 ნოემბერს შავი ზღვის ფლოტის პირველი რანგის კრეისერ „ოჩაკოვზე“ აფრიალდა წითელი ალამი და ამას მოჰყვა სიგნალი: „ფლოტს ვსარდლობ მე. შმიდტი“. ხთამდე გემმა აღმართა საპასუხო სიგნალი: „კარგად ვხედავ“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს გემებიც, რომლებზეც 6 ათასზე მეტი მატროსი იყო, „ოჩაკოვს“ შეუერთდნენ.

კვლავ აჯანყდა ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, რომელსაც პირველი სახელი გადაარქვეს და „პანტელეიმონი“ უწოდეს.

ეს რევოლუციური გემები დამარცხდნენ მხოლოდ უთანასწორო გმირული ბრძოლის შემდეგ, როცა მეფის ხელისუფლებამ სევასტოპოლში თავი მოუყარა მის ერთგულ გემებს და ჯარებს და აამოქმედა სანაპირო არტილერიის მთელი სიმძლავრე.

ლეიტენანტი შმიდტი და აჯანყების სხვა

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 23, გვ. 327.

ხელმძღვანელები სამხედრო სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს.

ახასიათებდა რა მატროსებისა და ჯარისკაცების აჯანყებათა დამარცხების მიზეზებს[1], ლენინი აღნიშნავდა, რომ აჯანყებულებს არ ყოფნიდათ იმის საკმაო შეგნება, რომ შეიარაღებული ბრძოლის მხოლოდ მეტად ენერგიული განგრძობა, მხოლოდ ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებაზე გამარჯვება, მხოლოდ მთავრობის ჩამოგდება და მთელ სახელმწიფოში ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს რევოლუციის წარმატების ერთადერთ გარანტიას.

*
* *

1905 წლის ნოემბრის დასაწყისში საზღვარგარეთ რამდენიმე წლის განმავლობაში ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა ლენინი და სათავეში ჩაუდგა პარტიის მოღვაწეობას მასების ხელმძღვანელობისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში.

1905 წლის 5 დეკემბერს ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტმა წინადადება მისცა მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, გამოეცხადებინა საყოველთაო გაფიცვა და ბრძოლის მსვლელობაში იგი გადაექცია შეიარაღებულ აჯანყებად. ამ გადაწყვეტილებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მუშებმა თავიანთ მასობრივ მიტინგებზე.

მოსკოვის საბჭოს მიერ დადგენილ დროს, 7 დეკემბერს, ზუსტად დღის 12 საათზე დაიწყო მუშათა საყოველთაო გაფიცვა. უკვე ამ დღეს სამუშაოდ არ გამოვიდა 100 ათასზე მეტი მუშა, ხოლო სამი დღის შემდეგ მთლიანად გაჩერდნენ ფაბრიკა-ქარხნები, კომუნალური საწარმოები, რკინიგზები, გარდა ერთი, ნიკოლოზის გზისა. ქალაქის მთელ ცხოვრებას მოსკოვის საბჭო და რაიონული საბჭოები წარმართავდნენ.

გაფიცვის პირველ დღეებში მუშები იარაღით ხელში არ გამოსულან. მუშათა რაიონებში იმართებოდა მხოლოდ დემონსტრაციები, მიტინგები, აქა-იქ ხდებოდა ცალკეული შეტაკებები პოლიციელებთან.

პოლიციამ მოაწყო მუშათა უბნების მასობრივი ჩხრეკა იარაღის აღმოსაჩენად და აქტიური მუშების დასაპატიმრებლად, მაგრამ როცა ამ გზით გაფიცვის ჩახშობას ვერ მიაღწია, პირდაპირ შეტევა დაიწყო გაფიცულთა წინააღმდეგ.

მეფის ჯარების შეტევის პასუხად მოსკოვის მუშებმა მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელობით იწყეს ბარიკადების აგება და პარტიზანული ბრძოლა. ბარიკადების ასაშენებლად იყენებდნენ ტელეგრაფისა და ტელეფონის ბოძებს, რკინიგზის ლიანდაგებს, ეზოების რკინის ჭიშკრებს, ყუთებს, კასრებს, ფიცრებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. 10 დეკემბერს მოსკოვის გარეუბნები და ცენტრალური ქუჩები ბარიკადებით მოიფინა. ბარიკადებს აგებდა მოსკოვის მთელი მშრომელი მოსახლეობა. რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა აჯანყებული ხალხის მედგარი შეტაკება მეფის ჯარების წინააღმდეგ. თოვლით დაფარული ქუჩები უხვად მოირწყო თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლით.

მოსკოვის მუშათა შეიარაღებულმა ბრძოლამ ისე ძლიერი, ხანგრძლივი და შეუპოვარი ხასიათი მიიღო, რომ მეფე იძულებული გახდა აჯანყების ჩასაქრობად მოსკოვში გადაეყვანა სემიონოვსკის გვარდიის პოლკი პეტერბურგიდან, ხოლო არტილერია ტვერიდან.

მოსკოვში ახალი ჯარების გადასროლა მეფის მთავრობამ შეძლო იმიტომ, რომ საგანგებო ღონისძიებების გატარების მეოხებით რკინიგზის ერთადერთ ხაზზე — ნიკოლოზის რკინიგზაზე გაფიცვის დროს მოძრაობა არ შეწყვეტილა.

15 დეკემბერს მეფის რჩეული ჯარების პეტერბურგიდან მოსკოვში გადასროლამ აჯანყების ბედი არსებითად გადაწყვიტა მთავრობის სასარგებლოდ. მოსკოვის დიდ ნაწილში მეფის ჯარებმა შეძლეს ბარიკადების დანგრევა. აჯანყებულები იძულებული გახდნენ ქალაქის გარეუბნებში გამაგრებულიყვნენ. აჯანყების უკანასკნელი და მთავარი ციხე-სიმაგრე, მისი ცენტრი გახდა მოსკოვის მუშათა რაიონი — პრესნია, სადაც მუშებმა თავგანწირული ბრძოლის სასწაულები ჩაიდინეს.

პრესნელმა რაზმელებმა მრავალჯერ უკუაგდეს მეფის ჯარების გააფთრებული შეტევა. მაგრამ 17 დეკემბერს სემიონოვსკის გვარდიის პოლკმა შეძლო პრესნიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილების დაკავება. ამ დღეს არტილერიამ 400-ზე მეტი მსხვილი ყალიბის ყუმბარა დაუშინა პრესნიის მუშათა ყაზარმებს. ჯარისკაცებმა ცეცხლი წაუკიდეს მუშათა ბინებს. პრესნია მუშათა სისხლით შეიღება.

კონტრრევოლუციის ძალების დიდი სიჭარბის გამო პარტიის მოსკოვის კომიტეტმა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ 18 დეკემბრის ღამით მიიღეს გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შეწყვეტის შესახებ. მოსკოვის აჯანყება ჩაქრობილ იქნა. მეფის მთავრობამ დაიწყო მხეცური შურისძიება.

მაგრამ ნაადრევი იყო რეაქციის ზეიმი. მოსკოვის მუშათა დაუვიწყარმა გმირობამ ბრძოლის ნიმუში მისცა მთელ მშრომელ მასებს.

ვ. ი. ლენინი წერდა: „პრესნიას მუშათა საგმირო საქმეს ფუჭად არ ჩაუვლია. მათი მსხვერპლი ამაო არ ყოფილა. მეფის მონარქიის კედელი პირველად იქნა შენგრეული და ეს მისი ნგრევა ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მატულობდა და ძველ, შუასაუკუნურ წესწყობილებას ასუსტებდა“[1].

რუსეთის პროლეტარიატთან ერთად მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს მუშათა კლასმა და რევოლუციურმა გლეხობამ.

1905 წლის დეკემბრის აჯანყება თითქმის მთელ საქართველოს მოედო.

როგორც ყოველთვის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები, რომლებმაც აჯანყება დაიწყეს 10—11 დეკემბერს. რკინიგზელებს დაუყოვნებლივ მხარში ამოუდგნენ თბილისის თითქმის ყველა მსხვილი წარმოების მუშები. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა არა მარტო ტელეგრაფი და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შენობა, არამედ თბილისის მუშათა მთელი რაიონები — ნაძალადევი და დიდუბე, სადაც დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა მეფის ჯარების წინააღმდეგ.

გაფიცვის დღეებში თბილისის ეკონომიურ ცხოვრებას ფაქტიურად წარმართავდა მუშათა საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც აწესრიგებდა მოსახლეობის სურსათით მომარაგებას, აწესებდა პირველი მოთხოვნილების პროდუქტების საქონლის ფასებს, განაგებდა რკინიგზებისა და ქალაქის ტრანსპორტის მუშაობას და ა. შ.

თბილისში გამოდიოდა მხოლოდ ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“.

გლეხთა შეიარაღებული რაზმების დახმარებით მუშებმა დაიპყრეს რკინიგზის მთელი ხაზი საქართველოში. ჟანდარმები გაძევებულ იქნენ და რკინიგზაზე წესრიგის დაცვა სახალხო მილიციონერების ხელში გადავიდა. შეიცვალა აგრეთვე რკინიგზის ადმინისტრაცია.

მალე აჯანყება მოედო მთელ დასავლეთ საქართველოს. ქუთაისის გუბერნიაში განიარაღებულ იქნენ პოლიციელები, ჟანდარმები და ჯარის ნაწილები. აჯანყებულებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი და დაკეტეს წიფის გვირაბი, იმისათვის, რომ დასავლეთ საქართველოში არ გაეშვათ დამსჯელი ექსპედიციები.

გორის მაზრაში აჯანყებული ხალხი დიდხანს ებრძოდა მეფის ჯარებს და პოლიციელებს. თვით ქალაქ გორში დეკემბრის განმავლობაში ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში იყო. მოქმედებდა სახალხო სასამართლო და მილიცია. პოლიტიკური პატიმრები განთავისუფლებულ იქნენ საპყრობილეებიდან.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 31, გვ. 657—658.

შეიარაღებული აჯანყების მსვლელობაში — საქართველოს რიგ რაიონებში (გურია, ჭიათურა, გორი, ზუგდიდი), ისევე როგორც ბევრგან რუსეთში, წარმოიშვნენ პატარა „რესპუბლიკები“, რომლებიც არსებითად ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების ჩანასახს წარმოადგენდნენ. ამგვარი „რესპუბლიკების“ შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„რუსეთის ზოგიერთი ქალაქი ამ დღეებში განიცდიდა პერიოდს სხვადასხვა ადგილობრივი პატარა რესპუბლიკებისას, რომლებშიც მთავრობის ხელისუფლება გადაყენებულ იქნა და მუშათა დეპუტატების საბჭო ნამდვილად მოქმედებდა როგორც ახალი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. სამწუხაროდ, ეს პერიოდები მეტად ხანმოკლე იყო, „გამარჯვებანი“ მეტად სუსტი, მეტად იზოლირებული“[1].

საძულველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აფხაზეთის ხალხის რევოლუციურ ბრძოლას მეთაურობდა სერგო ორჯონიკიძე. მისი ხელმძღვანელობით სოხუმში მოეწყო შეიარაღებული თავდასხმები სამხედრო ნაწილებზე. 1905 წლის 24 დეკემბერს გუდაუთასთან ახლოს, ნავიდან იარაღის გადმოტვირთვის დროს ს. ორჯონიკიძე პოლიციის მიერ დაპატიმრებულ იქნა.

მოსკოვის აჯანყების დამარცხების შედეგად დამარცხება განიცადა საქართველოს მშრომელი მასების აჯანყებამაც. საქართველოში სამხედრო წესები იქნა გამოცხადებული. დამსჯელმა ჯარებმა, რომლებსაც ცნობილი ჯალათი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი მეთაურობდა, საქართველოს ბევრი ქალაქი და სოფელი ნანგრევებად აქციეს, მხეცურად გაუსწორდნენ აჯანყებულებს და მოსახლეობას. თბილისის მუშათა რაიონები დარბეულ იქნა და სისხლით მოირწყო.

1905 წლის დეკემბრის აჯანყება რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლესი წერტილი იყო. აჯანყების დამარცხების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ აჯანყებისადმი ხელმძღვანელობა ჩამორჩებოდა რევოლუციური მასების სტიქიურად მზარდ მოძრაობას.

მაგრამ დამარცხების მიუხედავად, განუზომელია 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მნიშვნელობა. რევოლუციური მასების თავგანწირულმა იერიშებმა ძირფესვიანად შეარყიეს მეფის თვითმპყრობელური წყობილება და სერიოზული ლახვარი ჩასცეს კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობას.

დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რევოლუციის თანდათანი შენელება. მაგრამ რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო დათრგუნვილი. მუშები და რევოლუციური გლეხები უკან იხევდნენ ნელა, ბრძოლებით.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 23, გვ. 327.

* * *

ლენინი განასხვავებდა რუსეთის პირველი რევოლუციის ორ პერიოდს. პირველი პერიოდი იყო რევოლუციის აღმავლობის პერიოდი — 1905 წლის დეკემბრამდე. დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო მეორე პერიოდი (1906—1907 წლები), როცა რევოლუციის აღმავლობა შეიცვალა მისი თანდათანი შენელებით.

მეფის მთავრობა ცდილობდა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობა გამოეყენებინა იმისათვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინა რევოლუცია. მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ტერორის მოწყობის საქმეს თვითონ ხელმძღვანელობდა მეფე ნიკოლოზ II. იგი პირადად ნიშნავდა სისასტიკითა და მხეცობით ცნობილ ჯალათ გენერლებს დამსჯელი ექსპედიციების ხელმძღვანელებად.

იაპონიასთან სამარცხვინო ზავის დადების შემდეგ, რაც ამერიკელი იმპერიალისტების პირდაპირი ხელშეწყობით იქნა განხორციელებული, მეფის მთავრობამ თავისი ჯარების მთავარი ძალები გამოიყენა რევოლუციის ჩასახშობად.

საშინელი დარბევა განიცადა საქართველომ. დამსჯელმა ექსპედიციამ იმისათვის, რომ სურამის უღელტეხილი გაეწმინდა და წიფის გვირაბით დასავლეთ საქართველოსაკენ გზა გაეხსნა, ცეცხლს მისცა ყველა შემხვედრი სოფელი და ქალაქი. დასავლეთ საქართველოში განადგურებულ და გადამწვარ იქნა ოზურგეთი (ახლანდელი მახარაძე), ჩოხატაური, ლანჩხუთი, ჯიდისთავი, სურამი და მრავალი სხვა დასახლებული ადგილი.

მაგრამ მეფის ჯალათების ამ ბარბაროსული სისასტიკის მიუხედავად, საქართველოს მუშები და გლეხები შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობის შემდეგაც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ დამსჯელ რაზმებს. მთებში და ტყეებში მიმალული რევოლუციური „წითელი რაზმეულები“ განაგრძობდნენ პარტიზანულ თავდასხმებს მეფის ჯარებზე.

1906 წლის იანვარში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვიტემ მეფეს აცნობა, რომ კავკასიაში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ხალხი არ დაწყნარებულა და უახლოეს ხანში არც უნდა მოველოდეთ მის დაწყნარებას.

აჯამებდა რა ცარიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის შედეგებს, ი. ბ. სტალინი 1906 წლის დასაწყისში წერდა: „რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისათვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რევოლუციისა“[1].

და მართლაც, ვერც დამსჯელმა ექსპედიციებმა, ვერც შავრაზმელ დამრბევთა ყაჩაღურმა თავდასხმებმა, ვერც სამხედრო-საველე სასამართლოებმა ვერ შეძლეს რევოლუციური მუშებისა და გლეხების დაშინება. კვლავ გრძელდებოდა მუშათა პოლიტიკური გაფიცვები, რაც აკავებდა კონტრრევოლუციის შეტევას, ბრძოლაში ებმებოდნენ მუშების ახალი ფენები. გაფიცულთა რიცხვი 1906 წელს აღემატებოდა ერთ მილიონს 1907 წელს აღწევდა 740 ათასს.

1906 წელს გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა 1905 წელთან შედარებით. გლეხთა მოძრაობით 1906 წლის პირველ ნახევარში მოცემული იყო მეფის რუსეთის მაზრათა ნახევარი. ყველაზე ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მუშათა გამოსვლას. ცარიზმი იძულებული იყო ქვეყნის თითქმის სამი მეოთხედი ნაწილი ჰყოლოდა სამხედრო და განსაკუთრებული დაცვის მდგომარეობაში.

1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იწყება სტოლიპინის რეაქციის შავ-ბნელი წლები. ალვირახსნილმა მეფის ჯალათებმა დახვრიტეს მრავალი ათასი რევოლუციონერი მუშა და გლეხი. მთელი რუსეთი სახრჩობელებით მოფინეს. პოლიციელები და ჟანდარმები ავაზაკურ თავდასხმებს აწყობდნენ მუშათა ორგანიზაციებზე, პირველ რიგში ბოლშევიკებზე. რუსეთის მთელ რიგ მხარეებში კვლავ მძვინვარებდნენ დამსჯელი რაზმები.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხებით დამთავრდა.

„რევოლუციის დამარცხებამ გამოააშკარავა, — წერდა ლენინი, — არა ამოცანების უსწორობა, არა უახლოესი ამოცანების „უტოპიურობა“, არა საშუალებათა და ხერხთა მცდარობა, არამედ ძალთა არასაკმაო მომზადება, რევოლუციური კრიზისის არასაკმაო სიღრმე და სიფართოვე“[1].

1905—1907 წლების რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია, მართალია, დამარცხდა, მაგრამ კვლავ ძალაში იყო რევოლუციის გამომწვევი ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებსაც ახლო მომავალში უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდევაც ახალი რევოლუციური აფეთქება.

1905—1907 წლების რევოლუციამ, მოამზადა რა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვება, ამით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში.

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 195.
[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 15, გვ. 425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბერკი გაჩეჩილაძე

★

# აკაკი წერეთელი და 1905—1907 წლის რევოლუცია

აკაკი წერეთელმა 1905—1907 წლების რევოლუცია თავის მრავალფეროვან შემოქმედებაში საკმაოდ მკვეთრად ასახა. პოეტმა დიდი მხატვრული ნიჭით გადმოგვცა რევოლუციის წლებში უშუალოდ განცდილი და ნახული. იგი იმ პირველი რევოლუციის მგზნებარე მომღერალი იყო და მშრომელ ხალხს რევოლუციის წლებში ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

მებრძოლი განწყობილებანი, რევოლუციისაკენ სწრაფვა ჯერ კიდევ 1905 წლამდე იყო აკაკი წერეთლის პოეზიის დამახასიათებელი ნიშანი.

ცნობილია, რომ სამოციან წლებში იტალიასა და უნგრეთში, რომლებიც მაშინ დამონებული ჰყავდა ავსტრიას, თავი იჩინა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. იტალიაში ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გარიბალდი, ხოლო უნგრეთში კოშუტი. გარიბალდიმ და კოშუტმა, როგორც თავიანთი ქვეყნისათვის თავდადებულმა მებრძოლებმა, მსოფლიოში დიდი სახელი მოიხვეჭეს. აკაკი წერეთლისათვის ასეთი მებრძოლი ადამიანები იდეალს წარმოადგენენ. ამიტომაც არის, რომ იგი თავის მოგონებაში, წერილებში გარიბალდის (იტალია), ნეკრასოვს (რუსეთი), შევჩენკოს (უკრაინა), კოშუტს (უნგრეთი), კონრად ვალენროდს (პოლონეთი) და სხვა თავისუფლებისათვის მებრძოლ მოღვაწეებს დიდი თანაგრძნობით იხსენიებს. აკაკისათვის ესენი იყვნენ მისაბაძი მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თავისი ქვეყანა და როგორი თავდადებით უნდა იბრძოდეს იგი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ცნობილია, რომ ეროვნული თუ სოციალური ხასიათის გამათავისუფლებელი, რევოლუციური მოძრაობები, რომელთაც მაშინ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანაში, ღრმა თანაგრძნობას პოულობდა საქართველოში. როდესაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლები გაჩაღდა, ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძეს საქართველოდან მოხალისედ სურდა ჩაწერილიყო, რათა იტალიელ ხალხს დახმარებოდა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალგაზრდა აკაკი ადამ მიცკევიჩის გმირებიდან განსაკუთრებით მოხიბლული იყო კონრად ვალენროდით, როგორც პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირით. ახალგაზრდობაში აკაკის გადაუწყვეტია, მიებაძა მისთვის.

ცნობილია, რომ საქართველოში პარიზის კომუნის დამარცხებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ილია ჭავჭავაძემ ლექსში „1871 წელი, 23 მაისი“ პარიზის კომუნის დაცემა კაცობრიობის განვითარების შეფერხებად მიიჩნია. აკაკი წერეთელმა, როგორც ამას ნიკო ნიკოლაძე გადმოგვცემს, პარიზის კომუნას მიუძღვნა ლექსი „ციცინათელა“, რომელშიაც მან რევოლუციისადმი ლტოლვა გამოხატა. პოეტს სურს რევოლუცია თავის სამშობლოში იხილოს.

აკაკი ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში გამოხატავდა რევოლუციისაკენ სწრაფვას; მას იმედი ჰქონდა, რომ ბრძოლის გზით მისი სამშობლო მონობისაგან განთავისუფლდებოდა.

ღმერთო წვიმა მოიყვანე
წითელი და შხაპუნაო,
რომ გავიდეთ სამუშაოდ
და დავძახოთ ჰოპუნაო.

როგორც ამ ლექსიდან ჩანს, აკაკი წერეთელი ნატვრას გამოთქვამს, რომ მის სამშობლოში მოვიდეს განმათავისუფლებელი „წითელი“, ე. ი. სისხლიანი წვიმა. 1882 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „ზარი“ პოეტი აღნიშნავს:

რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა.

ის, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, მოწმობს, რომ აკაკის შემოქმედებისათვის ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებამდე დამახასიათებელი იყო საბრძოლო განწყობილებანი, რევოლუციისაკენ სწრაფვა. პოეტს სწამდა, რომ თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი.

• • •

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარება დაიწყო მუშათა მოძრაობამ. აკაკი წერეთელმა იგრძნო რევოლუციის მოახლოება. მშრომელთა საბრძოლო გამოსვლებს პოეტი აღფრთოვანებული შეხვდა:

გამარჯობა ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!!
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზას და კვალსა.
(„საქართველოს დღევანდელი სახე“)

ეს ლექსი 1902 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“. პოეტს იმ ძალად, რომელმაც უნდა განაახლოს

ცხოვრება, დაამხოს თვითმპყრობელობა, მშრომელი კლასი მიაჩნია. იგი მასში ხედავს საქართველოს მხსნელს.

ასეთი განწყობილებებით შეხვდა აკაკი წერეთელი 1905 წლის რევოლუციას. საერთოდ, აკაკის პოეზია ათეული წლების მანძილზე ისე მიიმართებოდა, რომ ის ბუნებრივად რევოლუციასთან უნდა მისულიყო. ასეთი დროც დაუდგა მას. 1905 წელს აჯანყებული ხალხის ხილვამ ფრთები შეასხა პოეტს. რევოლუციით აღფრთოვანებული მგოსანი წერს: „დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეული, ირღვევა და იმის წინ ახალი შესაფერი უნდა აიგოს. ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი, უფრო სწორე, პირდაპირი და თამამად გასასვლელი. ბრძენთა ბრძენი ამბობს, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია", დღეს სწორედ ვარდის საკრეფი დრო გვიდგება და უნდა ვეცადოთ, რომ ეკალს მოვერიდოთ; „სიფრთხილე სიმხდალე არ არის".. „ღრმად უნდა ჩავინერგოთ გულში, ვეცადოთ და, თუ ჩვენ ვერ მოვესწრებით, შვილსა და შვილიშვილებს ვუანდერძოთ და ისინი მაინც უეჭველად გაიმარჯვებენ... ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია და ასტიქიონება—გამარჯვება... წინ ვერა დაუდგება რა". ასეთი სიტყვით მიმართა ხალხს მგოსანმა 1905 წელს. ამავე დროს აკაკიმ ორი ალეგორიული ხასიათის ლექსი დაწერა სათაურით „გაზაფხული". მგოსანი ამ ლექსებით ხალხს მოუწოდებდა, რომ მას საბრძოლველად იარაღი აესხა. ასეთივე აზრია პოეტის მიერ გატარებული ლექსში „ხანჯალს", რომელიც 1882 წელს დაიწერა, მაგრამ დაიბეჭდა 1905 წელს „ივერიაში". სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ „ხანჯალი" ქართულ მარსელიეზად იყო ცნობილი.

თვით რევოლუციის პროგრესული ხასიათი და ბუნება აკაკიმ 1905 წელს ასე დაახასიათა:

ხალხიც ასეა: რომ აღელდება
და თავის ქერქში ველარ ეტევა,
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს,
ველარც ვედრება და ველარც წყევა:

წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებისთვის
არ გამოდგება... უქმი ბარგია,
და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას,
რაც წარსულიდან აღარ არგია!

— და როდესაც ის კალაპოტშივე
ჩადგება ბოლოს დამშვიდებული, —
დაიწმინდება და იწყებს დენას
სხვა ცხოვრებისთვის განახლებული.

აკაკიმ 1905 წელს მაღალი პოეტური გრძნობით გამთბარი ლექსი „თქვენი ჭირიმე" მიუძღვნა რევოლუციონერებს:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას მოელოდა პოეტი 1905 წლის რევოლუციიდან? რა იყო მისი ასეთი აღფრთოვანების მიზეზი? ცხადია, აკაკის 1905 წლის რევოლუციის შინაარსი თავისებურად ესმოდა. 1905 წელს დაწერილ ლექსში „ნატვრა" აკაკი წერს:

ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში
და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,
მეც მომეფინა, მოხუცს, ნუგეში.

გამოიღვიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება, ერთობის
და აასრულოს საერთო ნება!

გუშინ არ იყო, რომ აკრძალული
ძალმომრეობით გვქონდა ეს ყველა?
ბიუროკრატი, როგორც რომ ჩრჩილი,
კაცურ ღირსებას ღრღნიდა ნელ-ნელა!

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,
რომ წაილეკოს უსამართლობა.
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!

აკაკიმ რევოლუციაში, პირველ ყოვლისა, თვითმპყრობელობის მტერი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი სახალხო მოძრაობა დაინახა. რევოლუციას მისი სამშობლო თვითმპყრობელობის მონობისაგან უნდა გაეთავისუფლებინა. მაგრამ პოეტი რევოლუციის უდიდეს სოციალურ შინაარსაც ხედავდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციაში აკაკი წერეთელი ყველა კლასს ერთნაირ როლს როდი ანიჭებდა. რევოლუციის დასაყრდენ მთავარ ძალად მას მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები მიაჩნდა. აკაკი წერეთელი გამათავისუფლებელ-რევოლუციურ მოძრაობას უკავშირებდა მუშათა და გლეხთა, ხალხთა მოძრაობას.

აკაკი წერეთელმა, როგორც სახალხო მგოსანმა, დიდი სამსახური გაუწია რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში. იგი რევოლუციის მომღერალი მგოსანი იყო და თავისი სახალხო გამოსვლებით ყოველმხრივ ხელს უწყობდა რევოლუციის წინსვლას, ხალხების შეკავშირებასა და დარაზმვას. ცნობილია, რომ მეფის მთავრობა თავისი ბატონობის განმტკიცებისათვის ერებს შორის მტრობას თესავდა. 1905 წლის რევოლუციის პირობებში, როცა სომხებსა და თათრებს შორის სისხლისმღვრელი ომი გაიმართა, აკაკიმ ხმა აღიმაღლა ძმათა შორის ომის წინააღმდეგ და „ივერიის" ფურცლებზე გაბედულად ამხილა ცარიზმის ვერაგული პოლიტიკა. აკაკიმ სომხებსა და თათრებს მოწოდებით მიმართა:

გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!..
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა...

ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?

შეერთდით, ძმებო! შეერთდით!
ხელი ხელს მიეცით ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების პირობებში აკაკიმ ქართულად გადმოაკეთა მსოფლიოში ცნობილი რევოლუციონური ლექსი, მუშათა კლასის საბრძოლო ჰიმნი, მებრძოლი ფრანგი მწერლის ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი". ლექსში „მარსელიოზას ხმაზე" გადმოცემულია ხალხთა შეკავშირებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერნაციონალური მოტივები:

„ყოველი მხრის მუშა-ხალხი
დროა შეკრბეთ, ნუ გვაქვს შიში!
უნდა მედგრად მივიტანოთ
იმ ჩვენ მტრებზე იერიში!

ეს იქნება საბოლოო
მშრომელ ხალხის მწარე ომი!
ეს დაგვიხსნის მხოლოდ და მით
გაიხარებს ყველა ტომი!

ამ ლექსის ქართულად გადმოკეთება, ისიც რევოლუციის დროს, შემთხვევითი არ არის. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ მებრძოლ დემოკრატიულ იდეებთან, რომლებიც აკაკიმ 1905 წლის რევოლუციის დროს განავითარა თავის შემოქმედებაში. „ინტერნაციონალით" აკაკი მოუწოდებდა „მუშა-ხალხს" მედგარი, დარაზმული ბრძოლისაკენ, რადგან ხალხებს მხოლოდ ბრძოლა დაიხსნის მონობისაგან და მით „გაიხარებს ყველა ტომი".

„ინტერნაციონალი" გამოქვეყნდა საახალწლოდ „პატარა გაზეთის" 1906 წლის 1 იანვრის ნომერში. მეფის მთავრობამ ამ „საშიში" ლექსის დაბეჭდვის გამო გაზეთი დახურა და გადმომკეთებელი აკაკი წერეთელი და რედაქტორი კოტე მესხი პასუხისგებაში მისცა.

ამავე დროს აკაკიმ „ივერიაში" გამოაქვეყნა ლექსი „ძირს", რომელშიაც მეფის მთავრობის დამხობისაკენ დიდი გაბედულებით მოუწოდა ხალხს.

ძირს, მთავრობა უსამართლო!
ველარ ვიტანთ გასაჭირსო",
ყოველი მხრივ გიძახიან·
— „ძირს მთავრობავ!.. აწ-კი ძირსო!"

ეს ლექსი ნამდვილი მხატვრული პროკლამაცია იყო, რომლითაც პოეტი ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ მოუწოდებდა. ესაა თავისებური პოეტური გამოხატულება 1905 წლის რევოლუციის ლოზუნგისა „ძირს თვითმპყრობელობა", რომელსაც აჯანყებული მშრომელები ბარიკადებზე გაიძახოდნენ.

*
* *

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. გაბატონდა რეაქცია. მეფის მთავრობის აგენტები, დამსჯელი ექსპედიციები ცეცხლითა და მახვილით მუსრავდნენ სოფლებსა და ქალაქებს. ისინი დაუზოგავად ხოცავდნენ, აწიოკებდნენ, ასციმბირებდნენ რევოლუციის მონაწილეებს. ცნობილია, რომ ამ დროს მწერლობაში თავი იჩინა დაცემულობის განწყობილებებმა. აკაკის პოეზიისათვის ასეთი ტენდენციები არასდროს არ იყო დამახასიათებელი, და ახლაც, რეაქციის წლებში, იგი თავაშვებულ რეაქციას გაბედულად აღუდგა წინ და ხალხის ინტერესებს დაუდგა ქომაგად.

ცნობილია, რომ რეაქციონურად განწყობილი თავადაზნაურობა სიხარულით შეხვდა რევოლუციის დამარცხებას, ისინი მეფის აგენტებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ დამარცხებული ხალხის დარბევა-დაწიოკებაში. როგორც ირკვევა, მათ რევოლუციის დამარცხების გამო თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მეფის მთავრობისათვის მადლობაც კი განუცხადებიათ. ამ გარემოებას დიდად აღუშფოთებია აკაკი. მან ამის გამო დაწერა ლექსი „ვისი მადლობა ...რისი მადლობა". აი, რეაქციის თარეშის როგორი სურათი დახატა აკაკიმ ამ ლექსში და როგორ გაილაშქრა მან რეაქციონერთა წინააღმდეგ:

ხალხი იტანჯვის, სტირის, ქვითინებს,
გადაბუგვია სახლი და კარი!
რა დროს მღერაა, რა დროს მადლობა?
უნდა საქვეყნოდ ისმოდეს ზარი!.."

შავბნელი რეაქციის სისხლიან დღეებს გვიხატავს აკაკი თავის ლექსებში „კოჭაობა", „კალმახელიძის საჩივარი", „გლეხის საჩივარი" და სხვა. პატიმარ რევოლუციონერებს აკაკიმ 1907 წელს მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსი „ტყვეს" მიუძღვნა.

შენ ბორკილში ხარ, ჩემო ძმობილო,
მე თავისუფლად დავიარები!
მაგრამ ორივეს თანასწორ გვტანჯავს
ნაბორკილევი და იარები!
შენ საკანში ხარ და მე მაგ საკანს
გულით ვატარებ დიდი ხანია,
და ვინ დაითვლის რაც იმისაგან
ტანჯვა-წვალება ამიტანია?

ამავე დროს, პოეტი 1905 წლის რევოლუციის მონაწილე პატიმარს მომავლის იმედით ამხნევებს, გამოთქვამს რწმენას, რომ უსამართლობაზე აგებული წყობილება დაემხობა და ხალხი მომავალში მოიპოვებს თავისუფლებას.

1910 წელს აკაკიმ ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოაქვეყნა დრამატული სცენები „რეაქცია“, სადაც დასურათებულია რეაქციის წლები, ხალხის მდგომარეობა, განწყობილებანი, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დამკვიდრდა საქართველოს სოფლებში. პიესაში გამოყვანილია თავადაზნაურობის წარმომადგენლები, რევოლუციისადმი როგორც მტრულად, ისე ლიბერალურად განწყობილნი, ხოლო მათ გვერდით — რეაქციისაგან აწიოკებული ხალხი და მის წრიდან გამოსული მებრძოლი გლეხები.

მწერალი რეალისტური სიცხადით გადმოგვცემს რეაქციის პერიოდში მეფის მთავრობის დამსჯელი ექსპედიციების თავაშვებულ თარეშს სოფლად. ეს სურათები იმდენად რეალისტურია, რომ ავტორს ზოგჯერ მაშინდელი კონკრეტული პიროვნებებიც კი ჰყავს სცენებში გაცოცხლებული. ჩვენი აზრით, დრამაში წარმოდგენილი რევოლუციონერი გლეხი აფრასიონი, რომელიც ჯერ რევოლუციისა და შემდეგ რეაქციის პირობებშიაც იბრძვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, იმერეთში სახელგანთქმული რევოლუციონერი გლეხი აფრასიონ მერკვილაძე უნდა იყოს. მეფის ცენზურის შიშით აკაკი მხოლოდ მის სახელს ასახელებს. სხვაგვარად ეს მაშინ შეუძლებელიც იყო. ცნობილია, რომ აფრასიონ მერკვილაძე რევოლუციის წლებში თავისი რაზმით გააფთრებით იბრძოდა და როდესაც რეაქცია გამეფდა, იარაღი არ დაჰყარა და თავის რაზმელებთან ერთად ტყეში გაიხიზნა და იქიდან განაგრძობდა ბრძოლას. ბოლოს იგი ღალატით იქნა მოკლული.

ცნობილია, რომ აკაკის ლექსში „კალმახელიძის საჩივარი“ კალმახელიძე რეალური პიროვნებაა, რომელსაც შავრაზმელებმა რეაქციის წლებში დაბა საჩხერეში სახლ-კარი გადაუწვეს და რევოლუციონერი შვილი დაუხვრიტეს. ასევე რეალური სურათია დახატული ლექსში „კოჭაობა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკაკის პოეზიის სადა, ხალხური ენა დიდად უწყობდა ხელს მისი ლექსების ხალხში გავრცელებასა და ხალხის საბრძოლველად დარაზმვას.

აკაკი წერეთელი მტკიცედ იდგა რევოლუციის მხარეზე. რევოლუციაში დაინახა მან თავისი ქვეყნის განმათავისუფლებელი ძალა. რევოლუციის დამარცხება მას დროებით მოვლენად მიაჩნდა. იგი თავის შემოქმედებაში წინასწარმეტყველებდა მომავალში ხალხის გამარჯვებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

★

# ადამ მიცკევიჩი

კულტურული კაცობრიობა ყოველთვის უდიდესი პატივისცემით იგონებს იმ პოეტის სახელს, ვინც თავისი შემოქმედება, მთელი თავისი ტიტანური ძალა და ენერგია, მთელი სიცოცხლე შესწირა თავისი ჩაგრული ხალხის ეროვნულ აღორძინებას, ცარიზმის მიერ შებოჭილი და ბორკილდადებული ხალხების განთავისუფლებისა და მათი ძმურ კავშირში გაერთიანების მაღალ იდეას.

ადამ მიცკევიჩის შემოქმედება ეკუთვნის არა მარტო პოლონეთის ხალხს, ის თანაბრად ახლობელია და გასაგები ყველა ხალხებისათვის, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გმირულად იბრძოდნენ თავისი სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის.

პუშკინი თავის შესანიშნავ ლექსში, რომელიც მან მიუძღვნა მიცკევიჩს, აღნიშნავდა, რომ პოლონელი პოეტი:

Говорил о временах грядущих,
Когда народы, распри позабыв,
В великую семью объединятся.

მიცკევიჩის შემოქმედება, დიადია იმით, რომ უაღრესად ნაციონალური ხასიათის, პატრიოტულ მოტივებთან ერთად იგი გამოხატავდა მაღალ ინტერნაციონალისტურ პროგრესულ იდეებს და მოუწოდებდა ყველა დაჩაგრულ ხალხს შეკავშირებისა და მტკიცე სოლიდარობისაკენ.

მთელი თავისი სიცოცხლე მიცკევიჩმა შესწირა მეფის რუსეთის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას, მაგრამ იგი მუდამ და ყოველთვის ულრმესი პატივისმცემელი იყო დიდი რუსის ხალხისა, რუსეთის პროგრესული საზოგადოების, რუსეთის მოწინავე, საუკეთესო მწერლებისა.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრი ხრ არის მაგალითი ისეთი მეგობრული პატივისცემისა და სიყვარულისა ორ სხვადასხვა ხალხის პოეტებს შორის, როგორიც არსებობდა პუშკინსა და მიცკევიჩს შორის. ამ ორი დიდი პოეტის ურთიერთგაგება და მეგობრობა თითქოს სიმბოლურად გამოხატავდა იმ ურთიერთ სოლიდარობას, რომელიც არსებობდა და მუდამ იარსებებს რუს და პოლონელ მშრომელ ხალხებს შორის.

რითი იყო დიდი ადამ მიცკევიჩი?

უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ თავისი მხატვრული შემოქმედებით საკაცობრიო მნიშვნელობის დონემდე აიყვანა მშობლიური პოლონეთის პოეზია და ლიტერატურა. ამ მხრივ მისი როლი სავსებით ეთანაბრება პუშკინის როლს რუსეთის ლიტერატურისათვის.

როზა ლუქსემბურგი სწორად აღნიშნავდა ერთ თავის წერილში: „პოლონეთის ლიტერატურამ რომ ერთი სახელის დასახელებაც კი ვერ შეძლოს, გარდა მიცკევიჩის სახელისა, მაშინაც კი მას უფლება ექნებოდა მსოფლიო ლიტერატურაში საპატიო ადგილი დაეკავებინა უკულტუროსნეს ერებს შორისო“.

მაგრამ მიცკევიჩი არ იყო ვიწრო პოეტური ინტერესებით შეზღუდული პოეტი. მისი სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ თავისი შემოქმედებითი შთაგონება მან დაუკავშირა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას. მიცკევიჩი იყო პოეტი. მოქალაქე, პოეტი-მებრძოლი, ხალხის იდეებისა და სულისკვეთების გამომხატველი მგოსანი.

ის იყო მამამთავარი და სულისჩამდგმელი პოლონეთის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლისა მეფის დესპოტიზმის წინააღმდეგ. მიცკევიჩი იყო დიადი გამომხატველი ხალხის სოციალური მისწრაფებისა, მისი შეურიგებელი ბრძოლისა მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. მიცკევიჩის მკვლევარი პროფესორი ბოი-ჟელენსკი სამართლიანად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მიცკევიჩის შემოქმედებამ განიცადა სავსებით კანონზომიერი ევოლუცია ნაციონალური კონცეფციიდან სოციალური კონცეფციისაკენ.

და ჩვენ უნდა დავსძინოთ, რომ დიდი პოლონელი პოეტის შემოქმედებაში ეს ორი კონცეფცია სხვადასხვა შეთანაბრებით მუდამ არსებობდა, მუდამ თვალსაჩინო იყო. ამით აიხსნება ის დიდი მიმზიდველობა, ის, თუ გნებავთ, მოხიბვლელობა, რომლითაც მიცკევიჩი სარგებლობდა არა მარტო რუსეთის მოწინავე შემოქმედებითს ინტელიგენციაში, არამედ რუსეთის იმპერიაში მოძწყვდეულ ჩაგრულ ერებს შორისაც.

მიცკევიჩის ცნობილი „ყირიმული სონეტები,“ პოემები — „ძიადები“, „კონრად ვალენროდი“, „პან ტადეუში“, აგრეთვე მისი მრავალრიცხოვანი ლექსები, ბალადები და სიმღერები ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ რუსეთის მოძმე ერებშიც.

ამ ნაწარმოებებში ჩაგრული ხალხები ხედავდენ არა მარტო პოლონეთის ხალხის ცხოვრებისა და მისი მწარე ბედის, არამედ თავისი მდგომარეობის, თავისი სულისკვეთების მძლავრ გამოხატულებასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ისიც, რომ მიცკევიჩის შემოქმედება ახლობელი და მონათესავე იყო არა მარტო ერთი ლიტერატურული თაობისათვის, არამედ შემდგომი ლიტერატურული თაობებისთვისაც.

თუ ქართულ სინამდვილეს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიცკევიჩი თანაბრად გასაგები და ახლობელი იყო, როგორც ბარათაშვილის რომანტიკული თაობისათვის, ისე მესამოცე წლების თერგდალეული თაობისათვისაც, დიდი ქართული რეალისტური თაობისათვს, ქართული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მებაირაღტრე პოეტების, მათ შორის, პირველ რიგში, ჰაკაკისათვის.

რით აიხსნება ეს, ერთი შეხედვით, საკვირველი გარემოება?

მიცკევიჩის, ისე როგორც პუშკინის, შემოქმედება შეიცავდა სტილურად განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას, შემოქმედებითი შესაძლებლობების მძლავრ გაქანებას.

აი ეს გარემოება, და აგრეთვე ისიც, რომ ამ პოეტებმა შეძლეს თავისი პრივილეგირებული კლასის ვიწრო იდეებისა და ინტერესების გარღვევა, თავისი ხალხების ნაციონალური ყოფიერების გამოხატვა მთელი მისი მდიდარი მრავალფეროვნებით, გვაძლევენ გასაღებს იმის გასაგებად, თუ რატომ შეიქნენ მიცკევიჩი და პუშკინი არა მარტო სხვადასხვა ლიტერატურული თაობების სულის თანაზიარნი, არამედ მარადი თანამგზავრნი ყველა ხალხის და ყველა ეპოქების კულტურისა და პოეტური შემოქმედებისათვის.

ცნობილია, რომ ბარათაშვილი და მისი ლიტერატურული გარემოცვა შესანიშნავად იცნობდა თავისი დროის რუსულ პოეზიასთან ერთად მიცკევიჩის შემოქმედებასაც.

1824 — 29 წლებში ცარიზმის მიერ მშობლიური პოლონეთიდან ძალით გამოდევნილი მიცკევიჩი ცხოვრობს რუსეთში: პეტერბურგში, ოდესაში, მოსკოვში.

1926 წელს მოსკოვში გამოდის მისი ლექსების შესანიშნავი კრებული „ყირიმული სონეტების" სახელწოდებით — შედეგი იმ პოეტური შთაბეჭდილებებისა, რომლებიც მიცკევიჩმა მიიღო ყირიმში მოგზაურობიდან. ჩქარა ეს კრებული მიცკევიჩის ერთ-ერთ უპოპულარულეს წიგნად იქცა მთელ რუსეთში. ამ სონეტს თარგმნიდნენ საუკეთესო რუსი პოეტები. მიცკევიჩის სახელი ფართოდ მოეფინა რუსეთის მკითხველ საზოგადოებას.

„ყირიმული სონეტები" რომანტიკული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებია. ამავე დროს, ეს ნაწარმოებები გამსჭვალული არიან ურმესი პატრიოტული გრძნობით, რომელიც ელეგიურ განცდათა ფერადებითაა შეღებილი.

ვინც გაიხსენებს ამ კრებულიდან სონეტებს და შეადარებს ბარათაშვილის ცალკეულ შედევრებს, მისთვის ნათელი გახდება უაღრესად დიდი სიახლოვე პოლონელი და ქართველი გენიოსი პოეტების შთაგონებისა, მათი იდეური განწყობილებების, მათი ოცნებისა.

ქართულ ლიტერატურის ისტორიაში დიდი ხანია, რაც მსჯელობის ობიექტს წარმოადგენს მიცკევიჩის „ფარისისა" და ბარათაშვილის „მერანის" თემატიკური და იდეური სიახლოვე. ეს გარემოება, თუ არ ვცდებით, ჯერ კიდევ იონა მეუნარგიამ აღნიშნა. კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ამტკიცებდა, რომ ქართველი პოეტის მიერ არაკი და პოეტური ეპითეტები მისი გენიალური „მერანისა" ნასესხები იყო მიცკევიჩის „ფარისიდან", არ ვიზიარებთ რა სავსებით ამ აზრს, ჩვენ არ შეგვიძლია მაინც დასაშვებად არ მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ბარათაშვილის პოეტურ ქვეცნობიერებაში არსებულიყო შთაბეჭდილება, მიღებული მიცკევიჩის ნაწარმოებისაგან, და მას რემინისცენციის სახით თავისი გამოვლინება ეპოვოს „მერანში".

ჩვენი მკითხველი საზოგადოება მიცკევიჩის ზოგიერთი ლექსის ქართულ თარგმანებს ჯერ კიდევ მე-19 ს. პირველ ნახევარში გაეცნო; ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულთა შეკრებებზე სოლომონ რაზმაძე კითხულობდა მიცკევიჩის „ფარისის" თარგმანს. ს. რაზმაძის შემდეგ მიცკევიჩს თარგმნიდა გიორგი ერისთავი.

სამი წლით ადრე მიცკევიჩის გარდაცვალებამდე გიორგი ერისთავმა თავის ჟურნალ „ცისკარში" (1852 წლის № 3) მოათავსა პოლონელი მგოსნის სამი ლექსის თარგმანი. ესენია: „ბალჩისარაია", „პატოცკას საფლავი" და „გარემისა საფლავნი". ეს სონეტები ეკუთვნოდნენ მიცკევიჩის სახელგანთქმული „ყირიმული სონეტების" შესანიშნავ ციკლს.

ამ ნაწარმოებთა ავტორის სახელი მთარგმნელს არ გამოუქვეყნებია გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით: მეფის ცენზურა არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა მიცკევიჩის სახელით მოწერილ ნაწარმოებებს, რადგან ამ დროს პოლონეთის დიდი პოეტი დასავლეთ ევროპაში იმყოფებოდა და იქიდან უწევდა იდეურ ხელმძღვანელობას პოლონეთის ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ცარიზმის წინააღმდეგ. მიცკევიჩის სახელი აკრძალული იყო რუსეთში.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მიცკევიჩის სახელი არ ეწერა ამ თარგმანებს, ქართული ლიტერატურული წრეებისა და ინტელიგენციისათვის იმ დროს ადვილად გამოსაცნობი იყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ავტორი ამ „პოლშურიდან" (როგორც „ცისკარში" ეწერა) გადმოღებული, მხურვალე პატრიოტული გრძნობით გამთბარი ელეგიებისა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მიცკევიჩმა გავლენა მოახდინა სამოციანი წლების ქართველი პოეტების შემოქმედებითს ფორმირებაზე.

ამ შემთხვევაში უმთავრესად საქმე ეხება იდეურ-პოლიტიკურ ზეგავლენას, და ეს სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ყოველ ლიტერატურულ თაობას ახასიათებს თავისი იდეურ-მხატვრული აპერცეფცია, რომლითაც იგი შედის კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის საგანძურში და რომლის მიხედვითაც იგი სარგებლობს წინა თაობების იდეებითა და მხატვრული მიღწევებით.

სამოციანი წლების ქართული ლიტერატურის მამამთავრებისათვის მიცკევიჩის შემოქმედება ერთგვარ ალსარებას წარმოადგენდა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი იდეების მხატვრული პროპაგანდისათვის.

ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი და გარდამწყვეტი გავლენა მოახდინა მიცკევიჩის შემოქმედებამ ახალგაზრდა აკაკის იდეურ-შემოქმედებითი ჩამოყალიბების საქმეში.

ამის შესახებ აკაკის პირდაპირი მითითებებიცა აქვს როგორც თავის შესანიშნავ „ჩემს თავგადასავალში", ისე ერთ ლექსში, სადაც ამბობს:

ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე
და მისივებდა ის გულსა
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი
სხვებისგან დამონებულსა
მეც მიცკევიჩის გმირებში
მომწონდა ვალენროდიცა
ის მამხნევებდა ვაჟკაცად,
გულს შორდებოდა ლოდიცა.
მეც გამიტაცა ოცნებამ
რომ შევწეოდი მხარესა
და ბოლოს ტკბილის მომლოდნე
უშიშრად ვსვამდი მწარესა.

მიცკევიჩის გავლენითო, ამბობს აკაკი, მე გადავწყვიტე მოვქცეულიყავი ჩემს შემდგომ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ისე როგორც მოიქცა პოემის — „კონრად ვალენროდის" გმირიო.

ვალენროდიზმის იდეა, ესე იგი, სუსტი ჩაგრული ერის მიერ დამჩაგვრელი ძლიერი მტრის წინაალმდეგ ბრძოლაში საშუალებათა გაურჩევლობის იდეა, აკაკიმ თანმიმდევრულად გაატარა თავის შემოქმედებაშიც, განსაკუთრებით მის ადრინდელ ეტაპებზე.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს პოემა „ბაგრატ დიდი", სადაც ქართველი მეფე თავისი პატარა ერის გადარჩენის მიზნით, მუხანათურ ხერხს მიმართავს დამპყრობელი მონღოლების მიმართ: ის თვით წარუძღვება მონღოლთა ჯარს საქართველოში, შეიტყუებს მოხერხებულ ადგილას და წინასწარ განდობილი რაზმების საშუალებით გაანადგურებს.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკის პოემა „ბაგრატ დიდი" დაწერილია მიცკევიჩის „კონრად ვალენროდის" პოემის უშუალო გავლენით.

აქ არ გამოვუდგებით სხვა პარალელებს ქართული ლიტერატურიდან, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მოწინავე მწერლობა მე-19 საუკუნეში სათანადოდ აფასებდა მიცკევიჩის შემოქმედებას და ხშირად იყენებდა მას, როგორც იარაღს თავის იდეურ ამოცანების მისაღწევად.

საბჭოთა ქართული მწერლობა მთელ ქართველ ხალხთან და ყველა მოძმე ხალხებთან ერთად კიდევ უფრო მეტი დიდებით და მადლობით იხსენებს პოლონეთის ხალხის იმ გენიოს პოეტს, რომელმაც თავისი დროის შავ-ბნელ წლებში იწინასწარმეტყველა: „როდესაც დადგება ჟამი ხალხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა, მაშინ ყველა ხალხები ჩადგება მჭიდრო რიგში და შექმნიან ხალხთა წმინდა კავშირს".

გენიოსი პოეტის ეს საოცარი წინასწარმეტყველება ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია. ძმურ კავშირში შემავალი ერები დღეს ადიდებენ პოლონეთის ხალხის საუკეთესო შვილის და საუკეთესო პოეტის სახელს მტკიცე იმედით, რომ დადგება ის სანატრელი დრო, როდესაც ამ ხმას თავის ალტაცებას შეუერთებს თავისუფალი საბჭოთა პოლონეთის ხალხიც,

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კვესელავა

★

# დიდი პოლონელი მწერალი ადამ მიცკევიჩი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის ნოემბერსა და დეკემბერში ფართოდ აღინიშნება დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის გარდაცვალების ასი წლისთავი. თავისუფლების ამ უკვდავი მომღერლის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად 1955 წელს პოლონელმა ხალხმა „მიცკევიჩის წელი" უწოდა. სახალხო-დემოკრატიულმა პოლონეთმა დიდების უკვდავი ძეგლი აუგო მის საყვარელ შვილს, რომლის შემოქმედებაც „უდიდესი სილამაზით, ძალითა და სისრულით გამოხატავს პოლონელი ხალხის სულს" (მ. გორკი).

ადამ მიცკევიჩმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეს. მისი მადლიანი პოეტური ჩანგი მუდამ დედასამშობლოს სადიდებლად ჟღერდა. მიცკევიჩს ღრმად სწამდა თავისი ხალხის მომავალი, და არა მარტო თავისი ხალხისა. ის ოცნებობდა იმ დროზე, როცა, პუშკინის თქმით, „ხალხები შუღლს დაივიწყებენ და ერთ დიდ ოჯახად შეერთდებიან".

დღეს, მიცკევიჩის თხზულებებს რომ ვკითხულობთ, კიდევაც გვავიწყდება, რომ ის ერთი საუკუნის წინ ცხოვრობდა, იმდენად ახლობელი და თანადროულია მისი ყოველი ნაწარმოები. მიცკევიჩმა თავისი მდიდარი და ლამაზი ცხოვრება ისე ოსტატურად ჩააქსოვა ლექსებსა და პოემებში, რომ თუნდაც არაფერი ვიცოდეთ პოეტის ბიოგრაფიიდან, მისი ცხოვრების მატიანის შედგენა მისივე ნაწარმოებების მიხედვითაც შეიძლებოდა. უცხოელი დამპყრობლების მიერ მრავალგზის ჯვარცმული პოლონელი ხალხის ცხოვრება ისე ღრმად და შთამბეჭდავად აისახა მის პოეტურ ქმნილებებში, რომ უკვე ას წელზე მეტია, რაც პოლონეთის ისტორიას ვერ წარმოვიდგენთ ადამ მიცკევიჩის დიდი და ნათელი სახელის გარეშე.

ეპოქა, როდესაც მიცკევიჩი მოღვაწეობდა, უმძიმესი იყო პოლონელი ხალხის ისტორიაში. მე-18 საუკუნის უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში პოლონეთის ტერიტორია სამჯერ იქნა დაქუცმაცებული მეზობელი დიდი სახელმწიფოების მიერ. პოლონეთის ძირეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორიები თითქმის მთლიანად მიიტაცეს ავსტრიელმა და პრუსიელმა მოძალადეებმა. მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე შექმნილი ეგრეთწოდებული „პოლონეთის სამეფო" ადმინისტრაციულად მთლიანად რუსეთის იმპერიისადმი იყო დამორჩილებული. პოლონელი ხალხი დრტვინავდა უცხოელი დამპყრობლების უღელქვეშ. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის საპასუხოდ პატრიოტები აძლიერებდნენ წინააღმდეგობას. სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. არსდებოდა საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაციები, ხშირი იყო გლეხთა სტიქიური აჯანყებები.

პოლონელი პატრიოტების დიდი ნაწილი სამშობლოს განთავისუფლების იმედებს უცხოეთის სახელმწიფოებზე ამყარებდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ნაპოლეონი დაიცავდა პოლონელების ეროვნულ ინტერესებს. როცა 1812 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთის 600-ათასიანი არმია, რომლის შემადგენლობაში 85 ათასი პოლონელი იყო, აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, პოლონელ პატრიოტებს სამშობლოს განთავისუფლების იმედი გაუძლიერდათ. ისინი თავდაპირველად აღტაცებით ეგებებოდნენ ეროვნულ მუნდირებში გამოწყობილ თანამემამულეებს, მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ნაპოლეონს პოლონეთის განთავისუფლება სრულიადაც არ აინტერესებდა. ის სხვისი ტერიტორიების დასაპყრობად მიერეკებოდა მრავალ სახელმწიფოში შეკრებილ არმიას და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ყველაფერს, რაც წინ დაბრკოლებად ელობებოდა.

პოლონეთშიც სასტიკი ტერორისტული რეჟიმი იქნა დამყარებული. ნაპოლეონის ჯარისკაცები დათარეშობდნენ ქალაქებსა და სოფლებში, ძარცვავდნენ მოსახლეობას, აპატიმრებდნენ და გაუსამართლებლად ხვრეტდნენ „საეჭვო პირებს". მშრომელი ხალხი გმინავდა, „ქედმაღალი" არისტოკრატია კი ფეხქვეშ ეგებოდა კორსიკელ დიქტატორს.

ადამ მიცკევიჩი მაშინ თოთხმეტი წლის იყო. ის ლიტვის ქალაქ ნოვოგროდეკში ცხოვრობდა, სადაც ნაპოლეონის ჯარებმა გაიარეს. ჭაბუკი პოეტი აღტაცებით შეჰყურებდა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ლეგიონებს. მის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ისიც, რომ ფრანგთა სარდალი, ნაპოლეონის ძმა, მეფე ვესტფალიისა მიცკევიჩების სახლში დაბინავდა. საღამოობით ადამი ჩუმად მიიპარებოდა ხოლმე მისივე სახლის ფანჯარასთან, რომ ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი „მისი უდიდებულესობისათვის".

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მიცკევიჩი სულ სხვა სანახაობის მოწმე გახდა. ახლა უკვე ყინულით შეჭირხლული ფანჯრიდან უყურებდა

ის ჩამოძენძილ, სიცივისაგან გათოშილ და დამშეულ ნარჩენებს ნაპოლეონის „უძლეველი“ არმიისა, რომელსაც ფელდმარშალი კუტუზოვი დასავლეთისაკენ მიერეკებოდა.

მოსკოვიდან გამოქცეულ ნაპოლეონს ჩქარა ვარშავაც უკან დარჩა. ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით პოლონეთის ტერიტორიები ხელახლა დანაწილდა. სწორედ ამ პერიოდში იწყებს მოღვაწეობას ადამ მიცკევიჩი.

1815 წელს მიცკევიჩმა დაამთავრა ნოვოგროდეკის დომინიკანური სკოლა და ვილნიუსის უნივერსიტეტში შევიდა. ეს უნივერსიტეტი მაშინ მოწინავე იდეების კერას წარმოადგენდა. აქ მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული პოლონელი პროფესორები, რომელნიც ლიბერალურ იდეებს ქადაგებდნენ და სტუდენტებში პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდნენ.

მიცკევიჩი გატაცებით ჩაება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ის დაუმეგობრდა სტუდენტებს — ი. ეჟოვსკის, ი, ჩეჩოტს, ტ. ზანს, ფ. მალევსკის, ო. პეტრაშკევიჩს და მათთან ერთად 1817 წელს დააარსა მეცნიერების მეგობართა საზოგადოება, ე. წ. „ფილომატთა წრე“. მიუხედავად იმისა, რომ ფილომატები არ აყენებდნენ პოლიტიკურ საკითხებს, წრის სხდომები მაინც არალეგალურად იმართებოდა.

მიცკევიჩი ფილომატთა საზოგადოების წესდების ერთ-ერთი ავტორი იყო. მას მებრძოლი, პატრიოტული სულისკვეთება შეჰქონდა გართობებითა და განმანათლებლური საქმიანობით გატაცებულ ფილომატების მუშაობაში. ის თანდათანობით უღვივებდა მეგობრებს ინტერესს სოციალ-პოლიტიკური საკითხებისადმი. მისივე ზეგავლენით ჩაებნენ ფილომატები ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და კავშირი დაამყარეს რუსეთის ახალგაზრდობის არალეგალურ ორგანიზაციებთან.

უნივერსიტეტის პერიოდში სწრაფად განვითარდა მიცკევიჩის პოეტური ტალანტი. მისი ლექსები საბრძოლო მოწოდებებად იქცა პატრიოტულ ახალგაზრდობისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია მიცკევიჩის პირველი დაბეჭდილი ლექსი „ზამთარი ქალაქში“.

ერთი შეხედვით, აქ თითქოს ზამთრის ჩვეულებრივი პეიზაჟია მოცემული და სხვა არაფერი, მაგრამ მას მაინც აქვს თავისი ქვეტექსტი, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობას გამოხატავს.

ასეთივე მებრძოლი განწყობილებითაა გამსჭვალული მიცკევიჩის მიერ იმავე 1818 წელს დაწერილი ლექსი „ცის კიდურიდან“.

მიცკევიჩის მიერ უნივერსიტეტის პერიოდში დაწერილი ლექსები პოეტური მაჭრის პირველი დუღილია, ახალგაზრდული გატაცებაა, ბობოქარი და თითქოს უწესრიგოც, ბახუსის კულტით ოდნავ შეხურებული. „თუ პოეტი ხარ, გადაჰკარ ღვინო, ნუ გეშინია, ლექსი სიმთვრალით არ დაბარბაცდებაო“ — მიმართავს ის მეგობრებს ფილომატების ერთ-ერთ სხდომაზე გამართულ პოეტური კენწლაობის დროს მიცკევიჩმა განაცხადა — ჩქარა ჩემგან ვულკანივით ამოხეთქავენ ლექსებიო. წინასწარმეტყველური გამოდგა პოეტის ეს ქადილი: ორიოდე წლის შემდეგ მართლაც მძლავრად იფეთქა მისმა პოეტურმა გენიამ და ხელის ერთი დაკვრით დაიპყრო პოლონეთის პარნასი.

1818 წლის არდადეგები მიცკევიჩმა ნოვოგროდეკში გაატარა. ცხოვრება მაშინ თითქოს იებითა და ვარდებით იყო მისთვის მოფენილი.

ნოვოგროდეკის მახლობლად მდებარე სოფელ ტუხანოვიჩში მიცკევიჩმა გაიცნო თავისი ოცნების განუყრელი თანამგზავრი მარია ვერეშჩაკი, მუდამ სასურველი და მუდამ შორეული იდეალი მისი პოეტური ფანტაზიისა. მარია, ან, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ ნაცნობები, მარილა, იგივე იყო მიცკევიჩისთვის, რაც ბეატრიჩე დანტესათვის, ლაურა პეტრარკასთვის, დიოტიმა ჰოლდერლინისთვის.

სამუდამოდ აღიბეჭდა პოეტის მეხსიერებაში პირველივე შეხვედრები მარილასთან, მისი ცისფერი თვალები და ტუჩებზე მოთამაშე ეშმაკური ღიმილი, ბნელი ცაცხვების ხეივანი, ფოთლების ჩუმი შრიალი, მწვანეზე გაშლილი მუქი ჩრდილები, საიდუმლო სერობანი, მორცხვი ამბორი... და შემდეგ მარილას დანიშნული გრაფი პუტკამერი...

სიყვარულით ამაღლებული დაბრუნდა მიცკევიჩი ნოვოგროდეკიდან ვილნიუსში და ახალი ენერგიით ჩაება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ახლა მას უკვე აღარ აკმაყოფილებს ფილომატების ბავშვური თამაშობანი: იგი უფრო მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ამოცანებს აყენებს წრის წინაშე, მოითხოვს ახალგაზრდობის მკაცრი შერჩევით მიღებას და კონსპირაციის წესების უფრო სასტიკად დაცვას.

ამავე პერიოდში წერს ის პატრიოტულ პოემას — „ჟივილა“, რომელშიც პოლონელი ტრისტანისა და იზოლდას — ჟივილასა და პორაის რომანტიკული სიყვარული და გმირი ლიტველი ქალის სამშობლოსათვის თავდადების შთამბეჭდავი ამბავია გადმოცემული.

1819 წელს ა. მიცკევიჩმა დაამთავრა ვილნიუსის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და კოვნოს გიმნაზიაში დაინიშნა კლასიკური ენების მასწავლებლად. მხიარული და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების შემდეგ ადვილი როდი იყო ახალგაზრდა პოეტისათვის მიყრუებული პროვინციის სკოლაში განმარტოება. მძიმე შრომამ, მარტოობამ და მატერიალურმა ხელმოკლეობამ მალე ჩაუქრო მას ინტერესი პედაგოგიური მოღვაწეობისადმი. ხანდახან სევდა ისე მოერეოდა ყარიბ პოეტს, რომ ყოველგვარ წონასწორობას აკარგვინებდა.

ვილნიუსელი მეგობრები შეშფოთებული იყ-

ნენ მიცკევიჩის ასეთი მძიმე სულიერი მდგომარეობით. ისინი ხშირად უგზავნიდნენ მას წერილებს, მატერიალურ დახმარებას უწევდნენ და რჩევა-დარიგებებსაც სთხოვდნენ. მიცკევიჩი კოვნოდანაც უწევდა ხელმძღვანელობას ფილომატების მუშაობას. ის ახლა პრაქტიკული მოქმედებისკენ მოუწოდებდა მათ; ვინც ჯარს ამზადებს, მანამ ვერ იტყვის, რამე გავაკეთეო, ვიდრე ამ ჯარს ბრძოლაში არ გამოსცდის, წერდა ის ი. ეჟოვსკის.

თუ მიცკევიჩის ადრინდელი ნაწარმოებები კლასიციზმის მძლავრ გავლენას განიცდიდნენ, ახლა ახალმა რევოლუციურმა შინაარსმა მოძებნა ასახვის შესაფერისი ფორმა. პოეტმა დასძლია კლასიკური პოეზიის მკაცრი „გეომეტრიული წესრიგი", მიჰყვა საკუთარი პოეტური ინსტინქტით ნაკარნახევ გზას და რომანტიკული თავისუფლებით ააჟღერა თავისი ძლიერი ჩანგი. მან ზედიზედ დაწერა მებრძოლი პატრიოტული განწყობილებებით აღსავსე ლექსები: „მეგობრებს", „ოთხი სადღეგრძელო", „ფილომატების სიმღერა" და „ოდა ახალგაზრდობას". ეს ლექსები თემატურადაც და იდეურადაც აგრძელებენ უნივერსიტეტის პერიოდის ლექსების ხაზს. მიცკევიჩის პოეტური წარმოსახვა ამ პერიოდშიც ზოგჯერ განყენებულია, ფანტასტიკურიც, მაგრამ ის არ არის მოწყვეტილი რეალობას, სინამდვილეს. ზოგადსა და ფანტასტიკურში იუდამ რაღაც კონკრეტული, ცხოვრებისმიერი ვლინდება. გამოსახვის როგორი ფორმაც არ უნდა აირჩიოს ავტორმა, ნაწარმოების იდეური ქვეტექსტი აუცილებლად ისტორიულ-კონკრეტული ხასიათისაა.

მიცკევიჩის ზემოთ ჩამოთვლილი ლექსებიდან რევოლუციური პათოსით და მხატვრული სიძლიერით გამოირჩევა შესანიშნავი პატრიოტული ლექსი „ოდა ახალგაზრდობას". შემთხვევითი როდია, რომ ამ ლექსს ავტორმა ეპიგრაფად მისი საყვარელი პოეტის შილერის სიტყვები წაუმძღვარა: „და იმსხვრევიან ძველი ფორმები". „ოდა ახალგაზრდობას" მართლაც ცხოვრების ძველი ფორმების მსხვრევისა და ახლისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა:

ახალგაზრდობავ, ვით ცეცხლის ალი,
აფრინდი მაღლა, მზის სხივს მისდევდე,
ქვეყანას გზნებით მოავლე თვალი
კიდით კიდემდე [1].

პოეტის ფანტაზიის ეს თავისუფალი ნავარდი და მუდამ შორეულისა და უხილავი მომავლის დევნა არ ნიშნავს ამქვეყნიური ცხოვრებიდან რომანტიკულ გაქცევას. მიცკევიჩი არსად არ გარბის, ის სიცოცხლის მოტრფიალეა, მებრძოლი ბუნების ადამიანია, რომელსაც არსებულის გარდაქმნა სურს და არა მისგან გაქცევა. მიცკევიჩისათვის უცხოა სხვა რომანტიკოსთათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი; ის ყოველთვის კოლექტივისკენ, ადამიანებისკენ, ხალხთა მილიონებისკენ ილტვის, მათი შეერთება-შეკავშირება სწადია და არა მათგან განდგომა. ის არ იბრძვის საკუთარი კეთილდღეობისთვის. პირადი ცხოვრება მას საერთო საქმის სამსხვერპლოზე აქვს მიტანილი. მისი ბედნიერების საზომი — სხვისი ბედნიერებაა. ის ყოველთვის სხვაზე ფიქრობს, სხვის კეთილდღეობაზე ზრუნავს, თავისი სულის უმდიდრეს სხვებს უზიარებს და ამაში ხედავს ცხოვრების ნამდვილ აზრსა და დანიშნულებას.

სიცოცხლის წყარო შენში ჩქეფს ჭარბად,
ახალგაზრდობავ, ჰეი სიყმაწვილევ!
იცოდე, სიტკბო მაშინ აქვს შარბათს,
თუ შენს ტკბილს სასმელს სხვაც ინაწილებს!

მიცკევიჩის პოეტური ხედვა ყოველთვის მომავლისკენაა მიმართული. ის როდი ჰგავს იმ რომანტიკოს მწერლებს, რომელნიც აწმყოს უარყოფენ, უნდობლად უყურებენ მომავალს და წარსულის ხავსსა და ობში ეძებენ თავიანთი ავადმყოფური ოცნების თავშესაფარს. მიცკევიჩის პოზიტიური თვალსაზრისი არ გმობს იმას, რაც საუკუნეების მანძილზე შეუქმნია ხალხთა ისტორიას, ოღონდ ის ძველი სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნასა და გაახალგაზრდავებაზე ოცნებობს. პოეტი არც ბნელით მოსილ აწმყოს გაურბის, რადგან დღევანდელობა მომავლისათვის ბრძოლის არენაა მისთვის. თანამედროვეობამ უნდა იბრძოლოს, რათა წარსულ ცხოვრებას ობი ჩამოეცალოს და ბედნიერების ნათელი გზა გაეხსნას მომავალ თაობას:

ახალ გზას გაჰყევ, მოსწყდი ძველს ორბიტს,
სამყაროვ, შეძარ შენი ბურჯები,
ჩამოგეცლება სიძველის ობი,
და კვლავ სინორჩით გაიფურჩქნები.

პოლონეთის პატრიოტული ახალგაზრდობის საბრძოლო დროშებზე ეწერა ადამ მიცკევიჩის უკვდავი სიტყვები:

თავისუფლების რიჟრაჟს სალამი,
ხალხების მხსნელი მზის გამოჩენას.

თანდათან უფრო მძიმე და აუტანელი გახდა მიცკევიჩის ცხოვრება კოვნოში. მარია ვერეშჩაკზე ფიქრით იყო აფორიაქებული მისი გონება. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მიცკევიჩი სიყვარულით აღგზნებულ სტრიქონებს წერდა სატრფოს ალბომში. თითქოს ყველაფერი მშვიდად და უწყინრად მიმდინარეობდა, მაგრამ ტრაგიკული სიტუაცია მაინც მომწიფდა. ვერეშჩაკისა და პუტკამერის ქორწინების დღე დაინიშნა.

მიცკევიჩი ჯავრისაგან ლოგინად ჩავარდა. იგი მოეშვა, მოდუნდა, ჰიპოქონდრიკი გახდა, მასწავლებლობაზე საბოლოოდ აიცრუა გული, მეგობრებს ისტერიკულ წერილებს უგზავნიდა, უცხოეთში გადახვეწაზე ოცნებობდა, დროდადრო ლექსებსაც წერდა. გონება გამიხევდა და ლექსებს თავიდან რკინის მავთულივით ვეზიდებიო, შესჩიოდა ის მეგობრებს.

[1] თარგმანი გრ. აბაშიძისა.

ადამ მიცკევიჩისა და მარია ვერეშჩაკის სიყვარულის რომანტიკული ისტორია საინტერესოა არა მარტო ბიოგრაფიული, არამედ ლიტერატურული თვალსაზრისითაც. მიცკევიჩის ლექსებისა და პოემების გაგება შეუძლებელია პოეტის ამ უნუგეშო სიყვარულით გამოწვეული სულიერი დრამის გათვალისწინების გარეშე. ვერეშჩაკი დროთა განმავლობაში ლიტერატურულ სახედ იქცა პოეტისათვის. მაგრამ რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ამ უნუგეშო სიყვარულით გამოწვეული სევდა, ის მაინც ვერ იქცეოდა მიცკევიჩის „მსოფლიო სევდის“ მთავარ მიზეზად, ის მხოლოდ ნაწილი იყო იმ დიდი სევდისა, რომელიც ღრღნიდა სამშობლოდაკარგული პატრიოტი პოეტის გულს. ტანჯული დედასამშობლოს ტრაგიკული ბედი საასპარეზოდ მოუწოდებდა ბრძოლისა და თავისუფლების მომღერალს.

კოვნოში გატარებული წლები, ძლიერი სულიერი დეპრესიის მიუხედავად, მაინც ნაყოფიერი აღმოჩნდა პოეტისათვის. ის გატაცებული იყო ბაირონით, თარგმნიდა შილერს, სწავლობდა უცხო ენებს. ლირიკული ლექსებისა და ბალადების გარდა, ის მუშაობდა პოემებზე — „გრაჟინა“ და „ძიადები“.

1822 წლის მაისს ვილნიუსში გამოიცა მიცკევიჩის პოეტურ ნაწარმოებთა პირველი კრებული „ბალადები და რომანსები“. ამ კრებულის გამოსვლით იწყება ახალი პერიოდი პოლონეთის ლიტერატურაში. „ბალადებსა და რომანსებს“ ავტორმა წარუმძღვარა სპეციალური წინასიტყვაობა „რომანტიკული პოეზიის შესახებ“, სადაც საბოლოოდ გაემიჯნა კლასიციზმს და რევოლუციური რომანტიზმის პოზიციებზე დადგა. მიცკევიჩი ცდილობს გადმოსცეს პოლონელი ხალხის სულისკვეთება და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ხალხურ შემოქმედებას მიმართავს. წინასიტყვაობაში მიცკევიჩი წერდა, რომ უბრალო ხალხი თავის გულისთქმას ლეგენდებსა და ზღაპრებში აქსოვს. ახლა ის თვით ცდილობს ამ ხალხურ ლეგენდებსა და ზღაპრებში ამოიკითხოს უბრალო ადამიანების ფიქრი და ოცნება. მის ცნობიერებაში კვლავ აღდგა ბავშვობის პერიოდში მოსმენილი ლეგენდები და ზღაპრები.

პოეტი თვით თქმულებებს კი არ გადმოსცემს, არამედ მათი საშუალებით მის მიერ წარმოდგენილსა და დანახულს. ასეთია ბალადები „სვიტეზი“, „სვიტეზელი ქალი“ „მე მიყვარს“, „მარილას საფლავი“ „შრომანა“ და სხვა. ამ ბალადებში გადმოცემული ფანტასტიკური ამბები კონკრეტული რეალობის, ცხოვრების სინამდვილის გადმოსაცემად აქვს ავტორს გამოყენებული. ისინი გამოხატავენ პატრიოტულ მოტივებს, სამშობლოსათვის თავდადებას, ბოროტებისა და ორგულობის მარცხს თუ სიკეთის ზეიმს. პოეტის უნუგეშო სიყვარულის თემაც ოსტატურადაა ჩაქსოვილი ამ ბალადებსა და რომანსებში.

„ბალადები და რომანსები“ რომანტიზმის გამარჯვებას მოასწავებდა პოლონურ ლიტერატურაში. მიცკევიჩის მოწინააღმდეგეებმაც აღიარეს ამ ნაწარმოებების დიდი პოეტური ძალა და სიახლე, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ადამ მიცკევიჩი სწრაფად მიიწევდა წინ და გზას უკაფავდა ახალ ლიტერატურულ სკოლას. მისი პოემები „გრაჟინა“ და „ძიადები“ ამ მიმართულების გამარჯვებას ცხადყოფდა.

„გრაჟინა“ მიცკევიჩის პირველი დიდი ეპიკური ნაწარმოებია. პატრიოტული საქციელი მამაცი ლიტველი ქალისა, რომელიც თავის სიყვარულსა და სიცოცხლეს სამშობლოს ინტერესებს ანაცვალებს, „ჟივილასა“ და „სვიტეზშიც“ ჰქონდა ავტორს დამუშავებული. ამის შემდეგ მიცკევიჩმა უფრო ღრმად შეისწავლა ლიტვის ისტორია, გამოიყენა ისტორიული მასალები და დაწერა ნაწარმოები, რომელშიც ღრმად და დამაჯერებლად გაამუქა ლიტველი ხალხის გმირული წარსულის ერთი მონაკვეთი. მიცკევიჩმა „გრაჟინაში“ გამოხატა იდეა სლავი ხალხების ერთიანობისა გარეშე მტრებთან ბრძოლაში. პოემის საფუძვლად აღებულია სლავების ცნობილი ბრძოლა გრიუნვალდთან ტევტონების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სლავების გაერთიანებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. „სლავთა ერთიანობა— აი ჩვენი ძლიერების საფუძველიო“, ამბობს მოხუცი რაინდი, ბრძენი რიმვიდი და ტევტონელ ჯვაროსანთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს მთავარ ლიტავორს.

მიცკევიჩმა შემოქმედებითად გამოიყენა გრიუნვალდთან ბრძოლის ამბავი და ლიტველი ხალხისათვის თავდადებული გმირების შესანიშნავი სახეები შექმნა. პოემა „გრაჟინა“, მიუხედავად კომპოზიციური ხასიათის ზოგიერთი ნაკლისა, მიცკევიჩის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ამავე პერიოდს ეკუთვნის მიცკევიჩის მეტად რთული კომპოზიციის ნაწარმოები — დრამატული პოემა „ძიადები“, რომლის II და IV ნაწილები ავტორმა თავისი თხზულებების მეორე კრებულში გამოაქვეყნა.

ძიადები, მიცკევიჩის განმარტებით, წინაპართა სულის მოხსენიებას ნიშნავს. ძველი ლიტვური წარმართული წეს-ჩვეულების მიხედვით, მორწმუნეებს სჯეროდათ, რომ, თუ განსაზღვრულ დღეს სადმე უკაცურ ადგილას, სასაფლაოს მახლობლად სანოვაგეს დადგამდნენ და მიცვალებულთა სულებს მოუხმობდნენ, ისინი გამოცხადდებოდნენ და მათთან საუბარსაც გააბამდნენ. წარმართული კულტის ამ გადანაშთმა მიცკევიჩის დრომდეც მოაღწია.

პოემის II და IV ნაწილები დასაბეჭდად გამზადებული იყო, როცა მიცკევიჩმა დაწერა პროლოგი „აჩრდილი“, რომელიც ერთგვარად ტონს აძლევს მთელ ნაწარმოებს. აქ პოეტი წერს

„თვითმკვლელი ჭაბუკის შესახებ“ [1], რომლის აჩრდილი ღამღამობით დგება სასაფლაოდან და იტანჯება მის მიერ ჩადენილ რაღაც მძიმე დანაშაულის გამო. გუსტავი ჩივის, რომ მას საფლავშიც არ აქვს მოსვენება, რომ მას საშინელი სასჯელი აქვს დადებული: კვლავ აღდგეს მკვდრეთით, შეხვდეს მას, ვისთვისაც თავი მოიკლა, ისევ განშორდეს, ისევ მოკვდეს, მაინც ახსოვდეს და იტანჯებოდეს.

ასე გადაშალა მიცკევიჩმა მარილასადმი სიყვარულის ფანტასტიკური ისტორიის პირველი ფურცელი „ძიადებში“. პოემის II ნაწილში მისანი მოუხმობს მიცვალებულთა სულებს და მის წინაშე რიგრიგობით ჩნდებიან ზეცასა და ჯოჯოხეთს შორის მოფარფატე ანგელოსები, რომელნიც სამოთხეში ვერ მოხვედრილან, რადგან ამქვეყნად სიმწარე არ უგემნიათ; მებატონე, რომელიც სიცოცხლეში გლეხებს ჩაგრავდა, ახლა იძულებულია იხეტიალოს მშიერ-მწყურვალმა, რადგან ღამის ფრინველების სახით მოვლენილი გლეხთა სულები ართმევენ საჭმელს, — მწყემსი ქალი ზოსა, რომელმაც ცხოვრებაში არც თვითონ გაიზიარა ვაჟისადმი სიყვარულით და არც ვაჟს არგუნა ბედნიერება.

ნაწარმოებში კვლავ ჩნდება ახალგაზრდა თვითმკვლელი ჭაბუკის აჩრდილი, რომელიც გაოგნებული მისჩერებია ძაძებით მოსილ მწყემს ქალს, კუბოზე რომ ზის თავჩაქინდრული. ეს ალბათ ის ქალია, რომლისთვისაც მან თავი მოიკლა.

უკვე პოემის ამ ნაწილიდანვე ცხადი ხდება მიცკევიჩის მიზანი. ყოველ ცალკეულ ეპიზოდში, რარიგ რომანტიულ ბურუსშიც არ უნდა იყოს ის გახვეული, მაინც ჩანს გარკვეული სოციალური და მორალური შინაარსი. მწერლის მიერ არჩეული გამოსახვის ფანტასტიკურ-რომანტიკული ფორმა, მთელი ეს წარმართული რელიგიური რიტუალები, სულები და აჩრდილები, ანგელოსები და ღამის ფრინველები პოეტური მირაჟი კი არ არის, არამედ სოციალურ-მორალური იდეების გამოსახვის საშუალებაა.

პოემის IV ნაწილში მოქმედება ქსენძის ოთახშია გადატანილი. ქსენძი საღამოს ლოცვისათვის ამზადებს ბავშვებს. შემოდის ჩვენთვის უკვე ნაცნობი აჩრდილი, რომელსაც აქ განდეგილი ეწოდება. ის სთხოვს ქსენძს, შემოუშვას მისი ნუგეშიც, „რომელიც გარეთ ითოშება ყინვაში. ნებართვას რომ მიიღებს, განდეგილი ოთახში „შემოიყვანს“ მის თანამგზავრს კვიპაროსის ტოტს. ეს ის ტოტია, მარილამ რომ გადასცა მიცკევიჩს ქორწინების წინ გამომშვიდობებისას. კვიპაროსის ტოტს მოგონებაც მოჰყვა. განდეგილი მოიგონებს, თუ როგორ დახეტიალობდა ის მარილას სოფელ ტუხანოვიჩის ბაღში. ბუნებაც მის აფორიაქებულ ფიქრებს ჰგავდა მაშინ. მიწაზე თეთრი ბურუსი იყო გაწოლილი, ცა მოქუფრული. ღრუბლებს შორის საცოდავად დაფარფატებდა ნამგალა მთვარე. ვარსკვლავები უკუნეთში ჩაძირულიყვნენ, მხოლოდ ერთი ცდომილი ვარსკვლავი-ღა კიაფობდა მის ზემოთ. ბნელ ხეივანში „იმ ქალის“ თეთრი აჩრდილი გამოჩნდა. თვალცრემლიანი იდგა ის ვაჟის წინაშე; „დამივიწყე“, წარმოთქვა მან ბოლოს. „ვერ დაგივიწყებო“, ამოიკვნესა ვაჟმა, ხელი მოხვია და მათი პირველი ამბორი ჰგავდა ორი სხივის შეერთებას, ფანდურის ორი ჰაეროვანი ბგერის შერწყმას, ორი სულის დაერთიანებას. ზეცა მიიბნიდა და დედამიწა დამსხვრეულ ტალღებად გაწვა მათ ფეხქვეშ.

„მშვიდობითო“, წაიჩურჩულა ქალმა, ერთხელ კიდევ გაიელვა ცაცხვების ხეივანში და ნიავივით გაქრა სიბნელეში.

ეს მოგონება კიდევ უფრო აშმაგებს განდეგილს. მისი გონება დაფანტულია, სიტყვები გენიალური პოეტური ბოდვაა. უძილო ღამის ზმანებას ჰგავს მის წარმოსახვაში მორიალე ბნელი სახეები. ეს სახეები ურჩხულებივით იზრდებიან, არღვევენ პირადი უბედურების ფარგლებს, მსოფლიო სევდას ერთვიან, სოციალური შინაარსით ივსებიან და აქ გუსტავის მხურვალე ფანტაზია უსამართლობის მოსასპობად მოუხმობს ზღაპრულ გმირს, რომელიც ძირს დასცემს ურჩხულს, მეფეებს მოხდის თავიდან გვირგვინს, შემუსრავს დესპოტურ დინასტიათა ტახტებს და მწყემსის კომბალს აქცევს ძალა-უფლების სამეფო კვერთხად.

ასე გადადის მიცკევიჩის პოემაში პირადული და ინტიმური ზოგადსა და საკაცობრიოში, სულის სევდიანი მფოთი ტიტანური ძალის მოწოდებად იქცევა, დათრგუნვილი სიყვარულის გოდება — მძლავრ სოციალურ პროტესტად და მიცკევიჩი წარმოგვიდგება, როგორც იმ ეპოქის მოწინავე იდეების ერთ-ერთი უძლიერესი მქადაგებელი.

განდეგილი განაგრძობს თხრობას. ახლა ის უყვება ქსენძს, თუ როგორ ინახულა დედის სიკვდილის შემდეგ მშობლიური კარ-მიდამო, სადაც ერთგული ძაღლის მეტი არავინ შეხვედრია. ის ხეივანიც ნახა, მარილასთან რომ დასეირნობდა, ბნელი ფანჩატურიც — მათი შეხვედრების ადგილი. შემდეგ ფეხებმა მისდაუნებურად იქითკენ წაიყვანეს, სადაც გაჩირაღდნებული სასახლე იდგა: მღიდრული ეკიპაჟები მიმოდიან და მსახურები დაფუსფუსებენ. ფანჯარაში შეიხედა: განათებულ დარბაზებში სტუმრები ღრეობენ, სუფრა გაშლილია. „დღეგრძელი იყვნენო“, ამბობს ვიღაც და ამ სიტყვებს ყველანი იმეორებენ. შემდეგ ახსენეს ერთი სახელი... ახსენეს მეორეც... განდეგილის გონებას თითქოს შავმა ღრუბელმა გადაუარა... წამოიშალნენ კოშმარული მოგონებანი... ციდან დაეშვა დუმილის ფარდა... ვიღაცამ... შეიძლება იმან... დიახ, შეიძ-

[1] შემდეგში ირკვევა, რომ გუსტავია მისი სახელი.

ლება იმან „დიდად გმადლობთო“, წაიჩურჩულა და გონწასული ჭაბუკი პირქვე დაემხო დედამიწაზე.

ასე განმდევნაო სიკვდილის ანგელოსმა სამოთხიდან, ამბობს განდეგილი. მისი გაბოროტება ისევ მძლავრ პროტესტში გადადის. ის განაგრძობს: მე მშვიდად შევალ დარბაზში და ყურს დავუგდებ, თუ როგორ წარმოთქვამენ სადღეგრძელოებს ოქროქსოვილით შემოსილი ვიგინდარები. შევალ კვიპაროსის ტოტით ხელში, ტალახითა და ბალახბულახით შეგლესილ თმებით, შევალ ამაყი და დავდგები იმათ სუფრასთან. ყველანი გაოცდებიან ალბათ, ჩემკენ წამოვლენ, ჩემს სადღეგრძელოსაც დალევენ, „დაბრძანდითო“, მეტყვიან კიდეც თავაზიანად; მე კი სალ კლდესავით ვიქნები გაჩერებული და იმათ ყბედობას ვუპასუხებ მხოლოდ დუმილით. დარბაზში ცეკვები იქნება, დეზების ჟღარუნი და ელვარება ეპოლეტების. მეც მიმიწვევენ, „გამხიარულდითო“ — მეტყვიან ალბათ, პასუხი ჩემი — არც ერთი სიტყვა. შემდეგ „ისიც“ მოვა, ანგელოსის სიტურფით სავსე, და მეტყვის: „ჩემო, ვინც არ უნდა იყო შენ, ძვირფასი სტუმარი ხარ ჩემთვის, მითხარი მხოლოდ, საიდან მობრძანებულხარ“. ჩემი პასუხი — ისევ დუმილი. „რა არისო, ნეტავ, შენი სახელი?“ — მაინც დუმილი. ვდუმვარ და ვგმირავ თვალებით, სადაც შხამია გველის; ჯოჯოხეთის ალად ვედები მის ლამაზ თვალებს, გულში ჩავრჩები მე სამუდამოდ, დღეს მოვუწამლავ და დავურღვევ ღამის ზმანებას.

მაგრამ ამაოა განდეგილის ეს ქადილი. ეს ხომ მისი ბუნება არ არის. მისი სულის სინაზე ქარიშხლად ვერ გადაიქცევა. მის მოყვარულ გულს სატანა ვერ დაეუფლება. დაწყნარდება, ისევ სევდა წაიღებს და სიყვარული ამეტყველდება: ვერა, ვერ შევძლებ დავარღვიო მისი სიმშვიდე. მსჯავრის ნიღაბით ვერ დავფარავ საყვარელ სახეს. განა რა ქნა მან ამისთანა? რა დააშავა ჩემს წინაშე? იქნებ თვალს მიხვევდა? მაგრამ რა-თი? რას შემპირდა? ან იქნებ თვალთა შუქით მიგებდა მახეს? ო, არა, არც სიზმრად და არც ცხადად. მე თვით ვკვებავდი ჩემს სისულელეს. თვით შევამზადე შხამი და თვით მოვიწამლე თავი. მაშ რაღას ვშმაგობ? რა უფლება მაქვს რას წარმოვადგენ? მე ხომ არც ჩინები მაქვს არც დიდება. სიყვარული-ღა მაბადია კუბოს კარამდე. მე ეს მესმის და არც მიცდია მოპოვება თანაგრძნობისა. მასთან ახლოს ყოფნა მინდოდა მხოლოდ.

განდეგილ-გუსტავის მონოლოგი გრძელდება. „ძიადების“ IV ნაწილი დასასრულს უახლოვდება. მიცკევიჩი ვერ ტოვებს თავის გმირს, პირქვედამხობილს მარილას ხატების წინაშე, და პოემაში კვლავ იჭრება მაჟორული ტონი. სევდა კვლავ ჰბადებს პროტესტს. გუსტავს აღარ სურს მოწყალება და, რაც მთავარია, „შეგნების უკანასკნელი ნამცეცის დაკარგვა“. ის ამაყია, ამპარტავანიც და მას არ შეჰფერის, მუდამ სამოწყალოდ იყოს ხელგაშვერილი. და აი ჩვენს თვალწინ კვლავ იზრდება პროტესტანტი და შეამბოხე ადამიანი, რომელმაც შეგნების ალამი აღმართა და ხელის ერთი მოსმით უარყო სიყვარულის „შაქარყინული“.

უნუგეშო სიყვარულის ღაღადისში კვლავ იჭრება სოციალური თემა. გუსტავი მოითხოვს ქსენძისაგან — აღადგინოს ძიადების წარმართული წეს-ჩვეულება, რადგან, მისი აზრით, მსახურის ერთი ცრემლი უფრო ძვირფასია და გულწრფელი, ვიდრე მოსყიდულ მგლოვიარეთა ბრბო და შავად დათალხული კატაფალკები. ხალხის მიერ ანთებული სანთელი გროშად ღირს, მაგრამ ის უფრო ძლიერ ანათებს, ვიდრე ათასი ჭაღი, ფარისევლურად ანთებული ცრუ ტრაურებზე. თუ გლეხი საფლავზე ერთ მუჭა ფქვილს დაყრის, ხაჭოსა და თაფლს მოიტანს — სულს უფრო შეერგება, ვიდრე მდიდრული მეჯლისი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გამართული მემკვიდრეთა მიერ.

ასევე საინტერესოა გუსტავის საუბარი ფარვანებთან. ფრთოსანთა ეს გუნდი დგას სადღაც, სინათლისა და სიბნელის მიჯნაზე. სიცოცხლეში ისინი აქრობენ ჭეშმარიტების სხივებს და საშინელი სამსჯავროს წინაშე წარმდგარნი წყვდიადშივე იღუპებიან. განგების ძალით ფარვანები, რომელთაც სძულთ სინათლე, მუდამ სინათლისკენ მიისწრაფვიან. ეს მათთვის მკაცრი სასჯელია. ვინ არიან ეს ფარვანები, ჭეშმარიტების სხივებს რომ აქრობენ? მოვუსმინოთ თვითონ გუსტავს: აი ეს ფარვანა, ასე კოხტად გამოკოპწიავებული, სიცოცხლეში პატარა მეფე იქნებოდა ან მდიდარი პანი. მისი სიმდიდრე ჩრდილად ეფინებოდა ქალაქებსა და სოფლებს. ეს კიდევ, მეორე, დაგრეხილი და შავტრუხა — ცენზორი უნდა იყოს, ჯიუტი და რეგვენი. ისინი კი, ბზუილით რომ სიბნელეში დაფარფატებენ — მლიქვნელები და კალმით მოვაჭრენია, რომლებიც იქითკენ მიეშურებიან, საითკენაც ბატონის ხმა მოუწოდებს, ეს ფარვანები, რომელნიც ცდილობენ მოსპონ სინათლე, სინათლეშივე იღუპებიან.

აქ მიცკევიჩი გამოდის როგორც სოციალური უსამართლობის მამხილებელი, მებატონეების, მეფეების, მათი მოხელეების, მლიქვნელების და ცრუ მოკალმეების წინააღმდეგ მებრძოლი, ხალხის, უბრალო ადამიანების, შრომისა და მშრომელების დამცველი.

•
• •

ფილარეტების მუშაობამ პოლიციის ყურადღება მიიპყრო. ჯერ ჩუმი ძიება დაიწყო, თვალთვალი, ჯაშუშური ქსელის გაბმა. მალე ამას აშკარა რეპრესიებიც მოჰყვა. დააპატიმრეს ფილარეტების საზოგადოების ხელმძღვანელები, მათ შორის, ადამ მიცკევიჩიც. ცხოვრებამ პოეტი ერთბაშად გადაისროლა პრაქტიკულ ბრძოლაში,

რომლისკენაც ასე გაცხარებით მოუწოდებდა ის ფილარეტულ საზოგადოებას. მასში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ვერტერივით უნუგეშოდ შეყვარებული პოეტი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგა. სახელდახელოდ ციხედ გადაკეთებულ ბაზილიკურ ეკლესიაში, სადაც დაპატიმრებული ფილარეტები იყვნენ მოთავსებული, მიცკევიჩმა ასეთი წარწერა გააკეთა: 1823 წლის პირველ ნოემბერს აქ გარდაიცვალა გუსტავი, 1823 წლის პირველ ნოემბერს აქ დაიბადა კონრადი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მიცკევიჩმა განვლო ის საფეხური, რომელზეც მისი სულიერი ბიოგრაფიის გამოხატულებას ტრაგიკული სიყვარულით გაშმაგებული გუსტავი წარმოადგენდა და ახალი, უფრო პრაქტიკული და რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული გმირის კონრადის სახეში გამოავლინა თავისი მისწრაფება.

მიცკევიჩი ჯერ თავდებით გაათავისუფლეს ციხიდან, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ — 1824 წლის 24 ოქტომბერს, ცენტრალურ რუსეთში გაასახლეს. იმავე წლის 4 ნოემბერს პოეტი ჩავიდა პეტერბურგში. აქ ის შეხვდა თავის თანამემამულეებს — პრქევალსკის ცელვიტრს, სეკოვსკის და ცნობილ პოლონელ მხატვარს ოლეშკევიჩს. პეტერბურგშივე დაუმეგობრდა მიცკევიჩი დეკაბრისტებს ბესტუჟევსა და რილეევს, რომლებიც კარგად იცნობდნენ პოლონურ ლიტერატურას. რილეევმა ჯერ კიდევ 1821 წელს თარგმნა მიცკევიჩის ბალადა „შროშანა“. დევნილი პოლონელი პოეტი დაიახლოვეს დეკაბრისტებმა და, როგორც ჩანს, თავიანთი შეთქმულების ამბებიც გაანდეს. მიცკევიჩმა სამი თვე დაჰყო პეტერბურგში და შემდეგ ოდესაში გაემგზავრა. პოეტს თან მიჰქონდა რილეევისა და ბესტუჟევის სარეკომენდაციო წერილები ოდესაში მცხოვრებ პოეტ ვ. ტუმანსკისთან, ხოლო უკან მოჰყვებოდა ჟანდარმერიის საიდუმლო მიწერილობა ოდესის ოხრანკისადმი — თვალყური ედევნებინათ ამ „საეჭვო პირისათვის“.

მიცკევიჩზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინის პეიზაჟმა და განსაკუთრებით მთაგორებმა და კლდეებმა, რომლებიც აქა-იქ ხვდებოდა. „რა უნდა იყოს კავკასიის გოლიათები, თუკი ეს პიგმეები ასე შთამბეჭდავად გამოიყურებიანო“, წერდა ის. მიცკევიჩის კერძო წერილებიდან ირკვევა, რომ ის ოცნებობდა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ჩამოსვლაზე. მაგრამ ეს ოცნება ვერ განახორციელა მუდამ ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა პოეტმა.

ოდესაში ტუმანსკიმ ხელგაშლით მიიღო ბესტუჟევისა და რილეევის პოლონელი მეგობარი. აქ მაშინ გენერალ ვიტესა და მისი ხასის გრაფის ასულ სობანსკას სალონებში „ბრწყინვალე პეტერბურგული მეჯლისები იმართებოდა“. მიცკევიჩი ამ სალონების ხშირი სტუმარი იყო. ლექსებს ის უმთავრესად ოდესელი ლამაზმანების ალბომებში წერდა და მათი თემატიკაც ამ დანიშნულებით განისაზღვრებოდა. გარდატეხა მხოლოდ ყირიმში გამგზავრების შემდეგ დაიწყო. გრაფმა ვიტემ წინადადება მისცა მიცკევიჩს მის კომპანიასთან ერთად, რომელშიც, რა თქმა უნდა, სობანსკაც შედიოდა, ყირიმში ემოგზაურა. მიცკევიჩმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე „თავრიდის ეგზოტიკურმა თავისებურებებმა“, აკერმანის ველებმა, შავი ზღვის სანაპირომ, ჩუფუთკალესა და კიკინეიზის მთებმა, ტარანკუტისა და ბალაკლავის ციხე-სიმაგრეებმა.

ოდესაში ყოფნისა და თავრიდში მოგზაურობის შედეგი იყო „სატრფიალო“ და „ყირიმული“ სონეტების მთელი ციკლი, რომელიც მიცკევიჩმა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გამოსცა 1826 წელს.

ოდესაში არ აღმოჩნდა მასწავლებლის ვაკანტური ადგილი მიცკევიჩისათვის და ის იძულებული გახდა გამგზავრებულიყო მოსკოვში, სადაც გენერალ-გუბერნატორის თავად გოლიცინის კანცელარიაში მოეწყო. მძიმე პერიოდი იყო მაშინ მოსკოვში. დეკაბრისტების შეთქმულების განადგურების შემდეგ სასტიკი რეპრესიები დაიწყო. ხალხს ხმამაღლა ლაპარაკისაც ეშინოდა. ქუჩებში გაუწყვეტლივ დადიოდნენ პატრულები. მიცკევიჩი საშინლად განიცდიდა მისი მეგობრის — დეკაბრისტების სიკვდილით დასჯას. სიფრთხილე მასაც მართებდა. ის ერიდებოდა ლიტერატურულ შეკრებებზე გამოჩენას. ერთხელ კი ველარ მოითმინა და წავიდა. ან როგორ შეეძლო შინ ჯდომა, როცა სობოლევსკისაგან ასეთი ბარათი მიიღო: „ალექსანდრე პუშკინი დღეს კითხულობს ნაწყვეტებს თავის „ბორის გოდუნოვიდან“.

მღელვარებას ძლივს იკავებდა მიცკევიჩი, როცა სობოლევსკის კარებთან შეჩერდა და ზარს ჩამოკრა. რამდენიმე წუთის შემდეგ პუშკინი და მიცკევიჩი პირისპირ შეხვდნენ და მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. აქ ჩაეყარა საფუძველი მათ დიდ მეგობრობას. ყველანი აღტაცებული იყვნენ „ბორის გოდუნოვით“. ეს საღამო დაუვიწყარი იყო მიცკევიჩისთვის.

რუსეთის მოწინავე მწერლებმა გულთბილად მიიღეს სამშობლოდან განდევნილი პოეტი. რუსი მეგობრების სტუმართმოყვარეობამ ისეთი თბილი და საინტერესო გარემოცვა შეუქმნა პოეტს, რომ გადასახლებაში ყოფნის ამ წლებს ის თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებად თვლიდა. აქ ეზიარა იგი რუსეთის მოწინავე კულტურას, აქ განუმტკიცდა მას ხალხთა ერთიანობის იდეა, აქ მიიღო მან ნამდვილი რევოლუციური წრთობა.

მოსკოვის ლიტერატურულ სალონების კარები მუდამ ღია იყო მიცკევიჩისთვის. ყველა აღტაცებული იყო მისი ბრწყინვალე ტალანტით. განსაკუთრებულ გაოცებას იწვევდა პოლონელი

პოეტის იმპროვიზაციის შეუდარებელი ნიჭი. ერთხელ პუშკინმა მიცკევიჩის მიერ ფრანგულ ენაზე წარმოთქმული იმპროვიზაციის მოსმენის შემდეგ „აღტაცებულმა წამოიძახა: „რა გენიოსია! რა ღვთაებრივი ცეცხლი! რა ვარ მე მასთან შედარებით!“

მიცკევიჩის იმპროვიზაცია მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით მიმდინარეობდა. პოეტი თავს უკან გადასწევდა, და, როცა ზინაიდა ვოლკონსკაია გაუბედავად აიღებდა პირველ აკორდებს ფორტეპიანოს კლავიშებზე, გაისმოდა მიცკევიჩის ხავერდოვანი ხმა. ის ელვის სისწრაფით ქმნიდა სახეებს, შედარებებს, რითმებს რითაც ადვილად იტაცებდა მსმენელთა გულებს.

მოსკოვიდან პეტერბურგს გამგზავრების წინ მიცკევიჩი სობოლევსკისთან ერთხელ კიდევ შეხვდა პუშკინს. იმ საღამოს მიცკევიჩმა დიდი რუსი მეგობრის ფიქრებში საკუთარი აზრებიც ამოიკითხა.

პუშკინი რატომღაც უგუნებოდ იყო. მეფის რუსეთს იგი საპყრობილეს უწოდებდა, მეფეს კი — აზროვნების ცენზორს. სიძულვილიც არ არისო ამ ქვეყანაში ადვილი — ამბობდა ის, რითაც აღტაცებაში მოჰყავდა მისი პოლონელი გულის მესაიდუმლე. თითქოს ერთი ჩანგის სიმებს ეხებოდა იმ ღამეს ორი გენიოსი. ერთნაირად სცემდა მათი გულები. ოთახში მძიმე განწყობილების ბურუსი იდგა. არც ერთს არ უნდოდა დაერღვია ეს გარინდება. ყველანი ჩუმად ისხდნენ და თამბაქოს ბოლს აყოლებდნენ თავიანთ მღელვარე ფიქრებს. ცოტა ხნის შემდეგ პუშკინი უხმოდ წამოდგა და ისე გავიდა ოთახიდან, არც კი დამშვიდობებია მეგობრებს.

ამავე ხანებში გამოვიდა მიცკევიჩის „ყირიმული სონეტები“. ოდესასა და ყირიმში მოგზაურობის პერიოდში დაწერილი და ჩაფიქრებული ლექსები უკვე აღარ შეეფერებოდა დეკაბრისტული მოძრაობის ჩაქრობისა და რეაქციის სისხლიანი თარეშის პერიოდის განწყობილებას. იქნებ ამიტომ წარუმძღვარა მიცკევიჩმა „სატრფიალო სონეტებს“ ეპიგრაფად პეტრარკას სიტყვები: „როცა ნაწილობრივ მე სხვა ვიყავი, ვიდრე ახლა ადამიანი“.

პეტრარკათი გატაცება შემთხვევითი არ არის. მიცკევიჩი ჯერ კიდევ ვილნიუსის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს იტალიური ლიტერატურის შესახებ, ფილომატების სხდომაზე კითხულობდა მოხსენებებს პეტრარკას პოეზიაზე, ხოლო ოდესაში იტალიური ენის გაკვეთილებს იღებდა. პეტრარკას პოეზიით გატაცებას უკვალოდ არ ჩაუვლია მიცკევიჩისთვის. სატრფიალო სონეტებში იგრძნობა იტალიელი პოეტის ჩანგის ჟღერაც. პოლონელი პოეტიც ლაურას უძღვნის სიყვარულით აღსავსე სტრიქონებს, მაგრამ ამ ლაურაში ყველგან მაინც მარია ვერეშჩაკი იგულისხმება.

მიცკევიჩმა სატრფიალო სონეტებში შეიტანა 1818 წელს დაწერილი ლექსიც [illegible] სონეტში პოეტი მიმართავს ლაურა-მარილას, და ეს ლექსი ჯერ კიდევ მიცკევიჩის რუსეთში გადასახლებამდე თარგმნა ვ. ტუმანსკიმ, ხოლო კ. რილეევმა მიბაძვა დაწერა ამ სონეტისადმი.

სონეტში „დილა და საღამო“ ისევ მიცკევიჩის სიჭაბუკის ორეულის, გუსტავის უნუგეშო სიყვარული ჩანს. ეს სონეტი ისე ნაზია და მელოდიური, რომ მუსიკის გენიამ პ. ჩაიკოვსკიმ ნოტებზე გადაიტანა. მისი მსუბუქი, თითქოს მთვარის სხივებით დაწერილი, სტრიქონები კვლავ წარსულის იდილიებს უბრუნდება და სიყვარულის ვარდის სურნელებას აფრქვევს.

ამ მოტივებზეა აგებული მიცკევიჩის სხვა სატრფიალო სონეტებიც. ყოველ მათგანს თავისი შინაგანი კომპოზიცია აქვს. სიყვარულის ნაზი მელოდია თანდათან გადადის უკმაყოფილებაში, საყვედურში, სიმკაცრესა და წყევლა-კრულვაში, ისევ უბრუნდება თავის მელანქოლიურ საწყისს და ჰაეროვან ბგერებად გაეგება ფეხქვეშ ლაურა-მარილას. პოეტის ემოციებსაც თავისებური გადასვლები აქვს. ჯერ სინაზე, სიყვარული, თხოვნა, იმედი, ხოტბა, გაღმერთება, შემდეგ — გულისტკივილი, უკმაყოფილება, საყვედური, გაშმაგება, ბოლოს კი — ისევ ლირიზმის მოზღვავება, ღვთაებრივი მშვენიერების ხოტბა, ცრემლები, მუდარა და უმწეობა.

ოდესაში ცხოვრებამ ახალი მოტივები ააჟღერა მიცკევიჩის პოეზიაში. პოეტი არისტოკრატიულ სალონებში ტრიალებდა, აკვირდებოდა ამ სალონებში მოფუსფუსე ფარვანების ფუქსავატურ ცხოვრებას. მის ლექსებში ისევ იჩენს თავს ირონია, კრიტიკული ტონი, მხილება, გაკიცხვა, ზოგჯერ გამანადგურებელი სატირაც. როდესაც პოეტი „ოდესელი დანაიდების“ ცხოვრებას აღწერს, მკითხველი უთუოდ იგრძნობს გესლიან დაცინვას. ის დროც წავიდაო, — ამბობს პოეტი, — როცა მშვენიერი ასულები მინდვრის ყვავილებისაგან შეკრულ თაიგულებს აწვდიდნენ ჭაბუკებს და შუამავლებად მტრედებს უგზავნიდნენ. ახლა საუკუნე გაიაფდა, თქვენ კი გაძვირდითო, — მიმართავს ის ოდესელ კეკლუცებს.

მიცკევიჩი ხედავდა, რომ არისტოკრატიულ სალონებში ყველაფერი ფულზე ხურდავდებოდა, ფულით და ჩინებით ზომავდნენ ადამიანის ღირსებას, ფულზე ყიდიდნენ სიყვარულსა და პატიოსნებას. ოდესაში მიცკევიჩმა მდიდარი ვაჭრის ასულის შერთვა განიზრახა. ქალის ანგარებით სავსე დედამ და ბიძამ დაიწყეს გამორკვევა თუ რა ქონება აქვს მას, რა ჩინი, მამული, შემოსავალი და როცა გაიგეს, რომ არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდა პოეტს, ქალი გააქრეს და ქორწინება ჩაშალეს. მიცკევიჩმა სარკასტული სონეტით უპასუხა მათ. ის წერდა: „დედიკო და ბიძიკო! სული მე მხოლოდ ერთი მაქვს, ჩემი მამული პარნასია, შემოსავალი კალამმა უნდა მომცეს, ჩინი კი — შთამომავლობამ“.

„ყირიმული სონეტები" თავისუფალია სატრფიალო მოტივებისაგან. აქ უფრო პატრიოტული თემებია დამუშავებული. ყირიმში, ამ „სიუხვისა და სილამაზის მხარეშიც", პოეტი თავის უბედურ სამშობლოზე ფიქრობს. ვერაფერი ვერ აქარწყლებს პოეტის სევდას — ვერც მის თვალწინ გადაშლილი ზღაპრული სანახაობა, ყირიმის ლაჟვარდოვანი ცა, ბაიდარის იადონების მგზნებარე ჰანგი, სალჰირელი ლამაზმანების ნაზი სიმღერა, ლილისფერი თუთები თუ მზეზე მოელვარე ანანასები. ყოველივე ამას, „მერჩია ლიტვაკ, შენი ველის და ტყის შრიალიო", ამბობს პოეტი.

მიცკევიჩი ყველგან და ყოველთვის იხსენებს მშობლიურს, პოლონურს. ის დასტირის გრაფის ასულ პოტოცკას საფლავს, გარინდებული უსმენს სიჩუმეს, რომ გაიგონოს ხმა ლიტვიდან. თვალს აყოლებს ვარსკვლავების დინებას სამშობლოსაკენ.

შესანიშნავად ხატავს მიცკევიჩი ყირიმის პეიზაჟს. მის სონეტებში ცოცხალ ფერებად ისახება „ოდალისკების მსგავსი აღმოსავლური ღამე", „ღრუბლების თარეში ჩადირ-დაღისა და აუდაღის მთებში", არწივებისთვისაც მიუწვდომელი კიკინეიზი და თარხანგუთის შუქურები.

ყირიმულმა სონეტებმა დიდი სახელი მოუხვეჭა მათ ავტორს. ეს ლექსები, მაშინვე თარგმნეს რუსმა პოეტებმა. როგორც ცნობილია, მიცკევიჩის რამდენიმე სონეტი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში თარგმნა ქართულად გიორგი ერისთავმა.

კოვნოს პერიოდში დაიწყო მიცკევიჩმა მუშაობა თავის ცნობილ პოემა „კონრად ვალენროდზე". მან შეაგროვა ისტორიული მასალები, ძველი ქრონიკები და მატიანეები, რომ უფრო დაეახლოვებინა პოემა სინამდვილისთვის. პოეტმა ისე გააცოცხლა XIV საუკუნის ამბები, რომ პოემის კითხვის დროს მიცკევიჩის თანამედროვეობა უფრო იგრძნობა, ვიდრე ლიტვის შორეული წარსული. კონრად ვალენროდი სამშობლოსათვის თავდადების სიმბოლოდ იქცა.

მე მიცკევიჩის გმირებში
მომწონდა ვალენროდიცა, —

წერდა აკაკი წერეთელი. პოემის პატრიოტული მოტივები, კონრადის თავდადება და ვაიდელოტის სიმღერები, ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მიცკევიჩის თანამედროვეებს. ამიტომ იყო, რომ სენატორმა ნოვოსილცევმა მოითხოვა პოემის აკრძალვა და საბოლოოდ აკრძალა კიდეც. რუსეთშივე დაწერა მიცკევიჩმა თავისი „აღმოსავლური ლექსები", რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ფარისს". ამ ლექსში გამოხატულია მიცკევიჩის დაუდეგარი სულის წინსწრაფვა, და მომავლის ურყევი რწმენა.

ცნობილია, რომ „ფარისის" აღტაცებული მკითხველი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი და რომ მის „მერანს" ანათესავებს „ფარისთან" ზოგიერთი იდეური მოტივი. რამდენი რამ აქვს საერთო ამ ორი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში! ერთი კოვნოში იტანჯებოდა, მეორე — განჯაში; ერთს მარია ვერეშჩაკის სიყვარული კლავდა, მეორეს — კატინა ჭავჭავაძისა, ერთი ნემანის პირას იყო სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული, მეორე — მტკვრის პირას; ერთი თურქეთში მოკვდა, მეორე — აზერბაიჯანში; ორივე ორჯერ გაასვენეს და ისე მიაბარეს მშობლიურ მიწას.

მიცკევიჩი და ბარათაშვილი დიდ რუს მწერლებთან — პუშკინთან და ლერმონტოვთან ერთად ებრძოდნენ ცარიზმს. მაშინ ქართველებს პოლონეთში ასახლებდნენ, პოლონელებს კი — საქართველოში. თბილისში კაზიმირ ლაპაჩინსკი რუსთაველს თარგმნიდა, ვილნიუსში გიორგი ერისთავი მიცკევიჩს. პუშკინი და მიცკევიჩი, ლერმონტოვი და ბარათაშვილი ერთი მიზნისკენ მიისწრაფვოდნენ, ერთნაირი იყო მათი ფიქრი და ოცნება, სამშობლო და თავისუფლება ეწერა მათი პოეზიის დროშებზე, და რა გასაკვირია, თუ შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს ხმას უწყობდნენ რუსი, პოლონელი და ქართველი ხალხის ეს საუკეთესო შვილები.

1829 წელს მიცკევიჩმა რუსი მეგობრების დახმარებით საზღვარგარეთ გამგზავრების უფლება მიიღო. დიდ პოლონელ პოეტს გულთბილად დაემშვიდობნენ პეტერბურგში პუშკინი, ვენევიტიანოვი, პოგოდინი, აქსაკოვი, შჩეპკინი და სხვები. 15 მაისს მიცკევიჩი გემ „გეორგ II"-ზე ავიდა და სამუდამოდ დატოვა რუსეთი.

*
* *

მიცკევიჩი ლუბეკის გავლით ჰამბურგს ჩავიდა, რამდენიმე ხანი ბერლინსა და დრეზდენში დაჰყო, პრაღასა და კარლსბადში იმგზავრა და მარია შიმანოვსკას სარეკომენდაციო წერილით პოეტ ოდინეცთან ერთად ვაიმარში ჩავიდა დიდი გოეთეს სანახავად.

არაჩვეულებრივი ყურადღება გამოიჩინა გოეთემ პოლონელი სტუმრებისადმი. მისი რძალი ოტილია ამტკიცებდა, ასე თბილად გოეთეს არც ერთი უცხოელი არ მიუღიაო. ამ ვიზიტმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მიცკევიჩზე.

პოლონელმა პოეტებმა ისევ აიღეს მოგზაურის კვერთხი, ალპები გადალახეს და იტალიაში ჩავიდნენ, გაიარეს ვენეცია, ბოლონია, ფლორენცია და რომში შეჩერდნენ. იტალიაში მიცკევიჩმა ორი წელი დაჰყო.

1831 წელს მეხივით გავარდა ცნობა ვარშავის აჯანყების შესახებ. მიცკევიჩი ნასესხები ფულით გაეშურა პოზნანისაკენ, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო და აჯანყებულთა რიგებში ჩამდგარიყო, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა. რამდენიმე თვეში მეფის მთავრობამ სისხლში ჩაახრჩო ვარშავის აჯანყება. მიცკევიჩი დრეზდენში და-

სახლოა. მისი გონება სამშობლოს ტრაგიკული ბედით იყო აფორიაქებული. პუშკინი შიშობდა, მიცკევიჩი ვარშავაში არ დაბრუნებულიყო და მისი სამშობლოს აგონიის მოწმე არ გამხდარიყო.

ვარშავის აჯანყების გავლენით დაწერა მიცკევიჩმა ლექსები: „ჯარისკაცის სიმღერა“, „მეთაურის სიკვდილი“ და „ორდონის სანგარი“. მიცკევიჩი აღწერს პოლონელი პატრიოტის ორდონის გმირობას, თანაგრძნობით იხსენიებს რუს ჯარისკაცებსაც. აღშფოთებული მიცკევიჩი კითხულობს: სად არის ის, ვინც გამოგზავნა ისინი ამ სისხლიან ჯოჯოხეთში: და უპასუხებს: ასი მილის დაშორებით პალმირაში ზის გვირგვინოსანი. ის წარბს ასწევს და ციმბირისკენ მიაქროლებენ გადასახლებულთ, თავს დააქნევს და დედები ატირდებიან, ფეხს დაჰკრავს და დაიზუზუნებენ შპიცრუტენები...

ვარშავის აჯანყების დამარცხების მიუხედავად, მიცკევიჩს არ დაუკარგავს საბოლოო გამარჯვების იმედი. ერთ-ერთ წვეულებაზე მას ვიღაც ქერათმიანმა ქალმა გადასცა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ეწერა: „აწ რას იზამ, როცა შენი გულიდან ყოველგვარი იმედი გაქრა?“ მიცკევიჩმა ეს ქაღალდი გადააბრუნა და დააწერა: „რას შვრება გლეხი, როცა სეტყვა ყანას გაუოხრებს? ისევ გაჰყვება ხნულს და ხელახლა დაიწყებს თესვას“.

ამ დროს იწერება „ძიადების“ III ნაწილი. დამთავრდა გუსტავის პერიოდი. ნისლივით გაქრა სიყვარულის კოშმარული მირაჟი. სოციალ-პოლიტიკური იდეები, რომლებიც „ძიადების“ II და IV ნაწილს ქვეტექსტად მიჰყვებოდა, III ნაწილის ლეიტმოტივად იქცა. „ძიადების“ ეს თავიც ავტობიოგრაფიულია. კონრადში ისევე ნათლად მოჩანს ახალი მიცკევიჩი, როგორც გუსტავში ჩანდა პოეტის სიჭაბუკე. ამ ნაწარმოების უძლიერესი ადგილია კონრადის იმპროვიზაცია.

იმპროვიზაცია იწყება კონრადის მიერ საკუთარი შემოქმედებითი ძალის შეგნების გამოხატვით. კონრადი ამაღლდება ღმერთამდე და ამაყად ეტყვის: შემომხედე, ქარიშხლის ფრთებს ამოვყევი შენამდე, მაშასადამე, ტოლი ვარ შენიო. ის ზოგჯერ ღმერთზე მაღლაც აყენებს თავს. მე უკვდავებას ვქმნი, შენ კი რა შექმენი ამის ფასი, — ეუბნება კონრადი ზეცის მეუფეს. მისი გული მთელ მსოფლიოს იტევს, როგორც ზღვა იტევს მდინარეთა ურიცხვ შენაკადს. მილიონია ჩემი სახელიო, — ამბობს კონრადი და ცდილობს ღმერთს გამოსთხოვოს ძალა-უფლება, დაეუფლოს ადამიანთა სულებს, ბედნიერება მოუტანოს ხალხს და „იმღეროს სიმღერა სიხარულისა“.

კონრადმა იცის, რა ძნელია მარადისობის წყვდიადთან ბრძოლა, მაგრამ ის მარტო არ არის. კონრადი „ძმური კავშირითაა“ შეერთებული ხალხთან. „სულით მამულთან ვარ შერწყმულიო“ — ამბობს იგი და დასძენს: „მხოლოდ ჩემს ქვეყანასთან ერთად შეიძლება ჩემი არსებობაო“. კონრადი იტანჯება ხალხის ტრაგედიით. როგორც შვილი შეჰყურებს შეშლილი თვალებით მამის ეშაფოტზე აყვანას, ასევე შევყურებო მე ჩემს ხალხს — ამბობს ის. მან გადაუშალა ღმერთს თავისი გულისნადები, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, მოთმინება გამოელია, გულში ბოღმა დაუგუბდა და ასეთი მუქარა წარმოთქვა: შენ იცი ცეცხლის ის კერა, რომელსაც გულში ვატარებ — ეს გრძნობაა ჩემი. მის მხურვალებას მე შევუერთებ ტკივილებს, რკინის ნების სალტეებში მოვაქცევ, ყუმბარად ჩავდებ ზარბაზნის ლულაში და ვესვრი შენს არსებას. ისე შევარყევ შენს სამეფოს, რომ ძირს დაგიმხობ საკურთხეველს. ჩემი ხმა გაფრინდება არსებობის კიდით-კიდემდე, გრიგალივით გადაუვლის საუკუნეებს და მე შევძახებ, რომ შენ მამა კი არ ხარ სამყაროსი, არამედ...

კონრადი უგონოდ დაეცემა ისე, რომ არ წარმოთქვამს უკანასკნელ, გადამწყვეტ სიტყვას.

ამ იმპროვიზებულ მონოლოგში მიცკევიჩი ნათლად გამოხატავს თავის რევოლუციურ სულისკვეთებას. ბიოგრაფები ამბობენ, მიცკევიჩს „პრომეთეოსის“ დაწერა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხაო. განა კონრადი პრომეთეოსი არ არის? განა ის არ იბრძვის ხალხთა ბედნიერებისათვის? სხვა რომელმა გმირმა თქვა მანამდე — მილიონებია ჩემი სახელიო? ვინ განსაზღვრა თავისი დანიშნულება — „იმღეროს სიმღერა სიხარულისა?“ კონრადი არ მოუხმობს სატანას. მას არ სჭირდება მეფისტოფელი ან ლუციფერი. ის თავის თავში ხედავს ძალას და თვითქმნის უკვდავებას. ის ხალხს ხედავს, მილიონებს, რომელთაც გზის ჩვენება უნდათ.

მიცკევიჩმა „ძიადების“ III ნაწილს შვიდი დამოუკიდებელი ლექსი დაურთო: „გზა რუსეთისაკენ“, „დედაქალაქის განაპირა უბნები“, „პეტერბურგი“, „პეტრე დიდის ძეგლი“ „აღლუმი“, „ოლეშკევიჩი“ და „მეგობრებს რუსეთში“. ეს ლექსები ე. წ. „პეტერბურგის ციკლს“ შეადგენენ და პოეტის განწყობილებას გამოხატავენ რუსეთში პირველად ჩასვლის დროს. ცნობილია, თუ როგორ აღწერს მიცკევიჩი ერ.ჟი მოსასხამის ქვეშ ხელიხელ გადახვეულ ორ მეგობარს — თავის თავს და პუშკინს, და ამით რუსი და პოლონელი ხალხების ურღვევი მეგობრობის სიმბოლოს ქმნის. რუსი ხალხისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული ლექსი „მეგობრებს რუსეთში“, რომელსაც ეხმაურება პუშკინის ცნობილი ლექსი მიცკევიჩის შესახებ — „Он среди нас жил“...

ტრაგიკულად განიცადა მიცკევიჩმა პუშკინის დაღუპვა. ფრანგულ ჟურნალ „გლობუსში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგით გამოიტირა მან თავისი სახელოვანი მეგობარი. დიდი პოლონელი პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ღრმა პატივისმცემელი იყო რუსული ლიტერატურის გენიისა.

უცხოეთში გადახვეწილი მიცკევიჩის უკანასკნელი დიდი ნაწარმოებია „პან ტადეუში". ამ პოემით საბოლოოდ გაიმარჯვა პოეტის შემოქმედებაში რეალისტურმა ტენდენციებმა. სოციალური გარემო და პერსონაჟები ხელშესახები სიცხადით აქვს ავტორს დახატული. შუღლი გორეშკოებსა და სოპლიცებს შორის, ასესორისა და ნოტარიუსის დაუსრულებელი კინკლაობა, ტადეუშისა და ზოსას რომანტიკული სიყვარული, ქსენძ რობაკის ტელიმენასა და გრაფის სახეები ისე ცოცხლად და შთამბეჭდავად არის გადმოცემული, რომ მიცკევიჩი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებლადაც პოლონეთში.

„პან ტადეუში" არ არის გაშლილი ვრცელ ისტორიულ ფონზე. მოქმედება სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ხდება თავდაპირველად ავტორს განზრახული ჰქონდა დაეწერა „სოფლური იდილია", გოეთეს „ჰერმან და დოროთეას" ყაიდაზე. მაგრამ პოემა 1831 წლის აჯანყების დამარცხების პერიოდში იწერებოდა და ბუნებრივია, რომ პოეტი არ დაკმაყოფილდა რომანტიკული სიყვარულის იდილიური სურათების გადმოცემით. ნაწარმოებში მძლავრად შეიჭრა სოციალურ-პოლიტიკური მოტივები და მთლიანად შესცვალა პოემის პირვანდელი გეგმა.

მიცკევიჩი იუმორით ხატავს ნადირობითა და წვეულებით გართულ პოლონურ შლიახტას. პოემის ყველა ეპიზოდში იგრძნობა ირონიული დამოკიდებულება შლიახტის ყოფითი ტრადიციებისადმი. პოეტი არ დასცინის ამ ტრადიციებს, მაგრამ ისე კი აღწერს, რომ მკითხველს აუცილებლად ღიმილს მოგვრის. უსაქმურების ამ ბრბოსაც გამოაცოცხლებს 1812 წლის ამბები.

ავტორს ოსტატურად აქვს გამოყენებული ძველი პოლონური წესით „თავდასხმა" სოპლიცოვზე. აღმასრულებელ ორგანოებს არ ჰქონდათ ისეთი ძალა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება უზრუნველეყოთ. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული დაიქირავებდა შეიარაღებულ ძალებს და სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელში მიუხტებოდა მოწინააღმდეგეს, რათა განაჩენი ძალით მოეყვანა სისრულეში. „პან ტადეუშში" აღწერილია გორეშკოველების „თავდასხმა" სოპლიცოვოზე სადავო ციხე-კოშკის დასაბრუნებლად. ბრძოლაში მეფის რუსეთის ჯარის ნაწილები ჩაერევა. პოლონელები სძლევენ მათ, მაგრამ შემდეგ შიშით მოელიან ახალი დიდი დამსჯელი რაზმის მოახლოებას.

დამსჯელი რაზმის მოსვლამდე პოლონელი პატრიოტები უცხოეთში გადაიხვეწებიან და ნაწარმოების უკანასკნელ, მეთორმეტე თავში კვლავ ბრუნდებიან სამშობლოში ნაპოლეონის ჯარებთან ერთად. ტადეუშიც ბრუნდება და ჯვარს იწერს თავის საყვარელ ზოსაზე. დიდი სახალხო ზეიმი გაიმართება. „გაუმარჯოს ხალხს", „გაუმარჯოს ბელადებს", „გაუმარჯოს გლეხობას" — გაისმის ლოზუნგები. ორკესტრი უკრავს მარშს — „პოლონეთი არ დაღუპულა". ტადეუში და ზოსა თავიანთ მამულებს გლეხებს ურიგებენ. ტადეუში ეუბნება ზოსას: „ჩვენ თავისუფლეფი ვართ, მაშ გლეხებსაც მივცეთ თავისუფლება, გლეხი ამ მიწაზეა დაბადებული და მისი შრომით ცხოვრობს მთელი ქვეყანა". ეს უტოპია მოკლებულია ისტორიულ სიმართლეს. ეს ის კი არ არის, რაც იყო, არამედ ის, რაც მიცკევიჩს სურდა, რომ ყოფილიყო. ეს ოცნებაა პოეტისა და არა რეალური სინამდვილე, მაგრამ ისეთი ოცნება, რომელშიც მიცკევიჩის დიდი ჰუმანიზმი ვლინდება.

ეპილოგში მიცკევიჩი ნატრობს — ნეტავი მოვესწრებოდეთ იმ დროს, როცა ეს წიგნი გადავა სოფლიდან სოფელში, ხელიდან ხელში. პოეტი ვერ მოესწრო ამ დღეს. მხოლოდ ასი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, სახალხო-დემოკრატიულ პოლონეთში აღსრულებულიყო დიდი პოლონელი პოეტის ნატვრა.

ამით დასრულდა მიცკევიჩის შემოქმედებითი ცხოვრების გზა. ამის შემდეგ კიდევ 15 წელიწადი იცხოვრა მან, მაგრამ ერთი-ორი ლექსის მეტი არ დაუწერია. მისი ცხოვრების უკანასკნელი ოციოდე წელი პოეტმა უმთავრესად პარიზში გაატარა. ის ერთ დროს რედაქტორობდა პოლონელ ემიგრანტთა გაზეთს — „ხალხთა ტრიბუნა", წერდა პუბლიცისტურ სტატიებს, ადგენდა ლეგიონერთა რაზმებს სამშობლოს გასათავისუფლებლად. ოთხი წლის განმავლობაში მიცკევიჩი პარიზის „კოლეჟ დე ფრანსეზში" კითხულობდა სლავური ლიტერატურის ისტორიის კურსს. ის მონაწილეობას იღებდა ევროპის ხალხთა რევოლუციურ მოძრაობაში და ეპოქის მოწინავე იდეების პოზიციებზე იდგა.

მაგრამ „თვალბედითი შავი ყორანი" მუდამ თან სდევდა სამშობლოდან განდევნილ პოეტს. ლექციები ჩამოართვეს, „ხალხთა ტრიბუნა" დახურეს, პოეტი ყოველმხრივ შეავიწროვეს და 1850 წელს საბოლოოდ გააგდებინეს ხელიდან კალამი. მიცკევიჩის ცხოვრების უკანასკნელი ხუთი წელი თეთრი პუნქტირებითაა აღნიშნული მისი პოეტური ცხოვრების მატიანეში.

1855 წელს 26 ნოემბერს ადამ მიცკევიჩი გარდაიცვალა თურქეთში.

მიცკევიჩის მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა პოლონელი ხალხის სულიერი კულტურის უძვირფასეს საგანძურს შეადგენს. მისი ლექსები, პოემები და სტატიები მთელ ეპოქას ქმნიან პოლონეთის ლიტერატურის ისტორიაში.

დღეს, როდესაც თავისუფალ სახალხო-დემოკრატიულ პოლონეთში მადლიერი ხალხი დიდების შარავანდედით მოსავს თავისუფლების უკვდავ მომღერალს, ადამ მიცკევიჩი გამოდის საუკუნის სიღრმიდან და ამაყად დგება თავისი ბედნიერი სამშობლოს მიერ აგებულ გრანიტის პიედესტალზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

★

# მუხრან მაჭავარიანის ლექსები

სახელგამმა გამოსცა მუხრან მაჭავარიანის ლექსების პირველი კრებული. ამ შედარებით პატარა წიგნის მიხედვით ჯერ კიდევ ძნელია საბოლოო დასკვნების გამოტანა. ყოველ შემთხვევაში, ერთი უდავოა: მასში მოთავსებული ლექსები გულგრილად არ ტოვებენ მკითხველს; ისინი ღრმად გვაფიქრებენ თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგიერთ საერთო საკითხზეც, მისი განვითარების პერსპექტივებზეც.

მ. მაჭავარიანის ლექსებთან დაკავშირებით ხშირად ლაპარაკობენ ახალ პოეტურ ფორმათა ძიების შესახებ. პირადად ჩვენ მის შემოქმედებაში უფრო მეტად გაგვახარა იმ ბედნიერმა ნიჭმა, რომელიც ტრადიციულისა და ორიგინალურის — საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულისა და ახლად აღმოცენებულის — ბუნებრივ ერთიანობაში მჟღავნდება.

ახალგაზრდა პოეტის ზოგიერთი ლექსი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მ. მაჭავარიანი ცდილობს შეითვისოს ქართული პოეზიის რეალისტური ტრადიციები.

როდესაც ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ ამქვეყნიური ცხოვრებისადმი თავშეუკავებელ ლტოლვისა და სიყვარულის გრძნობას, რომლის დიადმა ძალამ შუასაუკუნეების სუსხი ააცილა შოთას უკვდავ პოემას, რომელმაც თავისი ნათელი შუქით ქრისტიანული დიდაქტიკის ვიწრო ჩარჩოები გაარღვია გურამიშვილის ლექსში და რომლის ფესვზეც გაიხარა ვაჟა-ფშაველას პოეზიამ.

ქართული ლექსის თანამედროვე ოსტატების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთ შემოქმედებაში ახალი ძალით აალორძინეს, ახალი იდეური სიღრმე მისცეს ჩვენი პოეზიის ამ ცხოველმყოფელ ტრადიციას.

სიმბოლიზმისა და სხვა დეკადენტურ მიმდინარეობათა უდღეურობა საქართველოში, სხვათაშორის, იმითაც იყო განპირობებული, რომ მათი პოეზიისათვის დამახასიათებელ უნიადაგობისა და ცხოვრებისგან გაქცევის მოტივებს არაფერი ჰქონდათ საერთო ჩვენი ერის შინაგან პოეტურ ბუნებასთან.

ტიციან ტაბიძის ბუტაფორული პიეროები და ვალერიან გაფრინდაშვილის უსისხლხორცო ოფელიები მალე მიეცნენ დავიწყებას. მაგრამ ქართველი მკითხველისათვის ყოველთვის ახლობელი დარჩება სამხრეთის მზის მცხუნვარებით შთაგონებული „მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ!“, ისევე როგორც მშობლიურ ნიადაგში ფესვგამდგარი „წიფობელები“.

ტიციან ტაბიძის პოეზიიდან ძლიერად სცემს ქართული მიწის მძაფრი სურნელება. მისი ლექსის კედლები თითქოს ახლად მოთხრილი „აყალო მიწით“ არის ამოყვანილი, მათ ნათლად ატყვიათ სიცოცხლეში შეყვარებული, კეთილი და გამრჯე ოსტატის დაკოჟრილი ხელისგულები.

ჩვენ შემთხვევით როდი გავიხსენეთ აქ ამ შესანიშნავი ქართველი პოეტის სახელი. მუხრან მაჭავარიანის პირველ კრებულში გამოქვეყნებულ ზოგიერთ ლექსს, როგორიცაა, მაგალითად, „მდინარეს უნდა“, „ვიტყვი“, „ახლა“, „კარგი დღე“, „პუშკინი თბილისში“ და სხვა, ბევრი რამ აახლოვებს სწორედ ტ. ტაბიძის პოეზიასთან.

ჩვენ აქ ვგულისხმობთ ამა თუ იმ მოტივს არა უბრალო გადამღერებას, არამედ გარეშე, ნივთიერ სამყაროსთან პოეტური დამოკიდებულების თავისებურებათა სიახლოვეს. ეს ვლინდება თუნდაც იმ უხეშ გემოვნებაში“, რომელიც ახალგაზრდა პოეტს ნებას აძლევს გაუპრიალებლად და შეულამაზებლად შემოიტანოს თავის ლექსში ზოგიერთი „პროზაული“ საგანი.

არსებობენ ადამიანები, რომელთაც მხოლოდ სათბურებში გაზრდილი, ხელოვნურად გაკეთილშობილებული და სიმეტრიულად შეკრეჭილი მცენარეები მოსწონთ. არიან ისეთებიც, რომელთათვის მეტი ეშხი აქვს მინდვრად გაზრდილ ველურ ყვავილებს; ისინი მიწიან-ფესვიანად ჰგლეჯენ ამ ყვავილებს და ისე შემოაქვთ თავიანთ ბინაში.

მუხრან მაჭავარიანი, როგორც პოეტი, ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის. მის ლექსებში ლაღად სუნთქავს თოთო „ბალახის გულუბრყვილობა“, მინდვრის ლორთქო სამყურება, მზით შერუჯული ხვართქლა და ღიღილო. მისი პოეზიის ლირიკულ გმირს ფართოდ აქვს გაშლილი მკლავები და თითქოს მთელი დედამიწის გულში ჩახუტება მოუნდომებია. დიდი ექსპრესიით არის გამოხატული მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში ახალგაზრდული მისწრაფება ყოველივე „მიწიერისადმი“. რაღაც საოცარი სიხარბით და თავდავიწყებით ეწაფება იგი ყველაფერს, რაც კი სიცოცხლის დაღით აღბეჭდილა.

ახალგაზრდა პოეტის ამ სულიერ განწყობილებას ღრმად შეესატყვისება მის ლექსებში რამდენიმეჯერ განმეორებული პოეტური სახე

გაზაფხულზე ადიდებული მდინარისა, რომელიც თავის კალაპოტში ველარ ეტევა და მწვანე ნაპირებზე გადმოსვლას ლამობს:

ასეთ სიხარულს
ასეთ სიტკბოს განიცდის ალბად
ოდეს ნაპირებს გადმოლახავს მდინარე
ზათქით
და...
დედამიწას თავისუფლად განეფინება.

უხვი და მკაფიო საღებავებით ხატავს პოეტი ჩვენი ქვეყნის ფერმდიდარ ბუნებას. მის მიერ შექმნილი ზემოიმერული პეიზაჟები თვალს იტაცებენ თავისი შთაგონებული რეალიზმით. აქ ჩვენ ხშირად ვგრძნობთ იმ ხალისიან იუმორსაც, რომელიც ასე ღრმად არის გამჯდარი ამ ლამაზი კუთხის მკვიდრთა თავისებურ ხასიათში.

დიდი პოეტური დამაჯერებლობით არის გაცოცხლებული ბუნების სურათი მუხრან მაჭავარიანის მართლაც ბარაქიან „შემოდგომაში“:

— თავს უშველეთო!“ — იჭექა ვერხვმა
და...
რაც კი იყო იმჟამად ხილი
უნაბი,
კომში,
ატამი,
ლეღვი, —
ყველამ ბეღლისკენ იბრუნა პირი

. . . .
ღრუბლებმა დაფარეს ცის ლურჯი
კამარა
ურმებმა ამოავსეს შარა...
წელზე შემოირტყა სასწრაფოდ ქამარი
ყანიდან გაიქცა ჩალა.

. . . .
ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის
კვამლი...
წიწილებივით გაფანტვია ძეწნას
ფოთლები...

ბუნების ასეთივე უშუალო, ასეთივე „ხორციელი“ განცდა იგრძნობა მზიანი შუადღის მგზნებარებით ნაკარნახევ სტრიქონებში:

დაჰქროლა ქარმა — შეატოკა მხარბეჭი
მუხამ,
ძუძუებივით ზვინებს მზეზე აფიცხებს
კალო.

ეს ჯანმრთელი და ხალისიანი გრძნობა დედამიწისადმი სიყვარულისა უმთავრეს შემთხვევებში ბუნებრივად და დამაჯერებლად არის გადმოცემული მ. მაჭავარიანის პოეზიაში. ამ გრძნობითაა გაჟღენთილი მისი საუკეთესო ლექსები და სწორედ ამიტომ ახალგაზრდა პოეტს იშვიათად ღალატობს ხმა ყველაზე მაღალი, თავდავიწყებამდე აღტაცებული სიმღერის [illegible] კი.

სამყაროს ოპტიმისტური აღქმა მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში არ შეიძლება აიხსნეს მხოლოდ მისი პირადი პოეტური ტემპერამენტის გამოვლინებით. ეს ნათელი მსოფლშეგრძნება შინაგანად გამართლებულია ჩვენი ცხოვრების, ჩვენი თანამედროვე სოციალური ყოფის ღრმა გააზრებითაც. პოეტის მასაზრდოებელია ის დიდი რწმენა თვით მიწისა და სიცოცხლის განახლებაში, რომელიც ასე ძლიერად ჟღერს ლექსიდან „თქვა ჯუღაშვილმა“:

აღელდებაო ყანა ოქროს;
ჩუხჩუხა წყაროს შეიგრძნობს ღარი;
წყლით დანაყრდება სამგორის მიწა;
ღვარი გათხრის ხვართქლას... ღიღილოს...
შენ გეკითხები,
შენ გეკითხები,
შენ გეკითხები
ერთი მითხარი:
ქართველსა გულმა როგორ გამიძლოს
ოდეს მშვენებ შენი ვიხილო,
რომ გულიანად არ გავიღიმო
რომ გულიანად არ მოვილხინო!

მუხრან მაჭავარიანი კარგად გრძნობს დღევანდელი დღის მძლავრ მაჯისცემას. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იმედიანი განწყობილება, მისი ლექსის დინამიკური რიტმი თავის ობიექტურ გამართლებას პოვებენ ჩვენი ხალხის შეუჩერებელ წინსვლასა და აღმავლობაში:

ვოლგა და დონი,
ყარაყუმი,
სამგორის ველი,
ეს დედამიწა
ეს სისხლჭარბი სიცოცხლე ჩვენი, —
კომუნიზმისთვის განწყობილა დღეს
ყველაფერი.

თანამედროვეობის ეს ღრმა განცდა უდევს საფუძვლად იმ მგზნებარე, ოპტიმისტურ ინტონაციას, რომელიც ორგანულად ჟღერს ახალგაზრდა პოეტის საუკეთესო ლექსებში.

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის მ. მაჭავარიანის მთელი შემოქმედების შესახებ. ზოგჯერ პოეტის აღტაცებულ განწყობილებას სწორედ ემოციური სიღრმე და შინაგანი გააზრება აკლია. ასეთ ლექსში ხელოვნურად ამტყდარი სიტყვების ჭექა-ქუხილი ფუჭი და უმიზნო სროლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ლექსები, სადაც ავტორი, ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის ჭეშმარიტად პოეტური და ღრმა შემეცნების ნაცვლად, თავისი ასაკისათვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელ, ხელოვნუ-

რად გაპოეტურებულ „გულუბრყვილობას“ გვთავაზობს. აქ ოპტიმიზმი თავის აზრობრივ გამართლებასაც კარგავს და ცხოვრებისადმი ზერელე დამოკიდებულებაში, ობიექტური სამყაროს ზედმეტად მარტივ აღქმაში გადადის.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ზოგჯერ პოეზიაში აუცილებელიც არის ერთგვარი „გულუბრყვილო უშუალობა“. იგი შესაძლებლობას აძლევს პოეტს, ისევე როგორც პატარა ბავშვს, თავიდან აღმოაჩინოს და მთელი სისრულით განიცადოს ზოგიერთი ისეთი მოვლენა ან საგანი, რომელთაც სხვა, „ნორმალურ“ ადამიანთა შეჩვეული მხედველობა უკვე ველარ ამჩნევს.

ამის შესანიშნავი მაგალითის მოყვანა შეიძლება თვით მ. მაჭავარიანის პოეზიიდან:

დავდივარ... დადიან...
ეს ბედნიერება, —
ეს ბედნიერება არაა განა?!
ადამიანები მიდიან, მოდიან...
ხეები, —
დგანან და დგანან...

მაგრამ არსებობს საზღვრები, რომლის იქით ეს უშუალობა თავის სიმშვენიერეს კარგავს და მხოლოდ პოეტური აზროვნების სიმარტივეს, ზოგჯერ კი უსუსურობას მოწმობს.

მ. მაჭავარიანის ზოგიერთი ლექსი ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ პოეტი ამ სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. აი თუნდაც ზემოთმოყვანილი ლექსის დასასრული:

— აი მე თვალები!..
— აი მე ხელები!
— რა ბედნიერი ვარ... არა?!
— აი შენ ხელები!..
— აი შენ თვალები
რა ბედნიერი ხარ... იცი?!

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს, სხვათაშორის, ორიგინალურიც კი არ არის. ასე წერდნენ ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ ფრანგი დადაისტები, რომელთათვის „ჭეშმარიტად პოეტური“ იყო მხოლოდ თოთო ბავშვისათვის დამახასიათებელი, პრიმიტიული აზროვნება.

პოეტური იდეის ხელოვნური გამარტივება თავს იჩენს მ. მაჭავარიანის ზოგიერთ ისეთ ლექსშიაც სადაც პოეტი ეხმაურება ჩვენი დროის დიდ და სერიოზულ საკითხებს.

აი, მაგალითად, რას ურჩევს პოეტი ამერიკელ მუშას:

— დაარქვი ბროდვეის ლენინის ქუჩა
— ძნელია?!
— არ არის შიმშილზე ძნელი!
— დაარქვი, თუ გინდა იცხოვრო კაცურად,
— დანაყრდე, გამართო წელი!

ასევე არადამაჯერებლად, პრიმიტიულად ჟღერს ლექსში — „ლაშურის პირას“ ზედმეტად გაუბრალოებული მიმართვა:

შენ კი — ამერიკავ!
შენ
რატომ არ გინდა, —
მე და ლამარა რომ ვიყოთ ერთად.

ვისაც ეს ლექსი წაუკითხავს, ალბათ შეამჩნევდა, რა სადი გემოვნებით და, თანაც, თავისებური იუმორის გრძნობით არის დაწერილი მისი პირველი ორი სტროფი. კარგი იქნებოდა, რომ ეს გრძნობა ბოლომდე გაჰყოლოდა ავტორს.

მუხრან მაჭავარიანმა უკვე თავის პირველ ლექსებშივე შეძლო გამოევლინებინა სრულიად შეგნებული მისწრაფება ფართო მნიშვნელობის მხატვრული განზოგადებისაკენ.

სწორედ ამიტომ მოელის ჩვენი მკითხველი მაჭავარიანისაგან ამ მხრივ კიდევ უფრო ღრმა, უფრო სერიოზულ და დაფიქრებულ შრომას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მის ახალ ლექსებში პოეტური ხედვის მასშტაბების სიფართოვე თავის საფუძველს პოვებს უფრო მკვეთრად გამოვლინებულ ინტელექტუალურ სიღრმეში.

მუხრან მაჭავარიანის პირველი სამი ლექსი დაიბეჭდა 1949 წელს „პირველ სხივში“ ესენია: „კომუნიზმი“, „საბა“ და „ჭადარს ეტყვის ჭადარი“ — სამი სრულიად განსხვავებული მანერით დაწერილი, ფაქტიურად სხვადასხვა ჟანრის პოეტური ნაწარმოები.

გავიდა ექვსი წელი და დღეს, როდესაც მ. მაჭავარიანს ლექსების პირველ კრებულს ვკითხულობთ, ნათლად ვგრძნობთ, რომ მისი სახით გვყავს ნამდვილად ფართო დიაპაზონის პოეტი.

„კომუნიზმში“ მ. მაჭავარიანმა გამოამჟღავნა შესანიშნავი ორატორული მონაცემები: ძლიერი ხმა, ნათელი და სადი მსჯელობა, ინტონაციის გადამდები მღელვარება და აუდიტორიასთან უშუალო კონტაქტის გრძნობა.

ყოველივე ეს ძლიერად ვლინდება მის რამდენიმე გვიანდელ ლექსშიაც. ესენია: „ვლადიმერ ლენინი“, „ახალი წელი“, „სტალინგრადის დღე“ და „მსოფლიოს ცრემლი“.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ლექსი „ვლადიმერ ლენინი“, რომლითაც იხსნება ეს კრებული, წარმოადგენს დიდი ბელადის შესახებ დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

დიდი მხატვრული სიცხადით, ნათლად და ხელშესახებად აქვს გამოხატული ახალგაზრდა პოეტს ლენინის საქმის უკვდავება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ცხოვრებაში:

ვნახე...
მე ვნახე ვოლგა-დონის დიადი არხი,

ვნახე ველები დახეთქილი ხვატის
გიზგიზით...
ალტაცებული ვოლგა-დონით ვნახე მე
ხალხი, —
უკრაინელი,
ესტონელი,
რუსი.
ყირგიზი.
და, ვით მე —
ყველას
ღრმად გვესმის და გულწრფელად გვჯერა:
ეს დიდი არხი —
ხალხთა ძმობის ძალით შექმნილი —
აალორძინებს არა მარტო რუსეთის ველებს,
გააჩირაღდნებს არა მარტო ხარკოვს,
სტალინგრადს, —
ეს... ყარაყუმსაც აგრძნობინებს ნატრულ
სისველეს
ეს... ძლიერ შუქათ დაეფრქვევა მწვანე
ტაიგას, —
უყურადღებოდ არ დარჩება მიწა
მცირედიც...

ასეა...
რადგან არხს სახელი ჰქვია ლენინის, —
ხოლო ლენინი ყველა ერის არის იმედი!

. . . .
ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში
გამოვლენილი
არის ლენინი...
ჩვენ ყოველ დღე ხელს ვართმევთ ლენინს!

მუხრან მაჭავარიანის ზემოთდასახელებულ ლექსებში კარგად არის ნაგრძნობი ჩვენი დიდი სამშობლოს თვალუწვდენი სივრცეები, ჩვენი ჰიზნებისა და გეგმების უმაგალითო სიფართოვე, ჩვენი ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ლექსებში ხშირად ისმის ავტორის „მე", და ეს, უმეტეს შემთხვევაში, მკითხველის ყურს არ ეხამუშება:

მე როცა ვამბობ:
— გაუმარჯოს ახალ წელს! —
იმ დროს
ვხედავ: ქალაქებს,
სოფლებს, ქარხნებს,
ფაბრიკებს, მინდორს...
. . . . . . . . . . . . . .
ვხედავ: ვაჟკაცებს, ქალიშვილებს,
ვხედავ მათ დედას
საკუთარ თავს მათ შორის ვხედავ...
მე ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებ
ყველას —
ზღვაში, დაზგასთან, მაღაროში, ჰაერში,
ველად.

ახალგაზრდა პოეტისათვის დამახასიათებელი ორატორული ინტონაცია იგრძნობა ამ კრებულის ზოგიერთ ისეთ ლექსებშიც, რომლებიც უშუალოდ არ შედიან პოლიტიკური პოეზიის რკალში.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მ. მაჭავარიანის შემოქმედებაზე საბჭოთა პოეზიის იმ შესანიშნავ ტრადიციათა ნაყოფიერი გავლენის შესახებ, ტრადიციებისა, რომლებიც თავისი საწყისებით დაკავშირებული არიან ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელთან. მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ პოტენციაში, მხოლოდ ბოლომდე გამოუვლინებელ შინაგან შესაძლებლობებში უფრო იგრძნობა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პოეტის პირველი კრებული ჯერ კიდევ ღარიბია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თემებზე დაწერილი ლექსებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალგაზრდა მწერალს გულგრილად აუვლია გვერდი ზოგიერთი ისეთი საჭირბოროტო საკითხისათვის, რომლებიც ღრმად აღელვებდნენ ჩვენს ხალხს ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ეს ხარვეზი მით უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც ვითვალისწინებთ სწორედ იმ შემოქმედებითს შესაძლებლობებს, რომელთა შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით. გარდა ამისა, ახალგაზრდა პოეტის ზოგიერთი ლექსისათვის დამახასიათებელი იუმორისტული შტრიხები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მ. მაჭავარიანს ნამდვილად აქვს სატირიკული პოეზიისათვის აუცილებელი მხატვრული მონაცემებიც.

ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მ. მაჭავარიანის მომავალ პოეტურ ნაწარმოებებში უფრო ფხიზლად და უფრო მრავალმხრივად იქნება ასახული ჩვენი თანამედროვე სოციალური ცხოვრების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი.

მუხრან მაჭავარიანის პოეტური დიაპაზონის სიფართოვე მკაფიოდ მჟღავნდება მის ღრმად ორიგინალურ ლირიკულ-ეპიკურ ლექსებში.

შეიძლება ეს სუბიექტური შთაბეჭდილებაა, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ძნელი უნდა იყოს რაიმე ლიტერატურული პარალელის გავლება ისეთი ლექსების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, „საბა" ან „ვახტანგ მეფის ნანადირევი".

„საბას" პირველი წაკითხვისას მკითხველს რაღაც გაურკვეველი მღელვარება იპყრობს. დასაწყისში ეჭვიც კი გებადება: ეკუთვნის თუ არა ეს ლექსი საერთოდ პოეზიას, იმდენად არ ჰგავს იგი არაფერს, რასაც ჩვენ ამ ცნებაში ვგულისხმობდით. ზოგიერთი ამ ლექსს ამორფულად თვლის. ნამდვილად კი, მიუხედავად ფორმის გარეგნული თავისუფლებისა, მას ზუსტი და მყარი შინაგანი არქიტექტონიკა აქვს.

საოცარი ძალით არის გაცოცხლებული აქ, ორ პატარა ეპიზოდში, არა მარტო „ხელჯოხიანი" სულხანის-საბას სახე, არამედ ჩვენი წარსულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგიკული ეპოპეაც. ეს ლექსი თანდათან იპყრობს მკითხველს, მისი ემოციური ზემოქმედება ძლიერდება სტრიქონიდან სტრიქონამდე და თავის ზენიტს აღწევს ბოლო ორ სტროფში, რომლებიც თავისი მგზნებარე პათოსით გადმოგვცემენ მთელი ლექსის დედააზრს:

ვით ეს ყმაწვილი — საქართველოც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს ისე ჰყიდიან;
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველოსო, — სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს, — ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან საბა ხელჯოხიანი;
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
— მოგწყინდა განა უნაყოფოდ ელჩო ყიალი? —
— გულს ნუ გაიტეხ! მუხა კვლავაც შეიმოსება.

მუხრან მაჭავარიანის ლირიკულ-ეპიკურ ლექსებში („საბა“, „ვახტანგ მეფის ნანადირევი“, „ბორკილი“, „მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელეხი“, „პუშკინი თბილისში“) ჩვენს ყურადღებას იპყრობს მხატვრული წარმოსახვის მკვეთრი რეალისტური მანერა.

ზემოთ უკვე აღინიშნა მ. მაჭავარიანის მისწრაფება ფართო მნიშვნელობის მხატვრული განზოგადებისაკენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის შემოქმედებაში დეტალისადმი ღრმა ყურადღებას.

აი ამისი მაგალითი:

გამხიარულდნენ ჩიტები... მოლი ჯერ კიდევ თოთოა;
ჩიტის ჭიკჭიკზე კვირტიდან გამოიხედა ფოთოლმა.

ამ სტრიქონებს კი ჩვენ უკვე ახალ სფეროში გადავყავართ. ამიტომ უნდა განვიხილოთ ახალგაზრდა პოეტის საკუთრივ ლირიკული ლექსები.

„კომუნიზმის“ მჭექარე ინტონაციასთან და „საბას“ ეპიკურ დინებასთან მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში ორგანულად არის შეხამებული ის ტკბილი და ნაზი სიმღერა, რომელიც ასე ბუნებრივად ჟღერს ლექსიდან — „ჭადარს ეტყვის ჭადარი“

გორის ციხის ახლო მდგარი
ჭადარს ეტყვის ჭადარი:
აქ რომ ბიჭი თამაშობდა
ნეტავ ეხლა სად არი?
გახსოვს, ნუთუ აღარ გახსოვს
მისი შავო მერცხალო?
ნუთუ იმას ჩვენ ვერ ვნახავთ
ვერც დღესა და ვერც ხვალო!

ასეთივე ღრმა ლირიზმი იგრძნობა ლექსში „ქუჩის ხეები“:

ო...
რა საყვარელნი არიან ხენი
ქუჩაში უხმოდ დგანან და დგანან...

ამ ლექსის კითხვის დროს ჩვენ ხშირად ვფიქრობდით მის ქვეტექსტზეც, — ეს ხომ მხოლოდ ძალიან გულკეთილ ადამიანს შეეძლო დაეწერა!

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში თავისებურად არის გააზრებული სიყვარულის თემა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „როს გაგაცილე“. აქ ყურადღებას იპყრობს პოეტის მისწრაფება — ინტიმური ჩარჩოებიდან გამოიყვანოს და რაღაც უფრო დიდი, ზოგადი მნიშვნელობა მისცეს თავის პირად, სუბიექტურ განცდას. აი ეს ლექსიც:

როს გაგაცილე...
როს გაგაცილე...
ოდეს სურნელი ჰქროდა მინდვრიდან,
რა ყურადღებით უსმენდა ფრინველთ
სამყურა მინდვრის
ლორთქო ყურცქვიტა.
როს გაგაცილე...
როს გაგაცილე...
ოდეს სურნელი ჰქროდა მინდვრიდან.
შევნიშნე —
ვიგრძენ:
დედამიწასთან მზეს განშორება როგორ უმძიმდა.

საერთოდ კი, მუხრან მაჭავარიანს, ჩვენი აზრით, არ ეხერხება „წმინდა ინტიმურ“ ენაზე ლაპარაკი. ეს თავისთავად არც ისე დიდი ცოდვაა. მაგრამ პოეტი ზოგჯერ მაინც მიმართავს ამ ენას, და სწორად ასეთ დროს, რაღაც საკვირველი კანონზომიერების ძალით, მის ლექსში თავს იჩენს ერთგვარი სიტლანქე და დაუხვეწელობა (სხვათაშორის, ეს პირველ რიგში მის „სატრფიალო ლექსებს“ ეხება და, შესაძლებელია, მათი „ექსპრომტული“ ხასიათითაც არის გამოწვეული).

მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ შედარებით სუსტ ლექსებშიაც კი ნამდვილად იგრძნობა ავტორის მისწრაფება, რაც შეიძლება ზუსტად და უშუალოდ, ყოველგვარი ტრაფარეტის გარეშე გამოხატოს ის, რასაც იგი ნამდვილად გრძნობს და განიცდის.

არსებობს აზრი, რომ მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში ადგილი აქვს ფორმალისტურ ტენდენციებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეხე-

დულება გამოწვეულია სიტყვა „ფორმალიზმის“ არა სავსებით სწორი გაგებით. ფორმალიზმი მთავარი ნიშანია მხატვრულ ნაწარმოებში იდეური, შინაარსობრივი მომენტის უგულებელყოფა, მისი შეწირვა ან, უკეთეს შემთხვევაში, დამორჩილება გარეგნული ფორმალური მომენტისადმი.

ფორმალიზმი იწყება იქ, სადაც მხატვრული ფორმა კარგავს თავის დაქვემდებარებულ ფუნქციას და თვითმიზნად იქცევა. თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ეს არ გამოხატავს საერთოდ ხელოვნებაში ფორმისადმი დიდი გულისყურის გამოჩენას. ისევე როგორც ამა თუ იმ ხელოვანის სრულ უფლებას, — გაბედულად ეძიოს ახალი საშუალებები მხატვრული ფორმის სფეროში.

მხატვრული ფორმის საკითხებს ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბჭოთა კრიტიკაში. ეს გასაგებიც არის: ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ ხშირად იგრძნობა გულგრილი დამოკიდებულება ფორმისადმი, იშვიათი არ არის რუტინისა და შაბლონის რეციდივები, რომლებიც თავის საფუძველს პოვებენ ზოგიერთებისათვის დამახასიათებელი თვითკმაყოფილებისა და ახლისადმი შიშის გრძნობაში.

ეს გარემოება, სხვათაშორის, გავლენას ახდენს ჩვენი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზეც.

ცნობილია, რომ დამწყები პოეტისათვის საერთოდ ძნელია საკუთარი ხმის გამომუშავება. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც, საკუთარი გრძნობებისა და აზრების მხატვრულად ადეკვატურ ფორმებში გამოხატვის ნაცვლად, ახალგაზრდა პოეტები ძალაუნებურად „იმორჩილებიან“ უკვე შემუშავებულ ფორმებს.

სწორედ ამ დროს ჩნდება „საშუალო ლექსი“. ასეთ ლექსში თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჩვენ ვერ ვგრძნობთ მთავარს: თვით ავტორის პოეტურ ინდივიდუალობას.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში მისასალმებელია სწორედ ის ნოვატორული „სიჯაუტე“, რომელიც მას თითქმის სავსებით ათავისუფლებს ამგვარი ცდუნებისაგან.

ის ზოგიერთი სიახლე, რაც მაჭავარიანს შეაქვს თავის ლექსში, არ წარმოადგენს წმინდა ფორმალისტური მისწრაფების ნაყოფს. პირიქით, ახალგაზრდა პოეტის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენოს ლექსის გამომსახველობითი შესაძლებლობები, რაც შეიძლება რელიეფურად და მკაფიოდ გადმოსცეს მათი საშუალებით საკუთარი პოეტური შთანაფიქრი.

მ. მაჭავარიანის თითქმის ყველა ლექსში მხატვრული ფორმის სპეციფიკა უშუალოდ დაქვემდებარებულია ლექსის შინაარსობრივ თავისებურებასთან.

ამითი აიხსნება ის რიტმული სხვადასხვაობაც, რომელსაც მ. მაჭავარიანი ხშირად მიმართავს თავის შემოქმედებაში, ზოგჯერ ერთი ლექსის ფარგლებშიც.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლექსებში — „ვლადიმერ ლენინი“ და „ახალი წელი“ კარგად არის ნაგრძნობი ჩვენი დიდი სამშობლოს თვალუწვდენი სივრცეები, ჩვენი მიზნებისა და გეგმების უმაგალითო სიფართოვე. ეს გამოხატულია თვით ლექსის გარეგან ფორმაშიც, მის „მონუმენტურ“ აგებულებაში, შეგნებულად განვრცობილ და ფართო მნიშვნელობის ცნებებით დატვირთული სტრიქონების მძლავრ და თავისუფალ დინებაში.

მ. მაჭავარიანის ლექსი „კომუნიზმი“, რომელსაც მკაფიოდ გამომჟღავნებული პროპაგანდისტული ხასიათი აქვს, თითქოს ერთი ამოსუნთქვით არის ნათქვამი.

სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსის მარტო პირველ ნაწილში ოთხჯერ იცვლება რიტმი და ოთხივეჯერ ეს გამართლებულია მხატვრული ჩანაფიქრის შინაგანი მოთხოვნილებით.

პოეტური მეტყველების ინდივიდუალური მანერა განსაკუთრებული სიძლიერით იგრძნობა მ. მაჭავარიანის ზოგიერთი ლექსის ორიგინალურ მუსიკალურ გააზრებაში. რაღაც საოცარი, ღრმად თავისებური მუსიკა ისმის ლექსიდან: „მიდის... მიდის...“:

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინ-
დი ფერად შინდი..
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის...
მიდის...
ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი
მინდი ფერად შინდი...
სჭკნება ტურფა საბალნარო... სწყდება
ზეცას მეტეორი...
— მოშაირე არა ჰქვია, თუ სადმე სთქვას
ერთი ორი!
ერთი...
ორი...

ასევე ორიგინალურად ჟღერს ლექსი „ვახტანგ მეფის ნანადირევი“, რომელშიც დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული სრბოლისა და ჰენების რიტმი.

მ. მაჭავარიანი კარგად გრძნობს ლექსის ბგერობრივ მხარესაც. ესეც, სხვათაშორის, ერთერთი საჭირბოროტო საკითხია ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში.

ლექსში და, საერთოდ, მხატვრულ ლიტერატურაში ბგერითი გამართულობის პრობლემებს დიდი ყურადღებას აპყრობდა არა მარტო ვლადიმერ მაიაკოვსკი, არამედ მაქსიმ გორკიც.

სამწუხაროდ, ბოლო დროს ჩვენს კრიტიკაში (ალბათ ზაუმური თეორიების აღორძინების შიშით) თითქმის სრულიად უგულვებელყოფილია ეს პრობლემა.

ამასვე უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ჩვენი დამწყები პოეტები ლექსზე მუშაობისას

ბიბლიოთეკა

იშვიათად ფიქრობენ ამ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

მ. მაჭავარიანის ლექსში ამა თუ იმ სტრიქონის ბგერითი შემადგენლობა გამოყენებულია არა მხოლოდ უბრალო კეთილხმოვანების მისაღწევად. აქაც, ისევე როგორც რიტმის შერჩევისას, ახალგაზრდა პოეტის მთავარი მიზანია ლექსის შინაარსობრივი თავისებურების ზუსტი გადმოცემა.

აი ამისი მაგალითი ლექსიდან: „ზღვა“

აიზნიქება ტალღა ლურჯი, უზარმაზარი...
დამუქრებული... ნაპირისკენ მოემართება...
ასკდება მიწას, დაიფშვნება
დაშოშმინდება...
და იხევს უკან!

აქ მღელვარე ზღვის სურათი გაცოცხლებულია არა მხოლოდ უბრალო და ზუსტი სიტყვებით, რომლებიც სავსებით რეალისტურად აღწერენ მას, არა მხოლოდ თავისებური, ბოლოში „მოწყვეტილი“ რიტმით, არამედ შინაგანად გამართლებული ალიტერაციითაც, რომელიც თითქოს ტალღების ზრიალით მოვარდნას და შიშინით უკანდახევას იმეორებს.

უფრო რთული ბგერითი გააზრება ახასიათებს ზემოთ ციტირებული ლექსის — „თქვა ჯულაშვილმა“ პირველ სტროფს.

აღელდებაო ყანა ოქროის;
ჩუხჩუხა წყაროს შეიგრძნობს ღარი;
წყლით დანაყრდება სამგორის მიწა
ღვარი გადათხრის ხვართქლას...
ღიღილოს...

აქ პოეტის მიზანი იყო გადმოეცა თვით დედამიწის — გვალვისაგან დამსკდარი ნიადაგის ოცნება ცხოველმყოფელ სინოტივეზე. ჩვენი აზრით ეს თავისებურად იგრძნობა ლექსის ბგერით ქსოვილშიც

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში აღსანიშნავია ერთგვარი ლექსიკური სიახლეც. მის ლექსებში ნათლად არის გამომჟღავნებული თანამედროვე სასაუბრო ენასთან მაქსიმალური დაახლოების ტენდენცია. ეს არის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა დაკისრებული აქვს ჩვენს ახალ პოეტურ თაობას. უნდა ითქვას, რომ დიდ შემოქმედებითს გამბედაობასთან ერთად ამ ამოცანის ეფექტური ვადაჭრა არანაკლებ სიფრთხილესაც მოითხოვს.

რასაკვირველია, ახალგაზრდა პოეტი თავის შემოქმედებითს ძიებებში ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან. მის ლექსში ჯერ კიდევ ბევრი რამ დასახვეწი და გასაშალაშინებელია. ზოგჯერ პოეტი ბოლომდე ვერ იმორჩილებს ფორმას. მაგრამ ყოველივე ეს არ გვაძლევს უფლებას ეჭვი შევიტანოთ მ. მაჭავარიანის მიერ ახალი მხატვრული ხერხებისა და საშუალებების ძიების ნაყოფიერებაში.

მუხრან მაჭავარიანის პირველი წიგნის კითხვის დროს ჩვენს ყურადღებას იპყრობდა არა მხოლოდ ის, რაც მასში უშუალოდ არის მოცემული. ახალგაზრდა პოეტის ლექსებთან გაცნობამ დაგვარწმუნა ჯერ კიდევ განუხორციელებელი მიზნებისა და ამოცანების არსებობაშიც. გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმ დიდ გზაზე, რომლის ბოლომდე განვლა შეუძლიათ მხოლოდ თავის საქმეში შეყვარებულ, საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს.

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარიამ გარიყულის მოგონებები

★

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მწერალი ქალის მარიამ გარიყულის მოთხრობებს, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი მოგონებები „განვლილი გზა“. ეს წიგნი გვიხატავს არა მარტო თვით ავტორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არამედ იმ ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელიც იღწვოდა სასცენო და სამწერლო ასპარეზზე მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მოგონებათა ფურცლებზე გამოაჩინა და გაიხსენა ისეთ უჩინარ მოღვაწეთა სახელები, რომლებმაც ცარიზმის დროს, მეტად მძიმე პირობებში, უანგარო შრომით თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის კულტურის წინსვლა-განვითარებაში.

თუ ქრონოლოგიურად მივყვებით მოგონებათა ფურცლებს, პირველ ყოვლისა, მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ის მძიმე ხანა, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი, ორმაგი უღლის ქვეშ მოქცეული, სიღარიბეში და ჩაგვრაში ატარებდა წუთისოფელს.

მეტად საგულისხმო ამბებსა და ეპიზოდებს გადმოგვცემს ავტორი თავისი ბავშვობის დროიდან. მომავალი მწერალი ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული სოფელთან, სადაც პირველად დაინახა და იგრძნო სოციალური უთახასწორობის სუსხი. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ „განვლილი გზა“ მდიდარია იმდროინდელი ცხოვრების ისეთი ეპიზოდებით, რომლებიც გვიხატავენ ამ სოციალური უსამართლობის სურათებს.

ჯიხაიშელი თავადის ბექან ჩხეიძისა და მწერლის დიდედის ელენე გუბელაძის პატარა ამბავი, რომელიც მწერალს მეხსიერებაში ჩარჩენია და დღესაც არ დავიწყებია, თვალსაჩინოხდის უმიწაწყლობით გამოტანჯული გლეხობისა და გაღატაკებული აზნაურების მდგომარეობას.

ბექან ჩხეიძის მეველეს დაუჭერია გუბელაძის ძროხა. როდესაც თავადს ძროხის გამოსახსნელად მანეთი მოუთხოვია, გუბელაძეს ეს ვერ შეუსრულებია. თავადს ძროხა არ დაუბრუნებია, მკაცრად მიუმართავს: „საქონელს უნდა გაუფრთხილდე, სხვის ყანაში არ უნდა შეუშვა!“

მოთმინებიდან გამოსულ ქალს გაბედულად უპასუხია: „დალოცვილო, რაც ქვეყანაზე მიწაა, შენ გადაჯდომიხარ ზედ, ყველაფერი შენია და მე თავზე ხომ არ დავისვამ ძროხას?!“

მწერალი ქალი მისი ბაბუის როსტომ ლეჟავას ოჯახში იზრდებოდა. როსტომი აზნაური ყოფილა, მაგრამ იმდენად ღარიბი, რომ გორში ჩამოსულა და მემამულის მებაღესთან მიწის მუშად დამდგარა. ბაბუას კარ-ძიდამო პატარა მარიამს მთელ სამყაროდ ეჩვენებოდა. აქ გაატარა მან თავისი ბავშვობა, რომელიც აღსავსეა შთაბეჭდილებებით. მწერალი ქალი აღგვ...ერს თავად-აზნაურთა უმრავლესობის უსაქმურ, ფუქსავატ ცხოვრებას, იმდროინდელი ახალგაზრდობის მდგომარეობას. მოგონებებში საერთოდ ნათლად მოჩანს მაშინდელი სოფლის ყოფა-ცხოვრება და ადათ-ჩვეულებები თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით. აქ ვეცნობით როგორ დაეწაფა მომავალი მწერალი ილიას, აკაკის, ვაჟასა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, როგორ აღუნთეს ქართველმა კლასიკოსებმა მას პატრიოტული სული. აი, რას წერს იგი ქართველი მწერლების შესახებ: „ჩემს გონებას არ შორდებოდა ორ ბანაკად გაყოფილი ყაზბეგის გმირები. ერთ მხარეზე იდგნენ: ნუნუ, მაყვალა, მზალო, ციკო, ელისო, განკიცხული მარი, იაგო, კობა, ვაჟია, ონისე, ელგუჯა, მოძღვარი, გლახა (ნუნუს მამა) და მრავალი სხვა. მეორე მხარეზე დარაზმული იყვნენ „ნაჩალნიკები“, დიამბეგები, ჩაფრები და კაზაკები. გრიგოლა, გელა, გაგი ჩოფიკაშვილი, სინდისისა და მთიელთა ზნეობის უარმყოფი პირები. თუ პირველნი მეცოდებოდნენ, მათი ბედი მტანჯავდა, მეორენი მძულდნენ და მზად ვიყავი, თუ კი სადმე მიუწვდებოდა ფრჩხილებით დამეკაწრა მათი სახე... ჩემში ჩვენი დიდი აკაკის მიერ გაღვივებული პატრიოტული გრძნობა ყაზბეგმა კიდევ უფრო გააღვივა და ცოცხლად ააგიზგიზა. მიყვარდა მეფის მოხელეებისაგან დაჩაგრული ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა, ჩემი სამშობლო, მიყვარდა იმდენად,

მ. გარიყული. განვლილი გზა. სახელგამი. 1954.

რამდენადაც დაეტეოდა ჩემს პატარა გულში. ბევრმა დრომ განვლო მას შემდეგ. ბევრის მოწმე ვარ. დავბერდი კიდეც, მაგრამ ყრმობის დროს მიღებული შთაბეჭდილება წარუშლელი დამრჩა".

მოგონებებში ვეცნობით მარიამის პირველ ნაბიჯებს შემოქმედების გზაზე, ჯერ სცენაზე და შემდეგ მწერლობაში.

ერთხელ მამამ მარიამი თეატრში წაიყვანა. ნახა დავით ერისთავის „სამშობლო", შემდეგ ვალერიან გუნიას „და-ძმა". მან აქ შეიგნო, რას ნიშნავდა პირადი განდიდების მიზნით სამშობლოს ღალატი და ძმათა გაცემა. შემდეგ ნახა გუცკოვის „ურიელ აკოსტა". ახალგაზრდა ქალიშვილი ისე მოაჯადოვა სცენამ, რომ გადაწყვიტა მსახიობი გამხდარიყო. მარიამი ვასილ ბალანჩივაძეს ეახლა და სთხოვა თეატრში მოწყობის საქმეში დახმარება აღმოეჩინა მისთვის. თეატრში იგი დაუახლოვდა ლადო მესხიშვილს. მარიამი 2½ წელი მოღვაწეობდა თეატრში. 1903 წელს იგი ტოვებს თეატრს. მ. გარიყული თავის მოგონებებში გვიხატავს მაშინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასაც. იგი თეატრებში, წიგნის გავრცელებისა თუ ჟურნალში მუშაობასთან დაკავშირებით, რევოლუციური მოძრაობის ზოგად სურათს წარმოგვიდგენს. როცა ამ წიგნს კითხულობთ, გავიწყდებათ, რომ ეს ერთი ადამიანის განვლილი გზაა, მასში მთელი ეპოქაა მოცემული.

მარიამ გარიყული „განვლილი გზით" ერთხელ კიდევ მივიდა მკითხველთან და თავისი ნაწარმოებების შინაარსი ხელახლა გაახსენა. ესაა მოთხრობები: „ცხოვრების მსხვერპლი", „უბედური ოჯახი", „ჩვეულებრივი ამბავი", „სოფლის მსუნაგები", „ჩინოვნიკი", „ბორკილი", „ხარდაფი", „კესო", „საიდუმლო", „სამაგიერო", „შიმშილობა საქართველოში", „ვისი ბრალია", „დონა", „უსინათლო ალექსი", „ამოდით მაღლა", „ცოლ-ქმარი", „ჩვენი შაქრო", „ტატე", „თამრო"; რომანები: „ანარეკლი" და „გარღვეული მიჯნა", აგრეთვე სამამულო ომის დროინდელი ნაწარმოებები: „შემთხვევა", „დედა", „დურგალი მიხეილი", „ტრაქტორისტები" და სხვ.

მარიამ გარიყული მდიდარ მასალას იძლევა ქართული თეატრის მაშინდელი მდგომარეობის შესახებ. გვაცნობს ავჭალის ქუჩაზე არსებულ ქართულ სახალხო თეატრს, სადაც იმართებოდა ქართულ-რუსული სახალხო წარმოდგენები, ოპერა და ოპერეტები, აქ მარიამს გაუცვნია კოტე მაჩაბელი?, ჯუღელი, თუმანიშვილი, საშა კაჩაური, გიორგი ჯაბაური, დათიკო შველიძე, ნიკო გოცირიძე, დები ლომაურები, თამარ ქუჩიკაშვილი და თეატრის სხვა მუშაკები. ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნიას და ქართული თეატრის სხვა კორიფეების მიერ განსახიერებულ როლებს მარიამის გულში შემოქმედებითი ცეცხლი დაუნთია. იგი იგონებს ნატალია და ავქსენტი ცაგარლებს და, ბოლოს, ამ თეატრში მოსულთ: შალვა შარაშიძეს, ანეტა ქიქოძეს, ილია ზურაბიშვილს და სხვებს. ავტორი გვაცნობს ქველმოქმედი ზუბალაშვილის მიერ აგებულ სახალხო სახლში შექმნილ თეატრის ისტორიას. სახალხო სახლში იდგმებოდა გოგოლის „რევიზორი", ოსტროვსკის კომედიები, შილერის ტრაგედიები, პიესები — „მეზობლები", „შეშლილნი", „საბედისწერო დამბაჩა". ავტორი იროდიონ ევდოშვილის შესახებ გვაწვდის ცნობებს, რომლებიც დღემდე უცნობი იყო. იროდიონ ევდოშვილს სახალხო თეატრის მარჯვენა ხელად თვლიდნენ. ის ყველაფერს აკეთებდა: „დურგლობდა, ზოგ შემთხვევაში კიდეც მხატვრობდა და დეკორაციებს ხატავდა. მსახიობიც ხომ ჩინებული იყო... სამწერლო მუშაობასაც ეწეოდა. გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მისი ლექსები. მაშინ პატარა კრებულიც ქონდა გამოცემული". ევდოშვილი ნახევრად მიწურ სახლში ცხოვრობდა. ეს იყო ცხრაასიან წლებში.

მოახლოებული რევოლუცია თეატრსაც შეეხო, „1903-1904 წლებში იმდენად წავიდა ცხოვრება წინ, იმდენად გარდაქმნა მუშები ახალგაზრდა სტალინმა, რომ არსებითად შესცვალა მათი შეხედულება ცხოვრებაზე. ამ დროს მუშა უკვე თეატრს ეწაფებოდა, არ ენანებოდა მას ბილეთში მიეცა ორი აბაზი და თან ოჯახის წევრებიც წაეყვანა. ანტრაქტების დროს ფოიეს ერთ კუთხეში იყრიდნენ თავს, სადაც გასაყიდი წიგნები ეწყო.

კრებაზე ხშირად ახსენებდნენ მაშინ ჩემთვის უცნობ კობას, „კობამ ასე თქვა", „კობა ამ აზრის არისო", მაგრამ არ იქნა და ვერ შევხვდი", — გულის ტკივილით დასძენს მარიამი.

1905 წლიდან მარიამი იწყებს მოთხრობების წერას.

მარიამი დიდ შრომას ეწეოდა, ბევრს კითხულობდა და ცოტას წერდა, მას ჩვეულებად ჰქონდა იმ ნაწარმოების გადაწერა, რომელიც მოეწონებოდა. ავტორი ეხება საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ისტორიასაც, როდესაც ეს კავშირი პირველად „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების" სახით არსებობდა და რომლის თავმჯდომარე იყო გიგო რცხილაძე. მ. გარიყული ჩქარა გაეცნო თანამედროვე მწერლებს. მას კარგად ახსოვს ერთადერთი შეხვედრა აკაკი წერეთელთან, ეს იყო 1909 წლის დასაწყისში. ის-ის იყო კრებიდან სახლში მიემგზავრებოდა მარიამი, რომ კიტა აბაშიძის ხმა მოესმა. კიტა სანდრო შანშიაშვილს მიმართავდა, აკაკი გთხოვთო. მ. გარიყულს უნებლიეთ ჩაულაპარაკებია:

„ — ნეტავი შენ!"

კიტა შემობრუნდა.

— „როგორ თქვენ არ იცნობთ აკაკის?" — მკითხა გაკვირვებით.

— არა, არ ვიცნობ, — ვუპასუხე გულდაწყვეტილად. კიტამ უცბად წამავლო ხელი მკლავში, ბავშვივით წამაჩაქჩაქა, მიმიყვანა აკაკისთან და მოახსენა.

— ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტი ქალი მარიამ გარიყული!

აკაკიმ ხელი ჩამომართვა, გაიღიმა და მითხრა:

— რამ გაგრიყა, ქალო! ასე ახალგაზრდა და გარიყული? მე ხნიერი მეგონე... გარიყული, განდეგილი... — ჩამოთვალა, თითები შეათამაშა, თითქოს გულისწყრომა გამოთქვა, ახირებული ფსევდონიმის გამო".

გარიყული მოხდენილად აგვიწერს ეკატერინე გაბაშვილის, ნინო ნაკაშიძის, დიმიტრი ყიფიანის, ანა ხახუტაშვილის, ლევან მეტრეველის, ილია ზურაბიშვილის, კოტე მაყაშვილის, შიო მღვიმელის, რაჟდენ გვეტაძისა და სხვათა მოღვაწეობას.

წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლი, რომელთაგანაც ზოგს შევეხებით. მოგონების ავტორი წერს: „სანამ სოლომონი ჭიათურის მრეწველი გახდებოდა სალომესთან უნახავს დედა ჩემი ლექსად მიუწერია ბარათი — ... დედას ამ ლექსზე პასუხი არ გაუცია და როდესაც მეორედ მიუღია წერილი გაუხსნელად უკან დაუბრუნებია" (გვ. 12). ლაპარაკია სოლომონ წერეთელზე, რომელმაც შემდეგ მაჭანკალი გაუგზავნა როსტომ ლეჟავას და ქალი სთხოვა. ვფიქრობ, როგორც ლექსი, აგრეთვე ეს სტრიქონებიც წიგნს არათურამეს მატებს, ჩრდილსაც აყენებს.

გვხვდება განმეორებებიც. 167-ე გვერდზე ავტორი წერს: „ჩემი და, ლუბა, რომელიც ისედაც მელანქოლიური განწყობილების ადამიანი იყო... მკვდარ დედას წერდა წერილებს და უთვლიდა: მეც მალე მოვალ შენთან, მართლაც, 1906 წელს 6 იანვარს ჯულფაში მოიკლა თავი, სადაც ექიმის თანაშემწედ იყო მისი ქმარი გამწესებული და ისიც თან ახლდა". 176-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: ამ ამბავმა თავზარი დამცა და შეძრწუნებული ვიყავი. საქვეყნო მწუხარებას დაერთო ჩემი პირადი განსაცდელი. — ჩემს დას ჯულფაში თავი მოეკლა". 179-ე გვერდზე სწერია: „ერთ საღამოს მოვიდა დედასთან ვილაც ახალგაზრდა ვაჟი და ეკითხა თათეიშვილის ქალი სად არისო. ჩვენებმა სახლში შემოიპატიჟეს — ზარდალოვი გახლავართ მითხრა მან". ზარდალოვი წიგნის სხვა გვერდებზე (120-132 და სხვ.) მოხსენებულია ზარდალიშვილად და სხვ.

ავტორიც გრძნობს ერთგვარ უხერხულობას და წერს: „ვფიქრობ, სანამ ამ წიგნს დავამთავრებდე, ათჯერ მაინც მომიწევს მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდა. სამოცი წლის ამბავი არის. განა შეიძლება თანმიმდევრობით გაიხსენოს კაცმა თავგადასავალი? (გვ. 177). სხვაგან კი ვკითხულობთ: „კიდევ ბოდიში მკითხველებთან, რომ ცოტა უკან უნდა დავიხიო და ჩემი ცხოვრების ზოგიერთ ამბავს შევეხო" (გვ. 188); „ისევ უკან ვიხედები, იმდენი მოგონებაა, მენანება—გვერდი ავუხვიო" (გვ. 195);

„ერთი ნაბიჯით კიდევ მიხდება უკან დახევა" (გვ. 209).

ცხადია, ავტორს ბოდიშის მოხდა არ დასჭირდებოდა, წიგნის რედაქტორს რომ ემუშავა ავტორთან ერთად. მაშინ წიგნი კომპოზიციურად შეიკვრებოდა და აღარც ასეთი გამოთქმები შეგვხვდებოდა: „პირველი ანი და ბანი სოფ. გუბში გავიკვეთე ილიკო ღოღობერიძისაგან" (გვ. 26); „ამაზე გამწარებულმა მურმანმა, მათ შუა გაითხარა თურმე საფლავი და შუაში ჩაეკვეტა..." (გვ. 29); „ბებიასთან მივძვრებოდი, მის მუხლთან ჩავეკვეტებოდი" (გვ. 45); „მე იმისთვის აღარ მიმიხედავს, დერეფანში გავვარდი, კიბეები ავირბინე, ჩემს კლასში თავი შევყავი და მერხში ჩავძვერი" (გვ. 60); „თურმე რაჟდენიც მათში ერია და შემდეგ, როდესაც უკვე ვაჟკაცი გავიცანი, როცა საქმემ დაგვაახლოვა, ისეთი გაცხოველებით ილაპარაკებდა წარსულზე, თითქოს გუშინ ყოფილიყო" (გვ. 287), და სხვ. ასეთი გაუმართავი წინადადებების თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, მარიამ გარიყულის მოგონებანი სარგებლობას მოუტანს ჩვენი ახლო წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესებულ მკითხველს.

**დავით კომახიძე**

## ნარკვევები საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ

ორმოცდაათი წლის წინათ რუსეთის მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მძლავრი რევოლუციური ბრძოლა გააჩაღა ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ. 1905 — 1907 წლების რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია იყო, რომელმაც მძლავრი დარტყმა აგემა მეფის თვითმპყრობელურ წყობილებას და ახალი ფურცელი გადაშალა მსოფლიო ისტორიაში, — მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციურ მოძრაობას ევროპასა და აზიაში.

1905 — 1907 წლების რევოლუციამ პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა მრავალმილიონიანი რუსეთის მილიონობით მუშა და გლეხი,

**გ. ხაჭაპურიძე. 1905 — 1907 წლების რევოლუცია საქართველოში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955 წ.**

სეოიოზული გაკვეთილი მისცა მშრომელთა მასებს და ბრწყინვალედ შეასრულა „გენერალური რეპეტიციის“ როლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარებისათვის, „გენერალური რეპეტიციისა“, რომლის გარეშე, როგორც მიუთითებდა ვ. ლენინი, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

ვ. ლენინი უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა 1905 — 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის ყოველმხრივ და ღრმად შესწავლას: „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი 1907 წ, — და ჩვენს გარდა არავინ იზრუნებს, — იმაზე, რათა ხალხი იცნობდეს ამ სიცოცხლით სავსე, შინაარსით მდიდარ და თავისი მნიშვნელობით და შედეგებით დიად დღეებს ბევრად უფრო დაწვრილებით, დეტალურად და საფუძვლიანად“... (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 13, გვ. 33).

გენიალური ლენინის ეს მითითება რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიის მეცნიერული დამუშავებისა, მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებათა განზოგადების შესახებ პასუხსაგებ და საპატიო ამოცანას აყენებს ამ პერიოდის მკვლევარ საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე, რომლებმაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს 1905 — 1907 წლების რევოლუციის მეცნიერული ისტორიის შექმნის საქმეში.

სარეცენზიო წიგნი ეხება რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციას, კერძოდ, ამ პერიოდში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის სახელოვან რევოლუციურ ბრძოლებს.

საქართველოს პროლეტარიატი და გლეხობა, რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გავლენით აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ქართველი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, რევოლუციური მოძრაობის ფართო გაქანებას, ხაზს უსვამდა პროლეტარული ბრძოლის მასობრივ ხასიათს და ქმედით დახმარებას უწევდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის საქმეში.

პროფ. გ. ხაჭაპურიძის შრომა საარქივო მასალებზე დაყრდნობით სწორ სურათს იძლევა საქართველოში მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის შესახებ, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დეკემბერში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.

შრომის ღირსებას წარმოადგენს საქართველოში 1905 — 1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ობიექტური წინამძღვრების თანამიმდევრული, მეცნიერული გაშუქება. რევოლუციის ობიექტური წინამძღვრების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა ღრმად გავიგოთ რევოლუციის ხასიათი, მისი ბრძოლის პროლეტარული ფორმა და განვითარების მძლავრი ტემპი. ავტორი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ნათლად გვიჩვენებს, რომ მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ისე როგორც მთელს რუსეთში, „საწარმოო ძალთა შემდგომი ზრდა შეუძლებელი იყო ისე, თუ არ მოისპობოდა ეკონომიკაში არსებული ძირითადი წინააღმდეგობა“ (გვ. 28), ე. ი. თუ რევოლუცია არ გადაჭრიდა წინააღმდეგობას საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში განსაკუთრებით სწრაფად წავიდა წინ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. შრომაში მოტანილია საინტერესო და დამაჯერებელი სტატისტიკური მონაცემები მრეწველობის, ტრანსპორტის, სამიმოსვლო გზების, სახლვაო ნაოსნობის, მადნეულის მოპოვებისა და დამუშავების გადიდების შესახებ და სხვ. 60-იან წლებში თბილისში იხსნება საფეიქრო ფაბრიკა, გაუმჯობესებული მანქანებით გამართული თუჯსასხმელი და მექანიკური ქარხნები, ხოლო 1898 წელს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ოფიციალური ცნობებით, უკვე 4401 ფაბრიკა და ქარხანა არსებობდა. კაპიტალიზმი მტკიცედ იკიდებდა ფეხს სოფლის მეურნეობაშიც.

რუსეთის რევოლუციის ბედი დამოკიდებული იყო იმაზე, შეასრულებდა თუ არა გლეხობა პროლეტარიატის რევოლუციური მოკავშირის როლს. რევოლუციაში გლეხობის აქტიურ მონაწილეობას თავისი საფუძველი ჰქონდა. ეს იყო ძირითადად ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების არსებობა სოფლად და მემამულური მიწათმფლობელობა. შრომაში კონკრეტული მონაცემების მაგალითზე ნაჩვენებია, რომ საქართველოში სოფლად საუკეთესო მიწების დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდათ მემამულეებს, მონასტრებს, ეკლესიებს და სხვ. თბილისის გუბერნიაში მარტო მემამულეებს მთელი მიწების 68,11% ეჭირათ, მაშინ როდესაც გლეხთა დიდი უმრავლესობა 1 ჰექტარზე მეტ მიწას არ ფლობდა. უმიწობას ზედ ერთვოდა გადასახადების მძიმე ტვირთი. სოფლად კაპიტალიზმის შეჭრამ და გლეხთა აუტანელი მდგომარეობის გამწვავებამ გამოიწვია ის რომ მე-20 საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს სოფლებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა, ერთი მხრით, გლეხებსა და მემამულეებს შორის, მეორე მხრით, გლეხობის ძირითად მასისა და კულაკობის შორის. კაპიტალიზმის განვითარებისდაკვალად ძლიერდებოდა მუშათა კლასის ექსპლოატაციაც, რაც კარგად არის გაშუქებული შრომაში.

კაპიტალიზმის განვითარებისა და მუშათა მოძრაობის ზრდასთან ერთად მზადდებოდა ნიადაგი საქართველოში მარქსიზმის გავრცელები-

სათვის, ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმოშობისათვის.

შრომაში ნაჩვენებია ი. სტალინის, აგრეთვე ლ. კეცხოველის, ს. წულუკიძისა და სხვათა დაუღალავი ბრძოლა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ახალი ტიპის პარტიის — მარქსისტული პარტიის — შექმნისათვის, გაზეთ „ისკრისა“ და „ბრძოლის“ როლი ამ საქმეში.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და ლენინიზმის გარშემო მასების დარაზმვის საქმეში დიდი როლი შეასრულა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობდა. ებრძოდა რა მენშევიზმს, „კავკასიის კავშირის კომიტეტმა მოუწოდა რსდმპ ყველა კომიტეტს დარაზმულიყო ლენინის გარშემო. იგი მკაცრად გმობდა მენშევიკურ „ისკრას“, მოითხოვდა ცენტრალური კომიტეტისაგან, არაფერი არ დაეთმოთ მენშევიკებისათვის და დაუყოვნებლივ დაეწყოთ III პარტიული ყრილობის მოწვევის მზადება“ (გვ. 42).

900-იანი წლების დასაწყისში რუსეთში სწრაფად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. პროლეტარიატი ეკონომიური გაფიცვებიდან პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე გადადის. მუშათა მოძრაობა სოფელზე გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენდა. ავტორი მიმოიხილავს 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდის გლეხთა მოძრაობას, ვრცლად ეხება გურიას, სადაც ყველაზე ძლიერი იყო ამ დროის გლეხთა მოძრაობა, იქ ადგილი ჰქონდა გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს, დემონსტრაციებს და სხვ. გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა რსდმპ-ის გურიის კომიტეტი.

რსდმპ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით ფართო მუშაობა გაშალეს საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს შორის. თბილისში შეიქმნა ავლაბრის არალეგალური სტამბა, ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის საუცხოო ნიმუში, რომელიც სხვადასხვა ენაზე ბეჭდავდა ბოლშევიკურ გაზეთებსა და მარქსისტულ ლიტერატურას.

9 იანვრის ამბებით დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია: „სისხლიანმა კვირამ“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოშიც. ყველგან მოედო პოლიტიკური გაფიცვები, დემონსტრაციები; ქალაქად იქმნებოდა მუშათა მებრძოლი რაზმები, ხოლო სოფლად — წითელი რაზმები. ბოლშევიკების პარტია ენერგიულად ამზადებდა რევოლუციურ მასებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. პროფ. გ. ხაჭაპურიძე გვიჩვენებს, რომ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმდინარეობდა რუსეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის ზეგავლენითა და ხელმძღვანელობით.

პროფ. გ. ხაჭაპურიძე დაწვრილებით აღწერს დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ამბებს საქართველოში. მოსკოვის აჯანყებამ 1905 წლის დეკემბერში ბიძგი მისცა საქართველოს მშრომელთა შეტევაზე გადასვლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თბილისში შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი. ასევე „საგაფიცვო კომიტეტები წარმოიშვა ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, ქუთაისში, სოხუმში, მიხაილოვოში (ხაშური), ბორჯომსა და სამტრედიაში. რევოლუციური მოძრაობის განვითარების მსვლელობაში ეს კომიტეტები გადაიქცნენ შეიარაღებული აჯანყების რევოლუციურ ორგანოებად“ (გვ. 129). შეიარაღებული აჯანყების უშუალო ხელმძღვანელი ყველგან ბოლშევიკების პარტია იყო.

1905 — 1907 წლის რევოლუცია დამარცხებით დამთავრდა. რუსეთის პირველ რევოლუციაში მუშათა კლასის დამარცხება გამოწვეული იყო იმით, რომ მუშები ჯერ კიდევ ვერ მოქმედებდნენ შეთანხმებულად. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება რუსეთში ვერ გადაიქცა ერთდროულ, ერთიან გამოსვლად. ასე მაგალითად, „აჯანყებამ,—წერს ავტორი,—თავის უმაღლეს განვითარებას საქართველოში მიაღწია მაშინ, როდესაც იგი უკვე დამარცხებული იყო მოსკოვში“. მაგრამ ბოლშევიკებს რევოლუციის დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა, რათა შეენარჩუნებინათ კადრები, მოეკრიბათ ძალები და ახალი ვითარების შესაბამისად გარდაექმნათ თავიანთი რიგები და კვლავ გადასულიყვნენ შეტევაზე მტრის წინააღმდეგ.

წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეც. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევნიშნოთ, რომ წიგნი მოიგებდა, თუ 1905 — 1907 წლების რევოლუციის ამბები უფრო ვრცლად იქნებოდა განხილული წიგნის პირველი ნახევრის შემჭიდროების ხარჯზე.

ვფიქრობთ, წიგნში უფრო ნათლად უნდა ყოფილიყო დასმული საკითხი მუშათა დეპუტატების საბჭოების შესახებ საქართველოში. მკითხველს გაურკვეველი რჩება, არსებობდა თუ არა 1905 წელს საქართველოში მუშათა დეპუტატების საბჭოები. ნაშრომში ამ საკითხზე გარკვევით მითითებული არ არის.

წიგნში გვხვდება ზოგიერთი მექანიკური შეცდომაც. მაგალ., სარჩევში მე-5 თავის დასათაურება ასეა წარმოდგენილი: „ძალთა კლასობრივი განლაგება 1905 წლის რევოლუციის წინახანაში“, უნდა იყოს: „კლასობრივ ძალთა განლაგება 1905 წლის რევოლუციის წინახანაში“ და სხვ.

პროფ. გ. ხაჭაპურიძის წიგნი „1905 — 1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ საყურადღებო ნაშრომია 1905 — 07 წლებში ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლების შესასწავლად.

ს. შარიძაძე
ნ. შველიძე

# ᲓᲘᲐ ᲜᲔᲠᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას

ამხანაგო რედაქტორო!

ლიტერატურული ეთიკის ინტერესები გვიკარნახებენ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ ჟურნალ „მნათობის“ მიმდინარე წლის მერვე ნომერში მოთავსებულ ამხ. ლ. კალანდაძის რეპლიკაზე — „რედაქტორის გულგრილობა“. ვილაპარაკებთ მხოლოდ ფაქტებზე, ვინაიდან კამათი უცნაურ ბრალდებათა გამო ზოგჯერ შეუძლებელი ხდება. შეუძლებელი იმიტომ, რომ ძნელია, როცა რეცენზენტი სერიოზულად გეუბნება „მსოფლიო მასშტაბის პრეტენზიები“ გაქვსო, შენ უნდა უმტკიცო — არა, არა მაქვს „მსოფლიო მასშტაბის პრეტენზიები“; „დიდ შეფასებას აძლევ თავისთავსა“ და საკუთარ წიგნსო, — შენ ისევ უნდა უმტკიცო — არა, დიდ შეფასებას არ ვაძლევ საკუთარ თავს და საკუთარ წიგნს; „გუნდრუკს უკმევ საკუთარ თავსო“, — არა, არ ვუკმევ გუნდრუკს საკუთარ თავს; „თვითრეკლამას მიმართავო“, — არა, არ მივმართავ თვითრეკლამას; შენი წიგნის ბადალი არ გეგულებაო, — არა, როგორ არ გვეგულება, რამდენიც გნებავთ, მათ შორის თქვენივე წიგნი; კალთა უნდა ჩამოეწიათ წიგნის ავტორისათვისო, — არა, კალთები საერთოდ არა გვაქვს და ჩამოწევაც საჭირო არ იყო, თქვენთვის კი კალთები ძალიან აუწევიათ, რომ ასეთი წერილი დაბეჭდეთ.

აი, რა საკითხებს აყენებს „მხოლოდ რეპლიკის“ ავტორი და რა საკითხების გარკვევა მიაჩნია მას „განსაკუთრებულ მომთხოვნელობად“.

მივმართოთ ფაქტებს.

„რეპლიკის“ ავტორი ბრალდებას გვიყენებს: „ამხ. გ. ჯიბლაძე გვარწმუნებს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მისი წიგნის ბადალი წიგნი ესთეტიკის საკითხებზე არ გამოჩენილა არც მთელ საბჭოთა ლიტერატურაში, არც ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის პროგრესულ მწერლობაში“... ეს უცნაური დასკვნა ავტორს გამოჰყავს იმ ვრცელი ამონაწერის შემდეგ, რომელიც ჩვენი წიგნიდან მოჰყავს და სადაც ვლაპარაკობთ, რომ „უკანასკნელი წლების მანძილზე **ასეთი სპეციალური ნაშრომი** ესთეტიკის შესახებ არ გამოცემულა“, გარდა ფასტის მონოგრაფიისა და ლეფევრის წერილების კრებულისა. როგორ არ გამოცემულაო, — ამბობს რეპლიკის ავტორი, — და თვითდაჯერებულად შენიშნავს: „ალბათ ამხ. ჯიბლაძეს ესთეტიკის საკითხებზე მნიშვნელოვან ნაშრომთა რიცხვში არ შეაქვს ბულგარელი მეცნიერის ტოდორ პავლოვის ფუნდამენტალური ნაშრომი, გ. ნედოშივინის წიგნი და აგრეთვე მთელი რიგი სპეციალური კრებულები ესთეტიკის საკითხებზე, რომლებიც ჩვენში გამოიცა“ (იხ. ჟურნ. „მნათობი“, № 8, 1955 წ.).

ეს განცხადება პირდაპირ უცნაურია. ჯერერთი, ჩვენ ვლაპარაკობთ **სპეციალურ ნაშრომებზე**, რომლებსაც სისტემატიკური ხასიათი აქვთ, სრულიად არა გვაქვს რა მხედველობაში სპეციალური კრებულები, რომლებიც ცალკეულ წერილებს შეიცავენ; მაშინ თვით „რეპლიკის“ ავტორის წერილების კრებულიც უნდა მოგვეხსენიებინა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ, ვინაიდან ასეთი წიგნები საბჭოთა კავშირში ასეულობით გამოდის და ისინი სპეციალურ, სისტემატიკურ ნაშრომებს ესთეტიკის შესახებ არ წარმოადგენენ. თვით გ. ნედოშივინმა თავისი წიგნის „ხელოვნების თეორიის ნარკვევების“ შესავალშივე კატეგორიულად მიუთითა, რომ მისი წიგნი „არავითარ შემთხვევაში არ არის მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სისტემატიკური კურსი“, რომ იგი „ესთეტიკის მხოლოდ ზოგიერთი პრობლემის“ დახასიათებას წარმოადგენს (იხ. Г. Недошивин, «Очерки теории искусства», 1953 г., стр. 3).

რაც შეეხება ბულგარელი მეცნიერის ტოდორ პავლოვის ფუნდამენტალურ ნაშრომს, ეს საკითხი ფრიად საინტერესოცაა და ფრიად უცნაურიც. პავლოვის ამ შრომას ჩვენ დღესაც არ ვიცნობთ, არ წაგვიკითხავს, აბსოლუტური დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი თვით რეპლიკის ავტორსაც არ უნახავს, არ წაუკითხავს, ვერც ნახავდა და ვერც წაიკითხავდა, ვინაიდან პავლოვის წიგნი დღემდე არ გამოცემულა. მაშ, საიდან მოიტანა „რეპლიკის“ ავტორმა ეს წიგნი? ჟურნალ „Вопросы философии“-ის ინფორმაციული ცნობიდან, სადაც ვკითხულობთ: «В Институте философии АН СССР в конце прошлого года состоялось обсуждение третьей главы труда президента Академии наук Болгарской Народной Республики академика Тодора Павлова, «Проблемы марксистской эстетики», озаглавленной «Что такое искусство»...

Работа Тодора Павлова «Проблемы марксистской эстетики», запланированная Издательством Союза Болгарских писателей для издания в 1955 году, состоит из следующих разделов“... და შემდეგ ჩამოთვლილია 1955 წელს ბულგარეთში გამოსაცემად დაგეგმილი ტოდორ პავლოვის ხელნაწერი წიგნის 15 თავი (იხ. „Вопросы философии“, № 1, 1955 г., стр. 201).,

აი, რა „მეცნიერული“ აღმოჩენებით ხასიათდება „რეპლიკის“ ავტორი!

როგორც ვხედავთ, პავლოვის წიგნი ჯერ არ გამოცემულა; ამ მარტივი მიზეზის გამო ჩვენ მისი მოხსენიება არ შეგვეძლო გამოცემულ წიგნთა შორის; გარდა ამისა, არ გვჩვევია გა-

მოუცემელსა და წაუკითხავ წიგნებზე აზრები გამოვთქვათ, მაღალი შეფასება მივცეთ მათ ან ვაძაგოთ, როგორც ამას „რეპლიკის" ავტორი ახერხებს. არ შეგვეძლო დიდად პატივცემულ აკადემიკოს პავლოვის წიგნის მოხსენიება იმიტომაც, რომ იმ დროს, როცა ჩვენი წიგნის წინასიტყვაობა დაიწერა, ჟურნალი „Вопросы философии" გამოსული არ იყო და ვერავითარი „კიბერნეტიკითაც" კი ვერ შევძლებდით წარმოგვედგინა, რომ ტოდორ პავლოვის ხელნაწერი წიგნის შესახებ ჟურნალი „Вопросы философии" ინფორმაციას მოათავსებდა. ჩვენი წინასიტყვაობა დაიწერა 1955 წლის 8 მარტს, ხოლო ჟურნალ „Вопросы философии"-ის ხსენებული № 1 დასაბეჭდად გადაეცა სწორედ იმავე დღეს — 1955 წლის 8 მარტს. შეადარეთ ჩვენი წიგნის წინასიტყვაობისა და ხსენებული ჟურნალის დაბეჭდვისათვის ვიზის თარიღი.

ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია.

შესაძლოა „რეპლიკის" ავტორმა თქვას: ჩვენ მხედველობაში გვაქვს პავლოვის ადრე გამოცემული შრომებიო, რომლებიც, სხვათაშორის, მოხსენიებულია იმავე ჟურნალის იმავე ინფორმაციაში. ეს შრომებია: „ხელოვნების ზოგადი თეორია", რომელიც ავტორს 1937-1939 წლებში გამოუცია ბულგარულ ენაზე და „ესთეტიკის ძირითადი საკითხები", 1949 წელს გამოქვეყნებული. მაგრამ ეს შრომები სპეციალური გამოკვლევები კი არ ყოფილა, არამედ, **წერილების კრებულები,** როგორც ამას ჟურნალის ინფორმაციული ცნობა გვატყობინებს.

რაც შეეხება „მსოფლიო მასშტაბის პრეტენზიებს", უნდა ითქვას, რომ ესთეტიკა საერთოდ ისეთი მეცნიერებაა, რომელიც გვერდს ვერ აუვლის სხვა ქვეყნების ესთეტიკოსთა შეხედულებებსა და წიგნებს, მაგრამ ეს „მსოფლიო მასშტაბის პრეტენზიები" როდია. თვით იმავე ტოდორ პავლოვის წიგნის შესახებ ინფორმაციულ ცნობაში ნათქვამია, რომ პავლოვს მოუხდა „გაეთვალისწინებია საბჭოთა, ბულგარული და **მსოფლიო პროგრესული ესთეტიკური,** ლიტერატურულ-თეორიული და კრიტიკული აზრის თანამედროვე მდგომარეობა და ამოცანები" (იხ. «Вопросы философии», № 1, 1955 г., стр. 202).

რატომ აქედან არ გამოიყვანა „რეპლიკის" ავტორმა დასკვნა, რომ ტოდორ პავლოვსაც „მსოფლიო მასშტაბის პრეტენზიები" აქვსო? მას ხომ კარგად ეხერხება წაუკითხავი წიგნების რეცენზირება.

„რეპლიკის" ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია, რომ ჩვენ მიზნად ვისახავთ ხელი შევუწყოთ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას. მაინც რატომ? მაშ რა უნდა ვქნათ?

გადაშალეთ ჟურნალ „Вопросы философии"-ის სულ უკანასკნელი ნომერი (№ 4, 1955 წ., რომელიც, სხვათაშორის, ჩვენი წიგნის გამოცემიდან სამი თვის შემდეგ გამოვიდა). ხსენებულ ჟურნალში მოთავსებულია სპეციალური წერილი „О задачах марксистско-ленинской эстетики", რომელშიაც ისევ და ისევ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თეორიული დარგის მუშაკები — ფილოსოფოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები ვალდებულნი არიან არამარტო ხელს უწყობდნენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას, როგორც ამას ჩვენ ვწერდით წინასიტყვაობაში, არამედ, უცელვან ხაზგასმულია უფრო მეტი მოთხოვნა: „...двигать вперед марксистско-ленинскую эстетику»... (გვ. 67), „...двигать вперед эстетику"... (გვ 80). უფრო ადრე, 1948 წელს ჟდანოვმა პირდაპირ მოუწოდა თეორიული ფრონტის მუშაკებს: „დროა გაბედულად წავწიოთ წინ... ესთეტიკის თეორიაო" (სხვათაშორის, „რეპლიკის" ავტორის საყურადღებოდ: ჟდანოვის ეს სიტყვები მოტანილია ჩვენი წიგნის შესავალში, გვ. 15). მაშასადამე, პარტია, ჩვენი პრესაც მოუწოდებს ფილოსოფოსებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსებს **წინ წასწიონ** მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა. ასეთი ამოცანა დგას ჩვენს წინაშე და ახლა განსაზღვრეთ, განა თავის ქება, თვითრეკლამაა ესთეტიკის საკითხებზე საკმაოდ მოზრდილი ნაშრომის ავტორმა განაცხადოს, რომ იგი მიზნად ისახავს **„ხელი შეუწყოს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას და შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს ამ საგნის შემსწავლელებს".** მერედა, თუ ესთეტიკის შესახებ ვრცელი ნაშრომი ასეთ მიზანს არ ისახავს, მაშინ რაღა საჭიროა საერთოდ ესთეტიკის საკითხებზე „დიდტანიანი წიგნი?" მაშინ წიგნს რაღა ამოცანა რჩება? რა მიზანი აქვს მის გამოცემას? რაღა საჭიროა ათეული წლების მანძილზე განუწყვეტელი შრომა „ესთეტიკური ტრაქტატების" დასაწერად, თუ ისინი ხელს არ უწყობენ ესთეტიკური მეცნიერების განვითარებასა და წინსვლას? ნუთუ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება არ არის? ნუთუ ეს საკამათო და გასაკიცხავია? არა, ალბათ „რეპლიკის" ავტორი ამის უარყოფას ვერ შეძლებს, მაგრამ მას სხვა რამ აწუხებს; მას მიზნად დაუსახავს ჩვენი სიტყვებიდან როგორმე ის აზრი გამოიყვანოს (ძალად გამოიყვანოს), თითქოს ვამბობდეთ: ჩვენი წიგნი „მიზნად ისახავს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას". როგორ ახერხებს ამას „რეპლიკის" ავტორი? ძალიან იოლად: დასაწყისში ამონაწერი სრულად მოჰყავს, ცხადია, ყალბი ილუზიის შესაქმნელად, რომ იგი ობიექტურია ციტატების მიმართ, შემდეგ კი ამახინჯებს, აგდებს სიტყვას და ამ გზით მისთვის სასურველ აზრს ღებულობს. ჩვენ ვწერთ: „ხელოვნება და სინამდვილე" **„...მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას",** „რეპლიკის" ავტორი კი მოგვაწერს: გ. ჯიბლაძე თავის წიგნში **„მიზნად ისახავს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას".** ეს ხომ ერთი და იგივე არაა? სად გაჰქრა

სიტყვები **„ხელი შეუწყოს?“** სიტყვების ასე გამოტოვებით ხომ ადვილად შეიძლება სწორი აზრი არასწორად აქციო, ჭეშმარიტება კი პარადოქსად? ასეთ მოქმედებას, რბილად რომ ითქვას, ლიტერატურული ეთიკის ენაზე მგონი არაკეთილსინდისიერება ეწოდება.

„რეპლიკის“ ავტორი ყველაფერს ეჭვის თვალით უცქერის. მას „უცნაურ ფრაზად“ მიაჩნია ჩვენი სიტყვები: „დიდიხანია შემჩნეულია, რომ **ხელოვნება ყოველთვის გამოხატავდა** სინამდვილეს...“ რა არის აქ უცნაური? აბსოლუტურად არაფერი. მაგრამ თვით „რეპლიკის“ ავტორის მოქმედება მართლაც უცნაურია, ვინაიდან იგი ისევ ამახინჯებს ჩვენს დებულებას და სიტყვას **გამოხატავდა, წერს „გამოხატავს“.** ესეც არაკეთილსინდისიერება უნდა იყოს.

რისი შედეგია ყოველივე ეს? აჩქარებისა თუ დაუკვირვებლობის?

ყველაფრიდან ჩანს, რომ „რეპლიკის“ ავტორს მართლაც ძალიან აჩქარებით, ფაცაფუცით დაუწერია და დაუბეჭდავს თავისი წერილი, რომელიც სულ 117 სტრიქონია. აქედან ჩვენი წიგნიდან ციტატებს უკავიათ 65 სტრიქონი, ე. ი. ნახევარზე მეტი. წერილის ავტორს ეკუთვნის მხოლოდ 52 სტრიქონი. და რამდენი შეცდომაა ამ გაძალებულ 52 სტრიქონში!

აი, ეს შეცდომები:

1. დამახინჯებულია სიტყვა. მასშტაბის მაგიერ წერია **მაშტაბი** (ეს კორექტურული შეცდომაა, გვეტყვის „რეპლიკის“ ავტორი, მაგრამ 52 სტრიქონში ასეთი შეცდომა საეჭვოა).

2. დამახინჯებულია მშვენიერი ლათინური სიტყვა. „რეპლიკის“ ავტორი წერს: „ტოდორ პავლოვის **ფუნდამეტალური** ნაშრომი“, ცხადია უნდა იყოს „ფუნდამენტალური ნაშრომი“ (ნუთუ ესეც მხოლოდ კორექტურული შეცდომაა?).

3. დამახინჯებულია ჩვენივე ციტატა: გამოტოვებულია სიტყვები — „ხელი შეუწყოს“. ესეც კორექტურული შეცდომაა, — გვეტყვის ავტორი. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს გამოტოვება კორექტურული შეცდომა კი არ არის, განზრახ არის ჩადენილი, რომ ჩვენი აზრი დაამახინჯოს.

4. დამახინჯებულია ციტატის გრამატიკული წყობა, არეულია დრო. ჩვენ ვწერთ: „ხელოვნება ყოველთვის **გამოხატავდა** სინამდვილეს“, „რეპლიკის“ ავტორი წერს: „ხელოვნება ყოველთვის **გამოხატავს** სინამდვილეს“ (ეს მართლაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, მაგრამ ზერელობით გამოწვეული).

5. ტოდორ პავლოვის წიგნი ჯერ არ გამოცემულა; რეპლიკის ავტორს ეს გამოუცემელი წიგნი, რომლის არსებობა მარტოოდენ ჟურნალის ქრონიკით გაიგო, გამოცემულ წიგნთა სიაში შეაქვს და წაუკითხავ წიგნს მაღალ შეფასებას აძლევს, ისევე როგორც ჩვენს წიგნს, რომელიც მას წაკითხული არ ჰქონდა, აუგად იხსენიებს. ესეც ზერელობა უნდა იყოს, მაგრამ უკვე უპასუხისმგებლობაში გადასული.

6. ჩვენსავე ციტატაში წიგნის სახელწოდებას „ხელოვნება და სინამდვილე“ ბოლო. წინწკლებს აკლებს (ალბათ აჩქარების გამო ივიწყებს, თუ კორექტურას პატივს არა სცემს).

7. კორექტურისადმი ეს უპატივცემლობა ბოლოს იქამდე მიდის, რომ **საჭიროას** მაგიერ **საჭიორას** წერს.

8. საბჭოთა ხელოვნებათმეტყველს გ. ნედოშივინს ისე იხსენიებს, თითქოს ეს უკანასკნელი უცხოელი მეცნიერი იყოს (აქ უცოდინარობას ვერ დავწამებთ „რეპლიკის“ ავტორს, ვერც კორექტურისადმი უპატივცემლობას, არა, ეს აჩქარებისა და ფაცაფუცის შედეგია).

9. ჩვენსავე ციტატაში სიტყვები „ამ მხრით...“, „რეპლიკის“ ავტორს შეუცვლია სიტყვებით: „ამ მხრივ“... (ეს უკვე კორექტურის უპატივცემლობით და ზერელობით უნდა აიხსნას).

10. ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ფაცაფუცში „რეპლიკის“ ავტორს, რომელიც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მდივანია და „მნათობის“ მერვე ნომერი, რომელშიაც თავისი წერილი დაუბეჭდავს, მისი რედაქტორობით გამოვიდა, თავისივე წერილის სათაური „რედაქტორის გულგრილობა“ ჟურნალის შინაარსში სახელწოდებაშეცვლილი შეუტანია— „გულგრილი რედაქტორი“. თუ „რეპლიკის“ ავტორი საერთოდ ასე წერს, მაშინ აღარ ვიცით, რა ღირებულება ექნება მისი სტატიების კრებულს, რომელიც ახლახან გამოვიდა. როცა „რეპლიკის“ ავტორი თავისივე წერილის სათაურს პატივს არა სცემს, ცვლის და ასხვაფერებს, მაშინ აღარ გვიკვირს, თუ ჩვენს წიგნსა და იქიდან მოტანილ ციტატებს იგი ზერელედ მოეკიდა, გადაასხვაფერა, დაამახინჯა, გადააკეთ-გადმოა.ეთა. ეტყობა, ეს ზერელობა, დაუკვირვებლობა თუ ფაცაფუცი მისი საერთო დამახასიათებელი თვისება ყოფილა. მაშინ რა გაეწყობა? ამჯერად ბედის შერიგება გვმართებს!

**გიორგი ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

## სახელმწიფო გამომცემლობა

**ფ. ენგელსი** — ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა. ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის. გვ. 54, ფასი 55 კაპ.

**ვ. ი. ლენინი** — პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა. გვ. 24, ფასი 25 კაპ.

**ანბანური საძიებელი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისა, რომლებიც შესულია თხზულებათა მეოთხე გამოცემაში** — გვ. 186, ფასი 6 მან. 40 კაპ.

**რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები — (1903 — 1905 წწ.)** — გვ. 546, ფასი 9 მან. 25 კაპ.

**სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.** — ნაწ. 2. გვ. 880, ფასი 13 მან. 20 კაპ.

**შრომები** — (რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი) წიგნი 1. გვ. 246, ფასი 9 მან. 90 კაპ.

**მიხეილ ჯავახიშვილი** — არსენა მარაბდელი. გვ. 582, ფასი 21 მან.

**ლეო ქიაჩელი** — მოთხრობები, წერილები. (ტომი 4) გვ. 434, ფასი 8 მან.

**ფრიდრიხ შილერი** — ორლეანელი ქალწული (თარგ. ვახტანგ ბეწუკელისა) გვ. 182, ფასი 4 მან.

**გიორგი ჯიბლაძე** — კრიტიკული ეტიუდები. წიგნი II. გვ. 442, ფასი 13 მან.

**ანდრო თევზაძე** — უშანგი ჩხეიძე (მონოგრაფია). გვ. 172, ფასი 11 მან.

**ალექსანდრე გომიაშვილი** — ლექსები, ბალადები. გვ. 216, ფასი 6 მან. 25 კაპ.

**ლიდია მეგრელიძე** — მშობლიური ცის ქვეშ. (დღიურები და ქრონიკები) გვ. 244, ფასი 5მან. 50 კაპ.

**ელიზბარ მაისურაძე** — გარდატნელი მაყრები. (მოთხრობები) გვ. 330, ფასი 4 მან. 40 კაპ.

**ი. ქაჩიბაია, ლ. ბერძენიშვილი** — მოწინავე მტს-ის მთავარი აგრონომის მუშაობის გამოცდილება. გვ. 62, ფასი 85 კაპ.

**სიმონ ქუმბურიძე** — მსხვილი რქოსანი პირუტყვის სუქება. გვ. 32, ფასი 35 კაპ.

**გ. ჩაჩანიძე** — მტს-ის მოწინავე ადამიანები. გვ. 52, ფასი 55 კაპ.

**ს. ი. ქუმბურიძე** — ნაკვეთმორიგეობითი ძოვება, მისი ორგანიზაცია და ტექნიკა. გვ. 28, ფასი 35 კაპ.

## საბჭოთა მწერალი

**დავით გურამიშვილი** — დავითიანი. გვ. 376, ფასი 9 მან.

**სერგო კლდიაშვილი** — ერთტომეული. გვ. 642, ფასი 12 მან. 60 კაპ.

**ეთიმ-გურჯი** — ლექსები. გვ. 100, ფასი 3 მან.

**შალვა ამისულაშვილი** — ძმადნაფიცები (ლექსები და ბალადები) გვ. 90, ფასი 1 მან. 50 კაპ.

**გიორგი კალანდაძე** — ლექსები. გვ. 118, ფასი 1 მან. 70 კაპ.

**ვლადიმერ უბილავა** — ღელვას ბობოქარს. (ლექსები, პოემა). გვ. 112, ფასი 2 მან. 40 კაპ.

**შაქრო სამადაშვილი** — ლექსები. გვ. 60, ფასი 1 მან.

## საბლიტგამი

**სიმონ ჩიქოვანი** — სიმღერა დავით გურამიშვილზე. გვ. 110, ფასი 2 მან. 40 კაპ.

**ზ. კოვზირიძე** — დღის რეჟიმი. გვ. 60, ფასი 1 მან. 20 კაპ.

**მუსთაი ქარიმი** — ჩვენი ოჯახის სიხარული. (თარგ. შ. მერაბიშვილისა) გვ. 88, ფასი 1 მან. 70 კაპ.

94

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატიანი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12,25, უე 08599
შეკვეთა № 710 ტირაჟი 6000

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ფასი 8 მ.

5 11/202

6.14/1429

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ